თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აფხაზური ლიტერატურა

ქრესტომათია

8 с (Аб̆х)
894.61 1.3(082)
ა 933

ქრესტომათიაში შეტანილია აფხაზური პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშები. იგი გათვალისწინებულია სტუდენტი-ფილოლოგების სახელმძღვანელოდ და მკითხველთა ფართო წრისათვის.

Ахрестоматиа ианылеит аҧсуа поезиеи апрозеи ирейҕьу арҿиамҭакуа. Ахрестоматиа еиқуршәоуп астудентцәа — афилологцәа рзы, насгьы рхы иадырхуар ҟалоит инарҭбааны аҧхьаҩцәа.

В хрестоматию включены лучшие образцы абхазской поэзии и прозы. Хрестоматия предназначается для студентов-филологов, а также для широкого круга читателей.

Ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:
გრიგოლ აბაშიძე, ოთარ ბაქანიძე, ივანე თარბა, პროკლე კეკელიძე (მთავარი რედაქტორი).

А р е д а к ц и а т ә к о л л е г и а:
Григол Абашьизе, Отар Бақанизе, Иван Тарба, Прокле Кекелизе (аредактор хада).

Р е д а к ц и о н н а я к о л л е г и я:
Григол Абашидзе, Отар Баканидзе, Иван Тарба, Прокле Кекелидзе (главный редактор).

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1978

60602

რედაქციისაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის საკითხებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ჩვენ გვინდა, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა იყოს ერთსულოვანი ოჯახი ხალხებისა, რომლებიც ერთად აშენებენ და იცავენ ახალ საზოგადოებას, ამდიდრებენ ერთმანეთს გამოცდილებითა და ცოდნით, — იყოს შეკავშირებული და მტკიცე ოჯახი, რომელშიც მსოფლიო ადამიანები დაინახავენ თავისუფალ ხალხთა მომავალი მსოფლიო თანამეგობრობის პირველ სახეს“. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით, სკკპ ბრძნული ხელმძღვანელობით, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებითა და დიადი სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი გამარჯვების საფუძველზე შეიქმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვანი, მტკიცედ შეკავშირებული და სამუდამოდ შედუღაბებული ძმობისა და მეგობრობის დიადი ოჯახი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა. ცნობილია, რომ საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომი აღმავლობისა და კომუნისტური საზოგადოების აშენების გრანდიოზული პროგრამის ერთობლივი გმირული შრომით განხორციელების დიდ მსოფლიო-ისტორიულ საქმეში, სხვა ფაქტორებთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ხალხის, ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდას. ამ დიადი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა ჩვენი საბჭოთა ხალხების ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც „მასების პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის მძაფრი, უაღრესად ქმედითი იარაღია“ (ე. შევარდნაძე).

მოძმე ერების მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათი კულტურის შესწავლასა და მეცნიერულ კვლევას ჩვენს პირობებში განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ხელს უწყობს ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

სტუდენტთა შემეცნებითი და იდეურ-აღმზრდელობითი დონის ამაღლების მიზნით უმაღლეს სასწავლებლებში სხვა მოძმე ხალხთა ლიტერატურის ისტორიის შესწავლასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მოძმე აფხაზი ხალხის მრავალფეროვანი ლიტერატურის სწავლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აფხაზი და ქართველი ხალხის ძმურ მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ორივე მოძმე ხალხი ერთად ღვრიდა სისხლს მრავალრიცხოვანი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლებში და გმირულად იცავდა სამშობლოს თავისუფლებას. ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისას შემოიღო აფხაზური ენის სწავლება და ლექტორად მოიწვია აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია. შემდეგში ფილოლოგიის ფაკულტეტზე აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიერ კავკასიურ ენათა განყოფილებისა და კავკასიურ ენათა კათედრის დაფუძნების მეოხებით დიდი მასშტაბით გაიშალა აფხაზური ენის სწავლება და მისი მეცნიერული კვლევა-ძიება.

1968 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოღებულ იქნა აფხაზური და ოსური ლიტერატურის ისტორიის კურსი. უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის კოლექტივი შეუდგა სათანადო სახელმძღვანელოების შექმნას, პირველ ყოვლისა, აფხაზური ლიტერატურის სახელმძღვანელო— ქრესტომათიის შედგენას, რაშიც უნივერსიტეტის კოლექტივთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზმა მეცნიერებმა, მწერლებმა და კულტურის მოღვაწეებმა.

ამ მუშაობის შედეგია წინამდებარე ქრესტომათია, რომელიც წარმოადგენს პირველ ცდას აფხაზური ლიტერატურის სისტემატური და ერთობლივი სახით მიწოდებისა ქართველი სტუდენტებისათვის.

იგი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან, რომელთა შესახებაც ყოველ მითითებას სიამოვნებით მიიღებენ ქრესტომათიის შემდგენლები.



დიმიტრი გულია

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდეველი და დიდი კლასიკოსი, აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი იოსების ძე გულია დაიბადა 1874 წლის 21 თებერვალს გუმისთის უბნის (ამჟამად გულრიფშის რაიონი) სოფელ უარჩაში, გლეხის ოჯახში.

დ. გულიამ პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფლის მღვდელთან, რომელმაც ასწავლა ქართული და რუსული წერა-კითხვა. შემდეგ სწავლობდა სოხუმის საქალაქო მთიელთა სკოლაში, რომლის ხელმძღველი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე მაჭავარიანი. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამყარდა მტკიცე, მეგობრული ურთიერთობა. კ. მაჭავარიანის ოჯახი დიმიტრი გულიასთვის მეორე მშობლიური ოჯახი გახდა. აქ დაეწაფა ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებას, კულტურას, მშობლიურ ფოლკლორს.

სოხუმის მთიელთა სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1889 წ. დ. გულია შეეიდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც მხოლოდ ხუთი თვე სწავლობდა, რის შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდა და სოფლის სკოლებში ასწავლიდა აფხაზურ ენას.

1891 წ. დ. გულიამ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად შეადგინა აფხაზური ანბანი, რომელიც 1892 წ. გამოიცა ქ. თბილისში. აქედან იწყება მისი ფრიად ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

1905—1907 წწ. რევოლუციის შემდეგ დ. გულია ცხოვრობს ქ. სოხუმში, სადაც განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას — ასწავლის სოხუმის ქალთა გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, სამასწავლებლო სემინარიაში, ამასთანავე აარსებს დრამატულ ლიტერატურულ წრეებს. 1919—1920 წწ. მისი რედაქტორობით გამოდიოდა პირველი აფხაზური გაზეთი «აფსნი». დ. გულია ფუძემდებელია აფხაზური სალიტერატურო ენისა. მან უდიდესი ამაგი დასდო აფხაზური ლიტერატურული ენის განვითარებას და ხალხში მისი დამკვიდრების საქმეს.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დ. გულიას მოღვაწეობა მეტად ფართოვდება. პოეტი დიდ ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობასთან ერთად აგროვებს და სწავლობს აფხაზურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, ბეჭდავს შრომებს აფხაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, აარსებს მოძრავ თეატრს და სხვ.

1924 წ. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოღებულ იქნა აფხაზური ენის კურსი, რომლის ხელმძღვანელად უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია დ. გულია.

1920 წ. იგი დაინიშნა აკად. ნ. მარის ინიციატივით, დაარსებული აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის აკადემიის თავმჯდომარედ. შემდგომ, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, მოღვაწეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კომუნისტი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დ. გულიას ამაგი. იგი არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ოთხი ორდენით.

დ. გულია გარდაიცვალა 1960 წლის 7 აპრილს. დაკრძალულია ქ. სოხუმში.

დ. გულია აფხაზი ხალხის უდიდესი განმანათლებელია. იგი მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გვერდით ედგა მშობლიურ ხალხს მისთვის უველაზე ძნელ და უველაზე სანუკვარ წუთებში, კალმის ბასრი მახვილით დაუღალავად იბრძოდა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, განათლებისა და კულტურული პროგრესისათვის.

დ. გულიამ თავისი ლექსების პირველი კრებული გამოსცა თბილისში 1912 წელს, რამაც ფართო გზა გაუსნა აფხაზური ლიტერატურის შემდგომ განვითარებას.

დ. გულია წერდა ლექსებს, სიმღერებს, შაირებს, პოემებს, პიესებს, ნოველებს, მოთხრობებს. მისი რომანი „კამაჭიჭი" (1940 წ.) წლების მანძილზე ერთადერთი ნაწარმოები იყო, რომელშიაც ნათლად აისახა აფხაზეთის რევოლუციამდელი გლეხის დუხჭირი ცხოვრება და წარსულში აფხაზი ქალის ჩაგვრა და უუფლებობა. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „კამაჭიჭი" რევოლუციამდელი აფხაზური სოფლის მხატვრული ენციკლოპედიაა.

დ. გულიას შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემას. მწერლის მხატვრული მემკვიდრეობა ეობეე ხალხებთან აფხაზი ხალხის მეგობრობის დიდი საგალობელია.

გამოჩენილმა მწერალმა აფხაზურ ენაზე წარმატებით თარგმნა ქართული, რუსული, უკრაინული, სომხური, ოსური ლიტერატურის კლასიკოსები, რამაც დიდი როლი შეასრულა აფხაზი ხალხის მოძმე ხალხებთან კულტურულ დაახლოებასა და მშობლიური მწერლობის გამდიდრებაში.

1974 წელს მადლიერმა აფხაზმა ხალხმა, მოძმე ქართველ და საბჭოთა კავშირის უველა ხალხთან ერთად, დიდი სიყვარულით აღნიშნა თავისი ღირსეული შვილის დაბადების 100 წლისთავი. ეს თარიღი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისა და მწერლობის ჭეშმარიტი ზეიმი იყო.

დ. გულიას მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება საუნჯოა ღა ხალხისადმი ერთგულების მარად უჭკნობი ნიმუშია.

„ძვირფასი" ქმნილება

მუდამ ბრწყინვალედ მორთული
ჩოხით და ახალუხითა,
ის სასეირნოდ გამოდის
რიხით და ბაქიბუქითა

თუ რომ გულგრილად შეხედეთ,
არ მოსწონს, ეთაკილება,
მოელის, ეტყვით, ეს კაცი
არის „ძვირფასი ქმნილება“.

ის ლამაზ სიტყვა-პასუხში
მალავს უმსგავსო ზნეობას,
არ ერიდება არასდროს
სიცრუეს, პირმოთნეობას.

გულში კი მუდამ ატარებს
სხვის ღვარძლს,
ლანძღვას და გინებას, —
დახეთ, რა კაცი ყოფილა
ჩვენი პირმოთნე ქმნილება!

აჩანგურს უკრავს, გაოცებთ
ცეკვით, ტაშით და ხმაურით.
მზად არის სხვას დააბრალოს
თავისი დანაშაული.

ზოგჯერ მოწყალედ მოგხედავს
გარიგებს, გეძმობილება.
დახეთ, თვალთმაქციც ყოფილა
ეს ცრუპენტელა ქმნილება!

სწავლა არა სურს, თაკილობს,
აღმერთებს სმას და ღრეობას;
შრომა არ მოსწონს ამართლებს
ქურდობას, ძალმომრეობას.

მისგან სიკეთეს ნუ ელით,
ბოროტად არის ცნობილი,
ქვრივს წაჰგლეჯს,
ობოლს დასცინებს
ეს გვამი „კეთილშობილი“.

მე შენ გეტყვი და თვალთაგან
ცრემლი არ მოსწყდეს ღილებად,
რა ბოროტი რამ ყოფილა
ეს უსულგულო ქმნილება.

დარიგება და სწავლება
მას სხვისგან არა უნდა-რა,
უსწავლელობით ამაყობს
ჩლუნგი, უტვინო, უქნარა.

კეთილს წიხლს დაჰკრავს, ბოროტს კი
ამხნევებს ეხმატკბილება.
ქვეყნად ჯერ არვის არ ახსოვს
ასეთი ურცხვი ქმნილება.

ამხანაგს ურცხვად გაქურდავს,
ბნელ საქმეს არ ერიდება,
ნაპარავს მასვე მიჰყიდის,
ფული არ გაუჭირდება.

სტუმრად ეწვევი, ვინ შეძლოს
ვერავინ მისი მხილება.
ძნელია უცბად გაიცნო
ეს გაიძვერა ქმნილება.

თუ მშიერია, ენაზე
ადნება თაფლი, შაქარი,
თავს არ დაგიკრავს, არ გიცნობს —
მუცელი თუ აქვს გამძღარი.

საჭირო ხალხთან ქედს იხრის,
მიჰყვება დროის დინებას
გაორებული, ველური,
ეს სულმდაბალი ქმნილება.

მასში საოცრად შერთვია
სიმხეცე, ფარისევლობა,
ყველას მობეზრდა, გულს ურევს,
იმისი ენამჭევრობა.

და მისი სახე მნახველში
ბადებს ამ განწყობილებას:
სჯობს რომ სამარემ მიიღოს
ეს დაწყევლილი ქმნილება..

1907

დიდი ხოჯანი

მე მომწონს დიდი ხოჯანი ჩვენი,
იმისი ოდა, იმისი ცხენი,
ქისა, ავსილი ფულებით მუდამ...
აი, სიმდიდრეც ასეთი უნდა!

მისი ცხვარ-ძროხა, მინდვრად გაშლილი,
მისი ბეღლები, ხორბლით ავსილი.
უდარდელობა, ქება-დიდება
ქვეყნად არავის არ მოსწყინდება

მაგრამ გულქვაა ხოჯანი ჩვენი —
ხალხს გაუმწარა სიცოცხლის დღენი;
ურცხვად გაძარცვა სოფელი მთელი.
ქვრივს, ობოლს, ღატაკს
ვინა ჰყავს მცველი?!

დიდი ხოჯანი ხალხში ღვარძლს თესავს,
მას არ აწუხებს ღატაკთა კვნესა;
არის ბოროტი, აშარი, ავი,
ეს კაცთმოძულე და შფოთისთავი.

ხოჯანს არ უყვარს სიცოცხლე მშვიდი,
ხოჯანს სისხლისღვრის არა აქვს რიდი,
გასვენებაში ხშირ-ხშირად მიდის,
მისთვის ქელეხი ლხინია დიდი.

შვიდი გაზარდა ხოჯანმა შვილი,
შვიდივ სულბნელი და შავი ჭირი,
მისდევს მშობლის კვალს შვიდივე „გმირი“.
ძარცვა-გლეჯით და ქურდობით ხშირით.

ეტანებიან საქმეებს შავ-ბნელს,
არ გაუშვებენ შარაზე გამვლელს,
ვინ გაუძალდეს ბოროტის მძებნელთ?
თავს წააცლიან უეცრად მხრებზე.

მაგრამ რასა იქმს ხოჯანი ახლა?
მისი სიმდიდრე ნისლივით გაქრა;
მისი დაღუპვის მოსულა რიგი —
აღარ ფარფაშებს ამქვეყნად იგი.

ღმერთთან მოუხდა მას დიდი დავა,
ღმერთმა ოჯახი გაუნიავა,
გამოიცვალა ხოჯანმა ჰავა,..
მისი სიმდიდრე საფლავში ჩავა.

ეგ რა მოგსვლია, ჰეი, ხოჯან, მითხარ,
ვერ იფარფაშე ამ ქვეყნად დიდხანს —
დაგიჭკნა ბაღი, უბადრუკს ჰგავხარ!...
დაგექცა ოდა, საფლავში წევხარ!...

1910

რუსთაველის ძეგლი სოხუმში

თვალები რუსთაველისა — სიღრმით ქებული ზღვა არი,
ძალგულოვნება შოთასი — აღელვებული ზღვა არი,
სიმშვიდე რუსთაველისა — მზით მოვერცხლილი ზღვა არი,
შოთას მშფოთვარე სიცოცხლე — ატალღებული ზღვა არი.
ამაყობს ჩვენი ერცახე, ყინულის გვირგვინდადგმული,
მას ახლა თავზე დაჰნათის რუსთველის ლექსი განთქმული,
მთა მთას აბნელებს, წლებისგან ინგრევა კლდენი მაღალი,
მტკიცეა ლექსი შოთასი, სალ კლდეზე უფრო მაგარი.
მთვარეს წყვდიადი ჩააქრობს, მზე ღრუბლით დაისუდრება,
მაგრამ სიმღერის ნათელი არასდროს დაიღრუბლება!
მზე ზაფხულობით გკაცხუნებს, ზამთრობით ვხედავთ წამითა,
შოთას მხურვალე ლექსი კი გვათბობს დღითაც და ღამითაც.
ზღვისპირას ძეგლი დამდგარა მზის სხივებისგან ნათალი,
თავს ადგას შარავანდედად დიდების შუქი მართალი,
ძეგლი კი არა — ლექსია, შოთას სიმღერა ქებული,
ამაყი მთების გრეხილით არშიაშემოვლებული!..

1938

გეფი მოვიდა

თვალთან თითსაც კი ვერ მიიტან, — ღამეა ბნელი.
ჩადგა ბრძოლების ქარიშხალი, დამარცხდა მტერი.
ღრმა სიჩუმეში ზღვის ამაყი სუნთქვა ჩამესმის
და მე შევხარი მოციმციმე ტალღებს ალერსით.

საიდანღაც რომ იდუმალი სინათლე ჩნდება,
ხან სიბნელეში აენთება, ხან ისევ ქრება.
საიდან მოდის ის სინათლე? ღამეა მუქი
და ზღვის სარკეში არეკლილი ფართქალებს შუქი.

ხანგრძლივი შფოთის შემდეგ ახლა ვხედავ პირველად
ამდენ ნაცნობ თვალს, გაცისკრებულთ
გულთამხილველად.
სამხრეთის პორტში შემოვიდა ზეიმით გემი, —
ჭირგამოვლილი, მხიარული, სიკეთის მჩენი.

ნაპირს მოაწყდა ზღვა კამკამა ზვირთების ცემით,
სიბნელის ზღვიდან შემოვიდა ნათელი გემი.
წამოიშალა ზღვისპირეთი საყვირის ხმაზე,
მისი მკვეთრი ხმა ნაცნობია ყველასთვის ასე.

დგას ნავსადგურში და ირწევა წყალზე ნებივრად,
ეს შუქფარანი თითქოს ზეცის ვარსკვლავებია.
ეჰ, რა ხანია არ მინახავს ასეთი შუქი,
სითბოსაც იგრძნობ, გემს ხელისგულს შეახებ თუკი!

ცივ ქიმს მივადე ცხელი ლოყა მისულმა გემთან
და მოვისმინე მძლავრი გული რა ძლიერ სცემდა.
ვეღარ ვიოკებ ამდენ ღელვას, გულები ჩვენი
სცემენ ზაფხულის ამ ღამეში ლაღად და ლხენით.

1945

პ ა რ ტ ი ა

ვიცი, ბუნების მრისხანე ძალა
გოლიათ ქედებს შეუცვლის ალაგს...
მაგრამ ეს ძალა ვერ შეედრება
პარტიის ძალას, პარტიის ნებას.

ვიცი, ქვეყნად თუ რა უხვად არის
ზღვები — ბუნების ნაოსტატარი...
მაგრამ პარტიის მტკიცე მარჯვენამ
შეძლო ახალი ზღვების გაჩენა.

აი, მზე ხმელეთს ანათებს, ათბობს,
მაგრამ პარტიას — უდიდეს მნათობს—
მეტი აქვს ძალა; ღამით თუ დღისით
გულებში გვწვდება სინათლე მისი.

უსაზღვროდ ვრცელი არის სამყარო,
ის სიდიადით რას შევადარო?
მისებრ უსაზღვრო და დიადია
გრძნობა, რომლითაც გვიყვარს პარტია.

უფრო სრულყოფილს რას შევადარო
პარტია — დიდი ცხოვრების წყარო;
რომ მისი შუქი არ ადგეს სვეტად,
გაცივდებოდა ჩვენი პლანეტა.

1952

ირემი

ის მთის მდინარის ნაპირას იდგა,
ვით მოწყვეტილი ციდან ვარსკვლავი,
რქები — ფიჭვები შტოგაშლილები,
ფეხები — წვრილი ვაზის რქასავით.

თუმც აღარა აქვს შველა არსაით,
არ დაეცემა მუხლებზე იგი.
იდგა ნატიფი, ცეცხლიან თვალით
იმზირებოდა ირემი ირგვლივ.

ხრამებზე შავად აბოლდა ჯანღი,
ბოლავს უფსკრულის ხახა ვეება.
მან გააკეთა, რაც კი შეეძლო,
დარჩა: სიკვდილი ან დატყვევება.

გგონია, თითქოს მშვიდდება იგი
და შეიპყრობენ მონადირენი...
მაგრამ უფსკრულში ეშვება უცებ,
თითქოს ფრინველად იქცა ირემი.

უფსკრულთან მდგარი ხალხი დუმილით
უცქერდა ვიდრე არ შთანთქა ნისლმა.

ის მაინც დარჩა დაუძლეველი,
ვერ შეაშინა სიკვდილის რისხვამ.

და დღეს მინდოდა მთელი ხმით მეთქვა,
რომ ეს სიმღერა თქვენც გაგეგონათ:
— სჯობია, მოკვდე თავისუფალი,
ვიდრე იცოცხლო ყურმოჭრილ მონად!..

1952

ჩემი კერა

პოემა

წარსულთა დროთა სისხლი და ცრემლი,
მეხსიერებას შემორჩა მარად...
მარტოდენ თვალის დახუჭვა კმარა —
თვალწინ რომ შავი დამიდგეს წელი.
და ამ დროს გული იმგვარად მიძგერს,
თითქოსდა გრდემლზე ურტყამენ უროს,
თითქოს საბრძოლო ნაღარას ვისმენ,
თითქოს ხელახლა იწვი, მამულო!
იქნებ სიზმარი იყო წარსული?!
იქნებ ბერიკაცს მატყუებს თვალი!
არა! ეს გახლავთ სიმართლე სრული;
ჰაერში ბრუნავს ნახშირის სუნი,
გამურულია კედლები კვამლით.
მე დავიწყება იმ შავი წლების
არ შემიძლია! არა და არა...
ჩემს ხალხს სიკვდილის თიბავდა ცელი,
თიბავდა, როგორც თიბავენ ბალახს...
ვეღარ იტევდა პატიმრებს ციხე,
ტყვიების ელვა კაწრავდა ღამეს;
მკვდრები ეყარა, ვითარცა რიყე,
იმ ათას რვაას სამოცდათვრამეტს.
წარსულთა დროთა სისხლი და ცრემლი —
მეხსიერებას შემორჩა მარად.
მარტოდენ თვალის დახუჭვა კმარა —
თვალწინ რომ შავი დამიდგეს წელი.
და ამ დროს გული იმგვარად მიძგერს,
თითქოსდა გრდემლზე ურტყამენ უროს,

თითქოს საბრძოლო ნაღარას ვისმენ,
თითქოს ხელახლა იწვი, მამულო!
სოფელი უარჩა. ფიცრული სახლი.
ფოთლები მწვანე. ზღვის ლურჯი მკერდი
წკრიალა ხმის და ნათელი სახის
აქ დაიბადა ბიჭუნა ერთი.
დღითი დღე დიდი ხდებოდა იგი,
ვით ყველაფერი, რაც იყო ირგვლივ...
ერთ დღეს ბიჭუნამ აიდგა ენა —
ამოიძახა სახელი დედის...
აფხაზის სახლში იმატა ლხენამ,
ეს იყო რაღაც ზეიმზე მეტი.
დედ-მამისა და ბებიის გარდა,
ბიჭუნას ერთი დაიკოც ჰყავდა..
მთელი ოჯახი ზრუნავდა მასზე;
ბებოც მუდამ დღე აკვანთან უჯდა...
და იზრდებოდა ბიჭუნა ასე — ოჯახის ბურჯად·
ადამიანზე მაღალი, ნეტავ,
ვინმეს რაიმე უნახავს ქვეყნად?!
უკვირდა ყმაწვილს: ყივილი მამლის,
ზღვის მიმოქცევა, ბალახი, კვამლი...
ჩიტის გალობა, ძროხის ბღავილი.
ქვეყნად შუქივით მოსული ბიჭი
მშობლიურ კერის სითბოთი გათბა.
ყმაწვილზე ზრუნვის წარმოთქვეს ფიცი
მისმა პაპამა და პაპისპაპამ.
კიდევ ერთი რამ უკვირდა ყმაწვილს;
ცხოვრობდა მათთან ცალფეხა კაცი;
მეორე ფეხად, ნამდვილის ნაცვლად,
ხის ფეხი ჰქონდა იმ ქერა კაცსა...
ხის ხმელი მორი, მაგარი, სწორი..
ბიჭუნას მამამ ის ხმელი მორი
მთელი სამი დღე თალა და რანდა,
ფეხის ადგილას მიაბა მერე.
და ქერა კაცი ორ ფეხზე დადგა.
იმ კაცს გრიგოლი ერქვა სახელად,
ძია გირგუალს ვეძახდით ჩვენა.
ცალფეხა კაცი, მაღალი, ქერა,
გეგონებოდათ, ჩვენს ჭერქვეშ იშვა,
ისე შეიტკბო აფხაზის კერა

რუსმა სალდათმა გრიშამ.
მას ყველაფერი ხიბლავდა ირგვლივ,
ჩვენი ბაღები, ყანები, ზეცა...
მამას ძმასავით უყვარდა იგი,
ის მამასავით მიყვარდა მეცა.
ასეთი იყო ის ქერა კაცი,
მტერთან ბრძოლაში სისხლი რომ ღვარა...
ვინც გამოცადა ცხოვრება მკაცრი —
ძია გრიგოლი — პეტროვი გვარად.
სოფელი უარჩა, ფიცრული სახლი,
დედა ყოჩაღი, მამა ყოჩაღი,
ოფლისღვრითა და მუდმივი ჯაფით
თავს ირჩენს მთელი ჩვენი ოჯახი,
მიწა გულუხვად იძლევა ხორბალს,
წვიმა დროულად იღვრება ციდან.
საქონელს ჰყოფნის ბალახი ქორფა,
სითბო ურმებით გამოაქვთ ტყიდან.
ტყეში ნადირი ბევრზე-ბევრია,
ხელს თუ გაანძრევ—ყველაფერია!
მამა შუბლიდან იწურავს ოფლსა,
ქალებს წუთითაც არა აქვთ მოცლა...
გრიგოლი დგება ადრიან დილით,
დედას ღამითაც არა აქვს ძილი,
მაგრამ მე მძინავს მხოლოდ, —
ჩვენ ასე ვცხოვრობთ.
ხშირად ვყოფილვართ ხეების ჩრდილში
ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად...
ხალხზე, რომელმაც არ იცის შიში —
ჩვენ გვიმღერია ერთხმად.
ვუმღერით მხედრებს და მოისართა,
ვინც ორბის ფრთებზე წამოიზარდა,
ვინც ვერ დაბრუნდა ლაშქრიდან შინა,
მაგრამ მამული გადაარჩინა.
გრიგოლი როცა შემოსძახებდა —
მისი ხმა ზეცის თაღებს აღებდა...
ხმა ზღვის ხმას ჰგავდა —
კბოდეზე შეხლილს:
„ბღაოდა გრიგალი,
სკდებოდა მეხი“.
იმ წლებში ცნობა მოვიდა ჩვენში,

ის ცნობა ხალხში გავარდა რისხვად;
ამბოდნენ: რუსეთს თურქეთი ებრძვის,
გმინვა აღმოხდა ნაპირებს ზღვისას.
შავი ზღვა ოხრავს...
ცრემლი და სისხლი
მდინარესავით კალაპოტს ეძებს...
შორით ქვემეხის ქუხილი ისმის,
ხიშტები ელვას აჩენენ ხმლებზე.
ჯერ კანტიკუნტად ისმოდა სროლა,
მერე და მერე ბრძოლა გახურდა...
თოფის ხმა ისე ისმოდა ხოლმე,
სეტყვა ურტყამდა თითქოს სახურავს.
მიწიდან კვამლი აღიძრა მაღლა,
ოჩამჩირაში გაშავდა მთვარე,
სოფელ უარჩას ელოდა წარღვნა, —
ომმა მოიცვა აფხაზთა მხარე.
ამ დროს ცხოვრება დაიწყო ჩვენთან
მხარბეჭიანმა ძია კუჩორმა...
შავი თვალები ღველფივით ენთო,
ახოვანებით მთასავით ზორბას.
თუმცაღა იმ დროს პატარა გახლდით,
ცხენზე შეჯდომაც მიჭირდა მარტოს,
მაინც ვხვდებოდი: ყოველდღე რატომ
ლესავდა ხოლმე კუჩორი მახვილს.
ყოველმა ქოხმა დათრგუნა შიში, —
სუყველა იყო მტრის მოლოდინში.
ასე ქარიშხალს ელიან ზღვაში,
ოდეს ღრუბელი ვარსკვლავებს წაშლის.
ჯერ ჩვენს სოფელში თურქი თუ არ ჩანს,
ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას,
რომ ამ ორ დღეში სოფელ უარჩას
არ დაატყდება ტყვიების წვიმა.
თურმე ცას ლოკავს ხანძრების ალი,
გააჩანაგეს სოფლები სულ მთლად...
ტყვედ მიჰყავთ თურმე კაცი და ქალი,
არ ებრალება არავინ სულთანს.
თურქნი აფხაზთა ბაღებს და სახლკარს
პირველად როდი არბევენ ახლა;

ხალხს გაახსენდა მაჰაჯირები[1],
მათი წვალება და გაჭირვება;
მოტყუებულნი თაღლითთა სიტყვით,
მოწყვეტილები საყვარელ მამულს —
მაჰაჯირები სტამბულის იქით
ესალმებოდნენ სიცოცხლეს ტანჯულს.
გვიახლოვდება თურქების ჯარი;
ცახცახებს დედა — საწყალი ქალი...
და გირგუალი შეჰყურებს ჯავრით —
როგორ ბრიალებს კერაზე ალი.
ბავშვები ხშირად ვხედავდით ხოლმე
რუს ჯარისკაცებს მიმავალს მთებში...
მძიმედ დაჭრილნი ძაბავდნენ ღონეს,
ფეხათრეულნი ვიდოდნენ ხვნეშით.
მაგრამ თანდათან ჰკარგავდნენ ძალას,
აღარ ჰყოფნიდათ საწყლებს შეძლება
და გზათა გასწვრივ ჩნდებოდა შავად
სასწრაფოდ გათხრილ საფლავთა წყება.
ლტოლვილნი ზღვიდან, ლასლასით, ხვნეშით,
ჯარისკაცები ვიდოდნენ მთებში.
გზებზე წითელი რჩებოდა კვალი;
ირგვლივ ისმოდა „უი“ და „ვაი“.
მდინარის გაღმა დესანტი ჩანდა —
გრიშა მაინც არ ჰკარგავდა იმედს:
ამბობდა ხოლმე: იანიჩართა
გავიგონებთო მალე „ვაიმეს“.
მთიდან რუსების მოსკდება ჯარი —
ზვავმა რომ იცის იმგვარად, ისე...
ზღვისკენ მოკურცხლავს იანიჩარი —
თურქეთს რუსეთი მოუგრეხს კისერს...
ამბობდა ასე სალდათი ძველი,
თან ხელს ხის ფეხზე ირტყამდა ხოლმე...
— მეც თოფზე უნდა მეკიდოს ხელი,
ვაგლახ, აღარ მაქვს ძველი ძალ-ღონე!
კოდორი... ჩვენი მჭუხარე წყალი,
აქაფებული ზვირთები მისი...
კოდორი წმინდა გრილი და ჩქარი...
კოდორი დიდი დიდების ღირსი.

[1] მ ა ჰ ა ჯ ი რ ე ბ ი — XIX საუკუნეში თურქეთში იძულებით გადასახლებული აფხაზთა ერთი ნაწილი.

ჩვენ მის ნაპირზე ვცელქობდით, ვრბოდით...
შიგ სათამაშოს ვუშვებდით ნავებს,
გვიყვარდა ხოლმე ქანება ბონდის,
მზე კოდორისა გვიწვავდა მკლავებს.
ჩვენ ხშირად ზღვაზეც დავყავდით დიდებს...
ზღვაც არცთუ ისე შორს იყო მისგან,
ვხედავდით ზვირთებს, ვეება ზვირთებს —
გვაფრთოვანებდა ხმაური ზღვისა.
და ერთ საღამოს, ძილის წინ, ტკბილად
ვფიქრობდი: — ხვალ რა სიამე მელის:
კოდორში ხომალდს ჩავუშვებ ფრთხილად —
გამოთლილს ძია გრიგოლის ხელით.
და მერე გემი არის როგორი?!
რა ბედენაა მისთვის კოდორი!
მას შეუძლია იცუროს ზღვაში!
ასე ვფიქრობდი პატარა ბავშვი.
ამ ოცნებაში დამძლია ძილმა;
სიზმარში ვნახე მზიანი დილა,
მზეზე თბებოდა მეზობლის ძაღლი,
ვარდ-ყვავილები ცვიოდა მაღლით...
ვხედავდი სიზმარს, მეძინა ტკბილად.
ჩემს გვერდით ჩემი ხომალდი იწვა;
აღარ მინდოდა რომ გამეღვიძა.
დილით კი... თუმცა მას უკან ბევრმა
განვლო სხვადასხვანაირმა წელმა,
მაგრამ აქამდე მაჩნია დაღად,
თვალებმა ჩემმა რაც იმ დღეს ნახა.
თუმცაღა ახლა ჭაღარა მფარავს,
თუმცაღა მაშინ შავი თმა მქონდა;
ის დილა მაინც მარად და მარად
ჩემს სულს დააწვა უმძიმეს ლოდად.
ჩემს გაღვიძებას ჩქარობენ დილით;
არ მეშვებიან, მანჯღრევენ ხელით...
ვჯიუტობ—მინდა განვაგრძო ძილი...
ვიღვიძებ. ირგვლივ კივილი, ცრემლი.
რაშია საქმე?! რა მოხდა ნეტავ?
ნეტავი რატომ ქვითინებს დედა?!
ფაციფუცშია გარშემო ყველა —
ვეღარ მიცვნია მშობელი კერა.
ჩვენს სახლს თურქების არტყია ალყა;

მაღალი თურქი ყეფს როგორც ძაღლი:
— ეს არემარე ჩვენია ახლა!
მოწყდით! დატოვეთ ეზო და სახლი!
არ მოიხედოთ უკან,
ვადა გაქვთ ერთი წუთი! —
გამოგვიცხადა თურქმა
და შეისწორა ქუდი.
— ჩქარა! — ღრიალებს თურქი...
რაც შეიძლება ჩქარა!
და თქვენში ვინმე თუკი
გაბედავს გვითხრას „არა“,
ის უბედური მაშინ
სულს გაამგზავრებს ცაში,
თვითონ იქცევა ნაცრად —
გავუსწორდებით მკაცრად.
— დადა! — ხმადაბლა წარმოთქვა მამამ, —
ჩვენ აქ ვშობილვართ, აქ უნდა მოვკვდეთ...
მამის ხმა შთანთქა ჯალათის ხმამა:
— ჩემი ბრძანება მოკლეა, მოკლე!
ნაბიჯით იარ! სირბილით! ჩქარა!
პასუხად მამამ მიუგო: —არა!
სულ მთლად გამხეცდა ჯალათი მხეცი,
შეჰყვირა — ცეცხლი!
ჩვენი სახლისკენ გაქანდნენ თურქნი
გაჩაღდა ცეცხლი, ავარდა შუქი;
სახლი მთლიანად მოიცვა ცეცხლმა...
მამა ჯალათებს ხელებში ეცა...
იჭექა თოფმა, იკივლა დედამ...
გრიშა დაეცა ჯალათის ფეხთან...
სახლი კი იწვის, იწვის და იწვის —
ტკაცუნებს ცეცხლში ფანჯრები ფიჭვის...
ოჰ, ხსოვნავ, ხსოვნავ წარსულთა დროთა, —
სულს საუკუნოდ აწეხართ ლოდად.
წინ გაგვირეკეს, როგორც ნახირი,
მივაბიჯებდით ჩვენ თავდახრილი...
ჩვენს უკან ჩვენი იწვოდა სახლი...
ვიდოდით დიდი ვაივაგლახით.
სუყველაფერი შთანთქა ხანძარმა;
სახლი ლამაზი, ბაღი ქებული...
ხელში გემილა შემრჩა პატარა —

ძია გრიგოლის გაკეთებული.
დამამახსოვრდა დილა ნათელი,
მზე ის-ის იყო ამოდიოდა...
ცისკარი ჩაქრა, როგორც სანთელი,
ცა მშობლიური წითლად ღვიოდა...
ვიფიქრე: ეს მზე დალახვრავს წყვდიადს —
ძალას წაართმევს ვერაგის ტყვიას:
ქვას ასროლინებს მომხდურებს კუდით,
ჩვენში დარჩება მტაცებლებს ქუდი...
ახმახი თურქი—ქუდმოგლეჯილი —
ჩაიძირება ზღვაში კენჭივით.
ბებიის ხელზე მეჭირა ხელი,
მეორე ხელში მეჭირა გემი;
უკან რჩებოდა ველები ვრცელი,
უკან რჩებოდა სამშობლო ჩემი.
მამას ფეხდაფეხ მისდევდა დედა,
მამის მარჯვენა ბღუჯავდა ბაწარს.
— უცხო მხარეში რა გველის ნეტავ?!
გულს ეკალივით ეს ფიქრი კაწრავს...
და ჩვენ მივდივართ, მივდივართ ასე —
ცოცხლად მივდივართ მოუსვლელ გზაზე...
თვალწინ მდინარე, გარშემო მტრები
ზურგს უკან ჩემი ლამაზი მთები.
ყველას სოფელზე გვრჩება თვალები,
ცრემლები გვცვივა თვალთაგან ყველას...
გვეწვის სახლები, გვეწვის ყანები,
გვეწვის გულები, გარშემო ბნელა.
მხოლოდ და მხოლოდ არ ტირის ბები;
ხელში მას ხელი უჭირავს ჩემი...
— ნუ გეშინია! — მამხნევებს ხოლმე —
მეც უკანასკნელს ვაგროვებ ღონეს;
თუმცა ვეცემი, ვსწორდები მარდად,
თან ვეკითხები: — მივდივართ სადა?
— ნუ გეშინია, დამშვიდდი, დედა!
— არ დავისვენებთ?! — კვლავ ვაძლევ კითხვას...
— ნუ გეშინია! — ის კვლავ ამ სიტყვას
მეუბნება და მივდივართ ასე,
ცოცხლად მივდივართ მოუსვლელ გზაზე.
მივდივართ, თანაც ბავშვური ფიქრით
ვფიქრობ: — რაც უნდა, ის იყოს იქით, —

მე ვიდრე მკერდში ეს გული მიცემს,
ჩემს პატარა გემს არავის მივცემ.
ასე მივდივართ ვიწრო ბილიკით,
მიგვაჩქარებენ კოდორის გასწვრივ;
სამშობლო გრჩება მთათა პირიქით,
ზღვის უსაზღვრობა გვეშლება თვალწინ.
ღელავენ თურქნი, ჩქარობენ თურქნი;
მთლად აგვიჭრელეს ჯოხებით ზურგნი,
იხედებიან დროდადრო უკან, —
თითქოსდა უარჩა ჩვენსავით უყვართ.
თუმცაღა სევდას მოეცვა სული,
არ მიდრკებოდა მე მაინც გული,
მხოლოდ იმაზე ვწუხდი,
რომ ჩემი მთა—ზურმუხტის
უკან მრჩებოდა... მე კი
საკუთარივე ფეხით
მივაბიჯებდი სადღაც —
მაიძულებდნენ რადგან.
მაგრამ უეცრად მდინარის გალმა
იქუხა თოფმა—მახლობლად სკურჩის;
ბედის ბორბალი დაბრუნდა წალმა,
შემოანათა იმედმა გულში.
ჩემს ფეხქვეშ უკვე ხრაშუნებს ქვიშა...
ხომალდმა გაშლილ ზღვაში შესცურა...
თურქნი ერთბაშად მოიცვა შიშმა, —
გვიახლოვდება რუსული „ურა“.
არ ჩაუცვივდეთ ხელშიო რუსებს —
მტერმა მოჰკურცხლა სისწრაფით ქარის
და ჩვენ მარტოკა აღმოვჩნდით უცებ
ვრცელი სილურჯის წინაშე მდგარი.
ნუთუ გადავრჩით! — არ სჯერა მამას...
იქნებ თვალები ატყუებს აფხაზს,
იქნებ ყურები ატყუებს აფხაზს,
ო, ნუთუ მართლა, ო, ნუთუ მართლა,
იძლია თურქი?! რას ვხედავ ამას?!
სინამდვილეა! იხილოს თვალმა!
სინამდვილეა! ისმინოს ყურმა;
გარშემო რუსებს ვერ ხედავ განა?!
არ გესმის განა რუსული „ურა“.
ვიდექით უხმოდ. ვხარობდით მხოლოდ...

ვიდექით უხმოდ. მამამ თქვა ბოლოს:
— აწი, მე მგონი აღარა გვიშავს! —
კვლავინდებურად ავანთებ კერას...
ოღონდ ეს კია... კუჩორს და გრიშას
ვეღარ აღვადგენ, ვუშველი ვერას!
ცა მშობლიური დაგვნათის თავზე:
გადაგვარჩინეს რუსებმა ასე.
კვლავინდებურად მინთია კერა,
შიგ ძველებურად ღვივის ღადარი,
სახლში კვლავ ისმის გრიშას სიმღერა,
სახლი მწვანეში არის კვლავ მდგარი.
არ გაგვითენდა დღე ისევ შავად,
როგორც ეს გულქვა სულთანსა სურდა...
ჩემი კერიდან ასული კვამლი
დღესაც ხასიათს უფუჭებს სულთანს.
მიეზღო ვერაგს, მიღვივის კერა,
დრომ განკურნება შეიძლო წყლულთა,
ჯერარნახულად სოფელი ჰყვავის,
სახლებში უხვობს სითბო და შუქი,
ჩემი კერიდან ამოდის კვამლი
და თავის სითბოს ის იმათ ჩუქნის,
ვინც სწორი გზიდან არასდროს უხვევს
ვინც ფართო მასებს თავის გულს უღებს;
ვისაც მძლე დროის გუგუნი ესმის,
ვისაც მამულში ღრმად უდგას ფესვი.
მიღვივის კერა, ბრიალებს ალი...
ორგულს და ვერაგს დაუდგა თვალი.
ეს ჩემი კერა იმ მწარე წლებში
გათელა მტერმა—ჩამიქრო ცეცხლი.
მაგრამ კეთილმა მეგობრის ხელმა
კვლავ ამისუნთქა ჩამქრალი კერა.
ისუნთქე, კერავ! გაათბე ყველა —
ვინც სწორი გზიდან არასდროს უხვევს,
ვინც ფართო მასებს თავის გულს უღებს,
ვისაც მძლე დროის გუგუნი ესმის,
ვისაც მამულში ღრმად უდგას ფესვი.

1954

კამაჯი[1]

(რომანი)

I

დილაადრიან ალიასი თორყანთან მივიდა. თორყანი ამდგარი იყო და საჩქაროდ იცვამდა — უნდოდა პირუტყვი მზის ამოსვლამდე გაერეკა მინდვრად.

— დილა მშვიდობისა! — თქვა დერეფანში შესულმა ალიასმა და ღია კართან შეჩერდა.

— დილა მშვიდობისა! — უპასუხა თორყანმა და იგი მაშინვე სტუმრისაკენ გაემართა, თან გზადაგზა მოკლე კალთებიან ჩოხის ღილ-კილოებს იბნევდა, — როგორაა საქმე? შინ ხომ ყველაფერი რიგზეა, ხომ კარგად ხართ ყველანი?

— ყველანი კარგად ვართ... მხოლოდ... — ალიასს ენა აუბორძიკდა, — გუშინ საღამოდანვე ქალებმა საოცარი ფუსფუსი დაიწყეს. ვეღარ გავძელი, როგორც კი ინათა, სახლიდან გამოვიქეცი.

— ვინ ქალები არიან, რისთვის შეყრილან? — ჰკითხა თორყანმა და თავი რუხი ჩაბალახით წაიკრა.

ამ დროს ფანჯარაში გამოიხედა მოხუცმა ქალმა. თეთრთმიან თავზე თეთრი მანდილი ეხურა. ეს იყო თორყანის დედა შარიფა. მან, როგორც კი მოჰკრა ყური შვილისა და სტუმრის ლაპარაკს, მყისვე წამოიძახა:

— ესმას უთუოდ ძეობის ჟამი დაუდგა! ჯერ კიდევ გუშინ ჩიოდა, მუცელი მტკივაო.

— შეიძლება მართლაც იმიტომ მოგროვდნენ ქალები? — თქვა თორყანმა ღიმილით, მერე ძირს ჩავიდა და საჩეხიდან პირუტყვი გამოუშვა. უხვად ცვარდაფრქვეულ ბალახს საქონელმა ხარბად დაუწყო ჭამა.

— ეს ბალახი თქვენთვის როდი მინდა! — დაიყვირა თორყანმა და პირუტყვი მდინარისაკენ გადენა.

მთების მწვერვალებიდან მზემ ირიბად გადმოიხედა. მისმა სხივებმა ძვირფასი ქვებივით ააკიაფეს ახლად შეფოთლილ ტოტებსა და ბალახებზე დაყრილი ნამის მსხვილი მარცვლები. ერთი ცვარი თუ თანაბარ თეთრ შუქს გამოცემდა, მეორე თვალის მომჭრელად ციაგებდა, ხოლო მესამე ხან ოქროსფერ, ხან მოწითალო ანარეკლს პირდაპირ სახეში აფრქვევდა თორყანს.

თორყანმა კარგად იცოდა, რომ ცვარი ცვარი იყო და მეტი არაფერი, მაგრამ მათმა ბრწყინვალებამ ისე მოსტაცა თვალი, რომ ერთ წუთს უნებლიედ დაიჯერა — ნამდვილად სასწაულის მოწმე ვარო. მყისვე

[1] იბეჭდება შემოკლებით.

მივიდა ხესთან, ფოთლებს ფრთხილად შეეხო, მაგრამ მკვრივი ალმასე-ბის ნაცვლად თითებზე მხოლოდ ცივი სისველე იგრძნო.

თორყანს გაეღიმა.

ამ დროს თორყანმა მდინარის გაღმა, ალიასის სახლის აივანზე მე-ზობელი ქალი, სელჰა, დაინახა. ქალმა ხელების შლით მას რაღაცა და-უძახა. თორყანმა მხოლოდ ერთი სიტყვა გაარჩია: „მოგვემატა...“ და იგიც დაუფიქრებლად გაეხუმრა:

— ბიჭია თუ გოგო?

კაკლის ხის ქვეშ მოკალათებული დიდი ნაცრისფერი ძაღლი თორ-ყანის ხმაზე ერთბაშად ზეზე წამოიჭრა და ყეფა ატეხა.

შორიახლოს მსხლის ტოტზე შაშვი იჯდა. იგი მთელი ხმით გალობ-და. მის სიმღერას მდინარის გაღმა მეორე მგალობელი შაშვი იმეორებ-და. შაშვების ხმა სიხარულით იყო სავსე. მათ უხაროდათ, რომ ცივ ზამთარს გადაურჩნენ და ახლა მცხუნვარე მზის ქვეშ თავისუფლად შეეძლოთ ეფრინათ.

ძაღლის ყეფა, შაშვების გალობა, სხვა ჩიტების ჟღურტული უერთ-დებოდა გაზაფხულის გუგუნს და თორყანმა კარგად ვერც ახლა გაი-გონა სელჰას სიტყვები, მაგრამ რატომღაც დარწმუნდა, რომ ესმას ვაჟი შეეძინა.

I I

— ლხინი გმართებს, ლხინი! ესმას ვაჟი ეყოლა! — შესძახა თორ-ყანმა ალიასს, ოთახში შეირბინა და ეზოში თოფი გამოიტანა, — იმრავ-ლოს ჩვენმა მოდგმამ, — ხმამაღლა, რაღაც სასოებით დაიძახა მან, შე-ყენებული ჩახმახი ერთბაშად გამოსხლიტა.

უდარდელად მგალობელმა შაშვმა ერთი შეიფრთხიალა და ტყისა-კენ გაფრინდა.

ამ დღეს თორყანის უმცროსი ძმა, ქუაბლუხი, შეუძლოდ გრძნობდა თავს. მას გაღაწყვეტილი ჰქონდა ლოგინიდან არ ამდგარიყო, მაგრამ როცა სასიხარულო ამბავი გაიგო, ვეღარ მოითმინა, მაშინვე წამოხტა, აიღო თავისი თოფი და იგიც ეზოში გავიდა.

— ღმერთმა ინებოს ჩვენი მოდგმის გამრავლება! — ამ სიტყვებით ქუაბლუხმაც გაისროლა თოფი.

მოვიდა მეზობელი ქისქინჯიც. ძმები, თორყანი და ქუაბლუხი ქის-ქინჯთან ერთად ალიასს გარს შემოეხვივნენ და ძალას ატანდნენ — თოფი მასაც გაესროლა.

— ეს როგორ შეიძლება, — ეწინააღმდეგებოდა მოკეთეებს ალია-სი, — თქვენ უკვე გაისროლეთ, ახლა მეც მაიძულებთ დავცალო თოფი, როცა ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით: ქალია თუ ვაჟი!

შარიფა ახლა კარს მოსდგომოდა. ალიასის უკანასკნელი სიტყვები რომ გაიგონა, წყნარად მიმართა მას:

— მერე რა, დე, იყოს ქალი, რა უშავს! ხომ გაგიგონია: „ჯობია გყავდეს ერთი კარგი ქალიშვილი, ვიდრე უხეირო ორი ვაჟი“. ეს მართალია. ჩვენი წინაპრები ბრძენები იყვნენ, მაგრამ როცა წესად შემოიღეს თოფი მარტო ვაჟის დაბადებისას გაესროლათ, არ მოიქცნენ კარგად.

— მამაჩემისაგან გამიგონია, რომ ძველად თოფს ისროდნენ არა მარტო ვაჟის დაბადებისას, — თქვა თორყანმა, — არამედ ვაჟის დაქორწინების დროსაც და მაშინაც, როცა იგი კვდებოდა. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში აღარ ხვდებიან თოფის სროლით კაცის სიკვდილს. ასე ჯობია. ამის ნაცვლად ახლა ჩვენ დავაწესოთ თოფის სროლა ქალიშვილის დაბადების გამოც.

თოფის სროლის ხმაზე შეგროვილი მეზობლები იცინოდნენ და ხუმრობდნენ. ალიასი რატომღაც დუმდა.

ბავშვის დაბადების ამბავი მთელ სოფელს მოედო. მალე წყალს გაღმა მცხოვრებმა ალიასის ნათესავებმაც ატეხეს თოფის სროლა.

გზის ყურეში მთვლემარე ძაღლები წამოხტნენ და გააფთრებული ყეფით ზოგი ხევისაკენ გაიქცა, სადაც სოფელზე თავდასხმის მოლოდინში მხეცებმა იციან თავის შეფარება, ზოგი იმ ადგილს მიაწყდა, საიდანაც ყველაზე უფრო ხშირად იტაცებს წიწილას ქორი.

ცოტახნის შემდეგ დაღლილი, ენაგადმოგდებული ძაღლები უკანვე დაბრუნდნენ.

სიმღერით, სროლით, მხიარული შეძახილებით შეხვდა ღღეს მზის ამოსვლას სოფელი.

მეზობლებმა გადაწყვიტეს, რომ ისეთი სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად, როგორიც ვაჟის დაბადებაა, ალიასს ლხინი უნდა გაემართა. ვაჟის მამას ისინი გარს შემოეხვივნენ და მანამ არ მოეშვნენ, ვიდრე პირობა არ დაადებინეს.

ამავე დროს, ალიასის მეგობრებმა და ახლო მეზობლებმა — ხუმარა ჰაზარათმა და ჰარიხანმა დაიწყეს ვაჟისათვის შესაფერი სახელის შერჩევა

III

მამაკაცებმა ჩამოთვალეს მრავალი სახელი, მაგრამ ვერც ერთზე ვერ შეაჩერეს გულისყური.

— დაიცადეთ, რა გეჩქარებათ სახელის დარქმევა, — იმეორებდა ალიასი, — ჩვენ ხომ ჯერ კიდევ არ ვიცით: ვაჟია თუ ქალი?!

— ეგ არაფერია, — თქვა ოზამათმა, — ისეთ სახელს გამოვნახავთ,

რომელიც შესაფერი იქნება როგორც ვაჟისათვის, ისე ქალისათვის. მაგალითად, მოდი, ახალდაბადებულს დავარქვათ კამაჭიჭი.

— არა, უმჯობესი იქნება გუაგუა დავუძახოთ, — ჩაერია ბჭობაში ჰაზარათი.

ბჭობა გაცხოველდა. ბოლოს მამაკაცებმა გადაწყვიტეს თათბირში ქალებიც ჩაერიათ.

მართლაც, როგორ შეიძლება ქალების რჩევის გარეშე ბავშვისათვის კარგი სახელის გამოძებნა?

ასეც მოიქცნენ.

— ორივე ეგ სახელი, — განაცხადა თაკუნამ, — გამოდგება, როგორც ვაჟისათვის, ისე ქალისათვის, მაგრამ გუაგუა ცოტა უხალისოა მოსასმენად. უფრო აჯობებს ბავშვს კამაჭიჭი დავარქვათ.

თორყანი და ოზამათი დაეთანხმნენ.

— სახელი კამაჭიჭი კეთილხმოვანია, ცინცხალი, როგორც კარგი აფხაზური ღვინო „კაჭიჭ“ — დაურთო თორყანმა და მას ყველა დაეთანხმა.

ორ ქალს, მკისა და ჰარიხანს, დაავალეს ალიასის სახლში წასვლა, გაეგოთ, ვაჟი ეყოლა თუ ქალი ესმას, აგრეთვე მელოგინისათვის მიელოცათ ბავშვის შეძენა და თან ეთქვათ, თორყანთან შეგროვილმა მეზობლებმა და მეგობრებმა როგორი სახელიც შეურჩიეს ახლად გაჩენილს.

მოციქულები ნელა, დინჯად დაადგნენ გზას.

ხუმარა ჰაზარათმა თავის ორკაპა ჯოხს ცალი ხელი დააყრდნო, მეორე ხელით თვალები მოიჩრდილა და ჭიშკართან მისულ ქალებს ხმამაღლა გასძახა:

— ისე მიდიხართ, თითქოს მართლა აჯინი და კუაჯინი იყვეთ. დაიცადეთ, რამდენიმე სიტყვა მინდა გითხრათ!

მკიდი და ჰარიხანი შედგნენ.

— თუ ესმას ვაჟი ჰყავს, თქვენ ასე მიულოცეთ. „დე, იყოს შენი ვაჟი ისეთი შეუპოვარი გმირი, როგორიც იყო ნაფჭა კიაგუა[1], უებრო ცხენოსანი ღბას კოღონიასავით[2], მხიარული და ენამოსწრებული, ვითარცა ჩაგუ[3].

აქ წინ წადგა თაკუნა და თავსაფრის სწორებით დაუმატა:

— თუ ესმას ქალიშვილი შეძენია, აქ შეყრილი ქალების სახელით მიულოცეთ და უთხარით: „დე, შენი ქალიშვილი ისეთი ლამაზი იყოს-

---

[1] აფხაზური საისტორიო-საგმირო სიმღერების პერსონაჟია.

[2] ცნობილი აფხაზი პოეტის იუა კოღონიას მამა, უებრო ცხენოსანი.

[3] ჩაცბა ჩაგუ — სახელგანთქმული სახალხო მთქმელი იყო აფხაზეთში.

თქო, როგორიც იყო ყაიმათხან აძინის ასული, რომ მასზე მთელ აფხაზეთში მღეროდნენ სიმღერებს“.

მკიდი და ჰარიხანი გზას გაუდგნენ.

როცა ისინი ალიასის ეზოში შევიდნენ, სტუმრებს გამოეგებათ მეზობელი.

— რა ჰყავს ესმას? — მოუთმენლად ჰკითხა მას ორივემ, — ვაჟი თუ ქალი?

— ქალი! — იყო პასუხი.

ამ ამბავმა ისინი ცოტა დაამწუხრა, მაგრამ მალე გაუარათ წყენამ, რადგან გაახსენდათ შარიფას სიტყვები — ჯობია გყავდეს ერთი კარგი ქალიშვილი, ვიდრე ორი ცუდი ვაჟიო.

ქალები მხიარული სახით შევიდნენ შინ.

მშობიარობით წამებაგამოვლილი ესმა ძირს გაშლილ ლოგინში იწვა. იქვე ისხდნენ მთვლემარე ქალები, რომლებმაც მთელი ღამე ესმას მოელაში გაატარეს.

— საყვარელო ესმა! — მიმართა ჰარიხანმა, მოგილოცავთ მშვიდობით გადარჩენას და ქალიშვილის შეძენას. მთელი შენი მეზობლებისა და კეთილების სურვილია ახალშობილს ერქვას კამაჭიჭი, რადგან ყველა დარწმუნებულია, რომ იგი იქნება ჩვენი მოდგმის მშვენება.

სტუმრების ხმაურზე მთვლემარე ქალებმა მაშინვე გაახილეს უძილობისაგან დაღლილი თვალები. ისინი თან ამთქნარებდნენ, თანაც იღიმებოდნენ.

მათ ძლიერ მოეწონათ კეთილხმოვანი სახელი. გამოფხიზლებულებმა სტუმრებს დაუწყეს გამოკითხვა, თუ ვინ იღებდა ბჭობაში მონაწილეობას და ვისი წინადადება იყო ბავშვისათვის კამაჭიჭის დარქმევა. რაფიდამაც კი, რომელიც ყველაზე უფრო დაღლილი იყო, ფართოდ გაახილა მინაბული თვალები და გამხიარულდა.

სახლში მალე ისეთი ხმაური შეიქნა, თითქოს იქ მთელი სოფლის ქალები ყოფილიყვნენ შეგროვილნი.

დამხდურები განსაკუთრებით გააკვირვა ასეთი სახელის შერჩევამ, რომელიც შეიძლებოდა დარქმეოდა ქალსაც და ვაჟსაც.

— ეს უბრალო ამბავი არაა, — თქვა რაფიდამ, — ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს დაბადებული ბავშვი არა მარტო ჩვენთვის, ქალებისათვის, იქნება საამაყო, არამედ მთელი ქვეყნისათვის. უთუოდ იგი არაფერში არ დაუგდებს ცალს ვაჟკაცს. აი, ნახავთ, თუ ასე არ მოხდება.

— მართალია, უბრალო ამბავს არ ჰგავს,—დაუდასტურა ჰარიხანამ, თან ბაგეზე თითები გადაისვა, — ჩანს ბავშვი დაიბადა არაჩვეულებრივ დღეს. მაშასადამე, მისი სიტყვა და საქმე საარაკოდ ექნება მთელ ხალხს, — დაასკვნა მან და დაღლილობისაგან დამძიმებული თავი ხელებს დააყრდნო.

ყველანი შეთანხმდნენ იმაში, რომ ბავშვს უთუოდ არაჩვეულებრივი ბედი დაჰყვა. ერთხმად მოიწონეს მისთვის გამორჩეული სახელი და იქვე დანიშნეს დრო, როცა ალიასს უნდა გადაეხადა სადილი კამაჭიჭის დაბადების დღის აღსანიშნავად.

IV

ალიასის სახლი იდგა მდინარის მეორე მხარეს, გორაკზე, თორყანის სახლი კი მის პირდაპირ, გამოღმა გორაკზე. თორყანის სახლის დერეფნიდან გარკვევით ჩანდა ალიასის ბაღი, მჭიდროდ გაშენებული ხეხილით, რომელიც სახლის ქვედა ნაწილს ფარავდა. ამიტომ ერთი შეხედვით ადამიანს ეგონებოდა, რომ ალიასის ქოხი მიწაზე კი არ იდგა, არამედ მწვანე ხეებსა და ბუჩქებზე.

ალიასის გარემოდან კი თორყანის სახლი კლდეზე მიშენებულ ბუდეს ჰგავდა.

მართალია, ორივე ეს სახლი მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე იდგა, მაგრამ მათ შორის პირდაპირი მანძილი მეტად მცირე იყო.

მშობიარობის შემდეგ ესმა ისე სუსტად გრძნობდა თავს, რომ კარგახანს მოუხდა წოლა. ამიტომ ალიასმა ლხინის გამართვა ჯერჯერობით გადადო.

სახლში ესმა ერთადერთი ქალი იყო. ოჯახს მის გარდა არავინ ჰყავდა მიმხედავი. ამის გამო იგი იძულებული გახდა სრულ გამომრთელებამდე ამდგარიყო. ერთხელ მან აიღო მომცრო კოკა და წავიდა წყაროზე, რომელიც ხევში მიწანწკარებდა. ბინდდებოდა. ვაზებით გაბარდულ ხეებს ქვეშ კი თითქმის სავსებით ბნელოდა. შემკრთალი ესმა ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ნაცნობ ბილიკზე. განსაკუთრებით შიშს გვრიდა ჩაბნელებული ხეობა.

როცა შინ დაბრუნდა და წყლით სავსე კოკა მხრიდან გადმოიღო, წელის მწვავე ტკივილი იგრძნო და მაშინვე კვნესით დაწვა.

ტკივილს თანდათან უმატებდა. მეორე დღეს ისე გაუძლიერდა, რომ განძრევაც ადარ შეეძლო. პირველ ხანებში განსაკუთრებული მნიშვნელობა არავის მიუცია ესმას ავადმყოფობისათვის. ყველას ეგონა, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ადგებოდა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, ახალმოლოგინებული ქალი უფროდაუფრო ცუდად ხდებოდა.

ალიასი იძულებული გახდა მიემართა მეზობელ რაფიდასათვის, რათა მას ხანდახან ყური ეგდო ბავშვისათვის.

რაფიდა იყო მხნე, გულკეთილი და გამრჯე ქალი. როგორც კი თავის ბავშვს აკვანში ჩააწვენდა, უფროს შვილს ჩააბარებდა ოჯახს, და მაშინვე გაეშურებოდა ესმასაკენ. რაფიდა თვალის დახამხამებაში

დაგვიდა სახლს, დაამზადებდა იჯრას, მოუვლიდა როგორც ბავშვს, ისე ავადმყოფს, და მერე ისევ თავის ოჯახს მიაკითხავდა.

რაფიდას გარდა, სხვა მეზობელი ქალებიც არ ივიწყებდნენ ესმას. თითოეული მათგანი როგორც შეეძლო ისე ეხმარებოდა.

ხანდახან მეზობლები აკვანში ჩაკრულ ბავშვს ახდიდნენ პირსაბურავს და მისი სილამაზით გაოცებულნი ამბობდნენ:

— შეხედე, შეხედე, როგორი მოშვილდული წარბები აქვს! როგორი გრძელი წამწამები! ახლა ცხვირი ნახეთ, ტუჩები! ნამდვილად მზეთუნახავი გვეყოლება.

მეზობელი ქალები ბავშვს დიდი მზრუნველობით უვლიდნენ. ზოგი მათგანი თვითონ აწოვებდა ძუძუს.

ერთი სიტყვით, ბავშვს არაფერში ეტყობოდა უდედობა.

აგერ თვე გადიოდა და ესმას უკეთესობა არ ეტყობოდა.

ყოველ საღამოს თავს იყრიდნენ მეზობლის ქალები ალიასის სახლში. ხანდახან მამაკაცებიც მოდიოდნენ. ქალები ღამე მორიგეობით რჩებოდნენ ავადმყოფთან.

გულშემატკივარი სტუმრებისათვის ალიასი ხან თხას დაკლავდა, ხან ცხვარს.

ასეთი ხშირი სტუმრობა ესმას ჯანმრთელობას კიდევ უფრო აუარესებდა. გარეშე ადამიანების ხშირი მისვლა-მოსვლა და ხმაური ძალზე ღლიდა ისედაც დასუსტებულ ქალს.

ერთ საღამოს მეზობლის ქალები ავადმყოფის მოშორებით ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.

— რას ლაპარაკობთ აგრე საიდუმლოდ? — ჰკითხა მათ თორყანის დედამ და რაფიდას გვერდით დაჯდა.

— ჩვენ საკუტის ცოლზე ვსაუბრობთ. იგი დღეს, მთლად ძაძებით მოსილი, ცხენით სადღაც მიეშურებოდა, წინ კი უცნობი კაცი მიუძღოდა. ნეტავი ხომ არავინ მოკვდა? — იკითხა ერთმა ქალმა. — როგორ, ნუთუ არ იცით, რა უბედურება დაატყდა საცოდავს? მოკვდა მის მიერ აღზრდილი ამარშანი, — თქვა მკიდმა.

— რომელი ამარშანი?

— რომელი და ხაბუგი.

ავადმყოფმა კვნესა დაიწყო. ქალებმა მუსაიფი შეწყვიტეს და ავადმყოფის პირდაპირ დასხდნენ.

როცა ესმას ტკივილები მოუვლიდა, რაფიდა ბავშვს აკვნიდან ამოიყვანდა და დედას მკლავებზე დაუწვენდა, რომ ამით დაემშვიდებინა ჩნეული. მართლაც, ესმას ტკივილები თითქოს უყუჩდებოდა. იგი თვალს არ აშორებდა ბავშვს და კვნესას წყვეტდა. როცა ბავშვი თავის პატარა ხელს ტუჩებთან მიიტანდა, ან სატირლად შეიჭმუხნებოდა, დე-

დას სიხარულით სახე გაებადრებოდა, მასთან ერთად იქ მყოფთაც სიხარული იპყრობდა.

ერთხელ თორყანის დედამ, შარიფამ, ქალებს უთხრა:

— ჩვენ ყველას იმედი გვქონდა, ესმა დღეს თუ ხვალ გამოჯანსაღდებოდა, მაგრამ ხომ ხედავთ, ქალი სანთელივით დნება, საშველი კი არაა, თქმა არ უნდა, თვალნაკრავია ნამდვილად.

— მეც ეგრე მგონია, — დაუდასტურა ერთ-ერთმა მეზობელმა.

— წამალი ხელთ გვქონდა, მაგრამ თავის დროზე ვერ მოვიფიქრეთ გვეხმარა იგი, — თქვა რაფიდამ, — როცა ბავშვი შვა, რამდენიმე ხნის მერე უნდა წაგვეყვანა წყაროზე და მოგველოცა. მანამდე არამც და არამც არ უნდა გასულიყო გარეთ. ესმამ კი ამ წესს გადაუხვია და მარტო წავიდა წყაროზე, ისიც შებინდებისას. ჰოდა, გახდებოდა ავად, აბა, რა მოუვიდოდა! რა გაეწყობა, ახლა საჭიროა უკმურის წინააღმდეგ გამოვნახოთ რაიმე საშუალება.

ეს ბევრს ეჭაშნიკა. მართლაც, უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე, ყველას სჯეროდა, რომ ხშირი ხეებით დაბურული ხევი სავსე იყო ალქაჯებით. მაგრამ ქალებმა რაფიდას არ დაუჯერეს, რადგან ესმა უფრო გათვალული ეგონათ, ვიდრე ალისაგან მოჯადოებული.

— ვიღაც ღაზოთვალებიანმა წაიწყმიდა სული. შეეხარბა, ქალი რომ ასე იოლად მორჩა და ასეთი პირმშვენიერი ბავშვი შეეძინა, — დაბეჯითებით თქვა ერთმა მათგანმა.

— ნუთუ შეიძლება ადამიანი ასე მძიმედ გახდეს ავად ავი თვალისაგან? — ოდნავ დამცინავად იკითხა ხანქამ.

— ძლიერი გათვალვისაგან შეიძლება ადამიანს ავადმყოფობაზე მეტი რამ დაემართოს, — უპასუხა ჰარიხანამ, — შენ, ჩემო კარგო, ცხოვრობდი და იზრდებოდი ქალაქში, ამიტომ არ გჯერა მავნე ადამიანების არსებობა და ჩვენს ადათსაც ალმაცერად უცქერი, მაგრამ შენ ცდები.

ქალებმა დაასკვნეს, რომ საჭიროა უთუოდ მოიწვიონ მოხუცი ქალი სელმა, რომელმაც, მათი აზრით, კარგად იცოდა გათვალვის წამლობა.

ალიასსაც ეგონა, ცოლის ავადმყოფობა ავი თვალის მიზეზი იყო და ამიტომ დაუყოვნებლივ გაგზავნა კაცი მარჩიელ სელმას მოსაყვანად.

(V—XI თავებში მოთხრობილია, რომ სელმას შელოცვებმა ვერ უშველეს ესმას, ვერც მკითხავ გიდის „მკურნალობამ" გასჭრა. ბოლოს ალიასმა გადაწყვიტა ოჩამჩირიდან მოეყვანა ექიმი, რომელმაც მართლაც განკურნა ავადმყოფი. ამასობაში გავიდა ერთი წელი. ნათესავებისა და მეზობლების რჩევით, ალიასმა გადაიხადა ბავშვის დაბადების წლისთავი, სადაც მოილხინა მთელმა სოფელმა.

ერთხელ, ალიასთან ღამით მოვიდნენ ყაჩაღები და ცხენი წაიყვანეს. მართალია, ყაჩაღები მთავრობამ დაიჭირა, მაგრამ ალიასსაც ბრალი დასდეს მათთან მეგობრო-

ბაში და უდანაშაულო ადამიანი დააპატიმრეს. ოჯახმა მწარედ განიცადა მარჩენალის მოშორება. გაუჭირდათ ცხოვრება ესმასა და კამაჭიჭს, მაგრამ მალე ალიასიც გაათავისუფლეს და ოჯახს დაუბრუნდა სიხარული).

XII

ერთხელ ალიასი მეზობლებში სტუმრობის შემდეგ შინ ბრუნდებოდა. ნელა მოდიოდა. სახეზე ღიმილი არ შორდებოდა. ხანდახან წვერზე ხელს ჩამოისვამდა და საკმაოდ თეთრგამორეულ ულვაშებს გადაიგრეხდა.

ზოგჯერ მოჭუტული თვალებით გადახრილ მზეს გახედავდა. დღის მნათობი გავარვარებულ ბურთს ჰგავდა. იგი თანდათან უფრო ბრწყინვალე ხდებოდა. მისი ელვარე შუქი უხვად ეფრქვეოდა ცამდე აწვდილ მთებს და ქვევით ლურჯად მოლივლივე ზღვას.

მზის ნათელი ეფრქვეოდა გზაზე მხიარულად მიმავალ ალიასსაც, რომელიც მზისაკენ სახე მიშვერილი გრძნობდა როგორ ენთებოდა ღაწვები, როგორ ეღვრებოდა მთელ სხეულში სითბო და უსაზღვრო ნეტარებას განიცდიდა.

მზის სხივები თვალისმომჭრელად ციაგებდნენ ალიასის მოოქროვილ ხანჯალსა და ზარნიშებით გაწყობილ ქამარზე.

ალიასი თხელი კაცი იყო, ტანმორჩილი. მაგრამ ახლა ისე ეგონა, თითქოს შეეძლო ცას მიწვდომოდა ხელით. სიხარულით გაჟღენთილი იყო არა მარტო მთელი მისი არსება, არამედ მისი ჟღალი ჩოხაც.

როცა იგი თავის სახლის დერეფანში შეავიდა, მზეც სწრაფად დაეშვა თვალსაწიერამდე და წითლად შეღება ზღვაზე დაყრდნობილი ცის კიდური.

— ისეთი სახე გაქვს, თითქოს კარგი რამ ამბავი გაგეგოს! — შეეგება ესმა.

— ცუდი ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ამაზე მერმე. ახლა ის მითხარი — კამაჭიჭი სადაა?

— მდინარეზე ცხენი წაიყვანა.

— რატომ გაუშვი. ხომ იცი, ის ცხენი ჯერ მეც არ მყავს კარგად დაურვებული. კამაჭიჭი კი, ალბათ, მას ველზე დააჯირითებს. რომ გადმოაგდოს?

— ნუ გეშინია, შენზე ნაკლებ არ იცის მან ფიცხი ცხენის მოთოკვა, — შეეცადა ესმა ქმრის დამშვიდებას, — არც ისე პატარაა, შენ რომ გგონია.

— ბიჭივით უყვარს ცხენზე ჯდომა. ქაჯია ნამდვილი, — ღიმილით თქვა ალიასმა.

— სროლაც ბიჭებზე უფრო ემარჯვება. ასეთია და რა ვუყოთ. ვა-

ეის მაგივრობა რომ გაგიწიოს, ცხენზე ჯდომაც უნდა იცოდეს ღა თოფიარაღის მოხმარაც! რაღა გაწუხებს, არ ვიცი!

— შენ ჩემზე უფრო მოგწონს, მგონი, მისი ვაჟური ქცევა,—ალერსით უთხრა ცოლს ალიასმა.

— რა სასიხარულო ამბავი გაიგე, იმას რატომ არ იტყვი?

— ჰო, მართლა! გახსოვს, სოსლანის შვილის მაცის ქორწილში თავისი ცეკვით როგორ გააკვირვა ყველანი ჩვენმა კამაჭიჭმა. მაშინ ბევრმა მითხრა, ასეთ უნარიან და გონიერ ბავშვს რატომ სკოლაში არ აძლევო! დღეს კი, როცა ქუაბლუხთან ვიყავი, იქ დამხვდა ქუაბლუხის დედის აღზრდილი მიხა, ქისქინჯის შვილი, თურმე გამოსამშვიდობებლად მოსულიყო, რადგან ამ დღეებში სოხუმში უპირებს მამამისი სკოლაში მიბარებას. მოვიდა ქისქინჯიც. ვკითხე, რა არის საჭირო სკოლაში ბავშვის მისაბარებლად-მეთქი. მღვდლის მოწმობა ბავშვის დაბადების შესახებ და მეტი არაფერიო. თუმცაო, დაატანა თან, გოგოს სკოლაში მიღება უფრო ჭირსო. გადავწყვიტე, ხვალვე გამოვართვა მღვდელს მოწმობა და ზეგ ან მაზეგ ჩვენი კამაჭიჭი სოხუმში წავიყვანო. რას იტყვი შენ?

— ამაზე კარგი რა იქნება, მაგრამ, ვიცი, ცდა ამაოდ ჩაგივლის. ქისქინჯი აზნაურია, მის შვილს უთუოდ მიიღებენ, მაგრამ ჩვენს კამაჭიჭს ვინ გაუღებს სკოლის კარებს. ქისქინჯის ოდენა შენ სად შეგიძლია!

— არა, მაინც უნდა ვცადო. ვნახოთ, იქნება ბედმა გაუღიმოს ჩვენს ქალ-ბიჭას.

ესმას აღარაფერი უთქვამს. ის დარწმუნებული იყო, რომ ალიასის ოცნება მეზობლებში ქეიფის ნაყოფს წარმოადგენდა. მას შეუძლებლად მიაჩნდა ერთადერთი შვილის ასე შორს გაგზავნა. როცა ღვინის ძალა გაუვლიდა, თვითონ ალიასი პირველი აიღებდა ხელს თავის განზრახვაზე.

მშობლები ამ საუბარში რომ იყვნენ, კამაჭიჭმა ეზოში ჩიტივით შემოაფრინა ცხენი, დერეფანთან ერთბაშად შეაყენა, მყისვე გადმოხტა ძირს, წინ გადმოცვენილი დალალების სწორებით მამისაკენ გაიქცა და მხურვალედ აკოცა საყვარელ მშობელს.

— ახ, შე ახტაჯანა, ასე ასრულებ მამის დარიგებას?! გადმოვარდები ცხენიდან და მაშინ მიხვდები, რას ნიშნავს მშობლების ურჩობა,— საყვედურით უთხრა დედამ.

მამას განზრახული ჰქონდა სასტიკად გაეკიცხა ქალიშვილი დაუურვებელი ცხენით ჯირითობისათვის, მაგრამ როგორც კი დაინახა კამაჭიჭის ლამაზი სახე, გულისწყრომამ მაშინვე გადაუარა.

—როცა გვეალერსები, ნამდვილი გოგო ხარ, ნაზი და მორჩილი, მაგრამ საკმარისია დაინახო შეკაზმული ცხენი, ერთბაშად თავნება ბი-

ჭად იქცევი და აღარაფერი გახსოვს. ცხენმა რომ დაგასახიჩროს, ხომ შენთან ერთად გაქრა ჩვენი კერის ცეცხლიც... თქვი, რა მოუვიდა ცხენს, რატომაა ასე ნამიანი? — ჰკითხა ალიასმა.

— მდინარეში ვაბანავე.

— მართალს ამბობ? — დაეჭვებით შეხედა მან შვილს, ეზოში გავიდა. ცხენს გაეაზე ხელი გადაუსვა, ცხენი მთლად გაოფლილი იყო. ალიასმა თავი გადააქნია, — მეორედ ასე აღარ მოიქცე, ცოდვაა ცხოველი. მოდი, ცოტა გაატარ-გამოატარე, როცა ოფლი შეაშრეს, გაუშვი საბალახოდ კოინდარში.

კამაჭიჭმა უსიტყვოდ მოჰკიდა ცხენს აღვირში ხელი და დაუწყო ეზოში ნაბიჯ-ნაბიჯ ტარება.

— ხედავ, რაებს ჩადის ჩვენი ქალიშვილი? ერთხელაც იქნება, ან ცხენი გადმოაგდებს, ან მდინარეში დაგვეხრჩობა. თუ ცხენზე არ ზის— ცურაობს, თუ არ ცურაობს — ცხენზე ზის. სკოლაში როცა მივაბარებთ, მაშინ მაგის მარცხის შიში მაინც აღარ გვექნება.

— შენ ეგრე. იმიტომ ლაპარაკობ, რომ გინდა ბავშვი გულიდან მომგლიჯო. ჯობია შინ გვყავდეს, ოღონდ უფრო მეტი ყურადღება მიაქციე და თვითნებობას გადააჩვიე, — ურჩია ქმარს ესმამ.

— კარგი ერთი, ნუ იცი ახირება! კამაჭიჭი საოცრად ნიჭიერია. ამას ყველა ამბობს. ყველა გვირჩევს ვასწავლოთ. სირცხვილი იქნება კეთილი ადამიანების რჩევას ყური არ დავუგდოთ. ხომ გაგიგონია — ვინც თვალებს დახუჭავს, მას აღდგომა გამოეპარებაო. ასე მოგვივა ჩვენც. უფრო კარგი იქნება ბავშვი ნათელ გზაზე დავაყენოთ.

დაღამდა. ცოლ-ქმარი კვლავ განაგრძობდნენ კამაჭიჭის მომავალ ბედზე საუბარს. ესმა ჯიუტობდა, ქალისათვის სწავლა ზედმეტად მიაჩნდა. მათი ლაპარაკი თანდათან ცხარე ხასიათს იღებდა. ბოლოს მშობლების დავაში თვითონ კამაჭიჭი ჩაერია:

— რისთვის არ გინდა, დედაჩემო, ვისწავლო? შინ რომ დამამწყვდიოთ, ეგ რა სიყვარულია! — თქვა მან წყენით და სახლის წინ თელაზე მიბმულ ცხენს გახედა.

— რადგან ორივე მამა-შვილს ჩემი ნათქვამი არაფრად მიგაჩნიათ,—გაკაპასდა ბოლოს ესმა,—მაშინ ისე მოიქეცით, როგორც გსურთ. მე ნულარაფერს მეკითხებით.

ალიონზე ადგა ალიასი და წავიდა მღვდელთან, მაგრამ ხუცესი შინ არ დახვდა, ერთი კვირით სადღაც წასულიყო.

მეორე დღეს მოწვეული იყო სოფლის ყრილობა. ყრილობის შემდეგ ალიასმა მამასახლისს აუხსნა თავისი მდგომარეობა. მამასახლისმა და მწერალმა მოითათბირეს და დაწერეს ცნობა, რომ ალიასის ქალიშვილი კამაჭიჭი დაიბადა ამა და ამ წელს. მოწმობაზე მამასახლისმა და სოფლის არჩეულმა სამმა მოსამართლემ დასვეს თავიანთი ბეჭდები.

ალიასი გახარებული დაბრუნდა შინ. ცოლს ურჩია, ბავშვს წასვლაზე გულს ნუ აუცრუებ და ყველაფერი დროზე მოუმზადე სამგზავროდო.

ესმა ძალაუნებურად ქმრის სურვილს დაემორჩილა.

— კამაჭიჭი, მოდი, შვილო აქა, — დაუძახა მან ბავშვს, — შენ ამაყობ მეზობლის ბავშვებთან, რომ ხვალ მამაშენი სოხუმში წაგიყვანს, მაგრამ ნუთუ არ იცი, გამგზავრების წინ რამდენი რამ გჭირდება? გარეგარე რომ დარბიხარ, ხელი არ უნდა გაანძრიო, არ უნდა მოემზადო?

— ცხენი უკვე გავასუფთავე, სულ კრიალი გაუდის, — უპასუხა უდარდელად კამაჭიჭმა,—როცა წასვლის დრო მოვა, საგარეო ტანისამოსს ჩავიცვამ, მეტი რა მინდა?

— რას ლაპარაკობ, სულელო! იქნებ გგონია, სოხუმშიაც ცხენით იჯირითებ? იქ წერა-კითხვის სასწავლებლად მიყავხარ მამაშენს და არა მარულაზე.

დედის სიტყვები, მაინცდამაინც, არაფრად ეჭაშნიკა კამაჭიჭს, მაგრამ ამ დროს დაინახა მასთან სათამაშოდ მომავალი მეზობლის ბავშვები და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა მათკენ.

— გესმის, რას ამბობს შენი ქალიშვილი? — მიმართა ქმარს ესმამ.

— მესმის! — ღიმილით უპასუხა ალიასმა.

კამაჭიჭმა ტოლ-მეგობრებს უთხრა, რომ ხვალ დილით სოხუმს მივდივარ და დიდხნობამდე სოფელში აღარ ჩამოვალო. ბავშვებს ეწყინათ ასეთი მხიარული და ყოველგვარი თამაშის მოთავე ტოლის მოშორება, მაგრამ მალე კვლავ განაგრძეს თამაში და კამაჭიჭის წასვლაზე ფიქრი დროებით გადაავიწყდათ.

შებინდებისას, თამაშობის დამთავრების მერმე, არც ერთ ბავშვს არ უთქვამს კამაჭიჭისათვის — კეთილი მგზავრობაო. თუ გზას დაულოცავდნენ, მაშინ უთუოდ ახდებოდა კამაჭიჭის ნათქვამი და იგი სოხუმში წავიდოდა, თუ უბრად დაცილდებოდნენ, შინ დარჩებოდა. ასეც მოიქცნენ. კამაჭიჭი მეტად გულნატკენი დარჩა, როცა ბავშვები, ერთბაშად, ხმისგაუცემლად გაცვივდნენ ჭიშკარში. კამაჭიჭი რაღაც უხალისოდ შევიდა სახლში. სამგზავროდ როცა ყველაფერი უკვე გამზადებული დაინახა, გულზე ნაღველი შემოაწვა და ლამის ცრემლები წასკდა.

დიდხანს იჯდა კამაჭიჭი გაყუჩებული. ძილი არ ეკარებოდა. ტყუილა ეხვეწებოდნენ მშობლები დროზე დაწოლილიყო, რომ ადრე ადგომა არ დაზარებოდა. ბავშვს კი უნდოდა, რაც შეიძლებოდა დიდხანს ყოფილიყო ფხიზლად ამ უკანასკნელ ღამეს მშობლიურ სახლში და მშობლების ცქერით დამტკბარიყო.

ესმამ უკანასკნელად ხურჯინში ჩაალაგა ძღვენი სოხუმში მცხოვრებ ნათესავისათვის მისართმევად. ალიასს და ესმას მისი იმედი ჰქონ-

დათ — იგი იყო ერთადერთი მახლობელი ადამიანი სოხუმში, რომელთანაც ალიასს შეეძლო თავისი კამაჭიჭი გულდამშვიდებით დაეტოვებინა.

კამაჭიჭი, როგორც იქნა, დაითანხმეს დაწოლილიყო, მაგრამ ლოგინშიაც დიდხანს არ მიკარებია რული მის თვალებს. ესმამ ხომ თეთრად გაათენა მთელი ღამე. მისი საუნჯე, ოჯახის სიხარული, მშობლების იმედი, სოხუმში მიყავდათ. დედას გული ეწურებოდა სევდისაგან, როცა წარმოიდგენდა უცხო ადამიანების ხელში თავის საყვარელ კამაჭიჭს.

არც ალიასს ეძინა, თუმცა ისე უძრავად იწვა, როგორც ღრმა ძილით შეპყრობილი ადამიანი. ათასი რამ გაუელვებდა თავში და მოსვენებას უკარგავდა. გვიან, მამლის მეორე ყივილზე ჩაეძინა მხოლოდ.

როგორც კი სარკმელს განთიადის შუქი მოადგა, კამაჭიჭმა მაშინვე თვალები გაახილა. დედის ლოგინიდან ფრთხილად მამასთან გადავიდა და გვერდით მიუწვა. ალიასმა მხურვალედ ჩაიკრა გულში შვილი.

ესმა ხედავდა მამა-შვილის ალერსს და გული ყელში ებჯინებოდა.

„ჩემზე უფრო გაუჭირდება კამაჭიჭის მოშორება. ნეტავ რა თავის საუბედუროდ აიტეხა იმ სიშორეს ბავშვის გაგზავნა. ჰყოლოდა შინ და დამტკბარიყო მისი ცქერით“. — ფიქრობდა იგი. მერე ხმამაღლა დაურთო:

— არ აჯობებდა, ეგრე მუდამ გვერდით გყოლოდა ბავშვი?

— რა ვუყოთ. უნდა მოვითმინოთ. ციმბირში ხომ არ ვაგზავნით?

მშობლებმა კამაჭიჭს დაუწყეს დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყო უცხო სახლში და სკოლაში. დრო შეუმჩნეველად გადიოდა, უკვე კარგად ინათა. ვიდრე ალიასი ცხენებს შეკაზმავდა, მზე ამოიწვერა. მოვიდა მეზობელი ლაგუსთანი, რომელსაც მამა-შვილი უნდა გაეცილებია დიდ შარაგზამდე და მათი ცხენები უკანვე დაებრუნებია, ალიასი და კამაჭიჭი კი ჩასხდებოდნენ დილიჟანსში.

კარგად ისაუზმეს, მერმე დერეფანში გამოვიდნენ, სადაც თავი მოეყარათ მეზობლებს. აქ იყო რაფიდა, რომელსაც პატარა კამაჭიჭისათვის თავისი ძუძუ უწოვებია. იქვე იდგა მისი ქმარი მაცი, კარგად ჩამოსხმული საშუალო ტანის კაცი. მხარბეჭიან მაცის საოცრად წვრილი წელი ჰქონდა, ბალთებიან ქამარზე ეკიდა უბრალო ქარქაშიანი ყამა, მხარზე დაუდევრად გადაგდებული ჰქონდა მოსირმული თეთრი ყაბალახი. მას კამაჭიჭი ღვიძლი შვილივით უყვარდა. მაცი დღეს დილითვე სხვა სოფელში უნდა წასულიყო, მაგრამ არ შეეძლო თავის საყვარელი გოგონა არ ენახა ასე შორს გამგზავრების წინ.

კამაჭიჭის გასაცილებლად მოსულიყო თორყანიც, სოსლანის მოხუცი დედა და სხვა მეზობლები. სამგზავროდ გამზადებული კამაჭიჭი ყველამ სიყვარულით გადაკოცნა, უსურვეს მშვიდობით მგზავრობა და სწავლაში წარჩინება.

ალიასმა ჩამოიღო სვეტზე დაკიდებული მათრახი და თავის ცხენისაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს თვალი შეასწრო სახლის წინ აშოლტილ თელაზე შემომჯდარ გულჭრელა ჩიტს, რომელიც კენწეროდან ტოტიდან ტოტზე ფრენა-ფრენით დაბლა ეშვებოდა.

ალიასი შეყოყმანდა.

მეზობლები მიუხვდნენ, გულჭრელა ჩიტის ასეთი დაღმა ფრენა კარგს არას მოასწავებდა და ისინიც შეფიქრიანდნენ.

— სისულელეა, ასეთ რამეს როგორ შეიძლება კაცმა ყურადღება მიაქციოს, — წამოიძახა ვიღაცამ, — სისულელეა და მეტი არაფერი.

კამაჭიჭი უკვე მაცისაგან ნათხოვნ ცხენზე იჯდა. ალიასიც სწრაფად მოახტა თავის ბედაურს, ლაგუსთანმაც მალე მას მიბაძა.

კამაჭიჭი მალულად უცქეროდა დედას. შეკავებული ცრემლებისაგან ესმას თვალები დაწითლებოდა, მაგრამ ისეთი სახე მიეღო, თითქოს ძლიერ უხარია შვილის გამგზავრებაო.

ბავშვი გრძნობდა დედის გულში დატრიალებულ ცეცხლს და თვითონაც სევდით ივსებოდა.

მაცმა გასამხნევებლად უთხრა:

— აბა, წასვლის წინ ერთხელ კიდევ გვაჩვენე, როგორი მხედარი ხარ!

კამაჭიჭმა რამდენჯერმე გააჭენ-გამოაჭენა ეზოში მაცის ცხენი, მაგრამ უხალისოდ.

მალე სამივე ცხენოსანი ჭიშკარში გავიდა. მეზობლები შეძახილებით მისდევდნენ ცხენოსნებს. შეკავებული ცრემლები ახლა ესმას ნიაღვარივით წასკდა.

XIII

ნელ-ნელა მიდიოდნენ. კამაჭიჭმა ცხენი ააჩქარა და მამასა და ლაგუსთანს წინ გაუსწრო. ცოტახნის მერმე ალიასმაც გადაჭრა მათრახი თავის ცხენს და შვილს წამოეწია. კამაჭიჭმა თავი გვერდზე წაიღო. ალიასმა მოასწრო კამაჭიჭის ცრემლების დანახვა. გული ეტკინა. ცოტა მაინც რომ გაემხიარულებინა გულაჩუყებული ბავშვი, ალიასმა დაიწყო სოხუმის ქება:

— ქალაქში ქალი და კაცი ეტლებით დადიან. ქუჩები ლარივით სწორია და ლამაზი. ქვის სახლები ზღაპრულ კოშკებს გვანან. სკოლებში სწავლობენ შენზე პატარა ბავშვებიც. ისინი თავისუფლად კითხულობენ ჭრელყდიან წიგნებს, რომლებშიც ბევრი უცხო ამბავი სწერია.

ლაპარაკში დრო სწრაფად გარბოდა. კამაჭიჭი ისე გაიტაცა მამის ნაამბობმა, ვერც კი გაიგო როგორ წამოეწიათ ორი ცხენოსანი — ლუშანი და ალხასი.

— ესლა გვაკლდა, — წამოიძახა ალხასის დანახვაზე ალიასმა, — დავინავესეთ სწორედ.

— ჩემი თილისმა კეთილ მეზობლებზე კეთილად მოქმედებს, — ხუმრობითვე უპასუხა ალხასმა, — მე სრულიადაც არ ვარ ისეთი, როგორც ლაპარაკობენ.

— დიახ, ცილს წამებენ საცოდავს, — გამოექომაგა მეგობარს ლუმანი. — თუმცა...

— რა თუმცა!.. თქვი, დაარწმუნე ეს პატიოსანი ხალხი ჩემს კარგ ბიჭობაში. მაქე, რა გეხარჯება. — ეშმაკური ღიმილით მიმართა ლუმანს ალხასმა.

— თუმცა, — განაგრძო ლუმანმა, — რაც კაცზე ითქმის, მთლად თუ არა, ნახევარი უთუოდ მაინც მართალია. მე ამაში დამარწმუნა ერთმა გარემოებამ. ერთხელ ტყეში მოვეერი ხე, გავსხეპე, გავასუფთავე, სრულებით უკორძო იყო. ფიცრად მინდოდა. ამ დროს მესმის: „რა ლამაზი ხე შეგირჩევია". — ავწიე თავი, ვხედავ ალხასია. უცებ მთელი ხე რამდენიმე ადგილას ისე გაიბზარა, რომ უკვე აღარაფრად გამომადგებოდა. ამის შემდეგ როგორ არ უნდა დავიჯერო, ალხასზე რასაც ლაპარაკობენ?

აქ ლუმანმა ისე დამანჭა სახე, რომ ყველას ხმამაღლა გაეცინა. კამაჭიჭსაც, რომელსაც გული კვლავ ნაღველით ჰქონდა სავსე, ოდნავ გაეღიმა. ჭხიარული ახალგაზრდები ჩქარა დაემშვიდობნენ მგზავრებს და გვერდზე გადაუხვიეს.

ერთხანს უხმოდ მიდიოდნენ. მაგრამ ლაგუსთანმა თქვა:

— ეგ ბიჭი არ ვიცი როგორი თვალის პატრონია, მაგრამ საერთოდ, ლაზოიანი თვალი რომ არსებობს, ამაში კი დარწმუნებული ვარ. ამასწინათ ერთი ამბავი შემემთხვა. როგორც მოგეხსენება, — მიმართა მან ალიასს, — თავადები არც ლხინსა და არც ჭირში უჩვენოდ, გლეხების დაუხმარებლად არ ვარგან. შარშან კიჭინმა დამავალა ათარიდან ორი კასრი ღვინის მოტანა, რომ შვილის ქორწილი ღირსეულად გადაეხადა. უარის თქმა არ შეიძლებოდა. შევაბი ჩემი დიდი ხარები დიდ, ახალ ურემში და მივადექი კარზე კიჭინს. კიჭინის მოჯამაგირეებმა გამოაგორეს ორი ცარიელი კასრი და დამიდვეს ურემზე. როცა ჭიშკარში გამოვედი, ვხედავ მოდის შააბანი, რომელზედაც ბევრი რამ ცუდი მქონდა გაგონილი. მართალი გითხრა არ მესიამოვნა, მაგრამ უკან ხომ აღარ დავბრუნდებოდი! ათარისაკენ გზა ტყეში გადიოდა. შევედი ტყეში, თან დავიწყე მთელი ხმით სიმღერა. შუა ტყეში ვხედავ ერთ უზარმაზარ ფუღუროიან მუხას. ფუღუროდან უცებ გამოფრინდნენ ჩიტების ოდენა ბზიკები. გამიკვირდა. არასოდეს მენახა მსგავსი რამ. ურემი შევაჩერე, დავუწყე თვალიერება ფუღუროს. შემდეგ, არ ვიცი რატომ, ალბათ, შააბანის თვალმა, ან ტყის ჯადოქარმა მაიძულა, ამოვაძრე ურმის

ჭალზე ღვლერჭის გორგოლაში ჩარჭობილი ნაჯახი და მთელი ღონით შემოვკარი ფუღუროს, საიდანაც ერთბაშად ამოფრინდნენ უთვალავი ბზიკები და საოცარი ბზუილით დამეხვივნენ. როგორც იყო ავედი ურემზე თვალებდახუჭული. გავახილე ცალი თვალი და რას ვხედავ, ბზიკების დიდი ნაწილი ახლა ხარებს დასევია. გამწარებული ხარები ელვის სისწრაფით მოწყდნენ ადგილიდან და უგზოუკვლოდ გაიქცნენ. თავს ძლივს ვიმაგრებდი. გაგიჟებულმა ხარებმა მალე ურემი ხეს დაატაკეს. ურემი დაიმსხვრა, კასრები თავდაღმართში გაგორდნენ. ხარებმა დაწყვიტეს აპეურები და უღრან ტყეს მისცეს თავი. მე უსულგულოდ დავეცი დამსხვრეული ურმის გვერდით. თვალის უპეები მთელ სახესთან ერთად ისე გამისივდა, ვეღარაფერს ვხედავდი. ასეთ დღეში ჩავარდნილს თავზე წამომადგა გზად მიმავალი ხალილი და დიდი ვაივაგლახით მომიყვანა შინ. გზაში თავპირი რუმბივით გამხდომოდა. კაცი ვერ გაიგებდა სად მქონდა თვალები, ცხვირი, ან პირი. შინ მოყვანისთანავე ქალებმა წამისვეს მაწონი და რაღაც დასაამებელი წამლები. ხარები მხოლოდ სამი დღის შემდეგ იპოვეს მეზობლის ბიჭებმა.

— ეეჰ, ჩემო ლაგუსთან! — შეკავებული ღიმილით უთხრა ალიასმა,—რა შუაშია აქ ავი თვალი. თვითონ შემცდარხარ. აგევლო გვერდი იმ ფუღუროიან მუხისათვის მშვიდად და არც ეგ ამბავი დაგემართებოდა.

მგზავრები ამ დროს გავიდნენ დიდ შარაგზაზე, მალე დილიჟანსიც გამოჩნდა.

ლაგუსთანმა ჩამოართვა მამა-შვილს ცხენები. ალიასმა მეზობელს თხოვა, მის დაბრუნებამდე ესმას თუ რამ დასჭირდებოდა, მოხმარებოდა, მერე თავაზიანად დაემშვიდობა და კამაჭიჭთან ერთად დილიჟანსში ჩაჯდა.

კამაჭიჭი გახალისდა. მამას მთელი გზა ეტიკეტებოდა. ყოველი ახალი მდინარის, ბორცვის, სოფლის თუ ძველი ციხის დანახვა მის განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა. სოხუმში ისე ჩავიდნენ, არც კი გაუგიათ. ალიასმა დაიქირავა ეტლი და ძღვენით კარზე მიადგა თავის ნათესავს მახაზს. ნათესავებმა სიყვარულით გადაკოცნეს ერთმანეთი.

როცა მახაზმა დაწვრილებით გაიგო, რისთვისაც ეწვია ალიასი თავის კამაჭიჭითურთ, ბევრი აღარ დაუხანებია, მაშინვე წავიდა სადღაც და მოიყვანა მათთვის უცნობი კაცი, რომელმაც იკისრა შესაფერი არზების დაწერა ოლქის უფროსისა და ქალთა სასწავლებლის ხელმძღვანელის სახელზე.

დილით ადრე მახაზმა ალიასი და კამაჭიჭი წაიყვანა ქალთა სასწავლებლის უფროსთან. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მათ გამოუცხადეს, რომ ჯერ უფროსს მთხოვნელების მისაღებად არ ცალიაო. აქედან წავი-

დნენ ოლქის უფროსთან. აქაც პასუხი დაუგვიანეს. დაღლილი ბავშვი მამას მიეყრდნო მკერდზე და გაინაბა.

ბოლოს უფროსის კარებთან გაჩერებულ კაცს ერთხელ კიდევ მიმართა მახაზმა.

— ჩვენ შორიდან ვართ ჩამოსული მეტად საჭირო საქმეზე, მოახსენე უფროსს, იქნებ მიგვიღოს.

— საიდანაც არ უნდა იყოთ, სულ ერთია, ჯერ ვერ შეგიშვებთ. ხომ ხედავთ რამდენი ხალხია თქვენს გარდა. თქვენზე ადრეც მოსული ბევრია, — იყო პასუხი.

— ჩვენ დილიდანვე აქ ვართ. წესით, უფროსთან შესვლის ჯერი ახლა ჩვენია, — არ ეშვებოდა მახაზი.

— თქვენ ჩამოხვედით დღეს, სხვები გუშინდლიდან ელოდებიან უფროსის ნახვას.

მახაზმა უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი. სტუმარ-მასპინძელმა გადაწყვიტა სასწავლებლის უფროსთან ეცადა კვლავ ბედი, მაგრამ აქაც იგივე უთხრეს, რაც ოლქის უფროსთან: „დაიცადეთ“.

ამ ლოდინს კი ბოლო არ უჩანდა.

დაღლილ-დაქანცული სტუმრები მახაზმა შინ წაიყვანა. მეორე დღეს მახაზი თავისი სტუმრებით კვლავ მივიდა სასწავლებელში. ახლა კი მათ განუცხადეს, რომ დღეს უფროსს არავის მიღება არ შეუძლიაო. აქედან ისევ ოლქის უფროსის სამმართველოს მიაშურეს და ეზოში, ხეების ჩრდილში მოთმინებით დასხდნენ სხვა მთხოვნელებთან ერთად.

სასწავლებლიდან ოლქის უფროსის სამმართველომდე და აქედან ისევ სასწავლებლამდე წოწიალში ეს დღეც უშედეგოდ დააღამეს.

დადგა მესამე დღე. ოლქის უფროსის კარებთან ცოტა მთხოვნელები აღმოჩნდნენ. ჩანდა, თავგაბეზრებულ მთხოვნელების უმრავლესობას ხელი ჩაექნია და თავიანთ სახლებში წასულ-წამოსულიყვნენ. დარჩენილ მთხოვნელებს ბოლოს გამოუცხადეს: „წარმოადგინეთ თხოვნები“. თავისი თხოვნა გადასცა ალიასმაც. კარგა ხნის შემდეგ გამოვიდა მოხელე და დაიწყო თხოვნების უკან დაბრუნება. ალიასის თხოვნაზე უფროსის მიერ ირიბულად წარწერილი იყო: „განიხილოს ქალთა გიმნაზიის უფროსმა“.

ალიასი გრძნობდა, რომ მოჯადოებული წრე თანდათან ვიწროვდებოდა და კამაჭიჭის ბედი გამოურკვეველი ხდებოდა.

რა უნდა ექნა, რა გზას დასდგომოდა?

ისევ წავიდნენ სასწავლებელში, პატარა კამაჭიჭი გულისფანცქალით მიჰყვებოდა მამას.

სასწავლებელში კვლავ კარგახანს მოუხდათ ლოდინი. ბოლოს ალიასის მუდარამ გასჭრა და უფროსს მოახსენეს, რომ მას ელოდებიან მთხოვნელები ოლქის უფროსის მოწერილობით. გამოვიდა მსუქანი,

მაღალი ტანის ქალი, რომელსაც შავი, წამოსიებული თვალები ჰქონდა და ნაწნავები თავზე გორგოლებად ეხვია. ოქროს ჩარჩოიანი სათვალე უცნაურად უბრწყინავდა. გამოსვლისთანავე სასწავლებლის უფროსმა უხეში, დაბალი ხმით იკითხა:

— ვინ მელოდება?

— ჩვენ გელოდებით, ქალბატონო! — მოახსენა მახაზმა და თხოვნა გადასცა, თან შეეცადა განემარტებინა, რისთვისაც იყვნენ მოსულნი, მაგრამ შავებით მოსილმა ქალმა მას მყისვე შეაკცია ზურგი და კარებს მიაშურა.

— მახაზი, ვატყობ, არაფერი გამოვა. ტყუილ-უბრალოდ გაგსარჯე და გაგაწვალე. ეგ ქალი კი არა, სატანა უნდა იყოს.

ვიდრე მახაზი და ალიასი ლაპარაკობდნენ, შავებით მოსილი ქალი კვლავ გამოჩნდა კარებში და უმადურად იკითხა:

— ვინ არის ალიასი?

— მე გახლავართ, ქალბატონო! — ალიასმა წინ ნაბიჯი წარსდგა.

— ჯერ ერთი, თხოვნაზე დართული საბუთები უვარგისია. ბავშვის დაბადების მოწმობა გაცემული უნდა იყოს თქვენი მრეველის მღვდლის მიერ. გარდა ამისა, უკვე დაგვიანებულია. მცირეწლოვანიცაა. ჩვენ გუშინ განვიხილეთ ყველა თხოვნა და რამდენის მიღებაც შეგვეძლო, მივიღეთ. მოგიხდებათ მომავალ წლამდე დაცდა.

— თქვენ გუშინ განგიხილავთ თხოვნები, მე კი აგერ სამი დღეა თქვენს კარებთან ვდგავარ!

— რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი? დაგვიანებულია. მოიყვანე ბავშვი მომავალ წელს, — ამ სიტყვებით ქალმა კარები მოხურა.

ალიასი სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

— ეჰ, ჩემო მახაზ! ეს რა უგულო ხალხში ვცხოვრობთ. ეს რა ღვთისაგან შეჩვენებულების ხელში ვართ. ადამიანური პასუხის ღირსადაც არ გვცნობენ. აგერ სამი დღეა, რაც ხელით დამყავს ქალაქში ჩემი ერთადერთი შვილი, დავტანჯე, მეც დავიტანჯე, შენც მოგაცდინე შენს საქმეს და ბოლოს ისე ხელცარიელი უნდა დავბრუნდე შინ, როგორც ხელცარიელი დაბრუნდა ფსხუში წასული კაცი, — მწუხარედ თქვა ალიასმა.

კამაჭიჭი დიდივით, ყურადღებით უსმენდა მამას. მახაზმა თანაგრძნობით შეხედა ბავშვს და ალერსით ხელი ხელზე მოკიდა.

— სამწუხაროდ, ეგრეა, წავიდეთ სახლში. სხვა რაღა დაგვრჩენია.

მეორე დღეს ალიასმა ცოლსა და შვილს უყიდა საკაბეები და მახაზთან ერთად თავის კამაჭიჭიანად წავიდა დილიჟანსის გასაჩერებელ ადგილისაკენ, მაგრამ ჯერ არც დილიჟანსი ჩანდა და არც სხვა მგზავრები.

მეგობრები ჩამოსხდნენ გზის პირად და გააბეს მუსაიფი.

— გუშინ, ალიას, შენ თქვი ერთი რამ, რომელიც მე ვერ გავიგე, — ჰკითხა მახაზმა, — რას ნიშნავს, მაგალითად, შენი სიტყვები: „ფსხუში წასული კაცი უკან ხელცარიელი დაბრუნდაო“.

— ძველ დროს, — დაიწყო ალიასმა, — ერთმა თავადმა დაუძახა თავის ერთ-ერთ მსახურს და უთხრა: „ხვალ ფსხუში უნდა წახვიდეო“. ეს მსახური ბრიყვი იყო. იფიქრა რაღა ხვალ წავიდე, მოდი ამაღამ გავუდგები გზას, ღამე მთვარიანია, გრილა, ხვალ კი ადრიანად უკანვე დავბრუნდები, ბატონიც კმაყოფილი დამრჩება და მეც სიცხე არ შემაწუხებსო. მეორე დღეს, როცა ფსხუში მივიდა, გამოცხადდა ადგილობრივ თავადთან და მოახსენა: „ჩემმა ბატონმა თქვენთან გამომგზავნაო“. „რა დაგაბარა, რა სურსო?“ — ჰკითხა თურმე მასპინძელმა. „ვიდრე რამეს მეტყოდა, მე უკვე წამოვედიო!“ — უპასუხა ბრიყვმა. თავადი მიხვდა მის სიბრიყვეს და ცოტახნის სიჩუმის შემდეგ უთხრა: „ჰო, ახლა გამახსენდა, რაც უნდა დაებარებინა შენს ბატონს. აი, ის ქვა, ეგერ რომ დევს, ამასწინათ მთხოვა და უთუოდ მის წასაღებად გამოგაგზავნაო. აიღე და შენს ბატონს მიართვი, ოღონდ ფრთხილად იარე, გზაში არ დაგივარდესო“. ბრიყვმა მოსამსახურემ ის ქვა ძლივს-ძლივობით მიუტანა თავის ბატონს.

— ეგ მეც გამიგონია, მაგრამ შენს მდგომარეობას სრულებით არ შეეხამება, — სიცილით უთხრა მახაზმა.

— ბრიყვი რომ არ ვყოფილიყავი, სოხუმში რა მინდოდა, ჩემო მახაზ! ბლეხისათვის ვის სცალია! — გულნაკლულად უპასუხა ალიასმა და დაიწყო ჩხირით მტვრიან მიწაზე რაღაც სახეების გამოყვანა.

— ესმა მარტო დარჩა შინ? — ჰკითხა მახაზმა.

— მარტო, ხანდახან თუ მიხედავს მეზობლის ქალი რაფიღა.

— ვინ არის იგი?

—შენ იცნობ მას: ერთი შავგვრემანი, ტანადი, მეტად გრძელნაწნავებიანი ქალია. ენამახვილია და ჩონგურზედაც საუცხოოდ უკრავს.

— ჰო, ვიცნობ, ვიცნობ! — გაიხსენა მახაზმა.

მოვიდა დილიჟანსიც. მახაზი და ალიასი ერთმანეთს მოეხვივნენ. მახაზმა კამაჩიჩიც გადაკოცნა, ტკბილეულობით სავსე პარკი გადასცა და დილიჟანსში თავის ხელით ჩასვა.

ალიასმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მახაზს და გულითადად სთხოვა სოფელში მალე წვეოდა.

მეეტლემ დაუსტვინა, მათრახი გადაჰკრა ცხენებს და ადამიანებით გაჭედილი, ბორბლებიანი, უზარმაზარი კიდობანი ნელა დაიძრა.

(XIV—XV თავები ასახავს ალიასისა და მისი ოჯახის განცდებს იმის გამო, რომ სოხუმის სასწავლებელში არ მიიღეს კამაჩიჩი. იგი მეორე წლისათვის დაიბარეს. მამაშვილი იძულებული გახდა დანაღვლიანებული დაბრუნებულიყო შინ. სასწავლებელში ალიასს მოსთხოვეს კამაჩიჩის დაბადების მოწმობა, რისთვისაც მან მიმართა სოფ-

ლის მღვდელს. აღმოჩნდა, რომ არამც თუ კამაჭიჭი არ იყო მონათლული, არამედ არც ალიასსა და ესმას ჰქონიათ ქორწინება გაფორმებული საეკლესიო წესით. ყოველივე ამის მოგვარება გახდა საჭირო, რაზედაც მღვდელმა საკმაოდ მოითბო ხელი.

სოფლად კამაჭიჭს წერა-კითხვის სწავლება დაუწყო იატაკქვეშეთელმა რევოლუციონერმა დამეიმ, რომლის ხელში ბავშვმა გამოამეღავნა დიდი ნიჭიერება).

XVI

კამაჭიჭმა ქართული წერა-კითხვის გარდა, მშვენივრად შეისწავლა რუსული ენაც. დამეი მეტად კმაყოფილი იყო თავისი მოწაფით. დამეიმ თავის დროზე გაგზავნა სოხუმში კამაჭიჭის მშობლების სახელით თხოვნა, რასაც თან დაურთო ბავშვის დაბადების მოწმობა მღვდლის მიერ მოცემული.

დრო ფრინველივით მიჰქროდა კამაჭიჭისათვის. მალე დადგა სოხუმში გამგზავრების წამიც.

წელს მამა-შვილს თან გაჰყვა დამეიც.

სოფლიდან დილას წასულები მზის ჩასვლისას სოხუმში იყვნენ. კვლავ მახაზს ეწვივნენ. მახაზის ბავშვებმა კამაჭიჭი საღამოს კინემატოგრაფში წაიყვანეს, სადაც მეტად უცხო სურათი ნახეს.

მეორე დღეს მახაზთან ერთად წავიდნენ სკოლაში. როგორც იყო შეაღწიეს სკოლის უფროსთან, რომელმაც მათ უთხრა:

— თქვენს თხოვნას განვიხილავთ ხვალ. ზეგ მიიღებთ პასუხს.

მართლაც მესამე დღეს, შუადღისას, გამოვიდა ერთ-ერთი მასწავლებელი ქალი და მთხოვნელების წინ დაიწყო იმ ბავშვების გვარების ამოკითხვა, რომელთაც უარი ეთქვათ მიღებაზე.

ამოიკითხეს კამაჭიჭის გვარიც. ალიასს მუხლები მოეკვეთა, ყურებმა უცნაურად დაუწყეს ჟუილი.

— რატომ ეთქვა უარი? — შეეკითხა მასწავლებელს დამეი.

— ბავშვი უკვე 11 წლისაა, ამ ასაკის ბავშვებს დაწყებით კლასში არ ვიღებთ, — იყო მოკლე პასუხი.

— შარშან მითხარით, მცირეწლოვანიაო, ახლა ამბობთ, ასაკს გადაცილებულიაო, რას გავს ეს, — წამოიძახა ალიასმა.

—მე დავალებული მაქვს გადმოგცეთ, რაც დაადგინეს. თუ რატომ დაადგინეს ასე და ისე არა, ამის შესახებ მე არაფერი შემიძლია გითხრათ.

— თქვენ აცხადებთ იმ ბავშვების გვარებს, რომლებსაც უარი უთხარით, მაგრამ რატომ არ ამჟღავნებთ მიღებულთა ვინაობას? — იკითხა ალიასმა.

მასწავლებელმა დაასახელა სკოლაში ჩარიცხულთა რამდენიმე გვარი.

— ყველა ეგ ბავშვი თავადების ან აზნაურების შვილები არიან. თა-

ვიდანვე რატომ არ გვითხარით, გლეხის შვილებს თუ არ ღებულობ-დით? ამდენს მაინც აღარ ვიწვალებდი! — საყვედურით მიმართა მას-წავლებელ ქალს ალიასმა, მაგრამ იგი პასუხის გაუცემლად შეტრიალ-და და წავიდა. შეურაცხყოფილი და სასოწარკვეთილი ალიასი გახევე-ბული იდგა.

— როდის მოეღება ბოლო გლეხების ასე აბუჩად აგდებას? — გაბ-რაზებით წამოიძახა მან.

— მალე, მალე დადგება მათი აღსასრულის დღე! — ვეღარ შეიკა-ვა თავი ალიასის შემხედვარე დამეიმ.

— ნუ ლაპარაკობ ეგრე ხმამაღლა! ვინმე ოხერი ყურს მოკრავს და რამე ხიფათს გადაგვკიდებს. ისედაც ეჭვის თვალით გვიყურებენ, — გა-აფრთხილა მახაზმა.

— შეუძლებელია ასეთმა უსამართლობამ დიდხანს გასტანოს. დღეს იქნება თუ ხვალ, კეთილი ძლევს ბოროტს,—მტკიცედ წარმოსთქვა და-მეიმ, როცა ისინი სკოლის შენობიდან გამოდიოდნენ.

მეორე დღეს, დილით, მახაზის სტუმრები გაემგზავრნენ სოხუმიდან. მთელი გზა დაღვრემილნი მიდიოდნენ.

ესმამ შორიდან მოკრა თვალი მათ. გულზე თითქოს მარწუხები მო-უჭირესო, საოცარი ტკივილი იგრძნო მკერდში. როგორც კი მგზავრები ცხენებიდან ჩამოხტნენ, იგი მაშინვე მივიდა შვილთან, ჩაიკრა გულში და უთხრა:

— ვინ იქნება ისეთი დედა, რომელსაც თავის შვილის დანახვა ყო-ველთვის არ გაახარებს, მაგრამ მე ახლა მერჩია მამაშენი და დამეი უშენოდ დაბრუნებულიყვნენ სოხუმიდან... ჩემო კამაჭიჭ, როგორ გაწ-ვალდი, გენაცვალე!

— ნუ სწუხარ, დედი, მე შინაც ვისწავლი იმდენს, რამდენსაც სკო-ლაში ასწავლიან, — ალერსით უპასუხა კამაჭიჭმა დედას, რომ მისთვის დარდი ოდნავ შეემსუბუქებინა.

— მთელი დღე არაფერი გვიჭამია, ცოტა დაგვანაყრო იქნებ! — მიმართა ამ დროს ალიასმა ცოლს.

ესმამ თითქოს იცოდა, რომ ისინი ამ საღამოს უთუოდ დაბრუნდე-ბოდნენ: სუფრა უკვე გაწყობილი ჰქონდა. მგზავრებმა ხელ-პირი დაი-ბანეს და ვახშმად დასხდნენ. დიდხანს იყვნენ ჩუმად. ბოლოს ალიასს ღვინომ ამოადგმევინა ენა.

— მაინც რატომ გითხრეს უარი ბავშვის მიღებაზე? შარშან თუგინდ დავაგვიანეთ, მაგრამ წელს? წელს ხომ საბუთები დროზე გავგზავნეთ და ჩასვლითაც დროზე ჩადით? — ჰკითხა ესმამ.

— ღმერთმა იცის იმათი თავი!

— მიზეზიც არ გითხრეს?

— შარშან გამომიცხადეს, მცირეწლოვანიაო, ახლა თქვეს, ასაკს გადაცილებულიაო. ამ ქვეყნის ვერაფერი გავიგე სწორედ!

— ღვთისაგან წყეულები! ჩვენი შვილის ბედი რაში ენაღვლებათ! დაგვიჩაგრეს ბავშვი, სიხარული არ ნახოს იმათმა გულმა, — აწუწუნდა ესმა.

— მათ ჯიბრზე კამაჭიჭის ისე მოვამზადებ, რომ იძულებული გახდებიან პირდაპირ მესამე კლასში დასვან, — დარწმუნებით წამოიძახა დამეიმ.

— ჩემი არაფერი ესმის, — საყვედურით თქვა ესმამ, — თავიდანვე ვეუბნებოდი, ნუ წვალობ, ნურც ბავშვს აწვალებ, ჩვენ არავინ გაგვიშვებს წინ-მეთქი. არ დამიჯერა.

— რა დავაშავე? მამა ვალდებულია შვილისათვის იზრუნოს. გლეხებს რომ ცოტა სწავლა მოგვცა, მაშინ ასე ვერავინ დაგვჩაგრავდა. შვილებს მაინც უნდა ვასწავლოთ!

— ნუ ხარ ჯიუტი, გაიგე, — სოვდაგრებს და თავადებს ჩვენ ვერ გავუწევთ მეტოქეობას.

— მართალი ხარ! — უმწეოდ დაეთანხმა ცოლს ალიასი.

— ჩვენს კისერზე სხედან, — არ ცხრებოდა ესმა, — ძალაც მათ ხელშია და რატომ ჩამოვლენ ძირს?

ესმა სამზად სახლში გავიდა.

— ესმას სიტყვებმა ერთი ამბავი გამახსენეს, — უთხრა ალიასს დამეიმ — ეს ამბავი თავად მარშანის სამფლობელოში მოხდა. ერთ-ერთი ხელისუფალი, ტატაშ აჩბა, მართლაც შეაჯდა მხრებზე გუფის მამასახლისს.

— მოყევი, თუ კაცი ხარ, როგორ იყო. ლაპარაკობენ: შენ შენი თვალით გინახავს, თურმე, ეგ უცნაური ამბავი.

— დიახ, ჩემი თვალით ვნახე!

— დაიცა, ესმამაც მოგისმინოს! — ალიასმა ღია კარისაკენ მიიბრუნა პირი და შემომავალ ცოლს მიმართა: — სად წახვედი, მოდი აქ და ყური დაუგდე ჩვენს ნათლიას.

ამ ხნის განმავლობაში ესმა სულ ფეხზე იდგა. ნათლიას და ქმარშვილს ემსახურებოდა.

— დაბრძანდით, ნათლიდედა, ცოდვა ხარ, სულ ფეხზე ტრიალებ, — უთხრა დამეიმ.

— არა მიშავს. ასე მირჩევნია. მე ძველი ქალი ვარ და ძველ წესებს ვიცავ, როცა მამაკაცები სუფრასთან სხედან, ქალი ფეხზე უნდა იდგეს, — გადაჭრით თქვა მან და შორიახლო გაჩერდა.

დამეიმ დაიწყო:

— ერთხელ გუფში სოფლის ყრილობაზე დასასწრებლად ოჩამჩირედან ჩამოვიდა მაზრის უფროსი ტატაშ აჩბა. ყრილობის შემდეგ, შე-

ბინდებისას, აჩბა თავის ამალით შინ მიიწვია თავადმა დიმიტრი მარშანმა. გლეხები ამბობდნენ: „ამაღამ ჩვენს მარშანს დიდი ლხინი აქვსო". მართლაც ეგრე იყო. მთელ ღამეს ისმოდა სიმღერა და ტაში. ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ან მღეროდნენ, ან ცეკვავდნენ. ვიღაცამ თქვა, — ცეკვა მამასახლისმა ბაზიზმა რომ იცის, ისეთი უნდაო. ამას ყური მოკრა ტატაშ აჩბამ და ბრძანა, დაუყოვნებლივ იცეკვოს მამასახლისმაო. მამასახლისმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა და გავიდა წრეში. მართალი გითხრა, ბაზიზი საუცხოო მოცეკვავე აღმოჩნდა. იქ კი არა, მთელ მაზრაში არავის ეგულებოდა თურმე მისი შესადარი. მისი ცეკვით მოხიბლული სტუმრები აღტაცებით უკრავდნენ ტაშს, ვიღაც საცეკვაო ჰანგს გაჰკიოდა. ბაზიზა მერცხალივით დაფრინავდა წრეში. მეტად მოხდენილი ტანადი იყო. წელი გაწყდომამდე წვრილი ჰქონდა. ფეხები მარდი. ხანდახან ისე თვალის წარმტაცად დატრიალდებოდა, კაცს მისი ჩოხის კალთები მორევი ეგონებოდა. იგი ხან ტრიალებდა, ხან ქურციკივით ხტოდა. ბუმბულის სიმსუბუქით დაქროდა ოთახში. ცეკვის დროს როგორღაც ბაზიზი მიუახლოვდა მთვრალ ტატაშს. ტატაში უცებ შეხტა მაგიდაზე, აქედან კი კისერზე მოაჯდა ბაზიზს. ყველა გაქვავდა გაოცებისაგან. ზამთარი იყო· გარეთ ყინავდა. დიდ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. „ეგ პირუტყვი შეაგდე ბუხარში", — დაიძახა ვიღაცამ. ბაზიზს, ეტყობოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა სწორედ ასე მოქცეულიყო. იგი, როგორც ჯერ უნაგირდაუდგამი ცხენი, მყისვე მიიჭრა ბუხართან, დაიხარა და მაზრის უფროსი შიგ ბუხარში ისროლა. ამ დროს იქვე მდგარმა ჩაფარმა სტაცა ხელი ტატაშს და გადაარჩინა ნამდვილ სიკვდილს.

— მერე რაღა მოხდა? — იკითხა ალიასმა·

— უფროსი ისეთი მთვრალი იყო, ვერაფერი გაიგო, რა მოუვიდა, სხვებმა კიდევ არ გასცეს ბაზიზი.

— გმირი ყოფილა სწორედ ბაზიზი, — შენიშნა ალიასმა.

— მგონი იმავე უფროსმა დაარბია ხალხი მოქვში, — გაიხსენა ესმამ.

— არა, ის სხვა გვარის იყო.

— როგორ ერთნაირი არიან ყველა უფროსები, ღმერთმა გაწყვიტოს ისინი, — დაუმატა ესმამ.

— მართლაც, საოცრად გვანან ერთმანეთს. მე არ მინახავს ჯერ ისეთი უფროსი, რომელიც მეორეზე უფრო ჭკვიანი იყოს· შარშან რაღაც დიდი საქმის გამო, მოქვში, შეყარეს კოდორის მაზრის თითქმის ყველა მცხოვრები. ბრძანებისამებრ ხალხი დილითვე შეგროვდა, მაგრამ უკვე შუადღე წამოვიდა და მაზრის უფროსი არსად ჩანდა. ხალხს მოთმინება დაეკარგა. ამ დროს გაისმა: „მოდის, მოდის!" — ყველა წამოიშალა. ხედავენ — მართლაც ცხენს მოაქროლებს უფროსი. მოაქროლებს, რო-

გორც გიჟი. უკან მოსდევენ ჩაფრები. „ნეტავ რა ამბავია, რატომ ასეთი თავგადადებული მორბის?“ — ეკითხებიან ერთმანეთს მოხუცები. „დიდი ვაჟკაცია ჩვენი უფროსი!“ — დაცინვით თქვა რომელიღაც გლეხმა. ცხენი თანდათან ახლოვდება, მაგრამ უფროსი თავს არ უჭერს, პირიქით, მათრახს ცემს და დეზებს ზედიზედ ურტყამს გვერდებზე. გაგიჟებული ცხენით პირდაპირ ხალხში შევარდა, მას უკან მიჰყვნენ ჩაფრებიც. ხალხი მაშინვე შუაზე გაიყო. უფროსი თავის ამალით გაიჭრა მეორე მხარეს, მაგრამ მალე ცხენი მოაბრუნა და ისევ ხალხს მიაშურა. „დასწყევლოს ღმერთმა, უფროსი ნამდვილად მთვრალია! ვინმეს დაგვაშავებს!“—იყვირა ვიღაცამ. პირველად ეგონათ, იქნებ ცხენს ვეღარ მოერიაო, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ იგი განგებ დააჭენებდა ცხენს ხალხში. განრისხებულმა მოხუცებმა — ისმაილმა, კიაგუამ, ხაბიჯმა და გუაჯამ იყვირეს: „დაჰკარით მაგ წუწკს! გადმოაგდეთ ცხენიდან! ვინც ამას ვერ გაბედავს, ის ლაჩარია!“. ჩაფრები ირგვლივ შემოერტყნენ თავიანთ უფროსს და როგორც იყო გაიტაცეს უფროსი და გაიქცნენ. თავქუდმოგლეჯილებს კარგა ხანს მისდია ხალხმა ყიჟინით,— დაამთავრა ალიასმა.

— და შენ გეგონა, ასეთი უფროსები შენს ქალიშვილს ორივე ხელით გაუღებდნენ სკოლის კარებს? — აღშფოთებით თქვა ესმამ და ქმარს თვალი თვალში გაუყარა.

— არა უშავს. კაცად ნუღარ ჩამთვლით, თუ კამაჭიჭი უსწავლელი დაგრჩეთ. მე მომანდეთ ეგ საქმე, — დაამშვიდა კეთილები დამეიმ.

XVII

კამაჭიჭი დღედაღამ წიგნს უჯდა. თავაუღებლივ მეცადინეობდა. თითქოს უნდოდა, შინ უფრო მეტი ესწავლა, ვიდრე სკოლაში სწავლობდნენ სხვა გოგოები.

ერთხელ მეცადინეობით დაღლილ კამაჭიჭს ეწვივნენ ტოლ-მეგობრები. კამაჭიჭი გავიდა მათთან სათამაშოდ ეზოში. ბავშვები სიხარულით შეეგებნენ. ყველას უყვარდა იგი. შესანიშნავად იცოდა კამაჭიჭმა არა მარტო თამაში, არამედ სხვადასხვა ამბების მოყოლა. ამასწინათ კამაჭიჭმა ბავშვებს უამბო თუ როგორი სახლებია სოხუმში, როგორაა ისინი ღამით განათებული უსანთლოდ და უკვაროდ. განსაკუთრებით ბავშვებს მოეწონათ ცოცხალი სურათების ამბავი. ეს სურათები კამაჭიჭმა ნახა სოხუმში მატოგრაფში. მათ შინაარსს და მოძრაობას ისე კარგად და წკრიალა ხმით გადაცემდა იგი ტოლებს, რომ ყველას გული სიხარულით და სინათლით ევსებოდა.

ბავშვები ირგვლივ შემოეხვივნენ კამაჭიჭს და თხოვეს ცოცხალი სურათების შესახებ კიდევ ეამბნა რამე.

— ბე ყველაფერი გიამბეთ, კიდევ რაღა გითხრათ? — კამაჭიჭი დაფიქრდა, მერმე გაიხედა ზღვის მხარეს. უცებ შეამჩნია, რომ ცის დასალიერთან, თითქოს უფსკრულიდან, თანდათან ამოიმართა ღრუბელი.

— გაიხედეთ, გაიხედეთ იქით, სადაც ზღვაა. არა, არა, უფრო მაღლა.

ზღვის კიდურზე თანდათან დახვავდნენ სხვადასხვა ფერისა და ზომის ღრუბლები. მზის სხივებით გამსჭვალულნი, ერთი ბამბის ქულასავით თეთრად ქათქათებდა და არ იძროდა, მეორე — წითელ ღვინოში ჩამბალ პურს ჰგავდა. ზოგიც ბროლის კოშკივით აღმართულიყო. მათ თავზე თავს იყრიდნენ რუხი ღრუბლები. ეს ღრუბლები მოუსვენრად ირეოდნენ და სადღაც მიისწრაფოდნენ. ღრუბლები თანდათან იცვლიდნენ სახეს. ხან უცნაურ ხეს დაემსგავსებოდნენ, ხან ზღაპრულ დევს, ხან კიდევ მცურავ გემს. ისინი ერთმანეთს წინ უსწრებდნენ, ზოგჯერ ერთმანეთში ითქვიფებოდნენ, ისევ დანაწილდებოდნენ და კვლავ განაგრძობდნენ ლტოლვას უსაზღვროებისაკენ. შორს, განმარტოებით, მიცურავდა არწივის მსგავსი უზარმაზარი შავი ღრუბელი.

მზე დაბლა დაიხარა. ღრუბლები, რომლებიც გამუდმებით იცვლიდნენ იერს, კამაჭიჭს სოხუმში ნახულ სურათებს აგონებდნენ.

ბავშვები თვალს არ აშორებდნენ მზის მეწამული ფერით სავსე ერისიონს.

— აი, ხედავთ თეთრი ღრუბლების მაღლა მხარ-თეძოზე წამოწოლილ შავ ღრუბელს? ჰგავს გოლიათს? რამოდენა ცხვირი აქვს! ხელში თითქოს უზარმაზარი ხანჯალი უჭირავს.

ბავშვებს მართლაც მოეჩვენათ, რომ კამაჭიჭის მიერ დახატულ გოლიათს არა მარტო ხანჯალი ჰქონდა, არამედ თოფიც.

— რამოდენა წვერი აქვს! — წამოიძახა ერთმა.

კამაჭიჭი ბავშვებს თანდათან უხატავდა სხვადასხვა ზღაპრულ სურათებს. ახლა მან ტოლებს დაანახა ცხენოსანი, რომელიც გოლიათისაკენ მიჰქროდა. ცხენს ფეხდაფეხ მისდევდა ძაღლი.

— შეხედეთ, რა მოხდება, როცა ეს ცხენოსანი მიუახლოვდება გოლიათს? თუ გოლიათს სძინავს და მალე ფეხზე წამოდგა, ცხენოსანი უთუოდ მოკლავს.

ყველა დაძაბული უცქეროდა ცას. როცა მრისხანე ცხენოსანი მიუახლოვდა მწოლიარე გოლიათს, გოლიათი ერთბაშად გაჰქრა.

მალე ცხენოსანიც აღარსად ჩანდა.

— ალბათ, გოლიათი შეშინდა და გაიქცა. ცხენოსანიც უკან დაედევნა უთუოდ, — განმარტა კამაჭიჭმა, მერმე გოლიათისა და ცხენოსნის ნაცვლად ბავშვებს აჩვენა დიდი ხარი, რომელსაც საოცრად გრძელი რქები ჰქონდა.

ახლა უკვე ბავშვები თვითონ ამჩნევდნენ სხვადასხვა სურათებს:

თითქოს მდინარეში იდგა გრძელთმებიანი შიშველი ქალი; დიდი ხარის გვერდით გაჩნდა მეორე ხარიც; ორი ავი მოხუცი საცაა ერთმანეთს უნდა დატაკებოდნენ, მაგრამ ერთბაშად მზე ჩავიდა და ცაზე მოლივლივე სხვადასხვა ფერები და სახეები ბინდმა ჩანთქა.

— აი, ასეთია მატოგრაფი სოხუმში. მხოლოდ ეს სურათები იქ უფრო ლამაზად ჩანან.

— ის დიდი კაცი, რომელიც პირველად ვნახეთ და შენ თქვი, გოლიათიაო, როგორ გაჩნდა ცაზე? — ჰკითხა კამაჩიჭს პატარა ბიჭმა.

— გოლიათები ცხოვრობენ ულრან ტყეებში და მიუვალ მთებში. მაგრამ ის, ვინც ჩვენ ცაზე ვნახეთ, გოლიათი კი არ იყო, არამედ გოლიათის მსგავსი, — დაჯერებით უპასუხა კამაჩიჭმა.

— მერე და ტყეებში რას ჭამენ ისინი? — ჰკითხა ახლა მეორე ბავშვმა.

— გოლიათებს ჰყავთ დიდი ხარ-ძროხის ჯოგი. ჰყავთ ბევრი, ბევრი უზარმაზარი ცხენი. ამ ცხენებზე სხედან გოლიათები და მწყემსავენ ხარ-ძროხის ჯოგს. ისინი მარტო ძროხის რძეს სვამენ... არიან კიდევ ქონდრის კაცები, რომლებიც ჩვენ კოჭებამდეც ვერ მოგვწვდებიან. მათ ჰყავთ ბაჭიების ოდენა ცხვრები და თხები, ისინი კი თხის რძით იკვებებიან. ცხენების ნაცვლად კურდღლებზე სხედან ტყეებში ცხოვრობენ კიდევ ქაჯები, რომლებიც ნამდვილ ადამიანებს გვანან, მხოლოდ მათ მკერდზე ეზრდებათ ეკლებივით მჩხვლეტავი ხშირი თმა. ალები კი ცხოვრობენ მდინარეებში. ისინი ქალები არიან და უყვართ წყალში ბანაობა. თუ ადამიანი ახლოს ნახეს, წაავლებენ ხელს ფეხებში და სიცილ-კისკისით ჩაითრევენ მდინარეში.

კამაჩიჭი ყოველივე ამ ზღაპრულ ამბებს ისე დაბეჯითებით ყვებოდა, რომ ბავშვებს შიშისაგან თმა აებურძგლათ. როცა ბოლოს კამაჩიჭმა თქვა: უკვე დაღამდა, დროა სახლებში წავიდ-წამოვიდეთო, ერთმა ბავშვმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ატირდა:

— მეშინია, მარტო ვერ წავალ!

ეტყობოდათ, სხვა ბავშვებიც ვერ ბედავდნენ შინ წასვლას.

კამაჩიჭმა ისინი ყველა მიაცილა თავიანთ სახლამდე.

როცა უკანასკნელი ბავშვიც მიიყვანა და მარტო დარჩა, თვითონაც შეეშინდა. თვალწინ წარმოუდგა თავისივე შეთხზული უცნაური სურათები. ლამის მუხლები მოეკვეთა, მაგრამ გული გაიმაგრა და სიმღერით დაადგა სახლისაკენ გზას. მისი სიმღერა უფრო კივილს ჰგავდა, რომელსაც ქვითინი მოჰყვებოდა, რომ საძებრად წამოსული ალიასი არ შეხვედროდა ამ დროს წინ.

შინ დაბრუნებული ბავშვები სულმოუთქმელად უყვებოდნენ მშობლებს „კამაჩიჭის სურათების“ ამბებს.

კამაჩიჭმაც თავის მშობლებს და ნათლია დამეის უამბო ყველაფერი

ის, რითაც ცოტახნის წინათ ამ მეზობლის ბავშვებს შიში მოჰგვარა-თვითონაც რომ შეეშინდა, ეს კი არ გაუმხელია.

— მერე და საიდან იცი შენ ამდენი რამ? — ჰკითხა ღიმილით ალიასმა.

— ჰაბახუსგან გამიგონია.

— არც ალი, არც ქაჯი, არც ქონდრის კაცი თვალით არავის უნახავს. ყველაფერი ეგ მოცლილი ადამიანების მოგონილია და მეტი არაფერი. შენი ჰაბახუც ტყუილის გუდაა და თავი სისულელეებით აქვს გამოტენილი. არაფერი დაუჯერო მას, — ურჩია დამეიმ და თავზე ხელი გადაუსვა.

(XVIII—XXVII თავებში მოთხრობილია კამაჭიჭის ცხოვრებაზე სოფლად, მის შრომასა და სწავლაზე დამეის ხელმძღვანელობით, მეგობრებთან და მეზობლებთან ურთიერთობაზე. ამასობაში დრო მიდიოდა. კამაჭიჭი მოწიფული გახდა. მთელი სოფელი მის სილამაზესა და სიმარდეზე ლაპარაკობდა. ახალგაზრდობა მასში ხედავდა სასურველ საპატარძლოს. მისი მშობლები სიბერეში შედიოდნენ. ამიტომ გადაწყდა კამაჭიჭის გათხოვება.

აქვე მოთხრობილია ალიასთან რევოლუციონერების—დამეისა და იუანას დაახლოების შესახებ.

კამაჭიჭი მოეწონა ძიკურ ჭალიას ვაჟს — ალხასს, მ'ძკენიერ ჭაბუკს. წარმოშობით გლეხს. მისმა მშობლებმა მოციქული გაუგზავნეს კამაჭიჭის ოჯახს. შეთანხმდნენ. მოხდა ნიშნობაც. ამასობაში არასასიამოვნო ამბებიც დატრიალდა. თავად თათლასთანის, რომელსაც მოსწონდა კამაჭიჭი და მის ცოლად შერთვას აპირებდა, მონდომებითა და დაბეზღებით დაიჭირეს პატიოსანი ალხასი, მას ქურდობა დასწამეს და. ოჩამჩირის ციხეში ჩასვეს, სადაც ავხორცმა და გაიძვერა თათლასთანმა მოაწამვლინა კიდეც. კამაჭიჭი საცხოვრებლად გადავიდა საქმროს ოჯახში და სამგლოვიარო სამოსი ჩაიცვა.

კამაჭიჭის უბედურების ამბავი რომ გაიგეს, იუანა და დამეი ეწვივნენ ალიასის. ოჯახს).

XXVIII

ერთ კვირა საღამოს დაბრუნდნენ იუანა და დამეი.
მათ მწუხარე გამომეტყველება ჰქონდათ.
მწუხარედ შეხვდნენ დაბრუნებულებს შინაურებიც.
დასხდნენ დერეფანში.

— რა მოხდა, ალიას? — დაარღვია სიჩუმე იუანამ, — ჩვენს წასვლას ხომ არ უცდიდით, რომ კამაჭიჭი გაგეთხოვებინათ? რატომ მოიქეცით ასე?

— ჩვენ თვითონ არ ვიცით რა მოხდა, — უპასუხა მას ალიასმა, — ცხადი იყო თუ სიზმარი; ახლაც ვერ გაგვიგია. არაფერი შეგვიძლია გიპასუხოთ გარკვევით. ერთი შეგვიძლია მხოლოდ გითხრათ: ჩვენს შვილს ბედი არ ჰქონია.

— რაც შუბლზე აწერია, მას ვერ აცდება ადამიანი, —ჩაურთო ეს-

მამ, — შეიძლება მშობლებს მიგვიძღვის რაიმე ცოდვა, ამიტომ დაისაჯა ჩვენი შვილი! შეიძლება. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი და რა ვქნათ. თქვენ სად ან როდის გაიგეთ ჩვენი უბედურება?

— სოხუმში გავიგეთ... — უპასუხა დამეიმ ნათლიდედას, — გუდაუთიდან აძიუბჟაში უნდა ჩავსულიყავით, მაგრამ გარემოების გამო იძულებული გავხდით სოხუმშივე დავბრუნებულიყავით. გუშინდლამდე იქ დავრჩით... კი მაგრამ, მაინც რატომ აჩქარდით ასე?

— ასეთი აჩქარება ასეთ საქმეში არც მე მინახავს და გამიგონია, მაგრამ ჩვენს თავზე კი მოხდა გაუგონარი ამბავი,—თითქოს თავს იმართლებდა ალიასი.

— კარგი და, ის მაინც რაღა იყო, რომ დანიშნული ქალი, როგორც ნამდვილი ქვრივი დატოვეთ ჭალიების სახლში? — იკითხა იუანამ.

— ჩვენს მდგომარეობაში სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით, — თქვა ალიასმა, — ადათიც ამას მოითხოვდა. მაგრამ გარდა ამისა, იყო კიდევ მიზეზი, რისთვისაც კამაჭიჭი იქ დავტოვეთ. ეს მიზეზი თათლასთანია. თქვენ შეიძლება კარგად არ იცით, რაც იმ ბოროტმა თავს დაგვატეხა.

— ვიცით. ჩვენ დიდიხანია ვიცით, რა კაციცაა ის. თქვენს გარდა ბევრს გაუმწარა მან ცხოვრება. იმ ვაჟბატონმა ჩვენც მოგვინდომა დაღუპვა, მაგრამ ერთხელაც იქნება შევხვდებით და სამაგიეროს მაშინ გადავუხდით, — ბრაზით წარმოსთქვა დამეიმ.

— ჰოდა, უფრო მისმა შიშმა გვაიძულა ჭალიების სახლში კამაჭიჭი დაგვესვა როგორც ქვრივი. იქნება ჩამოგვცილდეს და თქვას, რად მინდა ქვრივი ცოლად, ისიც ვიღაც ჭალიას ნაცოლარიო. ერთი სიტყვით, ყოველნაირად ვცდილობთ ის კაცი როგორმე ჩამოვიშოროთ და არავითარი საქმე არ გვქონდეს. ახლა მე თქვენ გთხოვთ ერიდოთ იმ კაცს. მის შესახებ არავის უთხრათ რამე. ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს რაც მოხდა, თქვენ სულაც არ გაწუხებთ, — დაარიგა ისინი ალიასმა.

იუანას და დამეის ჭკუაში დაუჯდათ ალიასის ნათქვამი და რჩევა.

ცოტახანს დაფიქრებულნი ისხდნენ.

ეტყობოდათ კამაჭიჭის შინ არყოფნა ორივეს გულს ტკენდა.

— რა ისმის, ომი როდის გათავდებაო, რას ამბობენ? — დაარღვია სიჩუმე ალიასმა.

— ჯერ ბოლო არ უჩანს, მაგრამ შეიძლება, მალე მოულოდნელად დამთავრდეს. ეს ხალხზეა დამოკიდებული, — უპასუხა ძმობილს იუანამ.

— ღმერთმა ქნას... — ამოიოხრა ალიასმა და კვლავ თავის უბედურებაზე განაგრძო ლაპარაკი, — თუმცა რაც უნდა ვეცადოთ, ის ბილწი ასე იოლად თავს არ დაგვანებებს. რაღაი თვალში ამოგვიღო, მოსვენებას აღარ მოგვცემს. ეს ცხადად ჩანს მისი მოქმედებიდან. ალხასის დაკრძალვის შემდეგ პირველ ღამესვე ძიკურს ხარები მოპარეს. მალე ჩვენი

გვარის კაცს, რომელსაც ჩაგუს ეძახიან, ცხენი დაეკარგა. გუშინ აქეთ მაცი ეძებს და ჯერაც არ უნახავს თავისი ხარები. ასეთ დღეშია თორყანიც. ზოგი აშკარად, ზოგი საიდუმლოდ გვეუბნება, რომ თათლასთანის ხელი ურევია ყველა მაგ ამბავშიო. მაგრამ მამხილებელი საბუთი არ გვაქვს. რომც გვქონდეს, ვინ რას გაუბედავს. თუ ასე განაგრძო, ძირფესვიანად ამოგვაგდებს...

— როგორც ჩანს, უკან დახევას არ აპირებს... ვნახოთ, ბოლოს რას მოიმკის, — გააწყვეტინა სიტყვა დამეიმ.

— დიახ, ძირფესვიანად გვიპირებს ამოგდებას, — განაგრძო ალიასმა, — მაგრამ კიდევ გიმეორებთ, თქვენ ამ საქმეში არ ჩაერიოთ, შორს დაიჭირეთ მისგან თავი... თუ სხვა გამოსავალი ვერ მოვნახეთ, ჩვენი გვარი თავისებურად გასცემს მას პასუხს.

ალიასის ამ უკანასკნელ სიტყვებისათვის არც ერთს მიუქცევია ყურადღება.

დამეიმ გადაწყვიტა იმ ღამეს ალიასთან დარჩენილიყო.

დილას ხელ-პირის დაბანვისთანავე დამეიმ წასვლა დააპირა, მაგრამ ალიასმა არ გაუშვა.

— სადაც ხელ-პირს დაიბან, საუზმეც იქ უნდა ჭამო, ასეთია წესი, — უთხრა მან.

საუზმის შემდეგ დამეი წავიდა. ალიასი და იუანა მუშაობას შეუდგნენ...

ორმოცი დღის შემდეგ ჭალიებიდან დაბრუნდა კამაჭიჭი.

(XXIX თავში მოთხრობილია სოფლად გამეფებულ უსამართლობაზე, თავადებისა და სახელმწიფო მოხელეების აღვირახსნილობაზე, ქურდებისა და ყაჩაღების მიერ მშრომელი მოსახლეობის აწიოკებაზე. განსაკუთრებით თათლასთანი ავიწროებდა ყოველმხრივ ალიასისა და ჭალიების ოჯახებს. დაიძაბა ურთიერთობა გლეხობასა და სოფლის ბობოლებს შორის.

თათლასთანი ყოველი საშუალებით ცდილობდა კამაჭიჭის ხელში ჩაგდებას. ეს იცოდნენ როგორც კამაჭიჭმა, ასევე მისმა ნათესავებმა და ფრთხილობდნენ).

XXX

იუანას დაუწყეს თვალთვალი. მტრებმა დააბეზღეს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის. იგი იძულებული გახდა გასცლოდა ალიასის ოჯახს.

იუანას და ალიასს უმძიმდათ დაშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. იუანას არა მარტო ალიასის ოჯახი, არამედ სოფელიც უნდა დაეტოვებინა.

იუანას წასვლის წინ ალიასმა პატარა ვახშამი გამართა, ისეთი უბრალო. უხმაურო ვახშამი, როგორც მასთან დამშობილების დროს. მაგრამ მაშინ პირველი ვახშამი იყო სიხარულით სავსე, ახლა კი ყველას სახე

ჩამოსტიროდა და გულში ბოღმა აღარ ეტეოდა. თორყანი, ქუაბლუხი და მაცი თავიანთი ოჯახებით, ალიასის ოჯახთან ერთად, მწარედ განიცდიდნენ იუანას წასვლას, მის დაშორებას.

— იუანა! — დაიწყო ალიასმა, — პირველი სასმისით მინდა გადღეგრძელო შენ, ჩემო ძმობილო და საყვარელო ადამიანო. ისე მოეწყო საქმე, რომ იძულებული ხარ დღეს დაგვტოვო. მაგრამ მე მჯერა, ეს ჩვენი დაშორება დროებითია. დიახ, მჯერა, რომ შენ ისევ მალე დაბრუნდები ჩვენს ოჯახში, უფრო სწორად ვიტყვი — შენს ოჯახში. ამ 3-4 წლის განმავლობაში შენ დიდი ამაგი დასდე ჩვენს ოჯახს. საკუთარი ხელით, თითქმის მარტომ გააშენე ვენახი, ბაღი. მოამრავლე პირუტყვი. ერთი სიტყვით, შენი ბარაქიანი ხელით წელში გამართე ჩვენი ოჯახი. ახლა შენ მიდიხარ. მე გთხოვ, ჩემო ძმაო, გაყიდე შენი წილი და მოიხმარე. რაც დაგრჩება, მას ყველაფერს უკლებლად დაგახვედრებთ, თუ მტრებმა არ დაგვძალეს უშენოდ და არ გაგვაჩანაგეს. იუანა! ჩვენ ერთი დედის შობილნი არა ვართ, მაგრამ ღმერთმა იცის, ღვიძლ ძმასავით მიყვარხარ შენი კარგი გულის, შენი ალალი კაცობის გამო. გული მტკივა, იუანა, — აქ ალიასმა თავი ვეღარ შეიმაგრა და თვალებზე ცრემლები მოადგა, — გული ყელში მებჯინება, როცა წარმოვიდგენ. რომ შენ აღარ გაივლი ამ კარ-მიდამოზე. მტრებმა არ გვაცალეს ერთად ცხოვრება, მაგრამ რა გაეწყობა.

კამაჭიჭი, ესმა და რაფიდა ქვითინით წამოხტნენ და მეორე ოთახში გაცვივდნენ.

— იუანა! — განაგრძო ალიასმა, — შენ არა მარტო ჩვენ გვიყვარდი და გვიყვარხარ, არამედ მთელ სოფელს მიაჩნიხარ თავის ქომაგად. ხალხი გულთმისანია და მიხვდა, რომ შენ უბრალო კაცი არა ხარ, რომ შენი კაცობა, შენი სიცოცხლე გადადებული გაქვს ქვეყნის საკეთილდღეოდ. როცა დადგება ხალხის დრო, ჩვენი დრო, მოგვიგონე და დაბრუნდი ჩვენს ოჯახში, შენს მოხუც ძმასთან.

ახლა იუანამ აიღო ჭიქა, მაგრამ გულაჩუყებულმა დიდხანს ვერ მოახერხა ენის ამოღება.

— თქვენი ოჯახის, თქვენი სოფლის დატოვება,—როგორც იყო დაიწყო იუანამ, — ძლიერ მიმძიმს, მაგრამ როგორც იცით, ჩემი აქ დარჩენა სახიფათოა არა მარტო ჩემთვის, არამედ თქვენთვისაც. დიახ, მე უნდა წავიდე, წავიდე და მთელი ჩემი ძალ-ღონე მოვახმარო რევოლუციის საქმეს, ხალხის საქმეს. არ გაივლის დიდი ხანი და კეთილი სძლევს ბოროტს. უთუოდ სძლევს. მაშინ, რევოლუციის გამარჯვებისას, შეიძლება თქვენთან ვეღარ ვიცხოვრო ისევ, მაგრამ თქვენი სიყვარული, თქვენი პატივისცემა, სადაც არ უნდა ვიყო, ჩემს გულში იცოცხლებს მარად, ალიას! რაც შეეხება ჩემს შრომას ამ ოჯახში ეს იყო უანგარო და ამისათვის მე არავითარი გასამრჯელო არ მინდა. ყველაფერი და-

ჩება ისე, როგორც ახლაა და როგორც გინდოდეს, როგორც დაგჭირდეს, ისე მოიხმარე იგი. ვიმეორებ. მიმძიმს თქვენი დატოვება, გული მწყდება, მაგრამ სხვა გზა არაა. იყავით კარგად და თქვენი უბედურება არასოდეს გამეგონოს.

მერმე სხვა იქ მყოფებმაც შესვეს იუანას სადღეგრძელო, უსურვეს თავის საქმეში გამარჯვება.

იუანა აჩქარდა. ყველა წამოდგა, სათითაოდ გადაკოცნეს იგი და მიაცილეს ჭიშკრამდე. იუანა მალე ღამის სიბნელეში თვალს მიეფარა.

XXXI

ქურდები განსაკუთრებით ავიწროებდნენ ცაგუბებისა და ჭალიების გვარებს, მათ შორის არ დარჩენილა ერთი ოჯახიც კი, რომლისთვისაც არ მოეპაროთ 4-5 სული საქონელი. ბოლოს ორივე გვარის თავკაცებმა გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ ერთად ელონათ რამე. ისინი ფარულად შეიკრიბნენ თორყანის სახლში. ერთმანეთის კითხვა-მოკითხვის მერმე წამოდგა ალიასი და თქვა:

— ჩემო ძმებო! როცა ვამბობ „ძმებო", მე მხედველობაში მყვანან არა მარტო ჩემი გვარის კაცები, არამედ ჭალიებიც. ჩვენ კარგახანია დავძმობილდით და პირობაც დავდევით — ერთმანეთს დავხმარებოდით გასაჭირში და ლხინიც განუყოფელი გვქონოდა. ჩვენს გვარებს შორის ასეთი დაახლოება მოხდა ჩემი ქალიშვილის — კამაჭიჭის და ძიკურის ეაჟის — ალხასის მეოხებით. მაგრამ თვითონ ისინი უბედურები აღმოჩნდნენ. მე ვშიშობ, ის მეგობრობა, რომელიც მათ დაამყარეს ჩვენს შორის, ხომ არ არის ორივე ჩვენი გვარის უბედურების მიზეზი? რა დღესაც კამაჭიჭის და ალხასის სახელები დაუკავშირდნენ ერთმანეთს, სწორედ ამ დღიდან დაიწყეს ჩვენს თავზე შავმა ღრუბლებმა ტრიალი. ჯერ იყო და სიცოცხლე მოუსწრაფეს ჭალიების საამაყო შვილს, მერეა და დღე არ გაივლის ისე, ერთ-ერთი გვარის რომელიმე ოჯახს არ მოპარონ მარჩენალი ხარი, ან ძროხა. რას გვიპირებენ კიდევ, ვინ იცის. აგვევსო მოთმინების ფიალა! როგორც მოგახსენეთ, იქნებ ყველაფერი ეს ხდება ჩემი ქალიშვილის გამო? თუ ასეა, მაშინ მე ვყოფილვარ დამნაშავე...

— მარტო შენ რომ იყო დამნაშავე, მაშინ მარტო შენს ოჯახს ამოიღებდნენ ნიშანში, მაგრამ, ეტყობა, მტერი ყველა ჩვენგანს ადანაშაულებს, თუმცა გაუგებარია რისთვის! — გააწყვეტინა სიტყვა თორყანმა.

— მართალია, მტერი არ კმაყოფილდება მარტო ჩემი დასჯით, — განაგრძო ალიასმა, — აქ უნდა მოგახსენოთ ერთი ამბავი: იუანამ, ჩემმა ძმობილმა, კამაჭიჭს მისი დაბადების დღეს გაუმართა პატარა წვეულება, გარეშე არავინ ყოფილა, ყველა შინაური იყო, ვადღეგრძელეთ

კამაჭიჭი. მანაც აიღო სასმისი და სამადლობელის ნაცვლად თქვა: „ბავშვობისას მესმოდა, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვიყავი დაბადებული და ვის ოჯახშიაც შევდგამდი ფეხს, უთუოდ სიკეთით ავავსებდი მას. მაგრამ ეს არ გამოდგა მართალი. პირიქით, ჩემს გამო ბევრს მწუხარება შეხვდა. ჩანს, თვითონ ვარ დამნაშავე და ამიტომ გადავწყვიტე, გადავდო თავი, რომ ამიერიდან მაინც აღარ ვიყო სხვისი უბედურების მიზეზი“. თუ რაში გრძნობს თავს დამნაშავედ, არ გვითხრა. მე კი ვერ მივხვდი, რას უნდა ნიშნავდეს მისი ეს სიტყვები.

— დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ საერთო ბრძოლის წინააღმდეგ რაიმე ზომები მივიღოთ, — განაცხადა მაციმ, — ამიტომ როგორც ძმებს, ერთმანეთში არაფერი უნდა გვქონდეს დაფარული. მე ვიტყვი რას აბრალებს თავის თავს კამაჭიჭი. მას ჩემი ცოლისთვის ამას წინათ უთქვამს: „ჩვენი გვარის გამძარცველია მხოლოდ და მხოლოდ თათლასთანი. მან მე მთხოვა ცოლად გავყოლოდი, მაგრამ რადგან არ გავყევი, ახლა მთელ გვარზე აპირებს შურისძიებასო!“ მას აღარ სურს იყოს ამ დავიდარაბის მიზეზი.

— მაინც რას აპირებს? — ჰკითხა კიაგუამ.

— ეს როდიღა ვიცი!

— მეც მინდა მოგახსენოთ ჩემი აზრი, — დაიწყო თორყანმა, — თათლასთანი ჩვენდა საუბედუროდ დაბადებულა ქვეყანაზე. თითქმის მთელი პირუტყვი გამოგვაცალა ხელიდან. რა თქმა უნდა, თვითონ პირადად არ იპარავს. თავადები და აზნაურები თავიანთი ხელებით ჩვენ არაფერს გვართმევენ, ისინი ჩვენივე ძმების ხელებით გვღუპავენ. მათ გლეხებში ბევრი ჰყავთ ძიძიშვილები, რომლებსაც აბრიყვებენ და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენ. ისინი ასე იქცევიან უხსოვარი დროიდან. ჩვენ თუ მათ თარეშს ბოლო არ მოვუღეთ, მთლად ამოგვაგდებენ. ჩვენ, მოხუცებს, ბევრი არაფერი შეგვიძლია, მაგრამ ახალგაზრდები, რამდენადაც ვიცი, მზად არიან მტერს მტრულად დახვდნენ. აქ ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ რა გზას დავადგეთ. ვიცით ვინაა მთავარი მტერი, მაგრამ არ ვიცით ვისი ხელით მოქმედებს ის. თათლასთანის მიერ გაბრიყვებული ერთი და ორი არ უნდა იყოს. ჩვენ უნდა ვანანოთ მათ წამქეზებელს თავისი ბოროტი საქციელი.

თორყანის შემდეგ ფეხზე წამოდგა ძიკური:

— ჩვენი გვარის ახალგაზრდებიც მზად არიან მტერს საკადრისი პასუხი გასცენ, მაგრამ რა გზით? აი, რა უნდა გამოვარკვიოთ დღეს. მე მგონია უნდა გამოვიჩინოთ მეტი სიფრთხილე და ჩვენი ახალგაზრდები დღედაღამ გაფაციცებულნი იყვნენ — დამნაშავე ადგილზევე შეიპყრონ. თუ რა უნდა ვუყოთ ქურდს, ამას გარემოება გვიკარნახებს. თუ საწადელს ვერ მივაღწიეთ, თუ ქურდებმა უჩინმაჩინის ქუდი დაიხურეს, მაშინ ერთხელ კიდევ მოვითათბიროთ და უფრო გადამწყვეტი ზო-

მები მივიღოთ. ჩვენც ადამიანები ვართ და შევძლებთ დავიცვათ, როგორც ჩვენი ქონება, ისე ჩვენი ღირსება.

ყველა დაეთანხმა ძიკურს.

— დღეს აქ რომ ყოფილიყო თვითონ კამაჭიჭი, კარგი იქნებოდა, — თქვა კიაგუამ, — იგი განგვიმარტავდა თავისი სიტყვების მნიშვნელობას და გვეცოდინება რასაც აპირებს.

—მე მგონია, არ ივარგებდა კამაჭიჭი დასწრებოდა ჩვენს თათბირს, — განაცხადა მაციმ, — შეიძლებოდა კამაჭიჭს ეფიქრა, რომ ჩვენ იგი მიგვაჩნია ჩვენს თავზე დატეხილ უბედურების მიზეზად და თითქოს რაღაც ბრალს ვდებთ მას, რასაც შეიძლება ცუდად ემოქმედა მის ისედაც აფორიაქებულ მდგომარეობაზე.

— თუ ამის მეტი არაფერი გვქონდა სათქმელი, — დაიწყო ახლა ნაგუმ, — ჯობდა არ შევკრებილიყავით. მთავარი ის კი არაა, რას ფიქრობს კამაჭიჭი, ან რა სურს მას! მთავარია მტერს ლაგამი ამოვდოთ. ჩვენ ვიცით ახლა ვინცაა მტერი. საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რატომ გადაგვეკიდა, რას გვერჩის. იქნებ აჯობებდა თვითონ მისგან გაგვეგო ნამდვილი მიზეზი.

— რას გვერჩის? — იკითხა თორყანმა, — იმას გვერჩის, რომ მას ჩვენ ტოლს არ ვუდებთ, ქედს არ ვუხრით. არც ერთ ჩვენი გვარის კაცს დღემდე მისთვის, მისი მამისათვის ერთხელაც არ მიურთმევია ძღვენი, ერთხელაც არ გაგვიმართავს მათთვის წვეულება. ჩვენი გვარის კაცი ჯერ არ დანათესავებია მის ოჯახს, მის გვარს. თათლასთანის გვარის ბავშვებისათვის ჯერ არ უწოვებია ჩვენს ქალს ძუძუ. ჩვენ ჯერ არ ვყოფილვართ მისი გვარის შვილთა გამზრდელები, იცის არც ვიქნებით და ამიტომ ამოგვიჩემა, ამიტომ აღარ გვასვენებს.

— რომ საქონელი არ მომპაროს და ნაწყენი არ იყოს ჩემზე, — დაამთავრა თორყანის აზრი მაციმ, — ამისათვის მას არ გავუმართავ ლხინს. მირჩევნია მომპაროს, ვიდრე ჩემი საკუთარი ხელით ძღვნად მივართვა მას საქონელი. არც მისი გვარის ძიძიშვილური ნათესაობა მინდა და არც მისი ყოველდღე სტუმრობა. მაშინ მთლად გაგვფცქვნიდა სულიან-ხორციანად. ჯანდაბამდეც გზა ჰქონია.

— რომ დაინათესავო, თუ მოუკვდება ვინმე, შესაწირავი უნდა მიართვა, ბავშვი დაებადება — ძღვენი უნდა მიართვა, ქალს ითხოვს — კიდევ ძღვენი უნდა მიართვა, გაათხოვებს — მაშინაც ქორწილი შენ უნდა გაუმართო. ამოაგდებს ძირფესვიანად კაცს, — დაუმატა ძიკურმა.

— ერთხელაც იქნება ყველაფერს ერთად ვაზღვევინებთ! ქვა ხომ ქვაა, მაგრამ რომ გაცხელდება, ისიც კი იფეთქებს, — დაასკვნა თორყანმა.

— რაც აქ ითქვა, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ, კიდევ ვი-

ფიქროთ და ერთხელ კიდევ შეეიყაროთ თავი, — ურჩია იქ მყოფთ ქუაბლუხმა.

XXXII

მზის გადახრისას კამაჭიჭმა ცხენი შეკაზმა და დედას უთხრა:

— მამიდასთან გადავალ, მომენატრა, რამდენი ხანია არ მინახავს, ხვალ დილით, ან ამ დროს უკანვე დავბრუნდები.

კამაჭიჭი წინათაც არაერთხელ წასულა მამიდასთან მარტო სტუმრად, მაგრამ ახლა რატომღაც ესმამ ურჩია შინ დარჩენილიყო.

კამაჭიჭმა არ დაიშალა, ცხენს მოახტა და გაჰქუსლა.

კამაჭიჭის მამიდა ცხოვრობდა მოშორებით, მეორე სოფელში.

შუა ბილიკზე კამაჭიჭს შეხვდა ორი ცხენოსანი.

კამაჭიჭმა ცხენი ოდნავ შეაყენა, რომ მათთვის გზა დაეთმო.

ამ დროს ერთ-ერთმა მოახლოებულმა მგზავრმა უეცრად დასტაცა კამაჭიჭს ხელი, უნაგირიდან მყისვე აიყვანა და ტყის სიღრმეს მისცა თავი.

მეორე დღეს ალიასთან მივიდნენ შეწუხებული რაფიდა და მაცი. ამ დილით თათლასთანის ძიძიშვილმა ლანგამ გვაცნობა, რომ კამაჭიჭი წუხელ ცოლად გაჰყოლია თათლასთანს — ენის ბორძიკით, მაგრამ პირდაპირ უთხრა რაფიდამ ალიასს და ესმას.

თავზარდაცემული ესმა იქვე ჩაიკეცა და ქვითინი ამოუშვა, ალიასი კი გახევებული დარჩა.

რაფიდამ და მაცემ ესმას ურჩიეს არ შეეცხადებინა საქვეყნოდ ეს ამბავი, როგორმე ჩუმად ჩაეკლა ბოღმა.

ბოლოს მაცემ დანანებით თქვა:

— აი, რას აპირებდა თურმე!

— არა მგონია კამაჭიჭი ჩვენს მტერს თავის ნებით გაჰყოლოდა, — მოგვანებით ამოიღო ხმა ალიასმა.

— ვიდრე თვითონ კამაჭიჭი არაფერს გეტყვის, ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, — დაასკვნა რაფიდამ. — მამიდასთან მიმავალ კამაჭიჭს გზაზე ამას წინათაც შეხვედრია თათლასთანი, მაგრამ ცუდი არაფერი უკადრებია. თავაზიანად გამოლაპარაკებია მხოლოდ და ცოლად წაყოლა უთხოვია, მაგრამ კამაჭიჭს უარი განუცხადებია. სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია, მიზეზად ესლა უთქვამს: „მე, გლეხის ქალი, რა შენი შესაფერი ვარო“. ახლა რა მოხდა, ვინ იცის; ახალგაზრდა ქალის გული ცვალებადია, შეიძლება გადაიბირა იმ თავზე ხელაღებულმა; თუმცა კამაჭიჭის დამორჩილება არა მგონია ეგრე ადვილი იყოს.

— არა, უთუოდ მოიტაცა, შეუძლებელია კამაჭიჭი თავისი სურვილით გაჰყოლოდა მას, — დაიჟინა ალიასმა და მერხზე უმწეოდ დაჯდა.

* * *

თათლასთანმა ის ღამე ტყეში გაათია გატაცებულ კამაჭიჭთან ერთად. მეორე დღეს ცოლით ესტუმრა მთის ძირას მოსახლე ძიძიშვილებს.

— ნეტავი ვისი ქალი შეურთავს ჩვენს გაზრდილს? — დაიწყეს ჩურჩული ქალებმა. ერთმა მათგანმა თათლასთანის უმცროსმა დობილმა, იცნო პატარძალი და გაკვირვებით განაცხადა, რომ ალიასის ქალიშვილიაო.

— რას ამბობ? — გაიოცეს დანარჩენებმაც, — ნუთუ ჩვენმა გაზრდილმა გლეხის ქალი შეირთო?

— მართალია, ჩვენსავით გლეხის ქალია, — თქვა თათლასთანის უმცროსმა დობილმა, — მაგრამ ხომ ნახეთ, ბევრ ქალბატონს არ ჩამოუვარდება, ზოგს კიდეც ჯობია თავის სახის ლამაზი იერით და ტანადობით. ასეთი ლამაზი რომ არ ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, შეირთავდა მას ჩვენი ძუძუმტე? შემდეგში, როცა კარგად გაიცნობთ, თქვენ თვითონ დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში.

კამაჭიჭი ძლიერ მოეწონათ მამაკაცებსაც.

— ნამდვილი მზეთუნახავი შეურთავს! — ამბობდნენ ისინი.

კამაჭიჭის სილამაზით აღფრთოვანებულებმა გადაწყვიტეს გაემართათ კარგი ქორწილი, მაგრამ თათლასთანმა უთხრა მათ:

— ჯერჯერობით არაა საჭირო დიდი ხმაურის ატეხა.

გაზრდილს დაუჯერეს, მაგრამ პატარა ვახშამი მაინც გამართეს.

გავიდა ორი კვირა. კამაჭიჭი თითქოს შეურიგდა ხვედრს. თათლასთანის ძიძიშვილებს ისე შეუყვარდათ იგი, რომ მისთვის უკვე სულსაც არ დაიშურებდნენ. თავის ხასიათით, ქცევით, კეთილი გულით ყველა მოხიბლა კამაჭიჭმა. თათლასთანის დობილები, რომლებიც პირველად თითქოს უკმაყოფილოდ შეხვდნენ გაზრდილის არჩევანს, ახლა ვერც კი წარმოედგინათ სხვა ქალი რძლად.

„აზნაურს კი არა, დიდ თავადს შეფერის ცოლადო!“ — ამბობდნენ ერთმანეთში.

— მე ვიცი ერთი თავადი, — თქვა უმცროსმა დობილმა, — მისი ცოლი კამაჭიჭის ნეკადაც არ ღირს. კარგი ადამიანობა და სილამაზე გვარზე როდია დამოკიდებული.

თავადებმა და აზნაურებმა როცა გაიგეს ეს ამბავი, შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი და ერთმანეთს შორის თათლასთანს დაუწყეს კიცხვა. თვითონ მას აშკარად ვერაფერს ეუბნებოდნენ, რადგან მისი თანდასწრებით არაერთხელ უქიათ კამაჭიჭი და უთქვამთ: „ეს ქალიშვილი ღირსია იყოს დიდი აზნაურის ცოლი. ვინც იტყვის, რომ ეს ასე არაა, უთუოდ ეშინია თვითონ კამაჭიჭმა არ დაიწუნოს იგიო“.

თვით დიდმა თავადმა მურზაყანმა, ნაჰარბეის მიერ გამართულ ბურთაობის დროს, ინატრა კამაჭიჭი თავის ვაჟის ცოლად. მეორედაც რომ ენახა იგი, გაცნობოდა მას კარგად, შეიძლება მართლაც წაეყვანა რძლად. მაგრამ ახლა იმავე მურზაყანს გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი შეხვდებოდა სადმე თათლასთანს, სასტიკად დაეგმო მისი საქციელი გლეხის ქალის შერთვისათვის.

ასეთ მითქმა-მოთქმაში გავიდა ორ თვეზე მეტი. ერთ დღეს თათლასთანის თანხმობით, კამაჭიჭი შეჯდა ცხენზე, წაიყვანა თან თათლასთანის ერთ-ერთი ძიძიშვილი და წავიდა მშობლების სანახავად.

მოვიდნენ ახლობლები.

გულითადად მოიკითხა ყველამ.

ყველას უნდოდა გაეგო, მაგრამ ვერავინ გაუბედა ეკითხა: მართლა თვითონ ნებით გაჰყვა თათლასთანს, თუ ძალა დაატანეს.

— ჩემო კამაჭიჭ, რაც შენ გათხოვდი, მას აქეთ ჩვენი გვარის კაცს, არც ჭალიებს, უბრალო რამეც არ დაკარგვია, — უთხრა ერთმა.

ამის შემდეგ ორჯერ-სამჯერ იყო კიდევ მშობლებთან კამაჭიჭი, უკანასკნელად როცა მნახველები წავიდნენ, დედამ კამაჭიჭს ჰკითხა:

— თქვენ აქამდე ძიძიშვილებთან ცხოვრობთ, რატომ საკუთარ სახლში არ გადადიხართ?

— თათლასთანი ამბობს, ჩვენი სახლი დიდ შეკეთებას საჭიროებს, იქ რომ გადავიდეთ, ათასი მნახველი მოვა, შეუკეთებელ სახლში სტუმრის მიღება კი სირცხვილიაო.

— კიდევ ერთი რამ მინდა გკითხო, შვილო! თუმც ცოტა მეშინია. მეაბრეშუმეებს აქვთ ჩვეულება: თაგვს თაგვი კი არ დაუძახონ, არამედ „გრძელკუდა“, რადგან ჰგონიათ, თუ ეს სიტყვა ახსენეს, თაგვი აბრეშუმის ჭიას დაუზიანებთ. ასევე ვშიშობ მეც, პირდაპირ გითხრა სათქმელი, მაგრამ მაინც უნდა გკითხო: როგორ გეპყრობიან იქ? კერძოდ, ქმარს როგორ უჭირავს შენთან თავი? თავის თანატოლად გცნობს თუ არა?

— არ ვიცი, რა იქნება შემდეგში, მაგრამ ყველანი თავაზიანად მეპყრობიან, — უპასუხა კამაჭიჭმა.

— ჩვენც თვალყურს გადევნებთ შორიდან, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ცუდი არაფერი გაგვიგონია.

— დედა, შენ ნუ სწუხარ, თუ კარგად მომეპყრობიან, ხომ კარგი, თვითონაც კარგად იქნებიან, თუ არა და. . .

— ბავშვობიდანვე ამაყი ხარ, შვილო, ყოველთვის ეგრე როდი ვარგა. თავადები და აზნაურები სხვა ხალხია. მათთან ბრძოლა შენ სად შეგიძლია. ხომ გაგიგონია: კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო. ფრთხილად იყავი.

— წინასწარ რა საჭიროა თვალების დათხრა, — თქვა კამაჭიჭმა, —

ვიცხოვრებთ და ვნახოთ. თუ ცუდად წავიდა საქმე, მაშინ ვიმსჯელოთ როგორ მოვიქცეთ... ახლა კი თავი დავანებოთ ამაზე ლაპარაკს.

— მართალი ხარ, შვილო, მაგრამ ჭკვიანად იყავი. რადგან ასე მოხდა, ეცადე ყველას შეაყვარო თავი. ჯიბრში ნურავის ჩაუდგები.

— შენ კარგად იცი ჩემი ხასიათი. უხასიათობას ვერავინ დამწამებს. თუ ტყუილუბრალოდ ამითვალისწუნებენ, მაშინ სამაგიეროს გადახდის მეტი რა დამრჩენია!

დედას უნდოდა ეთქვა — „ჯობია მოითმინო", ამის ნაცვლად აზრად მოუვიდა ესაყვედურა — „აგერ 3-4 თვე გადის და შენმა ქმარმა რატომ ერთხელ მაინც არ გვნახაო", მაგრამ თავი შეიკავა.

არა მარტო კამაჭიჭის მშობლები, არამედ ალიასის მთელი გვარი იყო უკმაყოფილო იმით, რომ თათლასთანმა აქამდე არ ინახულა ცოლოური.

XXXIII

ოჩამჩირეში თავადაზნაურების კრება იყო. კრების შემდეგ მაზრის უფროსმა კერძო საუბარში თქვა:

— ხვალ სოფელ ჯგერდაში სასოფლო ყრილობა მაქვს მოწვეული, ერთი მკვლელობის გამო, რომელიც ამას წინათ იქ მოხდა.

— თუ ასეა, — მიმართა თავადმა მურზაყან ჩაჩბამ, — იმის მაგივრად, რომ ოჩამჩირიდან ხვალ პირდაპირ წაბრძანდეთ ჯგერდაში, დღეს მეწვიე მე, ღამე გაათიე ჩემს ოჯახში, დილით კი თვითონ გეახლები — ჩემგან ახლოა ის სოფელი.

დანარჩენმა თავადაზნაურებმა მხარი დაუჭირეს მურზაყანს. ქეიფის მოყვარულები შეეხვეწნენ უფროსს უარი არ ეთქვა. იგიც უყოყმანოდ დათანხმდა. ნაშუადღევს შესხდნენ ცხენებზე და გაუდგნენ გზას.

სტუმრები იმდენი აღმოჩნდნენ, რომ მურზაყანი იძულებული იყო ხარი დაეკლა.

— მურზაყან, შენ გინდოდა იოლად გადარჩენილიყავი, მაგრამ რას იზამ, — გაეხუმრა ჩაგუ.

— მადლობა ღმერთს, ორი ხარის დაკვლა რომ არ მიხდება.

— ჯერ კიდევ ბევრი არ მოსულა, მე მგონია მეორე ხარის დაკვლაც მოგიწევს, — კვლავ ხუმრობით უთხრა ჩაგუმ.

— გაგზავნეთ შიკრიკები და ეცადეთ მოუსვლელი არავინ დარჩეს, მიქენით ამდენი სიკეთე, — უპასუხა მურზაყანმა თანამოსაუბრეებს.

ყველას გულიანად გაეცინა.

— ვიდრე შენი ხარი და ცხვარი შეიწვოდეს, სტუმარი სოხუმიდანაც მოასწრებს ჩამოსვლას, მაგრამ მანამდე უფროსს რა გააძლებინებს? მოგიკლავს შიმშილით და ეგაა! — არ ცხრებოდა ჩაგუ.

— შენ უფროსის დარდი როდი გაქვს, საკუთარი მუცელი გაწუხებს. ვახშმობამდე გინდა სახელდახელოდ დანაყრდე, მაგრამ კარგახანს მოგიწევს ყურყუტი.

— მართალს ამბობ, მურზაყან. შენი პურ-მარილის მოლოდინში ხემსიც არ ჩაუდევს პირში. ხომ იცი, ჭირივით ეზარება ჯიბეში ხელის ჩაყოფა, დაპატიჟებით კი არავინ დაპატიჟა დღეს ოჩამჩირეში, — სიცილით თქვა ხაბუგმა.

— დღეს ოჩამჩირეში სალიყვა ქეიფობდა, მაგრამ ჩაგუ ახლოსაც არ გაიკარა. — გაიხსენა თამაგუმ.

— რატომაც არ იქეიფებს, უკანასკნელი მიწებიც გაჰყიდა, სამაგიეროდ, შეიძინა შესანიშნავი ცხენი შესანიშნავი უნაგირით, დარჩენილი ფული ჯიბეში ჩაიდო და ახლა ყოველდღე ხან სოხუმში, ხან ოჩამჩირეში ქეიფობს, — თქვა ვიღაცამ.

— ახლა თუგინდ რევოლუციაც მოხდეს, მას აღარაფერი აქვს დასაკარგავი, — ჩაურთო ამდენხანს ჩუმად გაჩერებულმა კიჭინმა.

— შენ მასზე ადრე გაყიდე მამულ-დედული, მგონი რევოლუციის გეშინოდა და იმიტომ! — შენიშნა ხაბუგმა.

— რევოლუცია იქნება თუ არა, ეს მე არ ვიცი. მიწები გავყიდე აუცილებელი საჭიროების გამო. — უკმაყოფილოდ უპასუხა მას კიჭინმა.

— დაანებეთ თავი კიჭინს! რომელ თქვენგანს არ გაუყიდია მიწები? — ჩაერია ლაპარაკში ერთი მოხუცი თავადი.

— ბევრს კარტშიაც წაუგია!

— არიან ისეთებიც, რომელთაც არ გაუყიდიათ და არც წაუგიათ.

— მაინც!

— აი, თუ გნებავთ ნაჰარბეი. მან მხოლოდ მუხები გაყიდა და არა მიწა, ისიც ერთი მუხა რამდენჯერმე. — სიცილით თქვა მურზაყანმა და გაეშურა უფროსთან, რომელიც ოთახში ისვენებდა.

აივანზე დარჩენილებმა მუსაიფი განაგრძეს.

— მურზაყანმა ახლა თქვა, რომ ნაჰარბეიმ ერთი მუხა რამდენჯერმე გაყიდაო, მაგრამ არ გვითხრა — თვითონ ერთი ქოთანი გარეული თაფლით როგორ ჩაიგდო ხელში ერთი ხარი, — დაწეული ხმით აცინობა ყურებდაცქვეტილ თანამოსაუბრეებს ბესლანმა.

— როგორ მოახერხა? თქვი თუ კაცი ხარ!—ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

— აქ სადღაც ცხოვრობს ერთი გლეხი, სახელად მისა. სახელმწიფო ტყეში იგი თურმე შემთხვევით წააწყდა ფუღუროიან ხეს, რომელშიაც გარეული ფუტკარი სახლობდა. მისამ თაფლი ამოიღო. მურზაყანმა გაიგო ეს და შავი დღე დააყენა: როგორ გაბედე ჩემი მამაპაპეული ტყიდან თაფლის მოპარვაო და აიძულა სამაგიეროდ ხარი მიერთმია...

— ერთი ხარით ვერ გადარჩება. ის მისა შეძლებული გლეხია და მურზაყანი მას მანამდე აღარ დაანებებს თავს, ვიდრე კერაზე ცეცხლს არ ჩაუქრობს. — განაცხადა თამაგუმ.

— ეგ არაფერი. უფრო საოცარი რამ ჩაიდინა მურზაყანმა, — დაიწყო კიჭინმა. — ერთმა გლეხმა რომელსაც, ჟაცის ეძახიან და რო-

მელიც განთქმული მონადირეა, ამავე ტყეში ერთხელ მოკლა ერთი მელა და ერთი გარეული კატა. მურზაყანმა როგორც კი გაიგო ეს ამბავი, დაიბარა ჟაცი და დასჭყივლა:

„რას ჩადიხარ შენ ჩემს პაპისეულ ტყეში? რატომ გამიჟლიტე ნადირი, სად არიან გარეული კატები, ჩემი მელიები, ჩემი ტურები?“

ჟაცემ უპასუხა:

„არ ვიცოდი, ბატონო, თუ უსიერ ტყეში მობინადრე მელიები და გარეული კატები შენ გეკუთვნოდაო“ და დანაშაულის მოსანანიებლად ერთი ძროხა მოიყვანა.

—დაანებე იმ ვიღაცა ჟაცის თავი, ასე რომ არ იქცეოდეს ჩვენი მურზაყანი, მაშინ დღეს ხარს კი არა, ქათამსაც ვერ დაგიკლავდა, — შეუძახა კიჭინს ალმახსიმ.

— ჯერ ერთი, კაცმა არ იცის იმ ტყეს რატომ ისაკუთრებს მურზაყანი. ყოველ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსი არაა, მაგისი სულ არაა. ვიღაც უფლისწულს კი ეკუთვნოდა, როგორც გამიგონია. დავანებოთ ამას თავი. ამ ტყეში არის პატარა მდინარე. ერთ გლეხს მდინარეში ჩაუდგამს ფაცერი და დაუჭერია რამდენიმე თევზი. გაუგო ეს მურზაყანმა და ორ ლიფსიტაში წაართვა ერთი ცხენი და ერთი ცხვარი.

— კარგიც უქნია. თუ გლეხს მაგრად არ მოუჭირე ხელი, ცოტა სულს რომ მოითქვამს, თავზე დაგაჯდება, — დაასკვნა მურზაყანის ერთმა ახლობელმა თავადმა.

ეს მუქთახორები ასე ირთობდნენ თავს ეახშმის მოლოდინში და თავიანთ უმსგავსო საქციელს გასამართლებელ საფუძველსაც კი უძებნიდნენ. ესენი იყვნენ დაუზოგველნი, კეთილსინდისიერებას მოკლებულნი. თავიანთ უფლებამოსილებაში უსაზღვროდ დაჯერებული ადამიანები. შესახედავად ზოგი მაღალი იყო, ზოგი დაბალი, ზოგი გამხდარი, ზოგი მსუქანი, მაგრამ ყველას მათ აერთიანებდათ გლეხის სიძულვილი და წოდებრივი ფუყე სიამაყის გრძნობა.

ქალიშვილებმა სტუმრებს დააბანინეს ხელები და მასპინძელმა ისინი დარბაზში შეიწვია, სადაც გაშლილი იყო დიდი სუფრა. მეორე ოთახიდან გამობრძანდა მაზრის უფროსიც და იგი საპატიო ადგილას დასვეს.

ლხინი დიდხანს გაგრძელდა.

შემდეგ აიშალნენ.

სტუმრების ნაწილი მურზაყანთან დარჩა ღამის გასათევად, ნაწილი მეზობლებში მოასვენეს.

მეორე დღეს დილითვე კვლავ იწყეს შეკრება სტუმრებმა.

— ჯერ ხეირიანად არც გათენებულა და თქვენ უკვე საქეიფოდ მოხვედით. საქმე რომ მქონოდა, მაშინ ხომ არ მოხვიდოდით ასე გულდაგულ, — იხუმრა მურზაყანმა.

— შენ ხარი დაკალი და ყოველთვის ასე უკლებლივ უფრო ადრეც გეახლებით, — თქვა კიჭინმა.

ყველას გაეცინა.

— კიჭინ, არ ამბობ მართალს. ყველანი არა ვართ აქ დღეს, — მიმართა ბატამ.

— შენ რა, ყველა თავადი და აზნაური მართლა გინდოდა აქ შეგეკრიბა დღეს? — ჰკითხა კიჭინმა.

— ყველა არა, მარა... — დამარცვლა ბატამ და გვერდზე გაიხედ-გამოიხედა, — ერთი განსაკუთრებით მაკლია თვალში. მაგალითად, რატომ არაა გლეხების სიძე თათლასთანი?

— დიდიხანი არაა ხელმწიფის ქალი შეირთო და აღარ გვკადრულობს.

— მე ვიცი თუ რატომაც გაიხსენეთ იგი ჩემს ოჯახში, — თქვა მურზაყანმა, — თქვენ გაინტერესებთ გაიგოთ თუ რა აზრისა ვარ მე მასზე, როგორც ჩემს კარზე დაახლოებულ კაცზე. თათლასთანი ამ ერთი კვირის წინათ იყო ჩემთან, არც შიმილოცავს, ისე ვუთხარი: მართალია ქორწილი არ გადაიხადე, მაგრამ შეიძლება შენ ფიქრობდი ჩვენ დაუპატიჟებლად მოვინახულებდით შენს ცოლს? „შენთან რომ მოვდიოდი, — მიპასუხა მან, — ვიცოდი ეგრე მეტყოდი. მაგრამ როცა ნამდვილად შევირთავ ცოლს, ქორწილსაც მაშინ გადავიხდი. ტყუილა გგონია, რომ მე მართლა გლეხების სიძე ვარო“.

— მართალი გითხრათ, კამაჭიჭი მშვენიერია, ძნელია თათლასთანს ურჩიოს ვინმემ, დატოვოს იგი, — თქვა ბატამ.

— მურზაყანთან არ იცრუებდა. ერთადერთი მურზაყანია, ვისიც ერიდება მას. სხვას ვინც უნდა იყოს იგი, არაფერს გაუგონებს. პირიქით, მისი ხასიათის ამბავი რომ ვიცი, შეიძლება ჯინაზე მეორე გლეხის ქალიც შეირთოს, — დაურთო ხრიპსმა.

— ცოტა ცაგუბების და ჭალიების შიშიც აქვს. ამ ორივე გვარის ნაშიერნი მეტად გაამაყებულნი არიან, — დაიწყო ხაბუგმა, — შერცხვენას არ აპატიებენ. ეს კი არა, უბრალო რამეზედაც თავადების და აზნაურების წინააღმდეგ აშკარად ლაპარაკობენ. ამას წინათ სოფლის ყრილობაზე ხმამაღლა განაცხადეს — ყაჩაღებს და ქურდებს თავად-აზნაურები უწყობენ ხელსო. ზოგნი თვითონაც ყაჩაღობენო. ერთხელ ალიასს მართლაც წვევია ყაჩაღად გაჭრილი თავადი სალიბეი, ორი მხლებლით. უჭამიათ, უსვამთ და წასულან. მეტი არაფერი. ალიასი კი ყოველ გზაჯვარედინზე გაყვიროდა — თავადებმა გამძარცვესო.

— ხაბუგ, — მიმართა მას ტაგუმ, — ჩვენ შორის დარჩეს და, ალიასი მაშინ მართალი იყო. მივიდა სალიბეი, წაართვა ერთადერთი ცხენი და წავიდა, რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ ალიასი დააპატიმრეს. მიზეზი? რატომ წაგართვა სალიბეიმ ცხენიო.

— შენც დაიწყებ ტუტუცის გამართლებას, — უკმაყოფილოდ შეუძახა ხაბუგმა.

— მე კი არ ვესარჩლები, არამედ ვამბობ როგორც იყო საქმე, თორემ რას დავეძებ, კისერიც უტეხია, — უპასუხა ტაგუმ.

— უფროსი ამდგარა! — წამოიძახა ვიღაცამ.

მართლაც, უფროსი გამობრძანდა და ყველანი შემოუსხდნენ სუფრას.

— ბატონებო, დღევანდელი სუფრის თამადად ვასახელებ მურათბეის, — წამოდგა მურზაყანი, — გაუმარჯოს მას. დარწმუნებული ვარ, როგორც ჩვენს უფროსს ეკადრება, ისე გაუძღვება სუფრას.

ყველა დაეთანხმა მასპინძელს და თამადად მურათბეი აირჩიეს. მურათბეი იშვიათი ოსტატობით გაუძღვა სუფრას.

ლხინი კარგახანს გაგრძელდა.

ბოლოს ადგა უფროსი, ადგნენ სხვებიც, დაიბანეს ხელები და უკვე წინასწარ შეკაზმულ ცხენებზე შესხდნენ.

უფროსის მეთაურობით უკლებლივ გაეშურნენ ჯგერდისაკენ.

(XXXIV თავში აღწერილია სოფლად თავადების მიერ მოწყობილი აღაპი, მათ მიერ ხალხის ჩაგერის, აწიოკების, აბუჩად აგდების სურათი.)

XXXV

ზაფხული იყო.

იუანას წასვლის შემდეგ ალიასი დღე და ღამეს ასწორებდა და თავაუღებლივ მუშაობდა. ერთხელ სულისშემხუთველ სიცხისაგან გაოფლიანებულმა მდინარეში იბანავა. მოხუცს იმავე საღამოს გააცივა და მეორე დღეს ფეხზე წამოდგომა გაუჭირდა. მთელი მკერდი სტკიოდა. რაც დრო გადიოდა, თანდათან ცუდად ხდებოდა.

როცა ალიასი გადადებული ავადმყოფი შეიქმნა, ახლობლებმა ურჩიეს ესმას ეცნობებინა კამაჭიჭისათვის, რომ მოსულიყო და ენახა სიკვდილის პირას მისული მამა. მაგრამ ესმამ ყოყმანი დაიწყო. კამაჭიჭს უკვე ბავშვი ჰყავდა, ქმარი ბავშვიანად არ გაუშვებდა, ჩვილს კიდევ უძუძუოდ ვერ დატოვებდა და ტყუილ-უბრალოდ დაიტანჯებოდა ქალი.

შეწუხებულმა ალიასმა ბოლოს ინატრა:

—ვიდრე სული მიდგას, მაჩვენეთ ჩემი შვილი!

ახლა კი ესმამ გადაწყვიტა მომაკვდავის სურვილი შეესრულებინა და გააგზავნა კაცი კამაჭიჭთან.

კამაჭიჭის ბავშვი ახლად ფეხადგმული იყო. საოცრად ლამაზი და ჯანმრთელი შესახედაობა ჰქონდა. მთლად ისეთი იყო, როგორც კამაჭიჭი პატარაობისას.

კამაჭიჭს მოციქულმა დაწვრილებით აუწერა ალიასის ავადმყოფობა.

შეწუხებულმა ქალმა ქმარს მიმართა:

— თათლასთან, მამა ყოფილა მძიმე ავად, უნდა წავიდე და ვნახო.

თათლასთანმა არაფერი უპასუხა.

— სირცხვილი იქნება ჩემი უნახველი მოკვდეს: რაღაც ორ ნაბიჯზეა აქედან, დღესვე დავბრუნდები.

თათლასთანმა ახლაც არ გასცა ხმა.

ქალს თვალთაგან მდუღარე წასკდა და ცივად მოშორდა, მაგრამ ცოტა ხნის მერმე ისევ თხოვა ნება დაერთო წასულიყო მომაკვდავი მამის სანახავად.

— ბავშვს მოუარე, შენ რომელი ექიმი ხარ! — აგდებულად უპასუხა თათლასთანმა.

კამაჭიჭს გუშინწინ ერთმა ქალმა საიდუმლოდ აცნობა, რომ თათლასთანი თავად ჩაგუს ქალიშვილის თხოვას აპირებსო. კამაჭიჭი თვითონაც ატყობდა ამ ბოლო დროს, მის თავს რაღაც უბედურება ხდებოდა. თათლასთანი ხშირად მთელი კვირაობით აღარ იყო შინ, როცა იყო, მაშინაც უკმეხად ექცეოდა და უმიზეზოდ შეურაცხყოფას აყენებდა ქალს, მაგრამ ყველაფერ ამას კამაჭიჭი უხმოდ იტანდა. დღეს კი ქმრის საოცარმა გულცივობამ მისი მშობლებისადმი მოთმინების ფიალა აუვსო.

ამ დროს კვლავ მოაგელვა ცხენი ესმას მიერ გამოგზავნილმა კაცმა და კამაჭიჭს უთხრა:

— რაც შეიძლება ჩქარა წამოდი. თუ დაიგვიანე, იქნებ ცოცხალს ვეღარ მიუსწრო.

— რა ვქნა, არ წავიდე? — ჰკითხა ქმარს გაფითრებულმა კამაჭიჭმა მოციქულის თანდასწრებით.

— წადი! — დაუდევრად უპასუხა თათლასთანმა.

კამაჭიჭმა ბავშვი თან წაიყვანა. ის ღამე მშობლების სახლში გაათია, დილას უკანვე დაბრუნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გადავიდა თავის სახლში. დაიწყეს მითქმა-მოთქმა, რატომ ს-ძე არ მოდის -სიმამრის სანახავადო. ეს ამბავი გულს ტკენდა კამაჭიჭს, მაგრამ არ იმჩნევდა.

ბოლოს არა მარტო ქალებმა, კაცებმაც დაიწყეს უკმაყოფილების გამოთქმა და დაასკვნეს:

— მას რომ კამაჭიჭი სამუდამოდ უნდოდეს ცოლად, სულთმობრძავ სიმამრსაც ნახავდა, მაგრამ, ჩანს, სხვა რამ აქვს განზრახული.

რაც დრო გადიოდა, ეს ხმები უფრო ხშირად ისმოდა, მაგრამ თან არავის სჯეროდა, რომ ისეთ ლამაზს, ყოველმხრივ შემკულ ქალს ქმარი დატოვებდა.

როცა ალიასმა ცოტა მოიხედა, შეატყო კამაჭიჭი ქმრის უნებურად მოდიოდა მის სანახავად და უთხრა:

— ნურაფერს გააკეთებ, შვილო, ისეთს, რაც შენს ქმარს არ ესიამოვნება. თუ მას არ სურს აქ მოდიოდე შენ, ნუ მოხვალ. მოუარე ბავშვს და შენს თავს. თუ მოვკვდი, მაშინ მოდი და მიტირე. სხვა დროს, იცოდე, აქ აღარ მოხვიდე. — თქვა ეს ავადმყოფმა და თვალები ცრემლებით აევსო.

როცა ნიაღვრობა დაიწყება, მდინარეები უთუოდ გამოვლენ ნაპირებიდან და მათი ტალღები მთელ არეშარეს მოედებიან. ასევე, როცა ოჯახში შექმნილი ღრმა უთანხმოება თანდათან გაიზრდება და ზღურბლს გადაცდება, მაშინ საქმე მთელი სოფლის სალაპარაკო გახდება და მოსახდენიც რაც მალე მოხდება, უკეთესი იქნება.

აქა-იქ დაიწყეს ლაპარაკი, რომ კამაჭიჭს და მის ქმარს ერთმანეთში დიდი უსიამოვნება აქვთო და რაც დღემდე მათი ოჯახის საიდუმლოებას წარმოადგენდა, ახლა მთელმა სოფელმა იცოდა.

ხალხისათვის არც ის დარჩა გაუგებარი, რომ თათლასთანი კამაჭიჭს უკრძალავდა ავადმყოფი მამის ნახვას. მიუხედავად ამისა, ქალი მაინც თავისას არ იშლიდა და დროდადრო მცირე ხნით მამას მოინახულებდა.

მშობლები ყოველთვის ეუბნებოდნენ შვილს:

— თუ ქალი ხარ, ქმარს ნუ ეურჩები; ისე მოიქეცი, როგორც მას სურდეს. ეცადე როგორმე შეეწყო და ჩვენი გულისათვის ცხოვრებას ნუ გაიმწარებ.

ალიასმა, ყველას გასაოცრად, სძლია სენს და მოხუცს თანდათან გამოკეთება დაეტყო.

კამაჭიჭმაც შეწყვიტა სიარული.

ერთი თვის შემდეგ ალიასი ფეხზე წამოდგა.

დრო გადიოდა. ცოლ-ქმარს შორის კი უთანხმოება მწვავდებოდა. „თათლასთანი ღრჯუ ხასიათის კაცია, მისი მორჯულება არ შეიძლებაო", — ამბობდა ერთი.

„რა კაციც კამაჭიჭს ვერ იგუებს, ვინც მის სილამაზეს და ბუნებას ვერ დააფასებს, ის სხვასთან სულ ვერ მოძოვს. კამაჭიჭისთანა ქალი სანთლით საძებარია, პირდაპირ ციდან ჩამოსულ ანგელოზს ჰგავს, რა აქვს იმას დასაწუნი! არა მგონია ასეთ ქალს თათლასთანი შეელიოს.. ალბათ, მალე ინანებს თავის საქციელსო", — ამტკიცებდა მეორე.

„მართალია, ცოლი რომ გაწიროს, ბავშვს ვერ დათმობსო", — კვერს უკრავდა მესამე.

მაგრამ მითქმა-მოთქმა არ ცხრებოდა.

ალიასმა ერთ საღამოს თავის გულის წუხილი გაანდო თორყანსა და მაცის. თორყანმა და მაციმ თითქმის ყველაფერი იცოდნენ, რაც კამაჭიჭის თავზე ხდებოდა, მაგრამ როცა იგივე ამბავი ალიასის პირით გა-

იგონეს უფრო დაწვრილებით კამაჭიჭისადმი სიბრალულით აევსოთ გული. ალიასის გადმოცემით, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მის ავადმყოფობამდეც ჰქონიათ უსიამოვნება ერთმანეთს შორის.

— რომ ვკითხო ჩემს სიძე ბატონს, — მსჯელობდა ალიასი, — რაშია ჩემი ქალიშვილი დამნაშავე, რა არ მოგწონს მისი, იქნებ სიტყვაპასუხი არ უვარგა, იქნებ ცუდი დიასახლისია, იქნებ უხასიათოა-მეთქი, ვაითუ მითხრას, რა შენი საქმეაო არა და შეიძლება შვილი დამიჭლექდეს და მერმე ველარაფრით ვუშველო.

— თათლასთანი ნამდვილ რვთის რისხვად მოგვევლინა ჩვენ, — დაიწყო თორყანმა, — ჩვენ შორის დარჩეს და გეუბნებით, ან რომელიმე ჩვენგანი დაიღუპება მისი ხელით, ან ჩვენ მიგვიყვანს იმ ზომამდე, რომ გვაიძულებს მისი სისხლი დავღვაროთ. სანამ შენთან მოვიდოდით, მანამდე მე და მაცი კარგახანს ვლაპარაკობდით ამ საგანზე, მაგრამ ვერავითარ გამოსავალ გზას ვერ მივაგენით. აქამდე ის გვაწუხებდა, რომ საქონელს გვპარავდნენ, ახლა უარეს დღეში ჩაგვაგდო. მაგრამ ჩემი აზრით ჯერ ჯერ საჭირო რამე ვუთხრათ, ან რამე გავუკეთოთ მას, დავიცადოთ კიდევ, დრო გვაჩვენებს როგორ უნდა მოვიქცეთ. გარდა ამისა, ჩვენ არ ვიცით თვითონ კამაჭიჭი რას ფიქრობს. ვიდრე ამას არ გამოვარკვევთ, ჯობია ყველაფრისგან შეეიკავოთ თავი. მივცეთ კამაჭიჭს საშუალება, კარგად აწონ-დაწონოს ყველაფერი და მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება. მერმე უფრო ადვილია დავასკვნათ რა გზას დავადგეთ. მაგრამ ამავე დროს გვმართებს თვალყური კარგად ვადევნოთ მათ ცხოვრებას.

ალიასი დიდი ყურადღებით უსმენდა თორყანს. მისი უკანასკნელი სიტყვები ჭკუაში დაუჯდა; „მართლაც — გაიფიქრა მან, — ჩემს ქალიშვილს დაბეჯითებით ჯერ ჩემთვის არაფერი უთქვამს, არ ვიცი რა სურს და რა გზაზე აპირებს დადგომას". მაგრამ იმავე დროს ალიასი გრძნობდა, რომ კამაჭიჭი ისეთი როდი იყო, მოსულიყო მამასთან და დაეწყო ჩივილი. თუ საჭირო იქნებოდა, ქმარს თვითონ გასცემდა პასუხს და თვითონვე დაიცავდა თავის ღირსებას.

—მე მინდოდა თქვენგან მიმეღო რჩევა, — თქვა ალიასმა, — თუ როგორ მოვქცეულიყავი, რადგან მოსვენება დამიკარგა სოფლად დარჩეულმა ჭორმა. ვინც კი შემხვდება, ყველა მეკითხება კამაჭიჭის ამბავს. არ ვიცი, ვეცოდები მათ თუ უბრალო ცნობისმოყვარეობა ამოძრავებთ.

თორყანმა კვლავ მტკიცედ უთხრა:

— ვიდრე შვილისაგან არაფერს შეიტყობ, ნურაფერ ღონისძიებას ნუ იხმარ. ტყუილა როდია ნათქვამი: „მდინარესთან ვინც ახლოა, ფონიც მან უფრო კარგად იცისო". დიახ, კამაჭიჭმა ყველაზე უფრო კარგად იცის რაც უნდა გააკეთოს. თუ კი დასჭირდება ჩვენი სიტყვა, ჩვენი

გამოცდილება, ჩვენი ძალა, თვითონ გვეტყვის. ხოლო ვინ რას ლაპარაკობს, მისი აყოლა ჩვენ არ გვარგია.

მაციც დაეთანხმა თორყანის რჩევას.

XXXVI

თათლასთანს ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უთქვამს კამაჭიჭისთვის: „ჩემი მეუღლე". სხვებთან მასზე ლაპარაკს იგი ყოველთვის ერიდებოდა.

შინ ყოფნისას მუდამ ამრეზილი იყო, ცოლს იშვიათად გასცემდა ხმას, თუ რამეს ეტყოდა, იმასაც უკმეხად. კამაჭიჭი ყველაფერს ამას ითმენდა. ქმართან უსიამოვნების შესახებ სხვებთან კრინტსაც არ ძრავდა.

თათლასთანი არა მარტო ცოლთან იყო წარბშეკრული, არამედ გარეშეებთანაც მარქენალი მოზვერივით იქცეოდა. კამაჭიჭი ცდილობდა მისი ეს უნირობა სხვების თვალში სხვადასხვა მიზეზით გაემართლებია.

როცა კამაჭიჭთან მისი დამოკიდებულება ყოველგვარ საზღვარს გადაცილდა, თათლასთანის გამზრდელის ოჯახის წევრები დიდიან-პატარიანად ისე განიცდიდნენ ამას, როგორც დიდ უბედურებას.

ერთხელ გამზრდელმა საგიასმა გაბედა და თათლასთანს მოიარებით აგრძნობინა, რომ იგი ცოლს უმართებულოდ ექცევა.

თათლასთანმა არაფერი უპასუხა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს, ადათისამებრ, რცხვენოდა გამზრდელთან ცოლის გამო ლაპარაკი.

ძმობილები და დობილები კი დუმდნენ. იმათ არც იცოდნენ როგორ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ძმობილის წინაშე. იცოდნენ მხოლოდ, რომ კამაჭიჭი ლამაზი იყო, სათნო, კეთილი გულის პატრონი და გამრჯე. მაგრამ იმავე დროს არაერთხელ დარწმუნდნენ იმაშიდაც, რომ კამაჭიჭი ჩვეულებრივ ქალს სრულებითაც არ ჰგავდა. საჭიროების დროს ის ამაყი იყო და გორროზიც. ვაგლახად შეურაცხყოფას არავის აპატიებდა. ამიტომ ზოგჯერ ეშინოდათ კიდეც, კამაჭიჭი მოთმინებიდან არ გამოსულიყო და თათლასთანისათვის სამაგიერო არ მიეზღო.

კამაჭიჭი ბავშვობაშიაც ამაყი და გამბედავი იყო, მაგრამ ეს სიამაყე არასოდეს არ გადაქცევია ეგოიტივმოყვარეობად. ის მხოლოდ ცდილობდა არავის გაექელა მისი ღირსება, მისი კეთილი გული. დრომდე მოთმენაც იცოდა. სხვა დროს იშვიათ თავაზიანობას იჩენდა და საოცრად ტკბილი ენა ჰქონდა.

— კამაჭიჭი სულაც რომ უთვისტომო იყოს, თვითონაც შეძლებს მტერს მტრულად დახვდეს, — ამბობდნენ თათლასთანის ძიძიშვილები. მაგრამ იცოდნენ თათლასთანის ხასიათიც და ყოველდღე ელოდნენ მათ გაყრას.

განსაკუთრებით ბოლო ხანებში კამაჭიჭი აშკარად ხედავდა, რომ ქმარმა მასზე სავსებით აიყარა გული, სხვებისაგანაც ესმოდა კილოკავად, რასაც უპირებდა თათლასთანი, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა და ხალხის ლაპარაკსაც ვითომდა ყურადღებას არ აქცევდა.

მშობლები და ნათესავები კამაჭიჭმა გააფრთხილა, სრულებით არ ჩარეულიყვნენ მათ საქმეში. ისინიც ხმაგაკმენდილი იყვნენ.

ერთხელ კამაჭიჭმა მათ აცნობა:

„ამ დღეებში, ალბათ, ჩვენ გავიყრებით, მაგრამ არ ვიცი როგორ იქნება ჩვენი ბავშვის ამბავი. როგორც ვატყობ, იგი აპირებს ბავშვი წამართვას. თუ მართლა ასე მოიქცა, მაშინ თავის თავს დააბრალოს რაც მოუვა. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ჯერჯერობით განზე იდექითო“.

კამაჭიჭმა დანამდვილებით გაიგო, რომ თათლასთანს საიდუმლოდ მართლაც დაენიშნა ჩაგუს ქალიშვილი ხიმური. თათლასთანს თურმე უთქვამს: როგორც კი კამაჭიჭს გავშორდები, მაშინვე ქორწილს გადავიხდიო.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა.

ალიასი და მისი ნათესავები პირდაპირ გაცოფდნენ.

„თუ ეგ კაცი მართლა აპირებს სხვა ქალის შერთვას, შენ რაღას უზიხარ მანდ?“ — შეუთვალეს რაფიდას პირით კამაჭიჭს.

რაფიდა მივიდა და კამაჭიჭს გადასცა დაბარებული.

კამაჭიჭმა უპასუხა:

— მე ვიცოდი, მამაჩემი და ჩვენი ნათესავები შეშფოთდებოდნენ ამ ახლად დარხეული ხმების გამო, მაგრამ, დე, მამაჩემი და ჩემი ნათესავები ისხდნენ მშვიდად. როცა გამომაგდებენ, მე თვითონ მოვალ შინ. ჩემი ნებით მე იმიტომ არ ვაპირებ წამოსვლას, რომ ბავშვის დატოვება არ მინდა. მართალია, მასაც ძლიერ უყვარს ბავშვი, მაგრამ მე სულ არ შეიძლია უიმისოდ გაძლება. ის სწორედ ბავშვის გამო ვერ მელევა ჯერ. სურს ჩემს ხელში იმდენად წამოიზარდოს, რომ უდედობა იოლად აიტანოს. აი, ძალაუნებურად რა გვაერთებს დღემდე. ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენ ხანს ან ივი გამომაგდებდა, ან თვითონ მე მივატოვებდი მას. ასეა ჩემი მდგომარეობა. ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. ვიმეორებ, ჩემი ჭირისუფლები წყნარად იყვნენ. თუ რამე დამჭირდა, თვითონ ვაცნობებ.

რაფიდა დაღონებული დაბრუნდა.

მძიმედ გადიოდა დრო.

ზამთარი იყო. ყინავდა.

კამაჭიჭი მძინარე ბავშვის ლოგინთან იჯდა და თვალს არ აშორებდა პირმშოს.

ამ დროს ოთახში ტირილით შემოვიდა თათლასთანის დობილი მინა.

— რა მოგვიდა, რა გატირებს? — გაოცებით შეეკითხა კამაჭიჭი და ზეზე წამოვარდა.

მაგრამ მინამ კარგახანს ვერაფერი უპასუხა. კამაჭიჭი მივიდა, მოხვია ხელი, თავზე აკოცა და კვლავ ჰკითხა:

— თქვი, რა გატირებს?

როგორც იყო მოიკრიბა ძალა მინამ და უთხრა:

— ჩვენმა გაზრდილმა თათლასთანმა გამომგზავნა და შენთან დამაბარა: „მე მეგონა აქამდე თვითონ შენი ნებით წახვიდოდი, მაგრამ რადგან ვერ მიხვდი, ახლა გეუბნები — ამიერიდან ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია და ორ დღეში აქაურობა დატოვეო“.

— ბავშვი! — აღმოხდა კამაჭიჭს.

— ბავშვიც უნდა დატოვოო! — ქვითინით უპასუხა მინამ.

კამაჭიჭი გაქვავდა. ერთ წუთს თვალთ სრულებით დაუბნელდა. მერმე ენაჩავარდნილს ერთბაშად მდუღარე წასკდა და ბოკვერწართმეულ ძუ ვეფხვივით მივარდა ბავშვს, ჩაიკრა გულში და დაუწყო გიჟივით კოცნა.

ბავშვმა გაიღვიძა, შეშინებული, დიდი სხივოსანი თვალები დედას მიაპყრო და შეუღუღუნა:

— დედა!

ბავშვი თითქოს მიხვდა, დედის თავზე რაც ხდებოდა, თითქოს იგრძნო სამუდამოდ აშორებდნენ დედის მკერდს, მის მოყვარულ ხელებს და საოცარი ხმით დაიწყო ტირილი.

ტიროდა ბავშვი.

ტიროდა კამაჭიჭი.

ტიროდა მინაც.

თათლასთანი?

იგი კამაჭიჭის მაგივრად მალე მოიყვანს თავადის ქალიშვილს, გამართავს ქორწილს, პირველ რიგში დაპატიჟებს დაპირებისამებრ მურზაყანს.

იქნება სიმღერა, ცეკვა.

კამაჭიჭი გულში იკრავს შვილს და კვლავ მხურვალედ კოცნის. კოცნის ზედიზედ, რადგან შემდეგში საშუალება აღარ ექნება შორიდანაც კი შეხედოს.

მათ მნახველს ქვის გულიც რომ ჰქონოდა, მაინც ეტკინებოდა.

და ტიროდა მინა.

კამაჭიჭს, მიუხედავად ქმრისგან მრავალჯერ მიყენებული უსიამოვნებისა, შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ქალწულებრივი ლამაზი იერი. ახლა კი ერთბაშად შეიცვალა მისი ვაჟკაცური გულიც. გატყდა მისი სიამაყე. დგას ბავშვით ხელში და უმწეოდ ღვრის ცრემლებს. ვერა-

ფერი მოუფიქრებია თავისი დედური, თავისი ქალური ღირსების დასაცავად.

თათლასთანმა დღეს განსაკუთრებით აგრძნობინა, რომ იგი მის წინაშე არარაა. მისი მშობლებიც, მისი ნათესავებიც მასთან ერთად დღეს უწყალოდ გასთელა მან.

ზამთრის მოკლე დღე ტირილში გაატარა კამაჭიჭმა.

საღამოს, როგორც იყო დააძინა ბავშვი, მერმე მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და მინას პირით შეუთვალა თათლასთანს მოსულიყო.

შემოვიდა.

კამაჭიჭმა თხოვა დაერთო ნება ბავშვი თან წაეყვანა.

— რაც შემოგითვალე, ის ჩემი უკანასკნელი სიტყვაა. აცნობე შამაშენს, მოვიდეს და წაგიყვანოს. შეგიძლია მარტოც წახვიდე.

— რატომ მექცევი ასე სასტიკად თათლასთან?

—ბევრი ლაპარაკის თავი არ მაქვს. ბავშვი დაუტოვე ჩემს ძიძას. თუ გინდა შამაშენის სახლამდე გაგაცილებს რომელიმე ჩემი ძმობილი, ან მინა წაგყვება.

— მე მარტოც კარგად გავიგნებ გზას, მაგრამ ბავშვი არ შემიძლია დავტოვო. უჩემოდ ვერ გაძლებს, დაიწყებს ტირილს, მოიწყენს. იქნებ უარესიც რამ დაემართოს. მას მაინც ნუ გაწირავ, ამას გთხოვ მხოლოდ.

— ბავშვი ჩემია და არა შენი, იცოდეთ კარგათ!

— რად გინდა გლეხი ქალისაგან ნაყოლი შვილი?

— ეს მე ვიცი, შენი საქმე არაა!

— კარგი. იმის ნება მომეცი, ვიდრე პატარაა, ჩემთან იყოს, წამოიზრდება და წაიყვანე, თორემ ახლა უჩემოდ უთუოდ დაიღუპება. შენ მე მაგდებ ჯოხით, რა გაეწყობა, გამაგდე, მე გლეხის ქალი ვარ, მოვითმენ. მაგრამ შენთვისაც უფრო კარგი იქნებოდა, თავიდანვე ხელი აგეღო ჩემზე.

— შენ რა, მექადნები? — იყვირა თათლასთანმა. — გეუბნები წადი, მიეთ-მოეთები რა საჭიროა!—თათლასთანმა კარი გაიჯახუნა და წავიდა.

კამაჭიჭს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, გამუდმებით უცქეროდა მძინარე შვილს და უხმოდ ტიროდა.

ხანდახან ბავშვი ძილში შეკრთებოდა და უნებურად თვალს გაახელდა.

დილას შეიკრიბნენ თათლასთანის ღვიძლი ძმები და დები, ძიძიშვილები, აქვე იყო ძიძა და გამზრდელი.

— რადგან აუცილებლად გინდა გაეყარო, ბავშვიანად გაუშვი, ცალცალკე ქალიც ცოდვაა და ბავშვიც, — თხოვეს როგორც გამზრდელის ოჯახის წევრებმა, ისე ღვიძლმა და-ძმებმა, მაგრამ თათლასთანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ორი დღეც აღარ ადროვა:

— ახლავე წავიდეს აქედან, თორემ ეზოს გადაღმა ძალით გადავათრევ.

დილითვე როგორღაც გაეგოთ კამაჭიჭის ამბავი და მაშინვე წამოსულიყვნენ ალიასი, ესმა, თორყანი, მაცი, რაფიდა და სხვა ახლობლები.

მოსვლისთანავე ძიძიშვილების პირით თათლასთანს შეუთვალეს, კამაჭიჭისათვის გაეტანებინა ბავშვი გასაზრდელად, მაგრამ ცივი უარი მიიღეს.

რაღა ექნათ, იძულებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის დაეცილებინათ ბავშვი და დედა. მაგრამ ბავშვმა თითქოს განგებ ჩაავლო დედას მკერდში ხელები და ვერაფრის გზით ვეღარ მოაცილეს. წინათ არავის უცხოობდა, ვინც ხელს გაუწვდიდა, მაშინვე გაუღიმებდა მას, ახლა დედის მეტი აღარავინ გაიკარა ახლოს.

კამაჭიჭისა და ბავშვის გარდა, ტიროდა ესმა, რაფიდა, ტიროდნენ სხვა ქალებიც. არა მარტო ქალებს, ამ სურათის მაცქერალ კაცებსაც ავსებოდათ ცრემლებით თვალები.

ბოლოს, როგორც იყო, მოგლიჯეს დედას მკერდიდან ბავშვი.

აქვითინებული კამაჭიჭი გაუდგა გზას.

კიოდა ბავშვი, მისი ტირილი დიდხანს ესმოდა თავდახრით მიმავალ კამაჭიჭს.

თათლასთანი ფიქრობდა, ბავშვი პირველად იტირებს, მაგრამ მალე შეეჩვევა ჩემს გამზრდელებს და დედა სულაც დაავიწყდებაო.

გავიდა დღე.

კამაჭიჭი თავის სახლშია. ზის, ტირის. არც ჭამს, არც სვამს. ბავშვის სახე გამუდმებით თვალწინ უდგას.

საღამოხანს კამაჭიჭმა გაგზავნა კაცი, რომ თათლასთანის გამზრდელის მეზობლებში გაეგო ბავშვის ამბავი.

მან აცნობა:

— ბავშვი პირში არაფერს იკარებს, ტირილითა და შიმშილისაგან ძალზე დასუსტებულა. ბავშვის მომვლელები საშინელ დღეში არიან, არ იციან რა ქნან. თათლასთანიც იქაა. ვიღაც ქალი, შენებრ ჩაცმული, შენი ხმით ელაპარაკება ბავშვს, მაგრამ ბავშვი არ ეკარება. პირველად, თურმე, როცა ის ქალი დაუნახავს, შენ გონებიხარ და გაჩუმებულა, მაგრამ როგორც კი უგრძვნია, სხვა არისო, მაშინვე ისევ გაუბამს ტირილი.

კამაჭიჭი ამ ამბავმა მთლად გაანადგურა, მუხლები მოეკვეთა. მეხუთე დღეს თათლასთანის ძიძამ კამაჭიჭს გამოუგზავნა კაცი და შემოუთვალა:

— შენს უბედურებას ჩვენ ყველანი ვიზიარებთ. შენ თვითონ კარგად იცი როგორ შეგვიყვარდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერში გა-

მოგადექით. რაც შენ წახვედი, ბავშვი ვერ იქნა და ვერ დავაწყნარეთ. ვერც ვერაფერი შევაჭამეთ. სიკვდილის პირასაა. მოდი, იქნებ მოიხედოს.

ის იყო, თალხი ეპარებოდა ცას, კამაჭიჭმა მაშინვე შეკაზმა ცხენი და გაიქცა. გიჟივით შევარდა სახლში. ბავშვი გაოგნებული იწვა, ტირილის თავიც აღარ ჰქონდა.

როცა კამაჭიჭმა რამდენჯერმე დაუძახა სახელი, ჩამქრალი თვალები ოდნავ გაახილა და ამოილუღლუღა:

— დედა! — ეს თქვა, მისუსტებული ხელი ჩაუყო უბეში და მოკვდა.

კამაჭიჭი ქვითინით დაემხო შვილის ცხედარს.

კარგახანს მერმე წამოდგა.

— შენს გზას მალე გაჰყვება მამაშენიც! — წაიჩურჩულა მან, საჩქაროდ გავიდა გარეთ. შეჯდა ცხენზე და სიბნელეს მისცა თავი.

XXXVII

ამბობდნენ, კამაჭიჭი ვაქკაცური ბუნების - ქალიაო, საჭიროების დროს შეუძლია ნამდვილი გმირობა ჩაიდინოსო, მაგრამ თათლასთანის წინააღმდეგ ჯერჯერობით იგი ხმასაც არ იმაღლებდა. ამას ზოგი იმით ხსნიდა, რომ კამაჭიჭს თითქოს ეშინოდა, თათლასთანის ნათესავებს სამაგიერო მისი მშობლებისათვის არ გადაეხადათ. ზოგი ფიქრობდა, რომ კამაჭიჭი დღეს იქნებოდა თუ ხვალ თათლასთანს სასტიკად ანანებდა მისდამი ასეთ უდიერ მოპყრობას.

თათლასთანის ძმებსა და დებს, მის ძიძიშვილებს ძილი ჰქონდათ გამკრთალი იმის გამო, რომ კამაჭიჭს შეიძლებოდა ყოველ წუთს გამოეჩინა თავისი ვაქკაცური გული და თათლასთანისათვის მზე დაებნელებინა. ამაში მით უფრო იყვნენ დარწმუნებულნი, თათლასთანი კამაჭიჭის წინაშე დამნაშავედ მიაჩნდათ. მართლაც, თათლასთანმა იგი მოიტაცა, ძალად შეირთო ცოლად, შემდეგ ჩააყენა ხასის მდგომარეობაში, ბოლოს კი სრულიად უმიზეზოდ სახლიდან გააგდო.

ესეც არ აკმარა.

შვილი მკერდიდან მოგლიჯა.

რა დაშავდებოდა იმით, რომ წაეყვანა თავისი შვილი და გაეზარდა?

თათლასთანმა განგებ გათიშა დედა და შვილი, თითქოს უნდოდა ბავშვი მომკვდარიყო, რომ არც ერთს არ ჰყოლოდა იგი.

თათლასთანი ნათლად ხედავდა, რომ ბავშვს უდედოდ უთუოდ სიკვდილი ელოდა. ხუთი დღე-ღამის განმავლობაში ბავშვი არაფერს ჭამდა და განუწყვეტლივ, გულისგამგმირავად ყვიროდა: „დედა!“ ასეთ დღეში ჩავარდნილი შვილისადმი თათლასთანს უბრალო სიბრალულის გრძნობაც კი არ გამოუჩენია.

კამაჭიჭს რომ დროზე მოესწრო, ბავშვი აუცილებლად გადარჩებოდა, მაგრამ დედას დაუძახეს მაშინ, როცა მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჰქონდა, როცა მთავარი სული აღარ ედგა, როცა მისი გამობრუნება არა თუ სათუო, არამედ აშკარად შეუძლებელი იყო. კამაჭიჭი თითქოს მხოლოდ იმიტომ მოიყვანეს. რომ თავის ხელებით დაეხუჭა პირმშოს ლამაზი თვალები.

შვილის სიკვდილის შემდეგ კამაჭიჭი ერთთავად სახლში ჩაიკეტა.

ფინჩხსაც არ იდებდა პირში, ერთი წვეთი წყლითაც არ ისველებდა გამშრალ ენას.

გახდა, გაფითრდა.

შავებით მოსილი სწორედ მოჩვენებას ჰგავდა.

ქმრისაგან დამცირებული, ლაფში ამოსვრილი, ძალით შვილმოკლული, იჯდა თავდახრილი და დასტიროდა თავის მწარე ხვედრს.

კამაჭიჭი თითქოს დაჩიავდა, ბედს დამორჩილდა. იგი არა თუ ვაჟკაცური და ამაყი იყო ახლა, არამედ უბრალო ქალადაც აღარ ვარგოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონათ გარეშეებს. ნაქმარევს და მის ნათესავებსაც სწორედ ეს უნდოდათ. თათლასთანს შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო, ძილი არ დაეფრთხო, კამაჭიჭის მხრით მას საშიშროება აღარ ელოდა. როგორც უამბობდნენ, მისი ნაცოლარი უკვე ცოცხლებში აღარ ეწერა.

ერთხელ, როცა კამაჭიჭი ღრმად დაფიქრებული იჯდა, უცებ გაახსენდა, რომ თათლასთანი 25 იანვარს უნდა გამოცხადდეს ოჩამჩირეში მოსამართლესთან რაღაც საქმის გამო. გაყრის წინა დღეებში კამაჭიჭმა თვითონ წაუკითხა წერა-კითხვის უცოდინარ ქმარს ოჩამჩირედან მოსული უწყება.

25 იანვარიც ხვალაა.

კამაჭიჭმა ისიც იცოდა, თუ რომელი გზით უნდა წასულიყო ოჩამჩირეში თათლასთანი, ვიდრე დიდ შარაგზაზე გავიდოდა.

თათლასთანი, ალბათ დილით გაემგზავრება, რომ მოსამართლესთან დროზე გამოცხადდეს.

კამაჭიჭი ერთბაშად გამოცოცხლდა.

მაშინვე საიდუმლოდ შეუდგა დამბაჩის წმენდას, მოიმზადა მამის ჩოხა-ახალუხიც.

ყველაფერი გაითვალისწინა, აწონ-დაწონა.

დედამ შეატყო, რაღაც მზადებაში რომ იყო კამაჭიჭი.

— რას აპირებ, შვილო, გინდა თავი მთლად დაიღუპო და ჩვენც ცოცხლად დაგვმარხო? — უთხრა ტირილით ესმამ.

—მე მინდა, დედა, რიჟრაჟამდე ვნახო შვილის საფლავი, ისე რომ არავინ შემამჩნიოს. ვნახავ, ცოტა გულს მოვიოხებ და უკანვე დავბრუ-

ნდები. მაგრამ არავის უთხრა ეს, თორემ მე კი არა, შენ დაგვღუპავ ყველას.

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, ესმამ მაინც ვერ მოითმინა და ალამოს შინ დაბრუნებულ ალიასს უამბო კამაჭიჭის უცნაური ქცევის შესახებ.

მამამ უთხრა:

— დღით წადი, ღამით რა გინდა სასაფლაოზე?

— ვიდრე იქ მივიდოდე, გათენდება კიდეც. მე არ მინდა ეს ვინმემ იცოდეს, არ ვიცი რატომ, მაგრამ არ მინდა. თქვენც ნურავის ნურაფერს ეტყვით, მე კი როგორც შეუმჩნევლად წავალ, ისე შეუმჩნევლად დავბრუნდები. თუ მანამდე რომელიმე მეზობელი მოვიდეს, უთხარით, რომ მთელი ღამის უძინარს თითქოს განთიადისას ჩამეძინა და ჩემს ოთახში არ შეუშვათ.

ალიასი და ესმა შიშმა აიტანა, მაგრამ ისევ სიჩუმე არჩიეს. რაც მოსავალია, მოვიდეს ბარემო, — დაასკვნეს.

კამაჭიჭი მზადებას განაგრძობდა. ყველაფერს რომ მორჩა, სინზე უმარილის ფხვნილი გახსნა. ალიასი და ესმა გაკვირვებით ადევნებდნენ თვალს შვილის მოქმედებას, მაგრამ არაფერს ეუბნებოდნენ.

ნაშუაღამევს კამაჭიჭმა ჩაიცვა კაცურად, საგულდაგულოდ გატენილი დამბაჩა წელთან ქამარში გაირჭო, მოიხურა ნაბადი და გავიდა თავლაში.

კამაჭიჭმა შეკაზმა ცხენი, მერმე შუბლზე თეთრი სითხით გამოუსახა ვარსკვლავი, რომ არავის ეცნო, და გაუდგა გზას.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, ყინავდა. თოვლი თეთრად ქათქათებდა.

კამაჭიჭი ტყის ბილიკით გავიდა დიდ შარაზე, მერმე საურმე გზაზე გადაუხვია, რომელზედაც უნდა გამოევლო თათლასთანს.

კამაჭიჭს თავი ყაბალახით ჰქონდა წაკრული, დიდი ნაბადი ისე ეხურა, ცხენს მარტო თავი და ფეხები უჩანდა.

ინათა.

გამოჩნდა ცხენოსანი.

კამაჭიჭმა იცნო თათლასთანი.

ცხენი ოდნავ ააჩქარა.

მიახლოებისთანავე შეცვლილი ხმით შიესალმა, როგორც მგზავრი მგზავრს:

— დილა მშვილობისა!

— მშვიდობა არ მოგეშალოს! — უპასუხა თათლასთანმა და ადათისამებრ, მარჯვენა ხელი ასწია. ამ დროს გაეხსნა ნაბადი.

უცებ ორჯერ ზედიზედ იგრიალა დამბაჩამ და ორივე ტყვიამ თათლასთანს მკერდში გაუარა.

თათლასთანი გვერდზე გადაეკიდა.

დამფრთხალი ცხენი თეთრად დათოვლილ ჩირგვებიან მინდორში დაეშვა. კამაჭიჭს უნდოდა სიკვდილის წინ თვალებში ჩაეხედა იმ კაცისათვის, რომელმაც ამდენი ტანჯვა მიაყენა მას, მაგრამ მკვდარმხედრიანი ცხენი უკვე შორს გარბოდა.

— აჰაი! — ჰკრა მან დეზები თავის ცხენს და შინისაკენ გაქუსლა, განთიადის შუქი თანდათან ძლიერდებოდა.

1937

სამსონ ჯანბა

გამოჩენილი აფსახი მწერალი-დრამატურგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე სამსონ იაკობის ძე ჯანბა დაიბადა 1886 წლის 18 ივნისს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება სამსონ ჯანბამ მიიღო დრანდის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში, სწავლობდა სოხუმის მთიელთა საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ კი დაასრულა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ქუთაისში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციებში. 1907 წ. ს. ჯანბა მასწავლებლობდა კუტილის ორკლასიან სკოლაში. 1914 წ. მან დაამთავრა ხონის სამასწავლებლო სემინარია. აქ მას სხვა მასწავლებლებთან ერთად ასწავლიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი და მეთოდისტი ტრიფონ თაბუკაშვილი. სამასწავლებლო სემინარიის დამთავრებისა და მასწავლებლის წოდების მინიჭების შემდეგ ს. ჯანბა მასწავლებლად მუშაობდა აფსაზეთის სხვადასხვა სკოლაში. 1916 წლიდან კი სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში ასწავლიდა მშობლიურ ენასა და გეოგრაფიას. ამავე წლიდან იწყება მისი ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა.

აფსაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ს. ჯანბა შედის კომუნისტური პარტიის რიგებში და აქტიურად მოღვაწეობს ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. მუშაობდა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე. იყო აფსაზეთის განათლების სახალხო კომისარი, 1923—1930 წწ. აფსაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. 1932 წ. ს. ჯანბა დაინიშნა აფსაზური კულტურის ინსტიტუტის დირექტორად. იგი წლების მანძილზე სათავეში ედგა აფსაზეთის მწერალთა კავშირს.

სამსონ ჯანბა აფსაზური ეროვნული დრამატურგიის და აფსაზური ნაციონალური თეატრალური ხელოვნების ფუძემდებელია. იგი აფსაზური პროზის ერთ-ერთი მამამთავარია. მის კალამს ეკუთვნის «მატარებელი № 8», რომელიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი. ს. ჯანბა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი აფსაზური ალფაბეტის შემუშავებაში, დ. გულიასთან ერთად აფსაზური ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებასა და განვითარების ეროვნულ საქმეში.

ს. ჯანბას პირველი მხატვრული ნაწარმოებები დაიბეჭდა 1919 წელს გაზეთ «აფსნში». მას დიდი შემოქმედებითი და ძმური მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა რუს და

ქართველ გამოჩენილ მწერლებთან. მის კალამს ეკუთვნის მრავალი თხზულება, მათ შორის რომანტიკული პოემა «მთის ქალწული», დრამები: «მაპაჯირი», «აფსნი ხანუმი», «კერაზი», მოთხრობა «სეიდიყი» და ნოველები: «ტანჯვის სიმღერა», «ოი, ალაჰ, ალაჰ», «ბერმუხა», «პაპისეული კერის ქვა» და სხვა. ნაწარმოებთა დიდ უმრავლესობას თარიღი არ უზის, მათ შორის ქრესტომათიაში შეტანილ თხზულებებსაც.

ს. ჯანბა გარდაიცვალა 1937 წ.

ტანჯვის სიმღერა

ცად აზიდულ ბუმბერაზ მთებს ტრიალი ველი შემოუკალთავს.

მაღლა, სულ მაღლა ფრიალო კლდეების თავზე მოცურავე თეთრი ღრუბლები ქულა-ქულა გაფანტულან.

შუაგულ მინდორში განმარტოებით მდგარი მრავლისმოწმე ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ სოფლის თავკაცებს მოეყარათ თავი. ისხდნენ და მშვიდად ბაასობდნენ, ქვეყნის ავკარგს არჩევდნენ.

გარინდული ახალგაზრდობა მოკრძალებით უსმენდა ბერიკაცებს. თითქოს მთებიც გარინდულიყვნენ, ჩქამს ვერსაიდან გაიგებდით. ლაპარაკობდა მოხუცი ჰაჯმათი — სოფსაბჭოს წევრი.

თავზე თეთრი ყაბალახი შემოეგრაგნა, ჩანჩქერის ქაფივით, ქათქათა წვერი მიწაზე სცემდა.

დიდხანს ილაპარაკა მოხუცმა. ბოლოს გაჩუმდა.

თითქოს ამას ელოდაო, წამოიშალა ახალგაზრდობა, წრე შეკრა. ცეცხლი მოედო არემარეს. მოხუცებს სიხარული ჩაუდგათ თვალში. თითისწვერებზე შემდგარ შვილებს რომ შეჰყურებდნენ, თავიანთი სიჭაბუკე აგონდებოდათ. ჰოდა, აკი ვერც მოითმინა მოხუცმა ჰაჯმათმა. შუაგულ ცეცხლში გაიჭრა, ხმალი იშიშვლა, ფეხები აათამაშა.

გახელდა ახალგაზრდობა, არ გვაჯობოსო, ხმლების ჭახაჭუხს უმატეს.

ბოლოს დაიღალნენ.

— ეჰ, — სინანული გაისმა ჰაჯმათის ხმაში, — ძვლები არ მღალატობდეს, მე თქვენ გაჩვენებდით როგორ უნდა ცეკვა. ასე კი არ ვტრიალებდი, ჰაერში დავფრინავდი.

ხალხმა თანაგრძნობით შეხედა მოხუცს.

— იქნებ რაიმე ძველი სიმღერა დააგუგუნოთ? — შეკადრეს ჭაბუკებმა.

— მოდით, რაც იქნება, ვიმღეროთ. დაე, გვისმინონ, გულში ჩაიბეჭდონ. შვილებს შემოუნახონ ჭაბუკებმა ჩვენი სიმღერები, — თქვა ჰაჯმათმა და „ტანჯვის სიმღერა“ წამოიწყო. დანარჩენებიც აჰყვნენ.

ეს იყო ნაღვლიანი, სევდით სავსე სიმღერა. გრძნობით მღეროდა მო-

ხუცი, გულშიჩამწვდომი ჰანგები მიდამოს ედებოდა, ციცაბო კლდეებს აწყდებოდა და ექოდ ბრუნდებოდა.

სულგანაბული უსმენდნენ ჭაბუკები.

სიმღერა მიწყდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა. ვერავინ ბედავდა მყუდროების დარღვევას, მხოლოდ ცაცხვის ფოთლები შრიალებდნენ.

ბოლოს ჰაჯმათმა ამოიოხრა.

— რა იყო, ჰაჯმათ? — ჰკითხა ხალხმა.

— არაფერი... — გამოფხიზლდა ფიქრებში წასული მოხუცი,—იცით, ამ სიმღერის ისტორია? არა? მაშ მისმინეთ, გიამბობთ.

— ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ.

ხომალდი თურქეთისაკენ მიაპობდა ტალღებს. ხომალდს თურქი მართავდა.

მოხუცი ჩაჰმათი თავის ოჯახთან ერთად ზღვის ნაპირზე იჯდა და თეთრ პეპელასავით მოფარფატე ხომალდს გასცქეროდა. თვალებში უსაზღვრო მწუხარება და ტანჯვა ეხატებოდა. გაპარტახებულ სოფელში მხოლოდ ისინიღა რჩებოდნენ — უკანასკნელი მაჰაჯირები!

რა უნდა ექნათ!? ბედს უნდა დამორჩილებოდნენ.

დღე დღეს მიჰყვებოდა და კვირა — კვირას. უსიხარულოდ მიდიოდა დრო. ირგვლივ გულისგამაწვრილებელი სიწყნარე იდგა.

მთაში თუ ბარში, მთის კორტოხზე თუ ხეობაში გადამწვარი ქოხების ბოძები ძაძით მოსილი ქალებივით იდგნენ. უკუნ ღამეში უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების ყეფა ან ბუს კივილი თუ გაისმოდა.

დიდხანს ებრძოდა ჩაჰმათი მშობლიური მხარის სიყვარულს, დიდხანს სწვავდა გულს ძმათა ბედ-იღბალი. ვეღარ აიტანა მარტოობა, საჩქაროდ გაემზადა და მაჰაჯირებს გაჰყვა კვალდაკვალ.

თურქეთის ხომალდმა წაიყვანა ის და მისი ოჯახი.

მოქუფრული ცა დასცქეროდა დევნილებს.

დარდისაგან გათანგულ მოხუცს აღარაფერი ესმოდა. იჯდა ხომალდის ქიმზე და ზღვის სიღრმეს ჩაშტერებოდა. მხოლოდ ხანდახან თუ ახედავდა ღამეულ ცას. ვარსკვლავების ხილვა გულს უხარებდა, მშობლიური ცის ნათებას აგონებდა.

უეცრად ტალღამ აიტაცა ხომალდი და ფიქრებში წასული მოხუცი გამოაფხიზლა.

ისევ ხომალდი, ისევ უკიდეგანო ზღვა. წინ საშინელი შორეთი, უკან გადამწვარი მხარე.

ცოტაც და დევნილები თურქეთის ნაპირს მიადგნენ.

მაჰაჯირებმა მიწას დახედეს. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. გადატრუსული მიწა წვავდა ფეხის გულებს. აუტანელი ხვატი იდგა.

გავიდა რამდენიმე დღე. კაციშვილისათვის არ მოუკრავთ თვალი. სურაში წყლის უკანასკნელი წვეთიც ამოშრა.

უკაცრიელი ველი გორებმა შეცვალეს, შემდეგ ისევ ქვიშნარს გაუყვნენ. უდაბნოში სიკვდილის სუნი ტრიალებდა.

— წყალი! — ძლივს ამოიკვნესეს მგზავრებმა და მაშინვე, თითქოს საპასუხოდ ნაცრისფერი მწვერვალიდან არწივის ყაშყაში გაისმა!

— ქიუ! ქიუ! — ელვასავით დასრიალებდა ჰაერში არწივი.

„ალბათ წყარო თუა ახლოს“, — გაიფიქრეს უბედურებმა და თვალი ვერ მოაცილეს არწივს: ფრინველმა რამდენჯერმე დაჰკრა ირაო და მთელი სისწრაფით სადღაც დაეშვა.

ჭაბუკი თემირი, ძე ჩაჰმათისა, წინ გაიჭრა, ეგებ თვალი მოვკრაო არწივს, მაგრამ ამაოდ, ფრინველი გაუჩინარდა.

— ვიღუპებით, — ამოიკვნესა ჩაჰმათმა.

— მამა, მე არწივს დავედევნები, ეგებ წყარო ვიპოვო, — თქვა თემირმა, მშობლებს გამოსათხოვარი მზერა მოავლო და წავიდა.

იგი აღარ დაბრუნებულა.

გავიდა რამდენიმე დღე, უბედურება ეწიათ დევნილებს, ჩაჰმათი და მისი ქალიშვილი მიწას მიაბარეს, ახლა გზაზე მოხუცი დედა და უმცროსი ვაჟიშვილი მილასლასებდნენ.

მალე გზაზე ჭაბუკის ცხედარი იხილეს.

თემირი იყო.

უბედურ დედას არც დაუკვნესია.

გავიდა კიდევ ერთი დღე.

ილაჯგაწყვეტილი დედა მდუმარედ მიჰყვებოდა გზას. ბოლოს დაეცა და მწუხარედ აღმოხდა: წყალი.

ხსნა არსაით ჩანდა.

თვალცრემლიანი შვილი უმწეოდ იდგა, მერე გვერდით მიუწვა მიწაზე დავარდნილ დედას... და აი, შვილმა „ტანჯვის სიმღერა“ წამოიწყო. მომაკვდავმა ქალმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, შვილს გადაეხვია და აჰყვა.

უკაცრიელ უდაბნოში, სიკვდილის სარეცელზე დედა-შვილი უკანასკნელ სიმღერას მღეროდა.

უცბად, სად იყო და სად არა, ისევ გაიქროლა არწივმა, „ქიუ-ქიუო“, დასძახა და ისევ გორაკს მიეფარა.

ზე წამოიჭრა უმცროსი შვილი, გაედევნა, გორაკს გაღმა, ხევში, წყარო მოჩუხჩუხებდა. შვილი შეშლილივით მიიჭრა წყაროსთან და თექის ქუდი წყლით აავსო.

— დედი, წყალი! — აღტაცებული გაჰკიოდა ძე ჩაჰმათისა და დედისაკენ მორბოდა.

მაღლა ცაში კი კამარა შეეკრა არწივს.

— მერე, ძია ჰაჯმათ, მერე? — ღელავდნენ ახალგაზრდები.

— მერე დედა-შვილი სამშობლოში დაბრუნდა. დედა მალე წავიდა ამ სოფლიდან.

— შვილი?

— შვილი კი მე ვარ.

მატარებელი № 6

(მოგონება)

მოსკოვში გორკადან ცნობა მოვიდა: „გარდაიცვალა ლენინი!"

„ალარ გვყავს მთის არწივი!"

გულს თითქოს უზარმაზარი ურო ეცემა...

თითქოს სევდით დაუხრიათ შეეერცხლილი თავი ამაყ მწვერვალებს.

მოსკოვში საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოიყარეს თავი საყვარელ ბელადთან გამოსამშვიდობებლად...

პაველეცკის სადგური. დილის ექვსი საათია. გამკრთალებულა ელექტრონის სინათლე. სიწყნარე სუფევს. ირგვლივ სევდა დამკვიდრებულა.

მატარებელი № 6 დგას ძაძებით მოსილი.

სხდებიან დელეგატები.

დაიძრა მატარებელი. ნელა მოსწყდა ადგილს მწუხარე ფიქრებით დამძიმებული. ნელა უახლოვდება გორკას.

თავჩაქინდრულნი, ნაღვლიანად დადუმებულნი ჩამომსხდარან დელეგატები. მათი ფიქრიც გორკას დასტრიალებს.

სიწყნარეა. მხოლოდ თვლების რახარუხი არღვევს მყუდროებას.

ყოველი სადგური ხალხითაა სავსე. დუმილით აცილებენ მატარებელს.

აჰა, უკანასკნელი სადგურიც — გერასიმოვო.

მატარებელი გაჩერდა.

სადგურიდან გორკამდე ხუთი კილომეტრია.

ორმოცდაათიოდე მარხილი გაიჭიმა გორკას გზაზე. ყინულის ელვარება თვალებს ჭრის დელეგატებს, ლოყებს უწვავს...

გამოჩნდა გორკა.

გული აუძგერდათ. წარმოუდგათ ილიჩის ფართო შუბლი.

არყისა და ფიჭვის რიგებში გამოკრთა თეთრი სახლი, სადაც გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი დღები ვლადიმერ ილიჩმა.

მალე ვნახავთ ვლადიმერ ილიჩს... მალე... მაგრამ... გულმა არ უნდა დაიჯეროს მისი სიკვდილი!

ლენინი არ მომკვდარა...

ჩუმად მივყვებით ხეივანს დიდი თეთრი შენობისაკენ. უხმაუროდ გვაცილებენ არყის და ფიჭვის ხეები.

აი აქ, ამ აგარაკზე გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ავადმყოფმა ილიჩმა.

ამ ხეივანში დააბიჯებდა, ამ სკამზე ჯდებოდა. მეზობლად მცხოვრებ გლეხებთან საუბრობდა. ალერსიან ბაბუა ლენინს არ სცილდებოდნენ სოფლელი ბალღები. აქ, მასთან რჩევის მისაღებად, მოდიოდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები....

ავდივართ ზედა სართულზე. აი, დიდი ლენინის ოთახის კართან ვდგავართ.

მღელვარება გვიპყრობს.

შევდივართ ოთახში. თვალში გვხვდება გათეთრებული შუბლი. ილიჩია... უძრავად წევს ყვავილებსა და მწვანე ფოთლებში ჩაფლულ კუბოში. ლოყები დანაოჭებია. თვალის უპეები ჩაშავებია. მკერდზე წითელი დროშის ორდენი უკეთია.

ბრძოლასა და შრომაში განუყრელი თანამებრძოლნი დგანან საპატიო ყარაულში. აქვეა ნადეჟდა კონსტანტინოვნა, მარია ილინიჩნა...

გარს ვუვლით ცხედარს, თვალს არ ვაშორებთ, რათა სამუდამოდ ჩავიბეჭდოთ გონებაში ბელადის სახე.

ეზო და ქუჩები ხალხითაა გაჭედილი. მშრომელთა საყვარელ ბელადთან გამოსამშვიდობებლად მოსულან გლეხები.

წითელი კუბო კიბეებზე ჩამოაქვთ. ძირს დგამენ.

თოვლის ფიფქები ნაზად ეცემიან ილიჩის შუბლზე და გაზაფხულის ყვავილების თეთრი ფურცლებივით ეფინებიან სახეზე.

კუბოს თავი დაახურეს. ასწიეს.

სევდიანად შეჰყურებს კუბოს წვეროსანი გლეხი და თავისთვის ბუტბუტებს:

—ჩვენი ილიჩი... მამასავით ზრუნავდა ჩვენზე... — და თავჩაქინდრული მიჰყვება კუბოს.

თოვლით გადაპენტილ ფართო ველზე გაიჭიმა გრძელი პროცესია. ყაბალახები, ფაფახები, ბეწვის ქუდები ერთმანეთში არეულა. წინ ილიჩის წითელი კუბო მიაქვთ.

სადგური.

ზუზუნით ხვდება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხედარს მატარებელი.

კვნესის მუსიკა.

მატარებელმა მოსკოვისაკენ იბრუნა პირი.

ყოველ სადგურზე მატარებელს აჩერებენ, სურთ ბელადს გამოეთხოვონ.

სასტიკ ყინვას არავინ უშინდება, ქუდებს იხდიან. თვალები ცრემლებითა აქვთ სავსე. გმინავს მუსიკა, გმინავს ხალხი.

ასეა ყოველ სადგურზე.

ისევ პაველეცკის სადგური. აქ მთელ მოსკოვს მოუყრია თავი.

წითელი მოსკოვის ქუჩებს მიჰყვება კუბო, რომელშიც ილიჩის ცხედარი ასვენია. მილიონები მისდევენ უკან.

ფანჯრებს მიჰკვრია დამწუხრებული სახეები. ცხელი ცრემლები ასველებენ მინებს. ტირის მოსკოვი, ტირიან საბჭოთა კავშირის მშრომელები.

კუბო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში დაასვენეს.

განუწყვეტელ ნაკადად მოდიან მუშები და გლეხები ბელადთან გამოსამშვიდობებლად.

წითელი მოედანი.

ცივა. კოცონები გიზგიზებენ.

ნაშუადღევის ოთხი საათია.

აბღავლდნენ საყვირები. აწივლდნენ სირენები. აზმუვლდნენ ავტომობილები. ყრუდ დაიგრგვინეს ზარბაზნებმა. მოსკოვი გაირინდა. გაირინდა მთელი საბჭოთა კავშირი — მავზოლეუმში ასვენებენ საყვარელ ბელადს...

პაპისეული კერიის ქვა

მზე ცისა და ზღვის შესაყარში თითქოს წამით შეჩერდა, მერე მოწყდა ადგილს, ვეებერთელა ცეცხლოვანი ბურთივით ჩაეშვა ზღვაში და უკვალოდ გაქრა.

დღე მიილია და ბინდი . ჩამოწვა სოფელში. კაკანითა და კრიახით აფრთხიალდნენ ქათმები კაჭბეის ეზოში მდგარი თხმელის ტოტებზე. შაშვები ერთიმეორეს ჭახჭახით უხმობდნენ და ღამის გასათევად ბუდეებისაკენ მიფრინავდნენ. ბღაოდნენ ძროხები. გარბოდნენ დედებისაკენ ხბორები.

ტურები მთელ დღეს განაბულნი იყვნენ ბუნაგებში, ღამეს უცდიდნენ. ახლა, როგორც კი დაიბინდა სათვალხილეთი, ასტეხეს ერთი ღრიანცელი, გააბეს კივილი, შეაძრწუნეს ტყე. მათ საპასუხოდ, სოფელში ძაღლები აყეფდნენ, ქათმები დაფრთხნენ, ერთი აკრიახდა კიდეც. მამალმა უცნაურად წამოიყივლა — „ყიყლიყო“, თითქოს გააფრთხილა მშიშარა ქათამი, ნუ კრიახებ, უარესია, მტერი უფრო ადვილად მოგვაგნებსო. მალე გაინაბნენ ყველანი. ალბათ ჩაიძინეს კიდეც, მაგრამ ხანგამოშვებით მაინც აჭყეტდნენ თვალებს, უცებ არავინ მოგვეპაროსო.

— ჰეი, მოდიხარ თუ არა?! — გასძახა სამზადის კართან მდგარმა ცოლმა კაჭბეის.

— ჰო, ახლავე მოვალ, რა გაყვირებს ნეტავი! — გამოეხმაურა ქმარი ბოსლიდან.

ცოტა ხნის შემდეგ კაჭბეი სახლისკენ გაეშურა. წელში მოხრილი მოდიოდა, თითქოს რამე დაკარგა და ეძებსო, თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. მოკლედ შეკრეჭილი წვერი უცანცარებდა.

ივახშმეს. როცა ჯალაბი ტახტზე დაწვა, კაჭბეიმ ბუხართან მიყუდებული ასტამი აიღო, ნაკვერცხლები მოაქუჩა და ზედ უხვად გადააყარა ნაცარი. ამ ნაცარს დილით ჩაუმქრალი ნაკვერცხალი უნდა დაეხვედრებინა პატრონისათვის.

მშვიდად გაწვა კაჭბეი ტახტზე, თავისიანების გვერდით. მაგრამ ერთი ძველი ფიქრი აეკვიატა და არ დააძინა. კაჭბეიმ ხან რა გაიხსენა, ხან რა, ეს ფიქრი რომ გაეფანტა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თავი დაუმძიმდა, დაიღალა. ზოგი ფიქრი ხომ ჭირვეულ მევალესა ჰგავს: ვერაფრით მოიშორებ. კაჭბეი შამფურივით ტრიალებდა, თვალებს მაგრად ხუჭავდა, მაგრამ აბეზარ ფიქრს ძილი მაინც ვერ სჯობნიდა, ვერ იმონებდა.

მოდი, გულაღმა დავწვები და სიბნელეს გავუშტერებ თვალს, ეგებ ამან მაინც მიშველოს და რული მომერიოსო, გაიფიქრა კაჭბეიმ და ასეც მოიქცა. მაინც არაფერი ეშველა. ბოლოს თვალი მილულა, მაგრამ ისევ გამოფხიზლდა. კვლავ დაუბრუნდა ძველი ფიქრი. სახლში სიბნელე იდგა, მხოლოდ ერთი ნაპერწკალი ციცინათელასავით ახელდა და ხუჭავდა თვალს.

თამბაქო ძილის უებარი წამალიაო, — გაიფიქრა გაწამებულმა კაცმა, გადაიწია, იქვე, სკამზე ქისა და ჩიბუხი ეგულებოდა, ხელი მოაფათურა, იპოვა ჩიბუხი, თამბაქოთი გატენა და პირში გაიჩარა. მაგრამ კვეს-აბედი ვერ იპოვა და იძულებული გახდა ამდგარიყო.

კერასთან მისულმა ნაცარი გაჩხრიკა, ნაღვერდალი აიტაცა, თუთუნზე დაადო, ჩიბუხს მოუკიდა და გააბოლა.

მიინავლა თამბაქო, მაგრამ კაჭბეიმ მაინც ვერ დაიძინა. გულმოსულმა თამბაქოს ნავლი ხელისგულზე დაიბერტყა. ჩიბუხი თავის ადგილზე დადო, საბანში გაეხვია და მტკიცედ გადაწყვიტა, აღარაფერზე ვიფიქრებო. ოღონდაც ეს მტკიცე გადაწყვეტილება მალე დაენავლა თამბაქოსავით. ძველი ფიქრი ახლა უფრო მეტად უღრღნიდა გულს.

— რად უნდა იმ ქეციანს მიწა, ჰა? ის ადგილი ხომ ჩემთან უფრო ახლოსაა, — ჩაილაპარაკა თავისთვის და სიმყუდროვე ფიქრს აყოლილი სტვენით დაარღვია.

ცოლმა გაიღვიძა და გაკვირვებით ჰკითხა:

— რა ამბავია? ვის გაუგონია, კაცი ლოგინში იწვეს და სტვენდეს, ისიც შუაღამისას? ავი სული ხომ არ შემოგიჩნდა?

— ჰა?! რაი?! — ჩაიბურდღუნა კაუბეიმ.

— რატომ უსტვენ, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე?! რას დაგიჭყეტია თვალები, დაიძინე!

—თუ არ მეძინება, რა ჩემი ბრალია! რატომღაც გამიტყდა ღამე. ავი სულებიᲲ არა და ერთი ფიქრი კი მართლა შემომეხიზნა და არ მაძინებს.

— რა ფიქრი?

— იცი რა... სამი წელიწადია უკვე, რაც აქ ვცხოვრობ და ყოველ დილით ჩვენს ახლოს, ღელის გაღმა რომ მიწის ნაკერია, იქითკენ გამირბის თვალი. ეჰ, ის მიწა რომ ხელში ჩამაგდებინა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— ის ხომ ხაბეკუტის მიწაა?

— ხაბეკუტის კი არა, ტოროლასია! არაა ის მიწა ხაბეკუტის. იმ ქეციანმა მიწა მიითვისა. ძველად ეს ადგილები მიხას პაპას ეკუთვნოდა. მიხა კი, როგორც იცი, სხვა სოფელში ცხოვრობს. ამ მიწის დასამუშავებლად იქიდან ხომ არ ივლის! არცა სჭირდება. მართალია, დიდი საყანე ადგილი არაა, მაგრამ რაც არის, ხაჭაპურივით მსუყეა. ეჰ, ნეტავი ჩამაგდებინა ხელში, მეორე დღესვე გვიმრასა და ძეძვებს გადავწვავ, მიწას გადავხნავ, — თქვა კაუბეიმ და თვალში სიხარბის ცეცხლი აენთო.

— იცოცხლე, ჩვენ ეგ მიწა დიდ შეღავათს მოგვცემდა, მაგრამ ვინ დაგვანებებს! — უიმედოდ ამოიოხრა ცოლმა.

ქმარი კი თავისას განაგრძობდა:

—სხვისი ქონება მიითვისა იმ მუნიანმა. თუ ქვეყნად სამართალია, ღელის გაღმა ადგილები ყველაზე ახლოს ჩემთანაა და მე უნდა მეკუთვნოდეს. აი, ეს მაწუხებს და სულს მიფორიაქებს.

კვლავ დუმილი გამეფდა.

ეს დუმილი მალე ცოლის ხვრინვამ დაარღვია. სიზმარეთში წავიდა იგი. ქმარი კი ისევ ოცნებობდა. თვალწინ ედგა ხაბეკუტის მიწა, უხვმოსავლიანი, მსუყე და ღონიერი. ერთი სიტყვით, მიწა კი არა, ხაჭაპური.

ხაჭაპურზე ფიქრში თანდათან მიელულა თვალი.

მიწა, რომელიც ასე გაეხირა ყელში კაუბეის, სულ ჰექტარის მეოთხედი თუ იქნებოდა, მეტი არა; ისიც გვიმრითა და ძეძვით დაფარული. მხოლოდ შუაგულში, ერთი ნაბდის გაშლაზე მწვანედ ბიბინებდა ბალახი.

გარიჟრაჟისას კაუბეის ეზოში მდგარ თხმელაზე შესკუპებულმა მამალმა კისერი წაიგრძელა და მთელ სოფელს გასძახა: ყიყლიყოო!

ამ ხმამ ახლადჩაძინებული კაუბეი ვერ გამოაღვიძა. იგი მხოლოდ შარჯვენა გვერდზე გადაბრუნდა, მხარი იცვალა. მამალმა მეორედაც იყივლა, კაუბეის არც ეს ყივილი გაუგია. ახლა გვერდიც არ უცვლია. გვიან დაძინებული კაცი ტკბილ სიზმარში იყო: აი, ხაბეკუტის მიწას კაუბეი დაეპატრონა. დარბის კაუბეი აქეთ-იქით და მუსრს ავლებს სარეველებს. ვარდივით ღვივის ცეცხლი, მტრედისფერი კვამლი სასიამოვნოდ

ულიტინებს კაპბეის ნესტოებს. ნანატრი სითბო ელამუნება სახეზე. ცეცხლმა გადაიარა გვიმრასა და ძეძვებზე, გადაიარა და რუხი ნაცარი დატოვა. მხოლოდ ერთგან, ნახანძრალის შუაგულში, პატარა მწვანე მოედანი გამოჩნდა.

მესამედ მამლებმა მაშინ იყივლეს, აღმოსავლეთი რომ შეწითლდა. კაპბეისა და ხაბეკუტის მამლები ერთმანეთს გადასძახოდნენ, თენდებაო.

კაპბეი ისევ სიზმარში იყო. იგი უკვე ნანატრ ნაყამირალს ხნავდა. გუთანს კვალში უდგა და ხარებს შოლტს უქნევდა, ფეხს აუჩქარეთო. აი კაპბეიმ უკანასკნელი კვალი გახსნა, ხარები შემოაბრუნა და... მამლის უცნაურმა ხრინწიანმა ყივილმა შეაკრთო, კაპბეიმ თავი ასწია, თვალები ოდნავ გააცილა და ააფახულა. პირზე კმაყოფილების ღიმილი ეფინა, გულში თაფლის ზღვა ჰქონდა ჩაღვრილი. მის გონებაში სიზმარი და სინამდვილე ერთმანეთში ირეოდა. შემდეგ თანდათან გამოფხიზლდა, გამოვიდა სიზმრის ტკბილი ბურანიდან. გაღვიძება არ ესიამოვნა.

— ნუთუ სიზმარი იყო?! — მეათედ ეკითხებოდა თავს და შუბლი საავდრო ღრუბელივით ექუფრებოდა. გულიდან თაფლის ზღვა ამოღვარა და მის ნაცვლად ნაღველა ჩაეღვენთა.

სახლი ისევ ბინდ-ბუნდში იყო გახვეული.

— ეჰეი, ჰეი! წამოდექი, გათენდა! — ყურში ჩასძახა ქმარმა ცოლს, თვითონ ტახტიდან დაფეთებულივით გადმოხტა და ჩაცმა დაიწყო.

— ჯერ რა დროს გათენებაა, ეს რა უძილობა და მოუსვენრობა შეგეყარა ამ ღამეს, ჰა?! — ნამძინარევი ხმით უთხრა ცოლმა და თვალები მოიფშვნიტა.

— მაინცდამაინც მზემ უნდა მოგჭრას ეგ დასაბრმავებელი თვალები? ვერა ხედავ, როგორ ინათა! მამლების ყივილი მაინც არ გესმის? — მიახალა გულმოსულმა ქმარმა, ბუხართან მივიდა და ნაცარში გახვეული ნაკვერცხალი ასტამით გააღვივა.

როცა სინათლემ ფანჯრიდან შემოიხედა, კაპბეიმ გარეთ გაალაჯა, წალდი ღვედში გაირჭო და მხიარული სტვენით დაიწყო ეზოში სიარული. თვალი კი იმ მიწისაკენ გაურბოდა, მთელ ღამე სიზმარსა და ცხადში რომ ხედავდა.

გულიც იქითკენ მიუწევდა.

სწრაფად გააღო ფალანგა-ჭიშკარი, ეზოში მწოლარე ხარებს შოლტი გადაუჭირა და გზაზე გარეკა. ქურდივით ფრთხილად გაიარა შუკა. გადახტა ღელეზე და სანატრელ მიწაზე იმედიანად დაადგა ფეხი. მზერა ირგვლივ შემოატარა და ულვაშებში ჩაიღიმა.

— იდიდე, ალაჰო! — თავისდაუნებურად წამოიძახა კაპბეიმ და წვერი თითებით ჩამოივარცხნა.

სწორედ ამ დროს ხაბეკუტიმ თავისი ფაცხის კარი გამოაღო და ეზო-

ში გამოვიდა. ხმელ-ხმელი კაცი იყო იგი. თხელი წვერ-ულვაში ჰქონდა. თავზე თხის ტყავის ქუდი ეხურა.

სადღაც შორს კოლმეურნენი მღეროდნენ. ეს ხმა ხაბეკუტის ფაცხამდე აღწევდა. სიმღერა რომ გაიგონა, ესიამოვნა, ღობეს გადაეყრდნო და მიაყურა.

ახსოვს ხაბეკუტის, როგორ არ ახსოვს: სოფელში არტელი რომ ყალიბდებოდა, იგი განზე გადგა, მტრულად შეხედა ამ ამბავს, ყველას უბღვერდა, ვინც არტელში გაერთიანდა.

„კარგი ყოფილა კოლექტივი, რაკი ხალხი მღერის“, — გაიფიქრა მან.

არცთუ ისე შორს, ხაბეკუტის ფაცხის მარჯვნივ, მოჩანდა კოლმეურნე მამსირის ახლადაგებული სახლი, რომელსაც კრამიტი წითელი ქუდივით ეხურა. აი, საკუტიც ხომ ხაბეკუტიზე ღარიბი იყო, მაგრამ თავისი ჯარგვალის გვერდით ახლა მშვენიერ ოდას იშენებს. ხაბეკუტი კი კვლავ ძველ ფაცხაში ცხოვრობს, ფრთამოტეხილი ბატივით რომ დგას ცალმხარჩამოგდებული.

ფაცხიდან ცოლი გამოვიდა. ხაბეკუტიმ უთხრა:

— ქალო, იცი, რას გეტყვი! კარგა ხანია ამაზე ვფიქრობ და დღეს საბოლოოდ გადავწყვიტე, შევიდეთ კოლექტივში. რას იტყვი შენ, ჰა?

— როგორც აჯობებს, ისე მოიქეცი, — მოკლედ მოუჭრა ცოლმა.

— აუცილებლად უნდა შევიდეთ, აუცილებლად! — მტკიცედ ჩაილაპარაკა ქმარმა და ღელის გაღმა თავისი მიწისკენ გაიხედა. კაჭბეი დაინახა და უმალვე მოაგონდა: ერთხელ ამ მიწაზე რაღაც სხვანაირად ჩაუარაკა.

„ნეტავი მითვისებას ხომ არ აპირებს ეგ მსუნაგი?“ — გაიფიქრა მან, ნაჯახს წამოავლო ხელი, მხარზე გაიდო და გაღმისაკენ გააბოტა.

კაჭბეიმ ვერ შენიშნა, როგორ მიუახლოვდა ხაბეკუტი.

— დილა მშვიდობისა, მეზობელო! აქ რას დაეძებ?—მისვლისთანავე უთხრა ხაბეკუტიმ და განგებ ჩაახველა.

კაჭბეი ისე შემოტრიალდა, თითქოს ქურდობაზე წასწრებოდეს ვინმე, დაინახა მხარზე ნაჯახგადებული მეზობელი და სახეზე ნაცრისფერმა გადაჰკრა.

„რა ეშმაკმა მოიყვანა ეს ქეციანი ამ დროს?“ — გაიფიქრა, ხაბეკუტის კი გაუღიმა:

— გაგიმარჯოს, ჩემო კარგო. ხარებს დავეძებ. შენ საით?

—ჯაბესიასთან მივდივარ, — ტყუილს ტყუილითვე უპასუხა ხაბეკუტიმ.

მეტი არაფერი უთქვამთ, ერთი მარცხნივ წავიდა, მეორე — მარჯვნივ.

მიეფარა თუ არა კაჭბეი თვალს, ხაბეკუტიმ ტყისაკენ გაუხვია და ბილიკით შინ დაბრუნდა.

კაჭბეიმაც ოჯახს მიაშურა. უკმაყოფილო იყო, ხაბეკუტიმ რომ ნახა.

მეორე დღეს, დილით, ეზოში გამოსული ხაბეკუტი განცვიფრებული შეჩერდა ღობის ახლოს. კაჭბეის თავისი ჭიშკარი ჩამოეხსნა და პირდაპირ მის ეზოსთან დაეკიდა. ახლა უფრო აშკარა გახდა, რომ გულხარბი მეზობელი მის მიწებს უპოტინებდა ხელს.

— ქალო, გამოიხედე ერთი! — დაუძახა მან ცოლს. ცოლი მაშინვე ქმრის გვერდით გაჩნდა.

— ხედავ, კაჭბეის ჭიშკარი სად დაუკიდია! ჩვენს მიწას ეპარება. კაჭბეი ახლა შინ არ იქნება, თორემ მე მოვახსენებდი საკადრისს. მის ცოლს კი რა უნდა ვუთხრა? წადი ახლავე და გაიგე, რატომ გადმოსწიეს ჭიშკარი ჩვენსკენ!

ცოლმა თავი მანდილით გაიკრა და უხმოდ გაშორდა ქმარს. გზაზე გასულმა შენიშნა, რომ კაჭბეის ცოლი წყლიდან მოდიოდა მხარზე კოკა-შედგმული. ჭიშკართან დაუხვდა. კაჭბეის ცოლმა თითქოს ვერ შენიშნა იგი, უბრალ აპირებდა ჩავლას.

— სალამი, შამსია! — თავი დაუკრა ხაბეკუტის მეუღლემ.

— სალამი. რაზე შეწუხებულხარ ამ დილაადრიან?! — ორპოფული ღიმილით მიუგო კაჭბეის ცოლმა და კოკა მხრიდან ჩამოიღო.

მეზობლები ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

— შამსია, ერთი ეს მითხარი, რატომ მაინცდამაინც ჩვენს ეზოსთან დაკიდეთ ჭიშკარი?

— ეგ თქვენი საქმე არ არის. ჩემს ჭიშკარს მინდა აქ დავკიდეპ, მინდა იქ, — უკმეხად უპასუხა კაჭბეის ცოლმა.

— ჰო, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! — შეიცხადა ხაბეკუტის მეუღლემ. — არხიც გაგიჭრიათ ჩვენს მიწაზე! ეს რაღას მოასწავებს?

— არც ეგაა თქვენი საქმე!

— ჰა, ჰა, ჰაიტ! როგორ თუ ჩვენი საქმე არაა! ჩვენს მიწაზე არხსა ჭრით და ჩვენი საქმე არაა? ეზოს გვაჭრით, გვავიწროებთ და ჩვენი საქმე არაა? რას ამბობ, რას, არ უფიქრდები?

— მომიეა ქმარი და იმას ჰკითხეთ. იმან იცის მაგის ამბავი.

— არაა შენი ქმარი საჭირო, შენც კარგად იცი, რატომ ჩაიდინეთ ეს!

— გული დაიმშვიდე და როგორც მოსულხარ, ისე გაბრუნდი, თუ არ გინდა ეს კოკა თავზე გადაგაფშვნა!

— ჰაიტ, შე ჭკუააფრაკო! მიწას მართმევ და თავის გატეხვაც მემუქრები?!

— წადი, წადი აქედან, მაიმუნის ცოლო!

— ვაი, მეხი კი დაგეცეს მაგ ქეციან თავზე! მაიმუნი შენ თვითონ გიწევს გვერდით. კუზიანივით რომ დაიარება შენი ქმარი, იმას მაინც ვერა ხედავ, შე თვალებდასაბრმავებელო? უბედური ხარ, უბედური!

გაცხარდნენ ქალები. ერთმანეთს ლანძღავდნენ, თათხავდნენ, ქოქოლას აყრიდნენ, კინაღამ თმაშიაც ეცნენ ერთიმეორეს.

— თავი დაანებე! მოეშვი! მაგასთან ვერაფერს გახდები, წამო შინ!— ძლივს წამოათრია ხაბეკუტიმ ცოლი.

მეორე დღეს, როგორც კი რიჟრაჟმა გამოიხედა აღმოსავლეთიდან, ხაბეკუტი ფეხზე წამოხტა. სანამ უნამუსო კაჭბეი მის მიწას დაეპატრონებოდა, გადაწყვიტა, გასულიყო გაღმა და დაეწყო მუშაობა.

აიღო წალდი და გზას დაადგა.

ჯერ გვიმრა და ძეძვი უნდა მოეშორებინა, საშიშია ცეცხლთან თამაში და მით უმეტეს, აქ, სადაც გვიმრნარს ტყე აკრავს ირგვლივ. ეს კარგად იცოდა ხაბეკუტიმ. ამიტომ ჯერ ტყის პირას აკაფა ძეძვი და გვიმრა, აკაფა და მოარიდა ტყეს, მერე დაუძახა ცოლს: ცეცხლი გამომიტანეო.

კაჭბეიმ გაიგონა მეზობლის ძახილი და ზიზღით გაიხედა მისკენ.

— დამასწრო ამ ღუთის გლახამ! — სინანულით გაიქნია თავი და წალდს წამოავლო ხელი.

— ხარები გამორეკე ეზოდან! — უთხრა ცოლს და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა მეზობელი სოფლისკენ, სადაც მუსა ცხოვრობდა, აი, მიხა, რომლის პაპასაც ეკუთვნოდა ღელის გაღმა ადგილები.

ცოლმა ხაბეკუტის ანთებული მუგუზალი გაუტანა. მან აიღო და ბულულად დაყრილ გვიმრას შეუნთო. გვიმრა გამხმარი იყო, უმალვე ატკაცუნდა და ცეცხლი მოედო. ახლა მუგუზალი სხვა ადგილზე გადაიტანა ხაბეკუტიმ. გამრავლდა ცეცხლი. ავარდნილმა მტრედისფერმა კვამლმა კაჭბეის სახლს მშვიდად გადაუარა თავზე. ალის ენები ისე ათამაშდა, თითქოს ამ ენებს კაჭბეის ნიშნის მოსაგებად და გასაბრაზებლად ჰყოფდა მიწა შავი პირიდან.

ოფლად გაღვრილი ხაბეკუტი ფეთიანივით დარბოდა და ალს გზას უჭრიდა, რომ ტყეს არ მოსდებოდა.

ცოლი ხან გამოჩნდებოდა, ხან კვამლში იმალებოდა.

მალე შეწყდა ცეცხლის ტკრციალი და ალის ენების თამაში. ნაცრის სუნი დადგა ირგვლივ. იქ სადაც აქამდე გვიმრა და ძეძვი იწონებდა თავს, ახლა გარუხებული მიწა იწვა. მხოლოდ ერთგან მოჩანდა გვერდებშეტრუსული მწვანე ადგილი.

სანამ ხაბეკუტი ყამირს ხანძრავდა, დაღლილ-დაქანცული კაჭბეი მუსას ჭიშკართან აისვეტა:

— ჰეი, მუსა!

მუსა სუფრას უჯდა, უმალვე წამოხტა და გაიხედა. იგი ჩასკვნილი, მაღალი კაცი იყო. შავი, სქელი და გაბურძგვნილი წვერი ჰქონდა.

— აჰ, კაჭბეი ხარ! რავა შორიდან იძახი, შემოდი, შემოდი ოჯახში! — შეიპატიჟა მან სტუმარი.

— ალაპმა გიმრავლოს სტუმარი და სტუმრის გასასტუმრებელი პურ-მარილი, გვარი და ოჯახის ბარაქა! შენთან სტუმრობა როგორ დამეზარებ-ბა, მაგრამ ახლა არა მცალია. ხარებს ვეძებ. ჩვენი შემოგარენი დავატყა-ვე და ვერსად ვნახე. აქეთ ხომ არსად დაგინახავს?

—არა, არ დამინახავს.

— აბა, სად წავიდნენ ის სამგლეები, სად? არ იცოდნენ ღამით გა-რეთ დარჩენა და ახლა რა ღმერთი გაუწყრათ ნეტავი?

ამ დროს, როცა იგი ტყუილების გუდას ბერავდა, მისი ხარები, რომ-ლებიც ცოლმა მინდორში გარეკა, ფაშვს ლორთქო ბალახით ივსებდნენ.

— აი, დღეს ხვნა მინდოდა დამეწყო და მაინცდამაინც ახლა დამე-მალნენ.

კაჭბეის საუბრის სხვა გზით წარმართვა სურდა, ამიტომ ახსენა ხვნა.

— უკვე გაიტანე გუთანი მინდორში? — დუმილის შემდეგ ჰკითხა მუსამ.

— არა, ჯერ არა, რა მეჩქარება. მიწის გაშრობას ვუცდი. ეჰ. ხაბჟკუ-ტიმ დაგვასწრო ორივეს. ჩემი სახლის იქით, ღელის გაღმა რომ გვიმრ-ნარია, მიადგა და მოუკიდა ცეცხლი, გაწმინდა და ალბათ ხვალ უკვე გუ-თანსაც გაიტანს სახნავად.

— რას ამბობ, კაჭბეი?! — მუსას თვალები გადმოუცვივდა.

— რატომ გაგიკვირდა ასე ძალიან?

— ის ხომ ჩემი მიწაა!

— შენი? ხაბჟკუტი ამბობს, ათაბაბას დროიდან ეს ადგილი ჩემი იყოო.

— ურცხვად სტყუის! ამის თქმა როგორ გაბედა? ქვეყანამ იცის, რომ იმ მიწაზე პაპაჩემი თლაბღანი ესახლა.

— ჰო, ჰო, მეც გამიგონია ეგ ამბავი. მერე და ის უსინდისო როგორ ბედავს სხვისი მიწის მითვისებას, ჰა? ეს ხომ შენი დაბრიყვებაა. მე რომ შენს ადგილას ვიყო, არ შევაწევ. მართალია, ისიც შენი გვარისაა, მაგ-რამ მით უფრო უნდა მოერიდოს შენთან დავას. სხვისი პაპის კერა რო-გორ უნდა გადახნას კაცმა? მკვდრებსაც კი ეწყინებათ ეს თავხედობა და საფლავში გადატრიალდებიან, უღირს შთამომავალს წყევლას შე-მოუთვლიან, — თქვა კაჭბეიმ და ცბიერად ჩაიცინა გულში.

კაჭბეის ნათქვამმა გული აუფორიაქა მუსას:

— რა ვქნა, რა ვქნა ახლა? — იკითხა ფიქრში წასულმა მუსამ. — ეს რომ უცხოს გაეკეთებინა, ცოცხალს არ გავუშვებდი, მაგრამ მოგვარეს რა უნდა ვუქნა? მირჩიე კაჭბეი, რამე!

— თუ ხაბჟკუტი არ გიბრალებს და ხალხის თვალში გამცირებს, შენ რატომ უნდა შეიბრალო? შენს დამცირებას რომ თავი დაანებო, ალაპმა აცხონოს მისი სული და, პაპაშენს რა პირით უნდა შეხვდე საიქიოს?

აი, ეს არის მთავარი. ბოდიში, მეჩქარება. კარგად იყავი, — გამოემშვიდობა კაჭბეი მუსას, რომელიც კვლავ დაფიქრებული იდგა.

კაჭბეის წასვლის შემდეგ მუსამ შვიდიოდეჯერ კიდევ აწონ-დაწონა ხაბჟკუტის სიავკარგე და ბოლოს დაადგა ტალახიან გზას. სადავო მიწას რომ მიუახლოვდა, ფეხი შეანელა და შორიდან დაუწყო ზვერვა ხაბჟკუტის.

ხაბჟკუტი სწრაფად დარბოდა, მხიარულად უსტვენდა და წალდს მოხერხებულად იქნევდა, ტყის ახლოს, ცეცხლით გარუჯულ თხმელის პატარა ხეებს კაფავდა.

მუსა ბოღმისაგან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა, თან აკანკალებული ხელით ულვაშებს იგრეხდა. ცოტა რომ დაიწყნარა გული, საფარიდან გამოვიდა.

ხაბჟკუტი ისე იყო მუშაობით გართული, არც შეუნიშნავს იგი.

მუსამ განგებ ჩაახველა.

ხაბჟკუტიმ მოიხედა.

მუსამ მეორედაც ჩაახველა. ხარის რქებივით გაფშეკილი ულვაშები აუცახცახდა.

— სალამი და გამარჯობა, მუსა? რა დაგემართა, რატომ არ მესალმები? რაზე ხარ გულმოსული, საიდან მოდიხარ, სად მიდიხარ, ვინ გაწყენინა? — ჰკითხა ხაბჟკუტიმ.

— საიდან მოდიხარო, მეკითხები?... საიდან და შინიდან... ცხენები დამეკარგა და ვეძებ.

ხაბჟკუტიმ ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა მუსა. არ მოეწონა მისი გამოხედვა.

— რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ? რამ გაგალურჯა?

— მე არა ვარ ავად, მაგრამ შენ კი გატყობ, ვერ ხარ კარგად, — უცებ აენთო მუსა.

გაკვირვებულმა ხაბჟკუტიმ თვალები დააჭყიტა.

— რა იყო, რა გულზე ხარ? მე ადამიანურად გეკითხები, შენ კი როგორ მპასუხობ? მარცხენა ფეხზე ხომ არ ამდგარხარ? ეგებ ვინმე ავთვალი დაგხვდა გზაში და დაგთარსა?

— მარცხენა ფეხზე ავდექი თუ დამთარსა ვინმემ, ეგ არაა შენი საქმე. შენ ის მითხარი, აქ რატომ წვავ გვიმრას?

— ამქვეყნად გვიმრის მეტი რა არის. თუ მოთიბვა გინდა, სხვაგანაც იპოვი... შენს სახლთანაც სავსეა! თუ გინდა ჩემთან მოდი და იქ მოთიბე.

— მე შენს არაფერს ვეძებ, მე საკუთარი მინდა ვთიბო! იცი, ხაბჟკუტ, რომ ეს მიწა ჩემია?

— ახლა მივხვდი, რატომ ხარ გუდასავით გაბერილი. როგორაა შენი, როცა ეს მიწა ჩემია.

— როგორ, როგორ? შენ ამბობ ჩემიაო?

— დიახ, ჩემია! შენ ხომ არ გაგიჟდი?

— მე კი არა, შენ გაგიჟებულხარ! მიწაზე, სადაც ჩვენ ვდგავართ, ცხოვრობდა ჩემი ბაბუა თლაბღანი. იმ ბუჩქთან იყო მისი კერა, — მუსა მივიდა, აიღო გვერდგამურული ქვა და უჩვენა ხაბჟკუტის,—ხედავ, ბაბუაჩემის კერიის ქვა!

— ვხედავ, ვხედავ! ჯერ გასარკვევია, მაგი ქვა თლაბღანისაა თუ ბაბუაჩემისაა!

— როგორ?

— როგორ და, იცი, აქ ვინ დაასახლა ბაბუაშენი თლაბღანი? იცი და არ ამბობ, ხომ? მაშინ მე გეტყვი: პაპაშენი ამ მიწაზე პაპაჩემმა დაასახლა, სოფიჯიმ. პირველად სოფიჯი, აქ ცხოვრობდა, შემდეგ იქ გადავიდა, სადაც ახლა ჩემი ფაცხა დგას. პაპაშენი მაჰაჯირი იყო. როცა იგი თურქეთიდან დაბრუნდა, მის მიწაზე უკვე სხვები ესახლნენ. სად წასულიყო, თვითონაც არ იცოდა. შეეცოდა პაპაჩემს თაყისი მოგვარე და უთხრა: აგერ მაქვს თავისუფალი მიწა და დადგი ზედ ფაცხაო. გაიგე?

მუსა ქვასავით დუმდა.

ხაბჟკუტის ეგონა, დავარწმუნე ჩემს სიმართლეშიო და განაგრძო:

— აი, ასეა საქმე, ჩემო ძმაო. ალაჰმა აცხონოს მამაჩემი, მარტო მამაჩემი კი არა, მთელი ჩემი წინაპრები აქ იზრდებოდნენ და კვდებოდნენ. აი, თუ გინდა ჩამოგითვლი, — და მან თითებზე ჩამოთვალა თავისი წინაპრების სახელები. — შენ კიდევ ამბობ, ეს მიწა ჩემიაო. არ ვარგა უხეირო ლაპარაკი და სხვისი მიწის დაჩემება, გაიგე?

— მოიცა, ხაბჟკუტი, რას ჩამომითვალე შენი წინაპრების სახელები? ამქვეყნად ბევრი მოვიდა და ბევრი წავიდა. შენს წინაპრებამდე ბევრი ცხოვრობდა ალბათ ამ ადგილზე, მაგრამ მთავარი ისაა, ვინ ცხოვრობდა ბოლოს, ვის ენთო ამ ადგილზე ბოლოს ცეცხლი. ბოლოს კი, როგორც ყველამ იცის, ჩვენ გვენთო აქ ცეცხლი. ჩემი მოგვარე რომ არ იყო, იმასაც არ გაპატიებდი, აქ გვიმრა რომ გადახანძრე. კმარა, გეყოფა, წადი აქედან! თუ ჩემს სიტყვას არ დაიჯერებ და გუთანს გამოიტან სახნავად, მერე შენს თავსავე დააბრალე, რაც მოგივიდეს. ახლა სხვას არაფერს გეტყვი! — დაემუქრა და გვერდზე შებრუნდა, აქაოდა მე ჩემი საქმე მოვითავეო.

ხაბჟკუტიმ გაკვირვებისაგან დაუსტვინა:

— უცნაურია! გარეული მოვიდა და შინაური გააგდო, ამას ჰქვია.

იმ დღეს ვერ მორიგდნენ მოდავენი.

გულგაცეცხლებულნი თავთავის სახლში წავიდნენ.

მუსას ღამით ცუდად ეძინა. მიწის დასაკუთრების ჟინი აწვალებდა

და მოსვენებას არ აძლევდა. დილით ადრე წამოხტა ზეზე, სასწრაფოდ ჩაიცვ-დაიხურა და სადავო მიწისაკენ გაიქცა.

ხაბეკუტი ხნავდა, თან სიმღერას დასძახოდა.

მუსა გაცოფდა, გამძვინვარდა, ნახნავი გადასჭრა და ხარეპის წინ დაესო:

— ხიი! შეჩერდით, თქვე სამგლეებო! ხაბეკუტი, ახლავე გამოუშვი ხარები უღლიდან! — მრისხანედ დაიბღავლა მან.

ხაბეკუტი ენაწართმეულივით იდგა. ცალ ხელში გუთნის ტარი ეჭირა, მეორეში — წნელი.

— არ გამოუშვებ ხარებს უღლიდან, ხომ? არ გინდა მშვიდობიანად მოვრიგდეთ, ხომ? მაშინ მე ვიცი, რასაც ვიზამ! — კვლავ დაიყვირა მუსამ და თვითონ დაიწყო ხარების ქედიდან უღლის მოხსნა.

— ხელი გაუშვი, გაუშვი ხელი! — აყვირდა ხაბეკუტი, მაგრამ ქარს გაჰყვა მისი ხმა. მუსას ყვირილისათვის ყური არ უგდია. აპეურები შეხსნა ცალ ხარს, უღელი ააცალა, მერე ფეხი ჰკრა ფერდში და ხარი შეშინებული გახტა განზე. უღლის ერთი თავი მიწაზე დაეცა.

მუსამ მოინდომა მეორე ხარის გამოშვებაც. მაგრამ ამ დროს მის ყურთან სახრემ გაიშხუილა. ცოტა დააკლდა, კინაღამ თავში მოხვდა.

ხაბეკუტიმ რაკი სახრე ვერ მოახვედრა მეტოქეს, სწრაფად გადახტა და ებდღვნა მუსას. არ დაიბნა მეტოქე, ხაბეკუტის ხელში ჩაავლო ხელები, რაც ძალი და ღონე ჰქონდა უბიძგა, მჯიღი ჰკრა და გვერდზე მიაგდო. ხაბეკუტის ქუდი გადაუვარდა. გამოუჩნდა გამელოტებული თავი, ზედ მხოლოდ აქა-იქ ჰქონდა შერჩენილი თმა. ოფლიანი მელოტი აულაპლაპდა მზეზე.

— აჰა! მაშ, მეჩხუბები კიდეც! — ხაბეკუტიმ კბილები გააკრაჭუნა და კვლავ მივარდა მუსას.

მუსამ დაიკაპიწა ბალნიანი მკლავები, მეტოქეს წვერში სწვდა და შეანჯღრია. ხაბეკუტის სიმწრის ოფლმა დაასხა, მეტი გაჭირვებისაგან კბილები გააკრაჭუნა.

„ისედაც თხელი წვერი მაქვს და ეს ოხერი ამასაც აღარ მარჩენს. ი:უ არ ვუშველე თავს, უწვერო დავრჩები“, — გაიფიქრა მან და ძლივს ამოიძახა:

— ხელი უშვი წვერს!..

— წვერი რა არის, ყბებსაც დაგაგლეჯ, შე უნამუსო! — ნიშნის მოგებით უპასუხა მუსამ და წვერი ისე აქაჩა, რომ ხაბეკუტიმ ნიკაპი მაღლა აიშვირა. ახლა რა დროს ვარსკვლავები იყო, მაგრამ ხაბეკუტის მოეჩვენა, რომ ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ და ერთმანეთში აირივნენ.

თავისი წვერი რომ გადაერჩინა, ხაბეკუტის როგორმე ხელში უნდა მოეგდო მეტოქის წვერი, მაგრამ მუსა მიუხვდა, მოხერხებულად მოი-

ცილა ხაბეკუტის გამოწვდილი ხელები, ბოლოს, როგორც იქნა, ხაბეკუტიმ იმარჯვა და ხარბად ჩაბღუჯა მუსას სქელი წვერი.

— ჩემს წვერებს მოეშვი, თორემ, ალაჰსა ვფიცავ, სულ დაგაგლეჯ მაგ უნამუსო წვერ-ულვაშს! — გაჰყვიროდა გაცეცხლებული ხაბეკუტი. სხვათა შორის, იმ დროს სოფელში წვერ-ულვაში ჯერ კიდევ კაცის ღირსების მაჩვენებელი იყო.

გაუშვეს ხელი ერთმანეთის წვერს, მჯიღი მჯიღს დააჯახეს და გაითიშნენ.

—ჰაიტ, შე გაფუჭებულო! — მიაძახა ხაბეკუტიმ.

— ჰაიტ, შე არაკაცო! — მიახალა მუსამ.

ისევ ეძგერნენ, წელში ჩაავლეს ერთიმეორეს ხელი.

მუსა უფრო ღონიერი იყო, ხაბეკუტი — მოქნილი. მუსამ უცებ აიტაცა მოწინააღმდეგე და რამდენჯერმე დააპირა მისი წაქცევა, მაგრამ ხაბეკუტიმ ფეხი მის ფეხს შემოასკვნა და თავი ასე გადაირჩინა. მოკლედ, იგი ჩანგალივით ხმარობდა ფეხებს.

მუსამ ერთხელ ცირკში ნახა, რომ ერთმა მოჭიდავემ მოულოდნელად ჩაიმუხლა, მეორე მოჭიდავე თავზე გადაიგდო და გაშოტა ძირს. მუსამ გადაწყვიტა, მოწინააღმდეგე ამ ხერხით დაემარცხებინა.

„ამ ხერხის მეტი ვერაფერი მიშველის“, — გაიფიქრა, უმალვე ჩაიკეცა და ხაბეკუტი თავზე გადაიგდო, მაგრამ არ გამოუვიდა ფანდი, არ გაიშოტა მეტოქე, ერთი წაიფორხილა და უმალვე ფეხზე დადგა.

„კაცი კი არა, კატა ყოფილა ეს ოხერი“,—მუსამ ხელები დამუშტა.

დაიწყო ხელჩართული ბრძოლა.

დაღლილი ხაბეკუტი დაძარღვულ ხელებში მოიმწყვდია მუსამ, გვერდზე გადაიგრიხა, ქვეშ მოიქცია და ყელში ეცა.

ხაბეკუტიმ ხროტინი დაიწყო. თვალები გადმოკარკლა. შეშინდა.

„მხეცია ნამდვილი. არ დამინდობს, დამახრჩობს!“ — აცახცახდა ქვეშმოქცეული კაცი და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოღერღა:

— მუსა, შე ჩურჩუტო, კისერი არ წამაწყვიტო. დაუფიქრდი, რას აკეთებ, რას.. მე რომ და... მაააა...ხრ...ჩო... ხომ იცი...

— ჰო, დაგახრჩობ, თუ პირობას არ მომცემ, რომ ჩემს მიწას დამიბრუნებ. ჰო, მითხარი, მომცემ თუ არა, თორემ გაგათავე! — ბურდღუნებდა მუსა.

ხაბეკუტიმ მოითქვა სული, მუხლით აისროლა მუსა და გვერდზე გადააგდო. რაკი ეს მძიმე ტვირთი მოიშორა, სწრაფად დადგა ფეხზე.

ისევ მიიტანეს იერიში ერთმანეთზე, შეებნენ ხელდახელ.

ჩხუბს თვალი მოჰკრა ხაბეკუტის ცოლმა, იწივლა და იკივლა და მათკენ გამოიქცა. დიასახლისს უკან დაედევნენ აყეფებული ძაღლები. აირივნენ და აკრიახდნენ ქათმები. ჭიკჭიკს თავი დაანებეს ჩიტებმა და ცა-

ში აიკრნენ დაფეთებულნი. მხოლოდ ხბო აკუნტრუშდა, მხიარულად აბღავლდა. კუდი მოიქნია და ეზოს შემოურბინა.

კოლმეურნეებმა მუშაობას თავი დაანებეს და იქით გაქანდნენ, საიდანაც ქალის კივილი ისმოდა.

ყველაზე ადრე მოჩხუბრებთან ძაღლები გაჩნდნენ და ყეფა-ყეფით ალყა შემოარტყეს.

კაჭბეი მათ თავიდანვე უთვალთვალებდა და ულვაშებში ეშმაკურად ეღიმებოდა.

როცა ჩხუბი გაჩაღდა, კაჭბეიმ უთხრა ცოლს:

— ქალო, წადი შენ, თორემ იტყვიან, კარის მეზობელია და გასაზავებლად არ მოვიდაო. თავი მოგვეჭრება. წადი და, თუ მიკითხონ, უთხარი, შინ არ არის-თქო.

ცოლი გაისტუმრა კაჭბეიმ, მაგრამ ცნობისწადილმა არც ის დააყენა ეზოში, ქურდულად გავიდა ღელესთან, გადახტა, ბუჩქნარში შეიმალა და დაუწყო მოჩხუბრებს თვალთვალი. უცქეროდა მუსას და გული მოსდიოდა. მუშტს რას იქნევს, აიღოს ერთი დიდი ქვა და ხაბეკუტის თავი გაუჩეჩქვოს. ეს რა მოუსაზრებელი ვინმე ყოფილაო.

მოცვივდნენ კოლმეურნეები, გააშველეს მოჩხუბრები.

— ბოთე, ხომ მოგხვდა! ეგ კიდეე ცოტაა! — მუშტს იქნევდა ხაბეკუტი.

— ამ ხალხს რომ არა, მე შენ გიჩვენებდი სეირს, შე ლაყე, შენა! — გაიძახოდა მუსა.

ორივეს დასიცხული ძაღლივით გადმოეგდო ენა, ქშინავდნენ.

—ფუ, თქვენს კაცობას! —იფურთხებოდნენ კოლმეურნეები.

მუსას გთავისულფებული ხარი უდარდელად სძოვდა ბალახს იქვე, მახლობლად, მეორე კი უღლიანად ნახნავში ჩაწოლილიყო და მშვიდად იცოხნებოდა. მათთვის სულ ერთი იყო, ვინ დაისაკუთრებდა ამ მიწას.

უცებ კაჭბეის ძაღლი ბუჩქებისაკენ ღავღავით გაიქცა. კაჭბეის შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. მან ჩუმად დაუძახა ქურუხას და დაუწრუპუნა. ძაღლმა თავისი სახელი რომ გაიგონა, შედგა და დააჭყიტა თვალები, ვერ მიხვდა, ვინ ეძახოდა. კაჭბეი რომ დალანდა, გაკვირვებით მიაშტერდა. იგი შინ დატოვა და არ მოელოდა აქ შეხვედრას. ალბათ თავისი ძაღლური ჭკუით იფიქრა, ეს ვიღაც სხვა კაციაო და ყეფას მოუმატა. ბუჩქებს ერთი ამბით ურბენდა გარს.

ხალხმა ქურუხას ყურადღება მიაქცია. გაიქცნენ იქით, ვის უყეფს ძაღლი ასე გამწარებითო. კაჭბეის შიშმა ყბა გვერდზე მოუქცია, წამოხტა და კურდღელივით გაქცევა დააპირა, მაგრამ ბუჩქებმა ეკლიანი კლანჭები ჩაავლეს და არ გაუშვეს. ვიდრე ამ ეკლიან ბუჩქებს თავს დააღწევდა, კოლმეურნეებიც მიცვივდნენ.

— კაჭბეი, ეს შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ... — ისე თქვა კაჭბეიმ, თითქოს ხალხს პასუხი სამარიდან გასცაო.

—მერედა, აქ რას აკეთებ?

— თქვენსკენ მოვდიოდი და...

— კი, მაგრამ, შე დალოცვილო, გზა არ იყო, მაინცდამაინც ამ ეკალ-ბარდებით რომ წამოხვედი? — ტყუილში დაიჭირეს კაჭბეი. ახლა იგი მეორე მახეში გაება.

— გამოდი!

— ოჰ, ეს წყეული ეკლები!..

კაჭბეი ცდილობდა გაეღიმა, მაგრამ საცოდავად ეჯღანებოდა სახე. მარტო თეთრი კბილების გამოჩენა ხომ არაა ღიმილი!

ძაღლმა ახლა კი იცნო პატრონი. წასუნსულდა მისკენ, წინ დაუყუნცდა და კუდი ააქიცინა. თითქოს გრძნობდა, რომ კაჭბეი ამ უხერხულ მდგომარეობაში მისმა დაუკვირვებლობამ ჩააგდო და თვალებით პატიებას სთხოვდა.

კაჭბეის ცოლმა, ქმარი რომ დაინახა, ხელები თავში წაიშინა, მერე უცებ გონს მოვიდა, არავინ შემნიშნოსო, მანდილი თვალებზე ჩამოიფარა და ხალხიდან გაიძურწა.

„რატომ ფეხები არ მოგტყდა, როცა აქეთკენ წამოხვედი! ცოცხლად დაგვმარხე და ეგ არის. მჯდარიყავი შინ ცოტა ხანს, რა გიშავდა? ხალხისათვის მათქმევინე, ქალაქშია წასულიო და თვითონ ბუჩქებიდან იცქირებოდი? ვიშ, ვაჟბატონი“, — ამბობდა თავისთვის შერცხვენილი ცოლი. ახლა ფეხქვეშ მიწა რომ ჩასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია.

ხაბეკუტიმ ბუჩქებიდან გამოსული მეზობელი რომ დაინახა, დაუტატანა:

— ჰაიტ, შე უსირცხვილო! ბუჩქებში იჯექი და უცდიდი, როდის მომკლავდა ეს მუდრეგი, ხომ? ვიცი, ვიცი, რა კაცია ხარ! შენც ბევრჯერ სცადე ამ მიწის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ მოგართვეს! მე მგონია მუსაც შენ ააგულიანე, ალაჰსა ვფიცავ, ტყუილი არ უნდა იყოს ჩემი ვარაუდი. მუსა, გულზე ხელი დაიდე და თქვი, მართალს ვამბობ თუ არა?

მუსა პაპისეული კერიის ქვასავით დუმდა.

— ხალხნო, — უთხრა ხაბეკუტიმ მეზობლებს, — მამაჩემი, პაპაჩემი და პაპის პაპები, ყველანი, აი, აქ ცხოვრობდნენ, ცხოვრობდნენ და მარტონი ჩიჩქნიდნენ მიწას. ერთმანეთს ედავებოდნენ და ეჩხუბებოდნენ: „არა ჩემია და არა ჩემი ეს ადგილიო“. მეც ვდგავარ პაპიჩემისეულ მიწაზე, ვჩიჩქნი, ოფლით ვრწყავ და ჩემი წინაპრებივით ღატაკი ვარ. როგორც ხედავთ, ამ მიწამ დღეს ერთმანეთს მოგვარენი წაგვაჩხუბა. კინაღამ ძმამ ძმის სისხლი დაღვარა ამ „არა ჩემია, არა ჩემიაობის“ გამო.

კარგა ხანია ვფიქრობდი და საბოლოოდ გადავწყვიტე, გავხდე კოლექტივის წევრი. ჰა, ჩაიბარეთ ჩემი მიწები და ხარები, მამუშავეთ თქვენთან. ხალხთან მინდა ყოფნა, გამოვყრუვდი მარტო!

— მართალი ხარ, ხაბჟკუტი, მართალი, — უთხრა თეთრწვერამ, — ეს „არა ჩემია, არა ჩემიაობაა“ ყოველგვარი ბოროტების მშობელი. ესაა, ადამიანებს რომ აქეზებს და ტყვიებს ასროლინებს: ესაა, ძმას რომ ძმას აკვლევინებს, მეზობელს — მეზობელს და ნათესავს — ნათესავს. ესაა, ადამიანებს თავს რომ უტეხს... ჰოდა, დადგა ის დრო, როცა ამ უბედურებათა თავიდან აცილება თავისუფლად შეუძლია კაცს. მიწების გაერთიანებაა ამის მალამო, აბა! შენ რას იტყვი, კაჭბეი?

— მეც ასე მგონია, — ამოილუღლუღა კაჭბეიმ.

სეიდიყი

„მგორავ ქვას ხავსი არ ეკიდება“

ხიკუჭი, სეიდიყის ქალიშვილი, კერასთან იჯდა და ელოდა მამას, მამა კი სოფლის საბჭოში იყო წასული.

უცბად სამზარეულოში სახეგაბრწყინებული ჰაბაში შემოვარდა. ხელში გაზეთი ეჭირა.

—ხიკუჭ, ხიკუჭ! ხედავ ამას? — გახარებულმა მიმართა ხიკუჭს, — იცი, გზაში წავიკითხე გაზეთის სახელი — „აფსნი ყაფში“! რა გახარებული ვარ! პირდაპირ შენთან გამოვიქეცი. რომ იცოდე, რა მადლობელი ვარ შენი! კაცად მაქციე...

ხიკუჭს გაეცინა. ჰაბაშმა ღიმილით შეხედა და გაიფიქრა: „ნეტა რატომ იცინის?“

— არა, ყური დამიგდე! ერთი ყური დამიგდე! — თქვა ჰაბაშმა და ასო-ასო ჩაიკითხა: „ა-ფ-ს-ნ-ი ყ-ა-ფ-შ“, სიხარულისაგან დაუსტვინა და წამოიძახა: — ეი, ჰაბაშ, უბედურო მწყემსო, კაცი გახდი, კაცი, კითხვა იცი! ეჰ, ხიკუჭ! რით უნდა გადაგიხადო სამაგიერო? — მას დაავიწყდა მორიდება, სირცხვილი და მხრებზე ხელები შემოჰხვია ქალიშვილს.

შემკრთალ ხიკუჭს გაეცინა.

— რატომ იცინი? — ღიმილით შეეკითხა ჰაბაში.

— შენი სიხარული მეც მახარებს...სად იშოვე ეგ გაზეთი?

— ერთმა მოწაფემ მომცა, — ჰაბაშს გაახსენდა, როგორ გამოართვა გაზეთი მოწაფეს და ღიმილით თქვა, — იცი, არ მაძლევდა გაზეთს... დამცინოდა, დიდი ხარ და კითხვა არ იცი; აბა, რად გინდაო. თითისტოლა ბავშვი იყო, წელამდე ძლივს მწვდებოდა...

— რატომ არ უთხარი, კითხვა ვიცი-თქო?

— შემრცხვა.. მერე მომცა, რომ გაიგო შენთვის მინდოდა.

— დაჯექი აქ და წაიკითხე. მე ყურს დაგიგდებ, — უთხრა ხიკუჭმა.

ჰაბაში იქვე, მის გვერდით დაჯდა და კითხვა დაიწყო: ნე-ობის წარ-მო... წარ-მო...

— ებისა, — დაეხმარა ხიკუჭი.

— ე-ბი-სა, — გაიმეორა ჰაბაშმა, ასწია თავი და შეხედა ხიკუჭს, — უჰ, რა გრძელი სიტყვაა! — კვლავ განაგრძო კითხვა: — „უნდა ჩა-ვა-ბათ კოლ-მეურ-ნეო-ბაში მშრო-მე-ლი გლე-ხე-ბი“... იცი რა, ხიკუჭ, კოლმეურნეობა თუ ჩამოყალიბდა ჩვენში, შევალ...

— კოლმეურნეობაში?.. შედი!.. — მიახალა უკმაყოფილოდ ხიკუჭმა, რადგან არ უნდოდა მისი მოშორება. მერე დაუმატა: — მე კი ვეღარ მნახავ!.. დაკარგული ვიქნები შენთვის!..

— ვეღარ გნახავ?.. მაშ არ გინდა, რომ წავიდე აქედან? — შეეკითხა ჰაბაში.

— არა, არა, წადი!.. შენ ახლა დიდი ხარ, ვის შეუძლია შენი დაკავება! — ჩაილაპარაკა შეწუხებულმა და პირი მიიბრუნა.

— არა, ხიკუჭ... არა, არსად არ წავალ... არსად! უშენოდ ვერ გავძლებ...

ამ სიტყვებმა გული მოულბო ხიკუჭს და მან სწრაფად მოაბრუნა სახე. ჰაბაშმა თვალები დახარა. ხიკუჭს უნდოდა მიალერსებოდა, მაგრამ ქალწულებრივმა მოკრძალებამ შეაჩერა.

— მაშ, არ წახვალ? — ჰკითხა მან ალერსით.

ჰაბაშმა თავი ასწია.

— არა... სად უნდა წავიდე?.. თქვენს მეტი არავინ მყავს. შენ გულ-კეთილი ხარ, დედაშენიც... შენს უნახავად ვერ გავძლებ. ჩვენ ხომ ერ-თად ვიზრდებოდით!.. — თქვა და კვლავ დახარა თვალები.

ხიკუჭმა თავისდაუნებურად ხელი შეახო ჰაბაშის ხუჭუჭა თმას, მაგ-რამ სწრაფად მოაშორა და უთხრა:

— ჰაბაშ, განაგრძე კითხვა...

ჰაბაშმა ხელახლა გაშალა გაზეთი.

ამ დროს სოფლის საბჭოდან დაბრუნებული სეიდიყი თავის ეზოში შევიდა. სამზარეულოში შუქი ენთო და პირდაპირ იქითკენ გაემართა. ფეხაკრეფით მივიდა სამზარეულოსთან, მიადო თვალი ჭუჭრუტანას და შეიხედა. ხიკუჭი და ჰაბაში ერთად ისხდნენ კერასთან.

„გაზეთს კითხულობს ჩემი მწყემსი!.. სად ისწავლა?“ — გაიფიქრა და კვლავ მიადო თვალი ჭუჭრუტანას.

„კაცად მაქციე ხიკუჭ“, — შემოესმა ჰაბაშის სიტყვები და ერთბა-შად აეხილა თვალები.

„ურწმუნო გიაური! მან ასწავლა კითხვა!“ — თავისთვის ჩაილაპარა-კა სეიდიყმა, მოშორდა კედელს და ჩაფიქრდა. მერე ჩქარი ნაბიჯით კა-რისაკენ გაემართა.

ჰაბაში სწრაფად წამოხტა და დააპირა გაზეთის დამალვა.

— რას მიმალავ, დად? [1] — ჰკითხა სეიდიყმა ალერსით. პირველად მიმართა ჰაბაშს ასე თბილად.

—არაფერს... ისე... — მიუგო ჰაბაშმა და თვალები დახარა.

— როგორ თუ არაფერს?.. ხომ გიჭირავს ხელში რაღაც?

— გაზეთია... — მიუგო ჰაბაშმა გაუბედავად:

— მერე, რატომ მიმალავ, დად?

— არა... არ დამიმალავს... ისე... — ჩაილაპარაკა ჰაბაშმა და ხიკუჭს შეხედა. გულში გაივლო, ეწყინება ხიკუჭს, სეიდიყს რომ ვუთხრა, კითხვა შენმა ქალიშვილმა მასწავლა-მეთქი.

— იცი კითხვა?

ჰაბაში დუმდა.

— ვინ გასწავლა, დად?

ჰაბაში კვლავ დუმდა.

— მე, — მიუგო ხიკუჭმა.

— შენ ასწავლე?

— ჰო.

— კარგი საქმეა, დად, კარგი... კაცს კითხვა ასწავლო... ნამდვილი ელვა ხარ, — ჩაილაპარაკა სეიდიყმა. ისე ეჭირა თავი, თითქოს ძალიან კმაყოფილი იყო, მისმა შვილმა რომ მწყემსს კითხვა ასწავლა. მერე ჰაბაშს მიმართა:

— აბა, დად, როგორ კითხულობ?

ჰაბაშმა გაუბედავად გაშალა გაზეთი:

—„კოლმეურნეობა არის ახალი ფორმა მეურნეობის წარმოებისა“.

სეიდიყმა შუბლი შეიჭმუხნა.

— მანდაც კოლმეურნეობაზეა ლაპარაკი?.. — წამოსცდა უნებურად სეიდიყს.

— ჰო, — მიუგო ჰაბაშმა და განაგრძო:

— „უნდა ჩავაბათ კოლმეურნეობაში მშრომელი გლეხები... კულაკი“...

—რაო, რაო? — გააწყვეტინა სეიდიყმა.

— „კულაკი კოლმეურნეობის მტერია“...

— კმარა! ყოჩაღ, მართლა გცოდნია კითხვა... — თქვა სეიდიყმა და ხიკუჭს თითქოს ხუმრობით მიმართა: — შენ, დად, კარგი მასწავლებელი ყოფილხარ... მაგრამ როგორ მოხდა, რომ მე ვერ გავიგე... ხიკუჭ, ბიჭმა დაიძინა?

— დაიძინა.

— წადი, გააღვიძე, აქ მოვიდეს. — თქვა მოხუცმა და კერასთან ჩამოჯდა.

---

[1] „დად“ — უფროსის მიმართვის ფორმა უმცროსისადმი.

ხიკუჭი წავიდა. ჰაბაშმაც დააპირა წასვლა, მაგრამ სეიდიყმა შეაჩერა.

— ჰაბაშ, მოიცა, დად, საქმე მაქვს, — უთხრა მან და შეხედა. დიდხანს უყურებდა. ჰაბაშმა თვალები ძირს დახარა. — ხი-ხი-ხი — ჩაიცინა სეიდიყმა: — შენ, დად, ალბათ, ფიქრობ, მოხუცი მე ხომ არ დამცინისო, მაგრამ არა, ჰაბაშ! კაცის სასაცილოდ აგდება არ შემშვენის... ამ უკანასკნელ დროს ბევრს ვფიქრობ ერთ საქმეზე. ასეც ავწონე, ისეც, დაბოლოს ერთ აზრს დავადექი. ჰაბაშ, ნუ დამიმალავ, ხომ გიყვარს ხიკუჭი? ჰა?

ისე მოულოდნელი იყო ჰაბაშისათვის ეს კითხვა. რომ თავი სწრაფად ასწია, მაგრამ მალე ისევ დახარა.

— ნუ გრცხვენია, დად... ქალიშვილი ხომ არა ხარ... — განაგრძო სეიდიყმა: — შენ რომ არ მითხრა, მე თვითონ ვხედავ ყველაფერს. თვალებზე გატყობ... თვალი ხომ გულის სარკეა... სეიდიყს ვერაფერს დაუმალავ... ესეც რომ არ იყოს, კაცი ბედს ვერ გაექცევა... თუ ბედმა ხიკუჭი გარგუნა, შენი იქნება. ვინ შეცვლის ალაჰის ბრძანებას? ვერავინ! როგორც ვხედავ ხიკუჭსაც უყვარხარ...

— სეიდიყ... ნუ დამცინი!

— ე-ე-ე, არ გჯერა...—თქვა სეიდიყმა ვითომ უკმაყოფილოდ, — ალაჰმა გული გამიპოს, თუ სიმართლეს არ ვამბობდე! ჰაბაშ, შვილი მგონიხარ ჩემი. პატარაობიდან ჩემთან ცხოვრობ... ჩემს პურ-მარილს ჭამ...

— სეიდიყ, არ დავივიწყებ მაგას, — თქვა ჰაბაშმა და გაიფიქრა, იქნებ გულწრფელად მელაპარაკებაო, მაგრამ მაშინვე უკუაგდო ეს აზრი.

— მჯერა, არ დაივიწყებ, — თქვა სეიდიყმა და თითქოს შეწუხებულმა განაგრძო: — მალე მწყემსობის ვადა გავა, ჰოდა, არ მინდა ერთმანეთი დავკარგოთ. ვთქვათ წახვედი. სად წახვალ მერე? არაფერი შენ არ გაგაჩნია, ცარიელ-ტარიელი ხარ. იქნებ ფიქრობ, სასირცხვილოდ მიმაჩნია შენისთანა სიძის ყოლა? შენ ვაჟკაცი ხარ... აი აქვე, გვერდით მიწას მოგცემთ, სახლს აგიშენებთ და იცხოვრებთ ტკბილად. მეტი რაღა გინდა?.. ერთმანეთს არ დავკარგავთ. რაც მე მიყვარს, რასაც ვფიქრობ, პირდაპირ ვამბობ. ახლა გავათავოთ ამაზე ლაპარაკი, დრო ბევრი გვაქვს, მერე კიდევ მოვილაპარაკოთ. თქვენ, ორივე, ჩემი შვილები ხართ, — დაასრულა სათქმელი სეიდიყმა და ჩიბუხის გატენას შეუდგა.

ჰაბაში გაუნძრევლად იდგა. საფეთქლები გამალებით უცემდა. გონებიდან არ შორდებოდა კითხვა: „გულწრფელად მელაპარაკება თუ არა?!“ სეიდიყი ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა, ჰაბაშმა ყოყმანი დაიწყო.

სეიდიყმა გატენა ჩიბუხი, დაადო ზევიდან პატარა ნაკვერცხალი და გააბოლა. უცბად, თითქოს ახლა გაახსენდაო, მიმართა ჰაბაშს:

— ჰო, მართლა! იცი, დად, რა ქნა თემირმა?

— რა?

— წავიდა, ჩვენს პურ-მარილს წიხლი ჰკრა. არაფრად ჩაგვაგდო არც შენ, არც მე, არც სხვები. ამ სახლის მტერი გახდა... ეს შენც იცი. მაგრამ ახლა მთლად ჭკუიდან შეიშალა... მას შემდეგ, რაც გუთანი მიიღო, კოლმეურნეობაზე ფიქრობს. ეტყობა, ვიღაც ატყუებს... მებრალება. ჩემთან იყო, ჩემს პურ-მარილს ჭამდა. დაიღუპება თუ კოლმეურნეობაში შევიდა.

—გაზეთში წერია, კოლმეურნეობა კარგიაო, — ჩაილაპარაკა ხმადაბლა ჰაბაშმა.

— ტყუილს ამბობენ, დად, ტყუილს! ნუ დაიჯერებ! შენ მე დამიგდე ყური, ჯერ ახალგაზრდა ხარ, კოლმეურნეობა, ჩვენთვის, აფხაზებისათვის, სიკვდილია. ის მოსპობს ჩვენს ზნე-ჩვეულებებს. თუ კოლმეურნეობა გაჩნდა, ჩვენს აჰაბლაში[1] ცხოვრება შეუძლებელი გახდება. თემირს არ ესმის, უნდა გამოვუგდოთ ეს სისულელე თავიდან მასაც და ზოგიერთ სხვასაც. ყველაფერი გუთნის ბრალია. თუ გუთანი არ ექნებათ, კავით კოლმეურნეობის მიწებს ვერ მოხნავენ... ხომ გაიგე, დად?

ჰაბაში დუმდა.

— გუთანი სადმე უნდა დავმალოთ.

— როგორ, მოვიპაროთ? — იკითხა გაკვირვებულმა ჰაბაშმა.

— არა, დად, არა! რა შუაშია მოპარვა?! დროებით უნდა დავმალოთ, მეტი არაფერი... ეს თემირისთვის სასარგებლოც იქნება. ხომ გაიგე?

„ეგ სულერთია“, — გაიფიქრა ჰაბაშმა.

—მე დავბერდი, წელი ვეღარ ამიწევია, თორემ თვითონ მოვაგვარებდი ამ საქმეს. ჰოდა, შენ უნდა ივარგო, შვილო!

— მე? — შესძახა ჰაბაშმა და თვალწინ დაუდგა თავისი საუკეთესო შეგობრის თემირის კეთილი სახე.

— რა იყო, დად? რატომ გაიკვირვე ასე? სიკეთეს უზამ თემირს. იხსნი უბედურებისაგან...

— როგორ უნდა მოვპარო გუთანი თემირს!? ვერა, ვერ შევძლებ მაგას. — მიუგო ჰაბაშმა სასოწარკვეთილი ხმით.

— ვერ შეძლებ? — წამოვარდა სეიდიყი, — თუ მამად არ მიგაჩნივარ, დღესვე წადი ჩემი სახლიდან! აღარ მინდიხარ აღარც შვილად და აღარც სიძედ! თვალით ნუღარ დამენახვები! იცოდე, თხას ჩემგან ვეღარ მიიღებ! თუ ჩემს თხებს აძოვებდი, სამაგიეროდ გაჭმევდი, გასმევდი. მამაშვილურად გარიგებ: ნუ დაიღუპავ თავს, წადი, გააკეთე რასაც გეუბნები. იქვე ახლოს, ტყეში ბალახებით და ეკლებით დაფარული ძველი ჭა არის, ხომ იცი?

— ვიცი! — მიუგო თითქმის ჩურჩულით ჰაბაშმა.

---

[1] აჰაბლა — სოფლის უბანი.

— აი, იქ ჩააგდე გუთანი და ალაჰიც ვეღარ იპოვის. წადი, ნუ კარგავ ბედნიერებას, წადი, დად, წადი... — დაამთავრა ალერსიანად სეიდიყმა.

— არ შემიძლია, სეიდიყ, — გაუბედავად უთხრა ჰაბაშმა.

— მაშ, გამეცალე! აღარ დამენახო, შე უბედურო, შენა! ძაღლი ჰყეფს, ცხენი კი სძოვსო. ველაპარაკები, ეს ყურსაც არ იბერტყავს! გამეცალე! — დაიყვირა სეიდიყმა.

თავდაღუნული ჰაბაში კარისაკენ გაემართა.

— ერთხელ კიდევ მოიფიქრე... — დაუდაბლა ხმას სეიდიყმა, — კარგად დაუკვირდი, რაც გითხარი, თუ არ გინდა დაგვკარგო მეც და ხიკუჭიც. შენთვის სიკეთე მინდა, — უთხრა მიმავალ ჰაბაშს.

ჰაბაში გარეთ გავიდა. მუხლები ეკეცებოდა, გული აჩქარებით უცემდა. მიდიოდა ტორტმანით, ანგარიშმიუცემლად, სანამ სახლის უკანა კედელს არ დაეტაკა. აქ შეჩერდა. ერთ ხანს უგონოდ იდგა კედელს მიყრდნობილი.

მოშორებით, თხმელების ქვეშ, სიბნელეში, ბუნდოვნად მოჩანდა გადახურული ფარეხი. ჰაბაში იქითკენ გაემართა. თხები კიკინით შეხვდნენ თავიანთ მეგობარს. სიბნელეში თვალებს აბრიალებდნენ. მაგრამ ჰაბაში არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მათ, გაკვირვებული თხებიც მიყუჩდნენ. ჰაბაში სახურავზე ავიდა და გაიშოტა. თავი უხურდა. შუბლზე ხელი დაიდო. თხმელის ფოთლებში აქა-იქ ოდნავ ბჟუტავდა ვარსკვლავები. ისინი აგონებდნენ თემირთან ერთად სათიბში გატარებულ ღამეებს. გაახსენდა, როგორ იწვნენ ისინი გულაღმა თივაზე და შეჰყურებდნენ ვარსკვლავებს, ცაზე გაფანტულ გავარვარებულ ნაკვერცხლებად რომ ეჩვენებოდა. გაახსენდა ისიც, თუ როგორ ესარჩლებოდა მას თემირი და როგორ იცავდა სეიდიყისაგან... და აი, ახლა, უნდა ავნოს თემირს. გული ეკუმშებოდა, მწარედ უკვნესოდა... უცბად თვალწინ ხიკუჭის სახე დაუდგა... ხიკუჭი გვერდით უზის, ალერსიანად თავზე ხელს უსვამს.

დაქანებულ სახურავზე წვერცანცარა თხა აცოცდა. ხმაურზე ჰაბაშს შეაკრჭოლა, მაგრამ როცა თხა დაინახა, გაუხარდა. თხა გაჩერდა, ტუჩები შეახო მის შუბლს. სიბნელეში ორმა თვალმა გაიელვა... გაიელვა ისე, როგორც თხმელის ფოთლებში ვარსკვლავები ელავენ. ჰაბაშმა ყურებში ხელი წაავლო თხას და თავზე ლოყა მიადო. მერე დიდხანს ჩაჰყურებდა თვალებში.

— ეჰ, ჩემო კარგო თხა, გული მტკივა, ბოლმა მახრჩობს! მიყვარს ხიკუჭი, მიყვარს თემირი და ცუდი საქმე უნდა გავაკეთო...

თხამ თავი გააქნია, თითქოს არ მოეწონა მისი განზრახვა.

— არ მოგწონს? ... მართალი ხარ... მართალი... მაგრამ ბოროტი მოხუცი რომ გამაგდებს?.. არავინ არა მყავს... — თქვა ჰაბაშმა.

— არ წასულხარ? — გაისმა სიბნელეში სეიდიყის უკმეხი ხმა.

ჰაბაში სწრაფად წამოდგა. ჩუმად ჩაცოცდა ძირს, გულზე მწუხარედ დაიკრიფა ხელები და თემირის სახლისაკენ გაემართა.

სეიდიყს პასუხი რომ არ მოესმა, მიტრიალდა და სამზარეულოში შევიდა.

— მოხვედი, დად! — მიმართა შვილს, რომელიც ის-ის იყო ლოგინიდან წამომდგარიყო. — კარგი ქენი. ახლა შეკაზმე ცხენი და ყაზილბაქთან წადი.

— რა ვუთხრა?

— უთხარი, სოფლის საბჭო კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას მხარს უჭერს-თქო, სოფლის ყრილობა უნდა მოიწვიონ. რასაც დაგაბარებს, არ დაგავიწყდეს.

— ახლავე წავალ!

— მოიცა! თუ გზაში გკითხა ვინმემ, სად მიხვალო, არ უთხრა, რომ ყაზილბაქთან მიდიხარ. ჩქარა დაბრუნდი.

— კარგი! — უპასუხა მორჩილად შვილმა და გარეთ გავარდა.

სეიდიყმა ჩიბუხი გააბოლა. ამ დროს ცოლი შემოვიდა.

— რატომ დაიგვიანე? — ჰკითხა მან.

— რატომ და დიდი საქმე მქონდა... სოფლის საბჭომ მხარი დაუჭირა კოლმეურნეობას.

მოხუცი ქალი ერთ ხანს გაჩუმებული იდგა და რაღაცაზე ფიქრობდა. მერე ჰკითხა.

— შვილი სადღა გაგზავნე ასე გვიან?

— ყაზილბაქთან.

— რაში დაგჭირდა ამ შუაღამისას ყაზილბაქი?

— შენი საქმე არ არის! — შეუტია სეიდიყმა.

— იცოდე... რამე რომ დაგემართოს, შენივე ბრალი იქნება... ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, შენც ასე გამოჩიჩქნი...

— გაჩუმდები თუ არა! უკეთესია შენს ქალიშვილს მიხედო!—უთხრა საყვედურით სეიდიყმა.

— რა იყო? რა მოხდა? — შეშფოთდა მოხუცი.

— რა მოხდა და ცემა მოუხდება იმას.

— არ იტყვი, რა მოხდა?

— დედ-მამის დაუკითხავად მწყემსს კითხვა ასწავლა!

— უბედური ხარ, უბედური! მე მეგონა, საშინელება მოხდა! გული გადამიტრიალდა! რად არის მერე ცუდი, რომ კაცს კითხვა ასწავლა? — წამოიძახა მოხუცმა.

— ჰმ... რად არის ცუდიო!.. ნასწავლი მოჯამაგირე თითს არ გაანძრევს! იცი ეს თუ არა?.. რა სწავლა უნდა უბადრუკს!

— უსამართლო კაცი ხარ, უსამართლო! — თქვა მოხუცმა. დაამოკლა ჯაჭვი, რომელზედაც ქვაბი ეკიდა, და განაგრძო: — ხიკუჭი ჭკვიანია. ცუდს არაფერს გააკეთებს...

ამ დროს ხიკუჭი სამზარეულოს მიუახლოვდა, თავისი სახელი რომ გაიგონა, გაიფიქრა, ალბათ მლანძღავენ, რომ ჰაბაშს კითხვა ვასწავლეო, ფეხაკრეფით მივიდა კედელთან და ყური მიადო.

გაისმა სეიდიყის ხმა:

— ერთ რამეზე მინდა მოგელაპარაკო.

— რაზე?

— ხიკუჭი უნდა გავათხოვოთ.

— გავათხოვოთ?! ხუმრობ თუ?

— ვხუმრობ კი არა!

— ნან[1], რას ამბობ? ბავშვია ჯერ, რა დროს მისი გათხოვებაა? ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? — ხელების ქნევით წამოიძახა მოხუცმა.

— ჭკუაზე არ შევშლილვარ, რა ბავშვია! გუშინ არ მოაშორე ძუძუს!.. ხი-ხი-ხი-ხი! ბავშვი კი არა, მოწიფული ქალიშვილია. აგერ მეთვრამეტეში გადადგა. შენ კი გაიძახი, ბავშვიაო.

— ნან, ნან, ჩემი ხიკუჭი. ნეტა მის ბედნიერებას მომასწრო და მერე თუნდა მომკლა.

— ნუ ეჩქარები სიკვდილს, — გააწყვეტინა სეიდიყმა, — მაშ რა გგონია, მამა ცუდს მოინდომებს შვილისათვის?

გულაჩვილებული დედა თავისას გაიძახოდა:

— უი, ნან, ნეტა შენ ბედნიერებას, შენ ქმარს მომასწრო, მერე თუნდა ერთ დღესაც ნუ ვიცოცხლებ.

— გინდა სახელსაც გეტყვი.

— ვინ არის? — ჰკითხა მოხუცმა და დააშტერდა.

— კოსტა! — მიახალა ერთბაშად სეიდიყმა.

— რომელი კოსტა, უბედურო? — შესძახა ცოლმა.

— კოსტა ვაჭარი.

ხიკუჭი უცბად მოსწყდა კედელს, თითქოს გველმა უკბინაო.

— აი, ღმერთმა კი დაგწყევლოს, ღმერთმა! როგორ ამოგვიდა პირიდან ეგ? ცალთვალა კაცს მივათხოვოთ? — წამოიძახა აღშფოთებულმა დედაბერმა.

— მამაკაცს სილამაზე რად უნდა! აი, მეც ცალთვალზე ქუთუთო ვიწრო მაქვს, რატომ მომთხოვდი? კვდებოდი ჩემთვის ხომ! ხი-ხი-ხი — ჩაიცინა სეიდიყმა.

— მაშინ ეგ შენი ბრუციანი თვალი არ დამინახავს.

— ხი-ხი-ხი! — კვლავ ჩაიცინა სეიდიყმა, — დაბრმავებული იყავი ჩემი სიყვარულით, დაბრმავებული!

[1] უფროსი ქალის ალერსიანი მიმართვა უმცროსისადმი.

— რომელი სიყვარული! ერთხელ მეტად არც კი მინახიხარ! მშობლებმა ძალით გამათხოვეს... არა, არა, აღარ გამაგონო ეგ სახელი! ალბათ წამოგცდა! არა! არა! — ვეღარ ისვენებდა დედაბერი.

— სულელი ხარ, სულელი! — დაიწყო ისევ სეიდიყმა, — კოსტა ვაჭარია, მდიდარია, კარგად ცხოვრობს. მერე რა, თვალზე ლიბრი რომ აქვს გადაკრული! სამაგიეროდ გამოსადეგი კაცია.

— ნუ მეუბნები მაგას! გინდა გაყიდო შვილი?! არა, არა! — თქვა დედაბერმა და გარეთ გავარდა.

— ე-ე-ე-ე! ეშმაკმა წაგიღოს! მოიცა, შენ თვითონ შემეხვეწები! — ჩაილაპარაკა თავისთვის სეიდიყმა, მიუჯდა კერას, გასწი-გამოსწია შეშა. წააყარა ნაკვერცხალს ნაცარი, მერე წამოდგა და ოდისაკენ გაემართა.

ხიკუჭს მთელი ღამე არ სძინებია. თავიდან არ შორდებოდა ის აზრი, რომ მამას სურდა ძალით გაეთხოვებინა საძულველ კაცზე. კომკავშირელი ქალი ვაჭარზე უნდა გაეთხოვებინათ! ისიც ბრუციანზე! ხიკუჭმა საბანი გადაიძრო და ლოგინში წამოჯდა. აღშფოთდა ახალგაზრდა გული. გაფართოებული უძრავი თვალები წყვდიადის გარღვევას ლამობდნენ... ამავე დროს ხიკუჭის გულს სხვა იდუმალი შიში ეუფლებოდა... „სად გაგზავნა მამამ ამ უკუნღამეში ჩემი ძმა?“ — ფიქრობდა იგი. ჰკითხა დედას, მაგრამ მან არაფერი იცოდა. ხიკუჭი გრძნობდა, რომ მამას უკეთური განზრახვა ედო გულში. მამა უკანასკნელ დროს სულ შფოთავდა, სულ ბუზღუნებდა... ერთხელ ყაზილბაქიც მოეიდა მის სანახავად... გაკიცხა მამის საქციელი, რასაც მანამ ხიკუჭი ყურადღებას არ აქცევდა. გაახსენდა მთელი თავისი ცხოვრება, მამა ოჯახში ყოველთვის მტარვალი იყო. სისხლს სწოვდა მეზობლებს, ღარიბ გლეხებს. გამორჩენისათვის საკუთარ ქალიშვილსაც არ დაინდობდა...

დილით სამზარეულოს წინ ხიკუჭი ძმას შეხვდა.

— სად იყავი წუხელ? — ჰკითხა მას.

— რა შენი საქმეა! — მოუჭრა ძმამ.

— არ გინდა მითხრა? მაშ კარგი! მამას ცუდ საქმეში შველი ხომ... კომკავშირელს დამიხედე! აი, ნახავ, განვაცხადებ კომკავშირში.

—აბა, გაბედე! გიჩვენებ სეირს! ცემით მოგკლავ! — დაუბრიალა თვალები და გაშორდა.

ხიკუჭი დარწმუნდა, რომ მამას რაღაც ცუდი ჰქონდა განზრახული და კომკავშირელი შვილი ეხმარებოდა.

ხიკუჭი მოაჯირს მიეყრდნო და ჩაფიქრდა.

„მამა კულაკი... მე კომკავშირელი... უნდა განვაცხადო კომკავშირში თუ დავფარო... — დიდ საგონებელში ჩავარდა ხიკუჭი. — გავწყვიტო კავშირი კომკავშირთან? არა, არა, არ შემიძლია! მიყვარს იგი, სულით და გულით შევეთვისე. მამა საბჭოთა ხელისუფლების მტერია. თანაც

სოფლის საბჭოს წევრი. რა საზიზღარი კომკავშირელი ვარ. უნდა განვაცხადო ყველაფერი კომკავშირში! — მტკიცედ გადაწყვიტა მან.

* * *

— ჰეი!.. ადექი, — დაუძახა თემირმა ცოლს, რომელსაც ბავშვებთან ერთად იქვე ტახტზე ეძინა.

— რა, განა გათენდა? — იკითხა ასიამ და სწრაფად წამოჯდა.

დილის რიჟრაჟი ჭუჭრუტანებიდან იპარებოდა ფაცხაში.

— დედა, მეც ავდგები! — წამოიძახა ბიჭუნამ.

— არა, შვილო, იწექი! ჯერ ცეცხლს დავანთებ, ცივა! — უთხრა დედამ.

— მე კი არ ავდგები... — თქვა გოგომ და თავი საბანში ჩარგო.

— მე ცეცხლს გავაჩაღებ, შენ კი აბისთა[1] მოამზადე... — ჩაილაპარაკა თემირმა, — დღეს მრუდე კაკალთან ვიკრიბებით მე, ბაზალა, ქობლუხი და სხვები. უნდა მოვილაპარაკოთ მიწების ერთად დამუშავებაზე.

— ვიცი, აკი მითხარი, კუჭირი მელაპარაკა მიწების ერთად დამუშავებაზეო.

—აი, სწორედ მაგისთვის უნდა შევიკრიბოთ! — თქვა თემირმა, კერას მიუჯდა, ნაცარი გადაქექა, ნაკვერცხლებს ნაფოტები დააყარა და ბერვა დაუწყო.

ავარდა ალი. ფაცხის კედელზე ჩრდილები ათამაშდა. თემირმა კარი გააღო.

აღმოსავლეთით მთებს ამაყად აემართათ მხრები. მწვერვალების უკან მზე ნელ-ნელა ამოდიოდა. დაბლობებში მზის შუქით დამფრთხალი წყვდიადი სწრაფად მიიპარებოდა. ხეობები ჯერ ისევ ლურჯ ბინდბუნდში იყო გახვეული. ღიმილით ხვდებოდა მზეს შორეული ერცახუს მწვერვალი. ეს თეთრფაფახიანი გოლიათი თვალს არ აშორებდა ქვემოთ ლურჯად გაწოლილ ზღვას.

თვალუწვდენელი ზღვა ჯერ კიდევ უზრუნველად თვლემდა. მთის ნაკადების შეუწყვეტელი რაკრაკი ნანინად ეწვეთებოდა მის ყურს. ბოლოს მზემ ზღვასაც გადახედა. ცელქი სხივების ნაზ ალერსს და თბილ კოცნას ზღვა ღიმილით გამოეპასუხა.

აი, ატოკდა, ატორტმანდა მისი მწვანე, ხავერდოვანი მკერდი და გველივით დაკლაკნილი ტალღები ნაპირებისაკენ გაეშურნენ.

ახმაურდნენ ბზები, შეირხნენ ლარივით ამართული ალვის ხის კენწეროები, აჩურჩულდნენ ფოთლები, სხვადასხვა ხმაზე ალაპარაკდნენ ფრინველები, აჰაბლაში მამლები ერთმანეთს გამოეხმაურნენ, აყეფდნენ ძაღლები და, ბოლოს, ფეხზე წამოდგა ნამძინარევი კამეჩი, ზანტად ას-

---

[1] აბისთა — სიმინდის ფაფა, ღომი.

წია თავი და დიდი ხორკლიანი ენა წაატანა თხსელიდან ჩამოშვებულ ვაზის ფოთოლს.

თემირი ნამიან ეზოში გავიდა. გული უმღეროდა, ახარებდა იმაზე ფიქრი, რომ რკინის გუთნით უნდა შესდგომოდა ხვნას, რომ სეიდიყის უღელი გადააგდო. ახალი, დიდებული ცხოვრება ელოდა. ვეღარ ითმენდა. უნდოდა ახლავე წასულიყო მრუდე კაკალთან. თემირი მიტრიალდა და ღიმილით ფაცხაში შევიდა. ცოლს წყლიანი ქვაბი ჩამოეკიდა და ახლა ფქვილს ცრიდა.

— მივდივარ, — მიმართა მან ცოლს!

— სად მიდიხარ მშიერი?

— მალე დავბრუნდები, მანამდე აბისთასაც მოამზადებ.

— კარგი, წადი!

თემირი ფაცხიდან გავიდა, დაავლო ხელი წალდს და მრუდე კაკლისკენ გაემართა.

* * *

უზარმაზარი მრუდე კაკლის ხე გაშლილი ტოტებით ზევიდან დაჰყურებდა პატარა ველს. მძლავრი ფესვებით მაგრად ჩაბღაუჭებოდა მიწას.

თემირი პირველი მივიდა. მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. მერე ფესვზე ჩამოჯდა, თამბაქოს ფოთოლი დაახვია, მოუკიდა და გააბოლა.

სიჩუმეს არაფერი არღვევდა. მზის სხივებს ოქროსფრად შეეღება კაკლის ხის თხემი. შაშვებმა გაიელვეს და მოშორებით მდგარ ხეს მიაშურეს. თემირი წამოდგა, ნამწვი გადააგდო და სტვენით კაკლის ხეს შემოუარა. გაჩერდა, თვალი ააყოლა მრუდე ტანს და გაიფიქრა:

„საკვირველია! რატომ არ წაიქცევა?“

— რას იყურები, თემირ, ზევით? კვერნა ხომ არ შეაგდე ხეზე? — მოესმა უკნიდან. მიიხედა, მისი მეზობელი ბაზალა დაინახა.

— შენა ხარ, ბაზალა? რატომ დაიგვიანე?

— აგერ ქობლუხი და კუჭირიც მოდიან.

მალე სხვებიც მოვიდნენ. ყველა ერთი აჰაბლადან იყო, „მრუდე კაკლის ხის“ აჰაბლადან. აქედან სამი ღარიბი გლეხი იყო, დანარჩენი — საშუალო.

— მოდით, პირდაპირ საქმეზე ვილაპარაკოთ! — თქვა ქობლუხმა.

ყველანი ჩამოსხდნენ: ზოგი — ქვაზე, ზოგიც — ფესვებზე.

— შენ დაიწყე, ქობლუხ! — მიმართა ბაზალამ.

— მეე? თემირ, იქნებ შენ დაიწყო?

— უფროსები აქა ხართ და მე დავიწყო? — მიუგო მოწიწებით თემირმა.

— იქნებ შენ, ბაზალა? — მიმართა ბაზალას ქობლუხმა...

— დაიწყე, დაიწყე...

— მასე იყოს, რაკი არ იშლით, — დაიწყო ქობლუხმა. — ჩვენ აქ ათი მოსახლე შევიკრიბეთ. ყველამ არ იცის, რაზე უნდა მოვილაპარაკოთ დღეს.

— სწორია, დად, სწორი. ყველამ არ იცის, — დაუდასტურა ჰაჯარათმა.

— მაშ, პირდაპირ დავიწყებ. ჩვენ ვფიქრობთ, შევაერთოთ ჩვენი ძალები და ერთად დავამუშაოთ მიწები, — თქვა ქობლუხმა.

— როგორ? ეგ ხომ კოლმეურნეობაა? — დააჭყიტა თვალები ჰაზარათმა.

— რამ შეგაშინა, შე კაცო? შეშინებული ძაღლი მთვარეს უყეფდაო. შენი საქმეც ასეა! — გაიცინა ქობლუხმა.

— ეგ ხომ კოლმეურნეობაა, დად? — გაიმეორა ჰაზარათმა.

— რაც გინდა დაუძახე, ჩვენ კი ჩვენი მიწები საერთო ძალით დავამუშაოთ. შენ ამის წინააღმდეგი ხარ? — ჰკითხა ქობლუხმა.

— არა, დად, წინააღმდეგი არა ვარ, რომ შევერთდეთ და ისე ვიმუშაოთ. წაიყვანეთ ჩემი კამეჩები, წაიღეთ ჩემი სახნისი, ყველაფერი, რაც საერთო მუშაობისათვის გამოდგება, მაგრამ კოლმეურნეობა არ მინდა.

კუჭირს გაეცინა. გაეცინა სხვებსაც.

— რად დამცინი, კუჭირ? განა რა ვთქვი სასაცილო.

— შენ ხომ წინააღმდეგი არა ხარ. ჰაზარათ, რომ შევერთდეთ, რომ ერთად ვიმუშაოთ? — ჰკითხა კუჭირმა.

— არა ვარ...

— ჰოდა, ეგ არის კოლმეურნეობა.

— კოლმეურნეობა?

— ხი-ხი-ხი! — ჩაიცინა ეშმაკურად კუატალეიმ.

— შენ რაღას იცინი? — მიმართა მას ბაზალამ.

— მეე?

— ჰო, შენ!

— კოლმეურნეობას უნდა მისცე კამეჩიც, სახნისიც, სახლ-კარიც, ძროხაც, ხარიც, ქათამიც, ბატიც... ყველაფერი, რაც გაგაჩნია... საკუთარი თავიც.

— მართალი არა ხარ, კუატალეი. ვიღაც გაშინებს და შენც გჯერა, — გააწყვეტინა კუჭირმა. — რასაც შენ ამბობ, მაგას ჩვენი მტრები ამბობენ. ვინ არიან ისინი? კულაკები, თავადები, აზნაურები, ყველა ის, ვისაც საბჭოთა ხელისუფლებამ აუკრძალა ხალხის ძარცვა-გლეჯა: ვისაც არ უნდა, რომ ღარიბმა და საშუალო გლეხებმა ერთად იმუშაოს. იმათ იციან, როცა კაცი მარტო მუშაობს, ვერ გამდიდრდება, გაჭირვებულ კაცს კი ადვილად ჩაიგდებენ ხელში, ადვილად ამუშავებენ თავიანთ სასარგებლოდ, აი, როგორ არის საქმე კუატალეი!

— სწორია, სწორი, ელამი ცხენი მშიშარაააო, ხომ გაგიგონია? შენც ასე ხარ, კუატალეი, — თქვა ბაზალამ.

— ძროხების, წვრილფეხა პირუტყვის, ფრინველის, სახლ-კარის გაერთიანება არ არის ჩვენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი... — განაგრძო კუჭირმა. — პირიქით, საბჭოთა ხელისუფლება ეხმარება კოლმეურნეს ჰყავდეს ძროხა, წვრილფეხა პირუტყვი, ფრინველი და სხვა.

კუჭირმა ამოიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება და იქვე აუხსნა დამსწრეებს, რა არის არტელი, როგორ უნდა მოეწყოს, როგორ უნდა იმუშაოს და სხვა.

— ეს რით არის ცუდი? — თქვა თემირმა.

— არაფრით, არაფრით, — დაუდასტურა ბაზალამ.

— რას გაჩუმებულხარ, კაჭბეი? — ჰკითხა ქობლუხმა.

კაჭბეი ბაზალას მეზობელი იყო, ღონიერი საშუალო გლეხი.

„კარგად ვცხოვრობ, რად მინდა კოლმეურნეობა?“ — გაიფიქრა მან, ნანობდა, რომ მოვიდა და ახლა მიზეზს ეძებდა თავის დასაძვრენად.

— მე მეკითხები? — ჰკითხა ქობლუხს და თავი ასწია.

— ჰო.

— მე... არ მომწონს, — დაიწყო მან. — ჯერ არსად არ არის კოლმეურნეობა... ჩვენ რატომ უნდა მოვაწყოთ პირველად? უკან ვინ მოგვდევს!..

— ხომ უნდა დაიწყოს ვინმემ? სულ ერთი არ არის, ჩვენ მოვაწყობთ თუ სხვა? — მიუგო კუჭირმა.

— მასეა, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია... — თქვა კაჭბეიმ.

ამ დროს კუატალეიმ წასჩურჩულა: „წავიდეთ“.

— როგორც გინდა, ძალას არავინ გატანს, — მიუგო ქობლუხმა.

— ნუ გეწყინებათ და, — თქვა დარცხვენით კაჭბეიმ და წამოდგა. წამოდგა კუატალეიც.

— შენც მიდიხარ? — შეეკითხა თემირი.

კუატალეი დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა, ბოლოს წაილუღლუღა:

— ჰო, მეც.

— კარგი, წადით, ჩოხის კალთას არ დაგაგლეჯთ! — წაილაპარაკა უკმაყოფილოდ ქობლუხმა.

— კეთილად იყავით! — თქვა კაჭბეიმ და გზას გაუდგა. მას კუატალეიც დაედევნა.

— იქნებ თქვენც გინდათ წასვლა? — იკითხა ქობლუხმა.

— არა. დად, არა! — მტკიცედ მიუგეს დარჩენილებმა.

— რვა კაცი დავრჩით!

— ნუ სწუხხარ, ქობლუხ, ხომ გაგიგონია, ზღვაც წვეთისაგან შედგებაო, — ანუგეშა ბაზალამ.

— სწორია.

— ჰოდა, მაგრად ჩავეიდოთ ერთმანეთს ხელი და შევუდგეთ საქმეს, რომ არ დაგვცინონ კაპბეიმ, კუატალეიმ და სხვებმა.

— სწორია, სწორი...

ამ დროს კუბრიციც მოვიდა. მიესალმა შეკრებილთ.

— მოდი, დად, დაჯექი! — მიიწვიეს ის.

— აი, აქ დავჯდები! — თქვა კუბრიცმა და კუჭირის გვერდით დაჯდა.

— საქმე ცუდად არ მიდის, მხოლოდ ორი კაცი წავიდა, — დაიწყო ქობლუხმა.

— ვინ წავიდა?

— კაპბეი და კუატალეი.

კუბრიცი ჩაფიქრდა.

— ნუ სწუხხართ, ერთი დამპალი ვაშლი ას კარგ ვაშლს გააფუჭებს...

— სწორია, დად. ჭიანი ვაშლები არ გვინდა! — მიუგო ბაზალამ.

— კარგად თქვი, ბაზალა! — ჩაილაპარაკა კუბრიცმა. მერე იკითხა — მაშ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი?

— მტკიცედ, მტკიცედ, — მიუგეს ერთხმად.

— ახლა მოვილაპარაკოთ, როგორ დავიწყოთ მუშაობა.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გააერთიანოთ თქვენი მიწები, — დაიწყო კუბრიცმა.

— მიჯნები, დად, მიჯნები? — შეეკითხა ჰაზარათი.

— უნდა მოსპოთ მიჯნები, ეგ არის, რომ გაშორებთ ერთმანეთს, — გაიცინა კუბრიცმა და განაგრძო: — მაშ ასე, გააერთიანეთ მიწები და არა სახლ-კარი და არა ის, რაც სახელდახელოდ ოჯახისათვის საჭიროა, მაგალითად, ბოსტნები.

— ეგ კუჭირმა უკვე გვითხრა, — ჩაურთო ღატარამ.

— უფრო კარგი... თქვენი მიწები შორი-შორს არის?

— არა, ერთმანეთის გვერდითაა, მგონი, ღატარას მიწებია შორს.

— ჰო, ცოტა მოშორებითაა. როგორ უნდა მოვიქცეთ? — ჰკითხა ღატარამ.

— ეგ არაფერია, — მიუგო კუბრიცმა და განაგრძო. — შემდეგ გააერთიანეთ თქვენი მუშა-პირუტყვი, სახნისები, გუთნები და იმუშავეთ ერთად. — თქვა და შეხედა თემირს. გაახსენდა გუთანი და ღიმილით ჰკითხა: — ჰა, თემირ, როგორ არის შენი გუთნის საქმე?

— კარგად! შევაბამ ბაზალას კამეჩებს და დავიწყებ საერთო მიწების ხვნას, — წარმოთქვა გახარებულმა და გაახსენდა ახალი გუთანი თავისი პრიალა საკვეთით, იქ, ყანაში, თხმელის ქვეშ რომ იდგა.

— ჰოდა, ყოჩაღად, ხალისით შეუდექით მუშაობას! — თქვა კუბრიცმა, — სოფლის საბჭოც დაგეხმარებათ, მთავრობაც დაგეხმარებათ. მალე ტრაქტორიც გექნებათ.

— ეგ რაღაა, დად? — ჰკითხა ცნობისმოყვარეობით ჰაზარათმა.

— მანქანაა. შიგნით ცეცხლი ანთია, თავისით მუშაობს. მხოლოდ კაცი განაგებს. დღეში ათ დესეტინას ხნავს.

— ალაჰ, ალაჰ! — გაიკვირვა სიტყვაძვირშა სიკუნმა.

— იმისათვის რომ კოლმეურნეობის საქმე კარგად წავიდეს, საჭიროა ძმური, ერთსულოვანი ნუშაობა, — თქვა კუბრიცმა, — პირველ ხანებში ბევრი სიძნელე და დაბრკოლება შეგხვდებათ, მაგრამ თანდათან ყველაფერს დასძლევთ...

— სწორია, დად, სიძნელე ყველა საქმეს ახლავს... ჩიბუხი ხომ არაფერია, ძაგრამ გაძოთლის დროს ათასი ‹რამ შეგიშლის ხელს, — თქვა ბაზალამ.

— სოფლის საბჭო ყურადღებას არ დაგაკლებთ, დაგეხმარებათ მუშაობის მოგვარებაში, შრომის მოწესრიგებაში. ჩვენი მტრები და ისინი. ვისაც არ უნდა კოლმეურნეობა, ათას ხმას და ჭორს გაავრცელებენ. შეეცდებიან ამ ახალი საქმის ჩაშლას, შფოთის ჩამოგდებას და სხვა.

— არა, დად, არ გვაკეთებთ ისეთ საქმეს, რომ კაჭბეიმ და კუატალეიმ სასაციოლოდ აგვიგდონ. როგორ უნდა შევხედოთ მაშინ ხალხს თვალებში? — მიუგო ბაზალამ.

— როცა კოლმეურნეობის საქმე კარგად წავა და სხვები დაინახავენ, რომ ის ხელსაყრელია მშრომელი გლეხებისათვის, მაშინ თვითონ შეგეხვეწებიან, მიგვიღეთო, — დაამთავრა ლაპარაკი კუბრიცმა.

— დეე, კეთილად დამთავრდეს ჩვენი საქმე! — თქვა ჰაზარათმა.

— ასე იყოს, ასე! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ამ დროს მათთან ცხენოსანი მივიდა.

— გავიგე, რომ აქ ხართ შეკრებილი. ზეგ მაქუას სულის ხსენებაა, — თქვა მან.

— კარგი დად, მოვალთ.

ცხენოსანი გატრიალდა.

კუბრიცმა განზე გაიხმო კუჭირი.

— აი, რა, კუჭირ! — მიმართა მან, — კომკავშირის აქტივი და პარტიის წევრები უნდა დაესწრონ მაქუას სულის ხსენებას. ამ გამაღატაკებელი ჩვეულების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

ამ დროს გამოჩნდა თემირის ცოლი. აღელვებულმა განზე გაიხმო თემირი.

— რა მოხდა? — ჰკითხა მან.

— გუთანი სად დადე? — თავის მხრივ შეეკითხა იგი.

— თხმელის ქვეშ, ყანაში.

— იქ აღარ არის! მარტო ჯაჭვი გდია.

— ალბათ, ბიჭებმა გადაათრიეს სადმე.

— არსად არა ჩანს.

თემირი შეშფოთდა. უცბად მოსწყდა ადგილს და სახლისაკენ გაიქცა.

თემირმა თხმელასთან მიირბინა. გუთანი არსად ჩანდა. მიწაზე მარტო ჯაჭვი ეგდო. თვალთ დაუბნელდა. ცივმა ოფლმა დაასხა. ასწია ჯაჭვი, მერე ისევ დააგდო. ჯაჭვმა საბრალოდ გაიჟღარუნა, ჟღრიალი ჭვალივით ჩაესო თემირის გულს. ყელში რაღაც გაეჩხირა. აღარც ლაპარაკი შეეძლო, აღარც დაყვირება.

თვალი მოავლო ყანას, ერთგან კვალი ტყისაკენ მიდიოდა. გაჰყვა მას. მივიდა ღობესთან და გადავიდა ზედ. მიწაზე შარშანდელი ფოთლები უყარა და კვალი იკარგებოდა. თემირი უკანვე გადმოხტა და ხელახლა მიირბინა იმ ადგილთან, სადაც დაობლებული ჯაჭვი ეგდო. მერე ამოიღო რევოლვერი და სამჯერ გაისროლა.

მოირბინა ცოლმა.

— ვერ იპოვე? — ჰკითხა მან.

— მოიპარეს!.. — თქვა ჩახლეჩილი ხმით თემირმა.

— უი, ნან, უი, ნან, ვინ დაგვღუპა, ვინ? — წამოიძახა ცოლმა. თემირი გაჩუმებული იდგა.

— რა მოხდა, დად, რა? — იყვირა შორიდან ბაზალამ. ის თემირისაკენ მორბოდა. მას სხვებიც მოსდევდნენ. სროლის ხმაზე ხალხი შეიკრიბა. აქ იყო სეიდიყიც. შეხედა კუბრიცს და ოდნავ შეკრთა. სწრაფად მოაშორა თვალი.

— რა მოხდა, დად, რა? — იკითხა თითქოს შეშფოთებულმა სეიდიყმა.

— მომკლეს! ყელი გამომჭრეს! — თქვა თემირმა და თვალით ანიშნა ჯაჭვზე.

— თქვი, რა ამბავია!

— გუთანი მომპარეს!.. მარტო ჯაჭვიღაა, — წარმოთქვა ყრუდ თემირმა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! ვისი ხელი ურევია ამ საქმეში? — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ნეტა მართლა ვისი ხელი ურევია? — თითქოს მწუხარედ თქვა. სეიდიყმა.

— არ ვიცი, ვისი, მაგრამ ყელი კი გამომჭრა! — ჩაილაპარაკა თემირმა.

— მარტო შენ კი არა, ყველას გამოგვჭრა ყელი... ყველას, — წარმოთქვა სეიდიყმა.

კუბრიცი ამ დროს ფიქრობდა: „მტრის ნახელავია, მტრის“ — მერე თემირს მიმართა.

— ეჭვი ხომ არავისზე გაქვს, თემირ?

სეიდიყმა ყურები ცქვიტა.

„სეიდიყი ვითომ არაფერ შუაშია? — გაუელვა თავში თემირს, მაგ-

რამ მაშინვე განდევნა ეს აზრი: — პატივცემული მოხუცია, სოფლის საბჭოს წევრია, არა, სეიდიყი უდანაშაულოა!“ — და თქვა:

— არა, ეჭვი არავიზე არა მაქვს.

სეიდიყმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— კვალი არ შეგიმჩნევია? — ჰკითხა თემირს ბაზალამ.

— შევამჩნიე, აგერ კვალი ტყისკენ მიდის, მაგრამ ღობის იქით იკარგება.

გაჰყვნენ კვალს.

სხვებს სეიდიყიც მისდევდა. წუხდა: „ვაი, თუ იმ უბედურმა ჰაბაშმა ვერ დამალა კვალი!“

— აი ამ ადგილას ღობე ოდნავ წამოქცეულა. ალბათ აქ გადაათრია გუთანი, — წამოიძახა ვიღაცამ.

— ჰო, ჰო! ეტყობა აქ გადაათრია! — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

გადავიდნენ ღობეზე. კვალი არსად ჩანდა. გაიფანტნენ ტყეში. სეიდიყი ცდილობდა ჭის ახლოს არ გაევლოთ. დიდხანს იარეს, მაგრამ კვალი ვერსად შენიშნეს. ბოლოს ერთ ადგილს მოგროვდნენ, ილაპარაკეს, კუბრიცის წინადადებით გადაწყვიტეს, ეს ამბავი სოფლის საბჭოს თავმჯდომარისთვის ეცნობებინათ.

წასვლისას კუბრიცმა მხარზე ხელი დაჰკრა თემირს და უთხრა:

— ნუ სწუხხარ, თემირ, სხვა გუთანს გიშოვი!

გაიგონა ეს სეიდიყმა და გულში გაივლო, „ჭა დიდია, სხვა გუთანსაც დაიტევს“.

სროლის ხმა რომ გაისმა, ჰაბაში თავისი თხებით ტყეში იყო. ყველაფერს მიხვდა. შეშფოთებული ეცა მაღალ ხეს, თვალის დახამხამებაში კენწეროზე მოექცა, გასწი-გამოსწია შტოები და გაიხედა იქითკენ, საიდანაც სროლა მოისმა. ყანაში, თხმელასთან, დაინახა თემირი, ის მარტოდმარტო იდგა. ჰაბაშს გული შეეკუმშა, თვალზე ცრემლი მოადგა. ჩადენილი დანაშაულის შეგრძნება სტანჯავდა, გულს უღრღნიდა: „რა ვქენი?.. ყელი გამოვჭერი მეგობარს... მერე რატომ?“

მთელი აჰაბლას ხალხი თემირისკენ გარბოდა. სროლის ხმამ ყველა შეაშფოთა. ჰაბაშმა თვალი მოჰკრა აჩქარებით მიმავალ სეიდიყსაც. „უი ძაღლო! — აღმოხდა, — მოდი, მეც წავალ... გამოვტყდები, ვიტყვი, როგორ შემაცდინა სეიდიყმა“... მაგრამ სირცხვილმა ხელ-ფეხი შეუბოჭა და მწუხარედ დახარა თავი

იუა კოლონია

იუა ალასის შუ კოლონია დაიბადა 1904 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1919 წელს შევიდა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში, ხოლო 1925 წლიდან სწავლას აგრძელებს მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტში. გარდაიცვალა 24 წლის ასაკში 1928 წლის 14 ივლისს.

იუა კოლონია ლიტერატურაში შევიდა როგორც პოეტი. მის პოლიტიკურ ლირიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რევოლუციის, დიდი ლენინის, აფხაზი ხალხის თემებს.

იგი აფხაზური ეპიკური თხზულებების ცნობილი ოსტატია. მისი პოემები შევიდა აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდში. პოემებში მაღალმხატვრულ სახეებშია წარმოდგენილი აფხაზი ხალხის რევოლუციამდელი დუხჭირი ცხოვრება, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძაფრი სურათები, ადათ-წესები. იუა კოლონიამ თავის პოემებში პირველმა განასახიერა აფხაზი ქალის განთავისუფლების თემა, პოეტის მრავალი სტრიქონი შთაგონებულია საბჭოთა პატრიოტიზმის, მეგობრობისა და ერთა შორის სიყვარულის იდეებით.

იუა კოლონიას შემოქმედების უმთავრესი წყარო იყო ხალხური პოეზია. მეტად მიმზიდველია ფოლკლორულ სიუჟეტებზე და თემებზე მის მიერ შექმნილი მკაფიო მხატვრული სახეები. აფხაზურ ლიტერატურაში ი. კოლონია პირველი პოეტია, რომელმაც ფოლკლორი მხატვრული განზოგადებისა და სრულყოფის სიმაღლემდე აიყვანა.

აფხაზეთი

ღამე გეხვია სუდარასავით,
დილა გწყურიოდა თავისუფლების,
ვერ გამობრწყინდა შენი ვარსკვლავი
- გადაჩრდილული შავი ღრუბლებით.

ცაზე არ ჩანდა არც ერთი სხივი
აღარც მზე იყო დასაბამიდან,
ვერა ნახავდი მიწაზე ღიმილს
გული კვნესოდა სანახავითა.

ხანდახან ქარი ჩაგჩურჩულებდა:
„მალე იელვებს შენი ნათელი
გაქრებიანო შავი ღრუბლები,
მოვაო შენთვის დრო სანატრელი“.

სულში სიმდიდრე გეწყო ფენებად,
როგორც მიწაში ოქროს მადანი,
შენ ზღვისპირეთის იყავ მშვენება
მზის სინათლეზე გამოსატანი.

ბოლოს ასრულდა შენი ოცნება —
შუქმა დალეწა სუდარა ღრუბლის,
დიდი ოქტომბრის მზის სხივოსნებით
გაბრწყინდა შენი მაღალი შუბლი.

ხარ ჩრდილოეთის მზის მადლიერი,
აღარსად დარჩა ღამის ნასახი
სვებედნიერი და მშვენიერი,
დღეს თავისუფალ ქვეყნებს გასძახი.

უთვალავია შენი განძები,
შენი სიტურფე — დაუბინდარი,
ხვალ უფრო მეტად გალამაზდები,
და ხვალ იქნები უფრო მდიდარი.

დღე-დღე მივყევართ გამარჯვებისკენ
გზებს განათებულს წითელ დროშებით.
გამარჯვებისკენ! ისევ და ისევ
გასწი, ნურავის ნუ ჩამოვრჩებით!

1924

მონადირე

მხარზე გადვიგდე მე ფილთა თოფი
მოელვარე და კრიალა მზისებრ,
ხელში ავიღე მაგარი ჯოხი
და ვიწრო ბილიკს გავყევი მთისკენ.

საპირისწამლე, საფანტით სავსე
თან მაქვს, ნიავი მეხვევა ქროლვით.
გადავუარე უფსკრულებს თავზე,
მწვერვალს. დაფარულს ბრწყინვალე თოვლით.

ჩემს წინ დაბლობზე, მწვანე ხავერდად
გადაშლილიყო ლამაზი ველი,
მზე ჩაის ბუჩქებს აელვარებდა,
ღელავდა ყანა, ზღვასავით ვრცელი.

მთის კალთებიდან თავქვე ტრიალით —
კოდორი ჭალებს ეალერსება,
და მისი ზვირთნი გრგვინვა-გრიალით
შავი ზღვისაკენ მიეშურება.

ჯერ შორს ვიყავი მწვერვალებიდან,
როცა დღის ბოლოს ნათელი, წყნარი
ცა მოიღრუბლა და ღრმა ხევიდან
ზათქით, ხმაურით მოვარდა ქარი.

მაგრამ ღრუბელმა მე ვერ შემაკრთო.
ვერ დამიღონა ავდარმა გული,
თუმცა ჩემს ირგვლივ ხეობა ფართო
კუპრივით იყო ჩაბნელებული.

ძირს დახრილიყვნენ ხეთა რტოები,
ელვა სერავდა ცის მაღალ კიდეს,
მე კი წყვდიადში განმარტოებით
ვფიქრობდი ჩუმად: „საით წავიდე?“

ტანზე შავნაბადშემოხვეული —
პირქვე დავემხე დედამიწაზე
და ზეცა, თითქოს განრისხებული,
სეტყვას ქვასავით მაყრიდა თავზე.

ჩემს ირგვლივ ქარი დაჰქროდა, სტვენდა,
მას ბანს აძლევდა გუგუნით მთები,
მაგრამ მე მხოლოდ სიმხნეევს მფენდა
ქარის მძლავრი და ველური ხმები.

ცოტა ხნის შემდეგ ჩადგა გრიგალი,
გამოჩნდა ნისლში მწვერვალთა რიგი,
ცა მოიწმინდა, მზემ გახსნა თვალი
და გაანათა ხეობა ირგვლივ.

გამოვერკვიე, წამოვხტი ფეხზე,
ჩემს წინ მთა იდგა ცამდე აწვდილი,
იმ მთის პირდაპირ, ხავსიან კლდეზე,
მე შევამჩნიე ნადირის ჩრდილი.

მოვზიდე თოფი და ვხედავ მაღლა
ავარდა კვამლი, დავრწმუნდი ხელად,
მიზნის სროლაში, ვით უწინ, ახლაც
არ უმტყუნია ჩემს მაჭახელას!

1925

ღამე

მზე ჩავიდა, დადგა
ღამე მგლოვიარე,
ვარსკვლავების ციდან
იჭვრიტება მთვარე.

იღვრებოდა უხვად
ცაზე შუქი წმინდა,
ვარსკვლავები სადღაც
მიფრინავდნენ ციდან.

არ ისმოდა ჩქამი,
ბნელი ღამე სთვლემდა,
წასულიყო ძილში
ტყე, ნადირთა დედა.

ღამით აივანზე
დიდხანს ვსეირნობდი
და ვფიქრობდი ჩუმად,
ძილი მოვა როდის!

და საწოლთან როცა
მიველ ფიქრით სავსე,
ვარსკვლავებით ნაქარგ
ზეცას ვუთხარ ასე:

— მშვენიერო ღამევ,
გაფენილო ხალად,
დრო მოვა და ერთურთს
ალბათ ვეღარ ვნახავთ.

1924

ზოსჰან აჩბა და ჟანაა ბესლანის ვაჟები

I

შაფსუღში ამაყ მბრძანებლად
ზოსჰანი იყო ოდესღაც,
ხალხი მტარვალის უღელქვეშ
სვეგამწარებით გოდებდა.

არ ივარგებდა ზოსჰანთან
კინკლაობა და ჭიდილი.
იცოდნენ, მასთან მოდავეს
სიკვდილი ჰქონდა მისჯილი.

არ ირჩეოდა სხვებისგან
გარეგნულ შნო და იერით,
მოქიშპეს ისე უცქერდა,
როგორც ავაზა მშიერი.

ის იყო დაბალ-დაბალი,
კოჭლაუხა და გამხდარი,
ეხურა ოქროთ ნაკერი
ქუდი სულ ახალთახალი.

მასთან მეზობლად ცხოვრობდა
ჟანაა ბესლანის რვა შვილი,
მათი სახელი სოფელში
გავარდნილიყო ტაშივით.

ჟანაა ბესლანის ვაჟები,
აითვალწუნა ზოსჰანმა,
— მე მინდა მათი გულები
დალახვროს ჩემმა ლახვარმა.

მინდა შევიტყო, სხვა მხარეს,
თუ ჰყავთ ნათესავ-მოყვარე, —
არ დაასრულა სათქმელი
ზოსჰანს მერანი მოჰგვარეს.

ბზიფისკენ ისე მოჰკურცხლა.
თითქოს მიჰქონდა ნადავლი,
და უმალ ხაბირ-იფასთან
ბჭობა გამართა ამგვარი.

II

— ჟანაა ბესლანის შვილებზე
ჩქარა მითხარი, რაც იცი,
რამდენი მეგობარი ჰყავს,
წყალს აქეთა და წყალს იქით.

რამდენი ნათესავი ჰყავს
აბა, საჩქაროდ მაცნობე,
თუ შეხვედრიხარ ამ მხარეს
მათ მეგობრებს და ნაცნობებს.

ავ ზოსჰანს ხაბირ-იფა
სულით და გულით დაუხვდა,
და მასპინძელმა მეგობარს
აი რა უთხრა პასუხად:

— აქ მათ ნათესავ-მოყვარეს
ვერ მოგიძებნის ვერავინ,
თუ გინდა ბზიფის გარშემო
აფრინო ასი მზვერავი.

სალამბაქისკენ იჩქარე,
უთხარი გულის სათქმელი,
შენ იცი, შორს გავარდნილა,
მისი გმირობის სახელი.

განთქმული იყო იმ დროში
მხნე სალამბაქის მხედრობა,
მისი ძალა და სიმდიდრე,
სიჩაუქე და მხნეობა.

III

მეგობრებითურთ ზოსჰანი
სალამბაქისკენ იჩქარის,
ისწრაფის შეუსვენებლივ,
სულით და გულით იქ არის.

— ჩემი მერანი სალამბაქ,
შენსკენ მომაფრენს დარდიანს,
დამღალა შორმა მგზავრობამ,
შენთან ბაასი მწადია.

მსურს საიდუმლო თათბირი,
ჩემს გულს ავხადო სარქველი,
ჟანაა ბესლანის ვაჟებზე
ჩუმად გაგანდო სათქმელი.

არიან ქურდბაცაცები,
გაწყდა იმათი სინსილა,
ჩემი ძალა და უფლება
იმათ არ ჰყოფნით სიცილად.

მე რომ ბესლანის ვაჟები
ნაკუწ-ნაკუწად ვაქციო,
თუ გამოჩნდება ამ მხარეს
მათი ქომაგი კაციო.

სალამბაქს ამბის მოსმენით
გულს დარდი გადაეყარა,
ზოსჰანს გულდინჯად მიუგებს:
— გინდ მოიარო ქვეყანა,

ზოსჰან, ყველგან და ყოველთვის
გაწბილებული დარჩები,
ვერსად იპოვო ქომაგი
ჟანაა ბესლანის ვაჟების.

წადი ეცადე ძმობილო,
გზები სიჩქარით გაჰკაფო,
ძმებს თუ ჰყავთ ნათესავები,
ყუშლუქსა ჰკითხე საჩქაროდ.

IV

ზოსჰანი კვლავ გზას ადგია,
მერანს მიაფრენს ისევე,
და აბუზაში მივიდა
ბევრი ღამის და დღის შემდეგ.

მერე ძაფშ იფა ყუშლუქი
ცალკე გაიხმო სტუმარმა,
სათქმელი უცებ აუწყა,
განა შორიდან უარა.

ყუშლუქმა უთხრა, — მათ ამბავს
სიამოვნებით გაცნობებ,
ჩვენში ვერსად ვერ შეხვდები,
მათ მეგობრებს და ნაცნობებს.

აიღე თოფი, მარაგი,
თავზე დავესხათ ვერაგებს,
ჩვენ დიდი ბრძოლის გარეშე,
მათ ძლიერებას შევანგრევთ.

ზოსჰანმა უთხრა, — იხარე,
კარგი ამბავი მახარე,
კავკასიაშიც ვიკითხავ,
წავალ მოვიელი სხვა მხარეს.

მათთან ბრძოლა და ჭიდილი
ხუმრობა ნუ გეგონება,
თუ გავიმარჯვებთ, სუყველას
შენ შემოგწირავ მონებად.

როცა მოგიხმობ, წამოდი,
მხარს სალაკმებიც დაგვიჭერს,
დანიშნულ დროზე შემოკრბით,
დავლეწოთ მტრების კარიბჭე.

ნაპირისაკენ იჩქარეთ,
გული მიუშვით ნებაზე,
თქვენს მოლოდინში ვიქნები
ღამიდან — გათენებამდე.

V

ყუშლუქს ომი არ ეწადა,
მაგრამ ვერ უთხრა უარი,
კვლავ ჩრდილო კავკასიაში
გაფრინდა შლეგი სტუმარი.

გადაიარა კლდეები,
მთაგორები და ველები,
შორეულ ყარაჩაიში
ჩავიდა სვენებ-სვენებით.

ალარ დაზოგა ჯან-ღონე,
ექვსი დღე-ღამე იარა,
სვანეთი ფეხქვეშ გაიგო,
მიწას დააჩნდა იარა.

VI

ერთი თვის შემდეგ დაბრუნდა
ზოსჰანი სწორუპოვარი,
და აბრაგებთან ერთ ღამეს
ჩუმად გაგზავნა მსტოვარი.

ხალამბაქმა და ყუშლუქმა
ხელი ჩასჭიდეს იარაღს,
შეკრბა მეგობართ ლაშქარი
გადმოუარეს იალაღს.

ძნელ გზას დაადგნენ, სასწრაფოდ
მომცრო ნავები იშოვეს,
ნიჩბებით ტალღა გააპეს,
არ შეუშინდნენ სიშორეს.

მოვიდნენ, როცა ზეცაზე
ქრებოდა ცისკრის ლამპარი,
ნაპირზე ელოდებოდა
აჩბა ზოსჰანის ლაშქარი.

უცებ აბრაგთა მხედრობა
ძმების სახლისკენ დაიძრა,
თოფებმა დასცეს ყიჟინა,
თითქოს ვულკანით მთა იძრა.

სამი ძმა ტყვიამ გაგმირა,
დააკვდნენ მიწის სარეცელს,
ხუთ ძმას ხელები შეუკრეს
ტყვეობას ვერსად გაექცნენ.

ტყვედ გაიტაცეს სამი და
ვით მტაცებელმა ქორებმა,
მერე საქონელს ჩაუხტნენ
დაწვეს სახლი და ქონება.

შორს ბატაყუას მოესმა
ძმების ურვა და ძახილი,
გამოემართა საშველად,
ტყეში დატოვა ნახირი.

სისხლი აემღვრა მოყვარეს,
გზა გადუღობა აბრაგებს,
ერთიც დაჰყვირა მეხივით:
— ძმების გულისთვის თავს
დავდებთ.

მიუვალ ადგილს ჩასაფრდა,
კლდე აიფარა ფარივით,
დედა ვეფხვივით გააფთრდა,
ბდღვინავდა ქარიშხალივით.

ტყვია გაგზავნა მტრისაკენ,
თვალში ჩაგიქრობთ სინათლეს,
ცეცხლი გაუხსნეს პასუხად,
მტრებმა იარაღს მიმართეს.

სროლა დაიწყო გაბმული,
აზვირთდა ტყვია-წამალი,
ბევრი წავიდა იმ ქვეყნად,
გააფთრდა მწყემსი ალალი.

მწყემსმა სამი ტყვე ხელიდან
გამოაცალა მტარვალებს,
წყვილი და-ძმა კი ანაზდად
უტყვი ცხვრებივით გალალეს.

მწყემსი ცოცხალი გადარჩა,
თუმცა მეხივით გაფიცხდა,
მისი სახელი ჩვენს ხალხში
მუდამ დარჩება საფიცრად.

ზოსჰანი გარბის პირველი,
თუმცა არ მისდევს მდევარი,
როცა მივიდნენ ნაპირთან,
ერთად შეჯგუფდნენ ყველანი.

მოტაცებული ნადავლით
სწრაფად დატვირთეს ნავები,
დები სამშობლოს ტოვებდნენ
წუხილითა და ვაებით.

ნავებმა სხვისი ნადავლით
ლურჯი ტალღები გასცურა,
დები ტიროდნენ გაბმულად,
კაცები ისხდნენ კაცურად.

უფროსი დაი ყაზირხან
ცოდოც კი იყო საცქერლად,
დაბადების დღეს სწყევლიდა,
თვალთაგან ცრემლებს აფრქვევდა.

„არ გვეშინოდა არაფრის,
გვეძახდნენ რვა ძმის პატრონებს,
ძმებო გულგანგმირულებო,
სხვის ხელში რისთვის დაგვტოვეთ“.

დებს განშორება სოფლისა
გულზე დააწვათ ლოდებად,
უფროსი მწარედ მოთქვამდა,
უმცროსი ჩუმად გოდებდა.

„კეთილო მწყემსო, შენა ხარ
ჩემი სამი ძმის დამხსნელი,
შენთვის ყაშთათი არ ვქსოვოთ,
არა ვართ შენი მნახველი.

თოფი არადროს გღალატობს,
ყოველთვის სჯაბნი მამაცებს,
შენი ნასროლი ტყვიები
მიზანს არასდროს არ აცდენს.

შენი ხმა მტრების ლაშქარში
გეზელ ქორივით გასწივის,
შენა ხარ მიუვალ მთების
ფრთაშემართული არწივი.

წყეულიმც იყოს მტარვალი
კოჭლი კაცუნა ზოსჰანი,
მკვდარს არ ეღირსოს სამარე,
გულს გაეყაროს ლახვარი“.

დაჭრილი ფრინველებივით
მწარედ მოთქვამდა ორი და
ერთმანეთს აღარ აცლიდნენ,
ძმებს დასტიროდნენ შორიდან.

ნავები ტალღებს აპობენ,
ხარობდა აჩბა მზაკვარი,
დაღუპა მტრების ქონება,
გადაუბუგა სახლ-კარი.

„ჩვენს ძმებს ვინ აღარ იცნობდა,
ვაჟკაცებსა და ჩაუქებს,
არ შედრკნენ, თუმცა ტყვიებმა
თვალებში შუქი ჩაუქრეს.

თუმც მოვიქსოვეთ ყაშთათი
ჩვენი საკუთარ თითებით,
ზოგმა დახუჭეთ თვალები,
ზოგი ტყვეებად ითვლებით“.

ეგონა არ შეწყდებოდა
ცხოვრების გზა და სავალი,
ყველას შესძულდა ჭირივით
ხალხის მოძულე მტარვალი.

წლები გაფრინდნენ, ზოსჰანსაც
სიბრძნის კბილები მოუცვდა,
კარში ვერ გამოდიოდა
ისე ძალიან მოხუცდა.

არ დარჩა კაცი არცერთი
ჟანაა ბესლანის მოდგმისა,
ძმები მონებად აქცია
სახლში მშვიდობით მოვიდა.

ერთ წელს ლაღობდა ზოსჰანი
უაჩაღობით და ტაცებით,
შემოიმდურა ამ სოფლად
ნათესავ-სახლიკაცები.

სნეული ლოგინს გაეკრა,
სიკვდილთან დიდხანს დაობდა,
ხალხმა დასწყევლა ზოსჰანის
გვარი და შთამომავლობა.

ერთ დილას მოკვდა სნეული,
ხალხისგან მარად წყეული.

1924

მიხეილ ლაკერბაი

მიხეილ ალექსანდრეს ძე ლაკერბაი დაიბადა 1901 წ. გულრიფშის რაიონის სოფ. მერხეულში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სამრევლო სკოლაში, შემდეგ შევიდა სოხუმის სამოქალაქო (მთიელთა სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე სწავლას აგრძელებს რეალურ სასწავლებელში.

ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მან დიდი მიდრეკილება გამოამჟღავნა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. თანამშრომლობდა აფხაზურ გაზეთ «აფსნი ყაფშში», წერდა ლექსებს, პუბლიცისტურ სტატიებს. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ დ. გულია და ს. ჯანბა.

1925—1929 წწ. მ. ლაკერბაი სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1930 წელს იგი მიემგზავრება მოსკოვში და შედის კინოდრამატურგთა მოსამზადებელ კურსებზე, თან მუშაობას იწყებს კინოფაბრიკა «ვოსტოკფილმში» რეჟისორის თანაშემწედ და კინოსცენარისტად.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი კინოფილმის სცენარი («ტყვარჩელი», «აფხაზეთი ყვავილების ქვეყანაა» და სხვ.), ასევე ლიბრეტოები ოპერისა «მზია» და ოპერეტისა «ხაჯარათ».

მ. ლაკერბაი ცნობილი აფხაზი დრამატურგია. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა სოხუმის თეატრში, მაგრამ განსაკუთრებით შესანიშნავია მისი ნოველები. იგი აფხაზური ნოველის გამოჩენილი ოსტატია.

1959 და 1961—1966 წლებში აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა მისი «აფხაზური ნოველები», რომლებმაც დიდი სახელი და პატივისცემა მოუპოვა ავტორს. მათში ასახულია აფხაზი ხალხის წარსული და თანამედროვე ყოფა, მისი პატრიოტული და ინტერნაციონალური შთაგონება, დიადი სული, ზნეობრივი სისპეტაკე, გმირული შრომა, სახელოვანი ტრადიციები და თავდადება.

მ. ლაკერბაი დიდი მონდომებით აგროვებდა აფხაზური ხალხური შემოქმედებისა და მუსიკალური კულტურის ნიმუშებს. მას ეკუთვნის აგრეთვე «ნარკვევები აფხაზური თეატრალური კულტურის ისტორიიდან» (1962 წ.).

მ. ლაკერბაი დიდ სამამულო ომში მოხალისედ წავიდა, მონაწილეობდა სევასტოპოლის დაცვაში.

მ. ლაკერბაი გარდაიცვალა 1965 წ., დაკრძალულია სოხუმის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

არგუნ სეიდიყ

(ნოველა)

წკვარამი ღამე იყო. ფაცხის კედლებს გარედან განუწყვეტლივ ასხამდა წვიმა. ასეთ თავსხმაში სტუმარს იშვიათად ელის კაცი. უცებ ეზოში ძაღლების ყეფა გაისმა და თან მამაკაცის ძლიერი ხმაც მოჰყვა:

— ეი, მასპინძელო!

ეშ ჯარნასი სტუმარს გაეგება. იცნო თუ არა სტუმარი, სიხარულით გული აუჩქროლდა. მის წინ ძმაკაცი — მისი ტოლი კუჭიტა იდგა.

— შენ ხარ კუჭიტა, შენი მოსვლით ძალიან გამახარე, ჩემო ძმაო, მობრძანდი, დიდი ხანია გელი. მეგონა დამივიწყე, გმადლობთ, რომ ისევ გამიხსენე. — ჯარნასმა სახლში შეიყვანა სტუმარი და თავის ახლაღ მოყვანილი ცოლი გააცნო.

— სტუმარი მობრძანდა, — სიყვარულით უთხრა ჯარნასმა ცოლს.— იცოდე, ჩემი სიყრმის მეგობარია. ჩვენ ერთად გაგვზარდა ჩვენმა დარბაისელმა და ჭკვიანმა მასწავლებელმა არგუნ სეიდიყმა.

ახალგაზრდა მეუღლე ვახშმის მომზადებას შეუდგა. ტკბილია ძველი ამბების მოგონება და ძმაკაცებმაც თავისი სიყრმე გაიხსენეს,—სეიდიყ-მასწავლებელთან გატარებული დრო მოიგონეს.

— როგორ ცხოვრობს ჩვენი სეიდიყი? — იკითხა კუჭიტამ. — დიდი ხანია არ მინახავს მასწავლებელი. თითქმის რვა წელია, რაც მას დავშორდი.

— ვერ არის კარგად. სულ შენ გკითხულობს, შენზე ფიქრობს. ძალიან სწყინს, რომ არ ნახულობ. მე კი მასთან ხშირად დავდივარ.

— მე ძალიან შორსა ვარ, თორემ ჩემს საყვარელ მასწავლებელს არ ვინახულებ? იქით იშვიათად მიხდება გამოვლა, ახლაც მეტად დიდი საქმე მაქვს, თორემ. . .

— რაო, — გაიოცა ჯარნასმა, — დიდი საქმე თუ არა, ალბათ მე არც კი გამიხსენებდი, აი, აი, ასე როდი ვარგა ძმაკაცო, — უსაყვედურა კუჭიტას მეგობარმა. — მართლა როგორ არის შენი საცოლე ნაზირა, ჯერ ხომ არ შეგირთავს?

— ეჰ, — ამოიხვნეშა კუჭიტამ, — როგორც იქნა მშობლები დავიყოლიე. უარს არ ამბობენ, ახლა ნაზირა გადაირია, გაჯინიანდა.

— რა დაემართა, გადაიფიქრა თუ?

— არა, არ გადაიფიქრა, მაგრამ ისეთ რამეს მთხოვს, მისი ასრულება თითქმის შეუძლებელია.

— მაინც?

— ჯარნას, ხომ გინახავს არიშ ხაბუგის ყორანივით შავი ცხენი?

— რასაკვირველია, მინახავს. მთელს ჩვენს მხარეში მისი სადარი ბედაური არ არის.

— სწორედ ასეა. ერთი ნათესავის აღაპის დროს, მარულაზე უნახავს ნაზირას ის ბედაური. მისი ქებით ყურები გამოუჭედიათ მისთვის. ახლა დაიჟინა: სანამ ის ცხენი ჩემი არ გახდება, მანამ ჩემს ცოლობაზე ხელი აიღეო.

— კარგი იქნება იმ ცხენის ხელში ჩაგდება. — თანაგრძნობით უთხრა ჯარნასმა. — მეც გამახარებდა იმ ბედაურზე შენი ნავარდი, მაგრამ არიშ ხაბუგი ცოცხალი თავით არ დათმობს მას.

— ვიცი, რა არ შევაძლიე, ყველაფერზე უარი თქვა, — არაფერი ამქვეყნად არ მინდაო, შემომითვალა. ხომ იცი იმ ცხენით ამაყობს არიშ ხაბუგი.

— საამაყოც არის. შურიანი კაცი არა ვარ, მაგრამ ხაბუგის ცხენს მეც შურით ვუყურებ. რა ბედაურია?!! ლაპარაკიც მიძნელდება. რა გადასწყვიტე? — იკითხა ბოლოს ჯარნასმა.

— მოპარვა.

— ხაბუგი გაგიჟდება, — უთხრა ჯარნასმა. — ქვეყანას მოივლის და სანამ ცხენს არ მონახავს, არ მოისვენებს.

— თუ წავიყვანე, მერე მის კვალს ეშმაკიც ვერ ნახავს. ერთი ჩავუქროლებ ნაზირას და მერე ისე გადავასხვაფერებ, დედაც ვერ იცნობს, ფაფარს შევკრეჭ, ბალანს შევუღებავ.

— მართალი რომ თქვას კაცმა, ეგ შეიძლება, — დაეთანხმა ჯარნასი. — საქმე ცხენის ხელში ჩაგდებაა, მერე კი ყველაფერი ადვილად მოხერხდება.

— სწორედ ამისთვის მოვედი შენთან, — უთხრა კუჭიტამ და კიდევ ახლო მიჩოჩდა ჯარნასთან. — შენ მისი მეზობელი ხარ, — შეთქმულივით დაიწყო მან, — ალბათ, კარგად იცი მისი ეზოს ბილიკი და გარემო. მიმიყვანე, გზა მასწავლე, რასაც მეტყვი აგისრულებ. ხომ იცი, იმ ცხენისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებ.

დიდხანს იყო ჩუმად ჯარნასი, იგი ღრმად ჩაფიქრდა.

— არა, შენი წასვლა არ შეიძლება, მე თვითონ წავალ. ამ საქმეში ორი კაცი არ ივარგებს. ხაბუგის სახლ-კარი ძალიან დაცულია. ნაგაზი ძაღლები ჰყავს. ეშმაკიც ვერ ჩაიპარება ეზოში. ისევ მე ვცდი.

— შენ იცი, ჯარნას, მე ყველაფერს დაგიჯერებ, ყველაფერს გაგიგონებ.

ამ საუბარში დიასახლისმა ვახშამი გაამზადა. მეგობრებმა ბევრი

ღვინო შესვეს. ადღეგრძელეს ჯარნასის ახალგაზრდა მეუღლე ასია, ჯიუტი ნაზირა და სიდარბაისლით განთქმული მასწავლებელი სეიდიყი. ვახშამი რომ დამთავრდა, ჯარნასმა ცოლს მიმართა:

— ასია, ლოგინი დაუგე სტუმარს. კარგად მოასვენე. მე ამაღამ სხვაგან მივდივარ. დილისთვის ვეცდები აქ ვიყო. შენ კი, ჩემო ძმაო, დაწექი და მოისვენე.

ჯარნასი მაგრად გაეხვია ნაბადში და ფაცხიდან გამოსვლისთანავე ღამეში გაუჩინარდა.

ადვილი როდი იყო არიშ ხაბუგის ცხენის მოპარვა. ჩვენ აქ არ მოვყვებით როგორი მოხერხებით გაუძვრა ნაგაზებს, როგორ დასძლია ეს წკვარამი ღამე, როგორი ჯადოქრობით შეძვრა ხაბუგის თავლაში. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჯარნასი განთქმული მხედარი იყო ამ მხარეში. იგი ერთხელ ჩაფიქრებულ საქმეს ბოლომდე უსათუოდ მიიყვანდა. იღბლიანი კაციც იყო. ყველაფერი გამოუდიოდა ხელიდან.

თენდებოდა, როცა ჯარნასი სახლში დაბრუნდა. ფაცხის კარები შეაღო თუ არა საოცარი სურათი იხილა. ლოგინზე გართხმული კუჭიტა ხვრინავდა. კუთხეში კი სარკმელთან მიყუჟული ასია თმებგაწეწილი იდგა. ტანსაცმელი შემოხეული ჰქონდა. შიშველი ყელ-კისერი დაკაწრული უჩანდა. ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა. შიშველი მხრები უცახცახებდა.

ვაჟკაცს ელდა ეცა. იგი ყველაფერს მიხვდა. ჯარნასმა იგრძნო, რა მომხდარიყო ამ გრძელსა და უბედურ ღამეს. სიტყვა მაინც არ დასძრა, მიუახლოვდა საწოლზე გაშოტილ კუჭიტას და ხელი ჰკრა.

კუჭიტამ თვალები გაახილა და შიშით ელდანაკრავი მასპინძელს შეაშტერდა.

— ადექი, — გაიგონა ჯარნასის გაბზარული ხმა.

კუჭიტა ზეზე წამოვარდა და კანკალით ჩაცმა დაიწყო. სამი ადამიანი იყო ფაცხაში ახლა და თითოეულ მათგანს რამდენი რამის თქმა შეეძლო. არც ერთს სიტყვა არ წამოცდენია. სამივენი სდუმდნენ.

ჯარნასმა მხოლოდ მათრახი გაუწოდა სტუმარს.

— აიღე!—ცივად თქვა მან.—ხაბუგის უნაგირიანი ცხენი ლაფაროში არის მიბმული, შენი ცხენიც იქ არის.

სირცხვილისაგან გატანჯული კუჭიტა დაბნეული გამოვარდა ფაცხიდან. როცა ჭიშკარი გააღო, მაშინ მოისმა ისევ ჯარნასის ხმა.

— კუჭიტა, მოითმინე! —მასპინძელი ახლოს მივიდა მასთან და ჩაუჩურჩულა. — მე შენ ვერაფერს გიზამ, ხომ იცი, ჩემი სტუმარი ხარ, სტუმარს კი ძაღლიც არ კბენს. ერთ რამეს კი გავალებ: წადი, ჩვენი მასწავლებელი სეიდიყი ინახულე და ყველაფერი შენი პირით უამბე, გაიგონე? ყველაფერი უამბე. მე მეტს არაფერს გთხოვ, მხოლოდ ეს შემისრულე.

— შევასრულებ! — ყრუდ წაილაპარაკა კუჭიტამ.

სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დაშორდნენ.

სახლში დაბრუნებულმა კუჭიტამ ხაბუგის ბედაური საიმედო ადგილს დამალა და ისევ უკან გამობრუნდა. იგი უყოყმანოდ წავიდა მასწავლებელ სეიდიყის სოფლისაკენ.

დიდი ყურადღებით მოუსმინა მასწავლებელმა ყოფილ მოსწავლეს ნაამბობი. დიდი ხანია ყალიონი ჩაუქრა სეიდიყს. ის ისმენდა და ფიქრობდა.

— ღირსეულად მოქცეულა ჯარნასი, — თქვა წყნარად მოხუცმა. — კარგი უქნია, რომ ჩემთან გამოუგზავნიხარ. შენი საზიზღარი დანაშაული მარტო შენი უბედურება როდია, იგი ჩემი დანაშაულიც არის. მე ვერ გაგზარდე შენ კაცურ კაცად. მე ვერ გარდაგქმენი შენ კეთილშობილ ადამიანად.

კუჭიტა თავჩაქინდრული იდგა და ისე ისმენდა აღმზრდელის სიტყვებს.

— დიახ, სწორად მოიქცა ჯარნასი, რომ ჩემთან გამოგაგზავნა, — გაიმეორა მან. მოხუცის ხმა სუსტად რომ ისმოდა, ახლა უფრო ომახიანი და მკექარე გახდა, — დიახ, მე, ვარ დამნაშავე, მევე უნდა ვაგო შენს გარყვნილებაზე პასუხი.

მან მარდად გაიძრო დამბაჩა და საფეთქელზე მიიდო. კუჭიტა სწრაფად მივარდა მასწავლებელს, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოხუცმა თავისი განზრახვა შეასრულა.

1956

ᲝᲠᲘ ᲙᲐᲠᲘ

(ნოველა)

— შვიდ წელზე მეტია არ მინახავს მშაგუ, — ამბობდა თავისთვის დაფიქრებული შაჰან კუპალბა, როცა იგი სიყრმის მეგობრის სახლს უახლოვდებოდა. — დიახ, შვიდ წელზე მეტია, წარმოიდგინეთ როგორი სიხარულით შევხვდებით ახლა ჩვენ ერთმანეთს!

ასეთი ტკბილი ფიქრით მიადგა იგი ცხენით მეგობრის ჭიშკარს და ეზოში გადაიხედა, იქნებ მასპინძელი დავინახოო.

ბედნიერად დახვდა ძმაკაცის ეზო-გარემო. მართალია, მასპინძელი არ ჩანდა, მაგრამ მაღალ ბოძებზე შემდგარი ულამაზესი სახლი მწვანე ხეებში ჩაფლულიყო. შინაური ფრინველები თვალდაუთვლელად მოსდებოდნენ ფართო ეზოს. ინდაურები და ქათმები, ბატები და მოკუნტრუშე ხბორები მასპინძლის დოვლათზე მეტყველებდნენ. სახლის უკან დატაროვებული მწიფე სიმინდის ყანა ჩაღრუბლულიყო. მის

გვერდით, ხეხილით დამძიმებულ ბაღში, ზღვის ნიავი სანამ ბოლომდე ჩაიქრიალებდა, ალბათ იღლებოდა კიდეც. ამიტომ იყო, რომ ხალხი ყოველთვის აქებდა მის ეზო-გარემოს.

— მშაგუს ხომ ყოველთვის უყვარდა შრომა და სიფაქიზე, — სიხარულით გაიფიქრა შაჰანმა და თან დაუმატა, — ასეც უნდა, კაცური კაცის ცხოვრება ყოველთვის ასეთია.

ეზოში ძაღლებმა გამაყრუებელი ყეფა ატეხეს. მათ ყეფაზე აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. იგი ქვევით არ ჩამოსულა, ისე დაუწყო ძაღლებს ყვირილი.

— მშაგუ სახლში ბრძანდება? — შეეკითხა შაჰანი და პასუხი არ გაუგონია, ისე გადმოიხარა ცხენიდან, ჭიშკარი გააღო და ეზოში შევიდა.

— მშაგუ თუ სახლში ბრძანდება? — გაიმეორა მან.

— არა, არ არის, — ცივად ისროლა სიტყვა ქალმა ისე, რომ ადგილიდან არ დაძრულა.

შაჰანი წყნარად წავიდა მისაბმელისაკენ და აუჩქარებლად მიაბა ცხენი. შაჰანი დარწმუნებული იყო, რომ, როგორც აფხაზურ ზრდილობასა და წესს შეეფერებოდა, ქალი კიბეზე ჩამოირბენდა და გზაზე შემოეგებებოდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ქალი ისევ აივანზე იდგა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლები უფრო გახელებით და სიკაპანით უყეფდნენ, შაჰანი შემობრუნდა, მაღალი ფოთლოვან ალვის ხის ქვეშ მდგომ გრძელი სკამებისაკენ წავიდა და იქვე ჩამოჯდა.

ამან ქალი აიძულა ძირს ჩამოსულიყო. ჯერ ძაღლები გარეკა, მერე კი სტუმარს მიუახლოვდა.

— დღე მშვიდობისა, — მიესალმა პატივისცემით ფეხზე ამდგარი შაჰანი ქალს, — მშაგუ სად არის?

— არ ვიცი, — მოკლედ უპასუხა ქალმა.

— როდის დაბრუნდება? — ისევ იკითხა შაჰანმა.

— არ უთქვამს!

— სახლში თქვენს გარდა ვინმე არის? — ისევ განაგრძობდა შაჰანი.

— არა, — ისევ უგულოდ ისროლა სიტყვა ქალმა.

— სირცხვილი ხომ არ იქნება, რომ გკითხოთ, — სიდარბაისლით სთქვა შაჰანმა, — თქვენ ვინ ბრძანდებით, მშაგუს მეუღლე ხართ?

პასუხის ნაცვლად ქალი მოიღუშა. პირში წყალი დაიგუბა.

— ჰა, შესანიშნავია, სასიამოვნოა, — განაგრძობდა ისევ შაჰანი. — მაშ ასე, დიასახლისი თქვენ ბრძანდებით. კეთილი, რომ იცოდეთ, როგორ სიხარულს ვგრძნობ ჩემი უსაყვარლესი მეგობრის ასეთ მშვენიერ მეუღლეს რომ შევცქერი. თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, მშაგუ და მე სიყრმიდანვე განუყრელი მეგობრები ვიყავით. ეჰ, რას იზამ, ცხოვრე-

ბამ გაგვყარა, ის აქ დარჩა, მე კი შორს გადავიკარგე. შვიდი წელი არ მინახავს, შვიდი წელი. ერთი საქმის გამო ისევ ამ მხარეში მოვხვდი, თავი ვერ შევიკავე, რომ აქეთკენ არ შემომეხვია, უნდა მენახა როგორ ცხოვრობს იგი.

ქალი უსმენდა და ხმას არ იღებდა.

— ძალიან ცხელა, — ისევ განაგრძო შაჰანმა — ძალიან დავიღალე, წყურვილისაგან ვკვდები. იყავით კეთილი და წყალი დამალევინეთ!

ქალი უხმოდ წავიდა სამზარეულოსაკენ და იქიდან წყლით სავსე ჭურჭლით დაბრუნდა.

შაჰანი დაიხარა და ტუჩები ჭურჭელს შეახო. წყალი თბილი და გულისამრევად უგემური აღმოჩნდა. წყალი მიწაზე დააქცია და ჭურჭელი დიასახლისს გადასცა.

— მადლობელი ვარ, — უთხრა მან.

ქალმა ჭურჭელი წაიღო,—მერე დაბრუნდა და ისევ წყნარად გაჩერდა მის ახლოს.

— გთხოვთ დაბრძანდეთ, — სთხოვა მამაკაცმა და ძელსკამზე ადგილი დაუთმო. ქალმა უარი თქვა დაჯდომაზე და არც ადგილიდან დაიძრა. გავიდა მძიმე და უხერხული რამდენიმე წუთი.

შაჰანმა კვლავ რამდენიმე არაფრისმთქმელი სიტყვა წაილუღლუღა. იკითხა მოსავალი, ამინდი, მაგრამ, რადგან სათქმელს თავი ვერ მოაბა, წამოდგა.

— რას იზამ, მე უკვე დავისვენე, თან მეჩქარება. ყველაფერ კარგსა და კეთილს გისურვებთ.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — გამოეხმაურა ახლა ქალი და გასაცილებლად მოემზადა.

ჭიშკარგადმოღმა შაჰანი შეჩერდა და წაილაპარაკა:

— ვწუხვარ, რომ მშაგუ არ დამხვდა. ძალიან მინდოდა მისი ნახვა. — განაგრძო მან. ქალი ისევ პირში წყალჩაგუბებული იდგა. — მოკითხვა გადაეცით თქვენს ქმარს. უთხარით შაჰანი იყო-თქო. ძალიან შეწუხებული მივდივარ. ისიც გადაეცით, რომ მისმა დოვლათმა გულწრფელად გამახარა. ყველაფერი თვალწარმტაცი და მშვენიერია; ძვირფასი ეზო-გარემო, ბინაც დიდებული აუშენებია, მხოლოდ სახლის კარები არ მომეწონა, ვერ არის მისი შესაფერი, ვწუხვარ, რომ ეს წამომცდა, ასეთი ხასიათის კაცი ვარ. —შაჰანი შეჩერდა, მაგრამ ქალს გაოგნება შეამჩნია თუ არა სახეზე, დაუმატა: — დურგალი კაცი ვარ, ხელოსანი, სახლებს ვაშენებ. ეჰ, რომ იცოდეთ, არც ისე ცოტა მიშენებია ისინი. აი რა, მშაგუს უთხარით, მის მშვენიერ სახლს შესასვლელი კარები არ უვარგა, მის საერთო სილამაზეს აუშნოებს-თქო. როგორც ჩანს, იმთავითვე არ შეუნიშნავს მშაგუს ეს ნაკლი, შეიძლება ახლაც ვერ ხვდებოდეს, დაგვიანებულიც არის, მაგრამ ძალზე ცუდი კარებია.

— მართლა? ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ, — თქვა ქალმა და პირველად გაიღიმა.

— გასაგებია, უცხო თვალი სხვაა, როცა მზეს პირდაპირ უცქერით, თვალი ბრმავდება და ვეღარაფერს ხედავთ. რა ვქნა, ბოდიშს მოვიხდი, ხალხს უთქვამს: „ცუდი სტუმარი ოჯახის მარტო სიმახინჯეს ხედავსო“. კმარა, უნდა გამოგეთხოვოთ. — ასე დაასრულა შაჰანმა და გზას გაუდგა.

ღამით გვიან დაბრუნდა მშაგუ. იგი ძალზე შეწუხდა, როცა გაიგო, რომ მისი არყოფნის დროს მის ოჯახში სტუმრად შაჰანი ყოფილიყო.

— როგორ მწყინს, რომ ის სახლიდან გაუშვი. — წამოიძახა მან, — ნეტავი, როგორ ცხოვრობს, არაფერი თქვა თავისთავზე, სად დასახლდა, რას აკეთებს?! წარმოგიდგენია, შვიდ წელზე მეტია, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს?!

— ძალიან შეწუხდა, სახლში რომ ვერ გნახა, ისე კი ხელობით დურგალი ყოფილა, — ამბობდა ქალი, — მთხოვა და დამაბარა გადმოგცე.

— რა თქვა? — მოულოდნელად გააწყვეტინა სიტყვა ქმარმა.

— მან მთხოვა გადმომეცა, რომ ჩვენი სახლის კარები შეუფერებელია, სწორედ ასე დაიბარა, საოცარი კაცი ჩანს. იგი დიდხანს მისჩერებოდა კარებს და ბოლოს სიტყვა-სიტყვით თქვა: „გადაეცით მშაგუს, ეზო-გარემო დაუმშვენებია, ქალი ტურფა ჰყოლია, ბედნიერებაც შეუქმნია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, მის სახლ-კარს შესასვლელი კარები არ უვარგა, მთელ სილამაზეს არ ეგუება, ძალზე ცუდად მომეჩვენაო. ასეთ ბედნიერ ოჯახს უფრო ლამაზი და კარგი ხის კარები შეეფერებაო“.

გაოგნებულმა მშაგუმ სახლის შესავალ კარებს შეხედა. ბევრი ათვალიერა, მაგრამ ნაკლი ვერ უპოვა, სიცუდე ვერ შეამჩნია.

— მეტი ხომ არაფერი უთქვამს, — სთქვა გაოცებით და მწუხარებით ქმარმა.

— მეტი რა უნდა ეთქვა. ისე კი უნდა გითხრა: შენი მეგობარი ძალიან კმაყოფილი წავიდა, ყველაფერი მოეწონა, გარდა შესასვლელი კარისა.

ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა. შაჰანი არ გამოჩენილა. ხშირად იხსენებდა მშაგუ თავის მეგობარს და კარებისაკენ იყურებოდა, — რა ნახა ამ კაცმა მასში ცუდიო! რამდენიც არ შეეცადა, ვერაფერი შენიშნა და ორაზროვანი ფიქრებით დანაღვლიანდა.

გავიდა ერთი წელი.

მოხდა ისე, რომ საქმეებმა შაჰანი ისევ ამ ადგილებში მოიყვანეს. ისევ შემოუხვია თავის მეგობრის, მშაგუს ოჯახში.

ძმაკაცი იქნება ახლა მაინც დამხვდეს სახლშიო, იმედოვნებდა იგი. მაგრამ თითქოს ბოროტ ბედზე მშაგუ სახლში არც ახლა დახვდა.

— ეი, მასპინძელო, სახლში ხარ? — დაიძახა ჭიშკარს მიახლოებულ-მა მხედარმა.

ახალგაზრდა ქალი ქურციკივით გამოვარდა აივანზე. შაჰანმა თვალი შეავლო თუ არა, იმ წუთშივე მიხვდა, რომ ეს ის ქალი არ იყო. ქალი სწრაფად დაეშვა კიბეზე და სტუმრის შესახვედრად ჭიშკრისაკენ სირბილით წამოვიდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მოკრძალებით თქვა ქალმა და თან სიჩქარით გამოაღო ჭიშკარი.

— მობრძანდით, მობრძანდით!

— მშაგუ სახლში არის? — იკითხა სტუმარმა და ეზოში შემოვიდა.

— არა, მაგრამ მალე გეახლებათ, — დაამშვიდა სტუმარი ქალმა. — შემობრძანდით, შემობრძანდით—არ ისვენებდა ის.

როგორც პირველი მოსვლის დღეს, ახლაც თაკარა სიცხე სწვავდა ყველაფერს და შაჰანი წყურვილისაგან კვდებოდა.

— არა, მადლობთ, მე აქაც კარგად შევისვენებ,—თქვა მან და ფოთლოვან ალვის ხეებისაკენ გაემართა.

— როგორ გეკადრებათ,—შიშით და მოკრძალებით უთხრა ქალმა,— სახლში მობრძანდით, ღვთის მადლით სახლში წვიმა არ ჩამოდის, თუმცა, თუ ეს თქვენ ძალიან შეგაწუხებთ, ჩრდილშიაც ნება გაქვთ დაისვენოთ. მაგრამ მე ვიცი, სახლშიც მოგეწონებათ, იქაც კარგია, ბატონო.— შეევედრა ქალი.

მისი სინაზით აღსავსე ხმა ისეთი გულწრფელი იყო, რომ კმაყოფილებით სავსე შაჰანმა მხიარულად გაიღიმა.

— კარგი, თქვენი ნება იყოს, მეტი რა გზაა, უნდა დაგეთანხმოთ.

სახლში მართლაც გრილოდა და ყველაფერი სასიამოვნოდ გამოიყურებოდა. შაჰანმა კედლებს ახედა და გაქვავდა: მოსწავლის ფორმაში ჩაცმული ორი ბიჭი — მშაგუ და შაჰანი სურათიდან იცქირებოდნენ.

— დიდი ხანია არ მინახავს მშაგუ! — დაღონებით თქვა შაჰანმა. — ეს სურათი სოხუმში გადავიღეთ, მაშინ მთიელთა სკოლაში ვსწავლობდით. ძალიან მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ არ გამიმართლა, ვერც ახლა შევხვდი. ბოდიში, ქალბატონო, — შემობრუნდა ქალისაკენ შაჰანი, — თქვენ ვინ ბრძანდებით?! ალბათ, მშაგუს და იქნებით.

— არა! — წყნარად თქვა ქალმა და ისევ გაჩუმდა.

—მშაგუს ცოლი სად არის? — დაჟინებით ჰკითხა ახლა შაჰანმა, — მისი მეუღლე სად არის? აი, ის, შარშან რომ ვნახე.

ქალი ისევ ჩუმად იდგა.

— მომიტევეთ, — თქვა ისევ შაჰანმა. — მე აქედან შორს ვცხოვრობ და არაფერი გამიგია. როგორც ჩანს, მშაგუს ცხოვრებაში დიდი ცვლილებანი მომხდარა.

ახლა ქალმა გაიღიმა.

— თქვენ მისი მეუღლე ბრძანდებით, ხომ? — ჰკითხა შაჰანმა.

თანხმობის ნიშნად ქალმა თავი დახარა.

— გილოცავთ, გულწრფელად გილოცავთ, — სიხარულით თქვა ახლა შაჰანმა, — მშაგუ შესანიშნავი ვაჟკაცია.

ქალმა მოუსმინა და საჩქაროდ გარეთ გავიდა. შაჰანმა თვალი გააყოლა ძმაკაცის მეუღლეს და მიხვდა, რომ ქალი სამზარეულოსაკენ გაეშურა. ეს ქალი სულაც არ ჰგავდა პირველს.

შაჰანს ძალზე სწყურდა გაეგო თუ როგორ მოხდა ყველაფერი ეს. შეკითხვაც დააპირა, მაგრამ იფიქრა, უხერხულიაო და გაჩუმდა. ის ადგა და ნელი ნაბიჯით გარეთ გავიდა, აივანზე მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

— წყურვილი მკლავს, — შესთხოვა მშაგუს ცოლს.

— ამ წუთში, ბატონო. — პატივისცემით თქვა მან. სირბილით გაიქცა ზემოთ, პატარა სუფრა და წითელი ღვინო გამოიტანა. სუფრა წინ წამოსწია, ბოთლი დადგა და ჭიქაში ღვინომ დაირაკრაკა. ქალმა კრძალვით და ალერსით შეხედა სტუმარს.

— შესვით, —წყნარად სთხოვა მან და თან დაუმატა, — მანამდე კი ცივ წყალს მოვარბენინებ.

ქალი ისევ სამზარეულოში წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა, ხელში თუნგი ეჭირა. აივნიდან გადააქცია ძველი წყალი, ჭურჭელი გასცალა და წყაროსაკენ გაემართა. ღვინომ წყურვილი მოუკლა შაჰანს. საოცარი სისწრაფით და მხიარული სახით დაბრუნდა მეგობრის მეუღლე. წყაროს წყლით სავსე თუნგი, რომელსაც წვეთები გარედან შერჩენოდა, მაგიდაზე დადგა.

— ჯერჯერობით ღვინოთი ისიამოვნეთ, — ჩურჩულით თქვა ქალმა, — საცაა ოჯახის უფროსიც გეახლებათ.

იგი ისევ სამზარეულოსაკენ გაეშურა.

„აი, ჩინებული დიასახლისი“, — გაიფიქრა შაჰანმა, ქალი ისევ მალე დაბრუნდა და სუფრის გაშლა დაიწყო.

— რა დამემართა დღეს, არ ვიცი, სადილის გაკეთება დავაგვიანე და შიმშილით მოგკალით, — დამნაშავესავით წაილუღლუღა მან, — უნდა მაპატიოთ ეს დანაშაული.

— ტყუილად ღელავთ, კარგო მასპინძელო! დამერწმუნეთ, რომ არ მშია, მეორეც, რატომ მარტო ჩემთვის ამზადებთ სადილს, მშაგუსთვის მოგვეცადა.

— თუ ისიც მობრძანდა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ რატომ უნდა გაცდევინოთ?! შეიძლება მშაგუს დააგვიანდეს, თქვენ კი შორიდან ხართ მოსული და დამშეულიც იქნებით.

ქალმა მართალი თქვა. შაჰანს დღეს არავისთან არ შეუვლია და ამიტომ ძალზე მშიერი იყო. სადილი საოცრად გემრიელად იყო შემზადებული. სტუმარი მადიანად შეექცა გულუხვი მასპინძლის მოტანილს.

მზე უკვე ჩადიოდა, მშაგუ კი ჯერ კიდევ არ ჩანდა. შაჰანი უნდა გამგზავრებულიყო. დიასახლისი ბევრი ეხვეწა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

— ძალიან ვწუხვარ, — ამბობდა სტუმარი,— მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. დღეს არ მცალია, მეორეც — გზაზე თანამგზავრები მიცდიან.

— თუ არ დაიცადეთ, ქმარი ძალზე ნაწყენი დარჩება ჩემით. მეტყვის, არ დაგიპატიჟნია, კარგად ვერ შეხვედრიხარო.

— სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ არ მიხერხდება. მშვიდობით ბრძანდებოდეთ,—გამოეთხოვა მეგობრის მეუღლეს, რომელიც ჭიშკრამდე კრძალვითა და პატივისცემით მიჰყვა სტუმარს.

— ხომ არაფერს დამავალებთ მშაგუსთან?

— უთხარი, — ნელა ჩაილაპარაკა შაჰანმა, — რომ ესტუმრა სიყრმის მეგობარი შაჰანი. დიდად გახარებული ვარ, რომ ის კარგად ცხოვრობს, სახლ-კარი ჩინებულად მოუწყვია, არ დაივიწყოთ, გადაეცით, რომ მეც ბედნიერი ვარ მისი სიკეთით. მან იცის, ის ჩემთვის უსაყვარლესი კაცია ამ ქვეყნად. ყველაზე უფრო მაინც სახლის შესასვლელი კარები მომეწონა. დიახ, დიახ, ასე გადაეცით! ეს კარები ახლა ძალზე შესაფერისია, ძალზე კარგი და ლამაზი. იცოდეთ, მე დურგალი კაცი ვარ, ბევრი სახლ-კარი მიშენებია. მაშ ასე, არ დაივიწყოთ და გადაეცით, რომ თვალწარმტაცი და მშვენიერი კარები ჰკიდია თქვენს სახლს-თქო.

— აუცილებლად გადავცემ, — თქვა ქალმა და გაოგნებით დაუწყო კარებს ცქერა. შაჰანმა ღიმილით შეათვალიერა ქალი და გზას გაუდგა. საღამოს დაბრუნდა მშაგუ. მასპინძელი ძალიან შეწუხდა, როცა მეგობრის მოსვლა და მის უნახავად გამგზავრება გაიგო.

— რა უბედურებაა, — წამოიძახა ნაღვლიანად მან. — ისეთი შესასანიშნავი მეგობარია ჩემი, ისეთი გულწრფელი კაცია, თავგანწირული და გრძნობიერი ამხანაგია და მე კი ვერ ვნახე. ეჰ, რომ იცოდე, როგორი ჭკვიანიც არის.

— ჭკვიანი კაცია? — გაიოცა მეუღლემ და მერე ქმარს ჩაფიქრებით მოარიდა მზერა.

— იშვიათი ჭკვიანია: მახსოვს, ხშრად უყვარდა ბრძნული დარიგების მოცემა და მისი რჩევა ყოველთვის ჭკუაში გვიჯდებოდა.

— მე კი, ნუ გეწყინება, მაგრამ უნდა გითხრა, მისი სიტყვები როგორღაც უცნაურად მომეჩვენა. გამოგიტყდები და გეტყვი — ვიფიქრე კიდეც, მის თავში ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს-მეთქი.

— რატომ გგონია? — წამოიძახა მშაგუმ.

— მან რაღაც უცნაური რამ მითხრა ჩვენი სახლის კარების შესახებ, გადაეცი, — დამბარა მან შენთან, — ყველაფერზე უფრო მე თქვენი სახლის კარები მომეწონა, მშვენიერია, თვალწარმტაცია, უნაკლოაო, იძახოდა დიდხანს.

— გარკვევით მითხარი ქალო, როგორ გითხრა, მომეწონაო?

— რასაკვირველია, მოეწონა და ძალიანაც მოეწონა. ჩვენ ეზო-გარემოში მას ყველაზე უფრო ძვირფასად კარები მიაჩნია. ის ხომ დურგალი ყოფილა, სახლებს აშენებს ხოლმე.

— მაშ ეს კარები მოეწონა, არა? გასულ წელს კი სწორედ ამ კარებს აძაგებდა. ჩემს ეზო-გარემოში ყველაზე ცუდად კარები მიაჩნდა, ერიჰა, — წამოიძახა ახლა გახარებულმა მშაგუმ, ცოლს წელზე ხელები მოხვია და მაღლა ასწია.—ასეთი იყო ყოველთვის, ჩემი დაკვირვებული და სანდო მეგობარი, ჩემი განუყრელი შაჰანი! იტყოდა რაღაც ქარაგმას და ჩვენ თავს ვიტეხდით მის ახსნაზე. მთელი წელიწადი ვიწვალე იმის გამო, თუ რას ნიშნავდა მისი შარშანდელი ნათქვამი. ახლა კი გავიგე. შენც თუ გაიგე, გენაცვალე?!

— ახლა მეც მივხვდი, — წყნარად სთქვა ქალმა და ორივე ხელით მოეხვია ქმარს კისერზე.

1957

მასრები

(ნოველა)

ძველად მასრები არ იცოდნენ. თოფის წამალი, საფანტი, ფინთიხი და კაჟის ნამსხვრევებიც კი ჩანთით დაჰქონდათ. დიდი დრო სჭირდებოდა თოფის გატენას. წარმოგიდგენიათ, ჯერ ჩანთიდან თოფის წამალი უნდა გადმოგეყარათ ხელისგულზე, მერე თვალით მოგეზომათ და კაჟიან თოფის გრძელ ლულაში ჩაგეყარათ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა საფანტით ან აკეპილი ტყვიით გატენა. დიდი სიმარდე იყო საჭირო, რომ სწრაფად გემოქმედათ. აი, გამოიგონეს მასრა — გაზირი. აკი აფხაზური სიტყვა „გაზირი" მზამზარეულს ნიშნავს. მართლაც, მასში წინასწარ მოზომილ თოფის წამალს თუ საფანტს ჩაყრიან ხოლმე, ჩოხაზე მას მასრის ზომის წვრილ-წვრილ ჯიბეებს ორივე მხარეს მიაკერებენ და ოცამდე მასრას ჩააწყობენ. აფხაზი კაცი მასრებს თვალისჩინივით უვლის, — ფუჭად არ ხარჯავს. მასრით მხოლოდ მაშინ გატენიდნენ თოფს, როცა ეს გარდაუვლად საჭირო იყო. თითოეული მებრძოლი თვითონ წყვეტდა: დრო იყო თუ არა ახლა გამოეყენებინა მასრა. მასრების უმიზნოდ ხარჯვა ცუდ ჩვეულებად ითვლებოდა, ვადაზე ადრე მისი გასროლა კი ჩამოურეცხავ სირცხვილად იყო მიჩნეული.

ერთხელ უღელტეხილის გადაღმა მცხოვრები მეზობლები თავს დაესხნენ მრამბას ხეობას. თავდასხმა მოულოდნელი იყო. მომხდურნი ბევრნი იყვნენ და სიფრთხილით მოქმედებდნენ. მრამბელები არ ელოდნენ ასეთ ვერაგულად თავდასხმას, მაგრამ მტერს ვაჟკაცურად შეერკინენ. ცხელი ბრძოლები გაიმართა კლდოვან კალთებს შუა. შრამბაში მიმავალ

გველივით დაკლაკნილ ბილიკზე მძიმედ დაჭრეს ახალგაზრდა აფხაზი საიდი. დაჭრილი მაინც არ შედრკა. იგი რამდენიმე ამხანაგთან ერთად კლდოვან მისასვლელებს მოხერხებით ამოეფარა და იერიშზე გადმოსულ მტერს ფიცხლად შეუტია. მტერი თანდათან სოფელს უახლოვდებოდა. საიდის მეგობრები თავდადებული იბრძოდნენ, მაგრამ მაინც მტკაველ-მტკაველობით ტოვებდნენ გამაგრებულ ადგილებს. საიდს არ დაუტოვებია ამოჩემებული ადგილი და ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაუხევია. იგი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ ტყვიას ტყვიაზე უგზავნიდა მტერს. მისი ფრთხილი და დაკვირვებული გასროლა მტერს დიდ ზიანს აყენებდა. ცხვირწაწვდილი კლდის ახლოს, ვიწრო მისასვლელთან საიდის მეგობარი ქირიმი იყო ჩასაფრებული. იგი გაოცებული უყურებდა ძმაკაცს, რომელიც სისხლში ცურავდა, მაგრამ ჩანთიდან საკვირველი სიმარდით ამოაბნევდა ხელისგულზე თოფის წამალს, თვალით გაზომავდა, თოფის ლულაში ჩაყრიდა, მერმე საფანტით გატენიდა, დაუმიზნებდა და ესროდა მტერს.

— რას შვრები, — აღელდა ქირიმი, — რატომ მასრებს არ იყენებ?!

— ჯერ მაგის დრო არ არის, მასრების დახარჯვასაც მოვასწრებ, — აუჩქარებლად უპასუხა საიდმა.

კლდეებს მოფარებული მტერი თანდათან უშიშრად წინ მოიწევდა.

— საიდ! — გამწარებით დაიყვირა ქირიმმა. იგი შეაძრწუნა მეგობრის ბედმა, — მასრები იხმარე, მერე გვიან იქნება, რატომ აყოვნებ?

— ფუჭად ღელავ, ქირიმ, — დინჯად უთხრა საიდმა.

— მტერი გვიახლოვდება, — ისევ იყვირა ქირიმმა. — ხომ ხედავ, რკალი გაარღვიეს და წინ იწევენ. შენც ჩვენსკენ დაიხიე, აქეთ გადმოდი, მასრებით დატენე თოფი.

ქირიმის ხმა ფრიალო კლდეთა კალთებს მიასკდა და კლდეებმაც ისე გაიმეორეს, რომ საიდს მოეჩვენა, მრამბას მშობლიური მიდამოებიც ეძახდნენ: „მასრიდან გაისროლე, უკვე დრო არის“.

— ჯერ კიდევ არ არის ამის დრო, — მტკიცედ იმეორებდა თავისთვის და ქირიმი მიმინოსავით ათვალიერებედა, რომ მტერი არ მოჰპაროდა. უცებ ერთ წერტილს დააჩერდა, სუნთქვაშეკრულმა თოფი დაახალა და ქირიმს გასძახა — ნახე!

ქირიმმა გაიხედა და დაინახა, რომ მტრების წინამძღოლი ჰათხუა საიდის ნასროლი ტყვიით, თავისი თეთრი ბოხოხის ქუდით ერთი შეტრიალდა კლდის ნაპირზე, ხელები ზევით აიქნია და უფსკრულში გადაიჩეხა.

ერთი მხრივ წყევლა და გინება, მეორე მხრივ ტაში და გამარჯვების შეძახილები გაისმა მაშინ, სწორედ ამის შემდეგ ხშირ-ხშირი თოფის ხმამ გააყრუა გარემო. საიდმა დაიწყო მასრებით თოფის დატენა. ტყვიას

ტყვიაში სვამდა. ბოლოს წამოდგა და შესძახა:—წინ, ჰათხუა მკვდარია! აბა ბიჭებო! — იგი ლომივით ეკვეთა მტერს.

მრამბელები გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ შინ. საიდი მოწიწებით მოჰყავდათ. იგი მძიმედ იყო დაჭრილი. თექვსმეტ ტყვიას გაევლო მის სხეულში და თექვსმეტი ხვრელი გაეკეთებინა. სულ მთლად დაცხრილული იყო ვაჟკაცი.

მადლიერი ხალხი ზეიმით შეხვდა თავის დამცველებს. ყველანი გამარჯვების სიმღერებს მღეროდნენ და საიდის გმირობას აქებდნენ.

საიდის მამამ მასრებს დახედა, გონებაში რაღაც აწონ-დაწონა და შვილს ჰკითხა:

— ეს მითხარი, შვილო, რატომ ასე ცოტა დაგიხარჯავს მასრები. ისინი უმრავლესობა შენ ჩოხაზეა ქილებივით ჩარიგებული.

— არ დამჭირვებია, მამაჩემო, — უპასუხა საიდმა.

ყოველთვის თავდაჭერილი, დარბაისელი და მოფერებაზე სიტყვაძუნწი მამა შვილს მოეხვია და წარმოთქვა:

— დიახ, შენ ნამდვილად დაიმსახურე, მთელ აფხაზეთში აფირხაწაზე იმღერონ შენი გმირობის ამბავი.

1958

სიმფონია რიწაზე

(ნოველა)

— მე და აიშა რომ დავქორწინდით, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, — დაიწყო მოყოლა ჩემმა ბავშვობის მეგობარმა საიდმა. — ჩვენ გვაკავშირებდა ნათელი და ლამაზი სიყვარული, რომელიც ჩვენს მეზობლებს კიდეც აღაფრთოვანებდა და კიდეც შურდათ. მე და აიშა მეექვსე სართულზე ვცხოვრობდით, ლიფტი არ იყო. ჩემი ახალგაზრდა ცოლი დამინახავდა თუ არა შინისკენ მომავალს, დაბლა ჩამოირბენდა, მომეგებებოდა და მერე ნელ-ნელა ერთად შევუყვებოდით პაწაწინა ოთახისაკენ. კიბეებს სულ ხვევნა-კოცნით ავივლიდით ხოლმე... არასოდეს არ ვჩხუბობდით, ყველაფერს ვუთმობდით ერთმანეთს. უთანხმოების უმნიშვნელო მიზეზსაც კი გავურბოდით.

აიშა მუსიკას სწავლობდა და როიალზე უკრავდა.

მან იცოდა, რომ მე ძალიან მიყვარდა მის მიერ შესრულებული ბალანჩივაძის „სიმფონია რიწაზე". მას იგი განსაკუთრებული განწყობილებით ასრულებდა. ვგრძნობდი, რომ ამ შესრულებას მე მიძღვნიდა.

ინსტრუმენტი არ გვქონდა და ორივემ გადავწყვიტეთ, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეგვეძინა იგი.

ერთხელ განცხადება წავიკითხეთ: იყიდება თითქმის ახალი პიანი-

ნო, კარგი მარკისა და იაფად. იმ დღეს ციცი და ქარიანი ამინდი იყო. თან აიშაც ცუდად გრძნობდა თავს და მთხოვა უმისოდ წავსულიყავი პიანინოს სანახავად.

კარი გამიღო პატარა ტანის ულამაზო, მოჯაჯულმა, ცხვირაპრეხილმა ქალმა, სწორედ ეს აღმოჩნდა პიანინოს პატრონი. მე მოსვლის მიზეზი ავუხსენი, მან კი ოთახში შემიპატიჟა.

პიანინოს არა უშავდა რა, ტონიც კარგი ჰქონდა. მივუსხედით მაგიდას და ვისაუბრეთ მის ხარისხზე, ფასზე და გაყიდვის მიზეზზე. უცებ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ქალმა კარი გააღო და ოთახში შემოვიდა შეუხედავი, უშნო, ყეყეჩი გამომეტყველების კაცი.

— დაჯექი, ფედია, ახლავე დავამთავრებ ამ მოქალაქესთან საუბარს, — უთხრა მას ქალმა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

კაცი, რომელსაც ფედია ერქვა, იქვე, შემოსასვლელთან ჩამოჯდა, მოღუშულმა შემათვალიერა და თავისთვის მრავალმნიშვნელოვნად ჩაიბურტყუნა:

— ჰო, ჰო, ჰო. . .

მე მოველაპარაკე დიასახლისს პიანინოს ფასზე, მერე ავდექი, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

შინ მალე ვერ მივედი, ერთ-ერთ მეგობარ აფხაზთან შევიარე და ცოტა არ იყოს საუბარი გაგვიჭიანურდა.

მეორე დღეს თურმე დიდი უბედურება მელოდა. როცა სამსახურიდან შინ მოვედი, აიშა ჩვეულებისამებრ არ შემომეგება. ფანჯარასთან იჯდა, ქვითინებდა და რაღაც კონვერტს ჭმუჭნიდა. ვიფიქრე, ბაქოდან თუ მიიღო მშობლების წერილი და ალბათ რაიმე ცუდ ამბავს ატყობინებენ-მეთქი. სწორედ იმ ხანებში მამამისი ავადმყოფობდა.

— რა მოგივიდა ძვირფასო? მამას ხომ არაფერი დაემართა? — ვკითხე.

პასუხად ხელი გამიქნია, კიდევ უფრო აქვითინდა და წერილი გამომიწოდა. წავიკითხე და მივხვდი, რომ ეს წერილი მე მეკუთვნოდა. აი, ნაწილობრივ გაგაცნობთ ამ წერილის შინაარს: „მოქალაქე ს...! როგორ არ გრცხვენიათ, ასეთი ლამაზი ცოლის პატრონი სხვა ქალთან რომ დაეხეტებით?! უკვე სამი თვეა გითვალთვალებთ და ბოლოს, დღეს, შეგასწარით დანაშაულის ადგილზე — დინასთან ერთად (ეს იმ ქალის სახელია, პიანინოს რომ ყიდდა). დინას მიზეზით მივატოვე ოჯახი, მე ძალიან მიყვარს იგი და ვერაფრით ვერ დაგითმობთ მას! მიიღეთ ეს ჩემგან როგორც მუქარა. . .“ და ა. შ.

პირქელად ვერაფერი გავიგე, მაგრამ იმ ფრაზასთან რომ მივედი: „თქვენი ბაასი დინასთან, რომელიღაც პიანინოზე და სხვა ამგვარი, ბოლოდ თვალის ახვევა იყო“. . . მივხვდი, რომ ამ წერილის ავტორი

იყო ის ფედია, რომელიც დანახვისთანავე არ მომეწონა და რომელმაც ნამდვილად ვიღაცაში ამრია. გამეცინა და ცოლს მივუბრუნდი:

— ჩემო კარგო, ეს ხომ სულელური გაუგებრობაა. ახლა მოგიყვები ყველაფერს, — მე მოსაფერებლად გავიწიე, მაგრამ მან უხეშად მომიშორა.

— არავითარი გაუგებრობა, ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ეს სამი თვეა შინ ძალიან ხშირად იგვიანებ. ჩვენს შორის სამუდამოდ გათავდა ყველაფერი.

ბევრს ვეცადე გონს მომეყვანა საყვარელი ცოლი, დიდხანს ვარწმუნებდი ჩემს უდანაშაულობაში, მაგრამ მოსმენაც კი არ უნდოდა. ბოლოს, ამგვარი უსამართლობით აღშფოთებულმა მივატოვე სახლი.

შევეკედლე ერთ-ერთ ამხანაგს. საყვარელი აიშას დარდი კი არ მასვენებდა. თანაც ჩემი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა და სიამაყე მაკვნებდა.

ამის შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. ერთხელ ცოლის ნათესავმა შემატყობინა, რომ აიშას მშობლებთან დაბრუნება განუზრახავს და სურს გადმომცეს ჩემი პირადი ნივთები.

წავედი აიშასთან. გული მტკიოდა... იგი მე ისევ ძველებურად მიყვარდა. გზაში გამახსენდა, რომ მას შოკოლადი უყვარდა. ვიყიდე ფილა „ოქროს იარლიყი“ და გადავწყვიტე შეუმჩნეველად ჩამედო მის ჩანთაში.

როცა ერთმანეთი გიყვართ, საყვარელი ადამიანის უმცირეს სურვილსაც გამოიცნობთ, მიხვდებით, რა უყვარს მას და რა არ უყვარს, რა უნდა და რა არ უნდა.

შინ რომ მივედი, აიშას ბარგი უკვე ჩალაგებული ჰქონდა. მანქანამდე მივაცილე. მერე ოთახში ავედი ისევ, პალტო ჩავიცვი, რათა ქუჩაში გავსულიყავი და ხეტიალში ცოტათი მაინც გამექარწყლებინა დარდი. შემთხვევით პალტოს ჯიბეში ჩავიყავი ხელი და უცებ ქაღალდში გახვეული თხილის ხალვას წავაწყდი, რომელიც ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა. მან ეს იცოდა... ასეთი იყო ჩვენი მუნჯური გამოთხოვება.

დავშორდით და უსასრულო გზამ წაიყვანა იგი ჩემგან შორს.

მრავალმა წელმა განელო მას შემდეგ. გადავიტანეთ ომი. ამ ხნის მანძილზე ერთმანეთის შესახებ არაფერი გაგვიგია.

ბალი ჩამოსული ვიყავი მოსკოვიდან აფხაზეთში. გვიან ღამით, მაღალმთიან სოფელ ოთხარაში შემთხვევით შემხვდა ჩემი არცთუ ისე ახლო მეგობარი, რომელმაც ღამის გასათევად თავის სახლში წამიყვანა.

მისი სახლი მაღალ მთაზე იდგა და თანაც ძალიან მაღალ ხიმინჯებზე. კიბეზე რომ ავედით, ცოტა ხნით აივანზე შევისვენეთ, რომელიც მთელი ფასადის გასწვრივ იყო გადაჭიმული.

— როგორც ჩანს, შენ მთის სიმაღლემ არ დაგაკმაყოფილა და სახ-

ლი ამიტომ წამოგიჭიმავს ასეთ მაღალ ხიმინჯებზე! — გავეხუმრე მასპინძელს.

— ჰო, აქედან შესანიშნავად ვხედავ ზღვას, გაგრას, გუდაუთას, — მიპასუხა მან.

შემდეგ საქმეზე დავიწყეთ ლაპარაკი. ვსაუბრობდით მთელს აფხაზეთში სახელგანთქმული, ერთ-ერთი საუკეთესო და მდიდარი კოლმეურნეობის მიღწევებსა და გეგმებზე. ღამის მყუდროებაში ჩვენი ლაპარაკი წყაროს ჩუხჩუხს წააგავდა... მთვარემ ვერცხლისფერი სხივების სამოსელში გაახვია ხეები, ფოთოლი არ ირხეოდა.

უცებ, ღამის მყუდროება დაარღვია როიალის ხმამ... მეზობელ ოთახში ვიღაც უკრავდა ჩემს საყვარელ „სიმფონიას რიწაზე". ავფორიაქდი, მომეჩვენა, თითქოს აქვე ახლოს იჯდა აიშა.

— ეს ვინ უკრავს შენს გვერდით ოთახში?

— ოო, ეს ჩვენი კოლმეურნეობის საუკეთესო ბრიგადირია. წელს მისმა მეციტრუსე ქალთა ბრიგადამ მოსკოვში „მიღწევათა გამოფენაზე" ექსპონატებისათვის დიდი ფულადი პრემია და მედალი მიიღო, რომელიც იქ საუკეთესოდ მიიჩნიეს... თანაც ასე შესანიშნავად უკრავს! მისი ქმარი — ნური აპბა, ჩვენი კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის დირექტორია. სხვათა შორის ამ სახლის ნახევარი იმათია. თუ სურვილი გაქვს, შემიძლია გაგაცნო ეს სასიამოვნო ცოლ-ქმარი. ისინი ძალიან სტუმართმოყვარენი არიან.

კიდევ მეტად ავღელდი. უკვე არაფერს ვეკითხებოდი ჩემს მეგობარს.

ჩემმა მეგობარმა ნებართვა ითხოვა, შემიყვანა მათთან ოთახში და წარმადგინა. სმენას და წინათგრძნობას არ მოვუტყუებივარ. როგორც კი კარი შევაღეთ, აიშას თვალებმა მომანათეს. ოც წელზე მეტი იყო გასული, მაგრამ იგი სულ არ შეცვლილიყო. სიყვარულმა ძველებურად იფეთქა და უნებლიეთ შევკრთი, ისიც შეკრთა. მე ბოდიში მოვიხადე მოულოდნელი შემოჭრისათვის და ვუთხარი, რომ ამის მიზეზია მხოლოდ „სიმფონია რიწაზე", რომელიც მუდამ მიყვარდა და მიყვარს.

— გთხოვთ მომანიჭოთ სიამოვნება და ერთხელ კიდევ დაუკარით! — ვთხოვე მე.

— სიამოვნებით, — მიპასუხა მან.

იგი მიუჯდა როიალს და დაუკრა თავიდან. უკრავდა და თან ჩუმად მღეროდა ჩემთვის დიდი ხნის ნაცნობ სიტყვებს.

— ძალიან მიყვარს ეს შესანიშნავი სიმფონია,— თქვა მან და დაამთავრა დაკვრა. შემდეგ ნაღვლიანად დაუმატა:— და ალბათ მთელი სიცოცხლის დასასრულამდე მეყვარება.

იმ ოთახში მყოფი ოთხი ადამიანიდან მხოლოდ ორს გვესმოდა ერთ-

მანეთის. და იგი სამუდამოდ დარჩა ჩვენს საიდუმლოებად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

1958

ამგოგბენ, მოხუცდაო

(ნოველა)

ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის შემოდგომაა. დაძაბული, საბედისწერო დღეები დგას. გერმანელები სტალინგრადს მისევიან, ჩრდილო კავკასია დაპყრობილია, მტერი ამიერკავკასიისა და ბაქოს ნავთის საბადოებისაკენ მიიწევს. გერმანელი ფაშისტების ურდოები აფხაზეთის კლდეკალთებსაც მრისხანედ ებღაუჭებიან.

ამ საშიშ დღეებში აფხაზეთის სოფლებში ვაჟკაცური მოწოდება გაისმა.

— არც ერთი ფაშისტი არ უნდა გადმოვიდეს ამიერკავკასიაში, გადამაგროთ ჩვენი სამშობლო, მიუვალ კედლებად იქცეს მაღალი კავკასიის მწვერვალები.

ახალმა და ძლიერმა პატრიოტულმა ტალღამ ერთხელ კიდევ გადაუქროლა მოსახლეობას. აღარავინ უცდიდა ჯარში გაწვევას, მაღალ კლდეებზე დაკიდებული სოფლებიდან ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე მოილტვოდნენ სამშობლოს დასაცავად. გამანადგურებელ ბატალიონში ათასობით ეწერებოდნენ.

სწორედ ამ დროს ჩემმა ძველმა მეგობარმა არლან უაჰაიდმა დიდი გმირობა ჩაიდინა.

მტრებმა შეჰკრეს აფხაზეთის მთიანი კლდე-ვიწროები, მხოლოდ ერთი გადასასვლელი აშორებდა აფხაზურ პატარა სოფელ მრამბას.

ეს სოფელი არწივის ბუდესავითაა დაკიდებული მაღალი მთის კალთაზე. სოფლის საბჭოს წინ, პატარა მოედანზე ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ მამაკაცები.

მოულოდნელად მათთან გაჩნდა ასოცდაათი წლის მაღალ-მაღალი, შავთვალა და გამხდარი მოხუცი არლან უაჰაიდი. ხელში კაჟიანი თოფი ეჭირა, წელზე ხანჯალი ეკიდა. ჭაბუკებმა სიცილი ვერ შეიკავეს.

— თქვენ საით მიბრძანდებით, მოხუცო უაჰაიდ, ნუთუ საბრძოლველად მიდიხართ? — დააყარეს აქეთ-იქიდან კითხვები.

მოხუცმა კუშტად გადახედა ყველას.

— მეც იქ მივდივარ, სადაც თქვენ, — ნელა თქვა მან, — ტყუილად ფიქრობთ, ომში არ გამოდგებაო, არც ის გაივლოთ გულში, მიზანს ააცილებსო.

— როგორ გეკადრებათ, მაგას ვინ იფიქრებს, — დაამშვიდეს მოხუცი, — საექიმო კომისია არ გაგიშვებთ საომრად.

— რატომ? თქვენ ფიქრობთ, მოხუცებულობა შემიშლის ხელს?

— არა, — გაიქილიკა ყველაზე ხუმარა ახალგაზრდა კიაზო შოუამ, — ვინ გაბედავს თქვას, რომ თქვენ მოხუცი ხართ, მხოლოდ მკერდი გაქვთ ცოტა ვიწრო, ხომ იცით, ექიმები ვიწრომკერდიანებს ომში არ აგზავნიან.

— მკერდი მაქვს ვიწრო? — წარმოთქვა შემკრთალმა მოხუცმა და თავი დახარა. გამოჩნდა მისი ბებრული კისერი. უაჰაიდმა ეჭვით შეათვალიერა თავისი მკერდი და მტკიცედ წარმოთქვა: — მერე რა, რომ ვიწროა! არაფერია, ჭაბუკო, ტყვიებსაც ეყოფა სამიზნედ და მედლებიც დაეტევა ზედ.

ჯიუტად გასწია სოფლის საბჭოსაკენ და შტაბის კარი შეაღო.

მოხუცი უაჰაიდი არ მიიღეს გამანადგურებელ ბატალიონში. მოკრძალებით უხსნიდნენ მოხუცს, ამ ხნის კაცს გაუჭირდება კავკასიონის კლდეკალთებზე ზამთრის გატარებაო.

რამდენიმე წუთის შემდეგ უაჰაიდი ისევ სოფლსაბჭოს აივანზე გამოვიდა. მისი ნაღვლიანი თვალები ახლა არავის არ უყურებდა.

— უარი გითხრეს, უაჰაიდ? — ღიმილი მოარიდა ახლა კიაზომ.

— დიახ, ამბობენ, მოხუცი ხარ, კერიასთან დაჯექი, არაფრად ვარგიხარო.

— როგორ თუ არ ვარგიხარ, — გაოცდა კიაზო, — თქვენ ხომ სოფლის პირველი მომღერალი ხართ და აფხიარცას საუკეთესო დამკვრელი. დაბრძანდით მზეზე, ძვლები გაითბეთ და გმირებს დიდება უგალობეთ. ბრძოლაში კი სხვებს ხელს შეუშლით.

— ხელს შეუშლიო?! — მწარედ გაიმეორა უაჰაიდმა, — მზის გულზე მოვირთხა ფეხი და ძვლები ვითბო, არა? შენ ამბობ, ვერ ვიბრძოლებ, ხომ! აბა ვნახოთ, ვინ უკეთ იბრძოლებს.

მოხუცს მეტი არაფერი უთქვამს, დინჯად გავიდა გზაზე და კლდის ქიმს მიეფარა.

ცოტახნის შემდეგ შტაბში მზვერავებმა მოირბინეს და გვაუწყეს: მაღალ-მაღალმა უცნობმა მოხუცმა, მამაპაპური თოფით ხელში, თვალუხედველი ვიწრო ბილიკი გაიარა და წყალვარდნილსა და კლდეებს შორის მიიმალაო.

წყალვარდნილი სწორედ საზღვარი იყო. გაღმიდან მტრის ბანაკი იყურებოდა.

სნაიპერებმა კარგად დაინახეს, როგორ მიუახლოვდა მოხუცს სამი გერმანელი ჯარისკაცი, რაღაცაზე დიდხანს ილაპარაკეს და მერე სადღაც წაიყვანეს იგი.

სადამოს გამანადგურებელმა ნაწილებმა გადასასვლელს შეუტიეს.

მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მტერს მტკიცე წინააღმდეგობა არ გაუწევია. მათ რიგებში დაბნეულობა შეინიშნებოდა. თითქმის მთელი შტაბი ხელში ჩაიგდეს. შეპყრობილმა გერმანელებმა თქვეს:

—კლდეკარის გადასასვლელიდან ჩვენთან მოხუცი გამოცხადდა. წამდაუწუმ გაიძახოდა, მეტად საიდუმლო ამბავი ვიცი და გენერალთან მიმიყვანეთო. გენერალი იმ დროს სადღაც იყო წასული. მოხუცს „ხველაზე უფროსის" ნახვა უნდოდა, ჩვენც შტაბის უფროს ობერლეიტენანტ კრიმერს მოვახსენეთ. ობერლეიტენანტს გაუხარდა და გვიბრძანა. მასთან მიგვეყვანა იგი. კრიმერი მოხუცთან ახლოს მივიდა. მოხუცმა ელვის სისწრაფით გაიძრო ხანჯალი და კრიმერს მკერდში ჩასცა ვადამდე. კრიმერს მოხუცი ზედ დააკლეს. აი, მისი ცხედარი.

1958

ძაძ დარსალია

ბაძ (ვლადიმერ) სარიტონის ძე დარსალია დაიბადა 1898 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუფში. 1923 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1928 წელს — ყუბანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად, შემდეგ ლიტმუშაკად გაზეთ «აფსნი უაფშში».

ძ. დარსალიას კალამს ეკუთვნის პიესა «შავბნელ წარსულში», რომელიც დღესაც წარმატებით იდგმება სოხუმის დრამატულ თეატრში. 1954 წელს გამოვიდა მისი მოთხრობების წიგნი აფხაზურ ენაზე. ძ. დარსალიამ აფხაზურად თარგმნა პუშკინის «კაპიტანის ქალიშვილი».

უკანასკნელი წლების მანძილზე მწერალმა დაბეჭდა მოგონებების წიგნი «ცხოვრებიდან», დაწერა დიდი ისტორიული მოთხრობა «მორევი», რამდენიმე ნოველა და დრამატული ნაწარმოები «წუაროსთან».

ძ. დარსალია გარდაიცვალა 1977 წ.

მძევალი

ღარიბი კაცია ლაჯი. გამრჯე, მშრომელი, მაგრამ მაინც ღარიბი. ამ შემოდგომაზე სამი-ოთხი გოდორი სიმინდი ძლივს მოიწია. ეს ნახევარი წლის სარჩოდაც არ ეყოფა მის დამშეულ ოჯახს. ახლა ამ მცირე მარაგსაც მოაკლო და გასაყიდად მიაქვს, რომ საპონი და ნავთი იყიდოს.

ეჰ! არც ბედი წყალობს და არც მიწა იბრალებს. თავს არ ზოგავს, დღედაღამ შრომობს, ოფლით აქვს მორწყული მიწის ყოველი მტკაველი. ცოლ-შვილი კი ვერ იქნა და ვერ გამოკვება. აქამდე ხარი მაინც ჰყავდა. აწი რითი უნდა მოხნას ეს ხრიოკი.

ღმერთო, შენ დაუქციე ოჯახი, ვინც მას ერთადერთი მარჩენალი წაართვა!

ლაჯი ობლობაში გაიზარდა. საკუთარი არც ჭერი ჰქონდა, არც კერია. ხან მოჯამაგირედ იდგა, ხან მწყემსად, ხანაც მჭედელ პატუხუს ეხმარეობდა. გასამრჯელოდ რა ერგო? — ნახმარი ქეჩის ქუდი და ძონძები. არც მშველელი ჰყავდა ვინმე და არც ქომაგი. ყველა იბრიყვებდა უპატრონოს.

ასე გადიოდა წლები. ლაჯი წამოიზარდა, დავაჟკაცდა, მაგრამ საშველი მაინც არ დაადგა.

მისი ტოლები დროს მხიარულად ატარებდნენ, ქეიფობდნენ, ცხენებს დააჭენებდნენ, ზოგს სატრფოც ჰყავდა შეთვალთვალებული. ლაჯი კი მშიერ-მწყურვალი და გამურული ოფლში იწურებოდა. რას არ ავალებდა მას მჭედელი პატუხუ: წყალი მომიტანეო, ქვაბები დახეხეო, საქონელს მიხედეო. ლაჯიც ჯარასავით ტრიალებდა, მადლიერი მაინც არავინ იყო. ღამით დაღლილ-დაქანცული მიეგდებოდა ტახტზე და უზომოდ ნაჯაფარს ძილიც არ ჰქონდა მშვიდი.

ერთხელ ლაჯის წისქვილიდან დაფქული მოჰქონდა. მზე ისე აცხუნებდა, სულის მოთქმა ჭირდა. ლაჯიმ გუდა მოიხსნა და ჩრდილში ჩამოჯდა. მწარე ფიქრებში გართულს არც კი შეუმჩნევია, ისე წამოადგა თავს მხედარი. როცა გამოერკვა, მის წინ მდიდარი მემამულე მაჯ-იფა-ლაპაღუ იდგა.

— ჩამძინებია, — თითქოს თავი იმართლაო ლაჯიმ. ლაპაღუს ცხენი ჩამოართვა და ხეზე მიაბა.

— ამ სიცხეში რამ დაგაძინა, — უთხრა ლაპაღუმ, თავისთვის კი გაიფიქრა: მგონი, გამოსადეგი კაცი ვიპოვეო. ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერა ლაჯი. შემდეგ ყაბალახი მოიხსნა და ლაჯის ვინაობა ჰკითხა. ლაჯიმაც უამბო თავისი უკუღმართი ცხოვრების ამბავი.

— ჩემთან ხომ არ წამოხვალ? კარგი მწყემსი მჭირდება, — ვითომ სხვათა შორის ჰკითხა ლაპაღუმ.

ლაჯი ამ შეკითხვას არ ელოდა და დაიბნა, პასუხის გაცემა ვერ მოახერხა. ამასობაში ლაპაღუ ცხენს მოახტა, კარგად მოიფიქრეო, — ლაჯის გადმოსძახა და გაქუსლა. ლაჯიც თავის გზას გაუდგა.

მჭედლის ოჯახში მხოლოდ პატუხუს ქალიშვილს — გუაგუას ებრალებოდა ლაჯი. საჭმელსაც შეტს აძლევდა, ტანსაცმელსაც უკერებდა. თან ისე გაუღიმებდა, ლაჯის ათი წლის სიცოცხლე ემატებოდა. ლაჯიც ცდილობდა, სიკეთით გადაეხადა გუაგუასათვის. ხან ღომს ამოუზელავ-

და. ხან შეშას შემოუტანდა. ყველა დასცინოდა მათ მეგობრობას. ლაჯი კი იმედს არ კარგავდა.

იმ საღამოს ლაჯი ძროხას წველიდა, თან გუაგუას უამბობდა ლაპაღუსთან შეხვედრის ამბავს.

—წასვლას აპირებ? — ეწყინა ქალიშვილს.

— აბა რა ვქნა, როდემდე ვიყო ასე ღარიბ-ღატაკი? იქნებ ლაპაღუსთან ვიშოვო რამე. ფულს დავაგროვებ და ერთ ფაცხას მეც დავიდგამ.

გუაგუას ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

მეორე დილით პატუხუმ ყვირილით გააღვიძა ლაჯი:

— შე ძილისგუდა, უქნარა, მუშაობას აღარ აპირებ? ახლავე ადექი!

—ახლა კი ავდგები, მაგრამ იცოდე, დღეს უკანასკნელი დღეა, — უთხრა თვალების ფშვნეტით ლაჯიმ.

ლაჯი ადგა და ძროხების მოსაწველად გასწია. სამჭედლოდან ურის ცემის ხმა ისმოდა, მაგრამ ლაჯის ყურიც არ გაუპარტყუნებია. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, გასცლოდა უსულგულო პატუხუს.

„არა, მჭედლობა ცუდი ხელობა როდია, — ფიქრობდა ლაჯი, — რა ჯობია, როცა შენი ნახელავი წალდი, ნაჯახი, თოხი შენც გამოგადგება და სხვასაც. მაგრამ პატუხუ რომ არაფერს მასწავლის? შენ ამას ვერ შეძლებო. ვითომ რატომ? ვისზე ნაკლები ვარ? შეპირებით კი შემპირდა: ხელობას გასწავლი და შენც სამაგიეროდ ოჯახის საქმეში მომეხმარეო. მე ვასრულებ ჩემს პირობას, მაგრამ პატუხუ? არა, უნდა გავეცალო“.

ლაჯიმ ძროხები მოწველა, რძე სამზადში შეიტანა და სამჭედლოში შევიდა, მაგრამ საქმეს არ შესდგომია.

— დღეს რა ღმერთი გაგიწყრა! — შეუყვირა პატუხუმ.

ლაჯი არ განძრეულა.

— ხელი მოჰკიდე უროს! — კიდევ იყვირა პატუხუმ.

— არ მინდა და არ მოვკიდებ! — თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნაო, გადაჭრით თქვა ლაჯიმ.

პატუხუმ გაკვირვებით შეხედა. სიბრაზისაგან ლამის თვალები გადმოუცვივდა.

— აქედან მივდივარ! — თქვა ლაჯიმ.

— რამ გადაგრია, ბიჭო, ეშმაკმა ხომ არ გაგთვალა. უროს ხელი მოკიდე-მეთქი, გელაპარაკები.

— ძალით ვერ მამუშავებ. მივდივარ!

— სად უნდა წახვიდე, შე გლახაკო? ვის უნდიხარ, შენისთანა უქნარას ვინ შეინახავს. მალე ინანებ და მომაკითხავ, მაგრამ გვიან იქნება.

— მაგასაც ვნახავთ, — უთხრა ლაჯიმ.

— წაეთრიე, თვალით აღარ დამენახო! — ყვიროდა პატუხუ.

ლაჯიმ დაგლეჯილი ქეჩის ქუდი თავზე ჩამოიფხატა და ჭიშკრისაკენ გაემართა.

მხოლოდ ახლა მიხვდა პატუხუ, რომ საქმე ცუდად იყო, ხელიდან ეცლებოდა მუქთა მუშა. შეშფოთებული სამჭედლოდან გამოვარდა და ლაჯის მიაძახა:

— ასე დახეულ-ჩამოგლეჯილი სად მიდიხარ, ვის უნდა მიადგე? ცოტა ხანს დარჩი, დაგხურავ, ჩაგაცმევ და მერე სადაც გინდა წადი.

ლაჯის უკან არც მოუხედავს. ჭიშკარი გაიჯახუნა და გზას გაუდგა.

— ეს რა მომივიდა. ასეთი კაცი ხელიდან როგორ გავუშვი, — ბრაზობდა თავის თავზე პატუხუ.

ლაჯიმ გზაზე გუაგუას მოჰკრა თვალი. გაუხარდა. გამოვემშვიდობებიო, — გაიფიქრა და გუაგუასთან მივიდა.

— ნახვამდის, გუაგუა, — ჩურჩულით უთხრა ლაჯიმ.

— არ იშლი, მიდიხარ? ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — უთხრა გუაგუამ და ვაჟს სახე მოარიდა. ისინი მორცხვად დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ლაჯი ახალი მებატონის — მაჯ-იფა-ლაპაღუს სახლისაკენ გაემართა.

ხუთი წელი მწყემსავდა ლაჯი ლაპაღუს ცხვარს. ხუთი წელი იხეტიალა ტყესა და ღრეში. ვინ მოთვლის, რამდენმა ბატკანმა გაიარა მის ხელში, რამდენი თავი ყველი ამოიყვანა. თვითონაც დავაქაცდა, დამშვენდა, შთის ჰაერმა ლოყები დაუბრაწა.

მაჯ-იფა-ლაპაღუს უამრავი ცხვარი ჰყავდა. სწორედ ასეთებზე ამბობენ: ათასი რომ გაზარდო, ასი ტყეში გაუშვიო.[1] თუმცა მდიდარი იყო, ლაჯისთვის ბებერი თხებისა და კოჭლი ცხვრების მეტი ვერაფერი გაიმეტა.

ლაჯი ხშირად დადიოდა პატუხუს სახლში. ყოველ მისვლაზე მჭედელი ურჩევდა ხოლმე:

— მორეკე შენი ფარა და ტკბილად ვიცხოვროთო.

პატუხუს შრომისმოყვარე ლაჯისთან ერთად მისი საქონლის ხელში ჩაგდებაც ჰქონდა გუნებაში.

ლაჯი ხვდებოდა მის გახზრახვას, მაგრამ არაფერს ამბობდა.

იმ საღამოსაც ბევრი უჩიჩინა პატუხუმ ლაჯის. ჭიშკრამდეც კი მიაცილა და დაპირებებით აავსო, მაგრამ ლაჯიმ არაფერი უპასუხა.

მეორე დილით პატუხუს ყვირილმა არემარე შეძრა. დაფეთებული მეზობლები მჭედელთან მიცვივდნენ.

— რას იზამ, — ამშვიდებდნენ პატუხუს, — არ გაქცეულიყო შენი ქალიშვილი, კარგი იყო, მაგრამ მაგისთვის თავს ხომ ვერ მოიკლავ.

---

[1] ლეგენდის თანახმად, ათასი ცხვრის პატრონი ას ცხვარს ტყეში უშვებდა მთისა და ნადირობის ღმერთისათვის შესაწირად.

— მერე ვის, ვის გაეკიდა, ღარიბს, ღატაკს, ჩემს ნამოჯამაგირალს. ეს ვაპატიო? — არ ცხრებოდა პატუხუ.

უფროს ქალიშვილზე გაჯავრებულმა მამამ ჯოხი უმცროსს მოუქნია. ღონემიხდილი ჯირკზე ჩამოჯდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და ყვირილით სამჭედლოში შევარდა. ურო ძირს დაახეთქა და ღმერთს შეჰღაღადა:

— სამჭედლოს მფარველო ღმერთო! შენ შეაჩვენე ჩემი უღირსი ქალიშვილი. დასაჯე ამ საქციელისათვის. სამაგიეროდ მსხვერპლად საუკეთესო ცხენს შემოგწირავ.

...გაიარა ექვსმა წელმა. ღმერთს არ დაუსჯია გუაგუა. მისი გოგონა და ბიჭი ეზოში დარბოდნენ, ტიკტიკებდნენ. მჭედლის ქალიშვილი ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ ქმარს არასოდეს საყვედურობდა, იცოდა, ეს სიღატაკე ლაჯის ბრალი არ იყო.

ლაჯი დაღლილი დაბრუნდა ყანიდან. არც დაუსვენია, ზურგზე მოიგდო სიმინდით სავსე გუდა და დუქნისაკენ გასწია ნავთზე და საპონზე გადასაცვლელად. ტვირთის ქვეშ მოხრილი ისეთი საცოდავი იყო, რომ გულქვა კაცსაც კი შეებრალებოდა. გაოფლილი პერანგი ტანზე ეკვროდა. დაკონკილი შარვალი მუხლებს ძლივს უფარავდა. შიშველი ფეხები ქვებზე სიარულისაგან დახეთქოდა. ლაჯის სახეზე ტკივილი და სასოწარკვეთილება იხატებოდა.

ტვირთი აივანზე აიტანა, იატაკზე დააგდო და სახელოთი ოფლი მოიწმინდა. გამარჯობის თქმა ვერც კი მოასწრო, რომ იქვე მდგარი მამასახლისი დაინახა. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ელდა ეცა:

„ჭირმა წაგიღოს, აქ რამ მოგიყვანა“, — გაიფიქრა გულში.

— გასაყიდი სიმინდი ხომ გაქვს, გადასახადს კი არ იხდი, არა?!—მოესმა ფერწასულ ლაჯის მამასახლისის ყვირილი. შემდეგ მამასახლისი მედუქნეს მიუბრუნდა და უბრძანა:

— სიმინდი აწონე და ფული მე მომეცი!

მედუქნე მექსუდი იძულებული გახდა მამასახლისის ბრძანებას დამორჩილებოდა. ფულის გადახდას ერჩია ლაჯისათვის სიმინდის საფასურში სურსათი მიეცა, მაგრამ რა ექნა, ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. ის-ის ყო, მექსუდმა გუდას ხელი წაატანა, რომ ლაჯიმ ვეღარ მოითშინა და იყვირა.

—არ გაბედო, ხელი გაუშვი!

— წინააღმდეგობას ბედავ? — იყვირა მამასახლისმა და თანაშემწეს მიუბრუნდა: — მიხა, გააგდე ეს ურჩი აქედან!

ლაჯიმ ჯოხი ჩაბღუჯა, უნდოდა მამასახლისისათვის თავში ჩაერტყა, მაგრამ თვალწინ წარმოუდგა უპატრონოდ დარჩენილი ცოლ-შვილი და ჯოხი იქვე დააგდო.

— აჰა, წაიღე, შხამად შეგერგოს! — ყვიროდა ილაჯგაწყვეტილი ლაჯი.

მამასახლისმა ვერ მოითმინა ასეთი შეურაცხყოფა, ლაჯისკენ წაიწია და მათრახი მოუქნია. ხალხმა ძლივძლივობით შეაკავა. იქვე მდგომმა ა'ილგაზრდამ სამოცდაათი კაპიკი ამოიღო, მიხას გაუწოდა და უთხრა:

— აიღე, ლაჯის მაგიერ ვიხდი.

ამ შემთხვევის შემდეგ გავიდა ორი წელიწადი. ერთხელ ლაჯი სოფლის კანცელარიაში გამოიძახეს და უთხრეს: თორმეტი მანეთი გაქვს გადასახდელი, თუ ერთ კვირაში არ გადაიხდი, ძალით წაგართმევთო.

ლაჯის მუხლები მოეკვეთა. რა უნდა ქნას? ისედაც კუჭს ძლივს ივსებენ, ლამის 'ბიმშილით დაიხოცონ, ახლა კიდევ ეს გადასახადი!

კანცელარიის ეზოში გლეხებს მოეყარათ თავი. მათ სახეზეც სასოწარკვეთილება და უკმაყოფილება იხატებოდა.

— უკანასკნელ ლუკმას გვართმევენ, — მიმართა ლაჯიმ გლეხებს.— სულს გვ'ხდიან. სამართალი აღარ არის? მე და მაფის ერთნაირად რატომ უნდა გვახდევინებდნენ! მაფის ხომ ჩემზე მეტი საქონელი ჰყავს, აღარც ღმერთი სწამთ და აღარც კანონი!

— აბა, რა გითხრა, ჩემო ლაჯი, — თქვა მოხუცმა მაცი. — სხვა შენზე უარეს დღეშია. მართალს ამბობ — ჩვენთვის არ არის სამართალი

— იცით, რა, — ჩაერია საუბარში მესამე გლეხი. — წავიდეთ მამასახლისთან. გაარჩიოს საქმე, მდიდარს და ღარიბს ერთნაირად რატომ ახდევინებენ.

— კარგი აზრია, — დაეთანხმა მაცი. — წავიდეთ.

მივიდნენ მამასახლისთან და სთხოვეს, მოესმინა მათთვის.

— გვიშველე ბატონო, — მიმართა მას მაციმ ყველას მაგივრად. — ნუ დაგვიღუპავ ოჯახს. თქვენ რომ ამდენი გადაგიხადოთ, ჩვენ რითღა ვიცხოვროთ?! თუ მთავრობა მართლა ზრუნავს გაჭირვებულებზე, რატომ გვახდევინებთ ერთნაირად მდიდრებსა და ღარიბებს?

— აა, აჯანყებას აპირებთ? — განრისხდა მამასახლისი. — მე თქვენ გიჩვენებთ! გირჩევთ ახლავე დაიშალოთ და ფული დროზე გადაიხადოთ. თუ კანონს არ დაემორჩილებით, თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ!

დიდხანს იმსჯელეს გლეხებმა, მაგრამ გამოსავალი ვერ იპოვეს. უკმაყოფილები სახლებში გაბრუნდნენ.

გავიდა დათქმული ერთი კვირა. მამასახლისის თანაშემწე და იასაული სოფელს არბევდნენ. მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. მივიდნენ ლაჯისთანაც, მაგრამ წასაღები ვერაფერი იპოვეს. ძროხა და ხბო საძოვარზე იყო გაშვებული, სხვა კი არაფერი გააჩნდა

ლაჯის. რადგან ლაჯის მსგავსი ბევრი აღმოჩნდა, საქმეში მამასახლისი ჩაერია. თავის ქვეშერდომებთან ერთად დაძრწოდა სოფელში და ყველას შიშის ზარს სცემდა.

ვისთან არ იყო ლაჯი, ვის არ სთხოვა — ფული მასესხეთო, მაგრამ თვითონ რა ჰქონდათ, ლაჯისთვის რა უნდა მიეცათ. ბოლოს ძველ მეპატრონესთან მაჯ-იფა-ლაპაღუსთან წავიდა, მაგრამ შინ არ დახვდა. ლაპაღუ გვიან დაბრუნდა.

— ბიშველე, ბატონო, ფული მასესხე. თუ დროზე ვერ გადაგიხადე, ძროხას მოგართმევ, — შეეხვეწა ლაჯი ლაპაღუს.

ლაღაპუმ დახმარება აღუთქვა.

დაღამდა. კოკისპირულად წვიმდა. ლაჯიმ იმ ღამეს იქ დარჩენა გადაწყვიტა. დილით ადრე გაუდგა გზას. შინ მიეჩქარებოდა, მაგრამ მოხუცი მაცის ნახვაც უნდოდა და მასთან შეუხვია. ისევ დაუშვა წვიმამ. გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

ამ დროს ლაჯის სახლში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა. მამასახლისმა თვითონ გაჩხრიკა მთელი სახლი, ხელწამოსაღებს ეძებდა, მაგრამ ამაოდ.

— სად არის შენი ქმარი? — ჰკითხა მან გუაგუას.

— ფულის საშოვნელად წავიდა, ბატონო. ასე თქვა, სანამ არ ვიშოვი, შინ არ დაებრუნდებიო.

— ტყუი! — იყვირა განრისხებულმა მამასახლისმა. შემდეგ ლაჯის ბიჭზე მიუთითა და ბრძანა.— წამოიყვანეთ! გვიჩვენოს საით გარეკეს ძროხა.

გუაგუა შვილს მივარდა, მაგრამ ჩაფრებმა დააკავეს. ბიჭი წინ გაიგდეს და ძროხის მოძებნა უბრძანეს.

მამასახლისი და მისი დამქაშები ცხენებზე ისხდნენ. წინ კი ფეხშიშველა, გაწუწული ბიჭი მიუძღოდათ.

მიუახლოვდნენ მაცის სახლს. მაცი და ლაჯი ბუხრის წინ ისხდნენ და მაჭარს და წაბლს შეექცეოდნენ.

ლაჯიმ სიცივისაგან გალურჯებულ და აკანკალებულ ბიჭს რომ მოჰკრა თვალი, გაოცებისაგან გაქვავდა.

— შენს ძებნაში მთელი სოფელი შემოვიარე, შენ კი ცეცხლს ეფიცხები? — დაუყვირა მამასახლისმა ლაჯის.

მაგრამ ლაჯის აღარაფერი ესმოდა.

— შენ აქ რამ მოგიყვანა? — ჰკითხა შვილს. ბიჭმა ვერაფერი უთხრა და ატირდა.

— მძევლად წამოვიყვანე. — უპასუხა მამასახლისმა, — როცა ფულს გადაიხდი, შვილს დაგიბრუნებ.

ლაჯის თვალთ დაუბნელდა. წამოვარდა და არაადამიანური ხმით დაიყვირა:

— ხედავთ, რას გვიშვრებიან? მე ხომ ვაპირებდი ფულის გადახდას, მაგრამ არ დამაცალეს. ახლა მიყურონ! — შემდეგ ცეცხლმოდებულ შეშას ხელი წამოავლო და მამასახლისს მოუღერა. მაგრამ მაცემ სტაცა ხელი და შეშა ძირს დააგდებინა.

მამასახლისი გახევდა. ყველაფერს ელოდა, მაგრამ ლაჯი თუ მასზე ხელს აღმართავდა, არ ეგონა.

შემდეგ გამოერკვა. რევოლვერი იძრო და ლაჯისაკენ წაიწია, მაგრამ ხალხმა დააკავა.

მამასახლისმა ლაჯის შებოჭვა და ოჩამჩირის ციხეში გაგზავნა ბრძანა, მაგრამ არც ეს დაანებეს.

— ყველაფერს მოვსწრებივართ ამ ქვეყნად, მაგრამ ადამიანის მძევლად წაყვანა პირველად ვნახეთ. მისწერე ოჩამჩირეში ყველაფერი და დაე, იქ განსაჯონ, — უთხრეს მამასახლისს.

მამასახლისმა გაგზავნა ოჩამჩირეში ქაღალდი, მაგრამ, ვინ იცის, შიგ რა ეწერა.

ორი დღის შემდეგ ურიადნიკმა და ჩაფრებმა სოფელი ააოხრეს. ხელშეკრული ლაჯი კი ოჩამჩირის გზას გაუყენეს.

შემდეგ ამბავი მოვიდა — ლაჯი სოხუმის ციხეში ჩასვესო.

ბევრი ცრემლი ღვარა გუაგუამ. ოჯახის სიმძიმე ახლა მას დააწვა.

შვილები ხშირად ეკითხებოდნენ — სად არის ბაბა, როდის მოვაო.

ღმერთმა გაახარა მეზობლები. ისინი რომ არა, შიმშილით დაიხოცებოდნენ.

ყველამ ხელი გაუწოდა გუაგუას, მხოლოდ მამამ არ აპატია ღარიბი კაცის სიყვარული.

რაც გიამბეთ, ნამდვილი ამბავია, ძველად ხშირად ხდებოდა ასეთი რამ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კიდევ ვეწვიე მშობლიურ სოფელს. თვალს ახარებდა ფერდობზე შეფენილი ცხვრის ფარა. „ნამდვილად კოლმეურნეობისაა“, — გავიფიქრე და გავემართე მოხუცი მწყემსისაკენ. ეს ხომ ლაჯია! — შევძახე გახარებულმა, როდესაც მოხუცს მივუახლოვდი. მას მკერდზე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული ვერცხლის მედალი უბრწყინავდა.

1939

ძველო ჟურჟო, ნუ გამედიდურდი!

ჩვენს სოფელს ძველად მთის მდინარე ჩამოუდიოდა. დიდი ხნის წინათ მან კალაპოტი შეიცვალა და მქუხარე ნაკადის ადგილას ახლა ხევი-

ღა დარჩა. მისი ოღრო-ჩოღრო ნაპირებიდან ძლივს მოჩანს ბორცვის იქით მიმალული ძველი წისქვილის სახურავი.

გვიანი შემოდგომის ერთ წვიმიან დღეს წისქვილში გლეხებს მოეყარათ თავი. ზოგი თავის ჯერს ელოდა, ზოგსაც ფქვილით სავსე გუდები იქვე მიეყუდებინათ. ისინი შუაცეცხლს შემოსხდომოდნენ და გამოდარების მოლოდინში დინჯად აბოლებდნენ მაგრად დატენილ ჩიბუხს.

იქვე, საწოლთან, ჩვეულებისამებრ, ეკიდა მეწისქვილე შიაქირის ძველი, დაგლეჯილი ქურქი, ალაგ-ალაგ ბამბის ბღუჯები რომ მოუჩანდა.

უსიამოვნოდ ხრჩოლავდა კვამლი. წისქვილის დოლაბები შეუსვენებლივ ბრუნავდნენ. გუდები ფქვილით ივსებოდა, მაგრამ მომაბეზრებელი წვიმა გადაღებას არ აპირებდა და გლეხებიც შინ ვერ მიდიოდნენ, ისხდნენ და დროის მოსაკლავად მხიარულ ამბებს ჰყვებოდნენ, ზოგს მართალს და ზოგსაც მოგონილს.

— ვინც ტყიდან შეშას მოიტანს, ურიგოდ დავუფქვავ, — მიმართა მეწისქვილე შიაქირმა გლეხებს.

— რას ამბობ, ასეთ ამინდში ძაღლსაც არ გააგდებენ გარეთ! — თქვა ერთ-ერთმა გლეხმა.

— მე მოვიტან! — უთხრა მეწისქვილეს თექვსმეტიოდე წლის გამხდარმა ბიჭმა, აქამდე რომ ჩუმად იჯდა, — ოღონდ, შენი ქურქი მათხოვე.

— რას ამბობ, ხომ არ შეიშალე? ეს ქურქი თავს მირჩევნია. დღისით მაცვია და ღამით საბნად მახურავს. რომ დამისველო, ღამე რაღა დავიხურო?

ყველამ გამჭვარტლულ კედელზე ჩამოკიდებულ ძველ ქურქს შეხედა.

— დიდი საქმე, თუ დასველდა, აღარ გაშრება? — გამოექომაგა ბიჭს მწითური გლეხი. — მე შენ გეტყვი, გახუნდება, ან გაფუჭდება, კიმპალ კიაპაჩის ქურქისა არ იყოს. ქურქზე ზრუნვას ის გირჩევნია, ცეცხლი დაგვინთო და გაგვათბო.

— თუ კაცი ხარ, გვიამბე, რა მოუვიდა კიაპაჩის ქურქს? — სთხოვა ერთმა გლეხმა მწითურს.

მწითურს გაუხარდა, რომ სალაპარაკო გამოუჩნდა.

— როგორ? კიმპალ კიაპაჩისა და მისი ქურქის ამბავი არ იცით? — იკითხა მან და დაიწყო:

„ძველად ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი, სახელად კიმპალ კიაპაჩი. საწყალს ძველი და დაფლეთილი ქურქის მეტი არაფერი ჰქონდა თურმე. მაგრამ რა ქურქი იყო ეს ძველი ქურქი, აღარ იკითხავთ? ქურქი ქურქს გააჩნია...“

— აქაო და ცუდი ამინდიაო, სახლში ვერ წავლენო, მოხსნა გუდას პირი, — თქვა ნაჭრილობევმა გლეხმა.

ყველას გაეცინა.

— დააცადე, მოჰყვეს. საქმე მაინც არაფერი გვაქვს!—გააჩუმეს აქეთ-იქიდან.

მწითურს ესიამოვნა და უფრო მეტი ხალისით განაგრძო:

„ერთხელ მთელი ზამთარი ავად ვიყავი. მამაჩემმა ეკლესიაში წამიყვანა და წმინდა გიორგის აღუთქვა: შვილს თუ გადამირჩენ, ცხვარს დაგიკლავო. იქიდან რომ ვბრუნდებოდით, გზად კიმპალ კიაპაჩის ოჯახში გამოვიარეთ. კიაპაჩი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო და შინ მისი მემკვიდრე, ღიპიანი კიპი, დაგვიხვდა. სახლში რომ შევედით, თვალი მოვკარი კედელზე ჩამოკიდებულ დაგლეჯილ ქურქს. უკან დაბრუნებისას მამას ვკითხე, ის რა ქურქი იყო-მეთქი. და აი, რა მიამბო...“

მწითურმა ცოტა ხანს გააჩერა ენა, წისქვილის დოლაბებს რომ ეჯიბრებოდა ამბების დაფქვაში. წვიმა სულ უფრო ძლიერდებოდა. მთლად გაწუწულმა შიაქირმა ერთი იღლია შეშა შემოიტანა, კართან დაყარა და ცეცხლის გაღვივებას შეუდგა.

— სიმინდი დროზე დააყარეთ. დოლაბები არ გამიფუჭოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი! — უთხრა მან გლეხებს. სველი ყაბალახი მოიხსნა, გაწურა, ისევ შემოიხვია და კვლავ შეშის მოსატანად გავიდა.

სველი შეშა ჯერ უსიამოვნოდ აშიშინდა, შემდეგ კი მხიარულად აგუზგუზდა. მწითურმა გლეხმა ჯოხით ნაცარი გაქექა და დინჯად განაგრძო:

„კიმპალ კიაპაჩი უღარიბესი გლეხი ყოფილა. არც სახლი ჰქონია, არც ცოლ-შვილი ჰყოლია. შრომა არ ჰყვარებია და ლუკმაპურისათვის კარდაკარ დაეხეტებოდა. საიდანაც კერძის სუნი მოუვიდოდა, იქით შეუხვევდა, როცა ვერავის მიუსწრებდა სადილად, მაშინ თავის ერთადერთ პირმოტეხილ ქოთანში ლობიოს მოხარშავდა და შეექცეოდა.

თანასოფლელებს მობეზრდათ მისი რჩენა, მაგრამ რა უნდა ექნათ? კარს ხომ ვერ მიუხურავდნენ?

ერთხელ კიაპაჩმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა. გადაწყვიტა და შეირთო კიდეც. მაგრამ მალე გული აუცრუვდა. კიაპაჩს არ მოეწონა უხასიათო და უენო ცოლი და ისევ კარდაკარ ხეტიალი დაიწყო. ცოლმაც ვერ აიტანა ქმრის მაწანწალობა და მალე მშობლების ოჯახს დაუბრუნდა.

კიაპაჩს ზამთარ-ზაფხულ თავისი დაგლეჯილი ქურქი ეცვა, დახეული ფეხსაცმელებიდან შიშველი თითები მოუჩანდა. ერთი სიტყვით, იმაზე ღარიბი კაცი ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ მოხდა სასწაული და კიმპალ კიაპაჩი გამდიდრდა. რა, არა გჯერათ? მეც არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, მამაჩემს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. ის კი ვიცი, რომ იყო ღარიბი და უეცრად გამდიდრდა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. იქნებ კიმპალმა ოქროთი დატენილი საფულე იპოვა, ან მდიდარმა ბიძამ დაუტოვა მემკვიდრეობა, ან იქნებ რაიმე ცოდვა ჩაიდინა და ფული იშოვა, ვინ იცის!

ასე იყო თუ ისე, სიმდიდრემ გაამედიდურა, გააყოყლოჩინა კიმპალი. გაიბერა და გაიბღინძა, გეგონებოდათ, საცაა გასკდებაო. თავს აღარავის უყადრებდა. დაავიწყდა, როგორ დაეხეტებოდა ლუკმაპურისათვის. მეზობლებს ზედაც აღარ უყურებდა, ღარიბებს არ კადრულობდა, მოიძულა ძველი ქურქი, ასე ერთგულად რომ ემსახურებოდა ზამთარ-ზაფხულ.

ერთხელ გლეხები სოფლის თავშესაყარზე შეგროვდნენ და დინჯად იხილავდნენ სოფლის საჭირბოროტო ამბებს. კიმპალ კიაპაჩიც იქ იყო. ღარიბი მეზობლები თუმცა ადრე ლუკმას უნაწილებდნენ, ახლა გაურბოდნენ, რადგან ყველას დასცინოდა და მასხარად იგდებდა. კიაპაჩისა ეშინოდათ კიდეც, აბა რა ექნათ, მის ხელთ იყო ფული და ძალა. ჰოდა, იმას გიამბობდით, მოვიდა კიაპაჩის კარის მეზობელი ძაძალაც. მუყაითი, მშრომელი, პატიოსანი ძაძალა მეზობლებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ. იგი თავაზიანად მიესალმა თანასოფლელებს. ყველამ თავი დაუკრა, მხოლოდ კიაპაჩმა არ ჩათვალა საჭიროდ სალამზე ეპასუხა. მედიდურად გადახედა მეზობელს და დაცინვით უთხრა:

— რაო, ძაძალა, შენც მოგიწვიეს?

ძაძალა სიბრაზისაგან აენთო, მაგრამ თავი შეიკავა და მშვიდად უპასუხა:

— ეტყობა, არ იცოდნენ, რომ შენი თანხმობა იყო საჭირო.

— ვითომ უშენოდ გაგვიჭირდებოდა საქმის გადაწყვეტა? — განაგრძობდა კიაპაჩი დაცინვას.

ეს კი მეტისმეტი იყო. ძაძალამ თავი ვეღარ შეიკავა და ყველაფერი, რასაც ფიქრობდა, პირში მიახალა.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და მეზობლები ლაზათიანად წაიჩხუბნენ.

— როგორ მიბედავ? — ყვიროდა კიაპაჩი. — შენც კაცი ხარ, რა, ქურქი მაინც გეცვას წესიერი. გადაგფხრეწია ზურგზე.

მთიელისათვის ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა იქნებოდა. ძაძალამ ვეღარ მოითმინა და გაცეცხლებულმა წამოსძახა:

— შე უსინდისო! როგორ შეგიძლია ასე ელაპარაკო კარის მეზობელს, აღარ გახსოვს, რამდენჯერ ამოგივსია კუჭი ჩემს ოჯახში? ჩემი გამონაცვალი შარვალი რომ გეცვა, არც ის გახსოვს? შეიძლება ყველაფერი დაივიწყო, მაგრამ შენი წარსული, ძველი ქურქი? დაგავიწყდა, როგორ დაეხეტებოდი კარდაკარ?

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. როგორც კი ძაძალამ კიაპაჩის ძველი ქურქი ახსენა, ეს მედიდური, გაამაყებული ადამიანი მოლბა, მოტყდა, მის თვალწინ გაიელვა წარსულმა. თითქოს გუშინ იყო, ძაძალას ნახმარ შარვალს რომ სთხოვდა. თითქოს ახლაც ძველი, დაგლეჯილი ქურქი ეცვა. ძაძალას სიტყვები ურისავით სცემდა ყურებში. კიაპაჩს მუცელში ენა ჩაუვარდა.

მართლაც რა უსინდისო ვყოფილვარ, — განა ამის დავიწყება შეიძ-

ლებოდა? — კიაპაჩს არ ასვენებდა ძაძალას სიტყვები და გულში თავის თავს ლანძღავდა.

უხერხულობის გასაფანტავად გლეხებმა სხვა თემაზე დაიწყეს საუბარი“.

მწითური კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ამ დროს მეწისქვილემ ისევ შემოიტანა შეშა და ცეცხლს შეუკეთა. თან ვიღაცას ლანძღავდა.

—ხედავთ, როგორ გამლანძღა იმ მახინჯმა ჩიპამ? აღარ ახსოვს, მოჯამაგირედ რომ იდგა...

— რაო, რა მინდაო? — იკითხა მწითურმა.

— რა ვიცი, რა უნდა. ორი კაპიკი იშოვა და თავს აღარავის უყადრებს. ჩემს კუთვნილ მიწაზე ფიჩხს რატომ აგროვებო. სიძუნწეა, აბა რა არის! ცოფიანი ძაღლივით მეცა.

— ახლა სწორედ მაგნაირ ადამიანზე ვლაპარაკობდით, — თქვა მწითურმა.

— ჰო, ეგეთები მალე იეიწყებენ წარსულს. ბევრი მათგანი წაბლს წააგავს, რომელსაც არ სჯერა, რომ ეკლიანი ბუძგიდან გამოძვრა.

— ბარემ დაამთავრე კიაპაჩის ქურქის ამბავი, — თქვა ერთმა გლეხმა, რომელსაც ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა.

„აბა, რაღა დარჩა მოსაყოლი. კიაპაჩი ჩააფიქრა ძაძალას სიტყვებმა. ზოგს ეგონა, რომ არ შეარჩენდა საქვეყნოდ გალანძღვას და სამაგიეროს გადაუხდიდა. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: როგორც კი კიაპაჩი შინ დაბრუნდა, შეეიდა საკუჭნაოში, გააღო სკივრი და ამოათრია თავისი ძველი ქურქი, შეათვალ-შემოათვალიერა და კედელზე ჩამოკიდა. შემდეგ გარეთ გამოეიდა და ძაძალას სახლისაკენ გასწია. ძაძალა და მისი ცოლი გააოცა კიაპაჩის მისვლამ, იგი გამდიდრების შემდეგ ხომ აღარავისთან დადიოდა.

„ნეტავი რა ეშმაკმა მოიყვანა, რა ნებავს?“ — გაიფიქრა ძაძალამ, მაგრამ როგორც გულღია მასპინძელს შეეფერებოდა, სტუმრის შესაგებებლად გაემართა. თითქოს არაფერი მომხდარაო, კიაპაჩი მიესალმა მეზობელს და ცეცხლს მიუჯდა. ძაძალას ცოლმა შეამჩნია, რომ კაცები რაღაც უცნაურად უყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ როცა ჩვეულებრივი საუბარი გააბეს, მომეჩვენაო, — გაიფიქრა და ოჯახის საქმეს შეუდგა. ღომი ჩაზილა, თეფშებზე ჩამოარიგა და სუფრა გააწყო. ვახშამს ისე შეექცეოდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ბოლოს კიაპაჩი გამოეშვიდობა მასპინძელს. ძაძალა ეზოში გაჰყვა სტუმარს. ცოლს ვერაფერი გაეგო. ასე რამ გამოცვალა კიაპაჩიო, — უკვირდა. არც ძაძალა იყო ნაკლებ გაოცებული.

როცა ჭიშკარს მიუახლოვდნენ, კიაპაჩი მიუბრუნდა ძაძალას, ხელი მეგობრულად გაუწოდა და უთხრა:

. — გმადლობ, ძაძალა, ნულარ გამაცილებ, მადლობელი ვარ ყველაფ-რისათვის. იცოდე, დღეიდან კიაპაჩი სხვა კაცად იქცა. კარგი საქმე მი-ყავი, მეზობელო. მე ისევ ის ძველი კიაპაჩი გავხდები, ზამთარ-ზაფხულ დაგლეჯილი ქურქით რომ დადიოდა.

მათ მეგობრულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და დაშორდნენ.

სახლში მისვლისთანავე კიაპაჩმა აიღო დიდი ჯოხი და ქურქს დასცა-ხო, თან ამბობდა: ძველო ქურქო, ნუ გამედიდურდიო. შემდეგ ჯოხი კუთხეში მიაყუდა და ბრძანა, ხელი არავის ეხლო, არც ქურქისათვის და არც ჯოხისათვის.

ამ დღიდან კიაპაჩის ძველი ქურქი ხელუხლებლად ეკიდა საკუჭნაოში. როგორც კი შეამჩნევდა თავს, რომ სიამაყე შეეპარებოდა, იღებდა ჯოხს, ურტყამდა ქურქს და თან ამბობდა: „ძველო ქურქო, ნუ გამედიდურდი!“

მისი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს ეკიდა ქურქი საკუჭნაოში, აკი გითხარით, ბავშვობაში მეც მინახავს-მეთქი“.

ამით დაამთავრა მწითურმა თხრობა.

ცეცხლი ისევ მხიარულად გიზგიზებდა. დოლაბები ბრუნავდნენ და ბრუნავდნენ. გუდები ფქვილით ივსებოდა. წვიმაც შეწყდა. ეაოიდარა.

1939

მუშნი ჰაშბა

ᲨᲣᲨᲜᲘ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲰᲐᲨᲑᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1903 ᲬᲔᲚᲡ ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲤᲝᲥᲕᲔᲨᲘ. 1927 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ. ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲐᲤᲡᲜᲘ ᲧᲐᲤᲨᲐ“-Ს ᲓᲐ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮᲘ „ᲔᲘᲬᲕᲐᲯᲧᲐᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ. 1970 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ. ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲣᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ 1919 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡᲐ «ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲐ».

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲔᲬᲔᲕᲐ. ᲛᲐᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ, ᲔᲜ�გᲔᲚᲡᲘᲡ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ, Ლ. ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ, ᲰᲔᲛᲘᲜᲒᲣᲔᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲐᲓᲔᲔᲕᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ.

Მ. ᲰᲐᲨᲑᲐᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲛᲐᲥᲘᲗᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ

შიკრიკმა აჩირხას სოფელი კარდაკარ ჩამოიარა და ყველას გამოუცხადა, ხვალისათვის თავყრილობაა დანიშნული, რაიონის ხელმძღვანელები უნდა გვეწვიონ და არავინ დააკლდესო.

მეორე დღეს კვირა იყო და ხალხმა სოფლის საბჭოს წინ დილიდანვე მოიყარა თავი. სამკითხველო მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდებით გაივსო. აშრიალდა ახალი ჟურნალ-გაზეთები, ქალებმა და ვაჟებმა ჯერ მორცხვად დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი, მერე გათამამდნენ, მასლაათი გააბეს. გამრავლდა მარილიანი სიტყვა და სიცილი.

სოფლის საბჭოს წინ ადამისდროინდელი ცაცხვი იდგა, ფართოდ ტოტებგაშლილი. ამ ცაცხვის ქვეშ, ხის ფესვებზე, მოხუცები დამსხდარიყვნენ, ყალიონს აბოლებდნენ და თან ტკბილად მუსაიფობდნენ.

მოხუცებში იჯდა ორმოცდაათ წელს გადაცილებული ტიუბა მაქითათი. მას ლამაზ-ლამაზი ამბების თხრობა უყვარდა და მსმენელიც არასოდეს ელეოდა.

მოხუცმა გირჯინბა ოსმანმა ქამარზე დაკიდებული ოქროსფერი ქისა გახსნა, დაპრილი თამბაქო სამი თითით ამოიღო, ყალიონში ჩატენა და მაქითათის მიუბრუნდა:

— ჰეი, მეზობელო, რა ხანია შენი ამბები აღარ მომისმენია, მოდი ერთი, გაგვამხიარულე.

მაქითათიმ განგებ იუარა, მაგრამ ახლა სხვებმაც სთხოვეს და მოხსნა გუდას პირი.

— ყველა საქმეს თავი აქვს და ყველა ამბავს თავისი დასაწყისი. თუ ამბის დასაწყისი თავიდანვე არ გიამბეთ, ისე მის ბოლოს ვერაფერს გაუგებთ. ახლა ისეთ რამეს მოგიყვებით, რაც ჯერ არავისთვის მითქვამს. ბევრი რამ გადამხდა ცხოვრებაში. უამრავი შეცდომა ჩაშადენინა ჩემმა უთაურობამ, მაგრამ ვაი, რომ მათი გამოსწორება აღარ შემიძლია. მხოლოდ ერთიღა მანუგეშებს: ახალგაზრდებს შეუძლიათ ჩემს შეცდომებზე ისწავლონ. წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო, ნათქვამია. მე ჩემს ამბებს იმიტომ ვყვები, რომ ხრამზე ხიდად გავდო, რათა ცხოვრების გზაზე მიმავალმა ჭაბუკმა სწორედ გაიაროს და ხრამში არ გადაიჩეხოს.

— ჰო, ჰო, ნუ გაჭიმე, დაიწყე ბარემ. ნუ გეშინია, რასაც კარგს გავიგონებთ, შვილიშვილებს გადავცემთ, — უთხრა ოსმანმა და ჩიბუხი კბილებში გაიჩარა. მერე ტალზე აბედი დაადო, კვესი ჩამოჰკრა და ქვას ნაპერწკლები გააყრევინა. აბოლებული აბედით ჩიბუხი გააჩაღა.

მაქითათიმ შუბლი მოისრესა, მცირე ხანს ჩაფიქრდა და დაიწყო:

— ძველად ასეთი კი არ ვიყავი, ახლა რომ ვარ. მთელი ჩვენი მხარის ქალიშვილებს ჩემზე ეჭირათ თვალი. გოგოებს პირველ დანახვისთანავე გულში ვუვარდებოდი, ბიჭებს ჩემი თოფ-იარაღის შურით გული უსკდებოდათ. ჩემს იორღას ბადალი არ ჰყავდა აფხაზეთში. უჩემოდ ქორწილს არავინ იხდიდა და ქელეხს. ხალხი თავადიშვილებში არ მარჩევდა. გალაღებული და გაყოყლოჩინებული არხეინად დავაჭენებდი ცხენს აღმა-დაღმა. ბევრ ქალიშვილს დავუკარგე ჭკუა და მერე მშრალზე დავტოვე. როგორი ლამაზი გოგოც არ უნდა ყოფილიყო, ოღონდ ერთი ენა დამესველებინა, ამაღამ ცოლად გამომყევი-მეთქი, მაშინვე ცხენზე შემომიჯდებოდა და ჰაიდა! მაგრამ აჰ... ამ ამბავმა მეც თან გაღამიყოლა. მაშინ რომ ჭკუა მომეხმარა და ცოლი შემერთო, ქვეყანაზე ასე გაუბედურებული აღარ ვიქნებოდი. თქვენსავით მეც მექნებოდა ოჯახი, მეყოლებოდა ჯალაბი, დავტკბებოდი შვილიშვილების ცქერით. მაგრამ რას ვეწიო ახლა? დროს და მდინარეს უკან ვერავინ დააბრუნებს. ცოლის თხოვა რომ დავაპირე, უკვე აღარავინ მომწონდა. ზოგზე ვაებობდი, ნეხვის სოკოსავით გაზრდილია-მეთქი, ზოგს გვალვის შვილი შევარ-

ქვი, ზოგიც იმიტომ დავიწუნე, რომ მდაბიო გვარისა იყო. თურმე როგორ ვცდებოდი! ჩემს დაწუნებულ ქალიშვილთაგან ერთიც არ დარჩენილა შინაბერად. ყველას გაუჭრა ბედ-იღბალმა, ყველა გათხოვდა თავის შესაფერისზე და ბედნიერი ოჯახი შექმნა. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მაინც სულ მარტოდმარტო დავრჩი.

მაქითათიმ რკინის წვერიანი ჯოხით ისე დაუწყო მიწას ჩხვერა, თითქოს მისი უბედურების მიზეზი ის ყოფილიყოს.

— ნუ გეშინია, მეზობელო, — დააიმედა ჯანგიათმა. — ამბობენ, მალე ხალხი კოლექტივში გაერთიანდებაო, შენც შეხვალ კოლექტივში და მარტო აღარ იქნები არც ყანაში და არც სუფრაზე.

— ჰო, ეგ თუ მიშველის, თორემ მალე ჩემით ღომსაც ვეღარ მოვაცოდვილებ და შიმშილით ამომძვრება სული. ახია ჩემზე. ხომ გაგიგონიათ, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. ახლა რომ მაგონდება, ახალგაზრდობაში რაც ჩავიდინე, ჩემი თავის თვითვე მრცხვენია. აი, აქ თითქმის ყველანი მოხუცები სხედხართ და ალბათ გემახსოვრებათ ჩვენი სოფლის განაპირას მცხოვრები ხაკუც თყუაზბა. ხაკუცი თუ გახსოვთ, ისიც მოიგონეთ, რა ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა. ის ქალიშვილი ახლაც თვალწინ მიდგას. ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ერთი შეხედვა საკმარისი იყო, რომ კაცს შეჰყვარებოდა. გუაფხანაში პირველად მაშინ ვნახე, როცა ქალიშვილობაში შედიოდა. ვნახე და შემიყვარდა.

გუაფხანაშის მამა ერთი ღარიბი კაცი იყო, ალბათ გახსოვთ, უპირდა ქალიშვილის აღზრდა და დედულეთს გააგზავნა, თავის ცოლისძმასთან.

გუაფხანაშის ბიძა ნავსადგურში მუშაობდა მეკურტნედ. თურქეთიდან მოსულ გემებს სცლიდა და ტვირთავდა. მცირე შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ რასაც იშოვიდა, მომჭირნეობდა და თავისი ჯამაგირით არა მარტო არჩენდა დისშვილს, ასწავლიდა კიდეც.

ერთ შემოდგომაზე სოფელ წკუარაში მაყრად დამპატიჟეს, ვხედავ, ის გოგოც იქ არაა! გულში ისეთი ცეცხლი ამენთო, კინაღამ დავინაცრე კაცი. მაშინ საბოლოოდ გადავწყვიტე, ან ამ გოგოს ვითხოვ, ან არავისმეთქი. იმანაც ერთი ისეთნაირად შემომხედა, თითქოს დამიდასტურა ნათქვამი, ნუ გეშინია, მეც შენს ტაფაში ვიწვიო. მეტი რა მინდოდა! იმ დღეს ჩემს სულში სიხარულისა და ბედნიერების ქორწილი გაიმართა. ამბობენ, მხოლოდ ყური გააჩინა ალაჰმა სასმენელადო, მაგრამ, ჩემი ფიქრით, არაფერს არ შეუძლია ისე კარგად მოსმენა, როგორც გულს. გულს ათასი თვალი და ათასი ყური აქვს. ხშირია შემთხვევა, კაცი შენს ახლოს ლაპარაკობს და არ გესმის, მაგრამ შენმა სატრფომ სადღაც შორს რომ წაიჩურჩულოს, მაშინვე გაიგონებ, გაიგონებ გულით და ამის გამო უცნაური ერუანტელი დაგივლის. აი, ასე იყო იმ დღეს. სადაც არ უნდა ყოფილიყო გუაფხანაში, მისი ხმა მესმოდა. გუაფხანაში ფან-

დურის ლარებზე ბროლის თითებს ათამაშებდა და ასე მეგონა, ფანდურის ნაცვლად ხელში ჩემი გული უკავია-მეთქი. მღეროდა გუაფხანაში და ჩემი გული იმეორებდა ამ სიმღერას. ის ხმა ახლაც კი გალობს ჩემს სულში. მართალია, ხანდახან ექიმის დანასავით მჩხვლეტს, მაგრამ ეს ჩხვლეტა ალერსზე მეტად სასიამოვნო მეჩვენება. რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ ქორწილში ჩვენმა გულებმა ერთიმეორეს გასძახ-გამოსძახეს და დიდი იმედით ფრთაშესხმულნი მეცხრე ცაში გაფრინდნენ.

მაგრამ ეს წუთისოფელი განა დიდხანს გაახარებს ვინმეს! ზოგს თავის სისწორე ღუპავს და ზოგს — სიმრუდე. ხომ იცით, ოდითგანვე სოფელი ჭორიანია. ხალხმა ოღონდაც საბაბი იშოვოს და ერთ წვეთს ზღვად აქცევს, ბუზს აქლემად გახდის. ჭორი ჰგავს მთიდან დაგორებულ თოვლის გუნდას, თანდათან რომ იზრდება და ბოლოს ისეთ ზვავად იქცევა, რომელიც ყველაფერს გლეჯს, რაც გზაზე შეხვდება. აი, სამყარო ხომ დიდია, ჭორი იმაზე დიდი ხდება ხოლმე. ხალხმა ჩვენი, მე და გუაფხანაშის სიყვარულიც საჭორაოდ აქცია. გაწელა და გაჭიმა. ზოგი აღაშფოთა კიდეც ამ ამბავმა, დაგვიწყეს გაკილვა და დაძრახვა. სულ ჩვენზე ტუტუნებდნენ, თითქოს სხვა საქმე აღარა ჰქონდათ: „გაიგეთ, რა სისულელეს სჩადის ჰაზარათ ტუიბას შვილი, თურმე თყუაზბა ხაკუცის ქალიშვილს თხოულობს, ცოცხლად მარხავს თავის გვარს. ამ უგვარო და უსახელო კაცის ქალიშვილი რომ არ შეირთოს, ქვეყანაზე კარგი ქალიშვილები გაწყდა?“

ბოროტი ენები ცეცხლს უნთებდნენ ჩემს ბიძაშვილებს, მიმხედრებდნენ და ერთ დღეს მთელმა ჩვენმა ნათესაობამ მამაჩემის ეზოში მოიყარა თავი.

ეზოში აი, ასეთი მაღალი ცაცხვი იდგა, იმ ცაცხვის ქვეშ ჩამომსხდარმა ტუიბებმა პირველად მე და მამაჩემი ახლოსაც არ მიგვიკარეს. მამაჩემი გულმოსული მიუჯდა ბუხარს, წამდაუწუმ ჩიბუხს ტენიდა და განუწყვეტლივ აბოლებდა. დანა რომ დაერტყათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა, თავჩაქინდრულს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. იმ დროს დედაჩემი უკვე აღარ იყო ცოცხალი. მე ტახტზე ვიყავი გაშოტილი, გულზე ხელებდაკრეფილი ვფიქრობდი და ვფიქრობდი გუაფხანაშზე.

ჩვენი ნათესავები დილიდან საღამომდე რაღაცას ჩურჩულებდნენ. მამაჩემი ისევ ჩიბუხს აბოლებდა და ბუხარში აპურჭყებდა. მე კი ამ ხნის განმავლობაში რა არ ვიფიქრე! ხან გადავწყვიტე, ჩემს სატრფოსთან ერთად სადმე უცხო მხარეს გავქცეულიყავ, სადაც არავინ გვიცნობდა, ხან ვინატრე ნეტავი გუაფხანაში ხაკუცის ქალიშვილი არ იყოს, ნეტავი ვინმე მემამულეს მისთვის ქალიშვილი აღსაზრდელად მიებარებინა-მეთქი. ეჰ, მაშინ ხომ ყველა შემაქებდა: კარგი ვაჟკაცი ყოფილხარო. შენა ხარ ჩვენი გვარის ბედნიერი შვილი და ამამაღლებელიო. სადაც არ უნდა გამოვჩენილიყავი ამ დროს, პატივისცემის ნიშნად ხელში

ამიყვანდნენ და ისე მატარებდნენ. ეჰ, ფიქრს რა არ შეუძლია, მაგრამ მისი აშენებული ქვეყანა ხომ ერთ წამში იმსხვრევა ისე, რომ მისგან არაფერი რჩება! ასე დაემართა ჩემს ოცნებასაც.

საღამოზე ნათესავებმა ჩემი ტოლი ჭაბუკი მოგვიგზავნეს. მე და მამაჩემი გვიხმეს: ჩვენი აზრის მოსასმენად ცაცხვქვეშ მობრძანდითო.

მივედით.

— ეჰ, ჩემო ჰაზარათ, ერთი შვილი გყავს და ისიც ვერ გაგიზრდია რიგიანად, — მისვლისთანავე მოგვახალა მოხუცმა მიხამ და გაიმეორა: — ვერ გაგიზრდია, ვერა, რიგიანად.

მერე გვერდით მჯდომს მიუბრუნდა:

— ხუსენ, ჰაზარათს ჩვენი გადაწყვეტილება აუწყე.

ხუსენი, ღმერთმა აცხონოს, სახელგანთქმული კაცი იყო, ლაპარაკიც კარგი იცოდა, ოქროპირს ეძახდნენ. კარგ მსროლელ ჯარისკაცსა ჰგავდა, სიტყვას ყოველთვის ზუსტად არტყამდა მიზანში.

— ჩემო ჰაზარათ, — დაიწყო მან დინჯად, — ეს ხალხი უსაქმური კი არაა, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, საქმე მიგვატოვებინა და შენს ეზოში შეგვყარა, შეგვყარა ავი ამბის განსასჯელად. მთელი დღე ვთათბირობდით, საქმეს ხან ისე და ხან ასე ვწონიდით და საბოლოოდ ყველა ერთ აზრზე დავდექით, ერთი დასკვნა გამოვიტანეთ: შენს შვილს სურს ჩვენი გვარის შერცხვენა.

მამაჩემი გაფითრდა, მე კი გულში ცეცხლის ქარბორბალა დამიტრიალდა, სუნთქვა შემეკრა. ხუსენი კვლავ განაგრძობდა:

— ჩვენ, ძმაო, უბატონო გლეხები ვართ, თავისუფალნი. აქამდე ჩვენი სისხლი არავის აუმღვრევია და თუ ვინმე მოინდომებს ამას, ნებას არ მივცემთ. თუ შენს ვაჟიშვილს ცოლის თხოვნა მოუნდა, ქვეყანაზე განა ჩვენი გვარის შესაფერისი ქალიშვილი ცოტაა? მოიყვანოს და დავლოცავთ. რა გაუჭირდა ისეთი, რომ მაინცდამაინც ყმა-გლეხის და მეკურტნის ოჯახიდან გამოსულ ქალიშვილს გადაეკიდა! ვერა და ვერა, ამის ნებას ვერ მივცემთ!

ხუსენმა კიდევ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ მე აღარაფერი გამიგონია, გვიან მოვედი გონს და მხოლოდ მის ბოლო სიტყვებს მოვკარი ყური:

— თუ შენი ვაჟიშვილი არ დაიშლის და იმ გომბიოს შეირთავს, ჩვენს შორის ხრამი გაჩნდება. როცა მოკვდები, არ მოვალთ სატირლად. ჩვენთაგანი მოკვდება ვინმე და არ მოგიშვებთ მის სატირლად. ამას სხვები კი არა, შენი ღვიძლი ძმები და ბიძაშვილები გეუბნებით. თუ გინდა ჩვენი გვარიდან გაირიყო, დაარღვიე ეს სიტყვა, თუ არადა დაემორჩილე ჩვენს გადაწყვეტილებას.

— ჰო, ასე უნდა იყოს, ასე! — წამოიძახა ყველამ ერთხმად.

მათი ზუზუნი შხამივით ჩამეღვარა გულში. ფეხი დავკარი და ეზოდან გავვარდი.

მეორე დღეს ჭორიკანები ისევ ალაქლაქდნენ. რაც ტუიბებმა ჩვენს ეზოში ილაპარაკეს, ყველაფერი გაბერეს, გადააბრუნ-გადმოაბრუნეს და ისევ მიუტანეს ხაკუცს. ხაკუცი აღუშფოთებია ამ ამბავს, ხოლო მისი ქალიშვილი დარდს მისცემია.

არც მე დამადგა კარგი დღე, ლოგინად ჩავვარდი და ორი კვირა ვიავადმყოფე. როცა მოვრჩი, ვთქვი, გულს გადავაყოლებ-მეთქი, ავიკიდე სიმინდიანი ტომარა და წისქვილში გავეშურე. უკან რომ ვბრუნდებოდი, არანაას მთის ძირში, წყაროს მახლობლად, მოულოდნელად გუაფხანაშს შევხვდი. წყალზე იყო მოსული. რომ დავინახე, ცივმა ოფლმა დამასხა.

— მაქითათი, ეს შენა ხარ? — წაიჩურჩულა მან, თავი მორცხვად ჩაღუნა და კოკა ძირს ჩამოდგა. მერე თავის თითებს დაუწყო მტვრევა და წვალება, დამფრთხალ შველსა ჰგავდა.

დავიბენი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მაშინვე ის გავიფიქრე, ჩვენიანებმა რომ ვინმემ დამლანდოს, დაიღუპება მამაჩემი, ყველა შეიძულებს-მეთქი და მივიხედ-მოვიხედე, ხომ არავინ გვიცქეროდა.

ალაჰმა უწყის, ჩემი ასეთი აფორიაქება არ მოეწონა თუ სხვა რამ, შევატყვე, რაღაც ეწყინა. ერთ ხანს გაშტერდა. მხოლოდ ყელის ძარღვები უთამაშებდა. ალბათ მოზღვავებული ცრემლი ებჯინებოდა სასულეში და ახრჩობდა. ბოლოს თავი დაიოკა, შემომხედა და აცახცახებული ხმით მკითხა:

— მაქითათი, ძალიან შეცვლილხარ, ძლივსღა გიცანი, რამ გადაგასხვაფერა ასე?

ენა ვერ დავძარი. სიტყვა ყელში გამეხირა.

უხერხული დუმილი ისევ მან დაარღვია:

— მე უფრო ვაუკაცი მეგონე. თუ ოდესმე ნამდვილად გიყვარდი და ეს სიყვარული ანთებისთანავე ჩალის ცეცხლივით არ ჩამქრალა, ასე არ უნდა მოგეხარა ქედი. მე მჯერა, რომ არ არსებობს ძალა, რომელმაც ნამდვილი სიყვარულის დამარცხება შეძლოს. შენს ნათესავებს უფლება აქვთ დაგიშალონ მათ გვერდით ცხოვრება, მაგრამ თუ მოინდომებ, შენს ბედნიერებას წინ ვერ გადაეღობებიან. ქალაქში წამომყევი, ერთად ვისწავლოთ და ვიშრომოთ, მე არ მეშინია ცხოვრების. ჩემთან არასოდეს გაგიჭირდება, იცოდე.

ეს სიტყვები ბრძანებას ჰგავდა, მაგრამ მხოლოდ მუდარა იყო, სიყვარულით სავსე წრფელი გულის მუდარა.

წამით გადავწყვიტე, ფეხი დამეკრა და გუაფხანაშთან ერთად ქალაქში გავქცეულიყავი, მაგრამ უმალვე გადავიფიქრე. წარმოვიდგინე, მამაჩემი რა დღეში ჩავარდებოდა და შემეცოდა. მერე გუაფხანაშის მეკურტნე ბიძა მომაგონდა. მომეჩვენა, თითქოს მისი კურტანი ზურგზე მეკიდა და მძიმე ტვირთს ქალაქის ქუჩებში მე ვეზიდებოდი. შევშინდი, შევცბი და იოლ ცხოვრებას ჩვეულმა კაცმა უარი ვთქვი სიყვარულზე,

საკუთარი გულის წინააღმდეგ წავედი. იმ წუთში მე და გუაფხანაში ერთიმეორეს გვერდით ვიდექით, მაგრამ ჩვენ შორის ისეთი მთა იდგა, ვერა და ვერ გადავლახავდი.

— გუაფხანაშ, ჩვენი ბედის ვარსკვლავები სხვადასხვა ადგილზეა ცაში. წადი შენი გზით, ალაჰმა მოგიმართოს ხელი, მე კი ჩემი გზით წავალ. რა ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. — ესა ვთქვი და მისთვის არც შემიხედავს, მოვტრიალდი და ბილიკს გამოვყევი.

— დაფიქრდი კიდევ, დაფიქრდი, შენს საბოლოო პასუხს დაველოდები, — მომესმა გუაფხანაშის ცრემლნარევი ხმა, მაგრამ მე არც პასუხი მიმიცია და არც მივბრუნებულვარ. ვითომდაც არაფერი გამიგონია, ნაბიჯს ავუჩქარე და გავშორდი იქაურობას.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. გუაფხანაში კიდევ დიდხანს არ მივიწყებდა: ხან დობილს დაბარა ჩემთან სიტყვა, ხან წერილი გამომიგზავნა, მაგრამ რაც უფრო მესიყვარულებოდა, მით უფრო და უფრო ცივ პასუხს ვუგზავნიდი. ბოლოს ალბათ გაგულისდა და ჩამომშორდა.

მე კვლავ არხეინად დავაჭენებდი ცხენს აღმა-დაღმა და ჩემი ნათესავების გულის ჭიას ვახარებდი — საცოლედ თავადის ქალიშვილს ვეძებდი. მაგრამ ამაოდ: თავადის ქალიშვილები შორიდან კი მიღიმოდნენ, მიცინოდნენ, მივიდოდი ახლოს და შენც არ მომიკვდე! სათოფეზე არ მიკარებდნენ, გამირბოდნენ, ცოლობა რომ მეთხოვა, ალბათ თავსაც გამიტეხდნენ.

კარგა ხანს ასე ვიხეტიალე და გვიან მოვედი გონს, რომ ამ ხეტიალში ოქროს წლები დავკარგე, ახალგაზრდობა მარტის თოვლივით შემომადნა ხელში. მერე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და გვარებს შორის ზღვარი წაიშალა. გუაფხანაში ბევრჯერ მოვიგონე, მაგრამ რაღა დროს! არც გუაფხანაში ჩანდა სადმე და აღარც მე გახლდით საცოლე ბიჭი. ასე დაეკარგე პირველი სიყვარული და მასთან ერთად ჩემი ბედნიერებაც, აბა!

მსმენელებმა შეატყვეს, მაქითათი აქ აპირებდა თავისი ამბის დამთავრებას და დაუჟინეს, გააგრძელეო.

— რაღა გავაგრძელო, მას შემდეგ გუაფხანაში აღარსად შემხვედრია, — უარზე დადგა მაქითათი.

— აი, ის გვიამბე, დიდგვაროვანსა და მზითვიან საცოლეს რომ ეძებდი. ხომ იცი, არ მოგეშვებით და რას გვახვეწნინებ! მიდი, მოჰყე, დრო მაინც ბევრი გვაქვს, — უთხრა ბაზალამ, რომელიც ამ დროს ცერით ყალიონში თუთუნს ტენიდა.

მაქითათიმ შეატყო, არ მომეშვებიანო და განაგრძო:

— რასაც ახლა გიამბობთ, მოხდა იმის მეორე წელს, ჩვენში დიდი რომ მოთოვა. იმპერიალისტური ომი იყო მაშინ. სისხლის ტბორები იდგა, მე კი სოფელ-სოფელ დავჭენაობდი და მდიდარ საცოლეს ვე-

ძებდი. ბევრი დავიდარაბა გადამხდა, მაგრამ გულს არ ვიტეხდი. წეღანაც გითხარით, ვინც მე მინდოდა, იმას მე არ ვუნდოდი, ვისაც ჩემი ცოლად გახდომა სურდა, მე არ მოვინდომე და გამიჩნდა დარდი. ეჰ, რა ცუდადაა მოწყობილი ეს წუთისოფელი! სიყვარულის საქმე ხომ სულ არეული აქვს ალაპს. ვინ იცის, რამდენს ვეცოდებოდი, რამდენი დარდობდა ჩემზე და მე აინუნშიაც არ ვაგდებდი მათ. ვინ იცის, რამდენის გამო დავიტანჯე, ისინი კი ჩემს ტანჯვას დასცინოდნენ. ვეძებდი ქალს, რომელიც სიყვარულის დიდ ცეცხლს ამინთებდა გულში, მაგრამ ასეთი არავინ ჩანდა. შეიძლება მიზეზი ისიც იყო, რომ ერთხელ ჩემი გული უკვე გადაიხანძრა სიყვარულის ცეცხლით და ხელახლა ვეღარ აინთებოდა. ასე იყო თუ ისე, ჩემი ბედის ვარსკვლავს ვერ მივაგენი.

ერთხელ მეზობლისაგან გავიგე, სოფელ ჟაბნაში ცხოვრობს მდიდარი კაცი აიბა რაშიდი, რომელსაც ერთიმეორეზე უკეთესი სამი ქალიშვილი ჰყავსო. უფროსი გათხოვილია უკვე და ჯერი საშუალოზეა მიმდგარი. ისიც მითხრეს, რომ საშუალო ქალიშვილს ზიზა ერქვა. ეს ზიზა თურმე დიდი ხანია შორიდან მიცნობდა და მოვწონდი კიდეც.

მირჩიეს: ბედი კარზე მოგდგომია და არ გაუშვაო. არიქა, ახლავე შეკაზმე ცხენი და ჰერი, ჟაბნაში გაფრინდიო.

მეორე დილითვე ცხენს მოვახტი და აიბა რაშიდისაკენ გავაჭენე. ქალის სანახავად წინასწარ მოვემზადე. წინა დღით ცხენი საპნით დავბანე, უნაგირს ახალი ტყავი გადავაკარი. სამკერდულის თუ სხვა მოსართავის რკინები და ვერცხლეულის ბალთები სულ ქვიშით გავხეხე. გაუფერავი უზანგებიც არ დავტოვე. არც მე ვიყავი ნაკლებად მორთულ-მოკაზმული: ძვირფასი დიაგონალის შარვალი, აბრეშუმის ახალუხი და თეთრმასრებიანი წითელი ჩოხა მეცვა. წელზე ვერცხლის ბალთებიანი ქამარი მერტყა, ზედ მოსევადებული სათოფისწამლე და მოსევადებული ხანჯალი მეკიდა. ქამარში ისეთი დამბაჩა მქონდა გაჩრილი, ვინც დამინახავდა, შიშისაგან ელეთმელეთი მოსდიოდა. თავზე ბანჯგვლიანი ბოხოხი მეხურა. მხარზე ყაბალახი მქონდა გადაგდებული. ფეხზე უძიროები და ტარსიკონის პაჭიჭები მეცვა. უნაგირზე თასმით ება დაგორგოლავებული ნაბადი. ხელში ისეთი მათრახი მეჭირა, რომ დავატყლაშუნებდი, მისი ხმა ცაში წკრიალებდა. ერთი სიტყვით, თავადიშვილებს არაფრით ჩამოვუვარდებოდი. მათზე მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით არ ვიყავი. მერე რა, რომ გვარიშვილობა და ადგილ-მამული არა მქონდა? ეს ამბავი შუბლზე ხომ არ აწერია კაცს, ვინ რას გაიგებდა?

დაიმედებული მივაჭენებდი ცხენს: ასეთ ვაჟკაცს აიბას ქალიშვილი კი არა, ხელმწიფის ქალიშვილიც ვერ დამიწუნებს-მეთქი.

გლეხები თვალს რომ მომკრავდნენ, მაშინვე განზე დგებოდნენ და მოწიწებით მესალმებოდნენ, ვიღაც დიდებული ვეგონეთ. ნაცნობებიც ვეღარა მცნობდნენ.

შუადღე იყო, ჩემი რაში ჟაბნაში რომ შევაგელვე. მაშინ ასეთი ფართო გზები კი არ იყო. ვიწრო საურმე გზით მივადექი უცნობ კარ-მიდამოს. ვხედავ, ჭიშკრისკენ წყლიდან მომავალი, მხარზე კოკაშედგმული ქალი მიდის, უკან ოთხი-ხუთი წლის ბავშვი თითქმის დედიშობილა მოსდევს და ატამს ჭამს. ჭიშკართან მისულმა ქალმა უკან მოიხედა, ბავშვს დაუძახა, ნაბიჯს მოუჩქარეო. ბავშვი ბაჯბაჯით გაიქცა. ქალმა ჭიშკრის ურდული გასწია, გააღო, პირველად ბავშვი შეუშვა და მერე თვითონ მიჰყვა.

ცხენს მათრახი გადავკარი, ჭიშკართან მივაგდე და ქალს გადავძახე:

— სალამი თქვენდა! — უზანგებზე ავიწიე და მარჯვენა ხელი, რომლის მაჯაზეც მათრახი მეკიდა, მკერდთან მივიტანე.

— იცოცხლე, შენი ჭირიმე! — მიპასუხა მან, კოკა ძირს დადგა და გახედა. ალბათ გაუკვირდა, ამ უცნობ ბატონიშვილს ჩემთან რა უნდაო. მისმა შვილმა ატმის ჭამას თავი დაანება და ისიც გაკვირვებული მომაჩერდა.

— ერთი მითხარით, აიბა რაშიდის სახლი საითაა?

— იმ გორაკზე რომ დიდი კარ-მიდამო მოჩანს, ისაა.

ქალი აიბა რაშიდის სახელის ხსენებას მოერიდა. ალბათ რაშიდის გვარის რძალი იყო. მე მინდოდა მადლობა გადამეხადა, მაგრამ არ დამცალდა.

— ჰეი, უფრთხილდი, კუკუნა, ძაღლი მორბის შენკენ. ძაღლი! — აყვირდა ვიღაც ამ დროს.

ის ქალი, მე რომ მელაპარაკებოდა, უცებ დაფრთხა. კოკა ეზოში მიატოვა, ბავშვს ხელი დასტაცა და სახლში შევარდა.

ვერ გავიგე, რა მოხდა, ადგილზე შემოვტრიალდი და გავიხედ-გამოვიხედე.

ქალები და კაცები ქვების სროლით ვეებერთელა ძაღლს მოსდევდნენ, მაგრამ ვერ ეწეოდნენ. ძალიან რომ დაიღალნენ, შეჩერდნენ. ძაღლმა ისკუპა და სიმინდის ყანაში შეიმალა.

როცა ძაღლმა გვერდზე ჩამირბინა, ჩემი დამბაჩა მხოლოდ მაშინ მოგონდა. ვიფიქრე, ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ეს ქოფაკი მომეკლა, სოფელში შემოსვლისთანავე მამაცის სახელს მოვიხვეჭდი-მეთქი. მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე ფიქრი იყო. მათრახი ერთხელ კიდევ გალავუჭირე ცხენს, შევახურე და, ჰერი, დავაოთხე იქითკენ, საითაც რაშიდის კარ-მიდამო მიმასწავლეს.

გადავჭერი ღელე, შევუყევი ღორღიან ბილიკს, მერე გავივაკე და უკვე მინიშნებულ ადგილზე ვიყავი. მივადექი სახლ-კარს, მაგრამ რა სახლ-კარს! უკეთესს თვალი ვერსად ნახავს ქვეყნიერების ზურგზე. ვეებერთელა სახლის წინ იმხელა ეზო იყო გადაჭიმული, მარულას გამართავდა კაცი. ისეთი ხასხასა ბალახი ბიბინებდა, ლოგინს დათმობდი და ბალახზე დაწვებოდი. სახლიდან ოციოდე საჟენზე იდგა ადამისდროინ-

დელი კაკალი. ზოგს სახლი არა აქვს ისეთი კარგი, იმ ეზოს რომ ჭიშკარი ჰქონდა. ეზოში მოჩანდა: ბოსელი, საჯინიბო, ბეღელი, ნალია და ფარდული.

„ეტყობა, მდიდარი კაცია რაშიდი. მე რომ მაგის სიძე გავხდე, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“, — გავიფიქრე მაშინვე.

დაოთხილი ცხენი ჭიშკართან დავიოკე, აღვირს მოვწიე და ყალყზე შევაყენე, მერე სახლისაკენ გავიხედე.

ორი ქალიშვილი აივანზე იდგა, ორიც სწორედ მაშინ ბოსტნიდან გამოვიდა. სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მზეთუნახავებსა ჰგავდნენ. გამიკვირდა, ამ ველურ მთებსა და კლდეებში ასე ლამაზი ყვავილები როგორ გაიზარდა-მეთქი?!

დიდხანს აღარ დამიყოვნებია, ჭიშკრის ურდული გავწიე, ცხენმა თავისი ჩვეულებისამებრ ქვიქვირით შეაღო იგი და ეზოში შევედით. ამ დროს სახლის კიბის ქვეშიდან უშველებელი წითელი ძაღლი გამობობღდა. დამინახა და ყეფით გამოიქცა.

ბოსტნიდან მომავალმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა ალბათ შორიდან მომკრა თვალი და ჭიშკრის გასაღებად წამოვიდა. მაგრამ დავასწარი ეზოში შესვლა. ერთი კიდევ შევათამაშე რაში და იმ ქალიშვილის წინ შევაჩერე. ცხენმა მაშინვე ფეხი დაასვა მიწას და ქანდაკებას დაემგვანა.

ქალიშვილმა ისე ალერსიანად მომანათა თვალები, მისმა ეშხმა კინაღამ ცხენიდან გადმომაგდო. ვგრძნობდი, სამი დანარჩენი ქალიშვილიც მე მომჩერებოდა. ეს მინდოდა მეც, ვხარობდი ამით, მაგრამ როდი ვიმჩნევდი, აივნისაკენ ერთხელაც არ გამიხედავს, წინ დამდგარ ხატებას ვუცქეროდი. ყეფით გამოქცეულმა ძაღლმა ღრენა-ღრენით ჩემს ცხენს შემოურბინა.

—ტრიზონ, ახლავე გაბრუნდი უკან! — შეუტია პატრონმა და ძირს დაიხარა, თითქოს ქვის აღება უნდაო. ძაღლი მაშინვე განზე გახტა. კუდი ააქიცინა, თვალები ააფახულა, თავი დამნაშავესავით ჩაჰკიდა და კიბის ქვეშ თავის სადგომში შეიძურწა.

— სალამი თქვენდა! — თავი დავუკარი ქალიშვილს და აღვირი თავისუფლად მივუშვი.

— ალაჰმა სალამი და სიკეთე ნუ მოგიშალოს! — მიპასუხა მან.

მეორე ქალიშვილიც მოვიდა. მივესალმეთ ერთმანეთს. გულმა მიგრძნო, რომ ზიზა სწორედ ეს ქალიშვილი იყო.

— სტუმარი ღვთისაა, — მითხრა ზიზამ. — ჩამობრძანდით. იმედია, ცუდად არ გიმასპინძლებთ.

მომიახლოვდა და ის იყო, უზანგი უნდა დაეჭირა, მაგრამ დავასწარი და უმალვე მიწაზე გავჩნდი. გაუკვირდა. ალბათ გაიფიქრა, ასე მალე ცხენიდან როგორ ჩამოხტაო. მერე აღვირს ეცა, ცხენი გვერდზე წაიყვანა და საგანგებოდ ცხენების მისაბმელთან გააჩერა.

ამასობაში აივანზე მყოფი ქალიშვილებიც ჩამომეგებნენ და დიდი სახლის კიბეზე ამიძღვნენ.

— მობრძანდით, მობრძანდით. ჩვენი სახლის კარი სტუმრებისათვის მუდამ ღიაა. მობრძანდით, — მიღიმოდა ერთი, რომელიც ყველაზე უფროსი ჩანდა.

მან მოინდომა, აივანზე პირველს მე შემედგა ფეხი, მაგრამ არც ისეთი უვიცი ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი.

— რას ბრძანებთ! ალაჰმა მასპინძლობა ნუ მოგიშალოთ და, როგორც წესია, შინ ჯერ მასპინძელი უნდა შევიდეს, მერე სტუმარი. მიბრძანდით, მიბრძანდით, — მივუგე წამსვე.

— თუ შინ სტუმარი შევა პირველი, არც ამით დაირღვევა ჩვენი წესი. მასპინძელმა ყოველთვის უნდა სცეს პატივი სტუმარს. თქვენ მიბრძანდით პირველი.

ერთ ხანს ასე ვეპატიჟებოდით ერთიმეორეს, ბოლოს ჩემმა სიტყვამ გასჭრა, მასპინძლები წინ გავუშვი და მე უკან მივყევი.

აივანზე ასვლისთანავე ერთმა მათრახი გამომართვა და შინ შეიტანა, მეორემ სკამები გამოიტანა და იქ დადგა, სადაც ჩრდილი ეფინა.

— დაბრძანდით, — შემეპატიჟა ისევ უფროსი და, აიღო სკამი და ოთაჯირთან გადადგა.

ყველანი ჩამოვსხედით.

მამაკაცები შინ არ იყვნენ. კვირადღეობით აქაურ მამაკაცებს შინ რა გააჩერებდათ! რაშიდს თავისი ავლადიდება სამი ქალიშვილისათვის დაეტოვებინა. მეოთხე ქალიშვილი მისი ბიძაშვილი იყო, ნაზი.

ქალიშვილთა შორის პირველად უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მათმა ტკბილმა საუბარმა მალე გამათამამა და მეც ჩემებურად ამოვიდგი ენა. კარგად მოგეხსენებათ, სიტყვა მიჭრის და წყლიანი ხუმრობაც მემარჯვება, მაგრამ ამ მხრივ არც ის მთიელი ქალიშვილები ჩამომრჩებოდნენ. სიტყვით ისეთი ფარიკაობა გამიმართეს, კინაღამ დამამარცხეს. განსაკუთრებით რაშიდის საშუალო ქალიშვილი ზიზა მახეილსიტყვაობდა, სულ ხანჯალივით ორლესურ სიტყვებს მესროდა. ვფიქრობდი, ამ დალოცვილმა გველის სიბრძნე ხომ არსად შეითვისა-მეთქი. ზიზას ნაზიც ეშველებოდა ხოლმე და სამიოდეჯერ უკანაც დამახევინეს, მაგრამ მერე ერთბაშად ავენთე, სული მოვითქვი და ისე გავბასრდი, კინაღამ ჩხუბი ატყდა.

რაკი წელში გავსწორდი, გიყვარდეს, მე იმათ დღე დავაყენე.

სიტყვით ფარიკაობა რომ მოგვწყინდა, ჩვენ-ჩვენი ამბების მოყოლა დავიწყეთ. უთუოდ გახსოვთ, რუსეთ-იაპონიის ომის დროს აფხაზები ჯარში არ მიჰყავდათ. რუსთა მეფე არ გვენდობოდა. მაგრამ მე და ჩვენს ოჯახში აღზრდილმა ბიჭმა, სილიბეიმ, მოვილაპარაკეთ და ჯარისკაცის აბგები ძალით ავიკიდეთ. ქუთაისში რომ ჩაგვიყვანეს, სალიბეის ჯარის

წესები არ მოეწონა და შინ გაიქცა. მე რვა თვეს მჯიჯგნეს და მაწვალეს, მაგრამ იმის გამო, რომ რუსული არ ვიცოდი თუ ჯარისკაცის გული არ მქონდა, ვერაფერი შემასწავლეს. რაკი დარწმუნდნენ, ამისგან მეომარი არ გამოვაო, თბილისის მახლობლად გადამიყვანეს, მომცეს ხელში ბარი და წერაქვი და მითხრეს, რაკი სხვა რამე არ შეგიძლია, აგერ გზაა გასაკეთებელი და მიწა თხარეო. ვაი, შენს მაქითათის! ამას ველოდი!

ერთ-ორ დღეს კი ვუბლაყუნე წერაქვი, მერე დავკარი ფეხი და გამოვიპარე. იმ ქალიშვილებთან ჩემი ჯარში წასვლის ამბავი მოვყევი, მარა ის კი არ მითქვამს, ჯარისკაცად არ გამოვდექი-მეთქი, პირიქით, იაპონიაში ნაბრძოლ კაცად გავასაღე თავი, შევთხზე ათასი გმირული საქმე, რომელთა მონაწილეც ვითომ მე ვიყავი. ისიც კი ვთქვი: შინ რომ დავბრუნდი, თავადები ყოველდღე სუფრას მიშლიდნენ, როგორც სახელგანთქმულ აფხაზს, და მთხოვდნენ, მათთვის ჩუბინი სროლა მესწავლებინა. ეს რომ დამიჯერეს, ბოლოს ასეთი რამეც დავუმატე: ყაჩაღებმა კაცი გამომიგზავნეს, წამო ჩვენთან და გვიბელადე, სხვა შენგან არაფერი არ გვინდაო, მაგრამ ასეთ ბინძურ საქმეზე როგორ დავეთანხმებოდი-მეთქი. მართალი და ტყუილი სულ ერთმანეთში ავურიე. ისეთი კორიანტელი დავაყენე, პირდაღებულნი მომჩერებოდნენ, ეს ვინ ყოფილაო.

მაგრამ ყველაზე უფრო მაშინ გავაკვირვე, როცა დათვის მოკვლის ამბავი ვუამბე.

— ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია, რომ შენ დათვი მოგეკლას, — შეედავა მაქითათის მის გვერდში მჯდომი მოხუცი კალაში, რომელიც პირგაცვეთილი დანით ჯოხსა თლიდა.

— შეიძლება მეც არ გამიგონია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ამბავი მათ მოვუყევი, თანაც ისე, გაოცებისაგან პირი დააღეს. ჩემი ენაწყლიანობით მოხიბლულები თავს მაწონებდნენ, ერთმანეთს კი უბღვერდნენ, რადგან თითოეულ მათგანს მეორე თავის მეტოქედ მიაჩნდა. რაკი ეს ვიგრძენი, ჩემი გმირობის ამბავი გავაბუქე და გავაბუქე.

— აბა, ერთი ჩვენც მოგვიყევი, შენს გამოგონილ დათვზე როგორ ინადირე, — სთხოვეს მოხუცებმა, რა ენაღვლებოდათ, მაქითათის ენა არ ეღლებოდა და მათ ყურები. ჯერჯერობით საქმეც არაფერი ჰქონდათ. სტუმრები არსად ჩანდნენ.

— ეჰ, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კარგად აღარც მახსოვს როგორ მოვყევი დათვის მოკვლის ამბავი. მაშინ უფრო ენაწყლიანი გახლდით. ტყუილსაც რიგიანად და დამაჯერებლად ვყვებოდი, ახლა კი ასეთი რამეების გამოგონება სადღა შემიძლია! ცხოვრების დაღმართს დავადექი უკვე, — თავი მოისაწყლა მაქითათიმ, მაგრამ მოხუცებმა კვლავ აიძულეს იგი, თხრობა განეგრძო.

— კარგი, იყოს ნება თქვენი. როგორც შევძლებ, ისე გიამბობთ.

ოღონდ არ დამძრახოთ. მაშინ ქალები მისმენდნენ და ნადირობისა რა გაეგებოდათ... ჰოდა, ერთხელ ავიყოლიე სამი ამხანაგი და ტყიან მთაზე სანადიროდ წავედი. ერთი უკან დაბრუნდა, ხოლო სამნი სამი დღე უღრანებში ვნადირობდით. მრავლად დავხოცეთ გარეული ღორი, ტურა, მგელი და ფოცხვერი. ირმებსაც დავაყრევინეთ ბორჩხალა რქები. მეოთხე დღეს ნანადირევის ნაწილი მწყემსებთან დავტოვეთ, ხოლო რასაც მოვერიეთ, ავიკიდეთ და სოფლისაკენ დავეშვით. აფხაზეთში ერთი მთა არის, სამყაროს მფლობელის სახელი ჰქვია. ამ მთის ძირას, სეობაში რომ ჩავედით და წყაროსთან დავისვენეთ, უკვე სამხრობის დრო იყო.

მე მინდოდა მალე წავსულიყავით იქიდან, მაგრამ ერთი ამხანაგი შემედავა:

— შენ, ძმაო, მაგარი მუხლი და ჯან-ღონე გაქვს. ქვეყნის კიდემდე რომ იარო, არ დაიღლები. აბა, ერთი ჩვენცა გვკითხე. ფეხებს ძლივსღა დავათრევთ. დავისვენოთ რიგიანად, მუხლიდან ქარი ამოვუშვათ, ღვთის მოცემული წყალი აქვე გვაქვს, გული გავიგრილოთ და მერე დავადგეთ გზას. სოფელში საღამოზე მაინც ჩავალთო.

მან ნადირის ტყავები წყაროსთან მიყარა, მუჯირა მიაგდო, თოფი ლდეზე მიაყუდა, მოლზე გაიშოტა და ხელები თავქვეშ მუთაქასავით ოიდო.

შევხედე და არ მესიამოვნა მისი დაძაბუნება. მონადირე ასე მალე არ უნდა იღლებოდეს. მეორეს შევხედე და ისიც მოღვენთილიყო. სიმართლე რომ ვთქვა, ეს საცოდავი მონადირენი შემებრალნენ.

— კარგი, დაისვენეთ, რაკი მეტი არ შეგიძლიათ, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, ტვირთი მიწაზე დავაგდე, თოფი ხეზე მივაყუდე და მეც მივწექი.

როგორც მახსოვს, ძალიან ლამაზი ადგილი იყო. რძესავით აქაფებული მდინარე მაღალ კბოდეთა შორის თავაწყვეტილი მოშხუოლა და ტალღებით რიყის ქვებს პირს ულესავდა. კბოდეთა ქით მთის ლამაზი ფერდობი მოჩანდა. ზღაპრულ ხალიჩას ჰგავდა ის ადგილი. მარჯვნივ ათასწლოვანი ფიჭვების უღრანი ტყე მოჩანდა. ისეთი ჩრდილი ეფინა მათ ქვეშ, კაცი რომ ტყეში შესულიყო, იფიქრებდა აქ მარადიული ღამეაო. მარცხნივ საძოვრები ფირუზისა და ზურმუხტისფრად ბრწყინავდნენ. ცხვრის ფარები ღრუბლებივით შეფენოდნენ ფერდობებს, სადღაც სალამური კვნესოდა, სადღაც მწყემსის ძაღლი ყეფდა.

მე მარტო ადამიანის კი არა, ბუნების სილამაზეც მიყვარს. იმ მთებიხ ცქერით გატაცებულს საკუთარი თავიც დამავიწყდა. უცებ თოფის ქუხილმა გამომაფხიზლა.

— გზა გადაუჭერით, გზა, თორემ გაიქცევა! — ავიროდა ვიღაც.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ იქუხა თოფმა.

ვხედავ, იმ ადგილზე, საიდანაც ყვირილი მომესმა, კვამლის ღრუბე-

ლი ავარდა. ძაღლებიც იქით გაიჭრნენ. უცებ წყაროს მახლობლად უცნაური ლაწალუწი გაისმა. ახლა აქეთ მოვიხედე და ოი, საკვირველებავ! ვეებერთელა დათვს საბრალო კრავი პირით უჭირავს და ისეთი ბდღვინვით გამორბის, ლეწავს ყველაფერს. უცებ დათვმა მხარი იცვალა და ჩემკენ გამოეშურა.

ქალიშვილებთან ამას რომ ვყვებოდი, — ჩაურთო მაქათათიმ, — კაჟიანი დამბაჩა ვიძვრე და ისევ ქამარში გავიჩარე, თავი მოვიწონე, შემომხედეთ, რა იარაღის პატრონი ვარ-მეთქი, თითქოს დამბაჩას აქამდე ვერ ამჩნევდნენ.

ჰოდა, ისევ გავაგრძელე თხრობა.

— ვისაც დაჭრილი დათვი არ უნახავს, ძნელად წარმოიდგენს იმ დღეს, რაც გადამხდა. წამოვიდა დათვი ჩემკენ, მარა რა წამოვიდა! თვალები მუგუზლებივით აენთო, ხახა დააღო და ღრიალი მეცხრე ცამდე ააწვდინა... დათვი რაღაც საშინელებას ჰგავდა, მაგრამ დღემდე ვფიქრობ და ვერ მომიგონებია, რას!

მხდალი ადამიანი სიკვდილს რომ თვალებში შეხედავს, მაშინვე წახდება, თავს ბედისწერას მიანდობს, რაც მომივა, მომივაო. გულადი ადამიანი კი, პირიქით, მაშინ უფრო გამამაცდება და სიკვდილს პირისპირ შეებმება, თუნდაც ცარიელი ხელებით. მეც იმ დათვის დანახვისას გამარჯვების იმედი არ დავკარგე. მთელი ჭკუა და ძალა მოვიკრიბე, გავმაგრდი და ისე დავუხვდი. რომ დავბნეულიყავი, ლუკმა-ლუკმა დამგლეჯდა. მაშინდელი თოფი ახლანდელს კი არა ჰგავდა, მის სავაზნეში ხუთი ვაზნა კი არ ჩადიოდა, ლულიდან ვტენიდით შიგ თოფისწამალსა და ტყვიას, ვტენიდით ზუმბით. ერთხელ რომ ისროდი, ნახევარი საათი მაინც უნდოდა, მეორედ რომ გაგეტენა. ერთი კი ვესროლე დათვს, ეგ იყო და ეგ! დაჭრილი დათვი მე ხომ არ მომიცდიდა: აბა, მეორედ გატენე, მე აგერ დავდგები და მესროლეო. ისე ბდღვინავდა, ქვეყანას გადაბრუნებით ემუქრებოდა და მე დამინდობდა? ერთ საჟენზე რომ მომიახლოვდა, უკანა თათებზე დადგა, რათა უფრო მოხერხებულად მცემოდა და ჩემ შესაშინებლად ერთი კიდევ დაიღრიალა.

ამას რომ ვყვებოდი, მახსოვს ქალიშვილებს გადავხედე, აბა ჩემი ნაამბობი რა შთაბეჭდილებას ახდენს-მეთქი. ქალიშვილები სუნთქვაშეკრულნი მისმენდნენ; მოუთმენლად ელოდნენ, კაცისა და მხეცის ჭიდილი რითი დამთავრდებოდა. ეს რომ შევატყვე, ჩვენი ბრძოლის ამბავი უფრო გავაზვიადე. სიტყვებში მეტი ცეცხლი დავანთე, ხმა განგებ ავაკანკალე. ვითომდა ახლაც რომ მაგონდება ის დღე, სიმშვიდე მერღვევამეთქი.

ჰოდა, გადმოხტა თუ არა დათვი ჩემკენ, უმალვე გვერდზე ვისკუპე. დათვმა ვერ მოზომა თავისი ნახტომი, ვარაუდმა უმტყუნა, დაეცა და ფერდობზე დაგორდა. მაგრამ უმალვე წამოხტა და კვლავ ჩემკენ წამო-

ვიდა. უცებ მოკისაზრე, რომ ხერხით ვეღარ მოვატყუებდი. მეტი რა გზა იყო, ერთმანეთს პირისპირ უნდა შევბმოდით.

მორთან გავჩნდი და ცარიელ თოფს ხელი დავავლე. დათვს მოახლოვებისთანავე თოფი და ჩემი მკლავი ერთად ჩავჩარე პირში. ახლა ყბების არც მოკუმვა შეეძლო და არც გაშლა. გაჯმაჯურდა, დაიწყო თავის ქნევა. მაგრამ ვერ შემისუსტა მკლავი. უცებ თათი მომიქნია და წამაქცია, წამაქცია და მომინდომა გათელვა, მაგრამ ვერც ახლა დამაბნია შიშმა. ცალი ხელით ქარქაშიდან ბასრი ხანჯალი ამოვაძვრე და მუცელში დავუტრიალე მხეცს. ერთი კიდევ გაიბრძოლა საწყალმა, წელები გადმოყარა, უკანასკნელად ჩაიბურდღუნა და ფერდობში დაგორდა. სხვათა შორის, ვაკეზე რომ გაჩერდა, ერთი კიდევ გამოიხედა და თათები ისე გამომიშვირა, თითქოს მათხოვარი მოწყალებას მთხოვდა. შემეცოდა, მაგრამ რომ არ მომეკლა, მაშინ ხომ მე ჩავვარდებოდი მის დღეში?

— მსაუსთ აჩბას სასახლის იატაკზე, აი, იმ დათვის ტყავია გაფენილი, — დავუმატე ბოლოს, ჩემს მონათხრობს უფრო დამაჯერებელს გავხდი-მეთქი.

— ის დათვი ხომ შენმა ბიძაშვილმა იაქუფმა მოკლა? სხვისი სახელი რატომ მოიპარე? — შენიშნა მაჰთიმ.

— მე არავის სახელი არ მომიპარავს, სხვისი ამბავი ჩემად გავასაღე, ეგ იყო და ეგ. იმას ხომ არ ვამბობ, ის დათვი ნამდვილად მე მოვკალი-მეთქი? — თავი იმართლა მთხრობელმა. — ასეთი ამბავი ხომ შეიძლება მეც გადამხდენოდა? შეიძლება. მაშასადამე, მოყოლის უფლებაც მქონდა, მაგრამ ჯანდაბას ის დათვი, მე გიამბობთ, რაც შემდეგ მოხდა. თხრობა რომ დავამთავრე, ყველამ ისე შემომხედა, თითქოს მათ წინაშე უბრალო კაცი კი არა, დევი იდგა.

ერთი სიტყვით, იმ ნადირობის ამბის მოყოლით ყველას გული ერთად მოვინადირე. მეტი რაღა მინდოდა. ვხარობდი, საქმე უკვე გაჩარხული მეგონა, მაგრამ როცა კაცს ბედი არა აქვს, ძაღლიც შენ გადაგემტერება და კაციც.

ჩემს მსმენელებს ჯერ კიდევ გაკვირვება ეხატათ სახეზე, როცა რაშიდის კარ-მიდამოს მახლობლად უჩვეულო ხმაური ატყდა.

— რა იყო, რა მოხდა? — შეშფოთდნენ ქალიშვილები და ჭიშკრისკენ გაიქცნენ.

მეც, ჩემდა საუბედუროდ, ცნობისმოყვარე ვარ, ვიფიქრე, გავიგებ, რა ამბავია-მეთქი და მასპინძლებს ავედევნე უკან.

— ჭიშკარი ჩარაზეთ, ცოფიანი ძაღლი მორბის, არ შეუშვათ ეზოში, არ შეუშვათ! — იძახდა ერთი ხელჯოხიანი კაცი.

ვხედავ, ვიღაც კაცი ღობეზე გადმოხტა და ჩვენკენ გამოეშურა. უკან ის ძაღლი მოსდევს, ამ სოფელში შემოსვლისას რომ დაელანდე. მორ-

ბის ძაღლი და ხელჯოხიანი კაცი ყველაფერს ესვრის, რაც კი ხელთ მოხვდება.

სიმართლე გითხრათ, მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა, მაგრამ იმ ოხერტიალ ძაღლს ახლაც ვერ ვივიწყებ, სულ თვალწინ მიდგას.

— ალბათ ძალიან დაგაფრთხო და იმიტომ, — ჩაიცინეს მოხუცებმა.

— გარდასული ამბავია, დასაფიცი რა არის, დამაფრთხო და მეტიც მიქნა, — განაგრძო მაქითათიმ, — კუპრივით შავი იყო, ბანჯგვლიანი. ხარისტოლა იქნებოდა, დრუნჩი დაეღრიჯა, ენა გადმოეგდო, თვალები გადმოეკარკლა.

ერთ ხანს რაშიდის ეზოზე შემოვლებული მაღალი ღობის გასწვრივ ირბინა, მერე ზედ გადმოევლო და ეზოში დაიწყო წრიალი. იმაზე საშინელი ქვეყანაზე არაფერი დამინახავს, არც სიზმრად მომლანდებია, არც ვინმესგან გამიგონია. აი, ახლაც რომ მაგონდება, ასე მგონია, ზურგზე ჭიანჭველები დამესიენ-მეთქი.

— ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი! გვიშველეთ! — აწიაქდნენ რაშიდის ქალები. უფროსი გაიქცა და სახლში შეიმალა. ორი დანარჩენი ერთმანეთს მიეკრა. ნაზი უფრო მამაცი გამოდგა, არ დაიბნა, მაშინვე მე გადმომხედა და დამიყვირა:

— ჰეი, ვაჟკაცო, რას უყურებ! ტყუილა ხომ არ დაათრევ მაგ დამბაჩას, ესროლე მალე, ესროლე!

ნაზის ხმა კი გავიგონე, მაგრამ ვაი იმ გაგონებას. ალბათ მიწის ფერი მედო სახეზე. შეშინებულს გული ამოვარდნაზე მქონდა. სხვისთვის როგორ უნდა მეშველა, როცა თვითონ რაშიდის ქალიშვილებს ვეფარებოდი და ვცახცახებდი!

— ესროლე, ესროლე, რაღას უყურებ, შე ოჩანო! — კვლავ მიყვიროდა ნაზი. ლამის თვითონ გამომტაცა იარაღი.

ეჰ, რაც იქნება, იქნება-მეთქი, გავიფიქრე და ვიძვრე კაჟიანი დამბაჩა, ლულა ცოფიან ძაღლს მივუშვირე. დავხუჭე თვალები და ჩახმახი ცერით ფეხზე შევაყენე.

— გამოჰკარი სასხლეტს ხელი, გამოჰკარი! — ჩამკივის ყურში ნაზი

გავახილე თვალი და რას ვხედავ, ცოფიანი ძაღლი ათიოდე ნაბიჯითაა ჩემგან დაშორებული. ზიზას სადღაც გრძელი ჯოხი უშოვია, წივის და თან ამ ჯოხს იქნევს, რომ ძაღლი ახლოს არ მიუშვას თავის დასთან.

— გაიწიეთ იქით, გაიწიეთ! — დავიყვირე განწირულის ხმით, მინდოდა კი ამაყად დამეყვირა. დამბაჩიანი ხელი ძაღლისაკენ გავიშვირე, თავი გვერდზე მივაბრუნე, თვალები კვლავ დავხუჭე და სასხლეტს სალოკი თითი გამოვკარი. ეს იყო და ეს. დამბაჩამ ერთი კი ჩაახველა „ჩახო“ და გამივარდა ხელიდან. ირგვლივ ისეთი კვამლი დადგა, თვალი რომ გავახილე, ვერაფერი დავინახე. გული მომეცა, შვებით ამოვისუნთქე. მოლზე დაგდებული დამბაჩის აღება მოვინდომე, დავწვდი და იმის-

თანა თქვენს მტერს, მე რომ საქმე დამემართა. იმ ოხერტიალმა, ბებერი კაცივით ხველა და ბათქაბუთქი სწორედ მაშინ ატეხა. მაშინვე გადავაგდე.

საქმე ის იყო, რომ ეს დამბაჩა ხელით იტენებოდა. წინა დღეებში, როცა შიგ თოფისწამალს ვყრიდი, შევნიშნე, რომ ლულა ძალიან გაცვეთილი და გათხელებული ჰქონდა. ჩახმახის ერთი დაცემინების შემდეგ ლულის ახლო ნაწილი უმალვე ცხელდებოდა და თოფის წამალი ნაწილ-ნაწილ ფეთქდებოდა.

— დამბაჩა სკდება, უფრთხილდით, უფრთხილდით! დაწექით, დაწექით ჩქარა! — ვიყვირე კი არა, ვიღრიალე და გავიქეცი. მინდოდა ჭას ამოვფარებოდი და მივუახლოვდი თუ არა, ძირს გავიშოტე. თურმე იმ ადგილზე ბატებისათვის წყალს ასხამდნენ. პატარა ორმოში გუბე იდგა. სწორედ იმ გუბეში ჩავწოლილვარ. დავსველდი და ამოვითათხე. წიწილასავით გაწუწული და გასაცოდავებული რომ დამინახეს რაშიდის ქალიშვილებმა, ეზოში მარტო მიმატოვეს და გაიქცნენ. როგორც იქნა წამოვდექი, მაგრამ ვაი იმ წამოდგომას. მეგონა, აი, აგერ მომხვდება ტყვია და აი აგერ-მეთქი, მადლობა ალაჰს, გადავრჩი!

ხელები ბალახზე შევიწმინდე, ჩოხა-ახალუხი დავიფერთხე, ჩემი შემარცხვენელი დამბაჩა ავიღე, კვლავ ქამარში გავიჩარე და აივანზე ფრთხილად ავედი. თან აქეთ-იქით ვიხედებოდი, ველოდი, ვინმე წყალსა და საპონს გამომიტანს, ხელ-პირს დამაბანინებს-მეთქი. არ მოგეცეს გასაჭირი, არავინ გამომხედა.

ცოტა ხანს აივანზე ბოლთას ვცემდი, მერე ჩამოვჯექი, ბოლოს მოთმინება დავკარგე და კარზე დავაკაკუნე.

— რა გინდა, გმირთა გმირო? — გამომძახა ზიზამ დამცინავად.

ენა ვერ დავძარი, რა უნდა მეპასუხა?

უცებ კარი ღრიჭოდ გაიღო და უმალვე დაიხურა, ჩემ წინ, ფეხებთან რაღაცამ ბრახანი მოადინა. დავიხედე, ჩემი მათრახი იყო, ვიღაცამ გადმომიგდო.

აი, ეს იყო იმათი საბოლოო პასუხი. გულჩამწყდარმა ავიღე მათრახი, ბანდალ-ბანდალით ჩამოვედი, ცხენთან მივედი, მოსართაველი მოვუჭირე, მოეახტი და უკანასკნელად შევხედე იმ მდიდარი სახლის აივანს. მხოლოდ შავი კატა იჯდა მოაჯირზე და პირს ილოკავდა. ეს იყო და ეს.

კაცს, როცა ბედი არა გაქვს, კატაც არაფრად ჩაგაგდებს, ასეა ძმაო, ასე.

— მშვიდობით! — მივაძახე ფისუნიას და ცხენი ჭიშკრისკენ შემოვაბრუნე.

კატამ ირიბად გამომხედა, თვალები ააფახულა და ულვაშები აათამაშა.

რაშიდის კარ-მიდამოს ასიოდე საჟენით რომ გამოვცილდი, გულმა

არ მომითმინა და ერთხელ კიდევ გავიხედე. უზანგეპზე შემდგარმა ოთხივე ქალიშვილს მოვკარი თვალი. აივანზე იდგნენ. ჩემკენ იხედებოდნენ და იცინოდნენ. არა, მათი სიცილის ხმა არ გამიგონია, ვიგრძენი.

„ეჰ, რატომ არ დაიქცა ეს დღე?“—ვინატრე მაშინ, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღას ვუშველიდი. რაც მოსახდენი იყო, მოხდა, მორჩა და გათავდა.

იმ დღის შემდეგ ჩემს სახლსა და სოფელში ჩავიკეტე. აღარსად დავდიოდი, საცოლე აღარ მიძებნია, კიკოსავით ამიტომაც დავრჩი.

მაქითათიმ სიტყვა დაამთავრა და თავი ჩაქინდრა.

— ეჰ, ჩემო მეზობელო, შენ მაგ ამბებს ხუმრობით ყვები, მაგრამ კაცი რომ დაუკვირდეს, სატირალია. საცოდავი ხარ, საცოდავი, — უთხრა თავჩაქინდრულ კაცს მოხუცმა ზურაბმა.

ყველა რაღაცამ დააფიქრა. ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, ფხიზელი ყურის პატრონი იმასაც გაიგონებდა, ხის ჭია ბებერი ცაცხვის ქერქს რომ ღრღნიდა.

ეს სიჩუმე მალე მანქანის გუგუნმა დაარღვია.

— მოდიან, მოდიან! — დაიძახეს ვიღაცეებმა და შეკრებილი ხალხი ახმაურდა.

მაქითათიმ თავი აიღო და გორაკზე ამომავალი მსუბუქი მანქანა დაინახა. მოგუგუნებდა იგი და მტვრის კუდს ტოვებდა.

მანქანა სასოფლო საბჭოს შენობის წინ გაჩერდა. ხალხი სტუმრებს მიეგება. მანქანიდან ორი კაცი და ერთი ქალი გადმოვიდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

— სალამი!

— იცოცხლეთ, გაიხარეთ!

ტანმაღალი ქალი გულითადი ღიმილით ესალმებოდა ყველას და მოწიწებით უკრავდა თავს. მაქითათიმ შეხედა, თითქოს ეცნო, მაგრამ ვერ გაიხსენა უცებ, სად და როდის ენახა იგი.

სტუმრები თავმჯდომარესთან შევიდნენ. ხალხი უკვე მოგროვილიყო და კრების დაწყება გადაწყვიტეს.

რაკი სიცხე ყველაფერს წვავდა, მოილაპარაკეს, მაგიდა ცაცხვის ქვეშ დავდგათ და ხალხსაც იქვე შევუყაროთ თავიო. ცოტა ხნის შემდეგ ყველა იქ მოგროვდა.

კრება სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა.

დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: სოფელ აჩირხაში საკოლმეურნეო არტელის ჩამოყალიბება.

ამ საკითხზე რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ილაპარაკა.

თავისი სიტყვის დასასრულს მან აღნიშნა, რომ ხალხი იწყებს კოლექტიურ შრომას. ეს არის ახალი ცხოვრების დასაწყისი, ისეთი ცხოვ-

რების, რომელზეც ჩვენი მამა-პაპანი მთელი სიცოცხლე ოცნებობდნენ. თქვენთვის ჯერჯერობით, ალბათ, მრავალი რამ გაურკვეველია. თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საკოლმეურნეო არტელი, ამის თაობაზე სოხუმიდან ჩამოსული ამხანაგი გელაპარაკებათ.

მან გვერდით მდგომ ტანმაღალ ქალზე მიათითა.

— ილაპარაკოს, ილაპარაკოს, — დაიძახა ხალხმა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მაქითათი იმას ფიქრობდა, ეს ლამაზი ქალი ნეტავ სად მინახავსო.

„სიბერე რომ მომეძალა, ალბათ მახსოვრობამ მიმტყუნა და ეს იმის ბრალიაო“, — დაასკვნა მან ბოლოს.

— სიტყვა ეძლევა სახელგანთქმულ აგრონომს თყუაზბა გუაფხანაშს, — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

ხალხმა ტაში დაუკრა.

მხოლოდ მაქითათის გაუხევდა ხელები. გაკვირვებისაგან პირი დააღო და კარგა ხანს ასევე პირღია დარჩა.

რაც საკუთარი ყურებით გაიგონა, არა სჯეროდა, მაგრამ მისდა სავალალოდ, ეს სიმართლე იყო.

1955

ივანე პაპასქირი

ივანე გიორგის ძე პაპასქირი დაიბადა 1902 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. 1924 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1928—29 წლებში სწავლობდა ლენინგრადის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „აფსნი უაფშიბ-ს რედაქციაში, 1943 წლიდან 1950 წლამდე იყო აფხაზეთის წიგნის გამომცემლობის დირექტორი. 50-იანი წლებიდან ეწევა შემოქმედებით მოღვაწეობას. მწერალს განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოუპოვა რომანმა „თემირი", რასაც შემდეგ მოუვა რიგი მხატვრული ნაწარმოებებისა: „კარვალური თოფი", „თეკლა", „მხიარული დღეები" და სხვ.

ი. პაპასქირის შემოქმედებაში ასახულია აფხაზი ხალხის რევოლუციამდელი ყოფის მძიმე პირობები და რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში გაშლილი სოციალისტური აშენებლობის მჩქეფარე ცხოვრება.

თ ე მ ი რ ი

(ნაწყვეტები რომანიდან)

მამლის პირველი ყივილი რომ გაიგონა, აჰმათმა იფიქრა, უკვე გათენებულაო, და ლოგინზე წამოჯდა. ჩაიცვა ტანისამოსი, სასთუმალთან რომ ეწყო დახვეული, და კარი გააღო. აღმოსავლეთით ის იყო ცისკარი ნათდებოდა. აჰმათმა პირჯვარი გადაიწერა და გარეთ გავიდა.

— ძაღლსაც შეუჭამიხარ! გაგიოხრებია ჩემი ნაამაგარი! — გულნატკენად წამოიძახა აჰმათმა; ცოტა კიდევ გაიარა და დაინახა თავისი აღელვების მიზეზი: კამეჩი გამძღარიყო, ხის ქვეშ იწვა და არხეინად

იცოხნებოდა. პატრონი რომ დაინახა, ცოხნას თავი დაანება, ყურები ცქვიტა, წამოდგა და დინჯად წავიდა სახლისაკენ.

აჰმათი დაედევნა ჯოხის ქნევით.

— დამაქციე! ძაღლმა კი შეგეპამოს...

კამეჩი ისმენდა პატრონის მრისხანე ხმას და ძუნძულით გარბოდა, მიამტვრევდა შემოსულ სიმინდებს. როცა სიმინდის ყანიდან გავიდა, დინჯად, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ცოხნით მივიდა თხმელის იმ ჯირკვთან, რომელზედაც წინათ იყო დაბმული, და შუბლიც კი ჰკრა მას: ხედავ პატრონო, მე ჩემი ადგილი ვიციო.

— დამაცა! ისე დაგაბამ, რომ მკვდრების სულებმაც[1] ვერ აგხსნან. —თოკის ნაწყვეტები მაგრა გადააბა ერთმანეთზე და კამეჩი ხელახლა დაბა...

— წევხარ, ბარა?[2] მეხმა კი ჩაგიტანოს! — წაიბუზღუნა აჰმათმა, — ადექი, რძე აიკრება.

სელმამ უსაყვედურა:

— რა მოგსვლია, ასე ადრიანად რად მაღვიძებ?

— რა მომსვლია! კამეჩს ჰკითხე, ის გეტყვის! — გაჯავრებით უპასუხა აჰმათმა. — დაბმულს ამოვხდი სულს იმ წყეულს...

აჰმათმა აიღო მსხვილი თოკი და გავიდა ეზოდან.

უკმაყოფილომ, რომ აჰმათმა ასე ადრიანად მოწველა ძროხები, სელმამ ტანთ ჩაიცვა, გავიდა ამაწურთაში[3], ცეცხლს ფიჩხი შეუკეთა.

ქალი გავარდა ამაწურთიდან და ერთი წუთის შემდეგ მინდორში იყო. ვაი! სიმინდი შეპმული იყო. ზოგან — გათელილი. შაზინამ შუბლი შეიკრა და წაქცეულ სიმინდს ფეხზე დაყენება დაუწყო.

როცა სამუშაო უკვე გათავებული იყო, შაზინა დაბრუნდა შინ და საუზმე მოამზადა. შევიდა დაღლილი, დაღონებული აჰმათი, მისი ფიქრი ისევ იმ მოუსვენარ ფურკამეჩთან იყო.

— რა უყოს კაცმა! მოკვდეს მაინც! — ბურტყუნებდა აჰმათი.

ცოლმა პასუხად ჩაილაპარაკა:

— კამეჩი ცხოველია. არაფერი გაეგება! ისევ შენი ბრალია. ცოფიანი ძაღლივით გიყ ცხოველს ვინ აბამს კანაფით? ახია შენზე!

გაჩუმდნენ. ისმოდა რაკუნი ჭურჭლისა, რომელსაც შაზინა აიშაზე[4] აწყობდა. ცოტათი რომ დაწყნარდა, აჰმათმა უფრო მშვიდი კილოთი თქვა:

---

[1] აფხაზური თქმა, ასეთი ქართულისმაგვარი — ეშმაკმაც.

[2] აფხაზი ცოლს სახელით არ მიმართავს, არამედ სიტყვით — ბარა, ე. ი. შენ.

[3] ამაწურთა — აფხაზური სახლის ნაწილი, საოჯახო, ოჯახის სამყოფელო, სამზარეულოსმაგვარი.

[4] აიშა — გრძელი ეიწრო მაგიდა, ტაბლასმაგვარი.

— რამდენ ზარალს გვაძლევს ეგ კამეჩი. ჩვენ კი მაინც შევხარით! მაგრამ ნუ გეშინიათ, ზაქს მოიგებს და ყველაფერს დაგვაიწყებს.

— მართალია, მაგრამ ზარალსაც დიდს გვაყენებს.

შაზინამ მამას შეხედა.

— სიმინდში გასვლა რომ არ იცოდეს, რა კარგი იქნებოდა, არა, მამი?— შაზინამ სუფრა იქით გადადგა, აიღო ლიტრა, ხამი ტილოს პირსახოცი მხარზე გადაიკიდა და მივიდა მამასთან. მაჟამ ყურადღებითა და სიყვარულით შეათვალიერა შვილი.

— დად, შაზინა! — უთხრა მან. — რიგიანი ტანისამოსი არა გვაქვს, მინდა ცოტა უკეთესად ჩავაცვა, მაგრამ ფული რომ არა მაქვს?! კადრს ვთხოვოთ სესხად?

— კადრი სარგებელს იღებს, უარა! [1] — ამოიოხრა სელმამ. — ტყავს გაგვაძრობს.

...აჰმათის სახლი მაღლობზე იდგა, ბუჩქნარსა და გვიმრნარში. სახლს ორივე მხარეზე ღელეები ჩაუდიოდა.

აჰმათი ხილზე უარს არავის ეუბნებოდა და ხალხიც ურცხვად სარგებლობდა მისი სტუმართმოყვარეობით.

აჰმათს თუმცა ბევრი ხეხილი ედგა, მაგრამ ყოველ გაზაფხულზე მაინც მიდიოდა ტყეში და კეთილშობილი ხეხილის ტოტებს ამყნობდა ხოლმე სულ ახალ და ახალ პანტასა და მაჟალოზე.

რად გინდა მაგდენიო, რომ ჰკითხავდნენ, მოხუცი პასუხად თავს იქნევდა.

— რა დიდი შრომა უნდა ხეხილის მყნობას? ხარჯი არაფერი მაქვს. ვინც მოესწრება, ის ისიამოვნებს.

— გიჟი აჰმათი! — იცინოდნენ სტუმრები, — ალბათ ფიქრობს, ქვეყანას ამოვჟამო!

ასე ცხოვრობდა აჰმათი არც მდიდრულად და არც ღარიბულად.

...შაზინა გახარებული დაწვა დასაძინებლად — უკვე ხედავდა, ვითომც ახალი კაბა ეცვა.

შინ შაზინა მაშინვე შეუდგა კერვას და სამი დღის შემდეგ გამოეწყო ლამაზ კაბაში. ახალი კაბის პირველად ჩაცმის მეორე დღეს, შაზინა და მისი დედა ავადმყოფ მეზობელი დედაკაცის სანახავად წავიდნენ. შინ რომ დაბრუნდნენ, შაზინა თავის ოთახში სარკესთან დადგა, ფრთხილად გაისწორა კაბა მხრებზე, თმები დაიშალა და ამ დროს დაინახა სარკის ჩარჩოში ჩარჭობილი კონვერტი. კონვერტი დაბეჭდილი იყო. ზედ ეწერა: „შაზინას“. შაზინამ კონვერტი ამოიღო და წაიკითხა:

---

[1] უარა — შენ (მამრობითი) — ცოლი ასე მიმართავს ქმარს.

„შაზინა!

აქამდე არ მითქვამს შენთვის ჩემი გულისნადები, მაგრამ მაწუხებს და მით დამალვა მეტი აღარ შემიძლია. შენი სიყვარული სისხლში გამიჯდა, ჩემს მტანჯველად იქცა და მწუხარება გამიძლიერა. მიყვარხარ! მინდა შეგხვდე ისეთ ადგილას, სადაც ვერავინ დაგვინახავს. გთხოვ „არა“ არ მითხრა.

ნახვამდის. თემირ.“

წერილმა შაზინა ძალიან გააკვირვა. დიდხანს იყო გარინდებული. თავისი ახალი კაბაც დაავიწყდა. თმებიც კი არ აიკრიფა. ვის შეეძლო წერილის მოტანა და სარკეში ჩადება?

შაზინა სიხარულით იღიმებოდა. ერთხელ კიდევ წაიკითხა წერილი.

— ნეტავი თვითონ ის მაჩვენა! — წაილაპარაკა თავისთვის, თან სარკეში იცქირებოდა.

კარებში სელმა გამოჩნდა.

„რას მიჭირავს ყველას დასანახავად!“ — გაიფიქრა შეშინებულმა შაზინამ და წერილი უბეში დამალა.

შაზინამ წერა-კითხვა იცოდა. როცა პატარა იყო, სამ წელიწადს დადიოდა სკოლაში. ერთხელ დედა ავად გაუხდა. შაზინა შინ დარჩა. სელმა მორჩა, მაგრამ შვილი აღარ გაუშვა სკოლაში: გოგოს რად უნდა სწავლა! რაც ისწავლა ისიც ეყოფა.

შაზინა წუხდა, ტიროდა, მაგრამ ურჩობა ვერ გაბედა.

თემირი ცხოვრობდა სოფელ ალაშარაში. შაზინაც აქვე ცხოვრობდა, მაგრამ სხვა უბანში. შაზინა იმავ სკოლაში დადიოდა, რომელშიც თემირი სწავლობდა. მაშინ ორივენი პატარები იყვნენ, ერთ მერხზე ისხდნენ და ერთად კითხულობდნენ ერთ წიგნს.

გოგო და ბიჭი წამოიზარდნენ, მაგრამ მათი მეგობრობა უცვლელი დარჩა. ასე გაიზარდნენ, ერთმანეთს შეჩვეულები, თუმცა ამაზე ერთურთს არაფერს ეუბნებოდნენ. მოზარდებს რცხვენიათ თავიანთ გრძნობებზე ფიქრისა, მაგრამ თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, რასაც გრძნობს მეორე.

ტოლებსაც უყვარდა თემირი. როცა წარმოსადეგი ტანი აიყარა, თემირი კარგი გახდა. ნაცრისფერ ჩოხას იცვამდა. შაზინა თავს ხრიდა, როცა შეხვდებოდა ხოლმე იმას, ვისთანაც დიდი ხანი არ არის, რაც ერთ მერხზე იჯდა.

თემირი ძალიან ღარიბი იყო. მისი მეურნეობა დიდი ხანია გაპარტახდა. ჩალით დახურული მისი ტყუშური ამპარა[1] გვერდზე გადახრილიყო.

[1] ამპარა — ქოხი ახლადდაქორწინებულთათვის.

ყველაფერ ამას ხედავდა შაზინა და წუხდა თავისი ყრმობის მეგობრისათვის. სოფლელებიც უფიქრდებოდნენ თემირის ცხოვრებას. ამ სახლს ალბათ პატრონი მოჰკვდომიაო, იტყოდა, ვინც ეზოში არ შევიდოდა. მაგრამ გარეგნულად უსიამოვნო სახლში ყველაფერი სუფთა იყო, თავ-თავის ალაგას. კედლები მორთული იყო ძველი გაცვეთილი ხალიჩებით. სახლში შესული, ყველა იტყოდა, ახალგაზრდა პატრონი ძალღონით სავსე ყოფილა, მაგრამ რაღაც უბედურება ხელს უშლის ხელი მიჰყოს თავის მეურნეობას, რაღაც აწუხებსო.

მაგრამ, რა? ამას ვერავინ მიმხვდარიყო....

...საღამო ხანი იყო.

თუმცა უკვე რამდენიმე დრო გავიდა, რაც თემირმა მიხურა კარი უკანასკნელი მომსვლელის შემდეგ და აღარც არავის ელოდა, მაგრამ მაინც იჯდა მაგიდასთან. ყველაფერი, რაც ხვალ უნდა გაეკეთებინა, უკვე მოფიქრებული ჰქონდა. გარეთ გავიდა, კარი დაკეტა და აივანზე გაჩერდა. მხრით მიეყრდნო შეუღებავ, ჭრიალა ბოძს.

სოფლის საბჭოს ეზოში ერთი კაციც აღარ იყო. აღარ ისმოდა ახალგაზრდების ხმაური, აღარ იყვნენ ოხუნჯი მოხუცები, ხმამაღლა რომ ლაპარაკობდნენ და თავიანთი ცხოვრების გამოცდილებას მოგონილი ამბებით ამკობდნენ.

კადოზე ჭილყვავები ისხდნენ. თემირს მარტობა აწუხებდა. ისე ეგონა, თითქოს ვიღაც წასჩურჩულებდა ყურში:

„სამუშაო დღე გათავდა ყველასათვის. შენთვისაც გათავებულია. შენც წადი შენს ქოხში“.“

თემირმა ხელი ჩაიქნია, თითქოს მართლაც ჩასჩურჩულებდა ვიღაც, აივნის უკან მდგომი. ჩავიდა ეზოში. გაჰყვა ღობეს, რომელსაც ძირში ქობასავით შემოვლებოდა გაუთქერავი ბალახი.

„თუ შენ ადამიანო, მოგეცა პარტიის წევრობის კანდიდატის წოდება, უნდა იცოდე, რა უნდა ქნა ხალხში და შინაც“.

შარაზე გავიდა და შურით შეხედა ცხენოსანს, რომელმაც გვერდით ჩაუქროლა. ამ კაცს გზა მოკლე აქვს. რა კარგი იქნებოდა თემირსაც თავის წინ დაენახა ასეთივე მოკლე გზა მომავლისკენ!

ჩიხისაკენ მიმავალი თემირი გზადაგზა იცქირებოდა მზის ვარდისფერი სხივებით განათებულ ეზოებში. მაგრამ არა ეს სიმშვიდის მომგვრელი შუქი იპყრობდა თემირის ყურადღებას.

თემირი სინჯავდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს ერთპიროვნული გლეხების ეზოებში: დაგრეხილ და სუსტ კავებს, შინნაკეთებ სანიავებლებს, რომლებსაც ბრტყელი საცერი ყუთები ჰქონდათ; თოხებს,

რომლებიც მოხუცებულების ყავარჯნების გვერდით აყუდებულიყვნენ კარებთან, თითქოს უცდიდნენ ძარღვიან ხელებს.

რა ძველი იარაღებია! ისინი ადამიანს აგონებენ ქვებს, რომლებიც პირველ საფეხურებად ელაგა სახლების კარებთან. თითქოს ეს თოხები, ეს სანიავებლები, პატარა გუთნებიც, კავებიც, თვითონ ბუნებას ეჩუქებინოს ადამიანისათვის, რომელსაც უკეთესის გამოგონების შნო არა აქვს.

მაგრამ ეს ხომ მართალი არ არის!..

თემირს სისხლი მოაწვა სახეზე.

„მოიცა ხალხო, მოიცა! საერთო მეურნეობა გვექნება და შეძლებულ ცხოვრებას ვეღირსებით. კარგი გუთნები გვექნება, იქნებ ტრაქტორებიც გვექნეს. ჩვენი სურვილები უფრო გაბედული იქნება, აზრები — ამაყი“.

ჩიხა შინ იყო. თემირმა ჩამოართვა ხელი და ხუმრობის კილოთი უთხრა:

— გეტყობა, ძმაო, მოსალოცი გაქვს!

— რა მაქვს მოსალოცი?

სამი პატარა ბიჭი შემკრთალი ცნობისმოყვარეობით იჭყიტებოდა კერიის იქიდან.

— კი, — უპასუხა ჩიხამ, — ჩემი სიმდიდრეა, ჩემი სიცოცხლე.

— სიცოცხლეს გაგრძელება უნდა და რამდენადაც შეიძლება უკეთესად!

— ჩემი შვილების მომავალზე ლაპარაკობ, თემირ?

— სწორედ მაგაზე, ძმაო!

ჩიხამ მხრები აიჩეჩა:

— ვიბრძოლებ, რადაც უნდა დამიჯდეს.

— ბრძოლა, რასაკვირველია, საჭიროა. მაგრამ ადამიანმა მარტო კი არ უნდა იბრძოლოს, არამედ მეგობრებთან ერთად, ვინც დაეხმარება. — თემირმა ღიმილით გადახედა გაბმულას, რომელშიც შიხას ცოლი ჩვილს არწევდა, — ამ ადამიანსაც კარგი საკვები უნდა, პური, რომელსაც შენ მოიწევ არა დაგრეხილი კავით, არამედ დიდი, კარგი გუთნით. ხომ მართალია?

— ეს პატარაც, რასაკვირველია, ელის თავის მამისგან პურს, — მორჩილი ღიმილით უპასუხა მასპინძელმა, — მაგრამ ჯერ არ ვიცით, როგორი ბიჭი დადგება, ენაცვალოს ჩემი თავი.

—ეგ მერე გამოჩნდება, — უპასუხა დედამ, თან ფიქრობდა, თუ რაღ ჩამოაგდო სტუმარმა ლაპარაკი პურსა და დიდ გუთანზე, — ბავშვი ჯერ ხომ დედის რძით კმაყოფილდება!

თემირმა დაკვირვებით შეხედა დედაკაცს და გაუღიმა ჩიხას.

— პურზე ვლაპარაკობ. აი რა, მეგობრებო! თქვენ, ძვირფასო ძმაო და საყვარელო დაო. იცით, რომ ძალიან მალე მოვიწვევთ სოფლის ყრილობას. ჩვენი სოფლის ასეთი ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება. თაობა თაობას მოსდევს, ჩვენ კი, როგორც გვიცხოვრია, ისე ვცხოვრობთ სივიწროვესა და სიღარიბეში.

— შენა გგონია ყრილობა სიმდიდრეს მოგვცემს?

— ყრილობა კი არა, კოლმეურნეობა, ჩიხა!.. ყრილობაზე გადავწყვეტთ ამ საკითხს.

— მე ვიყავი ღარიბების კრებაზე. იქ მართლაც ჩემთვის რაღაც ძნელად გასაგებ რამეზე ლაპარაკობდნენ.

— ძნელიო? შენი გადაწყვეტილება როგორიღაა, ჩიხა, შენი ოთხი პატარა ბავშვის შესახებ?

— სამნი, როგორც ხედავ, თემირ, ღომსა სჭამენ. მეოთხეც, მართალი რომ ვთქვა, მალე მოითხოვს ღომს. ამიტომ მე არ შემიძლია კოლმეურნეობის წინააღმდეგი ვიყო.

— ჰოო...

— მოიცა, თემირ. საბჭოთა ხელისუფლება კარგია, მაგრამ რაღაცას ცუდს ამბობენ, გენაცვალოს ჩემი თავი, კოლმეურნეობაზე. ცუდს ამბობენ!

— ვიცი ვინც ამბობს მაგას, ისინი ამბობენ, ვისაც შვილებისათვის იმდენი პური აქვთ, რამდენიც უნდათ.

— შეიძლება. მე ასე მგონია, თემირ: საბჭოთა ხელისუფლებამ მე ძალიან ბევრი სიკეთე მიყო. დამეხმარა ხარების შოვნაში. მაგრამ მაინც ვერ გავბედე კრებაზე რამე მეთქვა კოლმეურნეობის სასარგებლოდ.

— რაო! შენმა ორმა ხარმა ვერ დაძრა შენი ენა?

ჩიხამ გაიცინა და დიდხანს უცქერდა გაბმულას, რომელიც თანაბრად ირწეოდა.

— არსანამ მითხრა: თუ შეხვალ კოლმეურნეობაში, მაშინვე ჩამოგართმევენ ხარებს და კოლმეურნეობას გადასცემენო.

— მაშ, ცხოვრებამ მოგცა ხარები და ცხოვრებავე წაგართმევს? რაღაცას ჩმახავს არსანას ავი ენა! რაში დაგჭირებია, მიკიჭას მეგობარს რომ უჯერებ?

ჩიხამ მხოლოდ ამოიოხრა. თან თვალს არ აშორებდა გაბმულას. თემირმა მუჯლუგუნი წაჰკრა.

— მაშ ჩემი არა გჯერა? კარგი, აგრე იყოს. მაგრამ ხარებს ხომ ყველა ღარიბს აძლევენ და ახლა ისე გამოდის, ვითომც ეს ახალი ცხოვრება აუყუებს იმათ, ვისთვისაც მოვიდა. ეჰ, დაუბნევიხართ, ჩემო ძმაო.

ჩიხამ იქით მიიხედა — შიშით ვეღარ უცქირა გაბმულას, სადაც

მეექვსე მჭამელი იწვა. ძალიან უხარია ჩიხას თავისი ახალი ხარები და ფიქრობს, თემირი, რომელმაც ეს ხარები უშოვა, არ მომატყუებსო.

— მჯერა შენი თემირ, მიხასიცა მჯერა, როგორც ჩემი თავისა, მაგრამ ხვები...

— ალბათ, ხარებიც ხმებმა მოგცეს! ეხ, ჩემო ძმაო!

— ცხოვრებამ გადამრია. ყველაფერი ახალია... ვერა გამიგია რა. მაპატიე, ჩემი გაუბედაობით აქ მოგიყვანე. შენ კი ძალიან ბევრი საქმე გაქვს. — ჩიხას ხმა მოურბილდა.—არა, აღარ ვიყოყმანებ. გავიდეს კოლმეურნეობაში ჩემი შვილების ცხოვრება და იმედები.

— აი ავრე, — ხმამაღლა და გულით უთხრა თემირმა. — ნუ ბგონია, ვითომც ჩემი ცხოვრება ტკბილია! მეც ბევრმა რამემ შემაშფოთა, ზრუნვა მაწუხებდა. იქნებ შენს საზრუნავზე უფრო ძლიერი. გაგვივარდეს ხმა სოფელში, როგორც ახალ ადამიანებზე და ეს ხმა იყოს მართალი უკუნისამდე.

გაჩუმდნენ. მერე დაიწყეს ლაპარაკი წვრილმან საქმეებზე. ორივე აღელვებული იყო. თემირი გაჩუმდა, ხელი ჩამოართვა მასპინძელს და გავიდა სახლიდან, სადაც კვლავ მონოტონურად აჭრიალდა გაბმული.

დღე გავიდა. თემირმა დილიდანვე ჩამოუარა ოდებს და დიდხანს ათვალიერებდა იმ უბადრუკ სანიავებლებს, კვებსა და თოხებს. ამ საბბრალო ნივთებს ბედად ეწერად ჩაჰბარებოდნენ წარსულს. სოფლად ყველაფერი გამოიცვლება ისევე, როგორც იცვლება თვითონ თემირის ხვედრი.

საღამოთი, დაძაბული მუშაობის შემდეგ, ძიკურთან მივიდა. აღარ შეიძლებოდა გამობრუნება და უკან წამოსვლა, როცა იქ, ამ პატარა სახლში აჰმათი დაინახა. აჰმათი იმავე სოფელში ცხოვრობდა და შესაძლებელი იყო, ადამიანი მას ყოველ სახლში შეხვედროდა.

არა უშავს რა! თემირი აფირხაწა გმირი იქნება! თითქმის სიხარულით იგრძნო, რომ აჰმათი უნდობლად უცქერდა. მართალია, იქნებ ეს უნდობლობა კი არა, შიში იყო, ჩვეული შიში.

თემირი მივიდა მოხუცთან და მის ცივ თითებს ხელი მოუჭირა. თემირი იმაზე ფიქრობდა, რომ მიწის დასამუშავებელი იარაღი, საოჯახო ნივთები და სახლები, საქმელი და ხალხის აზრები ყველაფერი გამოიცვლება. მაშ თვითონ თემირმა როგორ არ უარჰყოს ყველაფერი ძველებური! ამ სახლში შევიდა არა სისხლის ასაღებად, არამედ იმისათვის, რომ ძიკურს მოლაპარაკებოდა სხვა ცხოვრებაზე და, თუ აჰმათიც აქ არის, იმასაც მოელაპარაკება.

— ძალიან მიხარია, — უთხრა თემირმა, თან ხელიდან არ უშვებდა ამ ცივ თითებს — რომ შეგხვედი, აჰმათ, ჩემი საუკეთესო მეგობრის სახლში. — თემირმა ყური მიუგდო თავის ხმას. ხმა თავაზიანი იყო. — როგორა ხარ?

აჰმათი ცდილობდა პირდაპირ თვალებში ეცქირა თემირისათვის.

— ვერა ვარ კარგად, დად, ვავადმყოფობ და, მგონია, ძალიანაც ვბერდები.

— სიბერემდე ჯერ შორსა ხარ... ჩვენს საბჭოთა დროში კი, შენი სიცოცხლე შეიძლება გახანგრძლივდეს კიდეც.

—აი, ახალ კოლმეურნეობაზე ვლაპარაკობდით.—აჰმათმა უკვე მშვიდად შეხედა თემირს. გუნებაში გადაწყვიტა, თემირს წარსულ ამბებზე ეჭვიც კი არა აქვსო.—შენ, დად, ჩვენს სოფელში დიდი კაცი ხარ და შეგიძლია მართალი მითხრა. კოლმეურნეობაზე ზოგი ცუდს ამბობს, ზოგიც კი ამბობს, კოლმეურნეობა შალაშინივით გაასწორებს ძველი ცხოვრების ყველა სიმრუდესო. — მოხუცმა ამოიკრუსუნა. — არ გეგონოს, დად, ვითომც მე მხოლოდ ძველებური მომწონდეს. წინათ იმდენი უბედურება, იმდენი შიში გამომივლია...

თემირმა თავს ნება არ მისცა პირი აერიდებინა აჰმათისათვის და, როცა ტუჩები აუკანკალდა, პირი მაგრად მოკუმა.

—დაიჯერე, კოლმეურნეობაში ხალხი ძმურად იცხოვრებს; მას ვერაფერი გაჰყრის, ყველაფერი საერთო იქნება. ყველაზე კარგი ის არის, რომ აზრიც საერთო იქნება.

— შეიძლება... მაგრამ ადამიანი თუ უბედურია და ფიქრები აწუხებს... — აჰმათი გაჩუმდა. — მე და ძიკურმა ბევრი ვილაპარაკეთ კოლმეურნეობაზე, მაგრამ ვერაფერი გადავწყვიტეთ.

აჰმათს ლაპარაკი სურდა სხვა რამეზე, მაგრამ გადაწყვიტა ელაპარაკა იმაზე, რაზედაც თემირი ლაპარაკობდა. თემირი მიხვდა ამას. რა კარგი იქნება უთხრას ახლა მოხუცს, რომ კოლმეურნეობაში კაცი კაცს არ მოკლავს, მაშ რაღაზე უნდა ფიქრობდეს მურზაყანის ძველი მონა! თემირმა მუშტები შეკუმშა და ჩუმად იყო. ფრჩხილები ხელისგულის კანში ჩაესო. ძლივს დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რაც მხოლოდ უბრალო ჩამოთვლა იყო ახალი ცხოვრების პირობებისა: მიწა, განზოგადებული იარაღი შრომისა, ახალი ინვენტარი, შრომადღეები.

სისხლი მოაწვა თემირს და თვალთ დაუბნელდა. ბინდმა გაავსო პატარა ოთახი. მაგრამ თუ მოკლულის ძმა მკვლელს კოლმეურნეობაში ეპატიჟება, მშვიდად უნდა იცქირებოდეს ამ ბინდბუნდში, დაიოკოს თვალებში მომდგარი სისხლი. თემირი ყურს უგდებდა თავის მშვიდ ხმას.

— შენა თქვი, კაცი უბედურიაო. სახელმწიფოს არ შეუძლია ჩასწვდეს ადამიანის ყველა ფიქრს, მაგრამ იზრუნებს მისთვის უკეთეს ცხოვრებაზე. ჩვენს სოფელში იქნება მძლავრი ტრაქტორი და ფოლადის გუთნები. ესენი მოხნავენ შენს მიწას და შენც დაგავიწყდება ბევრი რამ ცუდი.

— ტრაქტორი... — აჰმათმა დიდხანს იფიქრა. — კამეჩებს რაღას ვუზამთ?

თემირს ეგონა, ვითომ აჰმათი კი არ ლაპარაკობდა, არამედ თვით თემირში ისმოდა ორი ხმა. ფრჩხილები ჩაეჭდო კანში. თემირი კი უფრო მაგრად კუმშავდა მუშტებს.

—კამეჩები საჭირონი აღარ იქნებიან. ტრაქტორი ბენზინით მუშაობს, სწრაფად დადის და გრიალებს ავტომობილივით.

— არ ვიცი, — სავსებით მშვიდად უპასუხა აჰმათმა.

— უზარმაზარი რამეა, — თქვა ძიკურმა, — ერთხელ ვნახე სოხუმში, ქუჩაში.

თემირმა გაშალა მუშტები და ხელისგულები ფერდებზე დაისვა. მშვიდად განმარტა:

— არა, ტრაქტორი არც ეგრე დიდია, მაგრამ სწრაფად მუშაობს, საჭესთან შოფერი კი არა, ტრაქტორისტია. შოფრები ავტომობილებზე სხედან. კიდევ რა გითხრათ? — თემირმა სული მოითქვა. — მანქანა მიდის, ჩაბმული გუთნები კი თავისთავად ხნავენ...

აჰმათის თვალები სარკმლიდან შემოსულ შუქზე შუშის ორი პატარა ბურთივით ბრწყინავდა. კარგი იქნება ამ მოხუცს პირდაპირ თვალებში ესროლოს კაცმა... მაგრამ აჰმათმა, თემირის სიმშვიდეზე დანდობილმა, ახლოც კი მიიწია მისკენ და გარკვევით შესძახა:

— ნეტა დამანახა! ღმერთო, ხარები რაღა სათქმელია! ვინ იფიქრებდა, დად, რომ მიწას, რომელზედაც ჩვენ დავბადებულვართ, ახალნაირად მოხნავენ უხაროდ! ხარები საჭირონი არ არიან. მაგრამ რაღას ვიზამთ ჩვენ, ადამიანები, დად, თუ მანქანა მოხნავს მიწას?

— სამუშაო ჩვენთვის საკმარისი იქნება.

აი, როგორი ლაპარაკი ჩამოვარდა! თემირი და ეს კაცი თითქოს სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, იქ, სადაც მათ შორის სისხლი არ არის, არამედ არის მხოლოდ სიყვარული და ერთმანეთის დახმარების სურვილი.

აჰმათი დუდღუნებდა:

— თურმე ყველაფერი, რასაც სოფელში ამბობდნენ საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, ტყუილი ყოფილა!

მხრები აიჩეჩა.

— ბენზინი... აბა იფიქრე, დად, — ჩვენს სოფელში ბენზინი. მაშ მაძღარი ცხოვრება დაიწყება, შენჩემობა აღარ იქნება. მაშ რაღად ამბობდნენ ქათმებსაც წაგვართმევენო?

თემირმა ხელები მოიფშვნიტა და უპასუხა:

— როგორ? ქათმები თვითონ შეფრინდებიან კოლმეურნეობაში?

— შენ ხუმრობ, თემირ! მაგრამ მაშინ რა ვქნათ, თუ მართალია, როგორც ამბობენ, ყველანი ერთ ყაზარმაში ვიცხოვრებთ?

— ერთი შენ ჰკითხე იმ მატყუარებს: ჩვენს სახლებში ვინღა იცხოვრებს-თქო, ეშმაკები?

— ჰო, ჰო, ამბობენ, კაცებიც და ქალებიც ერთად იქნებიანო. განა ეს შესაძლებელია? სტუმარსაც ვერ მიიღებს ადამიანი, არც ჩვენ გაგვიშვებენ კოლმეურნეობიდან სტუმრადო.

— რასაკვირველია, — დაცინვით დაუდასტურა თემირმა. — მაგრამ შენ იმათ, იმ მატყუარებს უთხარი: სოფლებს შუა თუჯის კედლებს აშენებენ. ყველას ერთად გვასუნთქებენ და ცხვირს დავაცემინებთ მხოლოდ ბრძანებით, რომელსაც ტელეგრაფით გამოგვიგზავნიან-თქო —თემირმა შუბლი შეიკრა.—არ დაფიქრებულხართ იმას, რომ თქვენზე ეშმაკები არიან ისინი, ვინც სოფლელებს თავებს სისულელით უტენიან! დაფიქრებულხართ თუ არა, რომ იმათ, ვინც თქვენგან მოითხოვდნენ და ახლაც მოითხოვენ მორჩილებას, ეშინიათ ყველაფერზე საშინელი რამისა: ვაი თუ, ერთბაშად დააღწიოთ თავი სიღატაკეს! რა მოუვათ მაშინ მიკიჭასა და მურზაყანს, თუ თქვენ არ მოისურვებთ მათთვის მუშაობას?

ძიკურმა ხმამაღლა გაიცინა.

აჰმათი ყურადღებით უსმენდა თემირს. მის წინ, როგორც სხვისი ცხოვრების მოგონებამ, ისე გაირა წარსულმა, გაიელვა მის მიერ მოკლულ მიტას სახემ. აჰმათს მურზაყანიც მოაგონდა.

ყავარჯნის რკინის წვერით მიწას ჩიჩქნიდა. მოხუცის ხელი თრთოდა. აჰმათმა ერთი წუთით დახუჭა თვალები, მერე თავაუღებლივ, ხმადაბლა თქვა:

— შენი სიტყვებით, დად, ისე გავიგე, რომ კოლმეურნეობა ძალიან ჰგვანებია ჩვენს ურთიერთდახმარებას.

— ჰგავს. მაგრამ აქ ერთი რამ არის ახალი — ეს ურთიერთდახმარება სამუდამოდ დარჩება.

ძიკურა წამოდგა. მისი ხმა მხიარული იყო:

— ეგრე გეთქვა, რაღა, რომ კოლმეურნეობა ურთიერთდახმარებაა, ოღონდ დიდი. ეს კარგია, არა, აჰმათ? ჩქარა შევიკრიბოთ და სოფლის ყრილობამ გადაწყვიტოს კოლმეურნეობის საქმე.

თემირი, გახარებული იმით, რომ თავის თავზე გაიმარჯვა, გავიდა ძიკურის სახლიდან და იგრძნო, რომ უკვე შევიდა ახალ ცხოვრებაში და დირეზე ლატოვა გადაუწყვეტელი საკითხის სიმძიმე. იქნებ ვერც გახდეს უფრო ბედნიერი, მაგრამ ახლა უკვე იცის, როგორ მოუაროს თავის გრძნობებს. დაე, იქ, მიწაში მიტას ძვლებთან ერთად, განისვენებდეს მისი ვულის ტკივილებიც.

თემირს ეშვი არა ჰქონია, რომ გლეხების პირველი კრება წარმატებით დამთავრდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ თემირმა შეკრიბა წი-

ნასწავლი ცნობები ყველა იმ მეურნეობაზე, რომლებიც უნდა განზოგადებულიყვნენ.

ეს იყო ახალი ურთიერთდახმარება!

დაე, გლეხებმა დასაწყისისათვის ასე გაიგონ ცხოვრების ახალი ფორმები. მოვა დრო და უკეთ მიხვდებიან ახალ ცხოვრებას.

თემირმა მოიწვია კრება. კრებაზე გადაწყვიტეს კოლმეურნეობის ჩამოყალიბება.

გათავდა გლეხების ძველებური ცხოვრება, გაათავა თავისი ძველი ცხოვრება თემირმა.

...მიხა კუნძზე იჯდა, ხშირფოთოლა მუხის ქვეშ და, დაფიქრებული, მათრახის თასმით ხაზავდა გზის მტვერს. თემირი მივიდა მასთან. მიხამ თავისი პატარა სვანური ქუდი კეფაზე გადაიწია და სალამის ნიშნად ადგა.

— ასე დროზე არასდროს არ მოსულხარ, — გახარებით უთხრა მან თემირს. — ყველგან გეძებდი. ხვალ, სისხამ დილით ოჩამჩირეში უნდა წახვიღე: რაიკომში გიბარებენ ერთ საჭირო საქმეზე. აი, ქაღალდი, ხედავ. შენს სახელზეა.

ქაღალდთან ერთად მიხამ თემირს მათრახიც გაუწოდა და უთხრა, ცხენს ეათხოვებო. თემირს უნდოდა გაეგო, თუ რისთვის იბარებდნენ. მიხამ იცოდა, მაგრამ არ უთხრა.

ისინი შევიდნენ სოფლის საბჭოში და ცოტა ხნის შემდეგ თემირმა სწრაფად გააქენა მიხას ფეხწერილი ცხენი მდინარის ნაპირზე, შინისკენ: მართლაც და, რისთვის დასჭირდათ მისი თავი ოჩამჩირეში?

მეორე დღეს, დილით თემირი მივიდა რაიკომში. თავაზიანად შეხვდნენ. ზოგმა ფეხზე წამოდგომით მაგრად და მრავალმნიშვნელოვნად ჩამოართვა ხელი. საქმეთა მმართველი მივიდა თემირთან და ხუმრობით, ორივე ხელით მაგიდაზე დადო ოქმი. თემირმა წაიკითხა:

> „საქართველოს კ. პ.(ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად, რაიკომი ადგენს: გაიგზავნოს აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში — მომავალ სასწავლო წელს მუშაობაში გამოცდილი, პარტიის კანდიდატი ამხ. თემირ ტვანბა“.

თემირმა განცვიფრებით დახედა ქაღალდს. ამისთანა ბედს არ ელოდა. ეგონა, ბედი დამცინისო: ხომ სულ ბოლო დრომდე ფიქრობდა იმაზე, რომ ზოხუცი აჰმათისგან სისხლი აეღო. იქნებ, მართლაც ერჩივნოს კიდევ სოფლიდან წასვლა? სწავლა, მოსკოვს. დიდ, შორეულ ქალაქში ცხოვრება მას უფრო მეტ რამეს ეტყვის, ვიდრე განმარტოებული ფიქრი სოფელში.

ოთახში შემოვიდა რაიკომის მდივანი.

— აბა, ამხანაგო ტვანბა, მოემზადე! ყოჩაღ, აფირხაწა! — თემირის თითები ხელში გააჩერა და საქმეთა მმართველს მიუბრუნდა: გაამზადე თემირის ქაღალდები.

...ეს ნაპირი, თავისი ცხოვრებითა და მღელვარებით, ტკივილებითა და მერყეობით, ძვირფასი საფლავებითა და შაზინათი მალე დარჩება ზღვის ლურჯ ტალღებს იქით.

თემირმა იყიდა ბილეთი და თავისი ახალი ჩემოდნით ხელში დასეირნობდა სოხუმის ნავსადგურში, ზღვის სუნს სცვლიდა პალმების ნაზი სურნელება. გაისმა საყვირის ხმა, და თემირი, ნავსადგურში მოძრავ, მოზეიმე ხალხთან ერთად, გაემართა გემისაკენ. მგზავრები აჰყვნენ გემის კიბეს და გემბანზე ავიდნენ. როცა თემირის ჯერი დადგა, თემირმა სიხარულით, თითქოს საჩუქარი ყოფილიყოს, ისე აჩვენა თავისი ბილეთი და გაიარა გემბანის ახლად გარეცხილი იატაკი.

გემზე ფაციფუცი იყო. ყველა მგზავრი ცდილობდა მალე დაეჭირა თავისი ადგილი. თემირი გავიდა კიჩოში — გემის ბოლოში — და, თავისი კაიუტის ამაო ძებნის შემდეგ, ჩემოდანი ფეხებთან დაიდგა.

ქვემოთ, კიჩოს იქით, ზეთივით ბრწყინავდა ზღვის ტალღები. გაისმა მეორე საყვირი. გემი მოსცილდა ნავსადგურს. მერე, რამდენიმე წუთის შემდეგ, აიღო მიმართულება. მიარღვევდა ზღვის ბრჟყვიალა, ოდნავ დანაოჭებულ ზედაპირს.

ეს რა ამბავია?.. თემირი მიდის თავისი წინანდელი ცხოვრებიდან! მისი ტანჯვა რჩება იქ, პალმებს იქით, ნაპირზე. თემირმა თვალის ერთი გადავლებით გადახედა მთებს სოხუმის გარშემო და ისე ეჩვენა, თითქოს ყველგან გაბნეული იყო რაღაც წმინდა და თბილი რამ, რაც შაზინას ეკუთვნოდა. თემირს სურდა თვალი მოეშორებინა ნაპირისათვის, მაგრამ ვერ შეძლო, და გულის ტკივილით გაიხსენა თავისი სოფელი, თავისი პატარა, დაცარიელებული ოდა. სადაც კედელზე გაკრულია გახუნებული ნოხი, გაიხსენა უხვად აშლილი მწვანე ბუჩქებით დაფარული მყუდრო მიდამოები, და აჰმათის ხელით ნამყენი გარეული ხეხილიც კი მოაგონდა! გაიხსენა ყველაფერი, რითაც აქამდე ცხოვრობდა.

„ვინ იცის, ვნახავთ კიდევ ერთმანეთს თუ არა?“ —გაიფიქრა მან.

ვისზე გაიფიქრა? ჰო, შაზინაზე.

თემირმა თავი ჩაღუნა, ცდილობდა მოგონებათა ჩახშობას. მერე თვალმოუშორებლივ დააცქერდა ფართო ზღვის ბრწყინვას და იმდენხანს უქცერდა, ვიდრე თვალს არ მიეფერა სოხუმი.

ახლა ნაპირის ზოლიც გაქრება, გაქრება მიწის უკანასკნელი მოხაზულობაც და შაზინაც თითქოს აღარ იყო ამქვეყნად.

და აი ყველაფერი ზღვად იქცა, გული საოთკენლაც მიიწევდა.

„მშვიდობით, შაზინავ, მშვიდობით სამუდამოდ“, — წაილაპარაკა თემირმა.

რაღაც ოქროსფერი ზოლი კიდევ ელავდა ცასა და ზღვას შუა. ეს იქნებ ნაპირის ჩრდილია, მხოლოდ გამონაკრთომი აფხაზეთისა. თემირი დიდხანს იდგა, იცქირებოდა იქითკენ და სულ ისე ეჩვენებოდა, თითქოს წიფლნარის სუნი მოდიოდა... ეს იყო ზღვის მლაშე, მსუბუქი სუნი; ბრწყინავდა თეთრი კიჩო, კიჩოს იქით კი ჭყუმპალაობდნენ შავი, მარდი დელფინები.

თემირმა ხელი დაავლო ჩემოდანს და გაუარა საუცხოოდ მორთულ კაიუტების ფანჯრებს, რომლებზედაც თეთრი ფარდები იყო ჩამოფარებული. გემბანზე ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ მორთული ქალები და მამაკაცები.

გაგრამდე თემირი არ დამჯდარა. როცა გემი გაგრასთან გაჩერდა, უკვე დაბნელდა კიდეც. ნავსადგურში ლამპიონები ბრწყინავდა და ანათებდა პალმების თავებს. თემირმა თავისი ადგილი მონახა. ჩემოდანი თავქვეშ დაიდო და დაიძინა, თითქოს შინ ყოფილიყო... არა, უფრო კარგად, ვიდრე შინ!

...მატარებელი რკინის ბაფთასავით გაჭიმულიყო და მიჰქროდა თანაბარი სიჩქარით. მოსახვევში გველხოკერასავით იკლაკნებოდა და სიჩქარეს უკლებდა.

- თემირმა თავი გაჰყო ფანჯარაში. უცქერდა მატარებლის სახსრებიან სხეულს და უკვირდა მისი სიგრძე. მერე კი, ლოოს შემდეგ, მატარებელი თვალუწვდენელ ტრამალზე გავიდა.

„უჰ, რა ჩქარა მიდის!“ — გაკვირვებითა და სიხარულით ფიქრობდა თემირი.

ფანჯრის იქით გაიელვა ხალხმა. ჩაცუცქულები ისხდნენ და რაღაცას აკეთებდნენ. თემირმა ვერ მოასწრო დაკვირვებოდა მათ, ისე გააქროლა მატარებელმა. კვლავ გაიშალა ვაკე, რომელსაც შორეული მთები ნაწიბურივით შემოხვეოდა. დაიწყო თამბაქოს პლანტაციები. ხალხი ჩაცუცქულიყო და თამბაქოს ტეხდა. თემირი მიხვდა, რომ ის ხალხიც, რომელიც წეღან ნახა, თამბაქოს პლანტაციებში მუშაობდა.

მერე სარკმელში გამოჩნდა სიმინდის დაუსრულებელი ყანები. მზით განათებული მინდორი მთელ სიგრძეზე დაფარული იყო სიმინდით.

თითქოს სულ სხვა დედამიწა იყო. სადა ხარ, შაზინა? მიჰქროდა სიმინდის ნათესები, მატარებლის გვერდით უწყვეტლივ გაჭიმულიყო მიწის ნოყიერი ზოლი და გარბოდა ზღვასავით დაუსრულებელი ვაკე. ამას თემირი თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა. ალბათ, ჯერ კიდევ ბევრ რამეს ნახავს, მაგრამ ნახავს იმას, ვინც მისთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ეს ვაკე და ამ ვაკის დაუსრულებელი ტატნობი, ძვირფასია სუნთქვაზედაც კი!...

...შუადღის მერე მატარებელი მოსკოვს მიუახლოვდა. ხალხი ჭიანჭველებივით გამოიშალა ვაგონიდან.

თემირმა ხელი მოუჭირა ჩემოდნის სახელურს და გაოგნებული გულის კანკალით გაარღვია ხალხის ბრბო, ჩაიარა კიბეები და ჩავიდა გრილ დერეფანში.

სხვა მგზავრებთან ერთად ავიდა ზემოთ და გავიდა დიდ მოედანზე. სადგურთან იდგა მანქანების წყება. თემირი სხვების მიბაძვით ერთ შოფერს მოურიგდა. ძლივს იკავებდა სიხარულს, როცა მიჰქროდა მოსკოვის ქუჩებზე, უსაზღვრო ქალაქში. ათი წუთის შემდეგ, ჩემოდნით ხელში. თემირი იდგა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის მძიმე, ჭრიალა კარებთან. . .

მიკიჭამ მუშტები შეკრა.

— იმ ძაღლს მოვსპობ! ეგ მიხაა, ვიღაც, ცდილობს ზურგზე შემაჯდეს. დამაცა, გაიგებ. ვინ არის მიკიჭა, როცა ცხელი ტყვია მოგვხვდება გულში!

მიკიჭას მამა როგორც დაეცა ტახტზე, ისევე იწვა მოცელილივით.

— რას გვიშვრებიან! — კვნესოდა კადირი. —იმისთანებთან მაინც გვქონდეს საქმე, ვინც ცოტაი ხალხსა ჰგავს! როგორ დაგვღუპეს მაგ ლაწირაკებმა, მაგათ, ვინც წინათ სულაც არ ჩანდნენ! ვაი, შვილო! სად არის ჩემი დუქანი, ჩემი წისქვილი, თამბაქოს ფარდული. . .

მიკიჭა ახალუხის ღილების შეკვრით მიუახლოვდა ტახტს. შვილის დანახვაზე სიშმაგე და სასოწარკვეთილება უფრო მეტად მოერია კადირს. კედლისაკენ გადაბრუნდა, კედელს ფეხი დაუქნია.

— მოიცა, მამავ! — დაღონებით უთხრა შვილმა. — თავს რაზე იკლავ! ეგ ვერ გიშველის. მე ნემსის ყურში გავაძვრენ იმ მიხას და ნაწლავებს იმ ნემსზე შემოვახვევინებ.

მიკიჭა თავის ოთახში გავიდა. კადირი კი გონებამიხდილივით იწვა ტახტზე და მხოლოდ ბუტბუტებდა:

— მიხას ხელში ჩავცვივდით! ღმერთო, მიხა, ვისაც ყველა დასცინოდა! მე, კადირი, მხევლის შვილის ხელში ვარ, იმის ხელში, ვინც ხალხის დასაცინი იყო! უფალო, რად მოვესწარი ამას!

მიკიჭამ, რომელიც ამ დროს სარკის წინ იდგა და ულვაშებს იგრეხდა, თავის ოთახიდან გასძახა მამას:

— დამშვიდდი, მამავ! აბა, რა არის მიხა ჩვენთან შედარებით! დამაცადე, მივასიკვდილებ და ისე დავაჯდები, როგორც კუნძს.

კადირი ძლივსძლივობით წამოდგა, ტახტზე ჩამოჯდა, ხორცსავსე ხელები თავზე წაივლო და იატაკს დააცქერდა.

მიკიჭა თავისი ოთახიდან გამოვიდა, თითქოს სადღეობოდ გამოწყობილი და ერთხანს ხმაამოუღებლივ იდგა მამის წინ.

— მაჰმეთთან მივდიეარ საქმეზე. თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, ოჩამჩირეში წაეიდა-თქო.

აიღო მათრახი, მხრები ამაყად გაშალა და გავიდა. ეზოში ელოდა ქურანი ცხენი. ცხენის ფერდები ბზინავდა ვერცხლის ბუზმენტები მოქარგული უნაგირის ქვეშ. მიკიჭა მარდად მოახტა ცხენს. ცხენმა თვალების ბრიალით გაიწია მაღალი ჭიშკრისკენ.

როცა მიკიჭა სოფელს უახლოვდებოდა, დაბნელდა კიდეც. ირგვლივ სიწყნარე იყო. მახლობელი სოფლებიდან სუსტად ისმოდა ძაღლების ყეფა. მიკიჭა გზაში ყოჩაღად იყო, აწყობდა სხვადასხვანაირ გეგმებს, თუ როგორ მოეკლა მიხა, მოხერხებულად და უხიფათოდ. მიკიჭას ეგონა, ბნელი ღამე ჩამჩურჩულებსო: „გმირთა გმირი ხარ მიკიჭა!“ მიხას პირად მტრად თვლიდა და უფრო სძაგდა, ვიდრე კანა, რომელმაც თემირი შეცვალა საბჭოს თავმჯდომარის ადგილზე.

თითქოს გუშინ მომხდარიყოს! მიკიჭას გაახსენდა, რომ მიხა, ოდესღაც, როცა ჯერ ისევ ბავშვი იყო, კადირს კალთას უკოცნიდა და ეხვეწებოდა: ნება მომეცი მიწა სანახევროდ მოვხნა, თქვენს იქით გზა არა მაქვს, ვისა ვთხოვოო. ეჰ, რომ სცოდნოდა მიკიჭას, ასეთი ამბავი მოხდებოდა, ადრევე გაათავებდა მიხას! წინანდელ დროში მიკიჭას ვინ გაამტყუნებდა ვიღაც გლახაკ მიხას მოკვლისათვის! ახლა კი, მონების მონებიც კი ადამიანებად იქცნენ.

აი, სოფელიც... მიკიჭამ სიძის სახლთან ჩამოიქვეითა, ცხენი დაბა-უნაგირზე ბუზმენტები გაასწორა, ცხენს ცხვირზე ხელი ჩამოუსვა და სახლში შეავიდა. სამზარეულოდან გამოვიდა ჰანიფა. ხელში ანთებული სანთელი ეჭირა.

—უნან![1] შენა ხარ, ჩემო მიკიჭ? — შესძახა მან. — მოდი თავს შემოგევლე.

— ჯერ კიდევ არ დაწოლილხართ? — ჰკითხა ძმამ დას. გვერდი აუარა, სამზარეულოში შეავიდა და მოლუშული ჩამოჯდა. მერე ამოიოხრა, თან უცქერდა ცეცხლის ბრჭყვიალა ენებს კერაში.

— გაიგე და მოხვედი? — ჰკითხა ჰანიფამ დაღონებით. კითხვაზე კი პასუხი არ გასცა.

— რა გავიგე? რა მოხდა?

ჰანიფამ მძიმედ ამოიოხრა.

— მე კი მეგონა, გაიგე და იმიტომ მოხვედი. — ჰანიფა ნელა დაეშვა ძმის გვერდით სკამზე. — ხომ ხედავ დრო ჩვენს წინააღმდეგაა. თავის მოხრა გვიხდება, ან იქნებ დავიღუპნეთ კიდეც, ჩვენი წრის ხალხზე უმალ. ის არაფერი, რომ ხმის უფლება ჩამოგვართვეს, ახალი უბედურებაც დაგვატყდა თავს.

—თქვი, რაღა, რა მოხდა?

— გუშინ დილით ჩვენსა მოვიდა რაღაც კომისია, ჩვენი მიწები კოლმეურნეობას უნდა გადასცენ. როცა გვითხრეს, თქვენი მიწების

[1] უნან — ქალის შეძახილი, სიხარულისა და გაკვირვების გამოხატველი.

ჩამოსართმევად მოვედითო, მაჰმეთს უნდოდა მათი გარეკვა. იმათ ჩხუბი დაუწყეს. შენი სიძე მოთმინებიდან გამოვიდა, ხომ იცი როგორი ფიცხია. სიტყვის შებრუნების ნება არავის მისცა. იძრო ხანჯალი და... იმ კომისიის ერთი კაცი დასჭრა.

ამის გაგონებაზე მიკიჭა მოიღუშა. ულვაშებზე იკვნიტა. გაჩუმდა და მერე ღვარძლიანი სიხარულით წაილაპარაკა:

— მაინც ყოჩაღია მაჰმეთი! ნეტავ მე მომსვლოდა მაგისთანა შემთხვევა! — მიკიჭამ გულზე ხელიც კი ჩამოისვა.

— ვაი, დედავ! ეს ამბავი გახარებს? — შესძახა დამ, — ვერა ხედავ, მთლად გაგვანადგურეს!

— ვინ დასჭრა მაჰმეთმა? — ერთბაშად ჰკითხა ძმამ.

— ნეტავ რიგიანი ვინმე მაინც დაეჭრა. მაშინ არა უშავდა-რა. ახლა კი უნდა დაიღუპოს ვიღაც მძორის გულისათვის, სულელი ჩანას გულისათვის!

— რა სულელები ხართ თქვენ, ორივენი — შენი სიძეცა და შენც.

— რაშია აქ სისულელე?

— კაცი ამისთანა დროს თავს უნდა უფრთხილდებოდეს. გულადობა ის კი არ არის, რომ ადამიანს ეტაკო. ეგრე კი არ უნდა ძმაო... მოფიქრებით უნდა მოქმედება ისე, რომ ადამიანმა თავისი თავი არ გასცეს. მტრობა უნდა ჩამოვაგდოთ იმათ პარტიასა და გლეხებს შორის.

— ოჰო! გეტყობა, გესმის საქმის ძალა!

— სულ ამას ამბობდა მაჰმეთი. საჭიროა პარტიულებმა ერთმანეთი ამოჭამონ, ისინი კი, ყველანი — ხალხმაო. აი, ასე უნდა. მხოლოდ მაშინ ვიხსნით ჩვენს თავს.

ჰანიფა დიდხანს ლაპარაკობდა. ამ ხნის განმავლობაში მიკიჭამ სამი პაპიროსი მოსწია და არც ერთი სიტყვა არ გამოპარვია.

როცა ჰანიფა გაჩუმდა, ძმამ ულვაშები გაისწორა:

— ცუდს არ ამბობ. ჭკვიანურია შენი სიტყვები. გატყობ ჩემზე მეტი იცი. ტყუილად კი არ ცხოვრობდი სოხუმში — ადგა. ჩოხის კალთები გაისწორა. — მაგრამ მიხას ჩაძაღლება კი საჭიროა, ჩვენს სოფელში ის მეთაურობს ყველაფერს, ის ყველაზე დიდია პარტიულებში.

ჰანიფამ მხრები აიჩეჩა.

— დრო გადავიდა, ძმაო! აგერ მამლები ყივიან. დაწექ, დაიძინე.

ჰანიფამ ცეცხლს თბილი ნაცარი წააყარა. ხელში ეჭირა ახლად ანთებული სანთელი, ძმის ლოგინზე საბანი გადასწია.

ᲙᲐᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲝᲤᲘ

გაზაფხულის თბილმა შხაპუნამ გადაიარა. ასეთი წვიმის შემდეგ ბალახი უცბად ამოდის. ახალი მწვანით შემოსილ ბუჩქებსა და ხეებს

შორის ყვავილების მკვეთრი სითეთრით გამოირჩევა ალუჩა და ატამი. მზემ გამოიხედა. ცივი, ავდრიანი ზამთრისაგან განაწამები ადამიანები და ცხოველები სიხარულით ხვდებიან გაზაფხულს.

ხიკურმა მიხურა ფაცხის კარი და ეზოში გამოვიდა. მხარზე პატარა ბიჭი შეესვა, მეორე, ცოტათი უფროსი, კაბის კალთაზე ჩაფრენოდა.

— ბავშვებო, აქ ითამაშეთ, მე კი ბოსტანში წავალ, — თქვა ქალმა. ბიჭუნა მიწაზე ჩამოსვა და მუჭით კენჭები მისცა ორთავეს.

ბიჭები მაშინვე თავდავიწყებით ჩაებნენ თამაშში. მოგრეხილფეხებიანი ლეკვი მთვრალივით მიბაჯბაჯებდა მათთან; ბავშვებმა ჩაიარეს.

ხიკურს წელი არ გაუმართავს, სანამ ღობემდე არ დაბარა მიწა, მხოლოდ მაშინ მისცა თავს დასვენების უფლება.

კარდალაში მოსახარშად ლობიოს წყალი ჩაუმატა და შეამჩნია, რომ კიბეს უახლოვდებოდა წაწვეტებულმხრებიანი, შავ ნაბადმოხურული კაცი, რომელსაც თეთრი ყაბალახი თვალებამდე ჰქონდა ჩამოწეული. ეს იყო ჰაბიჯი, რომელსაც დახმარებისა და მფარველობის იმედით დაუმოყვრდა ხიკური. ქალმა გაიჩქარა სტუმრისაკენ, რომელიც თვითონაც მოისწრაფოდა. ხიკურმა მარჯვენა ხელი შემოავლო მის თავზე ნიშნად იმისა, რომ ქალი იზიარებდა ყველა იმ უბედურებას, რომელიც ემუქრებოდა ჰაბიჯს და აკოცა.

— როგორ ცხოვრობ, ხიკურ? ბავშვები ხომ ჯანმრთელად არიან? —შეეკითხა ჰაბიჯი, თვალი თვალში გაუყარა და ხელი მხარზე დაადო.

— შეხედეთ, ვინ მოვიდა! — დაუძახა ხიკურმა ბავშვებს.

ისინი უკვე გამორბოდნენ სახლისაკენ. უფროსს, ჯანხვათს იღლიაში გააფთრებით მოფართხალე ლეკვი ამოეჩარა.

— რა დიდებული ძაღლია! — შეწყალებით თქვა სტუმარმა. უმცროსი ბიჭი მუხლზე დაისვა, ჯიბიდან ვერცხლის ბრჭყვიალა ფული ამოიღო და გაუწოდა. პატარამ აღტაცებით დაიწყო ფულის ერთი ხელიდან მეორეში გადასროლა.

— შეხედე! — წკრიალა ხმით გასძახა მან ძმას, რომელმაც ხელი ასწია და ძაღლი უმწეოდ დაებერტყა ძირს. ჯანხვათის სახეზე ეწერა, რომ არც თვითონაა წინააღმდეგი ასეთი საჩუქრის მიღებისა.

— ახლოს მოდი, — უთხრა ჰაბიჯმა, როცა შეატყო ბიჭი შემკრთალიაო, ისიც დაისვა მეორე მუხლზე და ფული აჩუქა.

— არავინ არ მყვარებია ჩემს სიცოცხლეში, როგორც თქვენი საცოდავი მამა! — ამოიოხრა ჰაბიჯმა, — ღმერთმა ინებოს, რომ რაც შეიძლება დიდხანს არ გაჰყვეთ მის კვალს.

ქმრის გახსენებაზე ხიკურის სახეს მწუხარების ჩრდილმა დაჰკრა.

— ნუთუ სიკვდილს არ შეეძლო მის გარდა სხვა ვინმე ეპოვნა! — სიმწრით წამოიძახა ქალმა.

— ჩამოჯექი, ხიკურ. რატომ დგეხარ, მე სადაური სტუმარი ვარ, — უთხრა ჰაბიჯმა.

როცა ხიკური მოშორებით დაჯდა, მან განაგრძო:

— მე იმის გასაგებად მოვედი, თუ როგორ იცხოვრებთ შემდეგში. გასულ წელს ვერ მოვახერხე დაგხმარებოდი, მაგრამ ახლა, თესვის დროს შენს მინდორზე აუცილებლად მოვიყვან კამეჩს.

— შენ უკვე რამდენჯერ დამეხმარე, ჩემო სინათლეე, — უთხრა ხიკურმა და მადლობით სავსე თვალებით შეხედა ჰაბიჯს, — ქვეყანაზე კეთილი ადამიანებიც არიან. აი, გუშინაც მოვიდნენ მეზობლები, მიწის შოხვნას შემპირდნენ. მადლობა, მადლობა კეთილ ადამიანებს. მხოლოდ მათი შემწეობით ავიღე გასულ წელს კარგი მოსავალი.

— მიატან კი შემოდგომამდე, ახალ მოსავლამდე?

— მივაღწევ, ვფიქრობ, ზამთრისათვისაც დამრჩება ცოტაოდენი.

— კარგია, თუ ასეა! — ურწმუნოდ გააქნია თავი ჰაბიჯმა.

დღე ნელ-ნელა იხრებოდა საღამოსაკენ.

ციბრუტივით ტრიალებდა ხიკური თავის პატარა ოჯახში. შეწვა ქათამი, მოამზადა ელარჯი. ვახშმად მეზობელმაც შემოიარა და ხიკური ორთავეს გულუხვად გაუმასპინძლდა. ჰაბიჯს ოჯახის უფროსსავით ეჭირა თავი, გაშხლართული იჯდა და ყველაფერზე ლაყბობდა, რაც კი თავში მოუვიდოდა, — წარსულსა და აწმყოზე, ნათესაურ ურთიერთობაზე, — როგორი არის და როგორი უნდა იყოსო.

ის გლეხი იყო, მაგრამ თავისი შეძლებით ზოგიერთ თავადსა და აზნაურს არ ჩამორჩებოდა. მათთან მეგობრობა ძალიან ადიდგულებდა. თუ იგი თავის გაზრდილს, თავადმსუსტს დაიფიცებდა, მაშინ, როგორც იტყვიან, წვეთს არ ჩაუშვებდა პირში.[1] სახელოვანი თავადური გვარის ადამიანების წინაშე მზად იყო შუბლი გაეტეხა. რასაც არ უნდა შეხვეწოდნენ, თავადებთან ჰაბიჯი არასოდეს არ დაჯდებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა შემთხვევას თავისი მონური მორჩილება გამოეხატა, რისთვისაც თავადურ წყალობას ღებულობდა.

ჰაბიჯმა ნელ-ნელა მოიპოვა ძალაუფლება. ყველაფერი შეეძლო! გლეხები ხშირად თხოვდნენ ხან მოპარული ცხენის, ხან ძროხის პოვნას. ჰაბიჯი ხელს ჰკიდებდა საქმეს და მართლაც პოულობდა. ხანდახან ეს მისთვის ძნელი არ იყო — თავის მიერვე მოპარულ პირუტყვს აბრუნებდა. თავისთავად ცხადია, რომ გლეხები სამსახურს სამმაგად უხდიდნენ. ყველა ისწრაფოდა მასთან დამოყვრებას. დღესასწაულებზე ჰაბიჯი თავადებზე ცოტათი ნაკლებ ძღვენს იღებდა. მის გლეხურ ეზოს მამულს ეძახდნენ.

ჰაბიჯი ორმოც წელს იყო მიღწეული, მაგრამ ჯერ კიდევ უცოლოდ

---

[1] ე. ი. თავისი სიტყვის ერთგული იყო.

დადიოდა. ახლობლები გადაეკიდნენ, დაცოლშვილდიო. იგი დაპირებებს დაპირებებზე იძლეოდა. წლები მიდიოდა, მაგრამ ყველაფერი მაინც ძველებურად რჩებოდა. ჰაბიჯი ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ჭაღარა კიდევ არ შეხებოდა მის თავს, ავად არასოდეს არ ყოფილა. ის იყო ნამდვილი მამაკაცი, მაგარი და ჯანღონით სავსე. რომელი გლეხის გოგო არ გაჰყვებოდა სიხარულით მას. ჰაბიჯი კი ყოყოჩობდა, ქედმაღლობდა, ულამაზეს ქალიშვილებსაც კი არად აგდებდა, ყველას უპოვნიდა ხოლმე რაიმე ნაკლს. ხალხმა იცოდა მისი წუნიაობის ნამდვილი მიზეზი — იმდენად ლამაზი გოგო კი არ სჭირდებოდა ჰაბიჯს, რამდენადაც „კარგი გვარი". გლეხის გოგოებს ზემოდან დაჰყურებდა, თავადებისა და აზნაურების ქალები კი,—რომელთაც იგი მარჯვედ და პირმოთნეობით ეარშიყებოდა, — თაკილობდნენ, როგორც გლეხს. ასე დარჩა ჰაბიჯი უცოლოდ და ეს აღიზიანებდა დედამისის ნათესავებს — რძალი გაათავისუფლებდა დედაბერს ოჯახში მძიმე სამუშაოებისაგან.

... დიდებულად მიცურავდა ცაზე ვერცხლისფერი მთვარე და მისი შუქი ფაცხის დაწნული კედლებით მრავალ პატარა მთვარეებად დანაწილებული, ეცემოდა მიწურ იატაკს, ხიკურს მიკრულ მძინარე ბავშვებს, ზღურბლთან ფხიზლად მთვლემარე ერთგულ ძაღლს.

ხიკურმა დიდხანს ვერ შეძლო დაძინება, შეშფოთებული იყო, რომ დღეს ვეღარ მოასწრო ბოსტნის დაბარვა. მისი ფიქრები ჰაბიჯზე გადავიდნენ, გაახსენდა მისი მზადყოფნა დახმარებოდა ქალს მძიმე წუთებში. ხიკური დამშვიდდა, მაგრად ჩაიკრა ბავშვები და ჩაიძინა.

...მთვარე მაღლა იდგა ცაზე. ჰაბიჯის ცხენმა თავი ანება ბალახის წიწკნას და ადგილზე გაირინდა ღამის სიგრილისაგან აერჟოლებული. გამოძინებული ძაღლი ფაცხიდან ეზოში გავიდა. მხოლოდ პატარა ლეკვი წკმუტუნებდა საწოლის ქვეშ, სხვა არაფერი არღვევდა ღამის ნათელ სიჩუმეს.

მამლებმა ერთხელ დაყივლება მოასწრეს, როცა ხიკურს უეცრად გამოეღვიძა და შეძრწუნებულმა წამოიკივლა. ხიკურის საპატიო მოყვარე ჰაბიჯი საცვლების ამარა შის საწოლზე იჯდა.

— რა განიზრახე? — აკანკალებული ხმით შეეკითხა ქალი, საბანში გაეხვია და შეევედრა: შემიბრალე, შემიბრალე!

— წყნარად... ბავშვებს გააღვიძებ, — წაიჩურჩულა ჰაბიჯმა და პირზე დააფარა თავისი მძლავრი ხელი.

— არ გაბედო, არ მომეკარო, — სულისხუთვით შესთხოვდა ქალი.

— რას ამბობ, რას? — ისმოდა ღამეში ჰაბიჯის საზიზღარი, დამტკბარი ჩურჩული. — ნუთუ არავინ გიყვარს ქვეყანაზე? ვერა მცნობ? ეს მე ვარ შენი ჰაბიჯი! — და ხელი შეაცურა საბნის ქვეშ.

ხიკური უფრო მაგრად გაეხვია საბანში, კედელს მიეკრო და ხელი ჰკრა.

ჰაბიჯმა ააგლიჯა საბანი, ძალით მიიზიდა გონებადაკარგული ქალი, არაფერმა არ უშველა: არც ცრემლებმა, არც წინააღმდეგობამ, არც ხვეწნამ, არც მუქარამ. მშიერი მგელი განა დაინდობს თავის მსხვერპლს?!

სასოწარკვეთილმა ხიკურმა ცრემლებში გაატარა დარჩენილი ღამე... წელიწადზე მეტი გავიდა.

ჰაბიჯი ხშირად აკითხავდა ხიკურს და მეზობლები ამაში ცუდს ვერაფერს ხედავდნენ, — ისინი უქებდნენ ჰაბიჯს ღარიბი ქვრივისადმი ნათესაურ მზრუნველობას.

დილაადრიან ხიკურმა მხარზე სიმინდით სავსე ტომარა გაიდო და წისქვილში გასწია. მეწისქვილე შეპირდა, რომ საღამომდე დაფქვავდა. ხიკური იჩქაროდა ბავშვების გამოღვიძებამდე დაბრუნებას. მის სახლსა და წისქვილს შუა დიდ ხშირ ტყეში გადიოდა ფართო გზა, რომელზედაც ორი მხედარი შენიშნა ხიკურმა. ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ. ერთ-ერთ მათგანში ხიკურმა ჰაბიჯი შეიცნო, მეორე კი უცნობი იყო.

— ღილა მშვიდობისაᲒ ხიკურ! საიდან მოდიხარ ასე ადრიანად? — ცხენი შეაჩერა ჰაბიჯმა.

ჰაბიჯის თანამგზავრმა დაუქირა ცხენს სადავე.

ხიკურმა უპასუხა: წისქვილიდან ვბრუნდებიო. გვერდზე გადახვევა უნდოდა—ფეხშიშველი იყო და მამაკაცების წინ უხერხულად გრძნობდა თავს. მაგრამ ჰაბიჯი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან. მის მაგალითს მიჰბაძა მისმა თანამგზავრმაც, რომელსაც ჰაუდი ერქვა. ჰაბიჯმა მას გადასცა თავისი ცხენის აღვირი, თვითონ ხიკურს გაუყარა ხელი და მასთან ერთად გაიარა მთელი გზა სახლამდე, თან ქალს ყურში საიდუმლოდ ბნელ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა.

მათ უკან მომავალ ჰაუდს ცხენები მოჰყავდა და თვალს არ აშორებდა ხიკურს.

როცა სამივენი სახლში შევიდნენ, ჰაბიჯმა განსაკუთრებული მნიშვნელობით მიმართა ჰაუდს:

— გთხოვთ დაბრძანდეთ!

ხიკურმა კაბა გამოიცვალა, ფეხზე ჩაიცვა და საქმიანობა დაიწყო, მაგრამ ყველაფერი უვარდებოდა ხელიდან. ქალმა თავის ოჯახში მიიღო ჰაუდი, როგორც სტუმარს შეეფერება და ისე ეჭირა თავი, თითქოს არ იცოდა, რისთვისაც იყო მოსული. ისე კი ხვდებოდა, რაშიც იყო საქმე. ჰაბიჯი გადაკრულ სიტყვებს ჯერდებოდა, ჰპირდებოდა უფრო გვიან დაწვრილებით მოეთხრო, მაგრამ ისიც, რაც მან თქვა, საკმარისი იყო, რომ ქალს მთელი ქვეყანა შეზიზღებოდა.

ჰაბიჯი თავისი ურცხვი, ღიაფერის თვალებით აშტერდებოდა ხან ხიკურს, ხან ჰაუდს, თითქოს თავისი ცქერით აკავშირებდა ერთმანეთთან, მაგრამ ხიკურს ერთხელაც არ შეუხედნია სტუმრისათვის, თუმცა

გრძხობდა, რომ იგი განუწყვეტლივ უთვალთვალებდა მის ყოველ მოძრაობას.

— გავიდეთ, ხიკურ, პირისპირ მინდა მოგელაპარაკო, — მოურიდებლად განაცხადა ჰაბიჯმა.

თავდახრილი ხიკური მორჩილად გაჰყვა ეზოში. ისინი ღობესთან მივიდნენ, ჰაუდი სარკმლიდან ხედავდა, როგორ იწმენდდა ხიკური ცრემლებს თავსაფრის წვერით, მაშინ როცა ჰაბიჯი მოუთმენლად ტკეპნიდა მიწას და რაღაცაში დაჟინებით არწმუნებდა ქალს.

თითქმის მთელი საათი ილაპარაკეს. როცა შემობრუნდნენ, ჰაბიჯს თვალები უბრწყინავდა, ხიკური კი პირქუში სახით ჩუმად დაჯდა კუთხეში.

ჰაბიჯი ჰაუდის გვერდით დაეშვა სკამზე. სიჩუმე ჩამოვარდა.

— წავიდეთ! — თქვა ბოლოს ჰაბიჯმა.

სტუმრები ეზოში გავიდნენ და ცხენებს მოახტნენ.

გვიანი საღამოა. ხიკურის ჭიშკართან უკვე დიდიხანია ბოლავს ~~ძალ-~~ ხა, თავის ბაგას თხოულობს, მაგრამ არავინ უშვებს შიგ. მხოლოდ პატარა ხბომ მიირბინა ღობესთან. ძროხამ თავი გადმოჰყო და თავისი ხორკლიანი ენით დაუწყო ლოკვა, თან კი დახშული კვნესის შაგვარ ხმებს გამოსცემდა. ვინ შემოუშვებს მას? ვინ შეუმსუბუქებს რძით გავსებულ ჯიქანს? არ ესმის დიასახლისს თავისი ერთადერთი მარჩენალის ძახილი. მთელი საღამო იტირა ხიკურმა, სამყარო ღამეზე შავი ეჩვენებოდა. ასევე ფარულად, ადამიანებისაგან შალულად, გულმოკლული დასტიროდა იგი თავის გარდაცვლილ ქმარს.[1]

მული და და ფუსფუსებდნენ მის გარშემო, მაგრამ ხიკური სასოწარკვეთილი იყო.

— ჩუმად, ვიღაც მოდის! — წამოიძახა მულმა, გავარდა ეზოში და იმ წამშივე შემობრუნდა შეშინებული.

— ისინი არიან!.. — წაილუღლუღა აცრემლებულმა.

ეზოში შემოვიდნენ მხედრები — ჰაუდის ამხანაგები. მათ უნდა გაეცილებინათ პატარძალი. ორნი კიბესთან ჩამოხტნენ ცხენებიდან, დანარჩენები კი ნახევარწრედ დადგნენ ჭიშკართან.

ხიკური მივარდა ბავშვებს და მხურვალედ ჩაიკრა გულში. მათ გაიღვიძეს, უბედურება იგრძნეს, ყვირილი დაიწყეს და დედას ჩაებღაუჭნენ. ოი, დარდო, ოი, უბედურებავ! ხიკური ბავშვივით აქვითინდა. და მული ბრმებივით აწყდებოდნენ აქეთ-იქით ოთახს.

---

[1] ადათის მიხედვით არ შეიძლებოდა ცოლს დაეტირა გარდაცვლილი ქმარი, ისევე როგორც ქმარს გარდაცვლილი ცოლი.

მგელივით გაავებულმა გადმოაბიჯა ჰაბიჯმა ზღურბლზე, მტირალი ქალების დანახვაზე გაშმაგებულმა დაიღრიალა:

— ეს კიდევ რაღაა? — მიბრუნებული ქალები სასწრაფოდ იწმენდდნენ ცრემლებს თავსაფრის ბოლოთი.

— არა გრცხვენიათ?! იქ ხალხი იცდის! — შფოთავდა ჰაბიჯი.

ქალები, საწყალი ქალები... ყინულის მძიმე ლოდად იდვა უბედურება მათ მკერდში. რა გაადნობს მას? ჰაბიჯს არაფრის გაგონება არა სურდა. მოაშორა დედა ბავშვებს და გაათრია სახლიდან.

დილით ჰაბიჯმა შეშფოთებული სახე მიიღო და მტკიცე გადაწყვეტილებით შევიდა სოფლის სამმართველოში.

— გამარჯობა, ჰაბიჯ! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — წამომდგარი მიესალმნენ მას მამასახლისი და მწერალი.

— დასხედით, დასხედით, ღვთის გულისათვის,—მოწყალებით თქვა ჰაბიჯმა, სკამი მაგიდასთან მისწია და ჩამოჯდა.

— გაიგეთ, წუხელ რა მოხდა?—დაიწყო მან,—ხიკური ჰაუდს გაჰყვა ცოლად! დიახ, დიახ, უბადრუკ და არაფრის მაქნის ჰაუდს! დაყარა თავისი ბავშვები ღვთის ანაბარა! როგორ მოგწონთ?

მამასახლისმა და მწერალმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

— ხიკური? — წამოიძახა მამასახლისმა. — როგორ უნდა მომხდარიყო ეს?

— თვალში მოუვიდა ჰაუდი და საქმეც გაიჩარხა. არავის არ ჰკითხა, მეც კი არ ვიცოდი! — ჰაბიჯის ხმაში აღშფოთება გამოკრთა.

— კი მაგრამ ბავშვებს რა ეშველებათ ახლა? — შეეკითხა მამასახლისი და ცდილობდა სახეზე წყენა გამოეხატა, რომელსაც, უნდა ითქვას, სრულებითაც არ განიცდიდა.

— ვერაფერი მომისაზრებია... — მხრები აიჩეჩა ჰაბიჯმა, — ნამდვილად უბედურება დამატყდა თავს... რამდენი საზრუნავი! როგორ მოგწონთ თქვენ ეს? თავის სასურველთან წასვლისას გამომიცხადა: ჩემი სახლი და მეურნეობა როგორც გინდოდეს ისე მოიხმარეო... ჰა? გაგიგონიათ?!

— აი, კუდიანი! პატარები მიატოვა! აი-აი-აი! — ერთხელ კიდევ გამოხატა თავისი აღშფოთება მამასახლისმა და მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა. მწერალმა ქაღალდების ალაგება დაიწყო მაგიდიდან.

—წავიდეთ, — უთხრა მამასახლისმა მწერალს, როცა მან დაამთავრა თავისი საქმე, — საჭიროა ქონების აღწერა, სანამ არ დაუტაცნიათ.

— დიახ, დიახ, დაუყოვნებლივ, და დაინიშნოს მეურვე, — სასწრაფოდ დაუმატა ჰაბიჯმა.

მამასახლისმა და მწერალმა ყურიც არ ათხოვეს ჰაბიჯის ამ შენიშვნას.

— მომისმინეთ! მე ვამბობ: საჭიროა მეურვის დანიშვნა, — გაიმე-

ორა მან და მოუსვენრობა დაეტყო. შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რომ მამასახლისი არ იწვევდა თან.

— აბა, ჩვენ რისთვის მივდივართ? — შეუღრინა მამასახლისმა და მტრულად შეხედა ჰაბიჯს.

— თუ თქვენ ამისათვის მიდიხართ,—დაიყვირა მრისხანებისაგან წამოჭარხლებულმა ჰაბიჯმა, — მაშინ მე რატომ არ მიწვევთ. მამასახლისო, ხომ არ აპირებ მთელი ჩვენი სოფლის შეურვედ გახდომას?

— რას ამბობ, ჰაბიჯ? საიდან მოიგონე, რომ მე მინდა მეურვეობა?— მაშინვე დაშოშმინდა მამასახლისი. რაც არ უნდა იყოს, მდიდარ და გავლენიან ჰაბიჯთან წაჩხუბება სისულელეა.

უნდა ვაღიაროთ, რომ მეურვეობა შემოსავლის ხელსაყრელ წყაროს წარმოადგენდა და მამასახლისიც არავის უთმობდა სოფელში ამ უპირატესობას. მაგრამ მტრის შეძენა უფრო ადვილია, ვიდრე მოყვრისა — მამასახლისი დაეწია წინ წასულ გაბრაზებულ ჰაბიჯს და დაიწყო მასთან გაცხოველებული მოლაპარაკება. წუთიც არ გასულა, რომ საქმე მოგვარდა — მეურვედ ჰაბიჯი დაინიშნა.

ასე შემობრუნდა უსამართლობა ჰაბიჯის საკეთილდღეოდ. ხიკურის ქონება თავისი სურვილისამებრ მოიხმარა. ახლა კანონიერ საფუძველზე გაქურდა და გაძარცვა იგი. ყველა ნაგებობა გაჰყიდა, პირუტყვი მიითვისა, ვენახის შემოსავალი ჩაიჯიბა. ხიკურის ბავშვები საცოდავად ცხოვრობდნენ ჰაბიჯთან: მუდამ მშიერნი, დაფლეთილნი, დაუბანელნი, მათ არ იცოდნენ არც ალერსი და არც ზრუნვა.

ხიკურმა კი ვერ გადაიტანა ბავშვებთან განშორება, ჩამოჭკნა და ჩქარა გარდაიცვალა.

გავიდა წლები. ხიკურის ვაჟები ჯათი და ჯანხვათი დავაჟკაცდნენ, ხშირი წვერი ამშვენებდა მათ სახეებს. უფროსი, ჯანხვათი ალვისხესავით აიშოტა, ბოხი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ ხასიათით გულუბრყვილო და მიმნდობი იყო. არავის გაუგია, რომ ვინმეს წალაპარაკებოდეს.

უმცროსი, ჯათი, ტანით ძმაზე დაბალი იყო, მაგრამ ბუნებამ არც მას აწყენინა — დაასაჩუქრა მძლავრი მხრებითა და მკერდით, მაგარი და ღონიერი კუნთებით. სიმამაცეში კი ჯათი ცოფიან ძაღლსაც არ ჩამორჩებოდა. ჰაბიჯის წაქეზებით, რომელსაც მაგრად ეჭირა იგი ხელში, ჯათმა არა ერთი და ორი ბნელი საქმე ჩაიდინა. სასოფლო გზებზე ხალხს ძარცვავდა და მუდამ დაჰქონდა ქამარზე ჩამოკიდებული თოკი იმ შემთხვევისათვის, სხვისი საქონელი თუ შეხვდებოდა.

ერთხელ ღამით ყინვამ დაარტყა და ისე მძლავრად შემოესალტა დედამიწას თავისი სუსხიანი მოხვევნით, რომ თითქოს მიწა საცაა გასკდება და ნაწილები გაიფანტებაო. ასეთ ღამეში მხოლოდ თბილ სახ-

ლებში სძინავთ. ღარიბები კი, თავიანთ ფარღალალა ბინებში ლოგინზე ტრიალებენ და ფეხებს ჰკუნტავენ გასათბობად.

ჯათი ამჯერად ჩვეულებრივზე ადრე ადგა — რიჟრაჟი იყო. სამზადში ცეცხლი გააჩაღა, შალის მაღალყელიან წინდებზე ძროხის ტყავის ვიწრო წუღები ჩაიცვა და შალის გრძელ ხალათში შეძვრა. მხოლოდ ამის შემდეგ შეთბა ცოტათი.

ნელ-ნელა ამოდიოდა მეწამული მზე, ჯერ ბაღი გაანათა, შემდეგ გარშემო ტყეები, ბოლოს მინდვრები და მდელოები. თანდათან გამოცოცხლდა ყველაფერი, მზის სხივებით განგმირული დილის ბურუსი ზეცისკენ მიიწევდა.

სამზადში მოგროვდნენ ჯანხვათი, ჰაბიჯი და მისი მცივანი დედა, რომელიც შავ თავშალში იფუთებოდა. ისინი ცეცხლის გარშემო დასხდნენ. ჯათს საქონლის გასაშვებად უნდოდა გასვლა, როცა კარი გაიღო და შემოვიდა ძმების ახლობელი ნათესავი ჩიქმიჟი. ძაღლებსაც კი არ დაუყეფნიათ. ისე ფრთხილად მოსულიყო იგი. ჯათი და ჯანხვათი გახარებულნი წამოდგნენ მათთვის პატივსაცემი სტუმრის შესახვედრად. რაღაც უბედურება მოხდა ალბათ, ჩიქმიჟი რომ ასე ადრე მოვიდა.

— რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა? — შეეკითხა ჯათი.

— დიახ, — ამოოხვრით უპასუხა ჩიქმიჟმა, — მძიმედ ავად გახდა მამაჩემი. საჭიროა ოჩამჩირეში საჩქაროდ წაყვანა — და გაუბედავად თქვა, — ფული კი არ მყოფნის...

გარდა ჯანხვათისა ყველა მიხვდა, რომ იგი ფულის სასესხებლად მოვიდა.

— ეჰ, ცოდვაა მოხუცი ედგი, — მოჩვენებითი თანაგრძნობით გამოეხმაურა ჰაბიჯი, — მისი სუსტი ჯანისათვის საშიშია ავადმყოფობა, — და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა, რისთვისაც იყო მოსული ჩიქმიჟი.

— გარეთ სასტიკი ქარია, ფრთხილად იყავით. გზაში არ გაცივდეს მოხუცი, — თქვა ჯანხვათმა.

— ო, რა უბუდურებაა! რითაა ავად? — თანაგრძნობით გააქნია თავი ჰაბიჯის დედამ.

ჩიქმიჟი თავდახრილი იდგა, „როცა ადამიანები ასეთი თავაზიანები არიან, ეს ნიშნავს, რომ დახმარებაზე უარს არ მეტყვიან", — ფიქრობდა იგი.

— ფულს მოგცემთ, — მოულოდნელად თქვა ჯათმა.

ჩიქმიჟს სახე გაუნათდა.

— აი, ეს კარგია, ჩემო შვილებო. ადამიანები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ უბედურებაში, — შეაქო ჰაბიჯმა ჯათი და თბილი ხმით დაუმატა, — მიეცით ჩიქმიჟს ფული, მიეცით, თუ გაქვთ შემონახული...

ჩიქმიჟი მიხვდა, საითაც უმიზნებდა ჰაბიჯი და მისი სახე ისევ მოიღრუბლა. ჯათიც მოიღუშა და აშკარა წყენით უთხრა ჰაბიჯს:

— მე შენი იმედით ვთქვი ფულზე.

როგორც ჩანს, ჰაბიჯსაც საწყენად ეჩვენა საკუთარი სიტყვები და თავის მართლება დაიწყო:

— საიდანა მაქვს ფული, ყმაწვილო? ხომ იცი, რომ ცარიელ-ტარიელი ვარ თითივით.

ჯათი აენთო, მაგრამ არ შეედავა.

— მე მეგონა, გქონდა ფული, — შენიშნა მან, — ჩიქმიჟი კი ჩვენი ნათესავია და...

— რომ მქონდეს, რატომ არ უნდა მივცეთ? შენი ნათესავი იგივეა, რაც ჩემი ნათესავი. პირველი დღე არაა, რაც მიცნობ.

— გიცნობ, დიდიხანია გიცნობ, — გაბრაზებით ჩაიბუტბუტა ჯათმა და შეშა შეუკეთა ცეცხლს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ჩიქმიჟი ხმადაბლა მიუბრუნდა ჰაბიჯს:

— უფრო მეტი იმედი შენი მაქვს, ვიდრე ამათი, პატივცემულო ჰაბიჯ და მწამს, რომ უარს არ მეტყვი. თავადაც იცი, რას ნიშნავს, როცა უბუდურება დაგიკაკუნებს კარზე. მე მზადა ვარ საურავი გადავიხადო.

— ო, ასე რატომ ამბობ, შვილო? არა გრცხვენია, საურავს მთავაზობ, თითქოს უცხო ვიყო?! რომ მქონდეს ფული, აი ჩემს ვაჟებს ვფიცავ, წუთსაც არ დავფიქრდებოდი, ისე ჩაგიდებდი ჯიბეში. მე გარეშეებს ვაძლევდი ფულს სესხად, შენ კი ჩვენიანი ხარ! მაგრამ დაიჯერე, ახლა კაპიკიც არა მაქვს.

ჰაბიჯმა ერთხელ კიდევ დაიფიცა ჯათისა და ჯანხვათის სახელი, კიდევ ერთხელ უთანაგრძნო ჩიქმიჟს, მაგრამ ფული მაინც არ მისცა.

— რაღა დამრჩენია, ბედნიერად იყავით, — თქვა ჩიქმიჟმა და თავჩაქინდრული გავიდა.

ჯათი არც ისე სახუმაროდ გაბრაზდა. რამდენჯერ გაუგონია ჰაბიჯისაგან, „მე არ მყავს ნათესავები, არც ვაჟი, არც ქალი, თქვენა ხართ ჩემი ვაჟები და მთელი ჩემი იმედი!“ ახლა დადგა შემთხვევა დარწმუნებულიყო, რომ ეს ყველაფერი ცარიელ სიტყვებს წარმოადგენდა. „თუ მას არ უნდა ნათესავ კაცს მძიმე წუთებში დაეხმაროს, თუ უარს ამბობს რამდენიმე მანეთის სესხებზე, მაშ რაღა „მამაა“ ის ჩვენი?“ — ფიქრობდა ჯათი. ჰაბიჯის მიმართ უფრო და უფრო ღიზიანდებოდა „იგი უსინდისო, სულმდაბალი და მატყუარა კაციაა!“ — ასეთი იყო მისი მწუხარე ფიქრების ნაყოფი.

ჰაბიჯი თითქმის მიუხვდა ჯათის, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ყალბი ომახიანობით წარმოთქვა:

— აბა, შვილებო, დღეს შეშა უნდა ვზიდოთ! ხედავთ, ამინდი ფუჭ-

დება. როგორც ჩანს, წელს დიდი თოვლი მოვა. შემდეგ რომ არ ვიწ-ვალოთ, მოდით, ადრიანად მოვიმარაგოთ შეშა და ჩალა.

— ურემი და კამეჩები მზადაა. შეშას და ჩალას მოვიტანთ, ამით საქმე არ დაბრკოლდება. მაგრამ ჯერ ჩემი საწყენი უნდა გითხრა, — შესამჩნევი აღელვებით მიმართა ჯათიმ.

— რა მოხდა, ვაჟო? შეურაცხყოფა მოგაყენა ვინმემ? ბოროტი სიტყვა გითხრა?

— შენ მაწყენინე.

— მე? როდის, ვაჟო? რა ჩავიდინე?

— ჩქარა ივიწყებ... რატომ არ მიეცი ფული ჩიქმიქს? შენ ხომ იცი, რომ იგი ჩვენი ახლობელია.

ჰაბიჯმა შემპარავი ალერსით უპასუხა:

— მაგრამ მე არ მყავს ქვეყანაზე არავინ თქვენზე ახლობელი! თქვენ ჩემი ღვიძლი შვილები ხართ, მხოლოდ თქვენ! მე თვითონ აღგზარ-დეთ. მიმოიხედეთ ჩემს ოჯახში: სახლიც, ღობეც, ეზოც, მიწაც, საქო-ნელიც — ყველაფერი თქვენია, ყველაფერი, ფული, ტანსაცმელი, ავე-ჯი, ჭურჭელი, — ყველა ხეები ციმდიდრე მხოლოდ თქვენთვისაა!

ჯათიმ ცივად უპასუხა:

—არაა კარგი. შენი სიძუნწე ჩამოგვაშორებს მეგობრებსა და ნათე-სავებს, რას იტყვის ჩვენზე ხალხი?

— არა, შვილო, მე გულით მიყვარს ჩიქმიქი, მაგრამ თქვენ, ჩემი აღზრდილები, უფრო ძვირფასნი ხართ. ფულს, თუ შენახული მაქვს, ვუფრთხილდები თქვენთვის, შავი დღისათვის!

მაგრამ ჰაბიჯის შეგონება უკვე აღარ მოქმედებდა ჯათიზე. წყენა ცივ ტყვიად დააწვა მას გულზე. ჰაბიჯი კი არ ცხრებოდა:

— ჰო, შვილო, ეს ფულები თქვენია და სხვას არავის არ მივცემ. დაე, გფარავდეთ მაღალი ღმერთი ჩემს გასახარად! — ჰაბიჯმა თვალები აღაპყრო ჭერისაკენ და ლოცვა ჩაიბუტბუტა.

ისევ მოვიდა გაზაფხული. მზე ისევ ალერსიანად და ნაზად ათბობდა ამწვანებულ დედამიწას. ასეთ დროს სუნთქვაც კარგია და მუშაობაც.

ჯათიმ და ჯახვათიმ დახნული მინდვრისათვის ახალი მესრების შე-მოვლება განიზრახეს, რათა საქონლისაგან დაეცვათ იგი. ტყეში შესა-ფერი ხე იპოვნეს, ჯათი ზედ აძვრა მარგილებისათვის მსხვილი ტოტე-ბის მოსაჭრელად. ჯახვათიმ იქვე მოშორებით დაიწყო წნელის მოჭრა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და მუშაობა წინ მიდიოდა. ამით გატაცებუ-ლი ჯათი დასხლტა როკზე და თავით გადმოეშვა ძირს. მისი ხელები უმწეოდ ებღაუჭებოდნენ ჰაერს და იგი პირდაპირ დაასკდა ახლად წა-

თლილ მარგილის წვერს, რომელიც თითქოს განგებ ამოშვერილიყო ხის ძირას.

გაისმა მოკლე შეყვირება. მთელი ძალით გამოიქცა ჯანხვათი ძმისაკენ. ჯათი გაუნძრეველად იწვა. ცრემლებმა იფეთქა ჯანხვათის თვალებიდან. აი, როდის მოვიდა ნამდვილი უბედურება, თავს დაატყდათ ჭეშმარიტი მწუხარება!

ჯათიმ წვალებით გაახილა თვალი.

— მიშველე, — ძლივს გასაგონად დაიკვნესა და ტანჯვა აერეკლა სახეზე.

ცრემლებით გაღვრილმა ჯახვათიმ ძმა მხარზე აიკიდა და ფრთხილად წავიდა შინისაკენ.

ჰაბიჯმა შორიდან დაინახა ჯახვათი თავისი ტვირთით და შესახვედრად გამოექანა. როცა დაჭრილი სახლში შეიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს, ჰაბიჯმა მოთქმა-გოდება დაიწყო:

— ო, ო, ეს რა გვიქნინ? როგორ ვიცხოვრებთ უშენოდ?! ყველაფერი გაცამტვერდა, უღომოდ დავრჩებით.

მაგრამ რაც უფრო ხმამაღლა მოთქვამდა, მით უფრო ეტყობოდა, მაინცდამაინც არ აწუხებდა ჯათის უბედურება.

ბარძაყი ჰქონია გადატეხილი საწყალს, სხეულზე ავის მომასწავებლად მოსჩანდა მუქი სისხლჩანაქცევები. რა ექნათ? ჰაბიჯმა დაბნეულად გაშალა ხელები. ჯანხვათი ადგილობრივ მკურნალთან გავარდა.

ავადმყოფს დიდხანს და დაჟინებით მკურნალობდნენ, წამლობდნენ როგორც შეეძლოთ, მაგრამ ჯანხვათის იმედი, რომ ძმა ისეთივე ყოჩაღად წამოდგებოდა, როგორც იყო, არ გამართლდა. სიცოცხლით სავსე ჭაბუკი, თავისი ღონით განთქმული დეევგმირი და მოუსვენარი მშრომელი გადაიქცა საცოდავ და უსუსურ ხეიბრად. ძლივსძლივობით მოძრაობდა და კვნესოდა ტკივილების ხშირი შეტევებისაგან. მას შემდეგ არავის უნახავს ჯათის სახეზე ღიმილი, თვალები მუდამ კაეშნით ჰქონდა სავსე. როდესაც ჯანსაღ და ღონიერ თანატოლებს უყურებდა, ჯათი მწუხარე ფიქრებში იძირებოდა. არაფერი არ ართობდა, საჭმელს არ ეკარებოდა. არც იყო მახლობელი ადამიანი, რომ მისთვის ნუგეშისცემა შესძლებოდა. ჭკუამოკლე ჯანხვათი მთლიანად ჰაბიჯის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ჯათს თითქმის არ ჰქონდა იმედი მისი მხარდაჭერისა.

დარწმუნებულმა ჰაბიჯმა, რომ ჯათის ჯანმრთელობა აღარ დაუბრუნდებოდა, მისდამი დამოკიდებულება მკვეთრად გამოცვალა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ იგი ეუბნებოდა ჯათის: „ყველაფერს შენთვის ვინახავ, შენა ხარ ჩემი ვაჟი“. ახლა კი, აშკარად უმტკიცებდა ჯათის, რომ უმჯობესია წავიდეს მამობილის სახლიდან და დამოუკიდებლად იცხოვროს.

როცა ჯათიმ ცოტათი მოიკეთა, თავის თავს უთხრა: „რატომ ვიც-

ხოვრო ისეთ კაცთან, რომელსაც ვამძიმებ? წავალ ჰაბიჯისაგან! როგორმე ვიცხოვრებ". ამოარჩია დრო და განუცხადა ჰაბიჯს, რომ მან გადაწყვიტა მიიღოს მისი ნაწილი ქონებისა და ძმასთან ერთად გადასახლდეს ძველ, მამისეულ მიწაზე.

ჰაბიჯს ამის გაგონებაც არ სურდა. მაშინ ჯათიმ მოიწვია სოფლის უხუცესნი იმ იმედით, რომ ისინი გავლენას მოახდენდნენ ჰაბიჯზე. დაიწყო გაუთავებელი მოლაპარაკება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჯათიმ სასამართლოში იჩივლა. „ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს" —მუქარით უპასუხა ჰაბიჯმა და მაშინვე გასწია თავის გაზრდილთან, ძლიერ თავად მსუსტთან დახმარების სათხოვნელად.

სასამართლომ გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

„ვინაიდან ჰაბიჯმა აღზარდა ჯათი, ამიტომ ჯათს უფლება ერთმევა ჰაბიჯის ქონების ნაწილზე. რაც შეეხება ჯათის მამის მიწას, არსებული ცნობებით, ჰაბიჯმა ამ მიწაზე მთელი მეურნეობა მოაწყო (სასამართლოს მხედველობაში ჰქონდა თამბაქოს ფარდული) და, რასაკვირველია, ჯათის ეს სწრაფვაც უსაფუძვლოა. თუმცა, — ამბობდა შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება, — თუ ჯათის უნდა აუცილებლად იცხოვროს მამისეულ მიწაზე, მას უფლება ეძლევა შეისყიდოს იგი ნაღდ ანგარიშზე, თუმცა მას შემდეგ, რაც ორივე ძმა იმუშავებს ხუთ წელიწადს ჰაბიჯთან მოჯამაგირედ, რათა აუნაზღაურონ მათი აღზრდის ხარჯები"...

სასამართლოს შემდეგ ჰაბიჯმა მოთაფვლა დაუწყო ჯანხვათს:

— მე შენ გიშველე. ყველაფერი, რაც მაბადია, მხოლოდ შენ დაგრჩება. რა საბაბით მიდიხარ? ამაზე არც ახლა იფიქრო და არც შემდეგ...

უნებისყოფო ჯანხვათი ადვილად დაემორჩილა ჰაბიჯს. ასე გასწყვიტა ჰაბიჯმა უკანასკნელი კავშირი ძმებს შორის. ჯათისათვის ეს მეხის დაცემა იყო. სასამართლოს შემდეგაც კი იმედოვნებდა ჯათი, რომ ძმის შემწეობით შესძლებდა წელში გამართვას. მარტოხელა, ავადმყოფი, არაფრის მქონე, უთვისტომო ჯათიმ თავი უდაბნოში იგრძნო. რა ქნას, როგორ იცხოვროს ღატაკმა ხეიბარმა? რჩებოდა ერთი: კრიჭაშეკრულს სოფელ-სოფელ ევლო და გულისშემატკივარი ადამიანების მოწყალებით ეარსებნა...

რამდენიმე წელი კიდევ გავიდა.

ჯათის ჯანმრთელობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ტკივილებს თანდათან იშვიათად გრძნობდა. თითქოს ნელ-ნელა უბრუნდებოდა ძველებური ძალა. მას უკვე შეეძლო ორივე ფეხზე თავისუფლად დგომა, და თუ არც ისე დიდიხნის წინათ, ერთი დღის მუშაობის შემდეგ მთელ კვირას იწვა ხოლმე, ახლა შეეძლო რამდენიმე დღე ემუშავნა ზედიზედ.

მომაგრებულმა ჯათიმ პატარა სახლის აშენებაც განიზრახა. სასურავი მაინც ექნებოდა თავზე! კეთილი ხალხის დახმარებით ჯათიმ ხე-

ტყე მოსჭრა და ჰაბიჯის მამულთან ახლოს, კლდის ძირას ააშენა პატარა ფარდული.

ასე დაიწყო ჯათიმ დამოუკიდებელი ცხოვრება.

თუ დადგებით ჰაბიჯის სახლის აივანზე და გაიხედავთ ხეების ზემოთ, ერთი გასროლის მანძილზე, მთის ფერდობზე ადვილი შესამჩნევია მწვანეში ჩაფლული პატარა შენობის სახურავი. ჰაბიჯის სახლსა და სახურავს შორის გაზრდილი ტყე უშლის განსაზღვრას, თუ რა სახის ნაგებობაა ეს. უფრო ზევით, მთაზე გადაჭიმულია თამბაქოს ღეროების სწორი მწკრივები, აქედან შეიძლება დაასკვნა, რომ მწვანეში ჩამალული შენობა ალბათ თამბაქოს ფარდულია. მას ახურავს ძველი, ჭვარტლისაგან გაშავებული და ზოგან ახალთ-ახალი კრიალა ყავარი, რაც სახურავს აძლევს მკვეთრად გამოსახულ მშვენიერ სიჭრელეს.

ეს შენობა ჯათის ემსახურება სახლადაც და ფარდულადაც. დაწნული კედლით გაჰყო იგი შუაზე. ერთ ნახევარში ცხოვრობდა, მეორეში კი, რომელიც თამბაქოს საშრობად იყო განკუთვნილი, თამბაქოს ჩარჩოებს ინახავდა. თამბაქოს პლანტაციიდან მის წინ იშლებოდა ჰაბიჯის მამული; ჯათის გამჭრიახ თვალს შეეძლო ყველაფრის დანახვა, რაც კი ჰაბიჯის ეზოში ხდებოდა.

გვიანი დილა იყო, მზე კარგა მაღლა იდგა, როცა ჰაბიჯი შევიდა თავის ეზოში და ცხენი კიბესთან გააჩერა. ხელში ფრთხილად ეჭირა ფქვილიანი პატარა ტომარა.

— სტუმრები ადგნენ? — შეეკითხა მოსულ გოგოს ჰაბიჯი, ჩამოხტა ცხენიდან და ტომარა გადასცა.

სამზადში ცეცხლი ლაპლაპებდა კერაზე, იქვე ქალები ფუსფუსებდნენ და უხვ სადილს ამზადებდნენ. დიდი შებრაწული დედლები ელაგა მაგიდაზე. ხანშიშესული, გამხდარი ქალი ცეცხლზე შესაწვავად სწრაფად ატრიალებდა ხის შამფურზე წამოგებულ შამალს. თავსაფრით გულმოდგინეთ ჭაღარადაფარული ჰაბიჯის დედა კუთხეში ჩაცუცქული რეცხავდა ჭურჭელს. აქლოშინებულმა ჯანხვათიმ უზარმაზარი გროვა შეშა შემოიტანა და გრიალით დაყარა იატაკზე. შემდეგ მიუჯდა ცეცხლს, აიღო სტუმრების საპატივცემულოდ დაკლული ცხვრის ფეხი და ცეცხლის ალზე დაუწყო შერუჯვა. ჰაბიჯმა თავის ადგილას დააწყო აღვირი და უნაგირი, ათუხთუხებული ქვაბიდან პატარა წვეტიანი ჯოხით ამოიღო ხორცის ნაჭერი, დაათვალიერა, ჯერ მზად არააო, თქვა და ჯანხვათს უბრძანა შეშა შეეკეთებინა ცეცხლისათვის.

თვითონ კი გაემართა სტუმრებისაკენ, რომელთაც ცალკე ოთახი ჰქონდათ დათმობილი.

სტუმრები ზოგი იცვამდა, ზოგი კი ისევ ნებივრობდა ლოგინში.

— ადრე დგებით ძვირფასო სტუმრებო! მოასწრებთ, რატომ იჩქარით! მოისვენეთ! — მიელაქუცა მათ ჰაბიჯი.

ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, ახლახან შემწვარი მსუქანი ქათამივით ქორფა და ფუნჩულა. მას ემჩნეოდა „კარგი აღზრდა“, უფრო ზუსტად კი კარგი კვება. ოთარის ეძახდნენ, თავად მსუსტის ვაჟი იყო.

— მე დაგინახე ცხენზე, — მიუბრუნდა იგი ჰაბიჯს, — სად იყავი ასე ადრიანად?

ჰაბიჯი სიკვდილს უფრო ინატრებდა, ვიდრე იტყოდა, რომ ასე ადრე წისქვილში იყო. თავისი ღირსება რომ არ დაემცირებინა სახელოვანი ადამიანების თვალში, მან გულგრილად მიუგო:

— არსად არ ვყოფილვარ, ძვირფასო. უბრალოდ, ცხენს ვეძებდი.

— წავიდეთ სამზადში, ჩაცმაში ხელს ნუ შევუშლით ხალხს, — თქვა ოთარმა და ჰაბიჯი წინა ოთახში გაიყვანა.

ისინ შეჩერდნენ იქ და დიდხანს ლაპარაკობდნენ დახშული ხმით, დროდადრო იცქირებოდნენ თამბაქოს პლანტაციისა და მწვანეში ჩამალული სახლის ჭრელი სახურავისაკენ. შემდეგ ჩამოვიდნენ კიბეზე, სამზადში შეუსვლელად გაიარეს სახლებს შუა და ხრამში ჩაიმალნენ.

აივანზე ორი მოხუცი სტუმარი გამოვიდა. ისინი მდიდრულ ჩოხა-ახალუხში იყვნენ გამოწყობილნი, მოოქროვილი ხანჯლები და ვერცხლით მოსევადებული დამბაჩები უბრწყინავდათ. მოხუცები მოაჯირზე მაგრად მიკრულ ძელსკამებზე დასხდნენ, ხოლო მესამემ, შემდეგ გამოსულმა ახალგაზრდა სტუმარმა, კარებთან დაიდგა სკამი და პირდაპირ დაუჯდა მათ.

ეზოში ოთარი გამოჩნდა. ახალგაზრდა კაცი მაშინვე წამოხტა ადგილიდან და მიმართა:

— დაბრძანდი, გეთაყვა!

— შენ დაბრძანდი, იუანა, სტუმარი ხარ, — მიუგო ოთარმა, ავიდა აივანზე და იატაკზე მოიკალათა.

სტუმრები საუბრობდნენ. თავისი ტკბილი ხმით გამოირჩეოდა წითური და ცისფერთვალება კუაცია. მეორე სტუმარი ნასუქი ღორივით უზარმაზარმუცლიანი ყაზილბაქი კისერს ვერ აბრუნებდა, მთელი ტანით მოტრიალდებოდა ხოლმე და ამ დროს მის ნიკაპზე ჩამოშვებული კანი ნაოჭებად იკეცებოდა, რაც მას ინდაურს ამსგავსებდა. მისი ვაჟი, წვრილი ჩამოგრძელებულ ნაკვთებიანი სახის გამხდარი იუანა მამას არც გარეგნობით ჰგავდა და არც ხასიათით. სატინის გვერდზე შესაკრავი ბრჭყვიალაღილებიანი ხალათი კოხტად ადგა ტანზე. ხალათის ზემოდან კი თხელი საზაფხულო პალტო წამოესხა. სოხუმში სწავლადამთავრებული იუანა წელს დაბრუნდა შინ.

სტუმრები დაუღალავად მახვილსიტყვაობდნენ მანამდე, სანამ ქალებმა წყლიანი დოქი, საპონი და პირსახოცი არ მოიტანეს. ჩვეულებრი-

ვი ცერემონიებისა და უფროს-უმცროსობის დაცვით სტუმრებმა ხელი დაიბანეს.

ყაზილბაქმა მოიგონა გუშინდელი დიდი ქელეხი, რის შემდეგაც შემოიარეს მათ ჰაბიჯთან ღამის გასათევად.

— კარგი კაცი იყო უბედური ასთანა, ქელეხიც დიდებული გაუმართეს! ძმებიც ერთმანეთზე უკეთესი ჰყავს, — შეაქო მან გარდაცვალებულის ძმები.

— ქელეხი მართლაც კარგი იყო, მაგრამ ჩვენი წასვლის დროა, მამა. — თქვა იუანამ და თავის მსუქან მამას შეხედა.

— რაც სწორია, სწორია, დროა დავიძრათ. უბრძანე ცხენები შეკაზმონ, — მიუბრუნდა ყაზილბექი ოთარს.

მაგრამ ოთარმა იცოდა სამზარეულოს ამბები და უპასუხა:

— სად იჩქარით? დღე ისე გრძელია, რომ ვფიცავ, სამჯერ მოასწრებთ თქვენი საქმეების მოგვარებას, — და მასპინძლების დასაჩქარებლად გავიდა.

ჰაბიჯმა შემოირბინა.

— ძვირფასო სტუმრებო! არ შემიძლია თქვენი ასე გაშვება, არ შემიძლია! გთხოვთ ცოტაოდენი შეიცადოთ. . .

სტუმრები ისევ დასხდნენ შეუკამათებლად, ჰაბიჯი გავიდა და ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა, გამოშვერილ ხელებში ეჭირა საოცარი სილამაზის კარვალური თოფი[1].. დაე, სტუმრები ამის ჭვრეტით დასტკბნენ, სანამ სუფრა გაიშლებოდეს.

თოფი მართლაც საგანგებო ყურადღების ღირსი იყო: ძველებური ნახელავი ვერცხლით დაფარული, ხოლო კონდახი ძვირფასი ქვებით ჰქონდა მოჭედილი.

— ოჰ, რა კაცი ხარ, ჰაბიჯ! —წამოიძახა ყაზილბაქმა, — ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი ძვირფასი ნივთი, რომელიც შენ არ გქონდეს გადამალული. ეს საიდან გაქვს?

ყაზილბაქის აღტაცება იმდენად დიდი იყო, რომ ფეხზედაც კი წამოდგა. ყველამ დაუწყო თვალიერება თოფის ამ იშვიათ ნიმუშს, გაკვირვებულნი და აღტაცებულნი იყვნენ. მხოლოდ ოთარი იდგა გაუნძრეველად. იგი თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა ადამიანის ფიგურას მთაზე, რომელიც გულმოდგინედ მარგლავდა თამბაქოს.

— თოფი გატენილია, დენთის მოყრაღა აკლია! — თქვა ჰაბიჯმა და თოფი და დენთი მიაწოდა ყაზილბექს.

— ეს განა ისერის? — მთიდან თვალმოუშორებლივ. დაცინვით შეეკითხა ოთარი.

---

[1] ძველებური კაჟიანი თოფის სახელწოდება.

— ტყუილად იცინი! — შენიშნა ყაზილბაქმა, — ახლა მახსენდება, რომ ამ თოფით ბაბუაჩემი თურქებს ებრძოდა შავ მდინარეზე.

— შორს ისვრის? — შეეკითხა კოწია.

— შორს! თუ ზუსტად დაუმიზნებ, არასოდეს არ გიღალატებს, —ამ სიტყვებით ჰაბიჯმა დენთი დააყარა თოფის საპირწამლეს.

ყაზილბაქმა ღობესთან თეთრად მოელვარე ქვას დაუმიზნა და ესროლა — ტყვიამ გვერდზე ჩაუქროლა.

— ეჰ, მთლად დავბერდი, ცუდად ვხედავ, — წყენით წარმოთქვა ყაზილბაქმა.

— განა შეიძლება ამ ხარახურიდან სროლა?! მე ხომ ვამბობდი, — ისევ დაცინვით გამოეხმაურა ოთარი.

თოფი ხელიდან ხელში გადადიოდა და ისევ აღტაცებას იწვევდა. ბოლოს იგი ოთარმა აიღო, ლულაში ჩაიხედა და დაუდევრად თქვა:

— ნაჭდევებიც კი არ ეტყობა. . .

— გასტენეთ, მე გავისვრი! ვნახოთ, რა იქნება! — თქვა ამდენხანს გაჩუმებულმა იუანამ.

— მამაშენმა ვერ მოახვედრა და თუ ვაჟიშვილმაც ააცილე, მთელი ოჯახი ჭამთ სირცხვილს, — იხუმრეს დამსწრეებმა.

ჰაბიჯმა სწრაფად გატენა თოფი და მოწიწებით მიართვა იუანას, რომელიც აივნის მოაჯირთან დადგა მოხერხებულად.

უცბად მას ოთარი მიუახლოვდა.

— აი, საით ისროლე! — უთხრა და თითით აჩვენა მთის ფერდობზე მომუშავე კაცზე.

იუანამ გაკვირვებული თვალებით შეხედა ოთარს.

— რას ამბობ, ოთარ! ჭკუაზე ხარ? კაცს ვესროლო, როგორც სამიზნოს?!

მაგრამ ყაზილბაქს მოეწონა ოთარის უხიაგი წამოწყება და მხარი დაუჭირა. კუაცია გაჩუმდა, მისთვის სულერთი იყო — საით და ვის ესროდნენ.

— იქამდე ტყვია ვერც მიაღწევს, — ჩაერია ჰაბიჯი. იგი კანკალმა აიტაცა. ძლივს დამალა თავისი გახელებული სურვილი, რომ იუანას ესროლა მთაზე მომუშავე კაცისათვის.

— როგორ არ მიუწევს! — შეედავა იუანა და ესროლა თეთრ ქვას, რომელსაც მამამისმა დააცილა. ქვა ნამსხვრევებად გაიფანტა.

— გასტენე ხელახლა! — წამოიძახა აზარტში შესულმა იუანამ და ჰაბიჯს გაუწოდა თოფი.

— არა, ახლა ჩემი ჯერია! — ცივად თქვა ოთარმა, გამოართვა ჰაბიჯს თოფი და მშიდროდ მიეკრა აივნის მოაჯირს.

დიდხანს უმიზნებდა.

სამზადიდან ჯანხვათი გამოვარდა.

— არ ესროლოთ, იქ ჯათია! — დაიყვირა მან.

მაგრამ მოისმა თოფის გრიალი. თოხი გაუვარდა ხელიდან ჯათის და მისი ტანი დაგორდა ფერდობზე.

— ა-ა-ااا! ჯათ, ჯათ! დაგლუპეს!—მკერდში მუშტების ცემით წამოიყვირა ჯანხვათიმ და ჭკუაზეშეშლილივით გაიქცა ჭიშკრისაკენ.

ჰაბიჯმა, ოთარმა და ყაზილბექმა გადაიხარხარეს. შეხედა რა მათ, კუციმაც ჩაიხითხითა.

მხოლოდ იუანა არ იცინოდა, თავზე წაივლო ხელი და დაიკვნესა:

— ხომ ვამბობდი — არ გინდათ სროლა...

მაგრამ მას არავინ მიაქცია ყურადღება.

1936

ლევარსა კვიწინია

ლევარსა ბიდას ძე კვიწინია დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარაში 1912 წ. ჯერ კიდევ სოხუმის აფხაზურ საშუალო სკოლაში სწავლის დროს ხელი მიჰყო პოეტურ შემოქმედებით მუშაობას. 1931 წლიდან 1933 წლამდე ლ. კვიწინია მუშაობდა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობაში და გაზეთ «აფსნი ყაფშისა» რედაქციაში.

1933 წელს ლ. კვიწინია შედის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. 1937 წელს იგი კვლავ იწყებს მუშაობას გაზეთ «აფსნი ყაფშისა» რედაქციაში. 1938 წლიდან 1939 წლამდე ლ. კვიწინია აფხაზეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. 1939 წლის სექტემბერში პოეტი-კომუნისტი ლ. კვიწინია გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. 1941 წელს, დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში ჩვენი ქვეყნის საზღვარზე ქალაქ ბელოსტოკში (ამჟამად პოლონეთში შედის) პოეტი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაეცა.

ლ. კვიწინიას ლექსები პირველად დაიბეჭდა 1928 წელს გაზეთ «აფსნი ყაფშისა» დამატება «ეიწვაჯაა»-ში («თანავარსკვლავედი»). ამის შემდეგ იგი სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებსა და პოემებს აფხაზეთის პრესაში.

1932 წელს სოხუმში გამოვიდა კრებული «ქვეყანა იზრდება», რომელშიაც შეეიდა ლ. კვიწინიას პოემები: «პროლეტარი», «ტყვარჩელმშენი», «ლენინი», «მილიონთა ხმა», «კომკავშირი», «ოსმინეთ».

აფხაზური ეპიკური პოეზიის გარკვეულ მიღწევას წარმოადგენდა 1933 წელს ცალკე წიგნად გამოსული ლ. კვიწინიას პოემა «შარიზანი». ამ პოემაში დამაჯერებლად აისახა აფხაზურ სოფელში მომხდარი სოციალისტური გარდაქმნები, ზოგიერთი ძველი ადათ-წესების მავნებლობა და სოციალიზმის გზით მიმავალი ადამიანების მხატვრული სახეები. 1936 წელს დაიბეჭდა ლ. კვიწინიას მეორე დიდი პოემა «დაურ». ეს პოემაც ეხება 30-იანი წლების აფხაზეთის ცხოვრების იმ მნიშვნელოვან მორალურ-ეთიკურ გარდაქმნებს, რომლებიც გამოიწვია სოციალისტურმა სინამდვილემ საბჭოთა ადამიანებში. ლ. კვიწინიას ლირიკაში შესანიშნავად აისახა ჩვენი მრავალეროვანი ეპოქა. მის პოეზიაში დიდი ადგილი უკავია სსრკ-ის ხალხთა მეგობრობის თემას. მან დიდი სიყვარულით მიუძღვნა ლექსები რუსთაველს, პუშკინს, შევჩენკოს, ხეთაგუროვს.

ლ. კვიწინიამ აფხაზური ლიტერატურა გაამდიდრა საბჭოეთის ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმანებით. ლ. კვიწინიას დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზურ პოეზიაში კლასიკური სალექსო ფორმების ათვისებასა და განვითარებაში.

ჩემი აფხიარცა

შენი ხმა ყოერდა ცეცხლივით მწველი,
ღამეშიც სჭექდა შენი ხმა მხსნელი,
ზღვებზეც და მთებშიც ისმოდა ის ხმა,
უსიერ ტყეს და მინდერებსაც მისწვდა.
შენ მუდამ იყავ ჩვენთან, ჩვენს გვერდით,
შენ, აფხიარცა, დღე და ღამ ყოერდი.
შენი ხმა აფხაზს დეევგმირად ხდიდა,
შენი ხმა ბაღში ყვავილებს შლიდა.
შენს ხმას უსმენდა ვაჟკაცთა გული,
მაგ ხმით უფრორე ამხედრებული.
შენ, აფხიარცა, დღე და ღამ ყოერდი,
ბერიკაცებსაც სისხლს უდუღებდი.
შენი ხმა, ჩემო, ისევ ყოერს დღესაც,
ჩვენს ხალხს უმღერის მარჯვეს და მხნესა —
ვით შევარდენი თავს დასტრიალებს,
ხან აქ იფეთქებს, ხან იქ იალებს.
შენი ხმა სწვდება მიწასაც, ცასაც,
ისევ მედგრად ყოერ შენ, აფხიარცა.

1935

მ თ ე ბ ი

მე თქვენ გეტრფით, ძლიერ გეტრფით,
ძველთა ძველო მთებო...
ვეტრფი მე თქვენს ნაკადულებს
მარად საოცნებოს...
მახარებს და მაფრთოვანებს,
ჩუხჩუხით რომ რბიან...
სალამს გამომტაცებენ და
ზღვისკენ ისწრაფვიან.
მე ახლახან თქვენთან ვიყავ,

საყვარელო მთებო!..
დიდხანს, დიდხანს შეგცქეროდით,
ჩემო მეგობრებო...
თვალწარმტაცი თქვენი სახე,
მწყემსები და ფარა,
იუასგან [1] გავიცანი,
იმან შემაყვარა...
მას შემდეგ კი ყრმამ ერცახუს [2]
ფერდობები ვთელე...
ბევრზე ბევრი უკან დამრჩა
ჩანჩქერი და ღელე...
ვნახე გამოქვაბულები,
ვცბუნდებოდი მგზავრი.
გუგუნებდა შიგ ჩემი ხმა,
ვით ვეება ზარი...

თქვენს მწვერვალზე ვდგავარ დღესაც,
მგონი ვწვდები ზეცას.
ძირს დავცქერი ზღვის და მინდვრის
ლურჯად გაშლილ ზეწარს...
თვალწინ მიდგას მე აქ ახლა
თქვენი მეგობარი...
მისი ლექსის მაგონდება
ერთი მძაფრი პწკარი.
დევნილი და ჭირნახული
ის სადღაა ახლა...
დრომ კი მისი სიმღერები
ისევ განაახლა...
ის ძველ რუსეთს აუჯანყდა,
ბნელეთს აუჯანყდა.
მკაცრზე მკაცრი მისი ლექსი
ჭექა-ქუხილს ჰგავდა...
ოქტომბერის ქარიშხალით
ის დრო წაილეკა...
დღეს რუსეთი, სხვა რუსეთი
დიდი ზარით რეკავს...
ჰყვავის, ხარობს ფრთებგაშლილი,

---

[1] იუა კოლონია — აფხაზი პოეტი.
[2] ერცახუ — მთაა აფხაზეთში.

უშიშარი, ლაღი...
მას სახელი ერთი ჰქვია:
-— კომუნიზმის ბაღი...
თქვენც მშვიდად ხართ, ყვავილები
გამკობთ, ჩემო მთებო.
მრავალი გყავთ მომღერლები,
გულით საყვარლებო.
ტყვე ვარ თქვენი სილამაზის,
ქალამს ვიღებ, ვმღერი...
მალაღებს და მაფრთოვანებს
ეს ცა მშვენიერი...
დე, თქვენს შორის ბინადრობდეს
ჩემი სიმღერები.
ინავარდონ, გადიქროლონ
კრძალვით მწვერვალები...
გაიხარეთ, გაიხარეთ,
საოცნებო მთებო!..
„იტირეთო“, არ შეგძახებთ
კოსტა, აწი, ძმებო!

1936

ბ ა ბ რ ა

გაოგნებულნი შემოსცქერიან
შენს მთებს, ამართულს მიწიდან ცამდე.
შენს ვიწრო ველებს ხომ მზის ფერი აქვს
განთიადიდან განთიადამდე.
მთებიდან ჰქუხან წყალვარდნილები.
ატორტმანებენ სიჩუმეს ზღვისას.
ცივია შხეფი, როგორც ყინული
და როგორც თოვლი ერცახუს მთისა.
სად კაცის თვალიც ვერ შეწვდენია,
ვით ბუდეები სჩანან სახლები.
ფრთოსანთ სიმღერას გაუდევნია
სხვა სიმღერები და სხვა ჰანგები.
ვარდ-ყვავილების ამო სურნელით
გაჟღენთილია მიდამო მთელი.
დამსვენებელი, განსაკურნელი,
შენთან მოდიან — გახდნენ ჯანმრთელი.

სულ დაგავიწყდა, რა იყავ წინათ,
როგორ გაშალე სილაღის ფრთები.
რაოდენი ჰყავს შენს მყუდრო ბინას
ახლა სტუმრები და მასპინძლები.
სუფთაა ოქროს ნაპირი შენი,
დღედაღამ ბრწყინავს, დღედაღამ ელვარებს,
შავი ზღვა შენ მთებს როგორა შვენის,
ხან მეტად წყნარი, ხან კი მღელვარე.
მთებს იქით ისმის ქება-დიდება
შენი ლაჟვარდის, მზის და მთვარისა,
შენი სიტურფე ნუ მოგვწყინდება,
გაგრავ, მშვენებავ ჩვენი მხარისა.

1934

რიწის ტბა

მთის მრისხანე ბილიკებით
სულის ღელვას მოვდევ ფრენით.
და ჩემს გულში ისარკება
შენი ხმა და ლანდი შენი.

წყლის ზედაპირს არხევს ქარი
ცად ირევა ფრინველთ გუნდი,
სიყვარულით გაგეცალე,
სიმღერებად დაგიბრუნდი.

შემპარავი მოფერებით,
მთებში როგორ აღმოცენდი.
ზღაპარ იყავ მოფრენილი,
თუ სიცოცხლეს მალოცებდი.

რად გაიხსნა მიწის პირი,
რად ჩაყლაპა მიწამ მწყემსი.
ზღაპარ იყავ, იყავ მწირი
და უეცრად გახდი ლექსი.

ბებერ ხეთა შრიალია,
თუ ჭაბუკის თვალი ელავს,
დაბლა ზეცის ციალია,
თუ ლურჯთვალა საპოვნელა.

კლდეთა შორის განფენილა
მწვანიანი ნაპირებით,
საოცნებოდ გაფრენილა
ბევრის თვალი საკვირველი.

ბევრის თვალი დამტკბარია,
დამწვარია ბევრის გული,
იქნებ რიწაც ზღაპარია
სიყვარულზე გამოთქმული?

1935

ოთხი მარტი

აფსნი მღერის, აფსნი ცეკვავს,
ჩვენი მტერი გათელილა,
სიმღერების აცისკრება,
თუ ყვავილთა ნათელია.

აფხაზეთის მხარე ბრწყინავს,
ოთხი მარტის ბრწყინავს დილა,
დამხობილა გარეწარი,
ბოროტება დამხობილა.

მხიარული მოდის ხალხი,
კოლონების მოდის წყება.
ხალხის დროშას ვერვინ დახრის,
ვერვინ გასტეხს ხალხის ნებას.

ძირს ზამთარი, გახარებით,
აშრიალდა ფიქრი გულთან
და გრძნობს ჩემი აფხაზეთი,
რომ ნამდვილად გაზაფხულდა.

1928

ჩემო ოცნებავ

შენზე ფიქრმა, ჩემო ყველავ,
დამაღონა, დამანელა.
რად არ გზავნი ბარათს, ქალო,
რად მაწვალებ, რად არ მწყალობ.

რად არა მწერ ერთხელ წერილს,
რატომა ხარ ჩემი მწველი?
იქნებ სიზმრად მხედავ ღამით,
ჩემზე ჩიტებს უსმენ წამით,
ან სურათი გხიბლავს ჩემი.
თუკი სოფლად გაგაქვს სვრელი
თუ ხარ სოფლის დამამშვენი,
მოიწერე რამე ბარემ,
მეც მაგ ამბით გამახარე.

1932

ლეონტი ლაბახუა

ლეონტი ბახვას ძე ლაბახუა დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკაში 1911 წ.

1936 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა მხოლოდ ექვს წელიწადს (1931—1937 წლებში). ამ ხნის მანძილზე პოეტმა შექმნა მრავალი საინტერესო პოეტური ნაწარმოები.

ლ. ლაბახუა გარდაიცვალა 1938 წ.

ჩემი სიტყვა

ძნელია სიტყვით, უბრალო სიტყვით
ვთქვა, რაც შევქმენით, ვთქვა, რაც შევძელით.
ჩემი სამშობლო ზღაპრულად მიდის,
ჩვენი სამშობლო იყოს დღეგრძელი.

გზას ვერ გადმიჭრის ბოროტი მტერი,
იმღერე ლექსო, საგანთიადო.
ეს მშობლიური ქვეყანა ვრცელი
შემოიარე, სიტყვავ, დიადო!

1935

ქართველ პოეტებს

გეტყვით გულღიად, რომ იოლი არაა ჩემთვის,
თქვენ, ქართველ მგოსნებს, შესაფერი სიტყვით მოგმართოთ,

ვეძებ მაღალ ხმებს, ოცნებებში მძლავრ სიტყვებს ვეტრფი
და მინდა მქუხარ ჩანგთან ერთად გულიც მოვმართო...

თუ მკითხავთ რატომ, გეტყვით ასე: დიდი რუსთველი,
შვიდას წლის წინათ ანიჭებდა სახელს ღირსეულთ,
მაგრამ ცუდთათვის ბუმბერაზის მაღალ უფლებით
იყო მრისხანე და ეტრფოდა მარადისეულს.

დიდმა რუსთველმა და პუშკინმა სასწაულებრივ
აზიდეს მაღლა პოეზიის მზე და ნათელი,
ჰანგით დაიპყრეს ვრცელი ქვეყნის ხალხთა გულები,
ელბრუსის მთაზე უფრო მაღლა დადგნენ სახელით.

და ვიდრე მზეა, ვიდრე შუქი არსებობს ქვეყნად,
მათ დიდ სახელებს ვერ დაფარავს ღამე — წკვარამი,
კვლავ ისმის ქვეყნად ოქროპირთა გულების ფეთქვა,
მათთვის უცხოა დაბერების მცირე ვარამიც.

ძლივსღა გავბედე ამღერება მე მათ ჩანგებთან,
მათ შუქში ვიწვი და ვით დავრჩე დაუდაგავად,
მე ჩემს ფიქრებთან, ვით საყვარელ ამხანაგებთან,
ვდგავარ პირისპირ და ლექსისთვის მუდამ მზადა ვარ.

მძიმეა ტვირთი, სუსტ სხეულით მე რომ ვატარებ,
ვფიქრობ, ფიქრებში მათენდება და მაღამდება,
მე პოეზიამ ეს სასჯელიც აღარ მაკმარა,
შემომახვია გარს სიზმრები ია-ვარდებად.

და როცა მღელვარ სიზმრებიდან გამოვერკვევი,
ხელს ვიჭერ თავზე — ფერადნაირ სურათებს ვხედავ,
უეცრად დაკრულ ჟრუანტელივით მჩხვლეტენ ეკლები,
მოგონებები გაკრთებიან გარდასულ დღეთა...

ვხედავ დაღლილებს, უმოძრაოდ ხელდაშვებულებს,
აჰა, აბრწყინდნენ ხიშტები და ცაში შეფრინდნენ,
მტრის გასათქერად ნიაღვრები მტრისკენ შებრუნდნენ.

ისმის გუგუნი, ვით ვულკანის ამოხეთქვისას,
ზოგი ეცემა დიად, ნათელ კომუნიზმისთვის,
აი, დასჭექა, აირია მტვერი ფერფლისა,
სხივზე ნისლივით ჩაიფერფლა მტერთა მიზანი...

ო, მიხარია... ახლა სულ სხვა სურათს გავუურებ,
დავეძებ სიტყვებს, ვარჩევ ფერებს თავდავიწყებით,
ვით დავიძინო, გულის კარი როგორ დავხურო,
როცა ძიების ფიქრთა ალში ასე ვიწვები!

ვიცი, ქართველო პოეტებო, ამგვარ ზმანებებს
თქვენც აყოლილხართ და ამრავლებთ ნათელ ოცნებებს,
თქვენი გულები ღელვას როგორ დაიზარებენ,
გმირულ პოემებს და სიმღერებს კვლავაც მოგვცემენ.

იქნებ ჩვენ შორის ბედნიერი ვინმე მგოსანი,
ზის ერთ კუთხეში, სადაც ციდან შუქი იღვრება,
იწვება იქნებ მშობელ ქვეყნის მზეზე მლოცავი,
დაიწყებს იქნებ დიდ მომავლის დიად სიმღერას.

გული ცახცახებს, ვდგავარ ისევ ფიქრთა ღელვაში
და შეჯიბრისთვის ლელოდ ვხატავ გაშლილ მოედნებს,
ნათელ ფერებით მშობელ ქვეყნის ამღერებაში
თქვენ გეჯიბრებით, მეგობრებო, ქართველ პოეტებს.

ჰეი, აფხაზნო, საუკუნოდ მოგვცემს დიდებას,
მქუხარ სიმღერით გამარჯვება ამგვარ ჭიდილში,
ქართველთა გულიც სიხარულით დაიკვირტება,
ჩავიხატებით ქართველების მზიურ ღიმილში.

1937

შალვა წვიჯბა

შალვა ლევარსანის ძე წვიჯბა დაიბადა 1912 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტა-მიშში. დაასრულა ვლადიკავკაზის (ახლანდელი ქალაქი ორჯონიკიძე). ჩრდილო-კავკასიის პედაგოგიური ინსტიტუტი. წერა დაიწყო ადრე. 1935 წელს გამოსცა ლექსების კრებული და დრამატული პოემა „სანჯალი". შ. წვიჯბა ავტორია მრავალი პოეტური და პროზაული ნაწარმოებისა. მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე მისი საბავშვო თხზულებები.

შ. წვიჯბას ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე.

მფრინავი რაშების ველი

მფრინავი რაშების ველზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, იდგა ერთი ყიჟინა და მხიარულება. მთელი კავკასიის მამაცი მხედრები აქ იყვნენ თავიანთი მარდი დოღის ცხენებით. ჯირითი იწყებოდა.

აფხაზ ვაჟკაცს უყვარს ცხენი. ამიტომ თუკი სადმე ჯირითია, რას მოაკლდება! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: აფხაზი ცხენის ზურგზეა დაბადებულიო. რაღა თქმა უნდა, მთელ კავკასიაში სახელგანთქმული მფრინავი რაშების ველიც, სხვაგან სად უნდა იყოს, თუ არა აფხაზეთში?

უხუცესი ბერიკაცების გადმოცემით ადამიანი ცხენს პირველად ამ ველზე შეხვედრია და იმ დღიდან უწოდებიათ ამ ადგილისათვის მფრინავი რაშების ველი. მას მერე მარულა ამ ველზე იმართებაო.

დაძაბულად ჩაიარა გუნდების ბრძოლამ. ზღუდეთა გადალახვაც მოთავდა, ლელოსა და დროშის მოსაპოვებლადაც იასპარეზეს. ახლა კი

ყველაზე ამაღელვებელი შეჯიბრი უნდა დაწყებულიყო, რომელიც უფრო მეტად იტაცებდა მაყურებლის სულსა და გულს. ეს გახლდათ ჯირითი, სადაც თავის გამოსაჩენად მხედრებს მთელი ძალ-ღონე უნდა მოეკრიბათ. აგერ, ისინიც გამოჩნდნენ, ფეხმარდ მოჯირითე ცხენებზე ამაყად შემართულები. მთელი მინდორი შემოიარეს, რომ წინასწარ შეჩვეულიყვნენ ცხენები დოღის გზას, მხედრები ერთმანეთთან მიჯრილები მხნე შემოძახილით მოედინებიან. გუგუნებს ძველებური აზარი — აფხაზური მხედრული, ნაცნობმა ჰანგმა სიამოვნების ჟრუანტელი მოჰგვარა მაყურებელთ. ეს სიმღერა ისევე გადმოდის თაობიდან თაობაში, როგორც თავად ჯირითი. ეს ჰანგი მთელ კავკასიაში კვლავ ძალუმად წკრიალებს, სიბერე არ ეკარება!

მხედრების უმეტესობა ჭაბუკები არიან, მაგარი ბიჭები ჩანან. ცხენებიც სანიმუშოდ ჰყავთ გაწვრთნილები.

— აბა, ახლა იქნება, რაც იქნება! — მოთმინება ელევა მწვანე ჩოხაში გამოწყობილ მაღალ-მაღალ, წარმოსადეგ მამაკაცს, ის მაყურებელთა ერთ ჯგუფში იდგა და თვალებს ცნობისმოყვარეობით აცეცებდა. — რა რაშებია! ერთიმეორეზე უკეთესები. ჯერ მარტო მათი შეხედვა ღირს ერთ რამედ!

— მართალს ბრძანებთ. — კვერი დაუკრა მეორემ და შავ ულვაშებზე ხელი გადაისვა. — ნეტავ რაღას ელოდებიან? დაიწყონ, ამოდენა ხალხი საყურებლად არის მოსული...

— მფრინავი რაშების ველზე აფხაზი არასოდეს დამარცხებულა და არც უნდა დამარცხდეს! — რწმენით წარმოთქვა ერთმა მამაცი იერის შუახნის კაცმა და ორივე ხელი ფიცხლად წაივლო ხანჯალზე.

— დღევანდლამდე მართლაც რომ ჯერ არ დავმარცხებულვართ, მაგრამ არავინ იცის, როგორ შეგვიტრიალდება ჩვენი ბედი. — ცოტა არ იყოს უიმედოდ მიუგო მწვანე ჩოხიანმა.

— თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე კი ღრმად დარწმუნებული ვარ, ჩვენი რაში ყველას უკან მოიტოვებს, — დაბეჯითებით თქვა ხანჯლიანმა კაცმა.

მისმა წინასწარმეტყველებამ გარშემო მყოფთ რწმენა ჩაუნერგა და ისე წაახალისა, თითქოს უკვე აუწყეს კიდეც აფხაზთა გუნდის გამარჯვების ამბავი.

მაისის მზე ჩახჩახებდა. მისი სხივებით მოფენილი მფრინავი რაშების ველი ათასფერადი ყვავილებით აჭრელებულიყო. სიო ირგვლივ დამათრობელ სურნელს ჰფენდა. ბზისა და საროს ტოტებში მიმალული ბულბულები და შაშვები საამოდ გალობდნენ, იმათ, აბა, რაში ეკითხებოდათ მაყურებელთა მღელვარება და განცდები, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად მოსდგომოდნენ მოაჯირს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

მხედრებმა ველს ირგვლივ შემოუარეს და სასტარტო ზღვართან

შეჩერდნენ, საიდანაც ბედნიერების მოსაპოვებლად უნდა გაფრენილიყვნენ.

ენა ადვილად იტყვის ამ მოლოდინის განცდას! გაფიცხებული ცხენები ყალყზე დგანან. აგერ ერთი რაში მოუთმენლად ღრღნის ლაგამს. ეს რომ არ აკავებდეს, აქამდე ვინ იცის საით გაიქროლებდა, მეორეს — ცეცხლი უბრიალებს თვალებში, ჯიქურ ათვალიერებს თავის მეტოქეებს და თითქოს ნიშნს უგებს: „ნურც გიფიქრიათ, რომელიმემ მიმასწროთ ფინიშამდეო“. ნაპირზე მდგომი მერანი კი გააფთრებით ტორავს, თითქოს მიწას გამძლეობას უსინჯავს, გაუძლებს თუ არა ჩემი ფლოქვების დარტყმასო, დანარჩენებიც ვერ პოულობენ ადგილს. მხედრებს ხომ — ნუღარ იტყვით... ერთი უზანგებზე შემდგარა, მეორეს ხელში გამზადებული მათრახი უთრთის, მესამე აღვირს ჩაჰფრენია... მოლოდინით დაძაბულია ყველა და აჰა, დაჰკრეს ნაღარას, ალამი დაიქნიეს და... რაშები მოსწყდნენ მიწას...

ტაშის გრიალმა გააყრუა თვალუწვდენელი ველი. ჯერ ცხენები ერთ მწკრივად მიჰქროდნენ, მერე კი გაიფანტნენ: ზოგი დაწინაურდა, ზოგი ჩამორჩა. მალე ისე შორს გაინავარდეს, რომ ძლივსღა მოჩანდნენ. მხედრებმა წრეს დაუარეს და ისევ აღმა წამოვიდნენ — წინ ერთი მოჰქროდა, დანარჩენები კი გადამფრენ წეროებივით ორმწკრივად დაყოფილები მოიჩქაროდნენ. მწკრივი ისევ აირ-დაირია. ახლა ჩამორჩენილებმა გაუსწრეს დაწინაურებულებს. ხან ერთნი არიან წინ, ხან მეორენი.

მაყურებლები კი ეკლებზე სხედან. თითოეული თავისებურად განიცდის ველზე მომხდარ ცვლილებას და გუნება იმის მიხედვით ეცვლება, წინ მოდის თუ ჩამორჩა მისი რჩეული.

ჯირითმა უკვე თავისი დაღი დაასვა ცხენებსაც და მხედრებსაც, დაღლა შეეტყოთ.

ყველაზე მეტად ზუგდიდელი ბერიკაცი ღელავს. ადრე სახელგანთქმული მხედარი ადგილზე ვერ ჩერდება. ხელში წკეპლა უჭირავს და წამდაუწუმ წაღებზე ირტყამს, თითქოს თავადაც დოღის ცხენზე ზისო. მისი ასეთი მღელვარება უმიზეზო არ იყო: ის ცხენი, რომელზედაც ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდა, უკან ჩამორჩა, ისე დაიღალა და მოიქანცა, რომ სადაც იყო ჩაიკეცებოდა. არც მისი მხედარი იყო კარგ დღეში. წელში სამად მოხრილიყო, შარვლის ტოტები მუხლებს ზემოთ ახვეტოდა და ფეხები გაშიშვლებოდა.

— მათრახი გადაჰკარ, მათრახი! — შეჰყვირა ზუგდიდელმა ბერიკაცმა, როცა იმ მხედარმა წინ ჩაუარა. — გამოგვჭერი ყელი და ეგ არის, შე კაცო! — ჭარხალივით გაწითლებული ბერიკაცი გვერდით მდგომებს მოუბრუნდა: — ზუგდიდში ამ ცხენმა რამდენჯერმე მოიპოვა ჯილდო მარულაში. აქ რაღა ჯანდაბა დაემართა? უთუოდ ვიღაცამ თვალი ჰკრა.— ბერიკაცმა სიმწრისაგან გადააფურთხა და წკეპლა შემოირტყა ფეხზე.

— შენ გადაშენდი, რისი მაქნისი ხარ! კაცი არ ვიყო, თუ შიგ შუა ენგურში არ გადაგიძახო! — ექადნებოდა ბერიკაცი ცხენს.

არც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული მაყურებლები იყვნენ მოლხენილები. იმათმა ცხენებმაც აითრიეს ფეხი.

ცხენები ჯირითის ბოლო წრეს დაადგნენ, ერთმა წითელჩოხიანმა ყმაწვილმა ხიმცამ თავის ცხენს შეუყიჟინა და გრიგალივით გაიქრა წინ.

პატარა მოჯირითე ხიმცა არშბა მესამე კლასის მოსწავლეა. ქურციკივით მკვირცხლი ბიჭუნა ჯირითის დიდი მრტრფიალეა. თავისი ცხენი ძალიან უყვარს, განსაკუთრებით ახლა, როცა ასე გამოიჩინა თავი და ასახელა მხედარი. აფხაზების მთელი იმედები ამ ბიჭუნაზე იყო. ამას უნდა დაეცვა გუნდის ღირსება. ეს იცოდა ხიმცამ. ამიტომ მიჰქროდა იგი გახელებული და თან წკრიალა ხმით დასჭყიოდა ცხენს: „გაფრინდი, გაფრინდი, ჩემო ქროლიავ!..“ თეთრი ცხენიც მიჰქროდა მთლად ოფლში გახვითქული, ქშენითა და ფრუტუნით, გახალისებული თავისი სიმარდით, უფრო ძალუმად მიაპობდა სივრცეს.

მაყურებლები თვალს არ აშორებენ წითელჩოხოსან პატარა მხედარს, მისი სიმარდით გახარებულები მქუხარე ტაშით აჯილდოებენ, ზოგმა ყვავილებიც ესროლა, მაგრამ ვის ეყოფოდა ძალა, რომ მიეწვდინა?!

მწვანეჩოხიანი სწრაფად მიიქრა სატევრიან კაცთან და მიახარა:

— ჩვენები იმარჯვებენ, უთუოდ იმარჯვებენ! მართლდება თქვენი ნათქვამი.

— მფრინავი რაშების ველზე დამარცხებული აფხაზი ჯერ არავის უნახავს! — თავი ამაყად ასწია სატევრიანმა კაცმა და მხრებში გასწორდა.

პირველობისათვის აფხაზ ბიჭუნას სამი მხედარი ეტოქებოდა. თითოეული მათგანი თავის ენაზე ახალისებდა ცხენს. სულ წინ და წინ მიჰქრის ხიმცა: მზეზე ელვარებს იმისი წითელი ჩოხა. მასპინძლებისათვის ეს წითელი ფერი სულის გამთბობი კოცონია, სტუმრებისათვის კი — წინ მიმავალი გზის მანათობელი.

ხიმცა! თურმე ტყუილად როდი შეურქმევიათ ამ ბიჭუნასათვის ეს სახელი. ხიმცა აფხაზურად რქროს კოცონს ნიშნავს!...

ბიჭუნას უკან დადევნებულ სამ მხედართაგან უცებ ერთი გამოეყო. წითელი ჟოკეის ქუდიანი მხედარი უზანგზე იდგა, ჯიდაოს ორივე ხელით ჩაჰფრენოდა და მთელი ტანით მიილტვოდა წინ...

— სვეტლოვი, სვეტლოვი! — დაირხა ხმა მაყურებლებში.

კრასნოდარელი მხედარი გიორგი სვეტლოვი ასე 25—27 წლის ვაჟკაცი იყო. სპორტის ოსტატი თავისუფლად ლახავდა ზღუდეებს. გაქანებული ცხენიდან იღებდა მიწაზე დაგდებულ ფულს.

მიჰქრის სვეტლოვის ცხენი. ეს ის ქურანია, დოღის დაწყების წინ

ცეცხლოვანი თვალებით რომ აფრთხილებდა მეტოქეებს — ნურც იფიქრებთ ჩემს გასწრებასაო. ახლა ძალიან განიცდიდა, რომ მის სურვილს თეთრი ცხენი გადაუდგა.

ხიმცას ქროლია მართლაც რომ ნიავქარივით მიჰქრის, პირველად ხომ არ არის ჯირითის მონაწილე, გრძნობს — გადამწყვეტ გზას ადგია! მთელი არსებით შეიგრძნობს თავისი ნორჩი მხედრის გულის ბაგაბუგს.

— გაფრინდი, ჩემო ქროლიავ, გაფრინდი! — ეფერება ხიმცა ცხენს, და პირისახეს ფაფარში მალავს. მიჰქრის ბედნიერი, ამაყი, თითქოს ამ ცხენთან ერთად მთელ აფხაზეთს მიაქროლებსო.

მაყურებლებში მღელვარებამ იმატა და მოაჯირს მიაწყდნენ. ფინიში მოახლოვდა. ხიმცამ მედიდურად, ლაღად გადაჰკრა ცხენს მათრახი. გადაჰკრა და, ჰოი, ღმერთო დიდებულო! რა საბედისწერო გამოდგა ეს გათამაშება! ცხენი წაბორძიკდა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ყირაზე გადავიდა. მხედარი მიწაზე გაგორდა.

ამ მოულოდნელობამ ყველა განაცვიფრა. შეშინებულმა ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს, სატევრიან კაცს, — ასე რომ იყო დაიმედებული აფხაზის ცხენის გამარჯვებით, — სულ თავგზა აებნა. უნებურად ხანჯალზე იტაცა ხელი, ნახევარზე კიდეც ამოიღო ქარქაშიდან, მაგრამ იქვე გაქვავდა. საოცარი რამ მოხდა. თეთრი ცხენი უმალ ფეხზე წამოხტა და გამყინავი ჭიხვინით გაქანდა. ბიჭუნაც, თითქოს მიწას არც კი შეხებიაო, უკან დაედევნა.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა, ელვის სისწრაფით.

მირბის ხიმცა გამალებული, უხილავ ძალას აყოლებული. მირბის თავდავიწყებით და მისძახის თავის ცხენს: ქროლიავ, ჩემო ქროლიავ!

მაყურებლები დაიბნენ. ზოგს ეგონა, ბიჭს ცხენის გაჩერება უნდაო, ზოგი შიშმა აიტანა. უცებ ველზე ყვირილი ატყდა. ხალხს შეეშინდა, ბიჭი უკან მომავალ ცხენებს არ გაეთელათ, ვიღაც კაცმა კიდეც დააპირა ხიმცასთვის ხელი ეტაცნა, მაგრამ ბიჭი თვალსა და ხელს შუა გაუქრა. გიორგი სვეტლოვი თავისი ქურანიდან მიწამდე გადმოიზნიქა და, როგორც ქორმა წიწილა, ისე მოიტაცა ბიჭი.

სვეტლოვმა აღვირი მოსწია ცხენს და ბოხი ხმით შეუძახა. წაბლამ იგრძნო ზედმეტი სიმძიმე, მაგრამ უმალ შეეგუა და მთელი ძალით გაიჭრა წინ.

ოფლში გახვითქულმა ხიმცას თეთრმა ცხენმა, რომელსაც უნაგირი გვერდზე მოჰქცეოდა, ისარივით გადაკვეთა ფინიში. ტაშმა დაიგუგუნა. ვაშას ძახილი მოეფინა მფრინავი რაშების ველს. ვიღაცამ ჰაერში გაისროლა! თეთრ ცხენს ფეხდაფეხ მიჰყვა ქურანა. სვეტლოვმა ორივე ხელით ზე ასწია ბიჭუნა და წინ წამოაყენა, რითაც აცნობა მაყურებელთ — გამარჯვება ხიმცა არშბამ მოიპოვაო!

. 1970

ზღაპრული მატარებლები

მიიჩქარიან მატარებლები
და გრიალებენ ლიანდაგები.
მიაქვთ, ქარხნისკენ გადასადნობად
მიაქვთ და მიაქვთ... მიაქვთ ტანკები.

ეს ოცნებაა, მაგრამ ვერასდროს
ამ დიდ ოცნებას ვერ დავეხსნები.
დიდი ხანია იმ მატარებლებს
ელოდებიან თრთოლვით რელსები.

1962

ის ჰყვავის

არ ვიცი, არა, რა ჰქვია ამ ხეს,
აუშვერია ცისკენ ხელები
და ნაწვიმარზე ისე ჩახჩახებს
თითქოს ასხია ცისარტყელები.

აყვავებულა მზით ანამღერი,
როგორც სიცოცხლე და უკვდავება,
მე თუ არ ვიცი მისი სახელი,
ეს არას უშლის მის აყვავებას.

1962

მიდიოდა გემი

ოკეანეში მე ძმაკაცებით
გემს მივყვებოდი, ვიყავით ერთად.
და ირხეოდნენ გემის ანძები,
ოკეანე კი თრთოდა და ძგერდა.

სად დამეკარგენ ის ძმაკაცები?!.
გემით დავბრუნდი რატომღაც კენტად.
კვლავ ირხეოდნენ გემის ანძები,
ოკეანე კი თრთოდა და ძგერდა.

1962

მეზღვაურები

შორეთზე შორეთს ხომალდი მიდის,
უსაზღვროება გარშემო სუფევს.
მხოლოდ გაშლილი სივრცეა ირგვლივ
და ოკეანის მღელვარე უბე.

მაგრამ მეზღვაურთ, ბოლოს და ბოლოს,
სურთ ერთი რწმენა მხნეობას ჰგვრიდეს:
სამყარო წყალი როდია მხოლოდ,
სადღაც, ამქვეყნად მიწაა კიდევ!

1962

ქიაზიმ აგუმაა

ქიაზიმ ეარამანის ძე აგუმაა დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღუადაში 1915 წ. სოხუმის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტში.

ქ. აგუმაა 1939 წლიდან 1944 წლამდე საბჭოთა არმიის რიგებში იყო. აქედან ოთხი წელი ის იმყოფებოდა ჩაპაევის სახელობის პარტიზანულ რაზმში, რომელიც ბელორუსიასა და უკრაინაში მოქმედებდა. ქ. აგუმაას უმთავრესი პოეტური ნაწარმოებნი შექმნილია ჰოსპიტლებში ყოფნისას და საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ. მას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილ აფხაზურ ლიტერატურაში. ქ. აგუმაამ თავისი პროზაული ნაწარმოებებითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზურ სამხედრო-პატრიოტულ ლიტერატურაში.

ქ. აგუმაა გარდაიცვალა 1950 წ.

შენი სიმღერები

(ნ. ბარათაშვილს)

ამ ქვეყანაზე სიმღერა ჩნდება
და შემდეგ იგი არასდროს კვდება!..
შენი ლექსების ხმა საამური
წყაროს წყალივით გულში მეღვრება.

ვარდის მომღერლად გამხადა ნეტავ
ანდა დამერქვას ჩონგურის ლარი,
ყველას სიმღერად ვიტყოდი ერთად,
რაც შენზე სევდა ამ გულში არის.

არაშ აბრსკილამ — შენმა მერანმა,
ქვეყნად მარადის დატოვა კვალი,
მისმა მგოსანმა და მომღერალმა,
რატომ დახუჭე მზიური თვალი.

ფუტკარი ეტრფის დილიდან ყვავილს,
ვარდიდან ვარდზე წყნარად დაფრინავს,
ჰკოცნის და შემდეგ მიდის ფუტკარი,
სხვა ყვავილებიც რომ შეხვდეს წინა.

მეც გავშლი შენს წიგნს, ვეტრფი მის ფურცლებს,
და მსურს ყოველ ლექსს გავესაუბრო,
გულს სხვა სამყარო ეშლება უცებ,
და ვგრძნობ, მიყვარხარ უფრო და უფრო!

შენი ყოველი სუნთქვა ლექსია,
შენს ყოველ ოხვრას ვგრძნობ შენი ლექსით.
ქვეყნად სიმღერა დაგითესია,
სიმღერა ცეცხლზე უმხურვალესი.

1946

გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე

ეჰ, სადა ხარ, სად გიგულო, სანუკვარო,
ეს ბარათი თუ მოაღწევს შენთან მალე!
როგორც მუდამ, შენ ხარ ჩემი ტრფობის წყარო
და ვიგონებ შენს ტკბილ ღიმილს, გენაცვალე!

მე შენს ნობათს, ვით თვალისჩინს, შევინახავ,
სანამ ისევ გათენდება დღე ბრწყინვალე,
თუნდ უეცრად ტყვია მომხვდეს გულში ლახვრად,—
შენს საჩუქარს არ დავკარგავ, გენაცვალე!

ამ საგანძურს მე ვუწოდე სიყვარული,
ვერვინ იტყვის, მე იმისთვის რაც ვიწვალე,
როგორც მზეზე ხმალი ელავს ორლესული,
ისე ბრწყინავს ჩემი გრძნობა, გენაცვალე!

დღეს ვერ ვხედავ, მაგრამ ომის ქარიშხალი
გამარჯვებით დამთავრდება მალე, მალე,
ამიტომაც არ ისვენებს ჩემი ხმალი, —
მამულს ვიცავ და შენც გიცავ, გენაცვალე!

1942

გალადა სალამურზე

I

მკერდი გახსნია ყვავილებს მთისას
და ყოველ მათგანს იხუტებს ქარი,
ცას ღრუბლის თეთრი მანდილი ნისლავს.
იისფერ მოლზე ამშრალა ცვარი.
ანკარა წყარო მთის უბეს სერავს
და უზარმაზარ ლოდებს ეხვევა,
ეხვევა, მერე იფეთქებს ჩქერად
და სადღაც ხევში ჩაიჩეხება.
შუქზე დამდგარი აფხაზი მწყემსი,
ჯოგს რომ აძოვებს შეფენილს შაევად,
და სალამურის უცნაურ კვნესით
გალობს წარმტაცად, გულდასაწვავად.
არა სძოვს ჯოგი, თითქოს და მასაც
ჰხიბლავდეს ეს ხმა ნაზად რხეული.
მწყემსი კი ისევ ქანდაკის მსგავსად,
დგას... მთებს გაჰყურებს დარდმორეული.
ო, ვისზე იწვის ვაჟკაცი მარტო,
რად მისცემია სევდიან ფიქრებს,
ნეტავ რას დარდობს, ნეტავ რას ნატრობს?
ლამაზ ასულზე ოცნებობს იქნებ!

II

ტყიურთან ვეღარ იხილავ თვალით,
ხევს არ აჩქარებს კვალი ირმისა,
ბუნებას შველას შესთხოვს კანკალით
შველი გულმფრთხალი და ყელყირმიზა.
მწვანედ გადაშლილ პატარა გორაკს
თავს დასტრიალებს ფარფატა ქარი...
და ამ დროს ვაჟი რამ აათრთოლა,

რამ ააღელვა მარტოკა მდგარი?
ეს როგორ მოხდა? — ჯაბუკი მწყემსი
საიდან გაჩნდა მტრების ალყაში?
უმზერს თვალთაგან დაღვრილი გესლი,
მუზარადთა და ხიშტთა კაშკაში.
ძახილი — „შესდექ, ნუ გითრთის მკერდი,
დღეს შენი ბედის ვარსკვლავი ბრწყინაეს,
ამბობენ აქეთ გზა მიდის ერთი,
და, როგორც სტუმრებს, გაგვიძეხ წინა!“
მწყემსმა ქვას დაჰკრა ხელჯოხი ბრაზით,
აენთო თვალი — ზიზღის მთოველი.
იფიქრა მტანჯავს ალბათ მირაჟი,
ანუ ზღაპარში ხდება ყოველი!
ხევში მდინარე წყალამღვრეული
მიჰქრის და იმის შმაგი დინება,
ფაფარაყრილი, გადარეული,
აღარ მშვიდდება...

III

მომხდურებს კუშტად მიუძღვის ვაჟი
და აქვითინებს სალამურს ისევ,
ცა და ქვეყანა მის ნათელ ხმაში
ტკბილ იავნანურ მოძახილს ისმენს.
გულით ხარობენ მტრები წყეულნი,
ბილიკს მისდევენ მეგზურთან ერთად...
ასე მივიდნენ კვალარეულნი
კედლად ამართულ ციცაბო კლდესთან.
აფხაზი ამბობს: — ხომ ხედავთ ნაპრალს,
თოკით მომებით, თუ წინსვლა გინდათ,
მომებით თოკით! მომყევით სწრაფად,
თორემ საცაა დღე იქცეს ბინდად!
ერთურთს მიბმულნი გაჰყვნენ გზას უგზოს,
მიუძღვის მწყემსი თამამად, ლაღად,
და თანამგზავრებს ხმამაღლა უხმობს:
— სტუმარკაცებო, ნუ უკრთით დაღლას!
საღამო დგება ამო და მშვიდი,
ხევი-ხევ დაჰქრის ფრთამალი ქარი,
დევკაცებივით მკერდგადაშლილნი
გარინდებულან კავკასის მთანი.

— მწყემსო, სად არის ფიცი და აღთქმა,
თუ დაიბენი ამ ტიალ გზაში?
გადაგვატარე ხეობას საშიშს,
ბედნიერებას მოიხვეჭ ახლა.
ქარაფზე გაჩნდა აფხაზი იმ წამს,
ჩახედა ბნელს და შესძახა მკაცრად:
— მე არა ვყიდი მშობლიურ მიწას,
რომლის ძუძუთი გავზრდილვარ კაცად!
ქიმზე სათუთად დასდო საკრავი
და გადაეშვა მოწყვეტით ხრამში,
თან გაიყოლა ხუთი მტარვალი
და მთის მდინარის ტალღების ტაში.

მას მერე კლდეზე დევს სალამური
და, რომ შეარხევს ნიავი ფრთხილი,
ისმის სიმღერის ხმა საამური,
როგორც იმ მწყემსის გალობა ტკბილი.

1944

ბაგრატ შინკუბა

ბაგრატ ვასილის ძე შინკუბა დაიბადა 1917 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1945 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1953 წლიდან 1958 წლამდე იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე; 1958 წლიდან დღემდე არის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ბაგრატ შინკუბა დ. გულიას სახელობის პრემიის ლაურეატია. 1967 წელს მას მიენიჭა აფხაზეთის ასსრ სახალხო პოეტის წოდება.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 30-იანი წლებიდან. მისი ლექსები, ბალადები, პოემები და რომანები დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. პოეტის შემოქმედებით მწვერვალად ითვლება მისი რომანი ლექსად „კლდის სიმღერა“ და სხვ.

ბ. შინკუბას პოეტური შემკვიდრეობა თარგმნილია ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

გასწი, გაჭაშე...

მორჩა, გათავდა, დასტოვე ლექსო,
ჩემი მაგიდა, შენი აკვანი,
დასტოვე ჩემი სახლი და ეზო,
წადი, მონახე შენი გზა-კვალი!

წადი, ნუ დგახარ ოთახის კართან,
ნუ მიცქერ, ლექსო, მშიერ ბავშვივით,
ნუ მეკვრი, როგორც მშობელის კალთას,
მონახე ბედი, შენი არჩივი!

ჩაგბერე ჩემი სულის ნაწილი,
აგანთე, როგორც ოქროს კანკელი,
გზად გაგატანე თვალი არწივის,
გზად არაფერი არ დაგაკელი.

ჩაგიდგი ენა, ენა იმგვარი,
არ დაგჭირდება არსად მთარგმნელი;
გასწი, გაჰკაფე ყველა გრიგალი,
იხარე, სძლიე ბედი მჩაგვრელი.

ო, წადი, მაგრამ თუ უსახელოდ
მომიხვალ უკან, როგორც აჩრდილი,
ვერ შეგიფარებ, ჩემო ნაღველო!
კარს მოგიხურავ მე გულდაჭრილი.

მე ვუმღერ გმირებს და ვაქებ ცობას,
ვიყავ ყოველთვის მხდალთა მგმობელი,
ვინც ბრძოლის ველი მხდლურად დასტოვა,
კარს არ გაუღებს მამა მშობელი,

ყრმა არ ხარ, თუმცა გაჩნდი ამ დილით,
ასაკის სუსხი არ მოგხვედრია;
უასაკოა ლექსი ნამდვილი,
ასაკი მხოლოდ მგოსნის ხვედრია.

1959

ს ი ზ მ ა რ ი

სიზმრად ვნახე, ლურჯა ცხენით
გადვიქროლე მთაო,
ეს რას ნიშნავს, ამიხსენი,
ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო ჩემო, გეთხოვება
ყრმობის წელთა ხმაო,

აზრი ფრთას შლის და ცხოვრებამ
უკვე გახსნა გზაო.
— ციცაბოებს, ლურჯა ცხენით
მივაწვდინე ხმაო,
ეს რას ნიშნავს, ამიხსენი,
ნეტავ, დედავ რაო?
— შრომის გარდა, შენს დიდებას
ვერვინ შექმნის სხვაო,
წინ ძნელი გზა დაგიხვდება,
დაგელოცოს გზაო!
— შეჯგუფული, მწვანე მინდვრად
იდგა ხალხის ზღვაო,
ხალხი რატომ დამესიზმრა,
ნეტავ, დედავ. რაო?
— ღირსეული გამოხვიდე,
ხალხმა გულით თქვაო,
შვილო, გულით ვამბობ კიდევ:
— დაგელოცოს გზაო.

1935

მამა

მზის ცეცხლის რაში ავარდა ცაში,
სოფელმა ჯირხვამ [1] შეიშრო ცვარი;
მალე მოვალო, კამსაგუმ [2] თქვა შინ
და გამოაღო ოჯახის კარი.

ამ დროს გამოჩნდნენ სოფლის რჩეული
დარბაისელი ბერიკაცები,
შავი თავშლებით პირახვეული
მოდგნენ ქალებიც სველი ღაწვებით.

— მივხვდი, რისთვისაც მოსულხარ ასე, —
თქვა, შეეცვალა სახე მთლიანად, —
პირდაპირა სთქვით, როგორ დაეცა
სამარცხვინოდ თუ სახელიანად?..

[1] ჯირხვა — საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ პარაზიას მშობლიური სოფელი. ვლ. პარაზია დაიღუპა 1942 წელს.
[2] კამსაგუ — გმირის მამა.

ერთმა მოხუცმა გულით მბორგავით
მიწას დაარჭო შინდის კომბალი,
— მოვედით, გითხრათ, რომ შენი შვილი,
დაეცა, როგორც ნამდვილი გმირი.

მას არც შეეძლო შერცხვენა შენი,
მტრისთვის ზურგი არ უჩვენებია,
მას იმ სიკვდილით, ვაჟკაცს რომ შვენის,
დიდების ძეგლი უშენებია.

მარჯვედ ნატყორცნი ყუმბარით თურმე
მტრის ოცდაოთხი ტანკი დაბუგა.
— მაშ თუ ასეა, იმაგროს გულმა,
დამბადებია ნამდვილ ჭაბუკად.

რატომღა დგახართ თავდახრილები,
ან გულში ცრემლი რატომ გდებიათ,
რა ვქნათ, თუ მოკვდა, ქვეყნად გმირები
დიდებისათვის იბადებიან.

თქვა და გაბრუნდა. ჩოხის შავ კალთას
უფრიალებდა სისინით ქარი,
ტირილი ატყდა ოჯახის კართან,
იმდუღრებოდა ცოლ-შვილის თვალი.

კამსაგუ მათკენ მობრუნდა წამით,
— უნდა გრცხვენოდეთ მოხუცი მამის,
უნდა გრცხვენოდეთ დევგმირი ძმისა,
ჩვენ სატირალი არა გვუყავს ისა.

ო, ცრემლებს ნუ ღვრით, შვილო და ცოლო,
ქვეყნად ცოცხალ მკვდარს სტირიან მხოლოდ.

ღრმად ჩაისუნთქა და თავის გზაზე
თავაწეული წავიდა მძიმედ.
...მზის ცეცხლის რაში მიჰქროდა ცაზე
და მთებს უბამდა სხივების სიმებს.

1943

რუსთაველის პროსპექტზე

მზე მიიმალა მთაწმინდის ზევით,
გამოესალმნენ დუმილით მთები,
დღისით რუსთველზე მზე იყო მწველი
და ახლა ბინდი ეშვება ფრთებით.

ყელმოღერილებს დამფრთხალ შვლებივით
ლამაზ გოგონებს ღიმილით ვზვერავ
და მე მაჩერებს, როგორც ჯებირი,
მათი ამაყი, კეთილი მზერა.

გული გრძნობს, გული რატომღაც ღელავს,
თითქოს ნაბიჯის ხმა მესმის ნელი.
მათ ვიწრო წელზე, ვით ცისარტყელა,
ყველას ლამაზი სარტყელი შვენის.

მინდა წავიდე... შენც მეკითხები:
— ერთი ვიცოდე, რად მოხვალ ნეტავ!
— სად წავალ, როცა ჩემი ფიქრებით
შენთან ვარ მხოლოდ, მხოლოდ შენ გხედავ.

მზე მიიმალა მთაწმინდის ზევით,
გამოესალმნენ დუმილით მთები,
დღისით რუსთველზე მზე იყო მწველი
და ეხლა ბინდი ეშვება ფრთებით.

1939

*
* *

ზღვა არის წყნარი, ზღვის პირას შევდექ,
მასზე ვოცნებობ, სანატრელს ვხედავ.
ტალღა ტალღაზე იჩქარის ჩემსკენ
და სანუგეშოს რას მეტყვის ნეტავ?..

აი, ჩამოვჯექ, კენჭებს და ქვიშას
ეჩურჩულება, უცინის ტალღა,
რა ვიცი, იქნებ ეს იმას ნიშნავს,
რომ მას მხიარულს, უთუოდ ვნახავ.

1940

გაფრინდი, ჩემო ქარო!

ო, ჩემო ქარო, ფრთამალო ქარო,
უკანასკნელად მსურს დაგაბარო,
შორს, აფხაზეთში, ღვიძლი და მელის,
მას ეამბორე ჩემი სახელით.
ასე უთხარი: — ნუ კარგავ იმედს,
ძმას მოუშუშდა ჭრილობა მძიმე!

ო, მინდა ქარო, ფრთამალო ქარო,
ჭაღარა დედას ღიმი მოჰგვარო,
რა არის დედის ნაღველზე მწველი,
როცა შვილს ელის!..
უთხარი: — ცრემლით ნუ ივსებ თვალებს.
შენი ჭაბუკი შინ მოვა მალე!
ო, ქარო, კიდევ ერთს დაგაბარებ,
მამას სიმართლე უთხარი ბარემ,
ის, ვაჟკაცია, აიტანს გლოვას,
უთხარი მამას, რომ ვეღარ მოვალ,
— ფიცხელ ბრძოლაში, ვით შვენის მამაცს,
დაეცა, — ჩემზე უთხარი მამას.

1944

მაჰაჯირული ნანა

მძაფრი ნანა გინანავებს,
ზღვა გუგუნებს ბობოქარი,
ხელთ უპყრიათ შავბნელ ძალებს
შენი ბედის იალქანი.

შიში ნანი, შიში ნანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას,
დაიძინე, უანანი.

ქარიშხალი ამოვარდა
შეიმოსა მხარე თალხით
და მშობლიურ მწვანე კალთას
მოაცილა მისი ხალხი.

ხალხს დაადგა გასაჭირი,
დაისეტყვა, გაპარტახდა,
და შავი ზღვაც მაჰაჯირის
ცრემლით უფრო მლაშე გახდა.

უბედობა დაგყვა ბედად
და მონობა გელის მწარე,
მოიგონე, როგორც დედა
მშობლიური შენი მხარე.

შიში ნანი, შიში ნანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას,
დაიძინე, უანანი.

გაიზრდები და მხარულით
ვიცი შავ ზღვას გადასერავ;
მიმქრალი და მიმალული
გააჩაღე შენი კერა.

შენს ფაცხაში ძველთაძველი
გაიელვებს ბასრი ხმალი,
ჩამოხსენი, ჩამოხსენი!
გაინათე მომავალი!

ხალხს აცილე გასაპირი,
ხალხს ჩაუდექ სათავეში,
სამშობლოსთვის გმირთა-გმირი
საბრძოლველად გადაეშვი!

დაიძინე, უანანი,
მოწყვეტილო მშობელ კერას,
მინდობილო ბედისწერას
შიში ნანი, შიში ნანი.

1940

ᲙᲚᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ᲞᲝᲔᲛᲐ

სიმღერა არის სიმღერის დედა

რაც უნდა გლეჯდეს ხეებს გრიგალი,
რაგინდ გაჰქონდეს ზვავებს გუგუნი,
რაგინდ ისმოდეს მეხთა გრიალი,
ელვამ მახვილით გაჭრას უკუნი,
კლდე ურყევად დგას მარად და მარად,
ამქვეყნიურ შფოთს არ აგდებს არად.

ვისთვისაც ეს კლდე იყო აკვანი,
ვინც დილის ნამმა რიჟრაჟზე ბანა,
ვისაც გრიგალის ხელში აყვანილს
ნაკადულები უმღერდნენ ნანას,
ვინც კლდემ გაზარდა — კლდესავით მყარი,
კლდისებრ მტკიცე და ურყევი არი.

მას ვერ შეაკრთობს ტანჯვის უღელი,
ტყვიას და სიკვდილს არ ერიდება,
დგას, ვით სალი კლდე ქედმოუხრელი,
სიკვდილშიც ელის სახელდიდება,
რადგან იტაცებს მიზანი წმინდა,
კიახბ ჰაჯარათს ვუმღერო მინდა.

მაგრამ ნუ ჩქარობ, მკითხველო ჩემო,
მასზე ვფიქრობდი მრავალი წელი,

რისი წაკითხვაც შენ გელის ქვემოთ,
და ჰა, გასრულდა ეს ფიქრი ძნელი.
როგორი არი, განსაჯე თვითონ,
მე შენგან მხოლოდ გულწრფელ მსჯავრს ვითხოვ.

მრავალი კითხვა დაისმის ალბათ,
ერთნი იტყვიან: „ჰაჯარათ კიახბა —
ხალხში გასული საგმირო ამბად, —
ერთ დროს ნამდვილად ცხოვრობდა ქვეყნად“,
სხვა იტყვის: „ხალხში ჩვენ გვეგულება
გავრცელებული ბევრი თქმულება,

იგი ეშერში [1] დაბადებულა
და უწვევნია ცხოვრების ავი;
ბოლოს ხალხისთვის თავდადებულმა
ოთჰარის კლდესთან მოიკლა თავი“.
ზოგი კი იტყვის: „ავტორმა რა ჰქნა,
ამ თქმულებაში გაერკვა კარგად?“

ანდა: „არქივის სქელი მტვრიდანა
რა საბუთები ამოიტანა?“
ანდა იტყვიან: „თემაა ძველი,
არ ღირს მწერალმა მოჰკიდოს ხელი“.
ამისი მთქმელიც მსწრაფლ გამოჩნდება:
„ყაჩაღი გმირად არ გამოდგება!“

ბედნიერია ის კაცი, ვისი
სახელიც გახდა სიმღერის ღირსი.
ყველას როდი სცემს თაყვანს ადვილად,
ღირსეულს უმღერს ხალხი ნამდვილად.
ერთი სიმღერა მიმღერეს მათში,
მე გლეხთან სტუმრად ვიყავი მაშინ.

მასპინძელს ჰქონდა ახალი სახლი,
ელექტროლამპა შუქს უხვად გვფენდა,
მთის ლამაზ სოფლებს დავცქერდით მაღლით,
სადღაც მანქანა მიჰქროდა კენტად.

---

[1] ეშერი — სოფელი.

„და აფხიარცის“ [1] სიმებს ცახცახას
გლეხმა სიმღერა ასე დასძახა:

„უა, რაიდარი, უა რაიდა გუშაძა [2],
უა, რაიდარი, იყო გმირი ჰაჯარათ!
იგი თავადებს შიშის ზარს სცემდა,
მდიდარს ართმევდა, ღარიბს აძლევდა...“
საკრავი იგი მწარედ კვნესოდა
და მასპინძლის ხმა რისხვად გვესმოდა.

ავყევი მეც იმ საკრავის კვნესას,
ვეღარ ვივიწყებ იმ წყნარ საღამოს
და ის სიმღერა თან დამდევს დღესაც,
ახლაც ჩამესმის ყურში საამოდ
მე იმ სიმღერის ჩუმი ძახილი:
„ჰაჯარათ იყო გმირი ნამდვილი!“

მე ის სიმღერა მეძახდა მუდამ,
მე გმირს ვხედავდი: გლეხის შვილს, ღარიბს
და იმ ვაჟკაცის ქების თქმა მსურდა,
გულქვა თავადებს რომ დასცა ზარი.
იმ აფხიარცის ის ჩუმი კვნესა,
მკითხველო, შენთვის გამოვთქვი ლექსად.

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა“

— სად მიხვალ, შვილო დაუდეგარო,
თავადის სახლ-კარს არ გაეკარო!
— მე თავადთან ჩხუბს არც ვფიქრობ, დედავ,
მათ ჩემი მართებთ და თხოვნას ვბედავ.
— ჩემი და შენი მათ არ იციან,
თავადს რაც მიაქვს, უკვე მისია.

— მამა ბოსელში ჰყავთ დამწყვდეული,
რადგან ბეგარის ფული წყეული
გადაუხდელი დარჩა საბრალოს;

---

[1] აფხიარცა — ეროვნული ორსიმიანი საკრავი

[2] უა, რაიდარი, უა რაიდა გუშაძა — გმირული სიმღერების მისამღერი.

და რომ დილამდე ვერ ჩავაბარო,
დაიღუპება მშობელი ჩემი,
სულს ამოხდიან მათრახის ცემით.

ძიაპ-შიპასთან ვიყავ მსახურად!
ფულს ვაგროვებდი მთელი ზაფხული —
დე მომცენ თანხა მოუთხოველი,
რომ გამოვიხსნა მამა მშობელი.

— ერთი ძროხა გვყავს, გავყიდოთ ისიც,
ბეგარა ხვალვე მივართვათ, დღისით.
— წავალ, არაფერს წავართმევ ძალით,
ხომ უნდა მომცეს თავადმა ვალი.
— ვერ მიგატოვებ ვერც ერთი წამით,
საშინელ სიზმრებს ვხედავდი ღამით.

წამოვალ, ცუდი რამ არ დაგმართონ,
ჩავუვარდები ფეხქვეშ ქალბატონს.
იგი ქმარივით გულქვა როდია,
მასთან მთხოვნელნი მიდი-მოდიან
და ყველას შველის, ყველასთვის ცდილობს,
წამოვალ, მარტო ნუ წახვალ, შვილო.

— მე უკვე ბავშვი აღარ ვარ ჩვილი,
ამბობენ: „აჰმათს მოესწრო შვილი!“
და თუ ვერ ვიხსნი ციხიდან მამას,
დამიზრახავენ ნამდვილად ამას.
გთხოვ, ნუ ჩამაგდებ იმ ხალხის ყბაში,
წავალ თავადთან, აღარ ვარ ბავშვი.

არ დაჰყვა დედის მუდარას შვილი;
ეზოდან ადრე გავიდა დილით.
იყო რიჟრაჟი ჯერ ისევ ცივი,
ნამზე ბრწყინავდა პირველი სხივი,
ბალახებს ისევ ეყარა ცვარი
და ნისლის ზეწარს არხევდა ქარი.

მთებს ისევ ღრუბლის ჩრდილი ეფარა,
მზე რომ ნელ-ნელა შემოეპარა.
ბულბული ისევ ყეფს ტია-ტიას,

რომ არ ამოჰყვეს ყელიდან სვია.
წევს ზღვის ნაპირას წყნარი სოფელი —
ეშერა, მზერის დამატკბობელი.

„მთაო, გამიშვი, მთაო კლდიანო,
ზღვისკენ მხარგაშლით მინდა ვიარო“.
ჰყვირის გუმისთა [1] და ზვირთს აჯახებს
მაგრად შემოკრულ კლდოვან არტახებს.
ოდითგან ებრძვის ამ კლდეთა ზღუდეს,
ხრავს, სერავს, ანგრევს და ისევ უტევს.

ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი
ბელტებს აბრუნებს გლეხი სახნელით.
მდინარის პირას კუნძები იწვის,
კვამლს მიაქვს ცისკენ სურნელი მიწის.
მიჰყავთ ხარები ქედდაუღლული,
მკაფავს და მთესველს უხმობს გუგული.

ვაჟკაცი თვალით ხეობას სინჯავს,
მდინარის ნაპირს მოჰყვება დინჯად.
კიახბი ფიქრით გართული მოდის,
გულს აწევს მძიმე ტკივილის ლოდი.
მოდის ვაჟკაცი ნაბიჯით ჩქარით
და უფრიალებს ჩაბალახს ქარი.

„ეს რა წესია, ვერ გამიგია,
ვინც არ ხნავს მიწას, მიწა მისია.
სად გაგონილა, სად თქმულა ესა:
მოსავალს იღებს, ვინც არა სთესავს.
როდემდის ვზიდოთ ტანჯვის უღელი?
ნუთუ ჩაგრულ ხალხს არვინ უშველის?!

ვინც ხეს არ რგავდა, მას აქვს ბაღები,
მას აქვს ტყეებიც, იალაღებიც.
ვინც ცხენს უვლიდა თავისი დღენი,
ქვეითად დადის, არა ჰყავს ცხენი.
მაგრამ რას დავსდევ ამნაირ ფიქრებს,
მამაჩემს ახლა შოლტს სცემენ იქნებ!“

---

[1] გუმისთა — მდინარეა სოხუმის ახლოს.

გადაიარა კიახბმა ხიდი,
პირდაპირ მოჩანს სასახლე დიდი,
გარშემორტყმული მწვანით რომ არი,
ეს მამულია თავად ომარის.
და ჰაჯარათი იქით იჩქარის,
აი, შეაღო რკინის ჭიშკარი.

•

კიახბმა იმ სახლს ერთი ახედა, —
არავინ ჩანდა ეზოში მთვრალი,
ხმა არ ისმოდა მეინახეთა.
ვერც მერნებს მოჰკრა ღობესთან თვალი.
სახელაღლაჟა, თვალამღვრეული,
ცეცხლზე არ სწვავდა თხას მზარეული.

ჰაჯარათს შეხვდა მსახური კართან:
— შენ თუ ომარის ნახვა გწადიან,
შინ არვინ არის, ქალბატონს გარდა.
სოხუმს წავიდა დილაადრიან.
თუ ქალბატონთან გაქვს სათხოვარი,
საუზმობს ახლა, ცუდი დრო არი.

თავადის დედა კითხულობს მკაცრად;
— ამ უთენია, გლეხთაგან რომელს,
ვის მოუვიდა აქ მოსვლა აზრად?
ჰაჯარათი ხარ? თვითონ რომ მოხველ,
დაუძახებლად რა კარგი ქენი—
ფსირცჰაში მინდა გაგზავნა შენი.

იქ ქალბატონ ჩიჩს წერილი ჩემი
უნდა გადასცე პატივისცემით.
და საპასუხოს რომ მოგცემს ბარათს,
გამობრუნდები უკანვე ჩქარა.
აჰა, წაიღე ჩემი წერილი. . .
რად ხარ მწუხარე და მოწყენილი?!

— განსაცდელში ვართ, ჩვენო იმედო,
თუ არ გვიშველი, დავიღუპებით.
გთხოვთ, რომ წყალობა გამოიმეტოთ,

მამას აჩუქოთ თავისუფლება.
— სულ დამავიწყდა მეთქვა ამ წუთას,
ჩიჩი გადმოგცემს პატარა ფუთას.

— ბოდიში, მაგრამ დრო არ მაქვს ამის,
ჯავრმა და ბოღმამ დამახრჩოს ლამის.
მე სხვა სათხოვრით არ გახევთ კალთებს,
ფულსა ვთხოვ ომარს, ჩემი რომ მართებს.
— შენი რა გვმართებს, ტიტველ-შიშველო?
— თქვენთვის ცოტაა, სულ უმნიშვნელო...

ცხენი დავკარგე, ცხენს აღარ ვეძებ,
ახლა ფულიც გსურთ წამართვათ ეგებ?!
— მე დარდი არ მაქვს შენი ჯაგლაგის!
მოსმენაც არ მსურს გლეხის ლაქლაქის!
როგორ გაბედე მაგ ძაღლის ენით
გეთქვა, რომ თავადს ვალი აქვს შენი!

შვილი არ არის შინ ახლა თორემ
მათრახის ცემით მოგკლავდა სწორედ!
— ნუ მემუქრებით მათრახის ცემით,
სჯობს დამიბრუნოთ, რაც გმართებთ ჩემი—
ნაყოფი ჩემივ ოფლის და ჯაფის,
თორემ გაწყდება მოთმენის ძაფი.

— ჰოი, რა მესმის, ვით ბედავ ამას,
ღვთის რისხვა შენს ძაღლ დედას და მამას,
ღმერთმა გაგწყვიტოთ ყველა უკლებლივ.
შურისძიებით ჩვენ გვემუქრებით?
გლეხი აცხადებს ბატონებს მტრებად,
არგაგონილი ამბავი ხდება!

ჰეი, მსახურნო, მოთმენა კმარა,
მიდით, აუშვით ძაღლები ჩქარა,
რომ ეს თავხედი დაგლიჯონ უცებ...
ჰაჯარათს გული ვეფხვივით უცემს,
მაგრამ მუშტს მკერდში დაირტყამს მწარედ
და შეშლილივით გამორბის გარეთ.

თუმცა კამათლებს ისვრის ქადილით
ომარი მაინც აგებს ძლიერთან,

მას სავსე ჰქონდა ჯიბე ამ დილით,
მაგრამ შუადღეს დაცარიელდა.
— შაში ბეშიო! — თხოვს, შეჰღაღადებს,
მაგრამ არ ესმის მისი კამათლებს.

ჯავრს გულში იკლავს, ამაოდ შფოთავს,
საქმე სულ მიდის შავად და შავად,
რომ დაიმშვიდოს მან გული ცოტა,
მსახურს უბრძანებს — მოართვას ყავა,
და რომ მიართმევს ცხელ ყავას წყნარად,
მსახური ომარს გადასცემს ბარათს.

კითხულობს ბარათს, დაეცა მეხი,
წერილს ბოლომდე თვალს გააყოლებს,
ზეზე წამოხტა, ნარდსა ჰკრა ფეხი,
ჩქარობს და წასვლას აღარ აყოვნებს.
ხელში ხანჯლის ტარს მრისხანედ ბღუჯავს,
მსახურს ეძახის: „მომგვარეთ ლურჯა!“

უხმოდ ჩაუვლის ბევრ მტერ-მოყვარეს,
ბრაზით მოავლებს თვალს ყავახანას,
დეზი ჰკრა ლურჯას და გააქანა.
თვალთაგან რისხვის ცეცხლთა მთოვარი,
ეშერისაკენ მიჰქრის ომარი.

თითქოს ხეები მისკენ მორბიან,
მოჰქრის მდინარეც ზღვირთთა მაყრულით,
ცხენი კი არა, თითქოს ორბია,
მიფრინავს ლურჯა მიწას გაკრული.
რატომ არ ზოგავს ლურჯას მხედარი,
რად აფრქვევს რისხვას ქვეგამბედვარი?

ომარს ბევრი აქვს ბაღი და ყანა.
ბევრი აქვს თავადს პლანტაციებიც,
მისი მორჩილი მუშები განა
ერთხელ აღმდგარან შურისძიებით?
ბევრჯერ უცდიათ რბევა და ძარცვა,
დამუქრებიან სახლ-კარის დაწვას.

იქნებ აჯანყდნენ თავგასულები,
ომარის სახლ-კარს მოსდეს ხანძარი,

შეიარაღდნენ კეტით, ცულებით,
რომ ძიაპ-შიპებს დასცენ თავზარი?
ჯავრი აშფოთებს ვიღაც ყაზახის,
დედის ბარათი ყურში ჩასძახის!

„კიახბი, ავი აჰმათის შვილი —
ამოწყდეს მათი წყეული ჯიში,
თავს ყაჩაღივით დაგვესხა დილით
და დაგვიხეთქა გულები შიშით.
თუ გსურს რომ მტერი არ გაახარო,
უნდა დაბრუნდე სახლში საჩქაროდ“.

ბრდღვინავს ომარი, ცხენს მიაჭენებს,
„სად წახვალ, ძაღლის შვილო, თავხედო.
თუ ვაჟკაცი ვარ, სეირს გაჩვენებ,
რომ ყაჩაღობა ვეღარ გაბედო.
მე მემუქრება თურმე პირიქით,
თავს ჩემს ტოლად თვლის ეგ ლაწირაკი.

ან როგორ ბედავს თვალს რომ მისწორებს,
არა აქვს ჩემი კრძალვა და რიდი.
თეთრ ჩაბალახით ხალხს თავს აწონებს,
თითქოს ეგ იყოს თავადი დიდი.
განა ქიშპობას მიწევს მალულად,
გლოვად მიქცია იმ დღეს მარულა.

წამომეწია კიახბის ცხენი,
ვხედავ ჩემს ლურჯას იმისი უსწრებს..
და როცა მივსწვდი სატევარს წყენით,
მანაც გააძრო ხანჯალი უცებ.
გამეკამათა ხალხში ამაყად,
მაგრამ მივაგე შემდეგ ათმაგად.

შემდეგ ვუგზავნე შუამავალი,
რა არ აღვუთქვი იმ ცხენის ფასად,
და რომ დავტყუე თხოვნით მრავალით
არ გავიკარე კიახბი არსად.
მამამისს ვალი არ მიეეც განზრახ,
ვერ დაივიწყებს იგი ჩემს მათრახს.

მაგრამ კიახბმა ეს გაკვეთილი
არად ჩააგდო, ეეღარ მოზომა
და გლეხი ტანფეხჩამოფლეთილი
თავადს მიბეედავს სახლში მოხტომას.
მაგრამ ვანანებ მოქცევას ურჩად. . .“
მიჰქრის ომარი, მიფრინავს ლურჯა.

ელდა თუ ეცა მგელივით მზირალს, —
მგზავრს მიაშტერა თვალები ჭროღა.
თვითონ კიახბი გუმისთას პირას
უკან მისდევდა ერთადერთ ძროხას.
მიაგდო ცხენი და ბრაზით სავსემ
ხელი შემართა კიახბის თავზე.

— რადა მცემ მათრახს, ბატონო ჩემო?
— განა მათრახს გცემ? ბუზი რომ გაზის,
ის მინდა მხოლოდ რომ მოგაცილო. . .
— ჩემს ცხენზე ზიხარ და მიბღვერ ბრაზით?
რაც გამამწარე, გეყოფა, კმარა,
ახლავ ჩამოდი ცხენიდან, ჩქარა! —

ეს თქვა და აღვირს უტაცა ხელი,
— საოცარია! მიბეედავ თავადს
ცხენზე მჯდომარეს წამართვა ცხენი?
გაგთენებია ეს დილა შავად! —
მათრახმა ცაში ელვა მოხაზა
და სისხლი წასკდა კიახბს ლოყაზე.

მაშინ კიახბმა კამარა შეჰკრა,
ძირს გადმოიღო წამსვე ომარი,
მაგრამ თავადიც დაუხვდა მედგრად,
შეიქნა ბრძოლა გასაოცარი.
და მათ კვეთებას უცქერდა მუნჯად.
განზე ფრუტუნით გამდგარი ლურჯა.

მზის შუქი გასდევს ზღვის ტალღებს ზოლად,
გრძელი დაისი არ ბოლოვდება,
თითქოს მზეს სურდეს იხილოს—ბოლოს
სიმართლე დასძლევს თუ ბოროტება.
ბრძოლა სასტიკი გრძელდება ისევ,
მზე შუბისტარზე ნელ-ნელა იწევს.

ომარი ყელში ეცა ჰაჯარათს,
ახრჩობს, გაშვებას როდი აპირებს,
იძრობს ხანჯალს და უნდა აშკარად
შიგ გულში დასცეს მოპირდაპირეს.
მაგრამ კიახბიც იბრძვის და. უძლებს,
ხელით მისწვდება რევოლვერს უცებ.

და გასროლის ხმა ბრძოლის დასასრულს
გვამცნობს, ხეობას შეაზანზარებს.
მზე ზღვაში ჩადის თითქოს აღარ სურს
უცქიროს დიდხანს სურათს საზარელს.
უმხედროდ მირბის ლურჯა დამფრთხალი...
აჰა, გამოჩნდა სახლი მაღალი.

ჭიშკარს მოაწყდა მთელი ოჯახი,
გლოვა შეექნათ გაუგონარი.
ვიღაცა მორბის და გადმოსძახის:
— გუმისთის პირას მოვკალ ომარი!
სამართლიანად მოვკალ, ახია!
მკვლელი ვარ „თეთრი ჩაბალახია"...

გ ა ტ ა ც ე ბ ა

ჰაჯარათ კიახბი ტყეში გაჭრილა,
უძილობა და ჯავრი აწუხებს;
მოჩანს ნაბადი ხის ქვეშ გაშლილი,
ვერ გაქცევია დარდის მარწუხებს.
ვაჟკაცს ტყე ფარავს მწვანერტოება,
ჩრდილი, ფოთლები და მყუდროება.

ო, ტყის ნიავო, ჰაჯარათს ეძმე,
გულს მოუფონე მაშვრალს და მართალს
ტყეო, იყავი ვაჟკაცის შემწე,
გადააფარე უღრანი კალთა.
იქნება გესმა აჰმათის კვნესა,
ან მისი ფაცხის გიზგიზი გესმა?

ძნელია, კაცმა მარტო იცხოვროს,
უფრო ძნელია გატყიურება.

ძნელია კაცმა მარტო იბრძოლოს,
თუ მეგობარი არ ეგულება.
აქვს ნადირივით ფხიზელი ძილი
და ნადირივით ფრთხილია, ფრთხილი.

— „თავისუფლების სიყვარულისთვის
ტყეს შევეფარე, ვით ავაზაკი.
ამდევნებია მტერი ურიცხვი,
თუ მომკლავს, ჯილდოს ელის კაზაკი.
მე ვარ ფოთოლი ქარით დევნილი.
ლაფით მოსვრილი და გათელილი!“

ასე ფიქრობდა ჰაჯარათ კიახბა,
შემოსწოლოდა გულს მძიმე დარდი.
ჩუ, ლერწმის ტევრმა გაიღო ექო
და ლაქაშიდან გამოძვრა ლანდი.
წამოხტა კიახბი, როგორც ყაჩაღი,
და შეაყენა ფეხზე ჩახმახი.

— ჰეი, ვინა ხარ, რას იმალები!
გამოდი, თორემ გესვრი, იცოდე,
ამას რას ხედავს ჩემი თვალები,
ბადრა, შენა ხარ, ჩემო სიცოცხლევ?!
გადაეხვივნენ ძმურად ერთმანეთს,
— გელოდებოდი, ბადრა, ღმერთმანი.

მამა რას შვრება, ხომ ცოცხალია?
ძმაო მამაზე შემტკივა გული,
— ნაციხარ მოხუცს უჭირს ძალიან,
თუმც დედაშენი ყოჩაღად უვლის,
ათ დღეზე მეტი კარცერში ჰყავდათ,
ბებერი ორბი დაკორტნეს ყვავთა.

უთხრეს: „წადი და შენს შვილს ურჩიე
შეურიგდი-თქო ხელისუფლებას.
დროა, ანებოს თავი ურჩობას,
თორემ ნამდვილად დაიღუპება.
თუ ერთ კვირაში არ შეგვირიგდა,
თავს ვერ დაიხსნი გასაჭირიდან!“

— შინ წავალ... მამა მომნატრებია...
— ძმაო, მოთმენა გიჯობს ამჯერად.
იქ ძიაპ-შიპა ჩაგსაფრებია
და უნდა შენი ცოცხლად დაპერა.
ძმისათვის უნდა იძიოს შური.
გაფრთხილდი, ჩემი თხოვნაა ძმური,

— თქვი, ჩემი დები სად გაიხიზნენ,
ხომ არა ევნოთ მგლების თარეშით?
— გამოიჩინა ხალხმა სიფხიზლე
და გადამალა ნათესავებში.
—ბადრა, შენ მგონი სათქმელს მიმალავ,
მესაუბრები რაღაც იმგვარად...

— დიახ, სწორს ამბობ, ვეღარ გითხარი
ხალხის სათქმელი და აღშფოთება,
დააპატიმრეს ჩემი სტუმარი..
არ შეიძლება მეტის მოთმენა...
— თავი მოგვეპრა, ძმაო, აფხაზებს,
შერცხვენილი ვართ მთელ ქვეყანაზე.

*

როგორც წარბებთან ლურჯი თვალები,
ისე ახლოა ზღვა ფსირცეის მთებთან.
მთვარე სავსე და ფერნამკრთალევი
ზღვას გადმოევლო და მთაზე შედგა.
უკვე გათენდა, სხივი ელვარე
სანთლად დაენთო მაღალ მწვერვალებს.

როგორც თეთრი ხე ფოთლოვან ტყეში
გამორჩეული თეთრი ნათელით,
ასევე ელავს სინათლის თქეშით
ეკლესიაა თუ მონასტერი.
ახალ ათონის ლამაზ გუმბათებს
მზე და ჩიტები ლაზათს უმატებს.

ეხმიანება ზარებს ზარები,
ჩიტები გუნდად მზეს დაეკიდა.
აჰა, ბერები მთქნარებ-მთქნარებით

გამოეფინენ სენაკებიდან.
ქვევით, ზღვისპირად, მწვანე პალმებში
უფრო გახშირდა ჩრდილთა თარეში.

გადმოქუხს ფსირცჰა მთის ფერდობიდან,
გავაკდება და ზვრებში შესცურავს.
რძისფერ ჩქერალთან გოგო მოვიდა,
პატარა ბიჭი მოჰყვა მეგზურად.
გოგონას შვენის ჭრელი თავშალი
და დალალები ჩამონაშალი.

გზად დილიჟანი გამოხრიგინდა,
ცხენებს გაშლოდათ ქარში ფაფარი.
პატიმარს უჯდა აქეთ-იქიდან
ხმალამოწვდილი ორი ჩაფარი.
ეტლს ცხენოსნები მოსდევდნენ უკან,
მტვრით ივსებოდა შარა და შუკა.

მდინარის პირას შეჩერდა ეტლი
და სტრაჟნიკები გამოხტნენ სწრაფად.
გაისმა ხმლების ჟღარუნი მკვეთრი,
მერე ორივე წყალს დაეწაფა.
ოსტატს ფეხებზე ადევს ბორკილი,
ხელები ზურგზე აქვს გათოკილი.

წყურვილის მოკვლა ყველამ ინდომა,
(კაცი ვერ უძლებს წყლის სიდუხჭირეს) .
როცა ტუსაღმა წყალი ითხოვა,
მას მათრახები გადაუჭირეს.

ამ დროს მოვიდა ვიღაცა ბერი
და ჩაფრებს თავი დაუკრა მდაბლად.
გოგო ფიქრობდა: „ღვთის მსახურია
და წყალს შეასმევს პატიმარს ალბათ“.
ბერმა დააძრო ორი ნაგანი,
გაისმა ორი მჭახე ჭახანი.

ორივე მცველი ძირს გაიშოტა,
ჩაფრები შედგნენ დაბნეულები
და გადმოცვივდნენ სანაპიროდან

ბერ-მონაზონთა ათეულები.
მთლად აირია რაზმი ჩაფართა,
ხელი ასწია და ტყვედ ჩაბარდა.

გოგონა ფიქრობს: „ნეტა ვინ არი
ეს ვაჟი ასე მარჯვე, ჩაუქი“.
ალბათ ის არის მისი სიზმარი.
მისი ოცნება და მზეჭაბუკი.
თუმცა ერთხელაც არ შეხვედრია,
მისი ბედი და მისი ხვედრია.

უცებ კოფოზე შეხტა ჰაჯარათ,
სადავეს დასწვდა ნაბადგაშლილი.
ამ დროს იქექა ჩაფრის შაშხანამ,
იქვე წყლისპირს რომ ეგდო დაჭრილი.
ჰაჯარათს მკლავი ჩამოეკიდა
და სისხლმა დენა იწყო ნეკიდან.

გოგონამ თავშლის კიდე მოხია
და შეუხვია ვაჟკაცს ჭრილობა.
ბერებმა ცხენებს დასცხეს მათრახი
და დილიჟანი გაქრა რახრახით.

ელვისებურად მოხდა ყოველი,
დამხვდურნი გასცდნენ პალმის ხეივნებს.
აჰა გოგონა თვალებსოველი
ძმას ბილიკებით მიარბენინებს.
ბიჭუნა მოჩანს ნაფერმკრთალევი,
დაუჭყეტია შიშით თვალები.

—ნუ გეშინია, სახლში ვბრუნდებით!—
შემკრთალ ბიჭუნას და ეფერება.
ბიჭს უთამაშებს სახის კუნთები,
სუნთქვა ეკვრის და ცრემლი ერევა.
და ეუბნება: „რას გიგავს სახე,
გთხოვ, დაივიწყო რაც წეღან ნახე“.

გადაირბინეს ყანა ბიბინა
და შეისვენეს წამით ვერხვებთან.
გოგონას უკვირს, რაც ჩაიდინა

და სიხარულით თავბრუ ეხვევა.
თითებში ჭმუჭნის თავსაფრის ნახევს
და თვალწინ უდგას ვაჟკაცის სახე.

ელავს კორდები მზეგადასხმული,
აჰა, სოფელი მოჩანს ბორცვს იქით.
ვიწრო ბილიკით გარბის ასული,
უკან ბიჭუნა მისდევს ბორძიკით.
და ექოდ ესმის გაღმა შარაგზას:
— ნელა, ყვარასა. . .
— ნელა, ყვარასა. . .

სიზმარი და ცხადი

მღვიმეში, სადაც ბნელია მარად
შესასვლელს სვიის ლერწები ფარავს.
წევს ჰაჯარათი ფეხშეხვეული,
ტკივილით უთრთის მთელი სხეული.
სამი ღამეა სტანჯავს იარა,
მაცემ რად, რისთვის დაიგვიანა?

მან წინა ღამე თეთრად ათია
და არ ეშველა მოსვლა განთიადს.
შეეპყრო იგი საოცარ ფიქრებს:
„უბედურება შეემთხვათ იქნებ?!“
ჩასთვლიმა ოდნავ, გათენებისას
სიზმრად ყვარასას ხილვა ეღირსა.

ჯერ თვალწინ ედგა მისი ყვავილი,
შემდეგ კი მოსწყდა ცის ვარსკვლავივით.
მაგრამ კვლავ ისევ ამოლიელვდა,
მღვიმე განათდა მისი სხივითა.
ტანთ მამაკაცის ჩოხა შეენოდა,
მხრებს — ჩაბალახი გადაჰფენოდა.

გაღიმებული და მოციმციმე
მზეთუნახავი აშუქებს მღვიმეს:
— ადექ, ჰაჯარათ, ძმები გელიან,
უშენოდ ყოფნა მათთვის ძნელია.

განზე ნუ დგახარ, ხალხი მოგელის
შენი გამზრდელი, შენი მშობელი.

შენ ვერაფერი ვერ შეგაჩერებს,
ვერაგებს შენი ძალა აჩვენე,
მე მინდა ისევ გაიკიაფო,
იარაღასხმულს ნახავ იაკობს —
ის გელის, კვანტრა უკვე მზად არის
და უნდა დავცეთ ჩვენს მტრებს თავზარი.

ჩამოვიცილოთ სულდგმული ავი,
ჭირს წაუღია მარითჰვას თავი.
ეშერას უნდა გავფრინდეთ ახლა,
იქ მამისეულ კერიას ნახავ,
მამისეული მიწა დავბაროთ
და მზის უქრობი შუქით ვახაროთ.

— შენ მომევლინე დღეს მერცხალივით,
მაგრამ ხომ გესმის ყორნის ჩხავილი...
მეც აბრსკილივით ვარ შებოჭილი,
რაღას უყურებ, შემხსენ ბორკილი... —
სიზმარში დარდით მოიღრუბლება,
თითქოს ყვარასას ესაუბრება.

— სულით დაეცი? ასე რას კვნესი,
შენ აბედისთვის იყავი კვესი.
თქვეს, რომ გაწუხებს ჭრილობა მძიმე:
შენ ჯანსაღი ხარ, ნუ ჰკარგავ იმედს.
მტარვალთან მძიმე ბრძოლები გელის,
წამოდექ, კარგო, მომეცი ხელი!

— როგორ წამოვდგე! — ჰკიხთა ანაზდად
და უცბად გაქრა მისი ყვარასა.
მზე მოსდგომოდა ნოტიო მღვიმეს,
გამოეღვიძა, ჩამოჯდა მძიმედ,
მზემ შეანათა დაპრილს თვალებში —
ის მარტო იყო ამ სიწყნარეში.

უქრობი შუქით ნათილისმარი,
ღმერთო, რა ტკბილი ვნახე სიზმარი —

ბედნიერებით განათებული
და სიხარულით აღტაცებული,
ეს ყოველივე ნეტავ ხელახლა,
რა იქნებოდა ცხადში მენახა!

მზის სხივო! მოდი ერთი მითხარი,
თუ გადაიხსნა ქვეყნად ცისკარი.
იქნებ იხილონ ჩემმა თვალებმა
სასიხარულო გამოდარება.
იქნებ აღსრულდა ჩემი სურვილი. . .
როგორ მაწამებს, მტანჯავს წყურვილი.

შიმშილო, მითხარ, რად იღრინები
მგლის სისხლიანი ბასრი კბილებით.
რატომ მიცქერი, როგორც ჯალათი?
არ დაგნებდება შენ ჰაჯარათი!
მარითჰვას თვალი სისხლით ევსება,
მაგრამ ჩემ სიკვდილს ვერ მოესწრება!

გარეთ გამოდის გმირი დევნილი,
მიწა შეირხა ფეხქვეშ გემივით.
თითქოს მზეც მისდევს ოქროსთვალება,
ხან გამოჩნდება, ხან იმალება.
ხედავს კლდეებზე ვიღაც იჩქარის:
— ჰეი, რა მოხდა? მოდით, მითხარით!

— ვერსად ვერ ვამჩნევ ცოცხალ არსებას,
კვამლი საიდან მოიზლაზნება?
მაცის სახლიდან აღწევს ხმაური?
— დატრიალდება უბედურება,
სადაც მარითჰვა ხალხს ესტუმრება.
საიდან მოდის ხმა უცნაური?

ის დროს ატარებს სისხლიან ლხინში
და მას გლეხობა შესაქერის შიშით,
ნება არა აქვს ფეხის დაძვრისა,
რადგან მარითჰვას რაზმი გასრისავს.
ყველგან რაზმია მურდალ ჩაფართა,
ძნელზე ძნელია იქ გზის გაკაფვა.

კმარა, რაც ჩემთვის იწამა ხალხმა,
წავალ და ბინძურ ვერაგებს ჩავკლავ!
— დად, ნუ იჩქარებ, ბრძოლა მოგელის,
ბრძოლა მკაცრი და დაუნდობელი!
მე ვერ ავიტან ხალხის წამებას!
თოფმა იქექა დაუხანებლად.

მყისვე დაიძრა მარითჰვას რაზმი
და ღრუბელივით გამოჩნდა მთაზე.
გარფის ციცაბოს ტყვია დანათის,
კოპლობით იკვლევს გზას ჰაჯარათი.
ირგვლივ ტყეა და მაღლა მთებია,
ყველგან ჩაფარი ჩასაფრებია.

დროა შეტევის, ცეცხლის დანთების,
მაგრამ შიშობენ ფრთხილი ჩაფრები.
შიში აქვთ ტრიალ მინდორზე გასვლის,
მისთვის აყოვნებს მარითჰვას რაზმი.
— შვიდი გული აქვს, შვიდს არ მოხვდება,
ერთი ტყვიით კი ის არ მოკვდება!

— და თუ ასეა, რა გვენაღვლება,
წინ გაგვიძეხით! — ბრძანეს ჩაფრებმა.
მივარდნენ გლეხებს მარითჰვას მცველნი
და წინ გაიგდეს კონდახის ცემით.
ჰაჯარათისკენ ეჭირათ თვალი
და უფრო ვიწროდ შეიკრა რკალი.

ხიხლი და ალი

მაღლა გორაკზე დგას ჰაჯარათი,
ულამაზესი და თვალტანადი.
თითქოს სიკვდილიც არ ენაღვლება,
დგას მშვიდად, წყნარად, ვით ქანდაკება.
შემოიჭირა წელზე ქამარი,
დგას უდრეკელი, მხნე და თამამი.

მოფარებია მარითჰვა მურყანს,
—ესროლეთ!—ყვირის და ძლივსღა სუნთქავს.

ჩახმახს ვერავინ გამოჰკრა თითი,
რადგან ჰაჯარათს სახე აქვს მშვიდი,
და ამ სიმშვიდემ შებოჭა ყველა,
თვითონ მარითჰვაც ამაოდ ღელავს.

დგას ჰაჯარათი, უბრწყინავს თვალი
და უფრიალებს შავ ქოჩორს ქარი.
თოფი დააგდო. შეჩერდა იგი.
მიმოიხედა უეცრად ირგვლივ.
იქუხა სიტყვამ უღვთოდ დევნილის,
ხალხს დაუარა ჟრუანტელივით:

— ჰეი, გახსოვდეთ ეს ჩემი სიტყვა!
მომავლის ვაჟებს ახსოვდეთ დიდხანს:
ვისაც ახარებს ჩემი სიკვდილი,
ის ცდება, მალე დასწვავს სირცხვილი.
იქ, სადაც ერთი ალი ჩაქრება,
ხვალ სხვა ათასი აკიაფდება!

მე მხოლოდ ერთი სხივიღა ვტყორცნე
და გავანათე პატარა ბორცვი.
სხვა მომავალი თაობა სოფელს
მზეს უფრო დიდს და ბრწყინვალეს მოჰფენს.
ბედნიერება ქვეყნად ინათებს
და გაიმარჯვებს ჩვენი სიმართლე.

ძმებო, ანდერძად იარაღს ვტოვებ,
რითაც თავადი მოვკალ და ვპოვე,
შვება ვიგრძენი, თითქოს ხუგეში
შენახული აქვს დედას უბეში,
მოგცემთ, გაგიწევთ ყველას დედობას
თქვენს პატიოსან სიტყვას ენდობა.

ვინც გამოიჩენს გამბედაობას,
ის გადაეცით ახალ თაობას,
ვით სახსოვარი ჩემი ბრძოლისა
და ჩემი ხალხთან მეგობრობისა.
ჰეი, მარითჰვა! რად დგახარ უქმად?
ახალი ჩინის იელვა შუქმა?

ნუთუ შეშინდი? მომიახლოვდი,
მგონი ჩემს ნახვას გულით ნატრობდი,
მაგრამ იმ ჯილდოს ვერ ეღირსები
და დაიმსხვრევა შენი მიზნები.
ვერ გაიხარებ ამიერიდან, —
მე არ მოვკვდები შენი ხელითა...

მოულოდნელად და ფიქრზე უმალ
ყურს მიიბჯინა რევოლვრის ლულა,
გამოჰკრა ჩახმახს, იფეთქა ტყვიამ
და ხმამ ხასხასა ცა შეარხია.
მიმოიფანტა ქუხილი ირგვლივ,
მდელოზე ნელა დაეშვა იგი.

ყველა ჩაფარი შემკრთალი არი:
— ვაითუ მართლა არ არის მკვდარი?!
გლეხების ჯგუფი, ვარამით სავსე,
თავზე დაადგა ჰაჯარათს წამსვე
და მათ თვალებზე ცრემლები ბრწყინავს...
წევს მშვიდად, თითქოს უშფოთვლად სძინავს.

— ამოუდევით თავქვეშ ნაბადი! —
გლოვის ხმა მთიდან მთაზე გადადის.
— რა იქნა შენი მხარგაშლილობა,
რად მიაყენე შენს ხალხს ჭრილობა! —
ეს ვინ მიაპობს გლეხების ტალღას?
— გზა, გზა მომეცით! — ისწრაფვის მაღლა.

მარითჰვას ხმალი უელავს ხელში,
მიიწევს მაღლა, ოხრავს და ხვნეშის,
უნდა ჰაჯარათს მოჰკვეთოს თავი.
— ცოცხალი იყო, იყავი მხდალი,
შიშით გითრთოდა, მარითჰვავ, გული,
ახლა მკვდარზე გსურს იძიო შური?

—გზა, გზა მომეცით! — მარითჰვა ბღავის,—
ხვალ სოხუმს ჩავალ მოკლულის თავით.
— მარითჰვა! შესდექ, არა ხარ ბალღი,
ხომ ხედავ როგორ მშვიდროდ დგას ხალხი!
— უნდა აღსრულდეს დღეს ჩემი ფიცი...
არა და... ბოღმა დამახრჩობს, ვიცი...

— თავს მოჰკვეთ? ცეცხლი აბრიალდება,
უბედურება დატრიალდება!
— განზე გადექით! — გააპო რკალი
და უფრო მაღლა შემართა ხმალი.
ჰკივის, მიიწევს წინ გამძაფრებით,
უკან მისდევენ მხდალი ჩაფრები.

უცბად შეჩერდა, რა მოხდა ნეტავ?
თითქოს წინ ზვიად სიმაგრეს ხედავს.
თითქოსდა სისხლის, ცრემლის ზღვა ღელავს.
თითქოს მოესმის ტანჯულთა წყევლა.
— მარითჰვა, მკვლელო, იყავ წყეული! —
ხალხი გუგუნებს რისხვად ქცეული.

მწველი თვალებით გმირავდნენ ჯალათს,
მუშტშემართულნი შეიკრნენ რკალად.
დაიძრა მისკენ ტალღა დგანდგარით
და ჰაჯარათიც თითქოს ამდგარა,
მისკენ გულდაგულ მოიმართება.
რად მიატოვეს იგი ჩაფრებმა?

იკადრა ისევ უკან დახევა,
მარითჰვა ღელავს, ხალხი არ ცხრება:
— ვერაგ მარითჰვას დავცეთ თავზარი!
— მაღლა ცას სწვდება, ხედავ, ხანძარი?
— მარითჰვა, იწვის შენი სახლ-კარი! —
გლეხებს მოსცილდა იგი კანკალით.

ბორცვზე ავარდა, გადაიხედა
.და სიმწრისაგან უცებ გახევდა,
მის ბაღში იდგა კვამლი და ალი,
იწოდა მისი ვეება სახლი
და კვამლი ზეცას ფარავდა შავად.
რა უნდა ექნა სისხლიან თავადს?

ვიწრო ბილიკზე შეაგდო ცხენი,
გამწარებულმა მოქუსლა ქვევით.
ჩაფრებსაც მასთან წასვლა ენებათ,
თოფებს ისროდნენ გასამხნევებლად.

შურისძიება ვისაც ეღირსა —
მიჰქროდა რაზმი სხვა მხედრებისაც:

მიჰქროდა რაზმი, გზები გადასჭრა
და მხედრებს შორის იყო ყვარასა.
იწვოდა სახლი და ჩაუმქრალი
ცამდე აღწევდა ვეება ალი,
გადასწვდენოდა ზღვასა და ქედებს
და მიჰყვებოდა მთებისკენ მხედრებს.

1954—1964

ივანე თარბა

ივანე კონსტანტინეს ძე თარბა დაიბადა 1921 წელს. დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლა. მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ და სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე. ამჟამად არის აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

ი. თარბამ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 40-იან წლებში. მისი შემოქმედებითი ქანრი და თემატიკა ფართოა და მრავალფეროვანი, შთაგონებულია საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური მშენებლობის დიდი პათოსით. მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ, რუსულ, სხვა მოძმე რესპუბლიკებისა და უცხო ენებზე.

ი. თარბა არის დ. გულიას სახელობის პრემიის ლაურეატი.

აფხაზეთო ჩემო

აფხაზეთო ჩემო,
ჩემო ტკბილო დედავ!
მაპატიე, ისევ
თუ სიმღერას ვბედავ.

არ მეყოფა სიტყვა
სადიდებლად შენდა,
სარკმელების შუქი,
და სიმაღლე ჭერთა.

არ მეყოფა სუნთქვა,
არ მეყოფა მზერა,
მაგრამ რა ვქნა, მაინც
სიყვარულის მჯერა!

შეჯერებით გულზე
ხელს დავიკრეფ განა?
მე იქა ვარ, სადაც
მწვერვალები დგანან.

მე იქა ვარ, სადაც
ფეთქავს შენი გული —
სულ პატარა ლექსის
პწკარში შეხიზნული.

სულ პატარა, როგორც
ბწკალი ნამლევ მთვარის,
დიდ რუკაზე შენი
მიწა-წყალი არის. . .

მთაგორები რბენით
მოვიარო მინდა,
საზეიმოდ ბრწყინავს
ცის ლაქვარდი წმინდა!

განა მხოლოდ ზეცა,
განა მხოლოდ მთები, —
ზღვის ნაპირიც მიყვარს, . .
ზღვის ტალღებშიც გვხვდები. . .

და ვიმღერი ისევ
ამ სიმღერას მაშინ,
რომ ჩემი ხმაც იყოს
ზღვის ბობოქარ ხმაში.

ჩემს მღელვარე ფიქრებს
მეც მივყვები ცამდი,
ისევ ისე მწამხარ,
ისე როგორც მწამდი!

აფხაზეთო ჩემო,
ჩემო ტკბილო დედავ,
ქვეყნის ყოველ კუთხეს
შენი თვალით ვხედავ.

მხოლოდ შენი ენით,
შენი გულის ძგერით
გამარჯვების ახალ
გზებზე მივიმღერი!

აქ პირველად ვნახე
შენი დროშის ფერი,
შრომაც ვნახე, ძმობაც
გულმტკიცე და წრფელი.

ომიც ვნახე დიდი,
გამარჯვება გმირთა
ერთგულება ახლა
შემოგფიცო მინდა:

სულ პატარა ზღვაო,
სულ პატარა მიწავ,
შენს დღესა და ღამეს
ჩემი სულთქმით ვიცავ!

აფხაზეთო ჩემო,
ჩემო ტკბილო დედავ!
ჩემს პატარა გულში
ეტეოდე ნეტავ!

1957

ალაზანი

სად იწყება, სად თავდება,
სად აქვს ბოლო და საზღვარი,
კავკასიის მაღალ მთებთან
მოიმღერის ალაზანი.

მის სათავეს კაცის თვალი,
კაცის მზერა ვერ მისწვდება,

ეხუტება ნაპირს წყალი
და დაძმობას ეფიცება.

ო, მადლობა ჩემს ქვეყანას,
რომ გამზარდა და მაღირსა
მომღერალი გავმხდარიყავ
აყვავებულ ალაზნისა.

ძველთა ომთა არ ვარ მომსწრე,
როცა დასჭრეს მტერს ბრჭყალები,
მტრების სისხლით როცა მორწყეს
ქართველებმა ეს ჭალები.

ვნახე, მხოლოდ მშვიდობის მზე
გიზგიზებდა ამ ველებზე
და ძღეროდნენ ბრიგადები
კომუნიზმის ნათელ დღეზე.

პაწაწინა ნაკვეთების
აღარ ჩანდა არსად ზღვარი,
გუგუნებდნენ ტრაქტორები,
ბანს აძლევდა ალაზანი.

ქიმი ჩანდა მწვერვალისა,
უზარმაზარ კოშკის დარი,
ფართო ჭალებს, როგორც დიდ ქვაბს,
ასდიოდა ოხშივარი.

წმინდა რძისებრ როგორც დუღდა
ალაზანი, ვნახე დილით,
ნიავი რომ დაქროლებდა,
ნისლს იკრავდა ნაღებივით.

სად იწყება, სად თავდება,
სად აქვს ბოლო და საზღვარი,
კავკასიის მაღალ მთებთან
მოიმღერის ალაზანი.

1950

ღუნიბის ღამე

ალ. ტვარდოვკსის, რ. გამზატოვს, კ. კალაძეს

მასპინძლებივით მთებიც წამოდგნენ
და თავს გვიკრავდნენ სტუმრებს.
გადმოეშალა ზეცას სამოთხედ
ვარსკვლავიანი უბე.

ფხიზელი ღამე, როგორც მგოსანი,
იყო აღსავსე ეშხით. . .
და საუბარი კლდის წყაროსავით
სულ ჩუხჩუხებდა მთებში.

ეს იყო ძმათა ლექსის მეჯლისი,
ძმათა სიმღერა ერთობ
და მთვარე, როგორც ედელვეისი,
ყველა სტრიქონში ენთო.

და ჩვენს წიგნებში ერთად შეყრილი
თრთოლვით, შრიალით, სტვენით,
ცნობისმოყვარე გოგონებივით
იპვრიტებოდნენ ხენი.

და ღაღანებდა სხვადასხვა ენით
ფიქრი მეგობარ გულთა. . .
მთაში დაღესტნურ ჩანჩქერებივით
ისმის ლექსების სუნთქვა.

ოცნებით ვპვრეტდით — თითქოს წინაპრებს
ჩვენი ლექსებიც ექოთ. . .
ეს მათი სულის ხმა და სინათლე
მთებს აწყდებოდა ექოდ.

მზის ისრებივით ცაში შეპრილნი
ვთხზავდით ერთობის ოდებს
და ვარსკვლავები
ყვავილებივით
ძირს ცვიოდნენ და თრთოდნენ.

1962

სკამი პოეტისა

აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას აგარაკის აივანზე იმავე ადგილზე მუდამ დგას ის სკამი, რომელზედაც უყვარდა პოეტს ჯდომა.

ზღვას გულახსნილი გაჰყურებს სახლი,
ხსოვნის ფურცლებად წამებს ცვლის წამი.
ზღვა ნაპირს კოცნის თუ ტალღებს ახლის,
დგას აივანზე ყოველთვის სკამი.

აი, აქ იჯდა პოეტი ხალხის,
მოჭუტულ თვალით სამყაროს ჭვრეტდა.
ისმენდა ქვეყნის ჩურჩულს თუ ძახილს,
მუდამ გულიან სიმღერებს წერდა.

არ დაცემია ჩრდილი ცთუნების
პოეტის კალამს და აღმაფრენას.
მას გასაღები ჰქონდა ბუნების
და ლექსად თარგმნა ბუნების ენა.

სიტყვას ფრთა მისცა მძლავრი და ფართო,
მაღალი რწმენა, მამულის ფარი.
...მაგრამ დღეს სკამი მარტოა, მარტო
და არხევს ზღვიდან მოსული ქარი.

ასეა წესი: თუ მეფე კვდება,
სამეფო ტახტზე სხვა მეფე ადის,
მაგრამ, თუნდ მისცეს თავს ვინმემ ნება,
ვინ დაიკავებს პოეტის ადგილს!

სიტყვას ვერ ფარავს დრო-ჟამის ბინდი,
თუ ხალხის გულში რჩება ღრმა ხნული.
წუთისოფლიდან პოეტიც მიდის,
მაგრამ მუდმივი აქვს სამსახური.

დგას აივანზე სკამი მდუმარე
სიტყვის მეუფის, ფიქრთა მთესველის,
მაგრამ იქიდან, ვით მზე მცხუნვარე,
კვლავ ეფინება მამულს ლექსები.

1962

რიწის გზაზე

რიწის გზაზე დილის ჟამი —
ცხადში სიზმრის მოლანდება;
კლდეებს ჩათვლი ერთი წამით
გამორიყულ ხომალდებად.

კლდეთა ბზარში — კვალი მეხის,
ნაძვის ტოტზე — ელვის კვალი;
ბზიბს დახედავ, ლოდთან შეხლილს.
გაგაოცებს ლურჯი წყალი.

ბზიბის გვერდით ტევრი ბზისა,
ტევრში შხეფი ბრწყინავს ნამად.
გზა ჩამოჰგავს ზოგჯერ ისარს,
ზოგჯერ — მთისკენ ნასროლ ქამანდს.

თვალებს მოგჭრის სილამაზე,
გზას შეგიკრავს ნისლის ტივი
და მანქანაც, რიწის გზაზე
აყვირდება ირემივით.

მოექცევი მაღლობს თავზე,
ჰა, ზემოდან უმზერ მერცხალს,
გეჩვენება რიწის გზაზე, —
სულ ახლოა ლურჯი ზეცა.

ზვირთი არღვევს კლდეთა ჯებირს
შუქზე ელავს შხეფთა ჯარი,
და გგონია, ვარსკვლავების
დაბადებას შეესწარი.

და გზაც არღვევს მთების ალყას,
და წინასწარ იგრძნობს მგზავრი, —
ეს გზა რატომ იწევს მაღლა,
რიწისაკენ რად იჩქარის!

გამოქროლილ ნაძვებს ხედავ,
გამოუსხამთ თითქოს ფრთები. . .
გეჩვენება, მოსახვევთან,
შემობრუნდნენ შენსკენ მთები.

შემობრუნდნენ შენსკენ კლდენი,
შემდეგ უკან ბრუნდებიან. . .
შორს მწვერვალებს თოვლი შვენით,
თითქოს თეთრი ქუდებია.

მთა, ექოთი სალამს გეტყვის,
ტაშს გაგებებს გზაზე ქარი,
აი, შენსკენ ნიშანსვეტიც,
მახარობლად მოიჩქარის.

და მანქანა როცა ხედავს
მთების ღიმილს, ზეცის ღიმილს,
მოსწყურდება სიცოცხლე და
აყვირდება ირემივით.

1960

მზე ჩვენთან იღვიძებს

(ნაწყვეტები რომანიდან)

ჩვენს სოფელს ახალმთვარე ჰქვია. მე სულ სხვა სოფელში დავიბადე. დედისერთა ბიჭი ვარ. მამა დიდ სამამულო ომში დამეღუპა, დედა გარდამეცვალა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალმთვარეში გამომგზავნეს და მას მერე აქ ვმუშაობ.

ექიმი გახლავართ, ვეტერინარი. რასაკვირველია, ჩვენს სოფელში ყველა ერთნაირად არ აფასებს ჩემს პროფესიას. ზოგიერთები, როცა ახლოს ჩავუვლი, ერთმანეთს გადახედავენ, თვალს ჩაუკრავენ, საქონლის ექიმმა ჩაიარაო; მე ამას არაფრად ვაგდებ, რადგან ის ადამიანები, რომლებთანაც მე ვმუშაობ, ვისთანაც ვცხოვრობ, ძალიან დიდ პატივს მცემენ.

ჩემი მუშაობის შინაარსი და ისიც, თუ რა ფასი აქვს მას ჩვენი სოფლისათვის, ყველაზე მეტად ესმის ხარზამანს. ხშირად იტყვის ხოლმე: ადამიანის მკურნალ ექიმს რა უჭირს, მივა ავადმყოფთან და ჰკითხავს, რამდენი წლის ხარ, თამბაქოს ეწევი თუ არა, სვამ თუ არა ღვინოს, ან არაყს, სად და როგორ გტკივა, — ასე კიდევ ათას რამეს გამოკითხავს და ამ გზით ბოლოს და ბოლოს მიაგნებს ავადმყოფის ნამდვილ სატკივარს, მერე გამოუწერს ათასნაირ წამალს და წავა. ვეტერინარობა კი უფრო ძნელია. საქონელს არ შეუძლია ილაპარაკოს, თქვას თუნდაც ერთი სიტყვა.

ხარზამანი თავიდანვე მესაქონლეობის ფერმის გამგეა. სპეციალური ვანათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი გამოცდილებით ბევრ დიპლომიან ვეტერინარს სჯობია.

ჩვენი კოლმეურნეობის მეორე ფერმის გამგე ზაფას ბიგუაც ძალზე კეთილი ადამიანი და თავისი საქმის ჩინებული მცოდნეა. ცუდს ვერაფერს ვიტყვით აგრეთვე ფერმის მწყემსებზეც.

ახალმთვარეში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე დავიწყე დღიურის წერა. თავდაპირველად ისე ვწერდი, ჩემთვის, მაგრამ შემდეგ სოფლის საინტერესო და მშფოთვარე ცხოვრების ტალღებმა ისე ჩამითრიეს, რომ გადავწყვიტე, ჩემი ჩანაწერები წიგნად შემეკრა. ერთი სიტყვით, ეს წიგნი მე დავწერე.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, გამომყევი, ერთად ვიაროთ ჩემი სოფლის ცხოვრების გზაზე.

როდესაც პირველად ჩამოვედი ახალმთვარეში და სოფლის ხელმძღვანელებთან გამოვცხადდი, მათ მაშინვე ხარზამანთან გამაგზავნეს. როგორც ჩანს, ჩემი ჩამოსვლის ამბავი აქ წინასწარ იცოდნენ და ბინის საკითხიც უჩემოდ გადაეწყვიტათ. მეც უარის თქმის არავითარი საბაბი არ მქონდა და ულაპარაკოდ დავბინავდი.

იმ საღამოსაც ჩვეულებისამებრ ოჯახის ყველა წევრი მივუსხედით მაგიდას სავახშმოდ. არ არსებობს იმაზე დიდი სიამოვნება, როცა მთელი ოჯახი თავშეყრილია, ირგვლივ კვამლის სუნი დგას, ზიხარ და ვახშობ! მაგრამ ამას ყველა ვერ გამიგებს. ხარზამანის ოჯახში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იშლება მაგიდა სასტუმრო ოთახში; ეს მაშინ ხდება, როცა საპატიო სტუმარი ეწვევათ ვინმე, დანარჩენ დროს სამზარეულოში ვსადილობთ ხოლმე. მაგიდის თავში, როგორც წესი მოითხოვს, ოჯახის უფროსი — ხარზამანი ზის. მხარმარჯვნივ ვაჟიშვილი ალიასი უზის, მხარმარცხნივ — მე, ჩემს გვერდით ალიასის მეუღლე, დესი ზის, მის იქით კი, ჩემს პირდაპირ, ალიასისა და დესის ქალიშვილი — ამრა. აი, ოჯახის მთელი შემადგენლობა.

ოჯახს აკლია ხარზამანის მეუღლე. იგი კარგა ხანია გარდაცვლილა. საცოდავი იქვე, კარ-მიდამოშია დასაფლავებული.

საოცრად ტკბილია ოჯახი, სადაც მე ვცხოვრობ. საჭმელი, რომელსაც ვჭამ, გემრიელია, ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავ, რომლითაც ვარსებობ, სუფთაა და მსუბუქი.

მაგრამ ვაი, რომ არ შემიძლია თავი ავწიო და პირდაპირ გავიხედო იქითკენ, სადაც ამრა ზის. მეც დაჟინებით ჩავცქერი სავსე თეფშს.

სახეში ვერავისთვის შემიხედავს, მაგრამ გუმანით ვგრძნობ, რომ ისინი სხედან მშვიდად, ვახშობენ დინჯად, აუჩქარებლად, ჩემსავით დამშეულივით როდი ჭამენ.

თათეი თითქმის ხარზამანთან იზრდება. იგი ამ ოჯახის ნამდვილი

წევრია: ხარზამანი საკუთარ შვილიშვილში არ არჩევს. თავის მხრივ, თათეისაც საკუთარ ბაბუასავით უყვარს ხარზამანი.

ამრა მათ მიუახლოვდა. ხარზამანს გული სიხარულით აევსო, მთლად გაიბადრა და შვილიშვილი გვერდზე მოისვა. ორივეს მხარზე ხელი გადახვია და იმ ბებერ არწივს დაემსგავსა, რომელსაც აფრენა სწადია; მაგრამ ჟამთა ვითარებაში გახეხილი, გახუნებული და ფიჩხივით გამომხმარი ფრთები უსამარებს იდუმალ წადილს. გულგახსნილი ბერიკაცი ხან თათეის ესიყვარულებოდა, ხან — ამრას.

— გგონია ვერ მივხვდი, რისთვისაც მოხვედი? — ეშმაკურად შეხედა ხარზამანმა თათეის, — მივხვდი, კარგადაც მივხვდი, — გაიმეორა მოხუცმა. — წადი, ჩემს ოთახში ჰკიდია, ჩამოხსენი და მომიტანე.

თითქოს ამ სიტყვებს უცდიდაო, თათეი თვალის დახამხამებაში წამოხტა. ოდაში კი არ შევიდა, შეფრინდა და სულ რამდენიმე წამში მოხუცს აფხიარცა[1] გამოუტანა.

ხარზამანისათვის ძველი სიმღერები მეორე ცხოვრება იყო. ისინი ამხნევებდნენ და ძალას ჰმატებდნენ განსაცდელის ჟამს. მუდამ მასთან იყვნენ, ერთგული მეგობრებივით დარაჯობდნენ მის სიცოცხლეს, უპასუხებდნენ მის გულისთქმას და მხარში ედგნენ დღით და ღამით, შინ თუ გარეთ.

მაგრამ ამ სიმღერამ, რომელსაც ახლა ისმენს, ყველაფერი დაავიწყა ხარზამანს. სიმღერა იგი მარტო ახალმთვარის წარსულით არ იყო შთაგონებული, არც წინაპართა სევდიანი ცხოვრების ექოთი იყო ნაკარნახევი. ამ სიმღერაში მთელი ძალით ჟღერდა ახალი ცხოვრების მაჯისცემა, ამ სიმღერაში, როგორც ჯადოსნურ სარკეში, მოჩანდა ქვეყნიერება თავისი უსასრულო მშვენიერებით. ხარზამანისთვის ყოველივე ეს გაუგებარი იყო, მაგრამ იგი გუმანით გრძნობდა, რომ აფხიარცამ, როგორც იქნა, თავისუფლად ამოისუნთქა, გრძნობდა, რომ ყმაწვილის სულში რაღაც ძვრები ხდებოდა, გრძნობდა და ხმა ვერ ამოეღო, მოჯადოებულივით იჯდა და უსმენდა მოზეიმე აფხიარცას.

თათეიმ ეს სიმღერა თვითონ შექმნა რომელიღაც აფხაზი პოეტის სიტყვებზე. ამ სიმღერის მელოდიას ჯერ ნოტები არ უხილავს.

აქამდის თათეის აფხიარცაზე დაკვრას ხარზამანი ასწავლიდა და კარგა ხანიც მოანდომა, მაგრამ ახლა აშკარად ჩანდა, როგორ აჯობა მოსწავლემ მასწავლებელს. მოხუცი ბედნიერი იყო, უხაროდა, რომ მის შრომას ამაოდ არ ჩაუვლია.

როდესაც თათეიმ დაამთავრა სიმღერა, გულაჩუყებული ბერიკაცი მაშინვე შეეკითხა:

— საიდან აიღე, დად, ეს სიმღერა?

---

[1] აფხიარცა — უძველესი ორსიმიანი აფხაზური საკრავი.

თათეის ეპვმა გაჰკრა, ალბათ იმიტომ მეკითხება, მოპარული ჰგონიაო, და თავი ჩაღუნა. წარბებს ქვემოდან ამრას შეხედა. ამრა იმ წუთშივე მიეშველა.

— ეს სიმღერა თვითონ თათეიმ შექმნა, სად გაგონილა სიმღერის დაწერა?

ხარზამანი ისე განცვიფრდა, რომ პასუხს არ დაუცადა და ისევ სთხოვა თათეის:

— დაუკარი, დად, კიდევ დაუკარი!

გათამამებულმა თათეიმ სული მოითქვა და ახლა უფრო ხმამაღლა წამოიწყო თავისი სიმღერა.

ამრას მამა თამბაქოს სპეციალისტი იყო. მისი ჩანაფიქრი სპეციალური ტრაქტორის მეშვეობით თამბაქოს რგვის თაობაზე, მეცნიერმუშაკთა ხელშეწყობით, უკვე თუ მთლიანად არა, სანახევროდ მაინც გამართლდა.

ახლაც, როცა ალიასი თავის შექმნილ მანქანას ცდის, როცა ქალიშვილის მიერ შეტეხილ თამბაქოს ფოთლებს იყენებს მანქანის გამოსაცდელად, ჰგონია ამ საქმეში დიდ დახმარებას უწევს ქალიშვილის ნათელი გონება და ცოდნა.

ამრა სწრაფად და მოხერხებულად ტეხს ფოთლებს. მის გვერდით მუშაობს აგრა ბლაბა. აგრა მაინცდამაინც წელს არ იწყვეტს მუშაობით. იგი ამრასკენ შემობრუნდა და ისე, სხვათა შორის, დაუწყო საუბარი:

— ამრა!

— ა?

— გესმის, ამრა?

— რა იყო?

— იცი, როგორი კაცია, ალოუ!

— როგორი?

— რაღაცნაირი... ჰო, რაღაცნაირი... თქვეს, ვითომდა ალოუმ ბევრი ქალიშვილი გაამწარა, მოატყუა.

— მაინც ვისზე ამბობენ?

— შენზე არა, ისე. . .

ამრა გაწიწმატდა, უნდოდა ერთი ლაზათიანად გამოელანძღა აგრა, მაგრამ ისევ თავის შეკავება ამჯობინა:

— რა მოგეჩვენა?

— რა არის ამაში სათაკილო, თუ მართლა მოგწონს? მშვენიერი ბიჭია. . .

— მშვენიერი ბიჭი ბევრია და ყველა უნდა მოგწონდეს?

— როგორც არ უნდა ილაპარაკო, შინიდან გასვლა არ გიწერია, ბედი

საკუთარ სახლში მოგდგომია, ისიც ისეთი ბიჭი, როგორიც ალოუა... რას გაუშვებ?

— მე რა მტაცებელი მნახე?

— თავს ნუ იკატუნებ, ქალიშვილმა უნდა იბრძოლოს თავისი ბედნიერებისათვის.

— იქნებ ასეც იყოს...

— ჰო, რა თქმა უნდა. ალდიზს რა ეშველება?

— ალდიზს რა სჭირს?

— ის ხომ ჩემი ძმაა, მებრალება.

— რა მოუვიდა-მეთქი?

— იგი იწვის, ნამდვილად იწვის, მაგრამ რა გინდა, ვერ გადმოგდო თავისი ცეცხლი.

ამრამ გადაწყვიტა საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ განა აგრას ასე ადვილად გაექცეოდა?

— ძალიან კარგად იცი შენი ფასი, ამიტომაც მიგაჩნია შენს უღირსად.

— ალდიზი ჩემისთანებს ბარე ასსაც სჯობია.

— ნუ დასცინი ამრა.

— როგორ შემიძლია მე ალდიზს დავცინო? ალდიზი ხომ ისეთი ჭაბუკია, რომელზედაც ამბობენ, საუკეთესოთა შორის საუკეთესოაო. მე კი როგორი ვარ, შენც კარგად იცი.

თამბაქოს პლანტაციებისაკენ თათეი მორბოდა. ამრამ შორიდანვე იცნო იგი.

— რა ამბავია, თათეი, რა მოხდა?

— დეს... დეს... დესი ძალიან ცუდადაა, გულის შეტევა აქვს.

დესის დიდი ხანია გული აწუხებდა. დროგამოშვებით შეახსენებდა ხოლმე თავს. მაგრამ ასე ცუდად არასოდეს ყოფილა. შეტევა სრულიად მოულოდნელი იყო.

საბედნიეროდ, თათეი შინ იყო და მაშინვე შეატყობინა ამრას.

ალდიზმა ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი, მისცა რაღაც წამალი. მალე ავადმყოფმა შვება იგრძნო. როცა დესიმ თავისი ფერდაკარგული ქალიშვილი დაინახა, რაც შეეძლო, ძალა მოიკრიბა და გაიღიმა.

არავითარი საშიშროება ავადმყოფის სიცოცხლეს არ ემუქრებოდა. თუმცა ალდიზი წასვლას მაინც არ აპირებდა, უნდოდა აქ დარჩენილიყო და გული ეჯერებინა ამრას მზერით.

დესის ნება დართეს ამდგარიყო. სანამ ავადმყოფი იწვა, ალდიზი ყოველდღე აკითხავდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მის მიმართ. გვიან ღამემდე იჯდა მის წინ. მერე უხმოდ მიდიოდა. სახლში ყველას მალე შეეჩვია. გარდა იმისა, რომ ძალზე ყურადღებიანი ექიმი იყო, კარგი ხასიათიც ჰქონდა.

ავადმყოფს სავსებით შეუწყდა გულის ტკივილი, მაგრამ ალდიზი მაინც ნახულობდა. ამასობაში ამრას იდუმალი შიში დაეუფლა, შიში იმისა, რომ ალდიზი აუცილებლად გამოიყენებდა ახლანდელ მდგომარეობას და წინდაწინ მოფიქრებული შეკითხვებითა თუ წინადადებებით თავს მოაბეზრებდა. ამიტომ ცდილობდა თავი მუდამ შორს დაეჭირა, თუმცა საეჭვოს ვერაფერს ხედავდა. მაშ, რაზე ელაპარაკებოდა აგრა? ნუთუ მან მხოლოდ თავისი ეჭვები გამოთქვა?

დესის ყველასაგან დამოუკიდებლად გაუჩნდა თავისებური აზრები. მართლაც და საკითხავია, დღემდე რატომ არ იცნობდა იგი ასე ახლოს ალდიზს? თითქოს აქამდე არც კი ენახოს. აქ გაიზარდა იგი, სწავლის დამთავრების შემდეგ აქვე დაიწყო ექიმად მუშაობა. დესი ადრეც ყოფილა მასთან, მაგრამ ჩანს, ამდენი სითბო და გულისხმიერება მაშინ ვერ ამოიკითხა ალდიზის თვალებში. რამდენი რამეა საჭირო ადამიანის შესაცნობად! ტყუილად კი არ უთქვამთ, კაცი რომ გაიცნო, ცხრა ფუთი მარილი უნდა შეჭამოო. ალდიზი ისეთი ბიჭია, გულიდან ვეღარ ამოიგდებ, მთელ ერთ სოფლად ღირს. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს!

მაგრამ ამრას ასე ადვილად ვერ მოინადირებ...

ერთ დღეს ალდიზი კვლავ ესტუმრა დესის და ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა. ამრაც იქ იყო.

— შვილო, ამრა, აბა, შენ იცი, სტუმარი არ მოაწყინო, — მიმართა დესიმ შვილს და სამზარეულოს მიაშურა.

ალდიზი მიხვდა, რომ დედა ხელს არ შეუშლის, პირიქით, დაეხმარება კიდეც. ახლა მთავარი თვით ამრაა, რადგან ბედის ლაგამი მას უპყრია ხელთ.

ალდიზს სჯეროდა, რომ შესაძლოა მთლიანად ვერ მოენადირებინა ქალიშვილის გული, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც მოახერხებდა მის ხელში ჩაგდებას.

ამრა ისე იჯდა ალდიზის გვერდით, თითქოს უცდიდა, როდის დაიწყებდა თავის აღსარებას. მაგრამ როცა დადგა გადამწყვეტი მომენტი, ალდიზი დაიბნა, თქმა გაუძნელდა.

— ამრა! — ბოლოს და ბოლოს ისეთი ხმით წამოიწყო ალდიზმა, როგორსაც გამოსცემს დაჭიმული ჩონგურის სიმი.

ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო სათავე, ყველა მომდევნო სიტყვისა.

— რა იყო? — გაფრენილი წარბები ზევით ასწია, ნაკვერჩხლებივით ელვარე თვალები შეანათა ამრამ და მხრებში გასწორდა.

— არ ვიცი, როგორ დავიწყო, ამრა, — თითქმის ჩურჩულით თქვა ალდიზმა, — დღემდის იდუმალად ვატარებდი და სათუთად ვინახავდი ჩემთვის ყველაზე ძვირფას გრძნობას, რომლის დაკარგვის შიში მუდამ თან მდევდა, ასე მეგონა, ვინემ რომ გაიგოს, მომპარავს-მეთქი. ეს

გრძნობა ამოძრავებს ჩემს გულსა და გონებას, ის არის ჩემი თვალისჩინი. ამის საწინდარი კი შენა ხარ, ამრა, მხოლოდ შენ, სხვა არავინ! შეიძლება მე შენი ღირსი არცა ვარ, მაგრამ თუ მეგობრად გამოგადგები, გახდი ჩემი ცხოვრების თანამგზავრი...

ალდიზს ლაპარაკის წამოწყება ეძნელებოდა, თორემ ახლა გონს მოსვლა არ აცალა საწყალ გოგოს, სეტყვასავით დააყარა სიტყვები.

ამრა მახეში გაბმულ ჩიტს დაემსგავსა; მისი ბაგენი მღელვარებისაგან თრთოდნენ. სიტყვის წარმოთქმაც ვერ გაებედა, ისე გაშეშდა ადგილზე.

არ იცოდა, როგორ ეთქვა უარი ვაჟისთვის, ისე რომ მისთვის ტკივილი არ მიეყენებინა, არ დაემცირებინა და გულში წყენა არ ჩაედო. როგორ ჩამოიშოროს გზიდან ტკბილი სიტყვით?

—მე მივხვდი, ალდიზ, გავიგე რაც მითხარი, — დინჯად, თითქოს ასეთ საქმეში დიდი გამოცდილება აქვსო, წამოიწყო ამრამ, — ამას მე შენგან არასოდეს არ მოველოდი. არ მეგონა, თუ ასე გაიმეტებდი ამხანაგურ გრძნობას. ნამდვილად არ მეგონა. მე ერთი დამთხვეული გოგო ვარ, როგორ გამოგადგები, სირცხვილიც არის, არავინ გაიგოს. ესეც არ იყოს, რა დროს ჩემი გათხოვებაა? არ ვიცი, ეგებ გული გატკინე...

— შენ ოღონდ იმედი მომეცი და დაგელოდები, ამრა, რამდენ ხანსაც მეტყვი, იმდენ ხანს მოგიცდი, ოღონდ საიმედო რამე გამაგონე. დღესდღეობით მეტს არაფერს გთხოვ, — იმის შიშით, რომ ამრას არ შეეჩერებინა, სხაპასხუპით დაასრულა თავისი სათქმელი ვაჟმა. — მე ხომ უნდა მქონდეს რაიმე იმედი?!

— არა, არა, — მტკიცედ მოუჭრა ამრამ. — რა საჭიროა ყველაფერი ეს?... უაზრობაა, ნამდვილი უაზრობა... და, საერთოდ, ამ საკითხზე შევწყვიტოთ ლაპარაკი...

— ესე იგი უარს მეუბნები?...

მხოლოდ ამ სიტყვების შემდეგ მიხვდა ალდიზი, რომ იჩქარა, თავი ვერ შეიკავა, ახლა უკვე ძნელი გახდა უკან დახევა და ისევ ჰკითხა:

— ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა?

— ასე გამოდის.

ალდიზი ფეხზე წამოხტა.

— მაპატიე, ამრა, ყველაფრისათვის მაპატიე! — თითქმის მუდარით წამოიძახა ალდიზმა, — მე... მე ამას ვერ გადავიტან! თუკი შენ ხელს მკრავ... ნამდვილად დავიღუპები!

— რას ამბობ, ალდიზ! — შეებრალა ამრას ჭაბუკი. — რას ჰქვია ვერ გადაიტან! .. მოდი, ნუღარ გავართულებთ ამ საქმეს, თითქოს ამაზე არც გვისაუბრია. მე შენ ძმად, საკუთარ ძმად მიმაჩნიხარ, შენ კი რაებს მეუბნები?!

ალდიზს ერჩია, ცივი ტყვია მოხვედროდა გულში, ვიდრე ეს სიტყ-

ვები გაეგონა. ეჰ, აფხაზურო წესებო, აფხაზურო ადათებო! კაცს რომ ჰკლავდე, თუ ისეთი სიტყვა წამოითქვა, რომლითაც შენს სინდისს შეეხებიან, მორჩა, ხელ-ფეხი შეკრული გაქვს!

ამის შემდეგ, ერთი სიტყვაც რომ დასძრას ალდიზმა, ეს ნიშნავს ჭუჭყში გასვაროს თავისი სინდის-პატიოსნება, რომელსაც ასე სათუთად ატარებს თავის სახელთან ერთად. . .

მე და ხარზამანი მუხის ძირას ვიჯექით. საძოვრებზე გასამგზავრებლად ვემზადებოდით. ბილგია ყეფით გაექანა ჭიშკრისკენ. ხარზამანი წამოხტა და ძაღლს დაუცაცხანა. ძაღლიც იმ წამსვე მიწაზე გაწვა და გაჩერდა, თითქოს ეწყინა პატრონის გაჯავრება, მერე საცოდავად დაიწკმუვლა და კუდამოძუებული გვერდ-გვერდით წავიდა.

ხარზამანმა სტუმრები ვერ იცნო. ვერც მე ვიცანი. ეტყობოდა, პირველად იყვნენ ჩვენს სოფელში. მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, სტუმარი სტუმარია და ხარზამანმა ისინი შინ მიიწვია. ბილგიას ყეფა რომ გაიგონეს, ამრა და თათეი აივანზე გამოვიდნენ.

მისალმების შემდეგ სტუმარ-მასპინძლები მუხის ქვეშ ჩრდილში დავსხედით. ხარზამანმა, როგორც ოჯახის უფროსს შეეფერება, დინჯად და აუჩქარებლად გამოჰკითხა სტუმრებს ვინაობა.

— ვინა ხართ შვილებო, საიდან მოსულხართ?

— ჩვენ, — დაიწყო ერთმა მათგანმა, რომელიც თანამგზავრზე უფროსი ჩანდა, — ერთი პატარა საქმის გამო გეახელით. მე ინჟინერი ვარ, გზები გამყავს, მიტას მეძახიან, გვარად ლარბა გახლავარ. ესეც ინჟინერია—ალგერი ლაშბა, ელექტროსადგურებს აგებს,—მან ხელით ანიშნა ამხანაგზე.

ხარზამანმაც თავი გააცნო სტუმრებს.

— კარგია, — დაფიქრებით თქვა ბოლოს ხარზამანმა. მის ხმაში ეჭვი ჩანდა. სტუმრები აათვალიერ-ჩაათვალიერა და დაუმატა, — კარგია, მაგრამ აქ, ჩემთან რამ მოგიყვანათ?

— აქ გზა უნდა გავჭრათ! — დაჯერებით უპასუხა მიტა ლარბამ.

ხარზამანმა ისე შეიკრა წარბები, ძნელი მისახვედრი იყო, გაუხარდა, ეწყინა თუ გაუკვირდა. გარშემო მიმოიხედა, დაბეჯითებით შეათვალიერა მთელი თავისი სამკვიდრო და მზერა ისევ სტუმრებზე გადაიტანა.

— ელექტროსადგურების აგება, იცოცხლე, კარგი საქმეა, შვილო... ჰო, კარგი საქმეა. . . მაგრამ გზა. . ., ახალი გზა როგორ უნდა გაიყვანოთ, კენწეროზე შესკუპებულ საფრთხობელასავით ვართ გახირულნი, ვერც ერთი მხრიდან ვერ შემოუვლით.

— ბოდიში, თუ შეიძლება, — მოულოდნელად ჩაერია საუბარში ალგერი, თითქოს ავი რამ წინათგრძნობა იყნოსა, — არ ვიცი, სიცხის ბრალია თუ აღმართისა, წყურვილისაგან ყელი მიშრება, იქნებ წყალი იყოს სადმე?

და ხარზამანმა ამ დროს ისე დაიჭექა, რომ ასეთ ხმას, როგორც იტყვიან, შეუძლია ციდან ვარსკვლავი მოწყვიტოს:

— ამრა!. . . უუ, ამრა!. . .

ამ ძახილში თითქოს ჩაქსოვილი იყო ყველაფერი, რაც ხარზამანმა სტუმრებს ვერ უთხრა.

— რა იყო, ბაბუა? — გადმოსძახა ამრამ აივნიდან.

— სტუმარს წყალი წყურია! — შედარებით მშვიდად თქვა მოხუცმა,

ამრამ გადმოასხა ტოლჩაში შავი ღვინო, ახალი ყველი დაჭრა, ნაჭრები თეფშზე დააწყო, შუაში აჯიკა ჩადო და გამოიტანა.

— მე წყალი მინდოდა, — თქვა ალგერიმ, როცა ამრამ სტუმარს ღვინით სავსე ჭიქა გაუწოდა.

— ღვინოც ხომ სასმელია, დად, დალიე, წყურვილს მოგიკლავს, — არ მოეშვა ხარზამანი.

ამრა თვალს არ აშორებდა ალგერის. ხელი აუთრთოლდა, თეფშზე დადებულ ჭიქაში ღვინო ადგაფუნდა. მაინც რა თვალზე შეხედა ამ ბიჭს. ალგერის რაღა დაემართა? — ქალიშვილი, რომელიც ახლა მის წინ იდგა და თრთოდა, იმ გოგონას აგონებდა, რომელმაც სტუდენტური ცხოვრების წლები აუწეწა, აუფორიაქა და სიზმარივით გაქრა.

ორი დღის შემდეგ საქონელი იალაღებისაკენ გავრეკეთ. ვიდრე გზას გავუდგებოდით, ხარზამანი ჩრდილივით ჩუმად დაბორიალობდა ეზოში. ოჯახის არც ერთ წევრს სახეში არ უყურებდა.

ყველანი როგორღაც ვცდილობდით ერთმანეთისათვის გვერდი აგვევლო და თვალში არ ვცემოდით. ხარზამანი ყოველგვარ წყენას გულში იმარხავდა. ამრა განგებ იხანგრძლივებდა სამუშაოს, ხოლო შინ დაბრუნების შემდეგ თავისი ოთახიდან არ გამოდიოდა, იმიტომ კი არა, რომ ეშინოდა. არა, უბრალოდ ერიდებოდა, რცხვენოდა. მე კი, საკუთარ თავზე აღრენილი, სადღაც გან-გან დავეხეტებოდი.

ამ დროში, რაკი მე და ხარზამანი იქ არ ვიყავით, ალიასი კი მთლიანად თავის საქმეებში იყო ჩაფლული, ალგერი შეუფერხებლად დაუახლოვდა ქალიშვილს.

ერთხელ, როგორც წინდაწინ დათქვეს, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ხარზამანის კარ-მიდამოს ახლოს, ერთ მყუდრო ადგილას.

ამრა და ალგერი გზის გადაღმა ისე, რომ გამვლელ-გამომვლელებს არ შეენიშნათ, ხეს ამოფარებულნი საუბრობდნენ.

ალგერი გატაცებით ლაპარაკობს ცხოვრებაზე, მის რთულ პრობლემებზე, უკეთეს მომავალზე, იმაზე, რის შესახებაც ამრას მხოლოდ ზღაპრებში მოუსმენია. იგი ლაღად და ძალდაუტანებლად ხსნის სიყვარულის ყოვლისშემძლეობის საიდუმლოს. არა, მთელი ქვეყანა ფეხით რომ შეშოიაროს, ალგერისთანა ბიჭს ვერ შეხვდება ამრა, გარეგნული

ნილამაზე და მდიდარი ბუნება მასში ისეა შერწყმული, როგორც ოცნება და იმედი.

ამგვარი აზრებით იყო გარემოსილი ამრა, როცა მის ფეხებთან რაღაც გასხლტა. შემკრთალმა გოგონამ წამოიკივლა და ალგერის მიეკრა. მიწაზე მთლად გართხმული ბილგია კუდს აქიცინებდა და თითქოს მავედრებელი თვალებით პატიებას სთხოვდა პატრონს.

გოგონას შერცხვა. ასე ეგონა, მთელმა ოჯახმა დაინახა, როგორ საუბრობდა ტყეში უცხო კაცთან.

როცა ამრა ბილიკ-ბილიკ ბრუნდებოდა შინისაკენ, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, მისკენ ჩქარი ნაბიჯით მოემართებოდა აგრა. მან გონს მოსვლაც კი არ აცალა, გესლიანად დაიწყო:

— ყოჩაღ, ამრა, ყოჩაღ!

— ეს რას ნიშნავს? — გაწიწმატდა ამრა.

— იმას ვერ ხედავ, ეგერ ბილიკზე რომ მიდის?... ეს რაღას ნიშნავს?

— ვინ?

— როგორ თუ ვინ? შენ იმას არ იცნობ?

ამრა შეყოყმანდა.

— აქ ბევრი მიდი-მოდის.

— არა, აქ ისე არავინ ჩაივლის, შენი მზერა რომ არ დაიჭიროს.

— რას ლაპარაკობ, რას?!

— მშვენივრად მიხვდი, რასაც ვლაპარაკობ!

— ვერაფერსაც ვერ მივხვდი, —მტკიცედ უპასუხა ამრამ და იმისათვის, რომ თავი აერიდებინა შემდგომი ახსნა-განმარტებისათვის, ქვევით ბილიკზე დაეშვა.

ამრა შინისაკენ მიდიოდა. თითქოს მთელმა ქვეყანამ გაიგო მისი საიდუმლო, ვერ გაებედა თავის მაღლა აწევა.

სხვა გამოსავალი არ მქონდა, იმ დღესვე, როგორც კი მთებში ამოვედით და კარვები გავშალეთ, ღამის სათევად მეორე ფერმის მწყემსებთან მოვეწყვე.

ხარზამანს დავშორდი და ზაფასს შევეკედლე...

ჩემი საქციელი აუცილებლად გამოიწვევდა მითქმა-მოთქმას და ასეც მოხდა.

— რა გაწყენინეთ, დად ალოუ?—მეორე დღესვე მკითხა ხარზამანმა.

— სრულიად არაფერი, — თავი ისე დავიჭირე, თითქოს ვეუბნებოდი, ეგ რა საკითხავია-მეთქი.

— რა ვიცი, ეჭვში კი ჩამაგდე ამ ხნის კაცი, ალბათ, გაქვს მიზეზი, უმიზეზოდ არაფერი არ ხდება. თუ გამაგებინებ ჩემს დანაშაულს...

— აღარ ვიცი, რა გითხრა. ამას საწყენად კი არ გეუბნები, არ მინდა ხალხმა გამკილოს.

ძალიან შემებრალა ხარზამანი. კაცმა რომ თქვას, მართლაც სულ უდანაშაულოდ ჩავითრიე ჩემს მორევში ეს უცოდველი მოხუცი.

— ღმერთი, რჯული, არაფერიც არ მომხდარა, — რომ დამეწყნარებინა, ისევ შევუდექი თავის მართლებას.

— აგრე იყოს, დად, ნება შენია. . .

იმჯერად როგორც იქნა დავამშვიდე ხარზამანი, ის კი არ ვიცი, დამიჯერა თუ არა.

იგი გამოცდილი და ჭკვიანი კაცი იყო, ალბათ მომაჩვენა, რომ სჯეროდა ჩემი, საქმე აღარ გაქექა.

ხშირად ვნახულობდი ხარზამანს და ისიც აღარ მსაყვედურობდა. ჩვენ ორთავე ვცდილობდით ყურადღება არ მიგვექცია იმ უსიამოვნო ამბისათვის, რომელიც ჩვენს შორის მოხდა.

ხარზამანი კარგი მონადირეც გახლავთ.

როდესაც მოხუცმა თავისი საქმეები მოაგვარა, ნადირობაზე ჩამოაგდო საუბარი.

გადაწყდა სანადიროდ წავსულიყავით, დილით ადრე გავუდექით გზას.ხარზამანმა სიმღერა აჟვეიფშაა[1] წამოიწყო, ჩვენ ბანი ვუთხარით.

— ასე, დად, ასე! ნადირობა და ლაჩრობა ერთად ვერ თავსდებიან, — და თვალით მაჩვენა დაკიდებული ბილიკი, რომელიც ჩვენ წინ მიიკლაკნებოდა.

ციცაბო კლდეს ჩაჰიდებული ხარზმანი სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა.

ხარზამანმა თოფი შემართა და გასროლის ხმაც იმწამშივე გაისმა. ჯიხვი შეტორტმანდა და დაბლა დაქანდა. ბერიკაცი დაუყოვნებლივ იქითკენ გაემართა.

— მე აქა ვარ, ცოტაც მოითმინე, — შევძახე და უმალვე მისკენ გავქანდი.

მე სხვა გზით გავეშურე იქითკენ, გავეშურე და ვიპოვე კიდეც. ჯიხვი მხრებზე მოვიკიდე და კლდის ძირისკენ გამოვწიე.

— აჰ, დალახვროს ეშმაკმა, თურმე სულ დავბერებულვარ, — დაიჩივლა ხარზამანმა, როდესაც ყველამ თავი მოვიყარეთ კლდის ძირში.— ალოუს რომ ვუყურებ, ჩემი ახალგაზრდობა მახსენდება; შენ ნამდვილი მთის შვილი ხარ, ნამდვილი მთიელი, — შემაქო მოხუცმა.

როცა კარგა შევისვენეთ, გადავწყვიტეთ მთის ნაკადით გავგრილებულიყავით და ქვევით დავეშვით.

დავიხარე თუ არა პირის დასაბანად, ჯიბიდან ამრას სურათი ამომივარდა. აღება ვერ მოვასწარი, ქარმა წინ გაიგდო და შიგ მდინარეში

---

[1] აჟვეიფშაა — ნადირობის ღმერთია.

გადაუძახა. მერე იგი ჩემს თვალწინ ტალღამ დაატრიალა, აიტაცა და სწრაფად გააქანა.

ხარზამანმა როგორც კი თვალი მოჰკრა ამ სურათს, თავშეუკავებლად წამოიძახა:

— ოჰ, დალახვროს ეშმაკმა!

ტანსაცმლიანად გადავეშვი წყალში და სურათს დავედევნე. მალე გამოვტაცე კიდეც აბეზარ ტალღებს, რომლებიც როკვით მიაქანებდნენ დასალიერში.

თავიდან ფეხამდე დავსველდი, სამაგიეროდ წყალს სურათი არ გავატანე.

ხარზამანმა იცნო ეს სურათი, უთუოდ იცნო!

სიცივეს სულ არ ვგრძნობდი, პირიქით, სირცხვილისაგან ვიწვოდი.

ჯერ კიდევ მთებში ვიყავით, როცა ალიასი თბილისში გამოიძახეს. მან თათეიც თან წაიყვანა.

ალიასმა მთელი სამი დღე დაჰყო თბილისში... იგი ეხმარებოდა კონსტრუქტორებს, რომლებიც მინისტრის დავალებით მუშაობდნენ თამბაქოსსასხმელი მანქანის შექმნაზე. დღისით მათთან ერთად მუშაობდა, საღამოობით კი ოპერისა და ბალეტის თეატრში დაჰყავდა თათეი. რა დაავიწყებს თათეის იმ ღამეს, პირველად რომ მოისმინა ოპერა „დაისი". მუსიკას უსმენდა, თან ფიქრებით თავის სოფელში დაეხეტებოდა. ის ამ მუსიკის ხმებში შეიცნობდა მთის წყაროების ჩურჩულსაც და ხარზამანის აფხიარცის წკრიალსაც.

ალიასისა და თათეის თბილისში ყოფნის ამბავი ჩვენ სოფელ ახალმთვარის ფოსტალიონმა გვითხრა.

ერთხელ ხარზამანმა მირჩია:

— შვილო, ალოუ, ერთი-ორი დღით ჩადი ახალმთვარეში, ცოტა მუხლიც გაიშლება და თვალსაც წყალს დაალევინებ.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, ახალმთვარისაკენ ისე დავეშვი, თითქოს საგანგებო დავალების შესასრულებლად მივდიოდი. მზის ჩასვლამდე უკვე სოფელში ვიყავი.

ჭიშკარი შევაღე და ეზოში შევედი.

ოთახის კარი დაკეტილი დამხვდა. მარტოდმარტო ვიდექი აივანზე.

სოფელს მივაშურე, იქნებ ვინმეს შევხვდე-მეთქი.

შორიახლო ვიღაცის გამოსახულებამ გაიელვა.

შევჩერდი და დავაკვირდი.

— აგრა! — თავშეუკავებლად შევძახე, როდესაც გოგონა შევიცანი, — შენ ხარ, აგრა? ღმერთმა ქნას ჩვენი შეხვედრა ბედნიერების საწინდარი ყოფილიყოს...

— არა, ალოუ, მე ვერ გამოგადგები ბედნიერების საწინდრად, რადგან ამრას მაგივრობას ვერ გაგიწევ... ის აქ აღარ არის, წავიდა!

— ვის გაჰყვა!

—თათეი მოიმიზეზა და თავის ძვირფას ალგერისთან ერთად სოხუმში წავიდა.

საბრალო აგრა! ძალიან შემეცოდა. მხოლოდ შემეცოდა. ეს იყო და ეს.

უმალ გავცილდი გოგონას. არ შეიძლება აგრას რაიმე სიტყვა არ დაედევნებინა ჩემთვის, მაგრამ მე მაშინ აღარაფერი გამიგია.

მთებიდან დაშვებისთანავე შევიცვალე ადგილ-სამყოფელი. ხარზამანის ნაცვლად ზაფასთან დავიდე ბინა.

შავ დღეში ჩავაგდე ხარზამანის ოჯახი. გაშტერებული შესცქეროდნენ ერთმანეთს და ვერაფერს მიმხვდარიყვნენ.

თან მთელი სოფელიც ალაპარაკდა. აგრას გულში უხაროდა, მაგრამ არ ამეღავნებდა ამ სიხარულს. იგი ფიქრობდა, რომ მე და ამრა საბოლოოდ დავშორდით ერთმანეთს.

მარტო ვიჯექი, შეპყრობილი მწუხარე ფიქრით.

ეზოში ამრა შემოვიდა. ხელში რაღაც ფუთა ეჭირა.

—რა მოხდა ალოუ? ისეთი რა დაგიშავეთ, რომ მთელს ოჯახს ზურგი შეაქციე? სახლში რატომღაც მე მდებენ ბრალს. ამაზე რა თქმა უნდა, ხმასაც არ იღებენ, მაგრამ მე ხომ ვგრძნობ... მაინც რა გაწყენინე ასეთი? იქნებ ჩემდაუნებურად მართლაც დავაშავე რამე?

— ამრა, — დაუჯერებელი, ყალბი ტონით მივმართე, — ამრა, შენ... არასოდეს, მცირეოდენიც კი!.. თქვენ, ყველამ, მთელმა ოჯახმა დიდი პატივი მეცით, მაგრამ თუ მაინც მისაყვედურებთ, რაშიაც ბრალი სულ არ მიმიძღვის, ცოდვად ჩაგეთვლებათ, ამრა, იცოდე! მე არ მინდოდა წყენინება თქვენი ოჯახის, ამრა.

—მაგრამ სხვაგვარად კი გამოვიდა.

ამრა წავიდა.

რაც უფრო ბევრს ფიქრობდა ხარზამანი, მით უფრო დასტურდებოდა მისი გუმანი. განსაკუთრებით მაშინ, როცა იგონებდა ნადირობის დროს მომხდარ ამბავს. ხარზამანი ფიქრობდა, რომ ჩემი წასვლის მიზეზი ამრა იყო. ეს ეჭვი ღრღნიდა და არ ასვენებდა მას.

— დად, ამრა, — დაუძახა ერთხელ შვილიშვილს, — როდისმე ხომ არ წაჩხუბებულხართ შენ და ალოუ?

— არა, ბაბუა.

ხარზამანმა არ დაუჯერა ქალიშვილს, გამომცდელად შიგ თვალებში ჩააცქერდა. სულ უდანაშაულო ჩანდა. ამჯერად ხარზამანის ეჭვები ფეტვივით გაიბნა.

საკმარისი იყო ხარზამანს თავის ეზოში შეედგა ფეხი, რომ ფიქრები ჭიანჭველებივით დაესეოდნენ, ამიტომ უმეტეს ხანს ფერმაში ატარებდა,

იქ იქარვებდა თავის ვარამს, მუშაობაში დრო შეუმჩნეველად იპარებოდა.

— ბაბუა, გზა გაჰყავთ ჩვენთან, ხედავ? —ამრას ეგონა ბაბუას გავახარებო, იმიტომ მიახალა ასე უცებ, — აი თითქმის ჩვენამდე მოაღწიეს . . .

„ყველას უხარია, ჩემს გარდა, ყველას, ჩვენი ოჯახის თითქმის ყველა წევრს! . .“

ხარზამანი გარინდებული იდგა.

რაკი მოხუცი ამ ბოლო ხანებში ძალიან შეიცვალა, ამრამ გადაწყვიტა, აღარ გაებეზრებინა იგი შეკითხვებით, ამიტომ დუმილით შესცქეროდა მას. მაგრამ ხარზამანისათვის ეს მდუმარებაც აუტანელი იყო და დროგამოშვებით, თავისთვის ამოიოხრებდა ხოლმე.

მეორე დღეს დილით ადრე ხარზამანი სახლიდან გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ბილიკს, თითქოს ეშინოდა, ვისაც ყველაზე მეტად გავურბი, ის არ დამეწიოსო. იგი მიდიოდა კლდეებს შორის და რაც უფრო შორდებოდა თავის ეზო-ყურეს, მით უფრო ეადვილებოდა სუნთქვა.

მართლაცდა თითქოს არც ერთი ნაბიჯით არ უნდა ჩამორჩესო ხარზამანს, გზა პირდაპირ ეზოს შუაგულში გავიდა და მთებისკენ გაექანა.

ამასობაში ელექტროსადგურის მშენებლობაც დაიწყო. თავისი გზა ალგერიმ სოფლის შუაზე გაიყვანა. ამ გზიდან ყველაფერი თვალნათლივ მოჩანდა.

გავიდა დრო და აგრაც წინანდებურად აღარ იმალებოდა. ერთხელ იგი პირდაპირ აღიმართა ჩემ წინ.

— გამარჯობა აგრა.

— სად დაიკარგე, როგორ ცხოვრობ?

— არა მიშავს რა, მომთაბარეთა სადგომისაკენ მივდივარ, ხომ იცი, ახლა ყველა დაკავებულია. . .

— ბიჭოს! ეს კარგია, მაგრამ იქნებ ორიოდე წუთით ჩამოვსხდეთ სადმე.

— რატომ არა, შეიძლება, — ვერ შევძელი უარის თქმა.

გზიდან გადავედით და ღელის პირას ჩამოვსხედით.

ესხედვართ.

ნაძალადევად ჩავახველე და აგრას მალულად შევავლე თვალი, როგორც იქნა, თავი აიღო, შემომხედა.

— შენ უმაღლესი განათლება გაქვს, იმასაც აქვს უმაღლესი განათლება, — თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა აგრა, — უმაღლესი განათლება! ეს ხომ დღეს დიპლომიანთა საკუთრებაა! ასე ვთქვათ, ქაღალდიანი ადამიანების საკუთრება!.. დიახ, დიახ! — მკვეთრად გაისმა აგრას ხმა, — ქაღალდიანი ადამიანები!

— ტყუილუბრალოდ იკლავ თავს, ღმერთმანი, სულ ტყუილუბრა-

ლოდ! — ფიქრიც კი არ დამამთავრებინა აგრამ, სეტყვასავით დამაყარა, — არ იფიქრო, თითქოს მე არ ვიცოდე, რა გაწუხებს და რაზე ოცნებობ! მშვენივრად ვიცი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ მას გრძნობის რაიმე ნიშანწყალიც არ გააჩნია!

— ვინა გყავს მხედველობაში, ვინ არის იგი? — მოთმინების ლაგამი მოვიგლიჯე, მასთან მივიჭერი და სმენად ვიქეცი.

— ვინ და ამრა, შენი მშვენიერი ამრა!... — პირდაპირ მომახალა.

— მერე რა გინდა?

— რა უნდა მინდოდეს, შენ თვალს გიხვევს, თვითონ კი სხვასთან დასეირნობს... გატყუებს, მეგობარო, გატყუებს...

— ეგრეც რომ იყოს, შენ რა გაწუხებს?

— უბრალოდ მწყინს! მეცოდები, რომ ვიღაც თავნება ქალიშვილის წინაშე ქედი მოიხარე...

მწარედ მომხვდა გულში აგრას სიტყვები.

— ასეთია ცხოვრება! შენ იმის გულისათვის თავს იკლავ, ის კი ყურადღებასაც არ გაქცევს, არაფრად გაგდებს. აი, მეც ასე ვარ...

არ ვიცი როგორ მივადექი ამრას ეზოს.

ამრამ მიცნო თუ არა, აღტაცება ვერ დამალა, ჩემკენ გამოექანა.

— ალოუ!

— ალოუ?! — გაიმეორა დესიმაც.

ჩვენ გულწრფელად მივესალმეთ ერთმანეთს.

დედა-შვილის სიხარულში არავითარი სიყალბე არ იგრძნობოდა.

მაგრამ დესიმ მაინც მისაყვედურა:

— სადა ხარ, ალოუ? აღარ იტყვი მაინც, რა გეწყინა ჩვენგან?

ჩემი პასუხი ისეთივე აწეწილი იყო, როგორც ჩემი საქმეები.

ისე დავშორდით ერთმანეთს, სასიკეთო არაფერი გვითქვამს. იმ დღესაც მარტო დავრჩი ჩემს იდუმალ ტკივილებთან ერთად.

სოფელში აღარ ჩავდიოდი. დღენიადაგ მთაში ვიყავი.

მაგრამ საკუთარმა დარდმა ისევ შემიპყრო და წარმიტაცა ჩემმა ფიქრებმა.

დაე, იცოდეს ამრამ, რომ ჩემი პროფესიაც ისეთივე სასარგებლო და საჭიროა, როგორც იმისი, რომ ბეითლობა ჩემი საყვარელი და უპირველესი სქმეა, ისევე როგორც მასწავლებლობაა ამრასთვის ყველაზე კეთილშობილური პროფესია.

ხარზამანის ოჯახი დიდი აღტაცებით შემეგება, ამან უფრო გამათამამა, თითქოს მხრებში გავიშალე, თავისუფლად ამოვისუნთქე. ამ დღეს ამრა ჩემთვის უფრო ახლობელი გახდა. რამდენჯერმე ისე თბილად ჩამხედა თვალებში, ვიგრძენი — მთლიანად დამატყვევა და დამიმორჩილა.

თათეი, რომელიც სწორედ იმ დღეს ჩამოვიდა სოხუმიდან, გვერდი-

დან არ მცილდებოდა. იგი სრულიად გამოცვლილიყო, გარეგნულად კი არა, შინაგანად.

ალდიზი რაღაც უცნაური ბიჭია. წინათ ყოველ წუთს პირზე ეკერა ამრას სახელი. შემდეგ თანდათან მიივიწყა და მიივიწყა.

ბედნიერება გამართლებაა! ეს მუდამ სწამდა აგრას. ახლაც, როცა იგი სარკის წინ დგას, ხედავს, რომ არაფრით არ არის ნაკლები ამრაზე, მაგრამ ზედაც არავინ უყურებს! რატომ ხდება ასე?

— ლამაზი ხარ, ჩემო დაო, ძალზე ლამაზი! — კარებში მოულოდნელად გამოჩნდა ალდიზი.

— ამრაზე უფრო? — გულში უჩხვლიტა აგრამ.

— ამრაზე უფრო.

— ამრა ჩვენი სოფლის თვალია, ასე ამბობს ყველა.

— ასეც არის, ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს. ბედიც იმას ჰქონია, ვის ხელშიაც იგი ჩავარდება.

აგრა ოთახიდან გამოვიდა. საღამოვდებოდა. დედა და მამა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ ქორწილიდან. ალდიზი შინ მარტო დატოვა და ეზოდან გავიდა.

აგრა სკოლაში წავიდა. ამრა კრებას ესწრებოდა. აგრა დაელოდა. მერე ორივენი ერთად წამოვიდნენ.

ამრას არავითარი წინათგრძნობა არ აწუხებდა. იგი მშვიდად და აუჩქარებლად მიდიოდა შინისაკენ, თან აგრას ესაუბრებოდა.

მე კი ამ დროს სოფელში დავხეტიალობდი იმ იმედით, იქნებ ამრას შორიდან თვალი მოვკრა-მეთქი.

ქუჩის განაპირას, ორღობესთან მანქანა იდგა, მანქანას ორი გოგონა მიუახლოვდა. მე ვიცანი ისინი — ამრა და აგრა.

თვითონ არ ვიცი, რამ მაიძულა, ნაბიჯს ავუჩქარე, მაგრამ სწორედ ამ დროს გაიღო მანქანის კარი და ჩემთვის უცხო პირები გადმოხტნენ.

მე უკვე მივრბოდი.

ნეტა რომელი მოიტაცეს, აგრა თუ ამრა? . .

მანქანა თავქვე დაეშვა.

მე კი უკან დავედევნე.

გავრბოდი ბრმად და უაზროდ, თან ვყვიროდი:

— ამრა მოიტაცეს! ამრა მოიტაცეს! ამრა მოიტაცეს!

ამრას ხელი ჰკრეს და მანქანაში ძალით შეაგდეს. მანქანა ადგილიდან დაიძრა, გამტაცებლებმა ამრას პირი აუკრეს, კრინტიც კი არ დაადვრევინეს.

აგრა იჯდა მძღოლის გვერდით. ის დროდადრო ამრასკენ შემობრუნდებოდა და დამრიგებლური ტონით ეტყოდა:

— უნდა შეურიგდე, ამრა, ყოველივეს. რას იზამ, ასეთია ჩვენი ბედი.

მანქანა, რომელშიც ამრა იჯდა, ეზოში შეევიდა და ზედ შენობის კიბის თავთან გაჩერდა. . .

ამრას წინ ორი ხანშიშესული ქალი შეეგება.

— ეს ნაბიჯი ბედნიერი იყოს, ნან! — უთხრა ერთ-ერთმა.

— დაე, ეს კარგი დასაწყისი იყოს შენი ახალი ცხოვრებისა, ნან! — და ორივემ გადაკოცნა შიშისაგან აცახცახებული გოგონა.

აგრა შინ დაბრუნდა და ალდიზი გააღვიძა საჩქაროდ, თითქოს ძმას დიდი ხნის სანატრელი სასიხარულო ამბავი მოუტანა:

— მოვიყვანეთ, ალდიზ, მოვიყვანეთ!

— ვინ მოიყვანეთ?!

— ამრა მოვიყვანეთ, ამრა!

ალდიზი საწოლზე წამოჯდა.

— საიდან, როგორ?

— ახლა იგი ჩვენს ხელშია და ვერსად წაგვიეა! დღეიდან ამრა შენი ცოლია!

— აგრა, რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი?!

— ცოლი მოგიყვანეთ, ბიჭო, არ გესმის, რას გელაპარაკები?

— გამაგიჟებს ეს გოგო, ნამდვილად გამაგიჟებს, — თავისთვის ჩაიბურტყუნა ალდიზმა და საჩქაროდ ჩაცმას შეუდგა. აგრამ უთხრა ძმას, სად მიელის პატარძალი და ოთახიდან ქარიეით გავარდა.

მოტაცებული ამრა ალდიზის სახლში კი არ მიიყვანეს, მის ნათესავებთან, რომლებიც სოფლიდან არც ისე შორს ცხოვრობდნენ.

ალდიზმა მაშინვე ჩაიცვა და ოთახის კარი გამოიხურა.

ალდიზი თვალის დახამხამებაში ამრას წინაშე მუხლებზე დაეცა:

— მაპატიე ამრა. . . აქ რაღაც გაუგებრობა მოხდა.

— ნუ გეშინია, ამრა, ნურაფრის ნუ გეშინია, სანამ აქ მე ვარ, ხელს ვერავინ გახლებს.

ამრა მოუყვა, რაც თავს გადახდა.

ალდიზი ცოცხალ-მკვდარივით იყო.

— ცოცხლად დავუმარხივარ იმას, ვინც ეს ჩაიდინა, ამრა, მაგრამ იცოდე, აქ, ამ ბინძურ საქმეში ჩემი ხელი არ ურევია.

— ახლავე წამიყვანე სახლში! — სთხოვა ამრამ, როცა ალდიზმა ოთახიდან გასვლა დააპირა.

ალდიზი აივანზე გავიდა, მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ყველანი წასულ-წამოსულიყვნენ.

ალდიზი და ამრა კიბეზე დაეშვნენ.

. . .მომხდარი ამბით ენაჩავარდნილი და სისხლგამშრალი ხარზამანი უაზროდ დაბორიალობდა თავის ეზოში. ხანდახან ჩახრინწული, ღონემიხდილი ხმით თუ გამოელაპარაკებოდა მასზე უფრო მისუსტებულ დესის.

— როგორ მომსპეს! . . როგორ დამღუპეს! . . ამრა, ჩემო იმედო!

ამრა გაუტაციათ!. . საბრალო ამრა! . . უკივლია კიდეც, მშველელი არავინ გამოჩენილა, თითქოს უპატრონო იყო!. . ვაი, ჩემს თავს!. .

ახლა უკვე ყველაფერი გათავებულია. ვინ შეძლებს გამტაცებლებს დაეწიოს და გოგო წაართვას?

...ამ დროს ხარზამანის ჭიშკართან მანქანა გაჩერდა. სინათლე მთელ ეზოს ანათებდა, აივანზე გამოფენილ ხალხს თვალს უკრავდა, ეალერსებოდა ტახტზე მჯდარ ხარზამანს. ყველას ჭიშკრისაკენ ეჭირა თვალი. ვიღაც გოგონამ ჭიშკარი გააღო და მანქანა ეზოში შემოსრიალდა.

ამას რას ხედავს მისი თვალები?.. განა ამრა არ არის, მანქანის აბრდღვიალებულ ფარებს შორის მოღიმარი რომ დგას?

— ნუ გეშინია, დედა, მე ვარ, ამრა! — დედას მივარდა ამრა. გულაჩუყებული დესი ახლა უფრო ხმამაღლა ატირდა. მაგრამ ეს უკვე სიხარულის ტირილი იყო.

— ბაბუა! — დედის კალთას მოსწყდა და ახლა ბაბუას ბებერ მკერდს მიეკრა სიხარულისაგან ფოთოლივით ათრთოლებული გოგონა, შემდეგ კი თავის ოთახში შეევარდა.

ამასობაში ალდიზიც ამოვიდა აივანზე. მისმა გამოჩენამ ყველა გააკვირვა, როგორ?.. განა მან იხსნა ამრა?!

— მე არასოდეს ძმა არ მყოლია, მაგრამ დღეიდან ყველამ იცოდეთ, რომ მე ძმა მყავს. ალდიზი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ნამდვილ ძმას შეეფერება!. .

ხარზამანი ყურადღებით უსმენდა ამრას, ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და გულაჩუყებული ალდიზს მიესიყვარულა:

— ღმერთმა ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება მოგცეს, შვილო ალდიზ! — მივიდა, გადაეხვია და მამა-შვილურად გადაკოცნა.

როგორც ჩანს ალგერის არაფერი გაუგია, თორემ! . .

მეორე დღეს გზაში რომ არავინ შეხვედროდა და არ გამოსაუბრებოდა, ამრა უთენია წავიდა სამსახურში.

იგი მარტო იჯდა სამასწავლებლო ოთახში და თავაუღებლად კითხულობდა რომელიღაც წიგნს, ხოლო შემოსულ კოლეგებს მისალმებაზე ძლივს პასუხობდა. არც ერთ მათგანს არ უცდია მასთან გამოლაპარაკება, ყველა თავისი საქმით იყო გართული, ანდა უბრალოდ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

უსიცოცხლოდ ჩაატარა იმ დღეს ამრამ სხვა გაკვეთილებიც. თავისი კოლეგები არაფერს ეკითხებოდნენ, ეს დუმილი უფრო ჩაგრავდა და უკლავდა გულს. . .

სამსახურის შემდეგ ერთი წუთითაც არ შეყოვნებულა, უმალ შინისაკენ გაეშურა.

ამრას მტკიცე ნაბიჯების შემხედვარე ძნელად თუ გაბედავს გამოლაპარაკებას. აბა, გაბედე და ჰკითხე რამე!

ერთ-ერთმა გოგონამ თავი ვეღარ შეიკავა:

— გამარჯობა, ამრა!

ამრას გააჟრჟოლა და ძლივს გასაგონი ხმით უპასუხა:

— გაგიმარჯოს.

გოგომ ვერ გაიგო ამრას პასუხი და უფრო მკაცრად შეუტია:

— გამარჯობა-მეთქი, გითხარი, ყრუ ხომ არა ხარ? ან იქნებ, თაკს არ გვიყადრებ?

და ასე, მთელი გზა უხდებოდა ამრას თითო-ოროლა სიტყვით გაეცა პასუხი აქეთ-იქით თოვლის გუნდებივით გამოსროლილ შეკითხვებზე.

ბოლოს და ბოლოს, როცა ალგერი აღარ გამოჩნდა, ამრა მაშინვე საძებნელად გაემართა.

იპოვა, შეხვდა.

მაგრამ ის აღარ იყო ძველებური ალგერი, მისი თვალებიც აღარაფერს მეტყველებდნენ, ჭუჭყიან გუბეზე დაყინული ორი წვეთი წყლის მსგავსად უშინაარსოდ იყურებოდნენ. ვაჟი აშკარად გაურბოდა ქალის მკაცრ მზერას.

ამრამ თავად წამოიწყო.

— ალგერი, ალბათ გაიგე...

თითქოს ალგერისათვის ყველაფერი სულ ერთი იყო, არაფერი უპასუხა. ამ დროს ალგერი სულ სხვა ქალიშვილზე ოცნებობდა.

— არ შეიძლება, რომ არ გაგეგო, — ისევ შეახსენა ამრამ თავი.

— არაფერია.

„ეს რას ნიშნავს? ნუთუ ალგერისათვის ყველაფერი სულ ერთია? ღმერთო, როგორ შეცვლილა?“..

ალგერი ამრას გატაცების ამბავს გულგრილად შეხვდა, იქნებ იმიტომაც, რომ ის უკვე აღარ აინტერესებდა.

უეცრად დინამიტის აფეთქების ხმა გაისმა. ხარზამანი ისე შეტორტმანდა, გეგონებოდა ვიღაცამ მკერდში მჯიღი ჰკრაო.

ზემოთ აღმართული ზვიადი კლდე, რომელსაც ხარზამანმა სულ ერთი წამის წინ მოწყვიტა მზერა, ჯერ აიზიდა, მერე კი, თითქოს ამოიგმინაო, ჩამოინგრა, ხოლო მისი ნამსხვრევები ბალიშიდან გადმოყრილი ბუმბულივით გაიფანტა სივრცეში და სეტყვასავით წამოვიდა დაბლა.

ამ ნამსხვრევების ნაწილი ხარზამანის ირგვლივ დაცვივდა.

— არა, ყველაფერს რომ გადავურჩეთ, ამ ხალხს ვერ გადავურჩებით, ცუდად შემოგვიჩნდნენ, ცუდად — თავისთვის ჩაიბურტყუნა ხარზამანმა, — ჩვენცა და ამ მთებსაც აღგვიან პირისაგან მიწისა.

მოხუცი ბილიკიდან გადავიდა და რომელიღაც ხის ძირას დადგა. იქვე ახლოს, გამოშიგნულ კლდესთან ორნი გამოჩნდნენ.

პირველი, ვინც გზაზე ახლაც და ადრეც მეღობებოდა, ალგერი იყო.

გადავწყვიტე, ახლავე მივსულიყავი და მოვლაპარაკებოდი. ამ საქმის სახვალიოდ გადადება ზიანის მეტს არაფერს მომიტანდა.

მთელი სოფელი შემოვიარე. ყველგან ვიყავი, სადაც კი ალგერი მეგულებოდა, მაგრამ ვერსად ვნახე.

„იქნებ თავის მეგობარ მიტასთან არის?“ — გავიფიქრე და მაშინვე მისკენ გავეშურე.

წინათგრძნობამ არ მიმტყუნა. ჩემ წინ ბილიკზე ჩქარი ნაბიჯით მიმავალი ალგერი დავინახე.

მეც ავუჩქარე ნაბიჯს, ერთი სული მქონდა მთელი ჯავრი მასზე ამოშეყარა, დამევლო ხელი და უფსკრულში გადამეჩეხა.

ნებისყოფა გამომელია და სუნთქვაშეკრულმა დავუძახე:

— ალგერი, ჰეი, ალგერი!

ალგერი უმალვე შედგა.

ალგერი გაოგნებული მიყურებდა და ვერ გაეგო, რა მოხდა; ეტყობა არ მოეწონა, ჩემი გამომეტყველება, ისეთი ტონით მითხრა:

— რა მოხდა, ალოუ, რაღაც აფორიაქებული მეჩვენები.

გამწარებული მივვარდი. თვალები ლამის ბუდიდან ამომვარდნოდა, ქშენა-ქშენით ავხედ-დავხედე, თავიდან ფეხებამდე შევათვალიერე და დავუღრიალე:

— გზიდან ჩამომეცალე, გესმის?

— ალოუ, ნუთუ არ შეგიძლია გამაგებინო რა მოხდა?

ალგერის თვალებში დანაშაულის ნიშანწყალი არ იგრძნობოდა.

— ბოლოს და ბოლოს ჩამომეცლები გზიდან თუ არა? — ხმას ავუმაღლე.

— ალგერი, იცი, რა უნდა გითხრა? — ვცადე მშვიდად მეთქვა, — მოეშვი იმ გოგოს, არაა შენი საქმე.

— რაო! — დაიჭექა ალგერიმ და ჩემ თვალწინ მოულოდნელად ელვის უსწრაფესად იცვალა სახე. სულ სხვა კაცად იქცა, თითქოს უფრო ამაღლდა კიდეც, მხრებში მჭიდროდ ჩამჯდარი თავიც თითქოს თვალდათვალ აიმართა, — დღეიდან შენი ხმა არ გავიგო, გესმის? ერთ დღეს ალდიზი ჩამჩიჩინებს, მეორე დღეს — შენ. თავი დამანებეთ თორემ. . .

— ალგერი, გზიდან ჩამომეცალე, სხვას არაფერს გთხოვ! — ახლა უფრო მშვიდად ვუთხარი, თუმცა ვგრძნობდი, რომ ეს სიმშვიდე თანდათან იძაბებოდა და ზამბარასავით იჭიმებოდა.

— მაინც საინტერესოა, რისი იმედით ლაპარაკობ ასე თამამად? — გაიკვირვა ალგერიმ და ხმასაც დაუწია.

— ჩვენ შევთანხმდით, მე ამრას ცოლად ვირთავ, დღე და ღამე ვეოცნებობ, ეს არის ჩემი გზა.

— შეენ?.. შენ უნდა შეირთო?.. — და ალგერიმ გადაიხარხარა,— მაშ, შეენ?.. შენ, არა?..

— ჰო, მე! მე! მე!

— ესე იგი შენ?

— ჰო, ჰო, მე! სწორედ მე!

— გაჩუმდი-მეთქი!

— ალგერი, იცოდე, გზიდან ჩამოგვეცალე!

— თუ მართლა ამრამ სიტყვა მოგცა, დამილოცნიხართ, მაგრამ თუ თვალთმაქცობ და ჩემი გაცურება განგიზრახავს. . . — ბოლო სიტყვები კბილებში გამოცრა და თვალის დახამხამებაში ადგილიდან მოწყდა.

ამრამ დატოვა თავისი ოთახი. აივანზე შეჩერდა. ირგვლივ უკუნეთი სიბნელე იდგა. კიბეზე ჩამოვიდა. ბილგიასაც ხმა არ დაუძრავს, ისე იწვა თავისთვის.

ამრა ეზოდან გამოვიდა. ცოტა ხნით შეჩერდა, ერთი მწარედ ამოიოხრა და წავიდა.

ახლა უკვე სახიფათო მიჯნა უკან დარჩა, იგი თავისუფალია. როგორც ზღვის ტალღებში მოცურავე მითოლოგიური თეთრი ცხენი, ისე ჩანდა ამრას სილუეტი სიბნელეში.

ამრა ნელ-ნელა მიახლოვდება.

მე, როგორც წინასწარ მოვილაპარაკეთ, ვიდექი დათქმულ ადგილზე.

აი, გადმოივლის ამ ვიწრო ხიდს და ის უკვე ჩემთან იქნება, ჩემი ხელით უნდა ჩავაბარო ალგერის ის, ვინც ქვეყანას მირჩევნია. თუ აქამდე იმედის ოდნავი ნაპერწკალი მაინც ენთო ჩემს გულში, ამიერიდან სამუდამოდ ჩაქრება.

ამრა ხიდზე გადმოდის და მე მგონია, ხიდზე კი არა, ჩემს ძარღვებზე მოაბიჯებს. მოაბიჯებს ნაზად და მსუბუქად, ოდნავ თავდახრილი და ხელებდაშვებული.

ჩუ! რა არის ეს? მოჩვენება? ვიღაცამ წინ ჩამიარა და ხიდს მოპირდაპირე მხარეს მიადგა.

ვინ უნდა იყოს?

ალგერი ხომ არ არის?

ამ უკანასკნელმა რომ შეამჩნია, ხიდზე ვიღაც მოდისო, ჩაახველა... ამრამ თავი ასწია და მგზავრს შეხედა, ცივი ხმით შეჰკივლა. . . ამრა ვეღარც უკან წავიდა და ვეღარც წინ წადგა ნაბიჯი, თოკზე მოქანავე ჯამბაზივით შეტორტმანდა და ქვევით გადაეშვა.

— ეს რა ღვთის რისხვა დამატყდა თავს! — შეჰბღავლა ხიდთან მდგომმა და თვითონაც გადაჰყვა ქალიშვილს. . . მე მაშინვე შევიცანი ხმა — ხარზამანისა იყო.

თავდაპირველად დავიბენი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, მაგრამ მალე გონს მოვედი და ხევისკენ გავქანდი.

— რა მოხდა? — შორიდან ვიყვირე.

— რომელი ხარ?

ხარზამანს ვუთხარი ვინც ვიყავი.

— მოგვეშველე, შვილო! — მომესმა მოხუცის ხმა. ამრას კვნესის ხმამაც მოაღწია ჩემამდე.

დაბლა დავეშვი. ხარზამანს უკვე ხელში აეტაცა ამრა. თვალის დახამხამებაში უკან ამოვხტი. ხარზამანმა მუხლი მიაბჯინა ხრამის ნაპირს, მოხერხებულად ასწია შვილიშვილი და ჩემს მკლავებზე გადმოაწვინა.

როდესაც ამრა ჩემს მკლავებში მოვიმწყვდიე, მსუბუქად წამოვხტი, თითქოს ძალა მომემატა. მინდოდა მეყვირა, რომ მთელ ქვეყანას დაენახა ამ უკუნ სიბნელეში ჩემს მკლავებზე გადაწოლილი ამრა. მისი მხურვალება გადმომედო, უცნაურმა ერუანტელმა დამიარა ტანში, თითქოს გალხვა ამდენი ხნის გაყინული გული.

ამრა ქორის კლანჭებში მომწყვდეული მწყერივით თრთოდა. მისი გულისცემა ისე ისმოდა, როგორც წყნარ ღამეში საათის წიკწიკი.

რა მსუბუქია ეს სხეული, თანაც რა თბილი, სულაც არ მიჭირს მისი ტარება. თუ საჭირო იქნება, ასე ვატარებ ქვეყნის დასასრულამდე — გადავატარებ ამ მთებსა და მდინარეებს, წავიყვან შორს, ცის დასავლამდე...

მომეჩვენა, რომ ამრასაც ესიამოვნა ჩემს მკლავებზე ყოფნა, იმედიანად მიეყრდნო ჩემს მკერდს და მშვიდად გაინაბა.

თუ სხვა ბედნიერება არ მეღირსება, ეს მაინც გაგრძელდეს დიდხანს, მაგრამ!..

— მეხმა ჩაიტანოს ეს წყეული ადგილი — ლანძღვა-კრულვით ამოვიდა ხევიდან ხარზამანი.

— ალოუ, დავიღუპე, რა მეშველება! — წარმოთქვა ამრამ ძლივს გასაგონად.

— ნუ გეშინია, ამრა! — დავამშვიდე იგი, თუმცა კი ვერ მივხვდი, რას ჩიოდა ქალიშვილი — მას, რომ არ გამემხილა მისი გათხოვების ამბავი, თუ შველას მთხოვდა?

— ჩამოსვი შვილო, შენც დაიღლებოდი, — მირჩია მოახლოებულმა ხარზამანმა.

— როგორც ამრას უჯობს, — ვუპასუხე ჩუმად.

ამრამ ბაბუას სიტყვები რომ გაიგონა, კისერზე მაგრად მომხვია ხელები იმის ნიშნად, ძირს არ დამსვაო.

— ამრა, შვილო, ფეხით წამოდი. — აღელვებული ხმით მიმართა მოხუცმა. გაუგებარი იყო ხარზამანს მართლა უნდოდა ამრა ფეხით წამოსულიყო, თუ უნდოდა გაეგო, შეძლებდა თუ არა ამრა ფეხზე დადგომას?

ამრა უფრო მაგრად ჩამეკრა.

— არა უშავს, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

სისხამ დილით, ჩრდილივით შეუმჩნეველად მიუყვებოდა ალგერი გორაკს, მიბარბაცებდა.

... ასე უმიზნოდ და უთავბოლოდ მიბარბაცებდა და უცებ, თითქოს გამოფხიზლდაო. შედგა, წელში გაიმართა — აქ ხომ გუშინ ღამე უნდა შეხვედროდა ამრას, მერე აქედან... ჩასულიყვნენ დაბლა... მერე..

ეს რა უსინდისობა ჩაიდინა! როგორ შეირცხვინა თავი! როგორ...

მაგრამ, არა! ეს არ არის უსინდისობა! შესაძლოა, სწორედ ისე მოიქცა, როგორც ნამდვილი ადამიანი უნდა მოქცეულიყო, ადამიანი, რომელსაც ტყუილის თქმა არ უყვარს და გზასაც არასოდეს არ გაიმრუდებს!

— „ალგერი!"—მოეჩვენა, რომ სოხუმის მთებიდან მონაბერმა ქარმა მიაწვდინა ეს ხმა, მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, არც უკან მოუხედავს, ისე, სხვათა შორის გაჰკენწლა ფიქრმა: „მაინც რა იყო?"

„ალგერი", — კვლავ ჩაესმა.

გარშემო მიმოიხედა. ვერავინ შეამჩნია.

„ალგერი"! — ზედ ყურისძირთან გაისმა ახლა.

ალგერი სწრაფად შემობრუნდა.

ქალიშვილი. რომელიც მას ეძახდა, ნელა უახლოვდებოდა...

— ნუთუ მართლა ვერ მიცანი? — გაუმეორა ქალიშვილმა.

მის ხმაში არც გაკვირვება იგრძნობოდა და არც წყენა.

— ჰო, ალგერი... აბა, კარგად გაიხსენე? — წაეხმარა გოგონა.

— მოიცა, მოიცა... შენ ხომ?...

— მე ციცინო მქვია, — ვეღარ მოითმინა ქალიშვილმა, — ციცინო ჩანბა!

— არა,არა! მოიცა... ეს ხომ მეც ვიცი ... მინდა მხოლოდ შენი ნამდვილი სახელი გავიხსენო!..

— ციცინო! — კვლავ შეახსენა ქალიშვილმა, მაგრამ ალგერი ყურს აღარ უგდებდა, — არა, ეს არა!

— ციცინო-მეთქი, არ გესმის?

— სათუთა! სათუთა! — როგორც იქნა გაახსენდა თვალებგაბრწყინებულ ალგერის, — აჰა, გამახსენდა, შენ კი გეგონა დამავიწყდა „სათუთა"?

— ალგერი, ეს სახელი და მასთან ერთად ჩვენი ბავშვობაც ხომ ზღვაში ჩაიმარხა?

— შენ კი დაივიწყე? — ფრთხილად, თითქოს ცდისო, ისე ჩაეკითხა ალგერი.

— არა, რას ამბობ, ამის დავიწყება როგორ შეიძლება! — შეირხა ქალიშვილი.

— ვინ დაგარქვა ეს სახელი?

— შენ! — მაშინვე უპასუხა გოგონამ.

როგორც კი ალგერიმ შეხედა, მაშინვე იგრძნო, რომ ამ თვალებმა ისევე დაატყვევეს, როგორც ოდესღაც, როცა ისინი ჯერ კიდევ სულ ბავშვები იყვნენ, როცა ციცინოს ზღვაზე გასვლა ეწადა, დედას გამოეპარა და თვალებით ანიშნა ალგერის — რაც შეიძლება ჩქარა გავიქცეთო აქედან.

დრო გადიოდა, გოგონას სულში უცნობი, თბილი გრძნობა იღვიძებდა, მანამდე უხილავი და უცხო... ეს გრძნობა თანდათან იზრდებოდა და ფესვს იკიდებდა.

ალგერიც გამოიცვალა, უცნაურად დასერიოზულდა, ლაპარაკიც, ქცევაც სხვანაირი გაუხდა.

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ციცინო სხვა სოფელში მუშაობდა; მერე მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, გადაწყვიტა მშობლიური კუთხის კეთილდღეობისათვის შეელია მთელი ენერგია და ცოდნა.

ვაეის წინაშე სურათებივით ენაცვლებოდა ერთმანეთს ორი სახე. როდესაც ერთი გაქრებოდა, მეორე გამოჩნდებოდა. ციცინოს ხმა კი მონოტონურად გაისმოდა და საოცრად ტკბილად ჩაესმოდა ალგერის სმენას.

ორი ძალა იბრძოდა ალგერის სულში, ერთ-ერთს უნდა გაემარჯვა. ეს კი თვით ალგერის გამოცდა იყო. მას ახლა უკვე უნდა გადაეწყვიტა ამ ორთაბრძოლის ბედი.

— ბილგია, ბილგია!

ძაღლი ადგილიდან არ დაძრულა, ალბათ ძახილი ვერ გაიგონა.

— ბილგია, ბილგია! — ისევ დაუძახა ალგერიმ.

ბილგიამ ზანტად გასწია სახლისკენ, ნელა შეძვრა მის ქვემოთ და მიიმალა.

ჩვენ რომ ეზოში შევედით, ბილგია აწრიალდა, ფეხებში გაგვებლანდა. ძლივს მოვიშორეთ. განაწყენებული აწკმუტუნდა.

ამრა შინ შევიყვანეთ.

საბრალო დესიმ ამრას დანახვაზე ცივი ხმით შეჰკივლა.

— ვინ მოგვჭრა თავი! ვინ არის ჩვენი ამომგდები, ვინა! — და ორივე ხელი ჰაერში უმწეოდ გაასავსავა.

— ჩუმად იყავი, აბა, ეს საქმეა? — უპასუხა ხარზამანმა დაბალი ხმით, — ამრა აქ არის, რაღა გაყვირებს!

დავაწვინე თუ არა ამრა თავის საწოლზე, მაშინვე უკან გამოვბრუნდი, „რაც გევალებოდა, ხომ გააკეთე? ახლა ადექი და წადი“, — ჩამჩურჩულა იდუმალმა ხმამ. ჰო, რა თქმა უნდა-მეთქი — ვუპასუხე იმ ხმას და გასასვლელისაკენ გავემართე.

— ნუ წახვალ, ალოუ! — კართან დამეწია ამრას ხმა.

მონუსხულივით შევჩერდი.

— დარჩი ალოუ! — გაიმეორა ამრამ. შემოვბრუნდი და ამრას შევხედე.

— ჰო, შვილო, დარჩი, სად მიგეჩქარება! — დაუმატა ხარზამანმაც.

— ფეხები... ფეხები მტკივა... ძალიან... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა ამრამ და სიმწრისაგან ქვედა ტუჩს კბილები დააჭირა.

— რაო?.. ფეხები?.. აბა, სად, შვილო, აბა სად?.. — მაშინვე მიიჭრა ხარზამანი ამრას საწოლთან.

ოთახში დესი შემოვიდა.

— ექიმი, ალოუ, ექიმი, ჩქარა! — შემოსვლისთანავე შემეეედრა დესი.

ქარიგით გავვარდი გარეთ.

ალდიზი გავალვიძე და ჩემი მისვლის მიზეზიც სასწრაფოდ ვუთხარი, იგი მაშინვე დაფაცურდა. ორიოდე წუთის შემდეგ ჩვენ უკვე მანქანაში ვისხედით.

ოჯახურ პირობებში შეუძლებელი იყო არათუ ავადმყოფის ნორმალური მკურნალობა, არამედ გასინჯვაც კი. ამიტომ ალდიზმა განაცხადა, ამრა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა მოვათავსოთო.

უცებ ჩემ წინ ალგერი გამოჩნდა. რაღაც საცოდავად მოაბიჯებდა მხრებჩამოყრილი და თავჩაღუნული. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ყურსაც არ გააპარტყუნებდა. როგორც კი ერთმანეთს შევხედეთ, ძვლებმა ჭახაჭუხი დამიწყო. ალგერის თვალები უცნაურად აუგიზგიზდა. ძალიან მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ ახლა რაღაცნაირად თვალზე ბინდი გადამეფარა, უსიამოვნო წინათგრძნობამ შემიპყრო. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი, — პირდაპირ უნდა შევხვედროდით.

— ბიჭოს, ეს შენა ხარ? მადლობა ღმერთს, ცოცხალი შემხვდი! — ვუთხარი მე.

— ვითომ რაო, ალგერიმ თავი მოიკლაო, ხომ არ გითხრეს?

— არა, მე მინდა სიმართლე გავიგო, გესმის?

— მაინც რა გაინტერესებს?

— სად იყავი!

— ვინ გეკითხება!

— ჩემი სინდისი.

— ვისი დავალებით დამდევ ფეხდაფეხ.

— ჩემივე თავის დავალებით.

— მოკლედ მითხარი, რა გინდა?

— რატომ არ მოხვედი გუშინ!

— რა შენი საქმეა?

— გეკითხები, რატომ არ მოხვედი-მეთქი, სად იყავი?

— კითხვა სირცხვილი არაა, ოღონდ ხმას დაუკელი, შენ თვითონ სად ბრძანდები?

— შენ კარგად იცი, სადაც ვიყავი! ჩემს შეკითხვაზე მიპასუხე.

— მთელი ღამე გეძებდი. ფეხისგულები დამისკდა, იმდენი ვიარე, ალმა-დაღმა, — ყრუდ ჩაიბურტყუნა ალგერიმ.

— ამრასთან გახლდი! — უცებ წამომცდა ეს ორი სიტყვა.

— აი, თურმე სად ყოფილხარ! ეს სავსებით საკმარისია.

— ახლა მიპასუხე, რატომ არ მოხვედი!

— არ მინდოდა თქვენთვის ხელი შემეშალა.

— ალგერი!

— ჰო, ჰო, აგრეა!

— ამრა შენ გელოდა.

— ვიცი.

— მაშ, პაემანი რატომ ჩაშალე?

— აკი გითხარი, არ მინდოდა თქვენთვის ხელი შემეშალა-მეთქი!

— ეგ როგორ.

— შენ ხომ გიყვარს ამრა.

— ჰო!

— ჰოდა, შენ და ამრამ ხომ მიეცით სიტყვა ერთმანეთს, რომ დაქორწინებულიყავით?

— შენს გამო ამრა კინაღამ მოკვდა. ეგ რომ სცოდნოდა, რა ვაქაციც ბრძანდები. . .

— როგორ, რა მოუვიდა!

— შენთან მოდიოდა. უმთვარო და წკვარამ ღამეში ხიდზე ფეხი დაუცურდა და ხევში ჩავარდა, ახლა საავადმყოფოში წევს, ფეხი აქვს მოტეხილი.

— როგორც ჩანს, ყველაფერი შემთხვევის ბრალია. — ალგერის ეგონა, სწორედ ეს შემთხვევა დაიხსნიდა მას საკმაოდ უსიამოვნო განსაცდელისაგან, — დავა იმის შესახებ, თუ რატომ მოხდა, საკმაოდ არასერიოზულად მიმაჩნია, — თქვა, მხრები მსუბუქად შეათამაშა და გამშორდა.

— უსინდისო!. . .

იგი არ მობრუნებულა.

— ლაჩარო! — ერთხელ კიდევ მოვიოხე გული, მივაფურთხე იმ ბილიკს, რომელზედაც ახლა ალგერიმ გაიარა და წელმოწყვეტილმა ძლივს გადავდგი ნაბიჯი.

ციცინო ამრას დეიდაშვილია. იგი გაუმხელს ამრას, რომ მისი საქმრო ალგერია. ამრა განიცდის ამ ამბავს. ბოლოს მაინც აფხაზური ტრადიციის მიხედვით ამრას სახლში იხდის ქორწილს. ალოუ ხარზამანის

კარ-მიდამოში სახლდება. ამრა საბოლოოდ რწმუნდება ალოუს გრძნობათა გულწრფელობაში.

თათეი ახალ მუსიკალურ ნაწარმოებს წერს.

ალგერის, ცხადია, არ უნდა, რომ ციცინო ამრას სახლიდან თხოვდება, მაგრამ რა ქნას? საიდანაც ეხერხება, იქიდან უნდა წაიყვანოს პატარძალი. ხომ ვერ ეტყვის ციცინოს, რა დამოკიდებულება ჰქონდა ამრასთან?

ასე იყო თუ ისე, ქორწილისათვის მზადება გაჩაღდა. ნამდვილი აფხაზური ქორწილისათვის ემზადებოდნენ.

მე თავის გამოჩენის საშუალება მომეცა. ხელები დავიკაპიწე და მზადების ორომტრიალში ჩავები. ამრამ ფეხის ტკივილი მოიმიზეზა და განგან დადიოდა, არაფერში არ იღებდა მონაწილეობას. კბილს კბილი დაეჭირა. რაც ქორწილის ღამეს გადაიტანა ამრამ, ამას თვითონ მიხვდები მკითხველო. მე კი არაფერს გეტყვით, რადგან მოგვიანებით ამრა დაწვრილებით მომიყვა თავის განცდების შესახებ და მთხოვა არავისთვის გამემხილა.

ციცინო წაიყვანეს. მაგიდას ერთი-ორი ჭირვეული სტუმარიღა შემორჩა.

ყველაფერმა ჩემს თვალწინ ჩაიარა. მე უზომოდ ბედნიერი ვიყავი.

მე და ამრა ერთ ოთახში ვართ. . . მეცხრე ცაზე მგონია თავი. ო, რა ტკბილია ცხოვრება!

ეს ჩემამდეც უთქვამთ, არა?

ალბათ, დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობს, არა! არც ახალმთვარეზე უკეთესი სოფელია სადმე. ირგვლივ ყველაფერი იცინის, სოფელი დგას ჩეშს წინაშე გულგახსნილი და თავისი ღონიერი მკლავებით მაღლა ვყავარ ატაცებული.

ყოველ დილით, ვარჯიშის შემდეგ, გამოვდივარ ჩემს პატარა აივანზე და გავცქერი ამრას ჭიშკარს. ამრაც ერთსა და იმავე დროს გამოდის, ხელს მიქნევს და თავის გზით მიდის.

— გამარჯობა, ამრა! — უხმოდ ვესალმები და მეც ვუქნევ ხელს.

ეს ერთი შეხედვაც საკმარისია ჩემთვის, მეორე დილამდე ბედნიერად დავაბიჯებ ჩემს საყვარელ მიწა-წყალზე.

დენი ახლა გომურებამდე გავიყვანეთ და ძროხების ელექტროწველაზე გადავედით, ხარზამანი ალმაცერად უყურებდა ამ ამბავს.

მე და ხარზამანი სწორედ იმ დროს მივედით ფერმაში, როცა პირველად სინჯავდნენ ელექტრომწველავ მანქანას. რაღაც საწოვარას მაგვარი „სისაძაგლე“, ასე მონათლა იგი ხარზამანმა, მიუმაგრეს ძროხებს ჯიქნებზე და დაუწყეს მოწველა.

ძროხები, თუ ბუზები არ აწუხებდნენ, მშვიდად იდგნენ, თავიანთ ბედს დამორჩილებულნი.

მხოლოდ ხარზამანი იყო დაძაბული, თითქოს დენი მის ძარღვებში მიედინებოდა.

არაფერი მომხდარა, წველა დაამთავრეს და ძროხები გაუშვეს, ხარზამანმა მხოლოდ ახლა ამოისუნთქა შვებით.

— ძალიან თვინიერი ძროხები გყოლია, ზაფას,—უთხრა ხარზამანმა.

— ჩემი ძროხები მე მგვანან ხასიათით, — გასცა პასუხი ზაფასმა.

— ჩემი თხები კი არ დანებდებიან. დავრდომილი თხაც არ მისცემს უფლებას, რომ ელექტრონით გამოწველონ. — დაიმშვიდა გული ხარზამანმა.

— შეიძლება. როგორც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისე განსხვავდება პირუტყვიც. ძროხა სხვა ბუნებისაა, თხა კი — სულ სხვა, — ხუმრობითა და ნიშნის მოგებით უთხრა ზაფასმა.

მეორე დღეს ფარდულში მე და ხარზამანი მარტო დავრჩით, უეცრად რადიოს ხმამ მიიქცია ჩვენი ყურადღება.

— ჩუმად, ჩუმად! — თქვა ხარზამანმა, თუმცა მე ხმას არ ვიღებდი, — გესმის რას გადმოსცემს რადიო?

— მესმის, მესმის!

— ლაპარაკობს სოხუმი. რამდენიმე წუთის შემდეგ მოისმინეთ მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტის თათეი ახბას ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „მზე ჩვენთან იღვიძებს!“ მართლა ასე თქვა?

— ჰო, ზუსტად ასე თქვა, — დავუდასტურე მე, როცა ხარზამანმა უშეცდომოდ გაიმეორა დიქტორის სიტყვები.

— ახალა უსმინე! — ხარზამანი წამოდგა და გაიარ-გამოიარა, შემდეგ შეჩერდა და ირგვლივ ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს მწვერვალიდან გასცქერის ქვეყანასო, — რა თქმა უნდა, ახლა ათასობით ადამიანმა გაიგო, რაც რადიომ გადმოსცა და სუნთქვაშეკრულნი უსმენენ მას. ჰა, როგორი საქმეა?

მალე გაისმა ჰარმონიული მუსიკა, თითქოს ჩვენი ლამაზი მიწიდან აფრინდა და ლამობს ჩვენც აგვიტაცოს, გაგვაფრინოს შორს, ძალიან შორს, თვალუწვდენელ სილაჟვარდეში, მუსიკას მალე აჰყვა მომღერლის ხმაც.

სიმღერა დამთავრდა, ხარზამანი თავის ადგილზე დაჯდა, მე კი ჩემს ადილზე. მაგრამ რა სახე ჰქონდა ბერიკაცს! ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია.

მე ახალმთვარეში წავედი ყველის ჩასაბარებლად. შუადღე გადასული იყო, როცა ჩემი საქმეები მოვაგვარე და უკან ვბრუნდებოდი. გზაში ალგერი შემხვდა, ცოლთან ერთად იყო.

ოდნავადაც არ შემხარბებია მათი ბედნიერება. პირიქით, გულწრფელად გამეხარდა. ღმერთმა ბედნიერად ამყოფოთ.

მისალმების შემდეგ ალგერის ვუთხარი:

— ალგერი, რატომ დაგვივიწყე ასე, ერთხელ არ ჩამოხვედი ახალმთვარეში? — ისე ვთქვი, თითქოს ძალიან მენატრებოდა მისი ნახვა. ასეთები ვართ ადამიანები, ზოგჯერ საკუთარი თავის მოტყუებითაც ვერთობით ხოლმე.

— დრო, დრო, — გაუგებრად მიპასუხა ალგერიმ. — თმაზე რომ ცეცხლი მეკიდოს, იმის ჩასაქრობად დრო არა მაქვს. საქმე და საქმე, სულ საქმეში ვარ! როცა ახალმთვარეში ვიყავი, მაშინ ბევრი დრო მქონდა თავისუფალი. ახლა სულ სხვაა. . .

— ახლა სად აშენებ სადგურს?

— სადღა არ ვაშენებ?! — წარბები აზიდა და თავმომწონედ მიპასუხა.

— ჰო, თუ ასეა, სად გეცლება, დიდ გასაჭირში იქნები! — თითქოს გულთან მივიტანე მისი მოუცლელობა.

— ახლა მე ვარ მთელი სოფლების ელექტროსადგურების მთავარი ინჟინერი, — თქვა და ხელები გაშალა, შემდეგ ისე შეაერთა, თითქოს მთელი აფხაზეთი მოიმწყვდია ხელებში. — ახლა ჩამოვედი სოხუმიდან, დღეს დამამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

„ეს კაცი შორს წავა“, — გულში გავივლე.

— ჩემი ნივთების წასაღებად ჩამოვედი, სოხუმში გადავდივარ სამუშაოდ.

— გეჩქარება ალბათ, ღმერთმა კეთილად გატაროთ, მშვიდობით!— დრო ვიხელთე და გავეცალე.

ჩაის ფაბრიკასთან ჩვენი კოლმეურნეობის მანქანა იდგა.

იქვე ალაყაფის კართან აგრა ვიღაც ვაჟს სხაპასხუპით ელაპარაკებოდა.

მანქანიდან თავი გამოვყავი და აგრას მივესალმე.

მან გამიღიმა და ხელი დამიქნია.

— მე ძალიან კარგად ვარ, — მომაძახა მერე, თუმცა არ მიკითხავს, როგორა ხარ-მეთქი, — ვიცი, შენი საქმეებიც სრულ წესრიგშია. ყოჩაღ, ასე უნდა! — შემდეგ ისევ მიუბრუნდა თავის თანამოსაუბრეს, თითქოს ამით მითხრა:

„აი, ხომ ხედავ, ვისთან ვდგავარ, არ იფიქრო, შენზე ნაკლები იყოს!“

ბინდდებოდა, როცა შინ მივედი. ნახევარი ეზოც არ მქონდა გავლილი, რომ მთელი სოფელი გაჩახჩახდა ელნათურებით.

უცბად ჩემი ეზოდან ისეთი სანახაობა გადაიშალა, რომ ერთ ადგილზე მონუსხულივით შევდექი. მერე როგორც იქნა, ღობესთან მივედი და ქვევით გადავიხედე. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი სოფელი: ყოველი სახლიდან სინათლის ცინცხალი, ოქროსფერი წყაროები მოჩქეფდხენ. სიბნელეში შთანთქმული, მუდამ მშფოთვარე, მოუსვენარი აალიპსთა ჰგავდა ჯერ კიდევ ცოცხალ, დიდ თევზს, რომელიც მუცელ-

ამობრუნებული გდია რიყეზე და უმწეოდ ფართხალებს. მდინარე ჯერ გამოჩნდებოდა აქა-იქ, მერე თვალს მიეფარებოდა, ბოლოს კი, როცა გაივაკებდა, მხრებს გაშლიდა და თავისუფლად გაინავარდებდა, ზღვის პირს მიტანებული, მომაკვდავი თევზივით უკანასკნელად გაიბრძოლებდა, მძლავრად მოიქნევდა კუდს და ზღვის გაუმაძღარ ხახაში თვალსა და ხელს შუა ჩაიკარგებოდა.

ამ სიმაღლიდან ჩანდა, როგორ მიიზლაზნებოდა გზაზე თამბაქოს პარდანებით პირთამდე დატვირთული მანქანები და როგორ ახამხამებდნენ ვეება ფარებს. მძიმე-მძიმედ გადიოდნენ მანქანები ახალმთვარიდან, რათა სახელმწიფოსათვის ჩაებარებინათ აფხაზური ოქროსფერი თამბაქო.

ალიასის ბრიგადა დღე და ღამეს ასწორებდა თამბაქოს ტეხვაში. მათ ამინდიც ხელს უწყობდა.

მთელ წელიწადს გრძელდება მუშაობა თამბაქოს პლანტაციებში. ტეხვა დამთავრდება თუ არა, იწყება ნიადაგის გაფხვიერება, ამისათვის კი საჭიროა სასუქის გამოწვა, წუნწუხით მიწის განოყიერება, ნაცრის მოყრა და ათასი რამ.

როგორც კი თამბაქოს ტეხვის დრო დადგება, ალიასი თავის მანქანას მიუჯდება და გვიან ღამემდე ჩაჰკირკიტებს. თუმცა ჯერჯერობით არაფერი გამოუდის. არასაიმედო საქმეს მოჰკიდა ხელი ალიასმა. მაგრამ იგი ჯიუტია და ერთხელ დაწყებულ საქმეს ასე ადვილად არ მოეშვება. თუ რამე გამოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და, მას მტკიცედ სწამს, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, ახალმთვარეში დაიბადება ისეთი კაცი, რომელიც მის მიერ დაწყებულ საქმეს ხორცს შეასხამს და დიდი ხნის ნატვრას სინამდვილედ აქცევს, აუცილებლად დაიბადება ასეთი კაცი!

ჩემი სახლის ცოტა ქვემოთ თათეის ოდაა წამოჭიმული. იქითკენ გავიხედე. ხვალ ხომ კვირადღეა და, როგორც ყოველთვის, თათეი ახლაც ჩამოსულა. ჩემდაუნებურად შემოვბრუნდი და აივანზე გადმოდგარი ამრა დავინახე, იგი ჩემს ეზო-კარს გადმოსცქერის.

საინტერესოა, მხედავს თუ არა?

ვერა, ვერ მხედავს.

მეჩვენება, რომ მისი სახე წამდაუწუმ იცვლება, რა ნაღვლიანმა ფიქრებმა მოიცვა? რომ დავენახე, ხელს დამიქნევდა...

ამრა ნელა დაეშვა კიბეზე და ჩემსკენ გამოემართა. აი, მოადგა იგი ჩემს ჭიშკარს, სადაცაა ეზოშიც შემოვა... მაგრამ, არა, იგი ვერ გაბედავს ასეთი ნაბიჯის გადადგმას, ვინმემ რომ დაინახოს, რას იფიქრებს,

მარტოხელა კაცთან ღამით ქალიშვილი თავისი ფეხით მივიდაო...

მართლაც, ამრამ ჩემს ჭიშკართან ჩაიარა... მე სულგანაბული ვიდექი ერთ ადგილზე. იგი ზღვისკენ წავიდა. ელდანაკრავივით გამოვვარდი ეზოდან. გადავწყვიტე გზა მომეჭრა და ქალიშვილს დავწეოდი.

აი, მივუახლოვდი კიდეც. გრძნობს თუ არა, რომ ფეხდაფეხ მივყვები?

იგი სულ ახლოს მივიდა ზღვასთან, ისე ახლოს, რომ შხეფები ეწინწკლება სახეზე.

ამასობაში მის გვერდით აღმოვჩნდი.

— საღამო მშვიდობისა, ამრა!

— შენ ხარ, ალოუ? საღამო მშვიდობისა! — მორცხვად მომესალმა ქალიშვილი, — სედავ, როგორ გალამაზდა ჩვენი სოფელი? — მითხრა და ახალმთვარისაკენ შებრუნდა.

— ჰო, ძალიან, ძალიან გალამაზდა — ვუპასუხე და მეც შევბრუნდი.

კარგა ხანს უსიტყვოდ გავცქეროდით სოფელს. ელნათურებით გაჩახჩახებული ახალმთვარე ჰგავდა ვეებერთელა ხომალდს, რომელიც ეს-ეს არის ნაპირს მიადგება და ზღვის მსუბუქ ნისლში ოდნავ ირწევა...

იმ საღამოს ამრა პირველად გამოვიდა უჯოხოდ. მომეჩვენა, რომ იგი ახლა უფრო მოხდენილად დადიოდა, ვიდრე ოდესმე. ნატკენ ფეხს უფრო სწრაფად გადადგამდა ხოლმე, თითქოს ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა, მაგრამ ესეც ძლიერ უხდებოდა მას!... თითქოს ეს ფიზიკური ნაკლი კი არა, განგებ შერჩეული სიარულის მანერა იყო.

ორივემ თითქმის ერთბაშად შევნიშნეთ: თათეი ზღვის პირას იდგა და პატარა ჯოხს ისე იქნევდა, თითქოს სადირიჟორო პულტთან ყოფილიყო. სანამ რამეს მოვისაზრებდი, ამრამ მითხრა:

— ეტყობა, მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნის, მოდი, ხელს ნუ შევუშლით.

ჩვენს თავზე მთვარე გვერდზე გადაიზნიქა და თვალუწვდენელ ზღვაზე ვერცხლისფერი ბილიკი გადაჭიმა.

ამ სანახაობას მე და ამრა უხმოდ შევცქეროდით, მოჯადოებულნი ვიდექით ერთმანეთის გვერდით და ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ჩვენი ხომალდი სადაცაა მოწყდება თავის მყუდრო ნავსადგურს და შეცურდება თვალსაწიერზე გაშლილ სივრცეში.

— ალოუ! — გაისმა სიჩუმეში ამრას ხმა.

— რა იყო, ამრა?

— ამრა მიყვარსო გითქვამს ვინმესთვის?

— ჰო...

— მე რატომ არაფერი მითხარი, ალოუ?

— საამისო ნიადაგი არ იყო მომზადებული, ამრა. რომ მეთქვა კიდეც, მაინც არ მითანაგრძნობდი.

— როგორც ვატყობ, ნიადაგი უკვე მომწიფდა, არა?...

— ჰო, ამრა, ჰო, ახლა კი დროა, ყველაფერი გულწრფელად გითხრა.

— მე მჯერა შენი, ალოუ!

— ო, ამრა!...

როცა ამრას საოცრად თბილი და მთრთოლვარე ხელები ჩემმა თითებმა დაისაკუთრეს, მისი თვალები ნელ-ნელა მიიხუჭნენ, ჩაღამდნენ. ჩემმა თვალებმაც მათ მიბაძეს...

. . .სუნთქვაშეკრულნი გავცქეროდით ზღვაზე მთვარის გზას და გვეგონა, რომ რძისფერი ჩვენი ხომალდიც სწორედ მთვარის გზას მიჰყვებოდა ტაატით. მაშინ მომინდა, ძლიერ მომინდა, რომ მთელ ქვეყანას გაეგონა უხმო ძახილი ჩემი სულისა:

„ჩვენ ახალმთვარიდან ვართ!. . ჩვენთან იღვიძებს ის მზე, რომელიც თქვენ ყველას გათბობთ!.. ის ყოველ დილით ჩვენთან იღვიძებს!..“

1968

ჭიჭიკო ჯონუა

ჭიჭიკო მისელის ძე ჯონუა დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში 1915 წ. დაამთავრა სოხუმის დრამატული სტუდია. 1937—1939 წწ. ჭ. ჯონუა სწავლობდა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1939—1941 წწ. მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობად. დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდან მის ბოლომდე ჭ. ჯონუა იბრძოდა ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ომის დამთავრების შემდეგ ჭ. ჯონუა ლიტერატურულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა სოხუმში. 1945—1957 წლებში მუშაობდა გაზეთ «აფსნი ყაფშის» რედაქციაში ჯერ საკუთარ კორესპონდენტად, შემდეგ კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგედ.

1954 წელს დაამთავრა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლა. 1957 წელს ინიშნება აფხაზური საბავშვო ჟურნალის „ამცაბზის“ პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო 1966 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჭ. ჯონუა იყო ჟურნალ «ალაშარას» მთავარი რედაქტორი. გარდაიცვალა 1975 წ.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ჭ. ჯონუამ ახალგაზრდობის წლებიდანვე დაიწყო. იგი ნაყოფიერად მუშაობდა პოეზიაში, პროზასა და დრამატურგიაში. სოხუმში, თბილისში და მოსკოვში აფხაზურ, ქართულ, რუსულ ენებზე გამოცემულია მისი პოეტური, პროზაული და დრამატული ნაწარმოებების ოცზე მეტი წიგნი. მათ შორის მკითხველთა ფართო წრეებში პოპულარულია კრებულები: „ყვავილების ქვეყანა“, „პოემები“, „პოემები და ბალადები“, „გუდისა შლარბა“, „პიესები“, „მთის ძირას“ „თეთრი კლდე“, „რჩეული“, „მთის ბილიკი“, „მოუსვენარი ტალღები“ და სხვ. პოეტური კრებულისათვის „მთის ბილიკი“ ჭ. ჯონუას 1974 წელს მიენიჭა დ. გულიას სახელობის პრემია.

მწერალი ნაყოფიერად მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის სფეროშიც. მისი ლექსები ხალხში სიმღერად არის გასული. ჭ. ჯონუა ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას. მის მიერ აფხაზურ ენაზე თარგმნილმა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, გ. ტაბიძის, ს. ესენინის, ა. ტვარდოვსკის, გ. აბაშიძის, რ. გამზათოვის, ს. მიხალკოვის და სხვათა პოეტურმა შედევრებმა აფხაზი მკითხველის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ჭ. ჯონუას ნაწარმოებებში იგრძნობა სუფთა პოეტური ხმა, ადამიანური სიკეთე, მაღალი მოქალაქეობრიობა და მწერალი-კომუნისტის შემოქმედებითი მიზანსწრაფვა.

თეთრი კლდე

I

შუაღამე გადასული იყო. თბილი უქარო ამინდი იდგა. ბარდნიდა. ყველა გზა-ბილიკი თოვლს დაეფარა.

მდინარე დუაბის გაღმა-გამოღმა შეფენილ დაბას მაგრად ეძინა. დიდი ხანია შეწყდა ადამიანების ხმაური, რომელნიც სახურავებიდან ხვეტდნენ თოვლს. არც ცეცხლი ციალებდა სადმე, არც ვინმე სულიერთაგან ჩანდა. მხოლოდ დუაბის განაპირას ბეჯითად ყეფდა ძაღლი და მისი ყრუ ყეფა მთელ ხეობას ეფინებოდა.

იმ ღამით მუხლამდე თოვლს მიარღვევდა ეული მგზავრი. ძალაგამოლეულს, გათოშილს რაღაც იდუმალი ძალა უბიძგებდა წინ, დუაბისკენ. მაღლობზე შეჩერდა და ფიწლის ტარს დაეყრდნო, რომლითაც გზას იკვლევდა თოვლში. ძირს, ხეობის უბეში. დათოვლილი დაბა შეყუჟულიყო.

რამდენიმე დღის წინათ დუაბის ხსენებაზე ასთანას ცა უწითლდებოდა. ვერავინ დააჯერებდა, რომ ეს დაბა ყველაზე მზიური, ყველაზე ლამაზი არ იყო ამქვეყნად. მშვენიერი ქალიშვილის, მართას გარეშე მას სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, ხოლო მართა კი სწორედ ამ დაბაში ცხოვრობდა. ერთი სიტყვით, ასთანა სიყვარულს დაეტყვევებინა.

ახლა კი დაბის დანახვაზე ცივი ჟრუანტელი უელიდა ტანში. ტვინს უბურღავდა ის ამბავი, რის გამოსწორებაც აღარ შეიძლებოდა. ყველაფერს თავის თავს აბრალებდა ასთანა, მაგრამ შებრალებას არ მოითხოვდა და არც სჭირდებოდა. ცხოვრებაში ვეღარავითარ აზრს ვეღარ ხედავდა, ერთადერთს — მართას შეეძლო მისთვის სიმშვიდე მოეტანა.

სიკვდილზე ფიქრმა ასთანა რეალურ სამყაროს მოსწყვიტა, რამდენიმე ხანს ძილ-ბურანში დაჰყო, თვალწინ წარმოუდგა, როგორ შეიმართა ორი ლაპლაპა ხანჯალი და მაჯგამ მკერდი როგორ გაუპო... სისხლი გადმოსჩქეფდა ასთანას, მოდიოდა, მონანავებდა სიკვდილი...

ასთან შეკრთა, გამოერკვა. თმებზე დადებული თოვლის ფიფქები ჩამოიბერტყა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, გამხნევდა და თხილამურებზე შემდგარი ნელა გაემართა სოფლისაკენ, გაემართა იქით, სადაც, ეჭვი არ იყო, მართას ძმები ხანჯლებით დახვდებოდნენ.

დაბის სიახლოვეს, ციცაბო დაღმართზე, ასთანა თხილამურებს მიენდო და რამდენიმე წამში ორღობეში გავარდა. აჩრდილივით უხმოდ მიაღწია მან პირველ ჭიშკარს და ზედ მიაწყდა. უნდოდა მასპინძლისათვის დაეძახა, დახმარება ეთხოვა, მაგრამ მამა-პაპური ადათი ვერ დაარღვია. როგორც ახლად დანიშნულს, უფლება არ ჰქონდა ვისიმე ყუ-

რადღება მიექცია. ადათებმა თავისი არტახებით შებოჭა ასთანას გული და გონება. კვლავ მდუმარედ იდგა, კანკალებდა და ცივ ოფლს ასხამდა.

მასპინძლის ძაღლმა გადაარჩინა, ამ ღამით რომ ყბა არ გაუჩერებია. ეს ვეება, მგლის მგუდავი ძაღლი, თითქოს უშიშარი სტუმრის გულგრილობამ გააოფთრაო, ლამის იქაურობას გლეჯდა.

ძაღლის ყეფაზე მასპინძელი გამოვიდა.

— დამშ, დამშ! გაჩერდი, შე სატიალევ! შე მგლის კერძო, შენა! ვიღაცა დაფლითა... — მასპინძელმა ძაღლი გააგდო, ჭიშკართან ატუზულ კაცთან მივიდა, კარგად შეათვალიერა და გაკვირვებულმა აღტაცებით წამოიძახა:

— ეს შენ ხარ, ასთან!? რამ მოგიყვანა ასე გვიან? — მასპინძელი მივარდა, მოეხვია და თვალები დაუკოცნა.

ასთანას ხმა ვერ დაეძრა, ხახა გაშრობოდა.

— როგორ გაბედე, ჩვენო დამლუპველო აქ მოსვლა! — მხიარულობდა მასპინძელი, კვლავ ეხვეოდა ასთანას, — რა ქარმა გადმოგაგდო, არ აპირებდი ჩვენთან მოსვლას ხომ? — განაგრძობდა ის.

ასთანა ხმას მაინც ვერ იღებდა, ისე ეჩვენებოდა, გულის ცემა შემიწყდაო და, რომ არ წაქცეულიყო, ჭიშკარს მიეყრდნო.

— ღმერთმანი, ისე გატყობ, რომ მოკრძალებულ სიძედ გინდა მომაჩვენო თავი, — ხუმრობდა მასპინძელი, — შემოდი, შინ მარტო მე და დიასახლისი ვართ. აქაო და სიძე ვარო, მართლა ნუ კი გაიპრანჭები.

— კარგი მახარობელი ვერა ვარ, ალხას... — როგორც იყო აღმოხდა ასთანას და ცრემლები ძლივს შეიკავა.

მაგრამ ალხასი ვერ მიუხვდა ნათქვამს. ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რამენაირად შეეპატიჟა სტუმარი სახლში და პატივი ეცა.

— ჰა, რამდენ ხანს ვიდგე ამ სიცივეში, გაითოშები, შინ შევიდეთ, — გულიანად იცინოდა ალხასი და სტუმარს მხარზე ხელს უტყაპუნებდა.

მაგრამ ასთანას აღარ შეეძლო მასპინძლის მოსმენა. მის გარშემო ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა. თვალწინ ედგა აკანკალებული, სიცივისაგან გათოშილი მართა.

II

ზამთრის გრძელი ღამე ზოზინით გადიოდა, ღრუბელი თითქოს გაიფანტა, მაგრამ მაინც ძველებურად თოვდა. ალხასის ფაცხაში ცეცხლი გიზგიზებდა, იჯდა თავდახრილი ასთანა და ცეცხლს მისჩერებოდა. იქვე იყო დიასახლისიც, იდაყვით ტახტს დაყრდნობოდა და სულმოუთქმელად ტიროდა.

ალხასი არ ჩანდა: იგი წავიდა, რათა მთელი სოფელი ფეხზე დაეყენებინა და მდევრები დაეგზავნა...

დარდი ჰკლავდა ასთანას. მომაკვდავი არწივივით ბორგავდა. რამდენიმე წამს თვალწინ წარმოუდგა სოიფსარას მიდამოები და ამაყი ბუმბერაზი კლდეები, მაღლიდან რომ გადმოსცქერიან მას.

ერთხელ ასთანა ნადირობიდან ბრუნდებოდა. საღამო ხანი იყო. მზე უკვე ხის კენწეროებსღა ანათებდა. დაისს ოქროსფრად მოევარაყებინა მწვერვალები. ასთანამ იალაღი გადმოიარა და ფიჭვის ტყეში შევიდა. ტყეში ხეტიალისას მან უცნობ ხეობაში ამოყო თავი. ხეობის ბოლოში წყაროს წააწყდა. რომელიც პაწია ჩანჩქერად გადმოჩქეფდა. ასთანამ, ცივ წყალს დავლევო, ბილიკიდან გადაუხვია და გზა რომ შეემოკლებინა, პირდაპირ ფერდობიდან ჩახტა წყაროსთან.

— ახ, ვინა ხარ? — მოესმა ქალის შემკრთალი ხმა. ერთი ირმის ნახტომზე იდგა ქალიშვილი, მას სურა წყლით აევსო და, ალბათ, შინ წასვლას აპირებდა.

როცა ქალიშვილმა თავის წინაშე ჭაბუკი დაინახა, დამშვიდდა, თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, შიშისაგან გაფითრებულ სახეზე კვლავ სიწითლე დაუბრუნდა.

— ნუ გამიწყრები, არ დამინახიხარ... ალბათ ძალიან შეგაშინე, მოგიკვდეს ჩემი თავი!

ქალიშვილი ადგილიდან არ იძვროდა. იგი ტანწერწეტა იყო, მსხვილი ნაწნავი უმშვენებდა ბეჭებს. ასთანა აღტაცებით უცქერდა მას, ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

— ვიფიქრე, შველი ჩამოხტა-მეთქი, — თქვა ქალიშვილმა და ამოიოხრა.

— მგონი, გაგიხარდა კიდეც! — უთხრა ასთანამ და მოქნილი ტანის რხევით გაემართა მისკენ.

— პირველად გულში შიშმა გამკრა.

— კიდეც შეგეშინდა და კიდეც გაგიხარდა, ასე არ არის?

ქალიშვილმა ნდობით მიაპყრო შავი თვალები და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— საღამო მშვიდობისა, მართა, როგორა ხარ?

— ჯიმ-ჯიმ[1], ნება მომეცი გკითხო, საიდან მიცნობ?

— დიდი ხანია გიცნობ, მართა, ერთხელ მოკვაში, ჯირითზე, იორღაზე ამხედრებული გნახე, მას აქეთ ჩემს გულში ხარ.

— მას აქეთ...

— ხუთი წელი გავიდა. მაშინ პატარა გოგონა იყავი. დღესაც შიკვირს რამ გაგაბედვინა იმ ქარივით იორღაზე ამხედრება?!

— პატარა ვიყავი, რა მესმოდა.

---

[1] ჯიმ-ჯიმ — გაკვირვების გამომხატველი მიმართვა.

— მე ცოტათი ვიყავი შენზე დიდი, მაგრამ მაინც არ დამვიწყებიხარ. მას აქეთ გულში მიზიხარ, მენატრებოდა შენი დანახვა...

— ნუთუ იმ დღის შემდეგ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ!?

— ასე ახლოს სიზმარშიც არ მინახიხარ. დღეს ჩემი დღეა. შენთან საუბარი, შენს თვალებში ჩახედვა ჩემთვის მიწიერ სამოთხეზე უტკბილესია. მე ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული...

ასთანამ ალერსით მოჰკიდა ხელზე ხელი და ეს ორივემ საჭიროდ და ბუნებრივად ჩათვალა.

— ბევრჯერ ვყოფილვარ თქვენს მხარეში, აქ ნათესავები მყავს. კარგად ვიცი სანაპირო მხარეც.

— შენ სანაპირო მხარეში გაიზარდე?

— არა, მე მთიელი ვარ. დალელი გახლავარ. ზაფხულს მთის საძოვრებზე ვატარებ, ნადირობით ვიქცევ თავს.

— შენ იმ მონადირე ღმერთთაგანი ხარ, მიზანს აუცდენელი თოფით რომ არჩენენ თავის მწყემსურ ბინას, — გაეხუმრა მართა და ხმამაღლა გაიცინა. ამ დროს ჩიტმა გადაიფრინა. ასთანამ ერთ წამში გადმოიღო თოფი და ესროლა. ქარისაგან მოწყვეტილი ფოთოლივით ჩამოეშვა ფრინველი და მათ ფეხებთან დაებერტყა. ასთანამ იგი ქალიშვილს მიართვა.

— ღმერთმა სიმარჯვე და წარმატება მოგცეს ნადირობაში. — დალოცა მართამ და ნადავლი გამოართვა. მას ესიამოვნა, ტყვია რომ მიზანს არ აცდა და დასძინა:

— რა მარჯვე ხელი გქონია.

ასთანამ გაიღიმა.

მართა უცებ გამხიარულდა, თვითონვე უკვირდა, ასე უცებ რომ გაუშინაურდა ახლახან გაცნობილ ახალგაზრდას. მასთან ისე გრძნობდა თავს, როგორც საიმედოდ დაცულ ციხე-სიმაგრეში, სადაც არაფრის შიში არ გაგაჩნია.

და მართამ უცებ გარკვეით გაიგონა თავის სულის სიღრმიდან:

„— შენ ჩემი ხარ, ჩემი დაწინდული“. — მერე თავადვე შერცხვა ამ ფიქრისა და შინ წასასვლელად აჩქარდა.

— თუ ნებას მომცემ, მართა, ბინამდე მიგაცილებ. — თქვა ასთანამ და სავსე სურა აიღო.

— რას იფიქრებენ ჩემი ძმები, სუზარი და მაჯგა, ერთად რომ დაგვინახონ?! — უთხრა მართამ.

— დიდი ხანია შენი ძმების გაცნობა მინდა, გამიგონია რკინასავით ბიჭები არიანო, თურმე შიშის ზარს სცემენ ყველას. სიამოვნებით ვიძმაკაცებდი მათთან, ჭირშიაც და ლხინშიაც....

და ისინი ერთად წავიდნენ დიდი ფიჭვების ქვეშ განლაგებული ბინებისაკენ.

ამ ღირსსახსოვარ ზაფხულს ძმებმა წამოიყვანეს იგი სოიფსარაში დასასვენებლად და მთის სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. ამ დიდებულ ბუნებასა და რაინდი ძმების ხელში მისი სიმშვიდე თითქოს არაფერს არ უნდა დაერღვია, მაგრამ ასთანას შემთხვევით შეხვედრამ ძილი და სიმშვიდე დაუკარგა მართას. იმავე ტაფაში იწვოდა ასთანაც. ერთმანეთთან შეხვედრისა და საუბრის სურვილი მოსვენებას არ აძლევდათ. მართასთან შეხვედრისას ასთანა ბედს მადლობას სწირავდა. ხშირი სტუმარი იყო მართასი და მისი ძმებისა, დაუმეგობრდა მათ, ერთად დადიოდნენ სანადიროდ, სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

— ჭაბუკია, მაგრამ მარჯვეა ასთანა, დროა შევიზიაროთ ჩვენს ფათერაკებში, — თქვა ერთხელ სუზარმა, თავის თავს რომ აშკარა უპირატესობას აძლევდა.

— ჯერ კიდევ გამოვცადოთ, ნუ ავჩქარდებით, — შენიშნა მაჯგამ.

მაჯგა ოჯახში უხასიათობით გამოირჩეოდა. გულადი და შურიანი იყო, პატარა მიზეზი ჰყოფნიდა ასაფეთქებლად. თავიდანვე არ მოსწონდა ასთანა და თავის მეგობრობის ღირსად არ თვლიდა მას.

მართას ძალზე სწყინდა ეს ამბავი. უნდოდა, რომ საქმროს შინაურულად ეგრძნო თავი მათ შორის. მაგრამ ამაზე ხმის დაძვრას ვერ ბედავდა.

ასთანა მართასთან ხშირად ყოფნას ერიდებოდა. მას რაღაც შინაგანი ხმა აფრთხილებდა: საჭირო არ არის ძმებმა თქვენი სიყვარულის ამბავი იცოდნენო.

მაგრამ ხანდახან სურვილი სძლევდა და სხვადასხვა მიზეზით შეიჭრიდა ხოლმე მათთან. თუ იმასაც მოახერხებდა, რომ ორიოდე საალერსო სიტყვა ეთქვა ქალიშვილისათვის, მაშინ ის ბედნიერად თვლიდა თავს.

თანდათანობით, ასე თუ ისე, გაუშინაურდა ასთანა მათ ოჯახს, ხანდახან მართა ბანქოს ეთამაშებოდა, ან კიდევ ჩონგურს აიღებდა და სიმებს აკვნესებდა იმ ენაზე, მხოლოდ მათ რომ ესმოდათ.

ერთხელ ასთანამ მართას ავქაში გაუტეხა და სანაძლეო წააგო.

— ვალი ვალია, მაგრამ დაგარწმუნებ, რომ მე ღირსეული და პირიანი მოვალე ვარ! — მხიარული სიცილით უთხრა ასთანამ.

მაჯგას ყოველივე ეს აშფოთებდა, სიბრაზით სახე აელეწებოდა ხოლმე, ბოლო ხანებში თვალს არ აშორებდა ასთანას.

ასთანა დიდხანს აღარ გამოჩენილა. მას უნდოდა მართა განსაკუთრებული საჩუქრით გაეხარებინა, მაგრამ განზრახვას ვერ ახორციელებდა.

და აი ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ყველანი ისვენებდნენ და მხია-

რულობდნენ, ასთანა გამოჩნდა. მართას საჩუქრად ნუკრი მოუყვანა. გაკვირვებულნი და გამხიარულებულნი ზეზე წამოდგნენ.

— მუდამ ასე წარმატებით გევლოს! — ლოცავდნენ ყველანი და ფოთლებს ესროდნენ.

სიხარულისაგან დაბნეულმა მართამ აღარ იცოდა, რა ექნა, ქოხში წრიალებდა.

მაჯგამ შენიშნა დას, რა ცეცხლიც ეკიდა, და მიხვდა, რომ ასთანამ ნუკრი მას მოუყვანა.

— შენ, როგორც გატყობ, ჯიუტი სახედარივითა ხარ. რაკი ერთხელ შეტოპე, უკან გამოსვლა აღარ გინდა. იცოდე წინ ღრმაა და არ ჩაიხრჩო. შენისთანებზეა ნათქვამი: ვაი, ჩემო ტიკჭორაო, რა ცუდ რამეს მიჭორავო.

მაჯგას სიტყვაზე ვიღაცამ გაიცინა, უმეტესობამ კი წარბი შეკრა.

— რას ამბობ, მაჯგა!.. — შეჰკივლა მართამ.

— ეშმაკსაც წაუღიხარ, მაჯგა, — თავისთვის ბუზღუნებდა ალხასი, — სტუმარი შეურაცხყავ, მოშხამული ენა გაქვს. რქები არავის წაუმტვრევია შენთვის. ჯოჯოხეთით რომ დამემუქრონ, გული არ მომიბრუნდება შენზე.

მაჯგა მგელივით ეცა აკანკალებულ ნუკრს და გაუშვა. მართამ შეჰკივლა. ნუკრი ფიქვნარს შეერია. ასთანა დათმობაზე წავიდა, ყველაფერი უდრტვინველად აიტანა, ხუმრობით გააქარწყლა, ერთხანს კიდევ იჯდა, ერთი პაპიროსი მოსწია და მერე წავიდა. მართამ იფიქრა, იგი სამუდამოდ წავიდაო. ბრიყვმა მაჯგამ ჩემს ოცნებებს ფრთები შეაკვეცაო. ბევრი ცრემლი ღვარა მართამ ცხადად თუ მალულად, გული გადაირაზა და მთელი ზაფხული წარბი აღარ გაუხსნია.

ზაფხული მიიწურა, წავიდა ზაფხული მთელი თავისი სიმშვენიერით. წვიმიანი შემოდგომა სუსხიანმა ზამთარმა შეცვალა, ყინვა მძვინვარებდა დღედაღამ. მაჯგას და ასთანას შორის უფრო და უფრო მატულობდა მტრობა. „კეთილი ადამიანები“ ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და ბოლოს ერთმანეთს სულაც გაემიჯნენ, ერთმანეთზე გული გაიციეს. მაგრამ მართასა და ასთანას სიყვარული ძველებურად გიზგიზებდა. ორივეს გულში ღრმად გაედგა მას ფესვები.

ამაო იყო ძმების ცდა, გულიდან ამოეგდო მართას ასთანა, უფრო ღრმად, უფრო ბეჯითად ეკიდებოდა მის გულს ასთანას სიყვარული. ზეზეულად ჩამოხმა მართა, ცხვირი დაუგრძელდა და თვალები ჩაუღრმავდა. ხასიათიც შეეცვალა, ჭირვეული და გულჩათხრობილი გახდა.

და აი ერთ დღეს ასთანამ ხმა მოაწვდინა: რადაც არ უნდა დაგიჯდეს, უნდა შემხვდე, სულ ერთია სად და როდის. მინდა ერთხელ კიდევ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო.

და მიუხედავად იმისა, რომ ქარი მძვინვარებდა და თოვლიც დიდი

იყო, ასთანამ გადალახა პანაუ, გაიარა დუაბის ხევხუვები და პაემანზე გამოცხადდა. ბნელოდა. კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა.

— სად ხარ ასთანა? — თქვა მართამ და უცებ ასთანას მკლავებში მოექცა, მის ფართო მკერდს მიენდო.

— წამიყვანე შინ. მეტი აღარ შემიძლია. მომწყინდა მარტოობა ამ ქვეყანაზე. — ეხვეწებოდა მართა.

— მართა, ჩემო სიხარულო და იმედო! ვერ წარმოიდგენ, როგორ ვდარდობდი, როდემდის უნდა ესმოდეს ჩემს ყურებს, რომ შენი ძმები გამწარებენ ჩემი გულისათვის. მეტს ვეღარ მოვითმენ.

— წამოდი შინ, ასთანა. მე მარტო ვარ სახლში. სუზარი და მაჯგა ბაქანს წავიდნენ ქორწილში, ხვალ საღამომდე არ დაბრუნდებიან. მე მზად ვარ, სადაც გინდა, იქ წამოგყვები, ოღონდ მარტოს ნუ დამტოვებ.

სიბნელით ისარგებლეს და ისინი შეუმჩნევლად მიიპარნენ უკანა აივანთან.

გიზგიზებდა შუაცეცხლი, რცხილის შეშას სიმხურვალე დაეტრიალებინა ოთახში. ტირილით თვალებდასიებულმა ალხასის ცოლმა სლუკუნით მიიწია ცეცხლისკენ, თან ასთანას უსმენდა.

— ბავშვივით მომენდო: შენთან წამიყვანე, მარტოს ნუ დამტოვებო, სადაც გინდა, იქ წამოგყვებიო, მეუბნებოდა და მე, ამის გამგონეს, ცალკე სიხარულითა და ცალკე სინანულით გული მემდუღრებოდა. აჩქარდი-მეთქი, ვუთხარი. სიცილითა და ტირილით გადაიცვა მამაკაცის ტანსაცმელი, მერე განსვენებული დედის სურათი ჩაიხუტა მკერდში და მოსთქვამდა: „მშვიდობით, დედა, ჩემო თვალის ჩინო! შენი ალერსით არ გავმაძღარვარ. სიკვდილმა მალე წამართვა შენი თავი. მივდივარ, გავიკეტავ ცარიელი სახლის კარებს და წავალ. გემუდარები, ნუ მიდარდებ. ერთ მთიელს შევუყვარდი, მაპატიე ეს თავხედობა, მე უიმისოდ ვერ გავძლებ. ვიცი, ჩემი ძმები გაცოფდებიან, მაგრამ შენ თუ ეტყვი, მაპატიებენ, შენ დაგიჯერებენ. მე ბედით კმაყოფილი ვარ, კეთილ, ძლიერ კაცს მივანდე ჩემი თავი. ვიცი სიცოცხლეს არ დაიშურებს იგი ჩემთვის. ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებს. მე მის ხელში ვერც შიმშილი შემაშინებს, ვერც სიცივე. შენი საფლავის ჭირიმე, დედა, შენი სულის ჭირიმე, დაგვლოცე, გზა დაგვილოცე“.

ასთანა ერთხანს დადუმდა. რომელიღაც წერტილს მიშტერებოდა. მთლად შეცვლილიყო, ქუთუთოები ჩალურჯებოდა, გაფითრებულს ისეთი უძლური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სადაცაა სკამიდან გადმოვარდება და ცეცხლში წაეყუდებაო. სითბოსაგან მოთენთილს ძილი მორეოდა და სუსტი მიკნავლებული ხმით განაგრძობდა.

— ვფიქრობდი, პანაურზე გადასვლას მოვასწრებ, ვიდრე მართას ძმები დაბრუნდებიან-მეთქი. მით უფრო, იმ გზაზე ახლად გავლილი ვიყავი და არავითარი ფათერაკი არ დამხვედრია.

წასვლისას შიშობდა, მეზობლებმა არ შეგვამჩნიონო. მთელ ღამეს ისე მივდიოდით, დაღლა არ გვიგრძნია. გუშინ სამხრობისას გრანიტის კლდის ძირამდე მივაღწიეთ. იქ, მკერდამდე თოვლში ჩავვარდით. თითქოს მკათათვეაო, ისე აცხუნებდა მზე. გადავწყვიტეთ შეგვესვენა. როცა თოვლმა დნობა იწყო, ტინის კლდის თხემს ავყევით. ის იყო მწვერვალისათვის უნდა მიგვეღწია, რომ ამ დროს საშინელი გრიალი გაისმა, თითქოს ათასი ზარბაზანი ერთად გავარდაო. მეგონა კლდე ჩაინგრა-მეთქი. უზარმაზარი თოვლის ზვავი მოსწყდა და ჩვენკენ მოიწევდა. მართას შემზარავი კივილი ახლაც ყურებში მიდგას. მერე არ მახსოვს, რა მოხდა. ჰაერის ტალღამ აქეთ-იქით გადაგვყარა. კლდიდან მოშორებით, მდინარის შუა წელზე, ვეგდე თოვლში ჩაფლული და, როგორც კი გონს მოვედი, მაშინვე მართას დავუწყე ძებნა, ხმის ჩახრინწვამდე გავძახოდი, ვიდრე დაღამდებოდა. ერთი წამით გაიელვა ბედნიერების სხივმა და გაქრა, თაფლის სანთელივით გამიქრა ხელში. უბედურო, უმწიკვლო ბავშვო, ნეტავ შენ გეცოცხლა, განთიადისას მზის ამოსვლას შეგებებოდი, ცასა და მიწას შესცინებდი.

იგი დადუმდა, აღარ შეეძლო ხმამაღლა ლაპარაკი. ჭკუაზე იშლებოდა, როგორც კი გაახსენდებოდა, რომ მისი საყვარელი ქალიშვილი სადღაც თოვლის ქვეშ იწვა.

— რას მოვისვენებდი, თოფის სასხლეტისათვის რომ ხელი გამომეშალა! მაგრამ ამ საშინელი ამბის მომტანი ვინღა იქნებოდა. ბედმა— მდევარმა დამაკისრა ეს საზარელი მოციქულობა. ჩემო თვალის ჩინო, მართა, ჩემო სულის მალამოვ, უთხარი შენს ფეხმარდ ძმებს, რომ შენმა სიყვარულმა დამაბრმავა, მოადუნა ჩემი სიფხიზლე და დაგღუპე.

ასთანას სიტყვა ალხასმა შეაწყვეტინა:

— შენ ისევ აქა ხარ, შე მდუღარე კუპრში ჩასაგდებო!

ალხასს ფეხდაფეხ შემოჰყვნენ სუზარი და მაჯგა. გახევებული ასთანა თვალებდახუჭული იდგა. გუნებაში ფიქრობდა: „ყველაფერი ჩემი ბრალია, გემუდარებით, თუ თქვენს ძარღვებში კაცის სისხლი ჩქეფს, გამათავეთ და გაწმინდეთ ჩემი სული ცოდვებისაგან!“ იდგა ასთანა და მისი მეხსიერებიდან მოტივტივებდა უკანასკნელი დღეები.

როცა მან თვალები გაახილა, მის წინ მხოლოდ დაბნეული დიასახლისი იდგა.

— გაჰყევი მათ, უბედურო, გაჰყევი, რამ გამოგალენჩა? — აჩქარებდა დიასახლისი.

ასთანა მიხვდა, მართას ძმებმა რისთვისაც დაინდეს. ცოცხლად გატანჯული და გაუბედურებული სიკვდილის ღირსადაც აღარ ჩათვალეს.

„დაე, ჩემი სიცოცხლე განდეგილად გავატარო, თუკი ღმერთს ასე სურს“.

ასთანა აქეთ-იქით მიაწყდა ფაცხას, თვალები გადმოცვენაზე ჰქონ-

და. უცებ ხელი ხელს მაგრად შემოჰკრა, ჰომერული ხარხარი აუტყდა, მერე, კბილებაღრჭიალებული, თავით ეცა კარებს და ტყვიასავით გავარდა ეზოში.

— მართა!.. მართა!...

— შეიშალა, საწყალი! — ჩაილაპარაკა დიასახლისმა.

კვლავ ბარდნიდა. მთელი დაბა ფეხზე იდგა. გათენებისათვის არ დაუცდიათ, ყველა საძებნელად გაეშურა.

ანთებული შუშხუნები მძივებივით გაიფანტნენ სიბნელეში. გზას არ დაეძებდა ასთანა, მუხლებამდე თოვლს მიარღვევდა და მიბარბაცებდა შუშხუნების მბჟუტავი შუქისკენ.

დედამიწამ გაიღვიძა. გაზაფხულმა ააფერადა დაბა. ტყემლები თეთრად გადაიპენტნენ. აბიბინდა მწვანედ მოხასხასე ბალახი. აყღურტულდნენ ჩიტები და გუგულმაც დაიძახა. საგაზაფხულო სამუშაო გაუჩნდა სოფელს. გლეხებმა აახმიანეს მინდვრები და ბაღები.

მდინარის გაღმა-გამოღმა აღმართული მთები ამ გაზაფხულს უჩვეულოდ ადრე ამწვანდნენ და დამშვენდნენ.

გაზაფხულმა ბებერი ალხასიც გამოაცოცხლა. ჯოხის ბჯენით დაიარება და მზეზე ითბობს ბებერ ძვლებს, შეჰხარის ცას და ფიქრობს:

„რა უცნაურადაა ეს ქვეყანა მოწყობილი, სად მთები და სად ბარი. ხან ნათელი დღეა და ხანაც ბნელი ღამე“... სიბერის ჟამს ალხასს ასეთი ფიქრი ხშირად აღონებდა. მიაშტერდებოდა მთებს და გული სტკიოდა, რომ ადრინდებურად აღარ შეეძლო იქით, იმ მთებში ასვლა. მუდმივმა გაჭირვებამ და მძიმე შრომამ წელში მოხარა, ძალა გამოაცალა და მაინც მთების დანახვისას გული ახალგაზრდულად უცემდა.

ყმაწვილებსა და მოხუცებს მოზარდი საქონლის მოვლასღა მიანდობენ ხოლმე. ალხასი და მისი შვილიშვილი ხბოებს მწყემსავდნენ. ერთხელ ალხასმა შვილიშვილი ხბოებთან დატოვა, თვითონ კი მახლობელი ტყისკენ ფიჩხის მოსაჭრელად წახანხალდა. იქ ყარაზელების რაზმს გადაეყარა. ისვენებდნენ, დაბას გასცქეროდნენ და პანაუს წარსულზე ლაპარაკობდნენ. ალხასი საუბარში ჩაება და ყარაზელებს მართასა და ასთანას ამბავი მოუყვა.

— ზვავიდან ამოვიღეთ და მიწას მივაბარეთ, იქვე მახლობლად მდებარე პატარა ველზე. აი, იქ, სადაც განმარტოებული ფაცხა დგას.

ფაცხისაკენ გაიშვირა წალდი, რომლის ნიღრითაც უნებურად, ლაპარაკისას თხრიდა მიწას.

— იგი მთელ დაბას უყვარდა, — დასძინა ალხასმა. ყველა დუმდა, და დუმილი გაფოთლილ რცხილნარში შემალულმა ბულბულმა დაარღვია.

— უბედური, ნუთუ ეს იყო მისი ბედისწერა? ნუთუ ღმერთს ასე ნებავდა?..

ალხასი ერთხანს გულმოკლული იდგა, მერე ბიჭებს გადახედა და სახეზე მხიარულმა იერმა გადაჰკრა.

— ახლა სხვა დროა, სხვა ცხოვრება აქვთ ახალგაზრდობას. თქვენმა.მოსვლამ თვალები აგვიხილა და წყვდიადი გაფანტა... ის უბედურება არ დატრიალდებოდა, რომ მართას ძმებს ქედმაღლობა არ გამოეჩინათ. ისინი მდიდრები და დიდგვაროვანნი იყვნენ. სიძეობის ღირსად არ ჩათვალეს დალელი ჭაბუკი. უდიერად მოეპყრნენ მას. თუკი ქალიშვილსა და ჭაბუკს ერთმანეთი უყვართ, ხელი არ უნდა შეუშალო, ამას სიკეთე არ მოჰყვება.

ალხასმა ჩიბუხი მოსწია და თამბაქოს კვამლი ღრმად ჩაისუნთქა. იგი ცდილობდა, გულთან ახლოს არ მიეტანა მართას უბედურების ამბავი.

რაზმმა შეისვენა და გზა განაგრძო. ალხასს უნდოდა ფიჩხის ჭრა განეგრძო, მაგრამ ასთანა გაახსენდა და სიბრალულმა შეიპყრო.

— წავალ, ერთი ვნახავ, რასა იქს.. — გადაწყვიტა მან.

წალდის ბჯენით, ფრთხილად ჩაეშვა ხეობაში. ძირს ჩასულმა ნაბიჯს აუჩქარა, ახალუხის კალთების ფრიალით მხნედ გადაიარა დუაბის ხიდი და მოპირდაპირე ფერდობს აჰყვა. ფერდობი ძეძვითა და გვიმრით დაფარულიყო, ბუჩქნარში გავლისას ალხასს გაახსენდა, რომ დილდილობით ასთანა აქ აძოვებდა თავის თხებს, მაგრამ ამჟამად იქ არც ასთანა იყო და არც თხები ჩანდნენ.

რამდენს ეხვეწნენ ასთანას, დალში დაბრუნდიო, მაგრამ მართას სიკვდილის შემდეგ იგი აღარ დაბრუნებულა, გადაწყვიტა, სიცოცხლე მარტოობაში გაეტარებინა.

რამდენიმე ხანს ნაბადში გახვეული მართას საფლავზე ათევდა ღამეებს. ბოლოს თვით მართას მრისხანე ძმებმა შეიცოდეს იგი, ყველაფერი აპატიეს. მერე ასთანამ ფაცხა წამოდგა მართას საფლავთან და იმ ფაცხაში დაიდო ბინა. მივიწყებული, არავისთვის საჭირო ასთანა მართას საფლავს სდარაჯობდა, უვლიდა. წელიწადზე მეტია ალხასი არ ყოფილა მასთან და ახლა იქაურობამ გააკვირვა. ეზო მიტოვებული და გაპარტახებული იყო, პატარა გამჭვარტლული ფაცხა სევდიანად გამოიყურებოდა. მყუდროება სუფევდა ირგვლივ. ასთანას დარგული ვეება ცაცხვი წაქცეულიყო.

ასთანა ყოველ გაზაფხულზე ყვავილებს რგავდა მართას საფლავზე. ფრთხილად მიაბიჯებდა ალხასი საფლავისაკენ, იმედოვნებდა, ათანას იქ ვნახავო. ალხასს ახალი უცნაურობა ელოდა. ქვის ღობეები დანგრეული დახვდა, საფლავს თეთრი ქვები ჰქონდა შემორიგებული. მარ-

თას საფლავის გვერდით, გასუფთავებულ მოედანზე, ასთანა მეორე საფლავს ამზადებდა და თან რაღაცას ბუტბუტებდა.

ალხასმა ყური მიუგდო.

— რას შვრები, მართა? მე ქვებს ვალაგებ, შენ კიდევ აქეთ-იქით ჰყრი, რატომ მექცევი ასე, ნუთუ ცივი მიწაც არ გემეტება ჩემთვის, რატომ არ გინდა, რომ შენ გვერდით ვიყო?

ასთანა ბოდავდა, ეჩვენებოდა, რომ უწინდებურად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე მართა ასე ეუბნებოდა მას:

„მე არ შემიძლია ცივ მიწას მიგაბარო, ასთანა! რად გინდა ბნელი საფლავი? დაე, შორს იყოს შენგან სიკვდილი. შემიბრალე ასთანა, მე ყველას ჩამოვშორდი, არავის ვუნდივარ!“

— მე ხომ მიყვარხარ, მართა, ჩემო სიხარულო? აბა შემომხედე, მოიცა გავძღე შენი ცქერით. საყვარელო, შენ ისეთი გაფითრებული ხარ, თითქოს გამქვირვალე იყო. ეს რა, მოჩვენება ხომ არ არის? მოდი ახლოს. მე ძალზე იშვიათად გხედავ, შენც კარგად იცი. მე სულ მარტო ვარ, ლაპარაკსაც გადავეჩვიე.

და უცებ მას ესმის:

— მე აქა ვარ, შენ გვერდითა ვარ, ასთანა.. გესმის? სულ შენთან ვიქნები, მე შენ მიყვარხარ, ასთანა!

— ვუყვარვარ! — წამოიძახა ასთანამ — მეც მიყვარხარ, მართა, მეც...

ალხასი დიდხანს უთვალთვალებდა ასთანას, მერე წაიბუზღუნა:

— ეხ, ნეტავ შენს ცოდვაში რათა დგება ღმერთი? მადლი იყო, იმასთან ერთად დაღუპულიყავ.

ასთანა მიტრიალდა მდუმარედ, უკმაყოფილო მზერით უცქეროდა ალხასს. ბოლო ხანს იგი ხალხს გაურბოდა. ახლაც აშკარად ეტყობოდა, რომ ალხასის მოსვლით უკმაყოფილო იყო, მან ხომ საყვარელ ქალიშვილთან პაემანი ჩაუშალა. ერთხელ კიდევ მილასლასდა. მორი ვარცლივით იყო ამოჭრილი, ასთანა ჩაჯდა შიგ და იდაყვებით დაეყრდნო ნაპირებს.

დრომ და დარდმა თავისი გაიტანა: მის მშობლიურ მთებში გაზრდილი ურთხელივით მაგარი, მკერდგანიერი ასთანა მთლად ჩამოხმა და დაილია. ძონძებში გახვეულს, გულმკერდს თეთრი ხშირი წვერი უფარავს. ლანდს დაემსგავსა. მძიმე ქუთუთოებს ზანტად ამოძრავებს. სულით გატანჯული თავისსავე ფიქრებს დაუტყვევებია, მკაცრი, ნაღვლიანი თვალები ნიადაგ სივრცეში აქვს მიპყრობილი და ელანდება საბედისწერო ტანის თეთრი კლდე.

ყოველ ზამთარს იგი ტინის კლდის ძირთან, კარავში ატარებს. დილიდან საღამომდე კლდეს თვალს არ აშორებს, თითქოს ეს უსულო კლდე კი არა, თეთრ საქორწილო სამოსელში გამოწყობილი მართა

დგას მის წინაშეო. უკარებაა მკაცრი კლდე, თოვლის სამოსელი ვერცხლისფრად ბზინავს მზეზე, ულმობლად სჭრის უბედურს თვალებს. და უცებ ასთანას წარმოუდგება, რომ ის და მართა მხიარულად ხელიხელჩაჭიდებულნი დგანან ციცაბო ფერდობზე, მათკენ დიდი ზვავი მოექანება, და როგორც მაშინ, ახლაც ესმის შემაზრზენი კივილი. ასთანა კარვიდან გამოვარდება და მოუხმობს მას, მგელივით ყმუის:

— მართა!.. მართა!.. — და ეს საბრალო ყმუილი შორს ხევხუვებში იფანტება ექოდ.

1960

ალექსი ჯონუა

ალექსი ნესტორის ძე ჯონუა დაიბადა 1920 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში. სწავლობდა სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ა. ჯონუა დიდი სამამულო ომის ვეტერანია. მან მრავალი ლექსი მიუძღვნა სამამულო ომის თემას. მისი პოეზია გამთბარია ხალხის სიყვარულით, ღრმა პატრიოტიზმით და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მდიდარი თემატიკით.

ალექსი ჯონუას ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე.

მაჰაჯირის გამოთხოვება

ნუ დამძრახავ, უკვე გტოვებ, მშობლიურო მხარეო,
დედის რძეზე უფრო ტკბილად შენ მკვებავდი ბარად.
გემზე ვდგავარ ანძის ახლოს, დარდი ღვიძის მწარე
და ტირილით გეუბნები, გეთხოვები მარად,

ჩემს სიყვარულს და განზრახვას, ვით კაეშანს, გტოვებ,
შენს ნაპირზე ზღვა მრისხანებს და მღელვარე ქუში,
მუჭით მიწა წამოვიღე და ნუგეშად ვპოვე
და შენს ტრფობას სიკვდილამდე შევინახავ გულში.

უცხო მხარეს, უცხო კუბოს დააყრიან მიწას,
დავმშვიდდები მხოლოდ მაშინ სამუდამო ძილით.
ოდესმე შენც დაგიხსნიან, გაცოცხლდები წმინდა.
და სხივებო, თქვენც მაცნობეთ, რომ ამდგარხართ დილით.

ჩემს ძვლებს მარად ეხსომება, თუმც ამტვრევდნენ ჩქარა,
თუგინდ ფერფლად გადაიქცნენ ცივ სამარის შიგნით.
და თუ ნახა უცხო მგზავრმა ჩემი თავის ქალა,
იტყვის, ქალა სიდან არის, ან ვისია იგი,
ნუ იდარდებს, ჩემო ტურფავ, შენი გული ჩვილი.

ვერ დავფარავ, ოსმალეთში მე მივცურავ გემით.
ჩვენ ბევრნი ვართ მაჰაჯირნი, გვყავს ცოლ-შვილი წვრილი,
დარდი გვდევნის და ლტოლვილნი დარდიანი ვმღერით.

აფხაზეთო, გვაპატიე, ჩვენ გშორდებით დარდით,
ოდესმე ხომ გაბრწყინდება შენი მზე და ხედი.
შენ იხარებ, კეთილ გულით დამშვიდდები ლაღი.
და ჟამთა სვლას მოუყევი ჩვენი მწარე ბედი.

1939

აფხაზური სიმღერა თბილისზე

რისი სტუმარი, ნუ მეტყვით სტუმარს,
მოვდივარ, როგორც დედასთან შვილი,
მიმოვიხედავ ირგვლივ და... უმალ
ამიცისკროვნებს სახეს ღიმილი.

მკოცნის, მეხვევა და არ მეშვება
ეს თბილი ქარი, თბილისის ქარი,
ვგრძნობ, რომ სიამით მეალერსება
ზვირთდალოცვილი ჭაღარა მტკვარიც.

მე აფხაზი და სოხუმის მკვიდრი
დღითა და ღამით აქ ვარ ოცნებით,
მე საქართველოს ტრფიალით ვიწვი,
ვხარობ თბილისის ასხივოსნებით.

მაგრამ არ ვწუხვარ და არა ვნანობ,
არცა პოეტის სიმღერა ნაღვლობს,
რომ მეც არ ვცხოვრობ, ძვირფასო ძმანო,
ან რუსთაველზე, ან იქვე ახლოს.

რადგან თბილისის ძმა არის მრწემი
სოხუმი, მუდამ მზით დანამული,
სადაც დაირწა აკვანი ჩემი
და გავიგონე იავნანური.

როცა თბილისელს სოხუმში ვხედავ,
და ხეივნები ხვდებიან ტაშით,
სტუმარიაო, როგორ ვთქვა, ნეტავ,
ვამბობ, ძმა შედის საკუთარ ბაღში!

1948

მარულაზე

ვით მორევი ბობოქარი
მიაქანებს მხედარ ბავშვებს,
ცხენია თუ ქარიშხალი,
მხედრის გულს რომ ლხენით ავსებს.

„ჰაუ, ცხენო“, გამყივარი
ძახილია თუ სიმღერა,
წაბლისფერმა ცხენმა თავი
წინ წაჰყო და წაიყელა.

შრომით ისმის ჟღერა ნალთა
უნაგირიც მზეში ელავს,
ხედავს ციმციმს ნაპერწკალთა
და გრძნობს ფეხქვეშ ქვათა მსხვრევას.

თითქოს წყალში თევზი იყოს,
არ აკარებს მიწას ნალებს,
წაბლისფერი ცხენი მიჰქრის.
მიცურავს თუ მინარნარებს.

ის აჯობებს დანარჩენებს,
თამამია, ფიცხი, ჩქარი,
ის კოლექტივს გაუზრდია,
ცხენია თუ ქარიშხალი,
და მხედარი თუმც ნორჩია,
თამამია თვით მხედარიც.

1947

ᲫᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ

ტრიალებენ, ფუსფუსებენ —
ჩქარა, ჩქარა!
ჩქარა, ჩქარა!
ცოტა იქით მიიწიეთ,
აბა, შარა, შარა, შარა!
გუგუნებენ ურიები,
დაჰკარ, დაჰკარ,
დაჰკარ მარჯვედ,
გამურული მეცეცხლური
ლამით კბილებს გამოაჩენს!
იქით, აქეთ მიმოდიან,
ფუტკრებივით ირხევიან,
ცეცხლში ფოლადს რომ ადნობენ,
მკლავმაგარი გმირებია.
ტრიალებენ, ბუბუნებენ,
დაჰხარიან ლაღად დაზგებს,
აბა, წინ რა დაუდგებათ
ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს.
ფრთხილად, თვალი შეაჩვიე —
კვამლია თუ ნისლი ბოლავს!..
მართლა ხე კი არ გეგონოთ,
აქ ხესავით თლიან ფოლადს.
თვალებს ვეღარ დაუჯერებ,
ამღერდება გული ლაღად,
როცა ამას დაინახავ!
როცა ამას დაინახავ!
იგუგუნეთ ჭაბუკებო,
გაიხარეთ, გაიხარეთ,
შრომას, გარჯას დაგიფასებთ
მშობლიური თქვენი მხარე.
ცოტა იქით მიიწიე,
აბა, შარა, შარა, შარა!
დაზგა დაზგას გადასძახებს —
ჩქარა, ჩქარა!
ჩქარა, ჩქარა!

ალექსი ლასურია

ალექსი ედიგის ძე ლასურია დაიბადა 1927 წ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში. 1953 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი.

ა. ლასურიას ძირითადი წიგნებია: „გულის ხმა“, „მე და გაზაფხული“, „ჩემი სიმდიდრე“, „თანატოლთა მეგობრობა“, „რჩეული“ და სხვ.

ა. ლასურიას ლექსები ცალკე წიგნებად გამოცემულია თბილისსა და მოსკოვში.

ა. ლასურია ნაყოფიერად მუშაობდა პროზისა და დრამატურგიის ჟანრშიც.

გარდაიცვალა 1959 წ.

თავმდაბალი ადამიანი

ცხოვრების გზაზე მიდიოდა ჩუმი და დინჯი,
არ უკრთებოდა სიძნელეებს ცხოვრების გზაზე.
და უცებ, მარად უწყინარი და მორცხვი ბიჭი
მრისხანე ომში ჯარისკაცად წავიდა ასე.

და თუმცა მკერდზე დაეძგერა ავი ქარბუქი
და ლამის სისხლი გაეყინა თოვლით და თოშით, —
ჯარისკაცურად, შეუდრეკლად იდგა ჭაბუკი,
ერთგული ფიცის და მამულის ფრიალა დროშის.

ხან მიწვებოდა ერთი წამით გზა-შარის თხრილთან,
კვლავ წინ გარბოდა მოუღლელი, მოუდუნარი,
იყო მარჯვე და გამბედავი, ქედს არა ხრიდა,
არ წუწუნებდა, სალ კლდესავით იყო მდუმარი.

იტანდა ყველა გაჭირვებას, შიმშილს და წყურვილს,
არ დასცდენია გმინვა იმის დაშაშრულ ბაგეთ.
სიცოცხლისათვის თავდადებულს, მას მთელი სულით
სჯეროდა ჩვენი გამარჯვება, იბრძოდა აგრე.

ამიტომ ჭირი მხნედ აზიდა მან თავის წილი,
არ შეკრთომია გული ბრძოლის ქარცეცხლში მამაცს.
მშობელი ხალხის ღირსეული ის იყო შვილი,
თავის ოჯახის ერთგული და მზრუნველი მამა.

ის არ ეძებდა დიდებას და ორდენს ბრჭყვიალას,
ამიტომ კი არ მიატოვა მშობელი მთები,
ორდენზე მეტი მკერდზე აჩნდა ვაჟკაცს იარა,
როცა დაბრუნდა ის ომიდან გაშლილი მხრებით.

და ჰა, გამართა კვლავ გუთანი გლეხის ხელებმა,
სახნისმა ხნული გაიტანა კვლავ ძველებურად.
გადაავიწყდა ომის ყველა საშინელება
და იგრძნო მიწამ, რომ პატრონი დაბრუნებულა.

ღიმილი ოდნავ მორცხვი, მაგრამ ხალისიანი,
არ შორდებოდა იმის თვალებს და იმის ბაგეთ.
მოკრძალებული და მოძულე ყველა სიავის,
ასე ცხოვრობდა, იცხოვრებდა ამქვეყნად აგრე.

მაგრამ რას იზამ, წუთისოფელს აქვს წესი მკაცრი...
და ის წავიდა, მიატოვა თბილი კარავი.
გამოეთხოვა მზეს და ზეცას მშრომელი კაცი.
დათმო ამ ქვეყნის სიხარული და ჭირ-ვარამი.

გამოეთხოვა უსაყვარლეს კეთილებს, მოყვრებს,
მათთან ცხოვრებით გულგამთბარი რომ იყო მარად.
მოკვდა აფხაზი დედის შვილი, კეთილი მოყმე
და თავის შვილთა უანგარო, ერთგული მამა.

ერთ დილას ცრემლი დაედინა მამულ-დედულის,
ნატყვიარებზე ყვავილები გადავაფარეთ.
არ დაგვიცლია ქვემეხების ბათქი მხედრული,
შშობელ მიწაში იგი ისე დავასაფლავეთ.

დატოვა სახნავ-სათესები, ბაღი და ეზო,
ჯარისკაცური ტკივილები, თოვლი და წვიმა.
თითქოს დაუთმო სავალი გზა ახლა სხვა მეგზურს
და გადგა განზე, რომ მისი გზა განაგრძოს იმან.

და ძეგლებივით აღიმართნენ მაღალი მთები,
სალი კლდეები მფარველია მისი საფლავის,
და ჩვენ ვფიქრობდით: უკვდავებას შერჩება გზნებით
ამ მორიდებულ და თავმდაბალ კაცის ამბავი.

1955

ჩემი სიმდიდრე

მომიტევებდე, მკითხველო, ჩემო,
გულის საწადელს გვერდს ვერ ავუქცევ;
სხვა ჩემს ამბავზე რად შევაჩერო,
თვით გაგილექსავ წიგნის თავფურცელს.

ზოგი — თავკერძა, ქუდს არ მოგიხდის,
მამის სიმდიდრით, საქმით ტრაბახა,
თითქოს ვერ გამჩნევს,
ჩაგივლის რიხით...
შენ იმათ რიცხვში, ვიცი, არა ხარ.

...მამაჩემს შვილსაც ერჩია ცხენი,
მასზე ხმა დადის საოცარ ამბად.
ადრე მომკვდარა დედა მზრუნველი,
აკვანს ნიავი მირწევდა ალბათ.

არ დამხვედრია სიმდიდრე ძველი,
მე სიღარიბემ ბევრი მაწამა;
დავრჩი მშიერი და ფეხშიშველი,
მაგრამ კაეშნით კი არ დავმწვარვარ.

ყინულისაგან დამსკდარ ფეხებით
მივაბიჯებდი სკოლისკენ ქარში;
ვიყავი ჭირში გაუტეხელი,
სწავლაში — მუდამ ყოჩაღი ბავშვი.

თბილად ჩაცმულნი დარჩენილს ობლად
ჩუმი დაცინვით მივლიდნენ ახლოს.

ვდუმდი, გულშივე ვიკლავდი ბოღმას
და ვჩურჩულებდი: „დაიცათ, ვნახოთ!“

— ბედშავო ბავშვო, დაეხსენ სწავლას! —
მირჩევდნენ ზოგნი, სოფლის მკვიდრები, —
უსწავლელადაც გეყოფა ძალა,
თოხს შეეჩვევი და გამდიდრდები...

შინ მიჭრელებდა მე წვივებს ცეცხლი,
ბავშვს უდედმამოს და შავფიქრიანს,
ვჭრიდი პაპათა გამოზრდილ ხეხილს,
კერა კი მაინც არ ჩამიქრია.

ვფურცლავდი წიგნებს, ვუჯექი კერას,
გული სიცოცხლის ტალღებს მივანდე.
ჭვარტლიან ჭრაქთან ლექსების წერა
გამიტაცებდა ზოგჯერ დილამდე.

მახსოვს, სოხუმში ნათხოვარ შარვლით
ჩაველ, ვიხილე მისი დილის მზე...
ასე ვეწამე ბედშავი ბავშვი,
მძიმე ცხოვრების ვიწრო ბილიკზე.

რაღაცით მაინც ვგავარ მამაჩემს —
ვერც შვილს ვუნახავ სიმდიდრეს კაცი!
მაგრამ ვწერ ლექსებს, ვასწორებ, ვარჩევ,
ეს არის ჩემი ძვირფასი განძი.

ახლა ამ განძის ნაწილი ერთი
აქ გამოვფინე ლამაზი განცდით.
მკითხველო ჩემო, ვამაყობ შენით
და პატარა წიგნს თავაზით გაწვდი.

გაშალე წიგნი, მოკეთე თუ ხარ,
გაიზიარე აზრები ჩემი.
თუ ყველაფერი შენს გულს ვერ ვუთხარ,
შემდეგში მეთქვას სხვა დანარჩენი!

აი წინასწარ რაც მსურდა მეთქვა,
ჩემი სიმდიდრე მხოლოდ აქ არის.
მე მის შექმნაში თმა გამითეთრდა,
გახსენ კარები მცირე ბაღნარის!

1957

კირშალ ჩაჩხალია

კირშალ შაბილის ძე ჩაჩხალია დაიბადა 1918 წ. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშში. ლექსების ბეჭდვა 1937 წლიდან დაიწყო. კ. ჩაჩხალია ცნობილი პოეტი-სატირიკოსია. გამოცემული აქვს ლექსთა რამდენიმე წიგნი. გარდაიცვალა 1970 წ.

პოეტის ლექსები თარგმნილია რუსულ და ქართულ ენებზე.

ჩემი კერა

სოფელს ჩაუდის პატარა ღელე
და ღელის პირად დგას ჩემი სახლი,
ამ სახლში კერა ანთია ძველი
და ლურჯი კვამლი მიიწევს მაღლა.

გამურულ სხვენზე ჰკიდია ჯაჭვი
ძველი და გამძლე, როგორც ზღაპარი,
იგი წარსულზე ოცნებას მაჩვევს
და მახსენდება მე წინაპარი.

მშობლის ალერსით მათბობდა კერა,
აქ მიდიოდა ჩემი ბავშვობა,
არ გაუვლია იმ სითბოს ჯერაც,
დრომ იმ სიამეს ვერ დამაშორა.

ჩვენს კარ-მიდამოს აგნებდა უმალ
მგზავრი ქვეითი,
ანდა მხედარი,
ცეხლი ათბობდა გათოშილ სტუმარს,
თან მიჰყვებოდა სითბო ნეტარი.

ძვირფასი კერა დღედაღამ ენთო,
მეწამულ დროშად ფეთქავდა ალი.
ირგვლივ სითბოს და სინათლეს ჰფენდა,
ირგვლივ ყველაფერს მატებდა ხალისს.

კერასთან ეპოვეთ გზა და მიზანი,
აქ მივეჩვიეთ ჩვენ მტერთა ცნობას,
ავი და კარგი აქ შევიცანით,
აქ შევითვისეთ ნამდვილი ძმობა.

აქ მოსკოველი გვყავდა სტუმარი,
ის იჯდა დინჯად და მოკრძალებით,
ცეცხლს უყურებდა იგი მდუმარედ
და უელავდა ლურჯი თვალები.

იყო ხალისი და გატაცება, —
ბევრი გვიამბო, ვუამბეთ ბევრი,
კაცური კაცის პატივსაცემად
ჩვენ ორმოცი წლის მოვხადეთ ქვევრი...

ხშირად გვყოლია სტუმრად ქართველი,
მკვირცხლი ჩერქეზი; ჩვენ მათი გვჯერა,
მათგან გვესმოდა სიტყვა მართალი,
ალალი გულით ლოცავდნენ კერას.

წავიდნენ, სითბო წაიღეს მკერდით,
ჩვენ გვახარებდა მათი იერი,
არ დარჩენილა სტუმარი ერთიც,
არ ყოფილიყო ის მადლიერი.

ასე წარმტაცი არ იყავ მუდამ,
გახსოვს სიმწარე ნაღვლიან დღეთა,
ამაზე ფიქრი ჩემს გულსაც ხუთავს,
კერავ კეთილო, შენს წარსულს ეხედავ,

ვინც შეარყია სამყარო ძველი,
ზღვარი დაუდო ჩაგრულთ გოდებას,
იყო ლენინი — მსოფლიოს მხსნელი,
ქვეყნად აღგავა მან ბოროტება.

და მამაჩემმა — გლეხმა საწყალმა,
მომავლის გზები იხილა მაშინ,
ბრძოლის წადილმა ერთხანს აწვალა
და რაზმელებთან წავიდა მთაში.

ის გაზაფხულზე დაბრუნდა, მახსოვს,
არ დასცდენია დაქანცულს კვნესა,
თქვა: გაუთენდა დაჩაგრულ ხალხსო,
ბოლო მოეღო წამებას ჩვენსას.

მას შემდეგ კერა ანთია მძლავრად,
ანთია მუდამ, არასდროს ქრება,
კერასთან თბება ყოველი მგზავრი
და ისმის ფუძის ლოცვა და ქება.

მხოლოდ მან იცის აფხაზთა წესი,
ალალი გულით სტუმარს ვინც ელის
და როცა მისი ძახილი ესმის,
იტყვის: „მობრძანდი, ვარ მასპინძელი!“

1957

• • •

იდგა ორი ხე...
შეჰყურებდნენ ერთმანეთს რიდით,
იდგა ორი ხე...
შეჰყურებდნენ ერთმანეთს ნდომით...
სწვავდა ორივეს ერთად შეყრის სურვილი დიდი,
გვერდი-გვერდ, ახლოს, უმოძრაო ხე იდგა ორი...
იდგა ორი ხე...
ერთი ჰქონდათ ფიქრი და დარდი,
და ერთმანეთზე დარდობდნენ ხენი.
იდგა ორი ხე...
და ორივე ერთმანეთს ჰგავდა,

იტანჯებოდნენ ერთმანეთის შორიდან ცქერით...
დაჰბერა ქარმა...
და შეირხნენ, შეირხნენ ხენი,
დაჰბერა ქარმა...
და გვერდი-გვერდ ხე იდგა ორი;
იტანჯებოდნენ ერთმანეთის შორიდან ცქერით
და, ჰა, ერთმანეთს გადაეჭვდნენ კანკალით, თრთოლვით.
და დგანან ისევ...
შეჰყურებენ ერთმანეთს რიდით,
ერთმანეთს ჰგვანან ტანით და ფერით.
და დგანან ისევ...
დრო კი მიდის, მიდის და მიდის
და ქარს ელიან დუმილით ხენი.

1963

კონსტანტინე ლომია

კონსტანტინე შირინის ძე ლომია დაიბადა 1928 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და მწერალთა კავშირთან არსებული გორკის სახელობის მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტი. თანამშრომლობდა გაზეთ „აფსნი ყაფში"-ს რედაქციაში, იყო ჟურნალ „ალაშარას" რედკოლეგიის მდივანი, მუშაობდა ჟურნალ „აბცაბზ"-ის რედაქტორად. 1957 წლიდან დღემდე კ. ლომია მუშაობს აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივნად. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 40-იანი წლების მიწურულში. ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება მდიდარი და მრავალფეროვანია. კ. ლომიას მხატვრულმა შემოქმედებამ დიდი სიყვარული და აღიარება მოიპოვა ხალხში. მისი თხზულებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე.

მზის ასული

მე ლეგენდებს
მტვერს ვაცილებ,
მტვერს ვაცილებ ყველა არაკს.
ტოლებივით შეაწყვილეს
ლეგენდებმა „ჰო" და „არა".

შეაწყვილეს... ნათელს — მარადს
მოჰყვებიან წყვილად ასე:
ცხადს ზღაპარი ნათესავად
მუდამ ჰყავდა ქვეყანაზე.

დღეს ლეგენდა,
მზისკენ ლტოლვას
და გაფრენას გვიადვილებს,
რომ ერთმანეთს გაუტოლდეს
ლეგენდა და სინამდვილე.

ახლა მინდა,
აი, ამით
შესავალი დავასრულო
და მოგიხმო ერთი წამით,
შენ, ლეგენდავ აფხაზურო!

წამი რაა,
დროის წვეთი!
მაგრამ ისიც კმარა ჩემთვის,
რომ შეგავლო თვალი!..
მერე
შენ თვითონვე ამამღერებ.

აი, უკვე ვიწყებ წერას
და მგონია, მტვერს გაცილებ...
ვგრძნობ,
ლეგენდავ,
იცვლი პერანგს
და ჩემს სუნთქვას ინაწილებ.

*

იყო...
იყო ერთი სხივი...
იყო ერთი ქარვის მძივი...
„მე ქორი და შენ არწივი!..“

იყო ღამე ისე შავი,
როგორც ქვაბი შებოლილი.
ღამე
— თითქოს დროა ზავის,
რადგან ღამეს
მოაქვს ძილი.

ღამით თითქოს
სძინავს დროსაც,
თითქოს სძინავს
წუთებს, წამებს;
თითქოს სიზმრებს დაულოცა
ეს ქვეყანა წყნარმა ღამემ.

მაგრამ დრო კი
არ იძინებს,
ითვლის წუთებს,
როგორც მძივებს.

დრო — ეს სიტყვა
წუთში იტევს
ახალს იმდენს,
დიადს იმდენს,
უნებლიეთ
გიკვირს კიდეც,
ანდა
როგორ არ გიკვირდეს!

დახეთ,
ასი საუკუნის
დასათვლელად
წუთიც კმარა!..
წუთი ფიქრის,
წუთი ზრუნვის,
გამინათებს
გზას და შარას.

აი, ახლა
ერთი წამით
ფიქრს მივენდე უაღვიროს...
სად აღმოვჩნდი?! —
წინ მიწაა,
თუ ზღაპრეთი უნაპირო?!

„ზღაპრეთია!“ — როგორც ექო,
ლექსის ბწკარი აგუგუნდა. —
აქ წამოსვლას წუთი ეყო,
დაბრუნებას წუთი უნდა.

დაბრუნება რად ვიჩქარო?
მომწონს, მომწონს
ეს სამყარო!
აი, აქვე გავათენებ,
ვხედავ, ირგვლივ
სძინავთ თემებს...

ვხედავ, დილა აციაგდა,
შუქის სვეტი მთას მიადგა.

თეთრი ნისლის ბურუსიდან
ხეობები გამობრწყინდა,
ცა კრიალებს, როგორც მინა,
ქედმა მინდვრებს გაუცინა.

ტბაზე ნისლი გაიცრიცა,
გაეღვიძათ თევზებს ტბაში...
სხივმა ზვირთებს
ფერი მისცა
ლაჟვარდის და გარიჟრაჟის.

დღე მობრძანდა...
შესდგა დღე და
მიიხედა, მოიხედა.
და თქვა:
„ვეძებ ადამიანს,
ხალხი არ ჩანს!..
სად არიან?!“

სად არიან არც მე ვიცი,
მხოლოდ ვხედავ,
არ ჩანს არვინ!..
გაკვირვება არის ჩემი
ერთადერთი თანამგზავრი.

რომ ეცადო კიდეც ბევრი,
აქ ვერაფერს კითხავ ვერვის:
არც კაცი ჩანს ახლო-მახლო,
არც ეზო და სამოსახლო.

დღე კი რეკავს:
„სად არიან?!
ვეძებ,
ვეძებ ადამიანს!...“

დღე იძახის,
მზე იძახის:
„რატომ არ ჩანს
ირგვლივ ხალხი?!“
და ანაზდად დავინახე,
ბორცვის თავზე
სრასასახლე...
მივეახლე:
აივანზე არხეინად
სძინავს მეფეს.
ისე ხვრინავს,
ჩანს, ჰგონია
დილა ჯერაც...

ის ქონს ისე გაუბერავს,
გუდას მოჰგავს
ღვინით სავსეს.
სძინავს მეფეს აივანზე.

ალბათ, ფარსაგ
სიზმრებს ხედავს,
აღრჭიალებს კბილებს ძილში...
კრინტის დაძვრას
ვეღარ ბედავს
დიდ-პატარა მისი შიშით.

ფეხის ჩქამიც
არსად ისმის,
სსს! — ჩურჩული
ისმის მხოლოდ:
„გავაღვიძებთ?!
— ბოროტ ისრით
მოგვეღება ყველას ბოლო“.

ყველა ისე განაბულა,
ყველა ისე გატრუნულა,
მზემ იფიქრა:
„ამ მხარეში,
ჩანს, არ ცხოვრობს
ხალხი სულაც!“

მაგრამ უცებ გაეცინა,
როცა თვალი
მოჰკრა მძინარს:
„ამისთანა ძილისგუდას,
განა კაცი ერქვას უნდა?!

გაგონილა ამ დროს ძილი?!
ზედ ეტყობა, რომ სირცხვილი
მისთვის არის უცხო ხილი!“
და მნათობმა სხივთა შუბით
დაუსერა მეფეს შუბლი.
ტახტზე მწოლმა გაიღვიძა,
ტახტზე მწოლი რისხვად იქცა,
და რომ დაჰკრა
ბალიშს ხელი, —
მტვერისა და ბუმბლისაგან
ბუღი დადგა საშინელი.
აღრიალდა: „ხელის ხლება
ვინ თავხედმა გამიბედა?!“
ყმები შეკრთნენ,
შიშისაგან
დიდ-პატარას მოსდის ბნედა.

სრასასახლე, ყრუ ისედაც,
სულ დაყრუვდა...
შიშის ზაფრამ
აგერ, ძაღლიც დააფეთა,
გარბის, გარბის
ეძებს საფარს.
ყველამ იცის: აი, ახლა
ძაღლიც ვეღარ დაიყეფებს!..

მზე — შუქსავსე,
ბრწყინავს მაღლა,
სიცილს აყრის
ბოროტ მეფეს.

მზის სიცილი რამდენს ნიშნავს,
გაკილვაა, წყალობაცა!
მას გაიგებს, ვინაც იშვა
ქვეყანაზე ნამდვილ კაცად.
მაგრამ გულქვას,
ავს და ბოროტს,
იგი ბრაზს თუ
მოგვრის მხოლოდ

აბობოქრდა ავი მეფეც
და აფრქვევდა
დორბლის შხეფებს.
ნამალევად ჰქონდა ბოროტს
ჯადოსნური მშვილდ-ისარი,
ყველასათვის — შინ და გარეთ, —
რომ დაეცა შიშის ზარი.
ის ისარი მოიმარჯვა, —
დაუპირა მნათობს დასჯა.

თახ! — გაიღო
მშვილდის ლამბმა,
წამით სიოც გაინაბა...
ის გასროლა,
ელვის უმალ,
გადაიქცა შავბნელ ამბად.

მიფრინავდა ისარი,
მიფრინავდა ისარი...
ნიშნად გლოვა-ზარისა
ატყდა წივილ-კივილი;
ილეოდა სინათლე,
როგორც ტკბილი სიზმარი;
მოდიოდა სიბნელე,
როგორც ქვეყნის ტკივილი.

ხმელეთს ზურგი აქცია
მოკაკაკაში ბნათობმა, —
მიწას ძვირად დაუჯდა
თავხედობა ავკაცის...
თითქოს იქცა ვეშაპად
ბნელი უსამართლობა
და სიცოცხლე ერთბაშად
დარჩა შავბნელ ალყაში.

ხალხის ტალღა აზვირთდა, —
ეს აზვირთდა სინდისი,
იარაღი საბრძოლო
იყო გასაფერევი...
მაგრამ მეფეს აღუურვილს
ჯადოსნური მშვილდ-ისრით
ჯერაც ვერ უბედავდა
ხელის ხლებას ვერავინ.

ჯერაც გმირი არ ჩანდა,
წინამძღოლი არ ჩანდა.
ბობოქრობდა ხალხი და
გამოსავალს ეძებდა...
მზის კაშკაშა სინათლე
მოგონებად დარჩა და
ერგოთ, როგორც სასჯელი,
ბნელში თვალის ცეცება.

ზეცას შავი ღრუბლები
ყაბალახად ეხურა,
უკუნს სუსხიც დაერთო
ვით სიავე ახალი.
ქვეყნად მხოლოდ იმედი
დარჩა მზის ნაფეხურად,
სულ პატარა იმედი,
გულით შესანახავი.

მდინარენი თანდათან
მოიფიცრა ყინულით,
ყინულების ბორკილში
ჩაიშედნენ წყარონი.

ქარში კვნესდა მთა-ბარი
თოვლით გადაზვინული...
დროც გაჩერდა,
დაირღვა
ჟამთა დენის კანონი.

როცა უბედურებამ
ხალხი ერთად შეყარა,
შინ და გარეთ სიკვდილმა
მოიქნია ცელი და...
უპატრონო ცხედრებით
ივსებოდა ქვეყანა,
მიწას თესლი სიცოცხლის
ეცლებოდა ხელიდან.

ჩხაოდნენ და ღნაოდნენ
შარაგზაზე მხეცები,
ხის ტოტები ყინულის
ლოლუებმა დაფარა.
აყვავებულ ბაღთაგან
ვერ გადარჩა ვერც ერთი.
დრო გავიდა... ხელმწიფეს
თოვლი ექცა საფლავად.

გაქრა მეფე ბოროტი,
მაგრამ მეფის სანაცვლოდ,
ახლა ქვეყნად მეფობდა
ღამე, თოში და ქარი.
ხალხის რისხვა სუსხშიაც
არ ქრებოდა არასდროს
და რისხვაში რაღაცა
იყო ღველფის მაგვარი.

(ხალხს გამოუჩნდება წინამძღოლი — ახრა (აფხაზურად კლდეს ნიშნავს). ახრა მიდის მზის დასაბრუნებლად. იგი გზად შეებრძოლება წყალვარდნილს, ფრიალო კლდეს, ქარბუქს და მზისკენ მიიწევს.)

ფეთქავს სტროფი,
როგორც მაჯა
და ბწკარებთან
დავრჩე მინდა...

ჩემი გმირის
შარა-გზა ჩანს
ლეგენდების ფანჯრებიდან:
ჰა, ქვეყანა
— მზის სამკვიდრო,
შორეული და განთქმული:
გადმოსცქერის
მთებს და მინდვრებს
მზის მეუღლე — გაზაფხული.
გაზაფხულმა დაინახა,
რომ მზისაკენ მოდის ახრა:

„ეს მამაცი მიწის შვილი
ჩანს, არ არის გამოცდილი;
ჩანს, უმტყუნა ჭაბუკს ალღომ, —
მზე ჰგონია, არის ახლოს!“
მზეს მიეღო აბაზანა,
სახე ჰქონდა გაოფლილი.
ჯერ ვარსკვლავთა
წასვლა ბრძანა,
შემდეგ ბრძანა
მოსვლა დილის.

*

დავუძახე მნათობს:
— მზეო, ჩემი ახრა,
აგერ შენსკენ მოდის,
ერთ წამს ნურსად წახვალ!

გაეღიმა მნათობს:
„მისთვის წამი დაეთმო?
ახრა რაა ჩემთვის? —
მხოლოდ ზღვაში წვეთი!

ასე ხეტიალის
ნება რად მიეცი?
ახლოს არ გეგონოს
თაღი ლურჯი ზეცის!

მე ვარ მზე
        და თანაც
საპატარძლოს მამაც!“
        — საპატარძლოს მამავ,
ახრასთანა მამაცს
ვერ იპოვი სიძედ,
ძალაც მოგდგამს, სიბრძნეც!

მზე სიცილით კვდება,
სიტყვას არც კი მაცლის:
„რად ახსენე ერთად
ვარსკვლავი და კაცი?!“

...მზე არ მისმენს სულაც;
დახეთ, სად მოვსულვარ? —

აქ დრო არის სულ სხვა,
საუკუნე სულ სხვა,
ძველი ადათ-რწმენა
დარჩენილა სუსხად!

— მზეო, როგორ გკადრო,
ჩვენთანაა სხვა დრო!

სირცხვილისგან იქნებ
წამოწითლდე კიდეც,
როცა გეტყვი:
        ვწვდებით
ვარსკვლავეთის კიდეს!

მაგრამ აქ კი, ვხედავ,
მე ვარ ახალბედა;
შენთან საუბარში
ვინ მიშველის ნეტავ?

შუაგზაზე ვრჩები:
        — რა ვუშველო ჩემს გმირს?
და ჰა, გაჩნდა თვალწინ
ელეჩრწვერება კაცი!

ვიცან, —
    იგი გვერდით
ახლდა ყველა ზღაპარს!
    და მივმართე მოხუცს:
მომეშველე, პაპა!

მზემ ასული თვისი
    ვარსკვლავს დაუწინდა!
ის ასული ჩემს გმირს
    მივათხოვო მინდა!..
მომეშველე, პაპა!

და მოხუცმა ხელად
    ამ ლეგენდის პწკარი
შემოაღო ისე,
        როგორც სახლის კარი.

დადის, ოხრავს, კვნესის,
            ფეხით თელავს რითმებს,
თელავს სტროფებს,
            მაგრამ
ყოველივეს ვითმენ...

ლეგენდაში
            პაპამ,
თვალი მოჰკრა ახრას
და მოასწრო გმირმაც
მის წინ თავის დახრა...
ეს ეამა მოხუცს:
„შვილო, ზრდილი ჩანხარ!

მსურს, მოგმართო რჩევით:
აიხედე ზევით;
ამ ვარსკვლავებს ხედავ? —
სცადო, ვეღარ დათვლი!
მთვარეს ხედავ? —
            მთვარე
არის მწყემსი მათი!

ვარსკვლავები ჩანან
ყველგან, ფარა-ფარა
ლაქვარდებში დინჯად
მიიკვლევენ შარას.

მაგრამ მათგან ერთი
ძვირფასია მეტად:
ცას მოწყდება ღამით,
ძირს წამოვა კენტად,

და იხილავს კაცი
გასაოცარ სურათს;
ის იქცევა თვალწინ
ზღაპრულ ბედაურად.

შეხედავ და რას ნახავ, —
გიშერს უგავს ფაფარი!
თვალები აქვს ვარსკვლავის...
მუხლი — მაგართ-მაგარი,
გაფრინდება,
ვერ აკრთობს
მეხი, წვიმა და ქარი...
იტყვი: არსად მინახავს
ბედაური ამგვარი!

მან არ იცის, რა არის
აღვირი და მათრახი,
ვეღარ გაეკარება
გულში შიშის ნასახიც.

იგი ირმის ნახტომის
შორიახლო ბალახობს.
მხოლოდ მას შეუძლია,
მზის ქალაქი განახოს.

არავისთან წამოგცდეს!
რაც ამჟამად გითხარი!
ხვალ კი ფეხზე იყავი,
ვიდრე მოვა ცისკარი.

ის ზღაპრული ქურანი
ყუბანშია ამჟამად,
შენც გასწიე იქითკენ,
ჰა, გაბარებ ავშარას!

ის
  თუმც შესახედავად
სულ უბრალო ცხენია,
ამ ავშარას რომ ნახავს,
გიცნობს, როგორც ჩემიანს.

ოღონდ ერთიც გახსოვდეს:
რაში გლოვობს დედამისს
და მის თვალში რომ გახდე
ღირსეული მხედარი,

ისე, როგორც მეგობარს
უნდა მიუსამძიმრო!
ქუდის მოხდაც იქნება
უსათუოდ საჭირო...“

— პაპავ, დიდი მადლობა;
ვხედავ, ვრცელი გზა მიცდის!..
ოღონდ პატივისცემა
როგორ გიზღოთ, არ ვიცი!

და მოხუცის ღიმილში
ჯადომ გამოაშუქა:
„შვილო,
  არ ვთხოვ არავის
საზღაურს და საჩუქარს.

ადამის ძე
  — მიწის ძე,
მიწაზედაც, ცაშიაც,
თუ იმარჯვებს, — საჩუქრად
აი, ეს მიმაჩნია!“

(ზღაპრული ბედაურის დახმარებით ახრა შეხვდება მზეს).

*

რიბირაბო იყო ჯერაც,
მოქათქათე
ნისლის პერანგს
წეწდა სუნთქვა ნიავქარის.
იღებოდა ზეცის კარი,
მზეს ელოდა
ტკბილ იმედად
ზეცაც,
მიწაც,
გუთნისდედაც!
და ჰა, ღრუბლის აივანზე
მზეც გადმოდგა
შუქით სავსე.
დაიბანა ხელი, პირი...
და შენიშნა
ჩემი გმირი.

გაუღიმა:
„ახრავ, გიცან!
ყოჩაღ მართლა, დედამიწამ —
ვარსკვლავეთის გასაოცრად,
რომ ასეთი ძალა მოგცა!
სტუმარი ხარ ღირსეული,
მომეწონე,
ვამბობ გულით.

არ მეგონა, თუკი ასე
იყავ ზღაპრულ ძალით სავსე,
თორემ ზეცის მობინადრედ
მიგიჩნევდი უფრო ადრეც.

დღეს კი,
ასე ითხოვს საქმე;
ჩაგწერ ზეცის მოქალაქედ.

მამაც მთიელს ამ ოჯახის
სტუმრად გთვლი და
გიღებ კარებს.

მითხრეს: თურმე
    შენი ხალხი
სიბნელეში გმინავს მწარედ.
შევცდი მაშინ;
        ბრაზი, წყენა,
რომ ვაქციე განაჩენად!
მაგრამ გწამდეს,
    ნანატრ დილას
დაგიბრუნებ ათასწილად!

მყავს ასული
    ერთადერთი, —
ვარსკვლავია
        ვარსკვლავეთის!
მინდა იგი
    მოგათხოვო,
თუ მეუღლეც
    დამრთავს ნებას.
ის ასული
    კოშკში ცხოვრობს,
წადი, ახლა
    შინ იქნება.

დოქი თხოვე,
    გამოგიტანს
და ის დოქი ცარიელი,
შუადღისას
ეზოს კართან
მომიტანე შენი ხელით.
მე აგივსებ
    იმ დოქს ზღაპრულს:
შიგ შუქს ჩავღვრი
    და გაზაფხულს!
შემდეგ, სადაც
    თავად გინდა,
შუქს დოქიდან
    გადაღვრი და
გაზაფხული მწვანე აფრებს
შენს გარშემო მიმოაფენს“.

ჩემი გმირი გაოცებამ
დაამუნჯა ერთხანს მართლაც.
შემდეგ დოქის მისაღებად
კოშკისაკენ გაემართა.

მაგრამ დოქი ახსოვს განა?
მღელვარებამ აიტანა;
დოქის ნაცვლად ელანდება
მზის ასული ალვისტანა.

უცნაური მოლანდება
არ შორდება არსად გზაზე...
მაგრამ თითქოს ფოლადდება
ფეხის ყოველ გადადგმაზე.

პირმშო მზის და გაზაფხულის,
ეგულება სადღაც ახლოს,
სიზმარშიაც არნახული,
სიცხადეში უნდა ნახოს...

ბროლის კიბე აიარა,
გამოაღო ბროლის კარი.
და რას ხედავს: შუქ-არილში
დგას ქალწული მზის სადარი.
„ღმერთო ჩემოს“ დაძახებაც
ვერ გაბედა,
დარჩა სახტად;
მოსულს დოქის წასაღებად,
ელდა დახვდა!

აქ არ კმარა განცვიფრება,
მოწიწებით თავის დახრა:
— ხორციელი არ იქნება
ასე ნაზი! — ფიქრობს ახრა.

ოცნებაა, სიზმარია
გარდაქმნილი ქალიშვილად!
უმზერ, მზერა გიხარია
თუ გაუძლო თვალის ჩინმა.

დაგაბრმავოს იქნებ ეშხით! —
დგას ასული მაგიდასთან.
ბრწყინავს
ბროლის ლარნაკებში
ყვავილები დასტა-დასტა.
— რახანია შენ ერთს გელი!"...
და მოხვია ჭაბუკს ხელი;

თითქოს სხიეი
მარჯნით სავსე
მოაფრქვია მუჭა-მუჭა
და სიცხისგან ვაჟის თავზე
თმა ერთბაშად დახუჭუჭდა

*

და ითვლიდა იგი
შვიდი დღე და ღამე,
ნეტარებით სავსე
წუთებსა და წამებს.
დღეს მეშვიდეს ციდან
ბრუნდებოდა ახრა,
მთვარე ახლდა მდადედ
ვარსკვლავები მაყრად.

მოდიოდა ვაჟი
ფრთაფარფატა რაშით,
ჟინჟღილებად ენთო
ვარსკვლავები გზაში.

მაყრიონის უკან
მოდიოდა მზე და
ნაქეიფარ სტუმრებს
შუქნათელში ხვევდა.

და მეუღლე მისი —
გაზაფხული — ჯიღა,
ასულსა და სიძეს
ულოცავდა იღბალს.

შვიდი დღე და ღამე
    არ ეძინა არვის,
დაიქანცა ყველა
    მისი თანამგზავრი.

დღე გათენდა მერვე,
    მაყრიონი მაშინ
შეჩერდა და ხომლად
    გაირინდა ცაში.
არაქათი მეტი
    აღარც მთვარეს ჰქონდა,
მოერია ძილი,
მთაში გადაგორდა.

*

ზამთარია გარშემო,
    ახრა უკვე შინ არის;
გმინვა ესმის თოვლის ქვეშ
    გაყინული მდინარის.

აი, გახსნა შულდაკი,
    ამოიღო დოქი და...
როგორც ლურჯი ფრინველი
    გაზაფხული მოფრინდა.

„მიწავ, ჩემო მშობელო,
ისე, როგორც ნობათი,
მზის ნათელი მოგართვი,
    გაზაფხული მოგართვი!“
აი, მთა-ბარს შორდება
    თეთრი თოვლის ჭაღარა,
აგუგუნდა ხევდახევ
    ჩანჩქერების ნაღარა...
სიხარულის ცრემლებად
        ზეცამ ცვარი დაღვარა.
მღვრიე ზვირთთა ჭენებით
        წყაროები ათასი

აბნევს ლალს და მარგალიტს
დედამიწის კალთაში...
ბატონობა დასრულდა
სუსხისა და უკუნის.
მოსკდნენ, ზღვისკენ დაიძრნენ
მდინარენი გუგუნით.

ზღვა დაათრო სიამით
მდინარეთა ლაშქარმა,
ქაფიანი ზვირთები
ასაფრენად გაშალა.

*

მოზეიმე ხალხის ტევა
აღარაა ირგვლივ;
მზის ასულს და
ჭაბუკ ახრას
ულოცავენ გვირგვინს.

ბედნიერი მზეა,
ბედნიერი დილა...
იდღეგრძელოს მარად
ბედნიერმა წყვილმა!

და მკითხველი, ალბათ,
უკვე ელის წერტილს,
დამაცადეთ, ბარემ
ერთ რამესაც გეტყვით:
ცა გვიგზავნის
ვით მანანას
წვიმასა და ცვარ-ნამს,
ის ახარებს
ბაღს თუ ყანას...
ის წყალია განა?
ის წვეთები
მზის ცრემლია,
მზე ასულზე დარდობს,
ის ცრემლები იქცევიან
ბაღნარების საზრდოდ...

მზის მხურვალე ლოყებიდან
ჩამოღვენთილ წვეთებს,
მიწის ძალავ, მოჰყვები და
მზესთან შეგვაერთებ!

ზღვის ნაპირას
    მიდგას სახლი
და მზის ცრემლი
    ძარღვში მერთვის.
ტალღა კლდეზე
მკერდს რომ ახლის,
მღერის მთელი ირგვლივეთი.

ტალღა მღერის აფხაზურად, —
ჩემს გულს ლექსიც უკარნახა...
მე ზღაპრეთში
    გახლდით სტუმრად
და ვბრუნდები უკან ახლა.

ვამბობ,
    იყო ერთი სხივი,
იყო ერთი ქარვის მძივი...
„მე ქორი და შენ არწივი!..“

1960

გიორგი გუბლია

გიორგი კონსტანტინეს ძე გუბლია დაიბადა გუდაუთის რაიონის სოფელ უულანურ-სვაში 1928 წელს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში აფხაზური ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ.

ამჟამად მუშაობს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში. იგი დიმიტრი გულიას სახელობის პრემიის ლაურეატია.

გ. გუბლიას ნაწარმოებები გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე.

ნახვამდის, უნივერსიტეტო!

შენს ფართო ფრთებზე ხუთ წელს ვიზარდე
და განშორება ძალიან მიჭირს,
შენ მიმიყვანე ნათელ მიზნამდე
მე, ზღვისპირელი აფხაზი ბიჭი.

დღეს ჩავაბარე ბოლო გამოცდა,
ნუთუ ყოველი მორჩა, დასრულდა?..
ო, მაპატიე, თუკი წამომცდა
სიტყვები, რაიც მე თვით არ მსურდა.

მოველ... ვერ გეტყვი რატომ, რა მრჯიდა,
ანდა რა აზრი ამეკვიატა.

შუქი ილვრება მაღალ ფანჯრიდან
და ნათელსა ჰფენს სუფთა იატაკს.

ნაცნობი ბაღი. ფიქრზე მინდობილს
არ ძალმიძს შენს წინ უცრემლოდ შევდგე,
ო, როგორა ვთქვა სიტყვა — „მშვიდობით!“
როგორ დაგტოვო ხუთი წლის შემდეგ.

აი, აქ შევხვდი ძვირფას მეგობრებს,
სუყველას გვქონდა საერთო ბედი,
კარგად ვსწავლობდით, და არ გეგონოთ
სასიხარულო არ გვქონდა მეტი.

ჩვენ ერთად ვჭამდით, გვეძინა ერთად,
თუ ერთსა ჰქონდა, ჰქონდა სუყველას,
გნებავთ სიცელქეც გარდასულ დღეთა
გადაინახეს წლებმა უკლებლად...

მასწავლებლებო, სალამი თქვენდა,
თქვენი ნიჭის წინ ახლა მუხლს ვიდრეკ,
და როგორც მამამ,
და როგორც დედამ,
გაგვხადეთ თქვენი ცოდნის მემკვიდრე.

მე ძლიერ მინდა... ო, სურვილს ენდე,
რომ ხუთი წელი ვისწავლო კიდევ,
შენს ბაღში ვიჯდე ლექციის შემდეგ,
ყვავილთა მზერა სიამეს მგვრიდეს...

ჩემნაირები ბევრი გიზრდია,
ჩვენით სულ მუდამ უკმაყოფილოვ...
ახალგაზრდები სოფლად მიდიან,
რომ ხალხში ცოდნის თესლი მოჰფინონ.

ამხანაგებო, თქვენს რიგში ვდგები,
დავშორდი სიბრძნის ამ ტაძრის კედლებს!
ამბორის ღირსი არა ვარ, დედი,
ჯერ სამაგისო რა გავაკეთე!

1954

ორი ვაზის ბედი

(ბალადა)

წარსულის ამბებს მოხუცი ჰყვება:
— ცეცხლი ეკიდა მშობლიურ მხარეს...
„უფალი ჩვენზე ასე რად წყრება?“ —
მაჰაჯირები მოთქვამდნენ მწარედ.

ცეცხლი ეკიდა მთებსა და მინდვრებს,
ცამ შავი კვამლი ჩაიცვა თალხად.
თურქი ხონთქარი ამ მიწის მკვიდრებს
ერეკებოდა შავი ზღვის გაღმა.

და იყო ჟამი ნგრევის, კვეთების,
სისხლით გაწითლდა შავი ზღვის ტალღაც.
მიტომ შემორჩა ცრემლის წვეთები
ამბავს, რომელსაც გიამბობთ ახლა.

*

ერთი ლამაზი მაღლობი იყო,
მაღლობზე წყვილი ხარობდა ვაზი.
წყვილმა ცვარ-ნამიც ძმურად გაიყო,
ძმობაში ჰპოვა სიცოცხლის აზრი.

წყვილმა მზის თასიც ძმურად გაიყო,
ბევრჯერ მოისხა მტევნები ქარვის.
ვაზების ენა შრიალი იყო,
შრიალი — მიწის სიმღერა არის.

მაგრამ გათენდა ერთი დღე შავი,
იყო გრიგალი, წვიმაც და სეტყვაც;
თითქოს სატანამ აიშვა თავი,
ერცახუს ელვის ქამარი ერტყა.

და წყვილი ვაზი, ქარიშხალს ვერაგს,
ძლივსღა უძლებდა, წყდებოდა წელში...
ცრემლმა ჩააქრო ქობლუხის კერა;
ყველგან ცრემლები, — არსად ნუგეში.

უნდა დატოვოს მშობელი მხარე!
წინ რა მოელის შორეულ გზაზე?!
როცა გრიგალი მოთქვამდა მწარედ.
მიუახლოვდა ქობლუხი ვაზებს.

ვაზთაგან ერთი, ვით სახსოვარი,
უცხო მხარეში წაიღოს უნდა!
სამგლოვიაროდ გუგუნებს ქარი,
კვამლის ქულები მოჰყვება გუნდად.

წყვილი ვაზი ქარში ტირის,
წყვილი ვაზი ქარში ღელავს,
თითქოს ქვეყნის გასაჭირი
ვაზმა იგრძნო სულ პირველად.

ჩაფრენია მიწას ფესვით,
ეურჩება გრიგალს ბოროტს.
ძირს გართხმული თითქოს კვნესის,
უნდა, მიწას ეამბოროს.

თუმც უთრთოდა ქობლუხს ხელი,
ჩაეჭიდა ვაზს და მაშინ
საკვირველზე საკვირველი
ძალა იგრძნო ორთავ მკლავში.

და ეგონა, თვით მაღლობიც
დაარწია აკვანივით...
და ეჭირა ვაზი, როგორც
ბალღი ხელში აყვანილი.

შეუხვია ფესვი ფრთხილად,
ვაზით ხელში გაჰყვა ბილიკს...
ვაზს მაღლობი თვლიდა შვილად,
გამოსტაცეს მაღლობს შვილი.

ნაფესვარი, ვით იარა
მაღლობს შერჩა... აი, ახლაც,
იმ ტკივილის გამოძახილს
ვაზის ცრემლში დაინახავ.

•

ზღვა ნაპირებს ტალღებს ახლის,
დგას ქობლუხი და რას ხედავს:
მიწას კოცნის მისი ხალხი,
მიწას კოცნის, როგორც დედა.

ეს ამბორი მაჰაჯირის
მაღალ მთებსაც დარდით დახრის.
უთვალავი დედა ტირის, —
მშობელ მიწას ტოვებს ხალხი.

ხომალდები ზღვაში დგანან
და ცრემლები შავ ზღვას ერთვის...
იმედივით აიტანა
მან ხომალდზე ვაზი ერთი.

ვაზი — ფრთხილად შეხვეული,
თითქოს ბედის მოზიარე...
და აჯერებს ქობლუხს გული, —
თუმცა ტოვებს მშობელ მხარეს.

სადაც მიხვალ, იქაც ვაზებს
მოაშენებ მტრის ჯინაზე!

•

მაგრამ შავი ზღვა ისე გაცხარდა,
ისე აქუხდა ღამეში, ქარში,
რომ საშინელი სიზმარი ცხადად
ქობლუხმა ნახა პირველად მაშინ.

უიმედობამ თავზარი დასცა, —
სტიქიაც გახდა ბედკრულთა მტერი.
რამდენმა მოძმემ, ნაპირის ნაცვლად
იხილა მხოლოდ შავი ზღვის ფსკერი.

•

ხომალდი მიდის, ხომალდი მიდის,
მაგრამ ნაპირს კი მიაღწევს როდის?
აი, შიშივით მინელდა ბინდი
და იმედივით რიჟრაჟი მოდის.

აი, ნაპირიც გამოჩნდა უკვე,
შიშველი თავი ასწია ბორცვმა.
შავი ზღვა ნისლის საკმეველს უკმევს
მაჰაჯირების ცრემლიან ლოცვას...

მაგრამ „ედემად“ ხრიოკი დახვდათ,
სხვა დანაპირიც არარა ჩანდა.
გვალვას ქვიშნარი დაედგა ტახტად,
სტვენა დაიწყო სიკვდილის ლანდმა.

•

სხვებს მოჰქონდათ მუჭა მიწა,
მან კი ვაზიც წამოიღო.
ნერგმა თითქოს გაიღვიძა,
მანამ თითქოს ძილში იყო.

შეფუთულმა იწყო კვნესა:
— მინდა ჩემი მიწა-წყალი! —
უცხოეთის მზეში ვერსად
ვერ შევნიშნე შუქის კვალიც...

და ქობლუხი აწრიალდა,
ვაზს უპოვა სამოსახლო.
მაგრამ უცხო მიწის კალთამ
ნერგი მალე ჩამოახმო.

— გასახმობად წამოიღე?
რად მიანდე თავი ბნელეთს...
გული გატყდა, როგორც ციხე, —
სინანულით გაამრთელებ?!

•

ვაზი მოკვდაო! — სიტყვა გავარდა,
ქობლუხი ცრემლებს აფრქვევდა ცხარეს...
თითქოსდა ვაზი იყო თავადაც
მოშორებული მშობლიურ მხარეს.

ვაზის სიკვდილი წარღვნას ნიშნავდა, —
ქობლუხს იმედად ვაზი მიჰქონდა...
ირგვლივ ბრუნავდა ქარში ქვიშა და
უიმედობის ზღვად ბობოქრობდა.

*

ვაზი, რომელსაც ძმა მოაშორეს, —
დარდით იმ დღიდან გაშავდა სწორედ!

იწყება ასე, თავდება ასე
სიტყვა, რომელიც იწამა ხალხმა:
— დიდხანს იგლოვა დაკარგულ ძმაზე
და ოჯალეში შავია ახლა!

1958

ალექსი გოგუა

ალექსი გოგუა დაიბადა 1932 წელს სოფელ გუფში, ოჩამჩირის რაიონში.

1960 წელს დაამთავრა გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი მოსკოვში. იბეჭდება 1948 წლიდან. 1958 წელს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოაქვეყნა მისი მოთხრობების წიგნი — „მდინარე ზღვისკენ მიიჩქარის“, შემდეგ გამოვიდა მეორე კრებული „რატომ იზრდება ბალახი“ და რომანი „შარავანდი“. 1960 წელს გამომცემლობა „მალადაია გვარდიამ“ გამოსცა ა. გოგუას მოთხრობები რუსულ ენაზე.

ქართველი მკითხველისათვის ცნობილია ა. გოგუას მოთხრობების კრებული „თეთრი ცხენი“.

თეთრი ცხენი

სოფლის გასადევარზე ხეხილის ბაღში წაბლის დაბალი სახლი მოჩანს. ეზოს გარს უელის ვაზის ლერწისაგან შეკრული ღობე, მთიდან დაქანებული პატარა მდინარე ზედ ჭიშკართან ჩაუდის კარ-მიდამოს.

მწვანეში ჩაფლული სახლის ფანჯრები ცეცხლივით გიზგიზებენ დაისის მზეზე. მთიდან მხოლოდ გამოხუნებული ფიქალი სახურავის დანახვა შეიძლება.

პარმაღის სვეტებზე ჯეირნებისა და ბებერი ჯიხვების ვეება, თითქოს საგანგებოდ დაგრეხილი რქები ჰკიდია, წაბლის ფიცრებს ჟამთასვლაში ქარვისფერი დასდებია და ახლა ასე გეგონება, კედლებში მზის სინათლე ჩამდგარაო.

დღე არ გაივლის, იმ სახლში ვინმე მგზავრმა არ შეუხვიოს. სტუმ-

რისათვის იქ ყოველთვის მოიძებნება ყველი და ჭადი, ღვინო და ალერსიანი სიტყვა; მერე სტუმარს ჭიშკრამდე მიაცილებენ და გზას დაულოცავენ.

„ბედნიერი ოჯახია!“ — ფიქრობს მადლიერი მგზავრი, მიდის და მიაქვს სიკეთით სავსე გული.

მაგრამ ხალხი ტყუილად როდი ამბობს: სხვამ რა იცის, ჩემს გულს რა ეკალი სჩხვლეტსო!

...ომამდე არსანა ახუბას ბადალი არა ჰყავდა სოფელში, როგორც მოჯირითეს. შავი, ბრიალა თვალები, კეხიანი ცხვირი და კოხტად დაყენებული ულვაში მარილს მატებდა ისედაც წარმოსადეგ არსანას.

არც ერთი მარუსა ისე არ ჩაივლიდა, რომ მისი ცხენი პირველი არ მისულიყო ცხრამუხასთან, სადაც სარბენი მანძილი მთავრდებოდა.

— ერთი უყურეთ არსანა ახუბას, ხანი ვერ მოერია! — ამბობდნენ აპრილის ტყემლებივით გათეთრებული ბერიკაცები.

არსანას ვაჟი ახრა ნამდვილი ასლი იყო მამისა, მასავით ახოვანი და მხრებგაშლილი. ხასიათიც მისი ჰქონდა. როდესაც მამა-შვილი საზაფხულო იალაღებზე საქონელს გარეკავდნენ, უცნობ მწყემსებს ისინი ღვიძლი ძმები ეგონათ.

განთქმული მონადირე და მოჯირითე არსანა ახუბა ხშირად იტყოდა ხოლმე: ახრა ერთ რამეში მაინც მჯობნის, წიგნი ისწავლა და კოლმეურნეობის ბეითალი გახდაო.

დაიწყო ომი. მამა-შვილი ფრონტზე ერთად წავიდნენ, მაგრამ შინ მარტო არსანა დაბრუნდა.

შეაღამისას, როდესაც ოჯახში ქალები დაიძინებდნენ, არსანა შვილის საწოლთან მივიდოდა და მის ბალიშში თავს ჩარგავდა. ტიროდა? არა, მისი ტირილი არავის გაუგონია... მერე წამოდგებოდა, ახრას ქამარ-ხანჯალს დახედავდა, შვილის ბოხოხს გულში ჩაიხუტებდა და ჩუმად იტყოდა:

— ახრა, დად! რატომ შენ გაყრია გულზე ომის შავი მიწა და არა მე? მე ჩემი კალო უკვე გავლეწე, შენ კი ახლა იწყებდი ცხოვრებას, შვილო! ახრა, დად!

წვიმდა, შემოდგომისაგან შეყვითლებული ხეები, როგორც ბეღურები ავდარში, გზის პირას აბურძგვნილნი იდგნენ და ნელა ირხეოდნენ. არსანა ახუბა და მისი ცოლი ხიფაფი შუაცეცხლთან ისხდნენ. დროდადრო თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებდნენ ერთმანეთს.

თეთრად აქაფებული წვერ-ულვაში დარდისაგან დაღმეჯილ ბაგეს უმალავდა არსანას. ცოლისაკენ არ იხედებოდა, მისი გული ვეღარ უძლებდა ხიფაფის ჩაღამებულ თვალებს. გარეგნულად ცოლ-ქმარი დამშვიდებული ჩანდა, აუჩქარებლად საუბრობდნენ ოჯახურ წვრილმა-

ნებზე, მაგრამ ორივეს გულში ახლა ერთი და იგივე ცეცხლი ტრიალებდა, ერთსა და იმავე ფიქრებს წაეღო მაოი გულისყური.

„ბებერ თხმელებზე შავი იზაბელა უკვე დამწიფდა, ვეება მტევნებიმკრეფელს ეძახიან, ახრა, დად!“

არსანა თვალებზე ხელს იფარებს, იქნებ როგორმე თავიდან მოიშოროს ეს მოლანდება.

— ახრა, დად! — იძახიან თხმელიდან შავი მტევნები... საქორწილო თასებს ღვინო სწყურიათ.

გასცქერის არსანა ჯიხვების დაგრეხილ რქებს და მოგონებების ბურანში ეხვევა. ერთხელ მამა-შვილი სანადიროდ წავიდნენ მთაში.

გათენებისას ჯეირნებს წააწყდნენ. არსანამ ბოხოხს ბეწვი ამოაცალა და ჰაერში გაუშვა, ნიავის მიმართულება რომ გაეგო. ბეწვმა თავზე გადაუარა არსანას. ახრა თამამად წავიდა ჯეირნებისაკენ და კლდეს მოეფარა.

არსანა განაბული ელოდა, მაგრამ შვილის თოფის ხმა იგვიანებდა. „შეიძლება თოფმა უმტყუნა“ — გაიფიქრა მამამ, რომ უეცრად ახრა საფარიდან გამოვიდა და ხმამაღლა დაუსტვინა.

ჯეირნები თვალის დახამხამებაში ადგილიდან მოსწყდნენ და კლდეებში მიიმალნენ.

არსანა სახტად დარჩა.

— რა მოხდა, ბიჭო! — ჰკითხა ახრას.

— ოჯახი იყო, მამავ! დედალს უკვე სავსე ჰქონდა ჯიქანი, მუცელი ისე ჩამოწეოდა, საცაა მოიგებს. მშვიდად სძოვდა, მამალი კი შორიახლო იდგა და ჰაერს ყნოსავდა. ვერ ვესროლე, — თავი იმართლა ახრამ.

არსანამ მხოლოდ ჩაიცინა.

— ამათაც იციან, შვილო, სიყვარული!

... წვიმა გადაიღო, ზღვიდან წამოსულმა ქარმა ღრუბელი გაჰფანტა, მზემ გამოიხედა.

არსანას შინ გული არ დაუდგა. კედლიდან აღვირი ჩამოიღო და ცოლს უთხრა:

— წავალ, თეთრას მოვძებნი... — ეზოდან რომ გავიდა, ცოტა ხანს ბოგირთან შეჩერდა. ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო.

ფოთლებიდან ბრჭყვიალა წვეთები ცვიოდნენ.

გზაზე დამდგარ გუბეებს ჭავლი უვლიდა. წვიმამ თვალში გამოახედა შემოდგომის პირს მიმჭკნარი ბალახი.

არსანამ მდინარისაკენ გაუხვია. ხეობიდან ყრუ გუგუნი ისმოდა, — ეტყობოდა, მდინარე მოდიდებულიყო.

...ის თეთრი ცხენი ახრამ გამოზარდა.

იმ საღამოს, როდესაც ისინი ომში მიდიოდნენ, თეთრა დიდი კაკ-

ლის ძირში ბალახობდა. ახრამ კვიცს კისერზე ხელები მოხვია და მის თავს ლოყა მიადო. მერე შუბლზე აკოცა და წავიდა.

კვიცმა ჭიხვინი დაადევნა.

იმ დღის შემდეგ თეთრა არავის იკარებდა. გატყიურდა, ხშირად მთელი კვირა მინდორ-ველად დაშლიგინობდა და როდესაც სახლს მოაკითხავდა, კაკლის ძირში მივიდოდა და დიდხანს ყნოსავდა იმ ადგილს, სადაც ცხენი და პატრონი ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

— ახრა, დად! — ამოიკვნესებდა უბედური დედის გული და თეთრას კისერზე მოეფერებოდა.

ერთხელ ხიფაფმა შეამჩნია, თეთრას ფაფარი ვიღაცას საგანგებოდ დაეწნა.

— ნეტავ ვინ შეიჩვია ცხენი! — გაუკვირდა ხიფაფს. ცხენი გულმოდგინედ შეათვალიერა, მაგრამ მის ზურგზე უნაგირის კვალიც ვერ იპოვა.

„ალბათ ტყეში ეშმაკებმა თუ დაუწნეს, — გაიფიქრა ხიფაფიმ, — აკი ამბობენ, ეშმაკებს ცხენის ფაფართან თამაში უყვართო“.

— ცუდი ამბავია!

— კარგი, ქალო! ცხენმა ლაპარაკი არ იცის, ჩვენ კიდევ არაფერი არ დაგვინახავს! ცუდი რატომ უნდა იფიქრო! — ამშვიდებდა არსანა ელდანაცემ ცოლს.

დაბერდა თეთრი ცხენი. კისერზე ნაკეცები დააყარა, მაგრამ ჯერ კიდევ ტოლს არავის დაუდებდა.

...არსანა ფონში გავიდა და მიიხედ-მოიხედა. მის წინ გაშლილი ჭალა იყო. ხელმარცხნივ წიფლნარი მოჩანდა. ჭალის ბოლოში მეტყევის ოდა იდგა.

მეტყევეს შინას ეძახდნენ. წყნარი, გულჩახვეული კაცი იყო შინა, რაც უნდა გაჭირვებოდა, იშვიათად თუ ვისმეს შეაწუხებდა.

ისმოდა შაშვების ჭახჭახი, ნაწვიმარზე ბალახი ისე ბრწყინავდა, თითქოს ზედ ალმასის საყურეები ეკიდა. ჰაერი სუფთა იყო და წკრიალა.

უეცრად არსანამ ტყის პირას თეთრა დაინახა. შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს ცოცხალი ცხენი კი არა, ვერცხლის ქანდაკება იდგა.

არსანამ შუბლზე ხელისგული მოიჩრდილა, ტყისპირს დააკვირდა. ეს ვინ არის, ცხენის კისერს რომ ეხვევა, ნუთუ ხიფაფი მართალია? არა, თვალი არ ატყუებს არსანას. მან კარგად გაარჩია — ცხენის დახრილ თავთან პატარა ბიჭი იდგა და თეთრას უშიშრად ეხვეოდა.

„პირდაპირ სასწაულია, ჩემი თეთრა ხბოსავით თვინიერი გამხდარა!“

არსანა აჩქარდა. ფეხის ხმაზე ცხენმა ყურები სცქვიტა და თავი მოაბრუნა, მაგრამ პატრონი იცნო და უმალვე დაწყნარდა.

ბიჭი დაფრთხა, შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი გადაიწია და მოახლოებულ არსანას ალმაცერად გადახედა.

— ვისი ხარ, დად? — ჰკითხა არსანამ.

— ცხენი არ წამართვა! — ბიჭმა ცრემლი ჩუმად გადაყლაპა და ჯიუტად დაუმატა: — ეს ჩემი ცხენია.

—კარგი, დად, შენი იყოს, არ გართმევ, — გაუცინა არსანამ და თავზე ხელი გადაუსვა.

ბიჭუნას გული მიეცა.

— დიდი რომ გავიზრდები, ჯირითში ყველას ვაჯობებ, — თქვა მან.

— ყოჩაღი ბიჭი ხარ, გეტყობა, — არსანამ ბავშვის წინ ჩაიმუხლა და მხარზე ხელი მოხვია.

— ვისი შვილი ხარ, დად?

— შინასი.

— ამ ცხენის არ გეშინია, ბიჭო, ასე ახლო რომ მისულხარ! რომ დაგამარცხოს?

— არა, ძალიან წყნარია, — მკვირცხლად მიუგო ბიჭუნამ და ისე თამამად შეხედა თვალებში არსანას, რომ ეტყობოდა, წელანდელი შიში სრულიად გაჰქრობოდა.

— შენ თუ გეშინია, მე დაგიჭერ ცხენს! მე და ჩემი დედა ყოველდღე მოვდივართ მასთან და სიმინდს ვაჭმევთ, დედასაც ძალიან უყვარს ეს ცხენი. იცი, რას მეუბნება? დიდი რო გახდები, შენ ამ თეთრ ცხენზე უნდა შეჯდე და ყველას უნდა გაუსწრო ჯირითშიო.

მოხუც არსანას კარგად ახსოვს შინას მეუღლე. ახრა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც იგი ყველაზე ლამაზ და სანატრელ პატარძლად ითვლებოდა ახლომახლო სოფლებში.

— კიდევ რას გეუბნება, ბიჭო, დედაშენი?

— რასა და... ეს თეთრი ცხენი ერთს ძალიან გულად კაცს უყვარდაო! ჯირითში ის მუდამ პირველი იყოო... მე, იცი, რა ვუთხარი! მალე გავიზრდები და მეც იმასავით გულადი ვიქნები-მეთქი! დედამ მაკოცა, მერე დაჯდა და ტირილი დაიწყო! მე არ მიტირია...

არსანამ ცხენს შეხედა და უეცრად თვალწინ დაუდგა მივიწყებული სურათი: შებინდებისას ახრა თეთრას შეკაზმავდა და მეზობელ სოფელს მიაშურებდა... სად მიდიოდა? ალბათ ამ ლამაზ გოგოს შეხვდებოდა სადმე გზის პირას, ალვის ხეებთან.

არსანა ხედავს, როგორ ეფერება მათი ხელები თეთრას ღონიერ კისერს და ამ ფერებაში ქალ-ვაჟი თითქოს ერთმანეთს ეალერსება.

დაიწყო ომი და ახრა სოფელს გამოეთხოვა. ობლად დარჩენილი ცხენი უთუოდ ხშირად მიაკითხავდა ნაცნობ ადგილს. მას იქ დახვდებოდა თვალცრემლიანი ქალი, თავს თავზე მიადებდა თეთრას და ვინ იცის, რომელი რომელს ანუგეშებდა.

— შემსვი ცხენზე, — უთხრა ბიჭუნამ და არსანას ლოყაზე ხელი მოუცაცუნა.

მოხუცმა ბავშვს ხელი მოხვია და თეთრას ზურგზე შეასკუპა. ოდესღაც არსანამ ასევე შესვა ცხენზე თავისი პატარა ახრა. შესვა და დალოცა, კარგი ცხენოსანი და მოჯირითე დამდგარიყო.

ცხენი დაიძრა. მოხუცმა ბიჭუნას მკლავზე ხელი მოჰკიდა და გვერდით გაჰყვა. უცქერდა მის გაბრწყინებულ პირისახეს და მოხუცის თავში ტკბილმწარე ფიქრები ირეოდნენ.

ცოტაზე გაიარეს, გაისეირნეს, მერე ბიჭი ცხენიდან ჩამოხტა.

— შინ უნდა წავიდე, დედა მელოდება, — და უეცრად დიდი კაცივით ჰკითხა: — ეს ცხენი შენია?

— ჩემია, დად. რად მეკითხები?

ბიჭი ერთხანს ჩუმად იდგა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა, მერე არსანას მორცხვად გაუღიმა და სთხოვა:

— იცი რა? თეთრას ნუ დაბამ, მოვიდეს ჩვენთან, თორემ დედა იტირებს.

— კარგი, დად, არ დავაბამ, გინდა სულ გაჩუქებ, დიდი რომ გაიზრდები ათარჩეის ხელს დაავლებ და უნაგირზე შეფრინდები.

არსანას ხმა უკანკალებდა.

— ათარჩეი რა არის? — ჰკითხა ბიჭმა.

— ათარჩეი? როგორ გითხრა... ჯირითის დაწყებამდე ერთ-ერთი ცხენოსანი რაიმე ნიშანს — ათარჩეის, მაგალითად, თამბაქოს ქისას ხელში დაიჭერს და ცხენს გააქროლებს. დანარჩენები უკან გამოუდგებიან, ცდილობენ ათარჩეი წაართვან. ბიჭობა ის არის, ნიშანი ბოლომდე მიიტანო! გაიგე?

— გავიგე, — თავი დაუქნია ბიჭმა. — მე ვერავინ წამართმევს ათარჩეის.

— რა გქვია, დად?

ამ დროს ჭალიდან ძახილი მოისმა:

— ახრა-ა-ა!

— ახრა? შენ ახრა გქვია? — ჰკითხა ელდანაცემმა არსანამ.

— ახრა, — დაუდასტურა პატარამ, — უნდა წავიდე, დედა მეძახის.

— წადი, დად, — არსანამ პატარას ლოყაზე აკოცა და ზურგზე ხელი წაპკრა. — წადი, თორემ დედა ძებნას დაგიწყებს.

— ახრა-ა-ა!—ისევ მოისმა ჭალიდან.

— მოვდივარ! — გასძახა ბიჭმა.

— არ დამივიწყო, დად! გესმის? მოდი ჩემთან.

— მოვალ, — სიტყვა მისცა ახრამ და ჭალისაკენ მოუსვა.

არსანამ დიდხანს უცქირა მიმავალ ბიჭუნას. მერე უეცრად მოეჩვენა, რომ იგი, არსანა, ვითომ ახალგაზრდაა და აგერ, ბალახებში მისი

შვილი, პატარა ახრა მიცუნცულებს. საიდანღაც შორიდან ქალის ხმა ისმის, შვილს ეძახის! ღმერთო ჩემო, რამდენი ალერსია ამ ძახილში, ამ ერთ სიტყვაში: — „ახრა“.

მირბის ბიჭუნა მზისაგან გახასხასებულ მინდორზე, მიიჩქარის, თითქოს უნდა მზესთან მიირბინოს და ხელები მოხვიოს, როგორც წელან ცხენის კისერს ეხვეოდა.

მინდორში ჩანჩქერივით თეთრი ცხენი დგას და ნელი ჭიხვინით მიაცილებს თავის პატარა პატრონს.

არსანა ახუბას სახლიდან წასული სტუმარი სანამ სერს გადაივლიდეს, მაღლიდან გადმოხედავს მასპინძლის კარ-მიდამოს.

მოაგონდება იმ სახლში მიღებული პატივისცემა, ორი ტკბილი მოხუცი და პატარა ბიჭი, რომელსაც ოდესღაც განთქმული მოჯირითე არსანა ახუბა ცხენზე ჯდომას ასწავლის.

1955—1959

თაკარის თვალები

ცხელი ზაფხულია. დედამიწა პირდაპირ იხრუკება უსაშველო პაპანაქებაში. გათენდა თუ არა, ცხელი მზის სხივები ჯერ მთის მწვერვალებს წაეკიდება, მერე დაბლა ჩამოყვება და ჭალაში ისეთ ბუღს დააყენებს, კაცს სული ვერ მოუთქვამს.

საღამოს კი, როცა დაღლილი ოჯახები ვახშმად სხდებიან, მოწმენდილ ცაზე ამოდის დიდი წითელი მთვარე და, ასე მგონია, ისიც მზესავით ცხელია და ულმობელი...

სიცხემ ტვინი ამიდუღა, მაგრამ მე მაინც არ ვეძებ ჩრდილს. მივყვები ბილიკს. ხანდახან კიდეც მივრბივარ. მთლად შემოვიარე ჩვენი კოლმეურნეობის ყანები, ბაღჩა-ბოსტნები. სოფლის თავზე რომ ბორცვებია, იქაც ვიყავი, ხევშიც ჩავიხედე, სად არ ვეძებე ის სამგლეები, მაგრამ ვერსად მივაკვლიე...

სად არიან ისინი?

ისინი — ეს ჩემი თხებია, ჩემი მოსამწყემსი მრევლი, ჩემი ალქაჯები. ამ წუთში რომ აგერ არიან, მეორე წუთში კაცმა არ იცის, სად გაქრებიან.

დავიღალე, მუხლი მეკეცება, სიცხისაგან ამომწვარ თვალებს ცრემლი მისველებს.

„ერთი თქვენი ტყავი გამახმობია მზეზე და მეტი არაფერი მინდა“! — უნდა დავწყევლო ჩემი მტანჯველები, მაგრამ როგორ დავწყევლო, როცა დედის ძუძუს მერე ამათი რძე გვზრდიდა და სულს გვიდგამდა.

სად ჯანდაბაში წავიდე? ფარაში მარტო ჩვენი თხები ხომ არაა! შუაღღისას სოფელში უნდა ჩავრეკო, რომ პატრონებმა გამოწველონ და შეჭამანდი გაიკეთონ... უკვე აღარ ვიცი, სად ვეძებო. თმის ბეწვები ხომ არ არიან, რომ ასე უკვალოდ გაქრნენ.

უეცრად შორიდან ძაღლის ყეფა მომესმა. იპოვე, ჩემო თაკარ, ჩემო საყვარელო ძაღლო? ორი ძაღლის სიცოცხლე მიეცეს დედაშენს, ასეთი ჭკვიანი რომ გაგაჩინა.

ვინა სთქვა დავიღალეო? ვინ სთქვა, წელან ნური სტიროდაო? ცრემლიც შემაშრა, დაღლილობაც სადღაც გაჰქრა. იმ წუთშივე თხმელაზე ავძვერი და იმ მხარეს გავიხედე, საიდანაც ყეფა მოისმოდა. აგერ ჩემი ლამაზი თაკარი ფარას ხან აქედან შემოურბენს, ხან იქიდან, რომ თხები ერთად შეაქუჩოს და ჩემსკენ გამორეკოს.

იმ წელიწადს მესამე კლასი დავამთავრე და სექტემბერს აღარ მოვუცადე, —ყველა ახალ რვეულს დიდი მონდომებით წავაწერე „მე-4 კლასის მოსწავლე...“

საზაფხულოდ რომ დაგვითხოვდნენ, დედაჩემი თხის ფარას ჩამაბარებდა. ჩვენ მხოლოდ ექვსი სული თხა გვყავდა, დანარჩენი მეზობლებისა იყო. პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა, თხები არ მიჯერებდნენ. ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, ისე დადიოდა, ზოგი ფერდობზე ავარდებოდა, ზოგი კი ააღერებდა თავს და ბაღ-ბოსტანს მიაშურებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი ენა ყველას გავაგებინე, სხვადასხვა ოჯახებში გაზრდილი თხები ერთმანეთს შევაჩვიე და ერთად სიარული ვასწავლე.

ხანდახან რომელიმე მეზობელი გასამრჯელოდ ციკანს მაჩუქებდა ციკანს დედაჩემი გაყიდდა და იმ ფულით ხალათ-შარვალსა და სასწავლო წიგნებს მომიტანდა.

მამა ომში დამეღუპა. მე ის არ მახსოვდა, მხოლოდ გამეგონა, მამაშენი სიუარნა ყველაზე მაღალი კაცი იყოო სოფელში. ამიტომ ზოგიერთი ენაჭარტალა დედაკაცი დამინახავდა თუ არა, ფარისეელური წუწუნით იტყოდა, ნეტა ვის დაემსგავსა ეს ბიჭი, ასეთი თითისხელა?! ერთხელ რომ დააჩნდა მიწას, მერე აღარ გაიზარდაო.

ეს სიტყვები გულს მიკლავდა და მე ის ქალები დღესაც ჭირივით მეზარება.

ომი რომ დაიწყო, ჩემი მშობლები ახალი დაქორწინებულნი იყვნენ. ოჯახის გამართვა ვერ მოასწრეს. ახლა დედაჩემი ბევრს მუშაობდა, კოლექტივიც გვეხმარებოდა, ცხოვრება მაინც გვიჭირდა. ამ თხებით ვითქვამდით სულს.

ფარას მარტოდმარტო მე დავდევდი. სოფლის ახლომახლო არ იყო არც ერთი ჭალა და მდინარე, წყარო და ხევი, მათი ასავალ-დასავალი რომ არა მცოდნოდა. ჩემზე კარგად ვინ იპოვნიდა ტყეში ღალიან ახოს,

მდინარეზე — მარჯვე ფონს, ჭალაში — ლორთქო ბალახს. ამიტომ ჩემი თხები არ მემდუროდნენ და კაცმა მართალი რომ სთქვას, ამ ბოლო დროს მეც არაფერი მქონდა მათთან სამდურავი...

შუაგულ ტყეში, სადაც მთებიდან დაგორებულ ლოდებს ვეება ხეები მიელეწ-მოელეწა, მგლის ბუნაგი იყო. ერთხელ მთელი ხროვა დაესხა სოფელს, ბაკში შეცვივდნენ და სანამ ხალხი ფეხზე დადგებოდა, თავისი გააკეთეს — ერთი ხარი და შვიდი თხა დაგვიგლიჯეს, ერთხელ კიდევ კვიციც მოიტაცეს, დედაცხენის ჭიხვინმა მთელი ღამე არ დამაძინა.

იმ ბუნაგს ახლო რომ ჩავუვლიდი, ტანში რაღაცა ჩხვლეტას დამიწყებდა, თითქოს შიშველ ტანზე ზღარბმა გადამირბინაო, თმაც ყალყზე დამიდგებოდა. შიშისაგან გული რომ არ გამხეთქოდა, მთელი ხმით გავკიოდი რაიმე სიმღერას.

„ერთი ახლა თოფი მომცა“, — ვფიქრობდი ასეთ წუთებში და განა მარტო ასეთ წუთებში ვნატრობდი, ნეტავი თოფი მომცა-მეთქი.

ჩვენი მეზობელი ქალის, შაკას ქმარი, ხანდახან თავის თოფს მომცემდა და ისროლეო, მეტყოდა. მეც ვისროდი და იმ დღეს ჩემზე ბედნიერი ბიჭი სოფელში მეორე არ იყო.

მე ძალიან მიკვირდა, — როდესაც ჩვენი მეზობლის ოჯახზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ხალხს მუდამ შაკას სახელი ეკერა ენაზე, მისი ქმარი კი არავის ახსოვდა. ამბობდნენ იგი ცოლის მონა არისო და კაცადაც არ აგდებდნენ. მე კი ის მაინც მიყვარდა.

შაკას ქმარი მართლაც ჩუმი, უენო კაცი იყო. რამდენჯერ მინახავს ტყისპირას ქვაზე ჩამომჯდარი და ჩაფიქრებული. თოფი რატომ დაჰქონდა, დღესაც არ ვიცი. მისი ნანადირევი არავის უნახავს. შაკამ კი ერთხელ იცით, რა ქნა? დაუძახა ქმარს და უთხრა: — „შენ ამ ბოლო დროს ნადირობას ძალიან გადაჰყევიო, ოჯახი კი მიუხედავი არისო“ — თოფი ჩამოართვა და ხელში თოხი მიაჩეჩა, წადი და ბოსტანი გათოხნეო.

იმ დღიდან მოკიდებული, შაკას ქმარი დილიდან საღამომდე ბოსტანში ტრიალებდა.

თოფი — ჩემი აუხდენელი ოცნება იყო. დავდიოდი და ვფიქრობდი, ნეტა ერთი ის თოფი დილიდან საღამომდე ხელში დამაჭერინა და მერე თუ გინდა მომკლა-მეთქი.

ამ თხებმა ნამდვილად თავი მომაბეზრეს, არც კითხვას დამაცლიდნენ და არც ბანაობას. ძალიან რომ მომწყინდებოდა, მაშინ ვიფიქრებდი, მოდი ამ ფარას აგერ იმ მინდვრისაკენ გავრეკავ, სადაც ჩემი ტოლები ლახტს თამაშობენ-მეთქი, მაგრამ თხებს მშიერს ხომ ვერ დავტოვებდი... იქ ბალახი გამხმარი იყო და ისევ ჭალაში უნდა მეძებნა პირუტყვის საზრდო.

კითხვით ცოტას მაინც ვკითხულობდი. ყველა ჩემი წიგნი თითქმის ზეპირად ვიცოდი. კოლექტივის სამკითხველოში „ჰაჯი მურატი" ვიშოვე აფხაზურ ენაზე. იმ დღესვე წავიკითხე. ჭკუიდან კინაღამ შემშალა მთიელების ვაჟკაცობამ.

ამ ზაფხულს ჩემთან ერთად თაკარი დადიოდა. აგი აფხაზური ჯიშის ძაღლი იყო, მგელზე მონადირე. თაკარს უცნაური თვალები ჰქონდა. ხანდახან გეგონებოდა, იმ თვალებში ლურჯი ალი ანთიაო. აი სწორედ ისეთი, ჭაჭის არაყს ცეცხლს რომ მოუკიდებენ. მგლის ჩამომავალს, ყურებიც მგელივით დაცქვეტილი ჰქონდა, მხოლოდ ოდნავ დამრგვალებული, ლამაზი დრუნჩი არ უგავდა თავის შორეულ წინაპარს.

თაკარი ენაჭარტალა შაკას ძაღლი იყო. ხალხი ამბობდა: შაკას მაბრუალა ენა აქვსო. გინდა თუ არ გინდა, თავის ჭკუაზე წაგიყვანს და წამოგიყვანსო. დაბერდა, დაჩიავდა, მაგრამ მის ენას საბრუნავი მაინც არ გამოელია. გადაუდგებოდა წინ გზაზე მიმავალ მეზობელს და სანამ ლაპარაკით ტვინს არ გამოულაყებდა, კაცი ხელიდან ვერ გამოგლეჯდა. ამიტომ ზოგიერთი სოფლელი ხანდახან გზას დაიგრძელებდა, შორიდან მოივლიდა, ოღონდაც შაკას ჭიშკართან არ ჩაევლო.

ერთ საღამოს ჩვენს ეზოში შემობრძანდა, ჯერ დედაჩემი ჩაიგდო ხელში, იმდენი ექაქანა, სანამ მოსაწველად გამზადებული თხა თიკანმა არ გამოწოვა, მერე სახლში რომ შევედით, ლამპის შუქზე გულდასმით ამხედ-დამხედა და კინაღამ აქვითინდა.

— ნანა! რა ოქრო ბიჭია შენი ნური, ღმერთმა ბედნიერი გაგიზარდოს! უბედურო სიუარნა, ცოდვა არ არის, შენ მიწაში იწვე და მე ამ ქვეყანაზე დავდიოდე? რატომ არ ხედავს შენი თვალები ამ ვაჟკაცს? ჯერ სულ ბალღია, მაგრამ აბა შეხედე ტანი როგორ აიყარა, როგორ დამშვენდა და დასრულდა!

ასაკთან შედარებით მე ძალიან პატარა ტანისა ვიყავი და არ ვიცი შაკამ საიდან მოიგონა, სიმაღლე მოემატაო.

— ასე უნდა, შვილო, მალე უნდა გაიზარდო, რომ დედას მხარში ამოუდგე, — გადმოსდიოდა თაფლი შაკას ბაგეს,—მოდი, ნანა, ჩემთან, ჩემო პაწაწავ, ჩემო ანგელოზო, — განაგრძო მან, თუმცა ხელი კი არ გამომიწოდა, კარგად იცოდა, მე მასთან არ მივიდოდი.

„ანგელოზო?" — მე გამაოცა ამ სიტყვამ და ჩემს ჭეჭყიან ხელებს და დამსკდარ ფეხებს დავხედე.

მისი დათაფლული სიტყვები მხოლოდ შესავალი იყო, მთავარი ამბავი ჯერ კიდევ არ ეთქვა, და სანამ იტყოდა, კიდევ ბევრი ცრემლი და თაფლი დაჰღვარა.

მწყემსი უნდოდა. მისი თხები უპატრონოდ დაეხეტებოდნენ ალმადაღმა და მეზობლების ბაღ-ბოსტნებს აჩანაგებდნენ. ამის გამო ნახევარი სოფელი ემდუროდა შაკას. მასაც სხვა გზა არა ჰქონდა, აღგა და

ყველაზე ღარიბ მეზობელს, დედაჩემს სთხოვა, შენმა ბიჭმა ჩემი თხებიც თან წაასხასო. გასამრჯელოდ ერთ ვაცს დამპირდა და კიდევ „ბევრ სხვა საუცხოო საჩუქარს“.

ერთი სიტყვით, მეორე დღეს გათენდა თუ არა, მე უკვე შაკას ჭიშკართან ვიდექი. ეზოდან ყეფით გამოვარდა ლამაზი ლეკვი, ჩალისფერი მოკლე ბეწვი მზეზე ისე უბრწყინავდა, თითქოს ოქროში იყო დაფერილი. ლეკვი იყო, მაგრამ დიდი ძაღლის დაბოხებული სავსე ხმა ჰქონდა.

კბილებგადმოყრილი მომვარდა, მე კი იმას მშვიდად ჩავხედე არყის ალივით მოლურჯო თვალებში... ლეკვმა ყეფას თავი მიანება, წინ დამისკუპდა და კუდის ქიცინი დამიწყო. თვალებიც საოცრად გამოეცვალა, ალერსიანად შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: „ნუ გეშინია, შენ არაფერს გიზამო“.

— თაკარ, თაკარ! შენ შეგჭამა მგელმა! — დაუყვირა სახლიდან გამოვარდნილმა შაკამ.

ჩვენ კი, მე და ამ ლამაზმა ლეკვმა უკვე მოვასწარით დამეგობრება და როდესაც თხები საბალახოდ გავრეკე, თაკარი ისე უყოყმანოდ გამომყვა, თითქოს ეს ასე იყო დაწესებული.

იმ დღიდან ჩვენ ერთმანეთს არ დავშორებივართ. თაკარი თავის სახლში მხოლოდ შებინდებისას ბრუნდებოდა და ალიონისას ისევ ჩემთან მორბოდა.

შაკას ეს არ მოსწონდა, მაგრამ რას იზამდა, ბოლოს და ბოლოს ორივე მისი თხების მწყემსები ვიყავით.

— თაკარ! — დავუძახებ თუ არა, მაშინვე ჩემთან გაჩნდება, და თუ ხმაში რაიმე წუხილი ან შიში შემატყო, ყურებდაცქვეტილი თვალებში მომაჩერდება.

— თაკარ, ეძებე! — ვეტყვი მე, როდესაც რომელიმე თხა ფარას ჩამორჩება. მაშინ მისი ანთებული თვალები თითქოს მეუბნებიან: „ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო კარგო, მაგ უზნეოსაც მოვარჯულებო“. ხანდახან ვერ გამიგებს, ან დროზე ვერ შემეხმიანება. — მაშინ თუ ერთი საყვედური წამომცდა „აი, აი, ჩემო თაკარო“! — ის ყურებს ჩამოყრის და კუდამოძუებული იქვე ჩაჯდება. დროდადრო თავს ასწევს და დარცხვენილი შემომხედავს.

თაკარმა მუდამ იცის, ვარ თუ არა თამაშის გუნებაზე. ხანდახან ქუდს მომტაცებს და გაიქცევა — თუ ბიჭი ხარ, დამიჭირეო. სათამაშოდ მიწვევს, მაქეზებს.

თაკარმა ჩემზე კარგად იცოდა, რომელი თხა რა ზნისა იყო. ზოგი თხა რქებს წინ წაიგდებდა და თაკარს სარქენად გამოუდგებოდა. ჩემი ჭკვიანი ძაღლი იმ უზნეო თხას არასდროს არ უკბენდა. ღრენითაც კი არ შეუღრენდა, მხოლოდ განზე გაუხტებოდა და შეურაცხყოფილად

დაიწკმუტტუნებდა. რაც შეეხება იმ თხებს, ბოსტანში შეპარვა რომ უყვარდათ, მათ არასდროს არ დაინდობდა და ხანდახან კანჭზეც გაჰკრავდა კბილს.

ფარაში ერთი თვალებგადმოკარკლული თხა მყავდა. დღე არ იყო, ერთხელ მაინც არ გამპარვოდა. ყუათიანი ბალახი უნდოდა, თუ რას ეძებდა, არც მე და არც თაკარმა არ ვიცოდით. მხოლოდ ეს იყო, თვალს მიეფარებოდა თუ არა, მაშინვე მისი შეშინებული კიკინი მოისმოდა. თაკარი შურდულივით მოსწყდებოდა ადგილს და მალე ის შავწვერა ქაჯი ფაცხა-ფუცხით ფარასთან მოირბენდა.

ზოგჯერ, საღამოხანს, ტყიდან მგლის ყმუილი მოისმოდა, თაკარი ფხიზლად იყო. ყურები უცახცახებდა, ხმადაბლა იღრინებოდა, მე კი გული მწყდებოდა, რომ თოფი არ მქონდა.

ერთხელ თაკარმა სიკვდილს გადამარჩინა.

ერთმა მეზობელმა პატივი მცა და უცეცხლო თაფლი მომცა. მეც დავჯექი და კარგად მივაძეხი. მერე მდინარეში ჩავედი საბანაოდ. უეცრად გული ცუდად გამიხდა, თავბრუ დამესხა. ჩემმა თხებმა ჯერ ყვითელი ფერი მიიღეს, მერე კი წითლად შეიღებნენ და თვალწინ დატრიალდნენ. დატრიალდა ალმოდებული ნაპირი, ნაპირზე მომდგარი სერები, მერე ერთბაშად ყველაფერი გაშავდა და მეც ცივი და ჩუმი სიბნელე შემომეხვია. გრძნობაზე რომ მოვედი, რიყეზე ვიწექი, ფეხები ისევ წყალში მქონდა, თაკარი თავზე მადგა და წკმუტუნებდა, ხელპირს მილოკავდა. ერთიორჯერ მხარზე პირი ჩამავლო და ცოტა განზე გამათრია.

— თაკარ, ჩემო თაკარ! — წავიჩურჩულე მე.

მთელი გულღვიძლი მეწვოდა, თავი მისკდებოდა, პირში საძაგელი გემო მქონდა, მარჯვენა ფერდი მტკიოდა, ალბათ ქვაზე მიმახეთქა წყალმა. ყველაფერი თაფლის ბრალი იყო. ბევრჯერ გამიგონია, ახალი თაფლი შხამიანია და თუ ბევრი შეჭამე, ხელ-ფეხის მოწყვეტა იცისო. წყალში არამც და არამც არ უნდა ჩავსულიყავ. კიდევ კარგი თაკარმა მიშველა, თორემ ახლა ზღვაში ვიქნებოდა ჩატანილი.

— თაკარ, ჩემო თაკარ! — ვჩურჩულებდი მე და ძალაგამოლეული ხელით ჩემს მხსნელს ვეფერებოდი...

სექტემბერი მოახლოვდა, მალე ისევ სკოლაში უნდა წავიდე. გადავწყვიტე, შაკას ვთხოვო, — არ მინდა თეთრწვერა ვაცი და სხვა „საუცხოო საჩუქარი“, მხოლოდ თაკარი მომცეს და მე დიდად მადლობელი ვიქნები. სამწყემსურიდან რომ დავბრუნდებით, ძაღლი შინ მიდის და ღამეს პატრონთან ათევს. მე კი მაინც მგონია, რომ იგი მუდამ ჩემთან არის, მუდამ თვალწინ მიდგას მისი ჭკვიანი ალისფერი თვალები.

იმ საღამოს თხები წყაროსთან გაბარდნილ ეკალნარში შევრეკე და მეც იქვე ჩავიკრიფე მუხლი დასასვენებლად.

ზღვიდან წამოსულმა ღრუბელმა მთელი ტატნობი დაფარა. ქარი ჩადგა, ჰაერი შეიხუთა. ერთი ფოთოლიც არსად ირხეოდა. ღრუბელი თანდათან მძიმედ აწვებოდა დედამიწას და სულისთქმა ჭირდა, მხოლოდ დასავლეთით, სადაც ღრუბელი ჯერ კიდევ ვერ მისწვდომოდა ცისკიდურს, დაისის მზეს ღრუბელი წითლად შეეღება და გარშემო ყველაფერს სისხლის ფერი დასცემდა.

ამ სანახაობას თვალი ვერ მოვწყვიტე და გარინდებული ვიჯექი.

— თაკარ! — ჩუმად დავუძახე ძაღლს, — შეხედე ცას, რაგორი წითელია, ამინდი შეიცვლება.

ყოველთვის, როდესაც თაკარს ველაპარაკებოდი, ის გვერდით მომიჯდებოდა და თავს მუხლებზე დამადებდა.

მაგრამ მე ახლა თვალი მომტაცა ამ ლამაზმა სანახაობამ და გვიან დავინახე, რომ თაკარი ჩემთან არ იყო.

მაშინვე წამოვხტი და მივიხედ-მოვიხედე, ბევრი ძებნა არ დამჭირვებია. ჩემი თაკარი იქვე იწვა თხმელის ჩრდილში და ჩუმად წკმუტუნებდა. ისე ჩუმად, თითქოს კვნესას იკავებსო. მუდამ დაცქვეტილი ყურები მიმჭკნარი ფოთოლივით ჩამოეყარა და საცოდავად შემომყურებდა. მისი გაწყალებული თვალები რაღაც შველას მთხოვდნენ.

დაისის მზეს მისი თვალების თეთრი გარსი ისე გაეწითლებინა, თითქოს სისხლშია, მაგრამ აგერ ეს მზეც ჩავიდა. ჭალაში ბინდი ერთბაშად ჩამოწვა და თაკარის თვალებსაც ბინდისფერი დაედო, თითქოს ვიღაცამ სული შეუბერა და არყის ალი ჩაუქრო.

— რა მოგივიდა, თაკარ? ნუ გეშინია, მე აქა ვარ! — ხმის ყანკალით წავჩურჩულე და კისერზე ხელი მოვხვიე, იქნებ ფეხზე წამოვაყენო-მეთქი. მაგრამ თაკარი ოდნავ წამოიწია და ისევ მოწყვეტით დავარდა მიწაზე.

ბარდებში მიყრილი თხები სასწრაფოდ წამოვყარე და სოფლისაკენ გამოვრეკე. ვიფიქრე, გზაში ვინმე შემხვდება და ავადმყოფ თაკარს ვაჩვენებ, იქნებ რამე უშველოს-მეთქი.

სანამ წამოვიდოდი, ერთხელ კიდევ ვცადე და ძაღლს სახელი დავუძახე, ჩუმად დავუსტვინე, როგორც შინ წასვლის დროს ვუსტვენდი ხოლმე.

თაკარი წამოდგა, ორი სამი ნაბიჯი ძლივს გადმოდგა და ისევ დაეცა. თავი უძალოდ გვერდზე გადაუვარდა, გაყუჩდა, თითქოს სული ამოხდაო.

„ზურგზე მოვიკიდებ და ისე წავიყვან“, — გავიფიქრე მე, მაგრამ ხელი რომ მოვკიდე, მან თავისი თეთრი ბასრი ეშვები გადმოყარა და ჩუმად შემომღრინა.

ეს თაკარს არასოდეს არ უქნია.

„იქნებ გახელდა?“ — გამიელვა თავში და თაკარს სწრაფად გავეცალე.

ძაღლი თითქოს მიმიხვდა, თუ რამ შემაშინა, წელი ძლივს აითრია და ბანდალ-ბანდალით უკან გამომყვა.

„არაფერი გახელებულიც არ არის, უთუოდ რამემ აწყინა, ცოტა ხანს იავადმყოფებს და გაუვლის. არაფერი გახელებული არა არის“,— ვამშვიდებდი ჩემ თავს და ფარას წინ ნელი ნაბიჯით მივუძღოდი, რომ თაკარა გზაში არ ჩამოშრჩენოდა.

შინ გვიან დავბრუნდი. ცაზე აქა-იქ ელავდა. საიდანღაც შორიდან ჭექა-ქუხილი ისმოდა.

ინათა თუ არა, იმედიანად მივადექი შაკას ეზოს. მაგრამ ჩემი თაკარი ღობის ძირში უღონოდ ეგდო და ფეხზე ვერ დგებოდა. მხოლოდ თვალები ოდნავ გააღო და დამნაშავესავით შემოშხედა, თითქოს მითხრა: „მაპატიე, ბიჭო, რომ არ შემიძლია შენთან წამოსვლაო“.

შაკა რაღაცას ლაქლაქებდა, მაგრამ მისი თავი ვის ჰქონდა. ქვითინი ძლივს შევიკავე. ბაკიდან თხები გამოვრეკე და ტყის გზას დავადექი.

გავიდა ერთი კვირა. თაკარი მაინც ავად იყო. ბალანი მოეთელა და ალაგ-ალაგ კიდეც გასცვივდა. გახდა. ნეკნები ისე ამოეყარა, პირდაპირ გული შეგიწუხდებოდა, ალისფერ თვალებზე ბინდი გადაეკრა... მხოლოდ როდესაც დამინახავდა, ისევ ისე დამნაშავესავით ამომხედავდა და სევდიან თვალებს დახუჭავდა.

ნე მაინც იმედი მქონდა, რომ იგი მოიკეთებდა. მოუთმენლად ველოდი ამ დღეს. მანამდე კი ისევ ისე დავდიოდი სამწყემსურში, ვკითხულობდი წიგნებს და დავდევდი იმ ეშმაკის ფეხებს.

აგვისტო ილეოდა, უთენია შაკას ღობეს რომ მივადექი. ეზოში უცხო ხალხი დავინახე. მგონი, ჩემი დიასახლისის ნათესავები იყვნენ. გზად გამოევლოთ. ზოგიერთები ცხენებზე სხდებოდნენ და წასვლას აპირებდნენ, ზოგი ისევ კაკლის ძირში გაშლილ სუფრასთან იდგა და საკართანოს სვამდა.

ერთი კარგი მოსული ვაჟკაცი წაბლისფერ ულაყზე იჯდა. ცხენი აღვირს ითხოვდა და ფრთხვენდა, უკანა ფეხები ეკეცებოდა. უცბად მხედარმა ღობის ძირში მიგდებულ, ჩონჩხად ქცეულ თაკარს მოატანა თვალი.

— ჩემო დაო! — გაეხუმრა იგი დიასახლისს, — ამ ძაღლის შემხედვარე სტუმარს ყელში ლუკმა როგორ გადაუვა? რა დაგემართა, როდის იყავი ასეთი ძუნწი?

— რას ამბობ, კაცო? გამხდარი კი არა, ძაღლი სიმსუქნისაგან ფეხზე ვერ დგება.

— მე მგონია, მაგას განგებ აშიმშილებენ, რომ უფრო ავი გახდეს და მგელს არ შეუშინდეს! ხა-ხა-ხა.

— მაგის სინსილა კი გაწყდა! — ჩაიბურტყუნა დარცხვენილმა შაკამ: — ძაღლი ავად არის, ხალხს კი ჰგონია, პატრონი აშიმშილებს — ერთი ნაგება ღომი ენანებაო.

სტუმრები წავიდნენ. შაკამ სუფრის ალაგება დაიწყო, უცბათ მე დამინახა და პირისახე გაებადრა.

— ნანა! შენი ჭირიმე! მოდი უკვე? — მითხრა მან და თეფშები ისევ სუფრაზე დააწყო, — შემოდი, შემოდი. ერთი კარგად ვისაუზმოთ მე და შენ.

მეც უარი ვეღარ ვუთხარი და სუფრას მივუჯექი. შაკამ ხაჭაპური გადმომიღო, ღვინოც დამისხა — ერთი სიტყვით, სანამ მეფური პატივი არ მცა, სუფრიდან არ ამაყენა. მერე თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— იცი რა, ჩემო ნური? შენ ტყეში მარტო დადიხარ. აგერ ჩემი ქმრის თოფი კი კედელზე ტყუილად ჰკიდია. წაიღე და მოიხმარე, ვინ იცის, რა შეგემთხვევა...

შაკამ ჩაიცინა და თვალებში შემომხედა, ჯერ მეგონა, რომ ხუმრობდა, მაგრამ ქალი წავიდა და სახლიდან თოფი მართლა გამოიტანა.

ამ თოფს ისე კარგად ვიცნობდი, რომ ზეპირად მახსოვდა, სად რა ნაკაწრი და ნაფხაჭნი ჰქონდა. შიშისა და სიხარულისაგან ენა ჩამივარდა.

„ვაითუ შაკამ გადაიფიქროს და თოფი უკან წაიღოს“.

კარგი იყო, არ ეჩვენებინა, მაგრამ რახან გამოიტანა, კიდეც უნდა მოეცა, თორემ გული გამისკდებოდა.

ჩემდა საბედნიეროდ, შაკამ თოფი ხელში მომაჩეჩა და კიდევ გამიცინა.

თოფს ხელი დავტაცე და ჭიშკრისაკენ მივტრიალდი. გუშინ სოფლის ბოლოში ორი კურდღელი წამომიხტა. თუ ისინი ვერ ვიპოვნე, მელიის სოროს მივადგები, ის მაინც ვერსად წამივა, ამიერიდან აღარც მგლისა შემეშინდება... ჰეი, მხეცებო და ნადირებო მიფრთხილდით, ჩემი თხებისაკენ არ გამოიხედოთ, თორემ განანებთ, იცოდეთ. საწყალი თაკარი! ნეტავ შეგეძლოს ჩემთან წამოსვლა.

ამ ფიქრში რომ ვიყავი, შაკამ მხარზე ხელი დამადო და ღობესთან მიმიყვანა.

— აი ეს მოკალი და თოფიც შენი იქნება, — უეცრად მითხრა მან და თაკარს ზიზღით გადახედა.

თავში თითქოს კეტი დამკრესო, ერთ ხანს გარეტებული ვიდექი. მერე გონს მოვედი და შაკას მუხლებში ჩაუვარდი, შენი ჭირიმე, ეს მეორედ აღარ მითხრა-მეთქი.

— მალე კარგად გახდება. გუშინ მე თვითონ ვნახე, ამდგარიყო და ჭასთან წყალსა სვამდა. ორი დღეც არ გაივლის, ამის ყეფას გაიგონებ.

— რას ამბობ, შენ სულელო, მეტი არ ადგა ჩემი მტერი, მაგ არ

გამოკეთდეს! აქამდეც უნდა მომეკლა. ამდენ სირცხვილს გადავრჩებოდი. ხომ ხედავ, ხალხი რას ლაპარაკობს! თუმცა სახვეწარი რა მაქვს. შენ, როგორც გეტყობა, ეს თოფი არ გინდა. მომეცი აქ.

მე დავინახე, როგორ გამოიშვირა ხელი თოფის წასართმევად, დავინახე და... უკან გადავხტი. მერე ბევრი აღარაფერი მახსოვს... თოფი შევმართე და თაკარს დავუმიზნე.

სროლის ხმამ თავზარი დამცა. თოფის უკუცემამ კინაღამ წამაქცია. ერთხანს ვერაფერი გავარჩიე, მერე თვალებში სინათლე რომ დამიბრუნდა, სისხლში მოსვრილი თაკარი დავინახე. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და პირდაპირ თვალებში მიყურებდა. ძაღლის თვალებში ისევ ის ცისფერი ალი ენთო და ის თვალები ისეთივე ნდობითა და სიყვარულით მიცქერდნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

მხოლოდ ახლა მივხვდი, რა ჩავიდინე.

„თაკარ, ჩემო საწყალო თაკარ", — გმინავდა ჩემი გული.

— წაიღე და შორს გადააგდე! — გავიგონე შაკას ხმა, იგი იქვე იდგა და ტუჩებმობრეცილი იყურებოდა.

უხმოდ მივტრიალდი, თოფი მოვიქნიე და მიწას დავახეთქე, მერე თავი დავღუნე და ჭიშკარს მივაშურე.

— სად მიდიხარ, ბიჭო? გაგიჟდი თუ რა მოგივიდა? თხები არ უნდა წაიყვანო? — გამომიდგა ყვირილით შაკა.

მაგრამ მე წავედი და წავედი, უკან არ მომიხედავს.

— ჯანდაბაში წასულხარ! — მომაწყევლა მან: — არ გინდა თეთრწვერა ვაცი?! ვერ მოგართვი, შენ მართლა გვაჯა, შენა!

არ გასულა დიდი ხანი, სანატრელმა წვიმამ კოკისპირულად დაუშვა, დაგვალულმა მიწამ სული მოითქვა. ნათესები ხარბად სვამდნენ უკვდავების წყალს. წვიმამ ყველა გაახარა, მეც გამახარა, რადგან ახლა კაცი ვერ შემატყობდა, ლოყებზე ცრემლი მდიოდა თუ წვიმის წვეთები. წვიმის ხმაურში ჩემი სლუკუნიც აღარ ისმოდა. მეორე დილას დედამ ხელები გაშალა და შეიცხადა, ეს რა არის, შვილო, თმაში თეთრი გამოგრევიაო.

იმ დღეს სოფლის ორღობეში მივდიოდი. სადღაც ეზოდან ლამაზი ლეკვი გამოვარდა, ყეფა დამიწყო. ხან წინიდან შემომირბინა, ხან კიდევ ზურგიდან მომეტანა.

მე ჩუმად ვიგერიებდი და ვცდილობდი, მისი თვალები არ დამენახა, არც ის მინდოდა, რომ ლეკვი შემჩვევოდა და დანდობილი შემხვედროდა ამ გზაზე გავლისას.

დაე, მიყეფოს ასე ბრაზიანად, ასე სჯობია.

1957

ნელი თარბა

ნელი ზოლოტინსკის ასული თარბა დაიბადა 1934 წელს სოფელ დურიფშში, გუდაუთის რაიონში. გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებული. ქართველი მკითხველისათვის პოეტი ქალი ცნობილია რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ცალკეული ლექსებით. მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა" რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნელი თარბას ლექსების კრებული.

ნელი თარბა მუშაობს დრამატურგიაშიც. მისი პიესა „სიმღერას ადვილად ვერ შეთხზავ" დაიდგა სოხუმის დრამატულ თეატრში.

მაწისა[1]

ღამეა.

ზამთრის ღამე.

მიყვარს ზამთრის ღამე აფხაზურ სოფელში. ყველაფერი თეთრია, ქათქათა. თოვლით დახუნძლული ხის ტოტები მიწამდე დაზნექილან. აქა-იქ თოვლის ქულები ეთხოვებიან ხეებს და მსუბუქად ეშვებიან მიწაზე. ისმის ნაბიჯების ხმა: ხრაშ-ხრუშ. ხრაშ-ხრუშ...

ბარდნის, ბარდნის გაუთავებლად...

---

[1] იბეჭდება შემოკლებით.

სახლებში კი სინათლეა და ფანჯრებიდან მოვერცხლილ თოვლზე ოქროსფრად იღვრება სინათლე... აგუზგუზებულ ღუმელს შემოსხდომია მთელი ოჯახი. მეც მათთან ვარ, ხუთი წლის უნახავი სტუმარი... სიმინდს წვავს ალხასი, დიასახლისის თხუთმეტი წლის ვაჟი.

პირდაპირ აღტაცებული შევცქერი მაწისას, ჩვენს დიასახლისს, თვალს ვერ ვაშორებ.

მართლაც მშვენიერი სანახავია: ლამაზი, ტანადი, ქალიშვილივით წერწეტა, ორმოცმა წელმაც კი ვერ შეუცვალა ნირი!

— სულ უფრო და უფრო ლამაზდები, ჩემო მაწისა, — გულწრფელად ვეუბნები დიასახლისს.

ვლამაზდები კი არა... ჩანს, ისეთი მოდგმისა ვარ, დრომ ვერ დამჯაბნა.

მაწისა იღიმება. მაგრამ თვალებში ჩაწოლილ სევდას ვერ მალავს.

ამ დროს ალხასი ბატიბუტს გვთავაზობს, თან მუჭიდან მუჭში იყრის და სულს უბერავს — უჰ, რა ცხელია.

მაწისა მაგიდისკენ გარბის, გაზეთს იღებს და უეცრად იატაკზე რაღაც ვარდება. ისმის ტკაცანი...

— საათი! — შესძახებს შეშინებული ალხასი.

მაგრამ რაღა დროს!.. მაგიდასთან სახეზე ხელებაფარებული უძრავად დგას მაწისა. იატაკზე კი დამსხვრეული საათი გდია.

— ეს რა ვქენი...

მაწისა მძიმედ ეშვება სკამზე. ასე შეწუხებული არასოდეს მინახავს. სახეზე მკვდრისფერი ადევს. ალხასი საათს იღებს. თვალებზე ცრემლი მოსწოლია.

— რა ვუთხრათ გუდისას, რომ დაბრუნდება?

გაოცებული შევცქერი მასპინძელს — რა თქმა უნდა, საათი დასანანია, მაგრამ რაღა ეშველება. ან კი ასე რამ გაამწარათ, დიდი ამბავი — საათი გატყდა, გეგონება. ამ ოჯახში მისით ედგათ სული...

— ნუ იდარდებ, ნან, — ამხნევებს მაწისა შვილს, — კიდევ კარგი აქამდე მოვიტანეთ, არ გაგვტეხია.

შორი მთებიდან მორაკრაკე ნაკადულივით წმინდა იყო ამბავი, რომელიც იმ ღამეს; იმ გრძელ ზამთრის ღამეს მოვისმინე.

— ამქვეყნად ყველას თავისი ბედიღბალი აქვს. ერთმანეთს არც სახით ვგავართ და არც ბედისწერით. მე მინდა ჩემს ხვედრზე, ჩემს ცხოვრებაზე გიამბოთ... 17 წლის რომ შევსრულდი, ლამაზი, კარგად აღზრდილი ქალიშვილის სახელი მქონდა სოფელში.

ახლა ასე აღარ ხდება, მაგრამ წინათ, თუკი სადმე კარგ ქალიშვილს დაიგულებდნენ, მისკენ ყოველი მხრიდან მოეშურებოდნენ საქმროები,

ზოგჯერ ათი-თხუთმეტი კაცი ერთად. ისხდნენ მის ოჯახში და ილხენ-ნენ: ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ქალიშვილი გულისწორს არ აირჩევდა.

მამაჩემი ცივ ნიავს არ მაკარებდა.

იგი წინათ ჩემს ბავშვობაში, ვაჭარი იყო, ახლებურად რომ ვთქვათ, ქორ-ვაჭარი, წასვლა-წამოსვლა, ყიდვა-გაყიდვა, მოგების გამოთვლა, საზეიმო ნადიმები (თუ ყოველდღე არა, დღეგამოშვებით მაინც), — აი რა ცხოვრება ჰქონდა მამაჩემს. მეტი არაფერი შეეძლო და არც უნდოდა.

აბა, დედაჩემი გენახათ! იგი ჩვენი ოჯახის დიასახლისი კი არა, ნამდვილი ბურჯი იყო, დიდი ჯაფა ადგა საბრალოს, ყველას ემსახურებოდა, ყველაფერზე თვითონ ღვრიდა ოფლს. მის შემყურეს გული მტკიოდა, მებრალებოდა, მაგრამ მამა მაინც მიყვარდა. იმიტომ, რომ მასაც თავს ვერჩიე, სულ მიყვავებდა.

მალე საბჭოთა ხელისუფლებაც დამყარდა და მამაჩემის საქმეებიც შავად წავიდა. აბა, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო...

მაშინ, პირველად ჩემს მახსოვრობაში, დედამ და მამამ მაგრად იჩხუბეს.

სოფელში კოლექტივი ჩამოყალიბდა. თანასოფლელები ზედიზედ შედიოდნენ კოლექტივში, საერთო გახდა მიწა, საქონელი... მხოლოდ ჩვენ ვიდექით განზე, გავერიდეთ საკოლმეურნეო ცხოვრებას. ნელ-ნელა ყველანი ჩამოგვშორდნენ, კარის მეზობლებმაც ზურგი შეგვაქციეს: ისინი კოლექტივში შევიდნენ და თავიანთი გზა ჰქონდათ. დედა ძლიერ წუხდა, ცდილობდა ქმრის დაყოლიებას, მაგრამ ამაოდ: მამაჩემს კოლექტივის გაგონებაც არ სურდა და პირველსავე სიტყვაზე დედას თვალებს უბრიალებდა. ასე იყო კარგა ხანს. მაგრამ ერთხელ მამა სადღაც გაემგზავრა, დედამ დრო იხელთა და კოლექტივში შევიდა.

ამ ამბავმა მამას თავზარი დასცა.

— ეს რა ჩაიდინე, ჩვენი დაღუპვა განიზრახე?—ყვიროდა გააფთრებული, — კისერიც მოგიტეხია მაგ შენს კოლექტივთან ერთად, ოღონდ იცოდე: მე და ჩემს ქალიშვილს ეგ ამბები არ გვეხება და არც შეგვეხება არასდროს!

თქვა და ასეც მოიქცა. დედა მარტო დადიოდა მინდორში სამუშაოდ. მებრალებოდა, მაგრამ მამის შიშით ხმას ვერ ვიღებდი.

— ჯიუტი იყო მამაჩემი. მისი წყალობით სასიკეთო საქმეს ვერაფერს ვეწიე. ორი კლასის განათლება ძლივს მივიღე, ჩემი თანატოლები წიგნებს უსხდნენ, მე კი ვიჯექი შინ და ფრჩხილებს ვიზრდიდი. მაკითხავდნენ საქმროები, ილხენდნენ ჩვენთან, წესისამებრ, შემდეგ მაჭანკლებს გზავნიდნენ, მაგრამ არც ერთი არ მომწონდა, მშობლებმაც ვერავინ შემირჩიეს. ზოგიერთები გვძრახავდნენ, აფრთხილებდნენ მამას: ამდენ წუნიაობაში ქალი შინ დაგიბერდებაო, მაგრამ იგი მათ ყურ-

საც არ უგდებდა. არ ღალატობდა ანდაზას: ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო.

მე კი, ჩემთავად, არხეინად ვიყავი. არავინ არ მიყვარდა, არავისზე არ ვფიქრობდი.

— მაწისა, შვილო, გულს ნუ გაიტეხ. თავს არ დავზოგავ, ისეთ საქმროს გამოგიძებნი, ავ თვალს არ ენახვებოდეს, დედოფალივით ხელისგულზე გატარებდეს! — მეუბნებოდა მამა და მკოცნიდა.

ბუნებაში გაზაფხულის მახარობელი მერცხალია. იგი მოფრინავს და თითქოს თავისი ფრთებით შორი ქვეყნებიდან მოაქვს კეკლუცი გაზაფხული. იმ დღეს, როცა მერცხალმა ჩემი გული ირჩია სავანედ, ჩვენთან სახლში მოვიდა ედარათი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე. თან სტუმარი მოჰყვა.

მე შინ არ ვიყავი. ხანდახან დავიბარებდი, სასეირნოდ მივდივარმეთქი, და კოლმეურნე გოგონებთან, მინდორში ამოვყოფდი თავს.

იმ დღეს მინდორში ედარათმა მომაკითხა:

— აი, სად ყოფილხარ, მაწისა. ჩქარა შინ წადი, სტუმარი მოგიყვანე.

ამ დროს შენიშნა, თამბაქოს რომ ვრგავდი, და დაუმატა:

— ყოჩაღ, მაწისა, ოქროს ხელი გქონია!

გოგოები, სულ ცოტა ხნის წინ რომ აბუჩად მიგდებდნენ, ახლა ჩემს ქება-დიდებას მოჰყვნენ და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს.

— სულ ერთია, მაწისა ბოლოს მაინც ჩვენთან მოვა, მამამისი ტყუილად ცდილობს გაგვარიდოს, რა გამრჯე გოგოა!

მხიარული კაცი იყო ჩვენი ედარათი. სოფელში ახალჩამოსულს ყველა პატივს სცემდა და აფასებდა. ბევრ ქალიშვილს უყვარდა, ნატრობდა მის ცოლობას. მეც მიყვარდა, ოღონდ როგორც კარგი ამხანაგი. კოლექტივის წევრებიდან მხოლოდ ის ერთი დადიოდა ჩვენს ოჯახში, საათობით საუბრობდა ხოლმე მამაჩემთან. ალბათ მის გულთან მისასვლელ ბილიკს თუ ეძებდა, მაგრამ არ დასცალდა, სხვამ გადაუჭრა გზა...

ჰოდა სოფელში ხმა დაირხა, ედარათი მაწისას ეშხით დაძვრება ტაქთანო (მამაჩემს ასე ეძახდნენ), ზოგიერთები კი ამბობდნენ: კოლექტივში უნდა შეიტყუოსო. მალე დავრწმუნდი, ხალხის მითქმა-მოთქმა უსაფუძვლო არ იყო: — ერთხელ ედარათმა გამომიცხადა თუ ნებას დამრთავ, მამაშენს შენი ხელი მინდა ვთხოვოო.

— ოღონდ დაფიქრდი, ვიდრე თვითონ არ ინდომებ ჩემს ცოლობას, ხმასაც არ ამოვიღებ, მე გლეხი ვარ და გლეხურ ნამუსს არ შევირცხვენ.

მე არაფერი მითქვამს, ისე სიტყვა კი გადავუკარი, რომ პატივს ვცემდი მის გლეხურ ნამუსს და არანაკლებ ვუფრთხილდებოდი საკუთარი ნამუსის სიწმინდესაც.

ახლა მე და ედარათი მივაბიჯებდით მინდორში და სტუმარზე ვსაუბრობდით.

— საიდან ჩამოვიდა? — ვკითხე, როცა ცოტათი დავმშვიდდი.

— საოლქო კომიტეტიდან მოგვამაგრეს, ახალი ცხოვრების შენებაში უნდა დაგვეხმაროს. ქუთარბაა გვარად, არ გაგიგონია? დიდი კაცია.

— პირველად მესმის. ასე დიდი კაცი თუა, როგორც შენ ამბობ, რატომ არ ვიცი?

— არა უშავს, გაიცნობ და გეცოდინება, ო, რა კაცია... — სტუმარი სხვა დროსაც ბევრი გვწვევია, მაგრამ ახლა საშინლად ავფორიაქდი.

კერასთან იჯდა ოდნავ წელში მოხრილი „პორტფელიანი კაცი", ხელები ნიკაპქვეშ ამოედო და გულისყურით უსმენდა მამაჩემს.

ჩვენი შესვლა მაშინვე შენიშნეს და სტუმარი უხალისოდ წამოიწია სკამიდან.

— მიესალმე, — მკაცრად მითხრა მამაჩემმა, შეკრთომა რომ შემატყო.

— მშიბზია![1] — მომესალმა სტუმარი და მეც უსიტყვოდ დავუქნიე თავი.

— მოეხვიე, დად[2], სტუმარს, რისი გრცხვენია, — დამიყვავა მამაჩემმა და მეც სტუმრისკენ გავიწიე, მინდოდა, ჩვეულების თანახმად, გადავხვეოდი, მაგრამ მან ხელმეორედ დამიკრა თავი და ხელი გამომიწოდა. მიწის მუშასავით ხეშეში ხელისგული ჰქონდა. გამიკვირდა: პორტფელი და ასეთი ხელები? თან ზედაც რომ არ მიყურებს, ერთი ამას დამიხედეთ! — სიბრაზისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, მაგრამ აცრემლებულ თვალებს სტუმარს მაინც ვერ ვაშორებდი.

ახოვანი, შავგვრემანი ვაჟკაცი იყო. სქელი, წითელი ტუჩები ქალიშვილივით გამობურცოდა. ცხვირი მთლად ლაზათიანი ვერ ჰქონდა, მაგრამ არ აუშნოებდა, თვალები ხომ მაყვალს დასჯაბნიდნენ სიშავით. დატალღულ ქოჩორს აქა-იქ შეპარვოდა ვერცხლისფერი, შუბლზე ჩამოშლილი მთელი ბღუჯა ქაღარა კი რაღაც უჩვეულო იერს აძლევდა.

არა, ამ სახის დავიწყება შეუძლებელი იყო...

ბეგუა (ასე ერქვა სტუმარს) და ედარათი იმ ღამეს ჩვენთან დარჩნენ.

ყველაფერი გავამზადე, ლოგინები გავშალე და სტუმრებს ვუხმე. ტრადიციის თანახმად, მინდოდა ფეხსაცმელების გახდაში მივხმარებოდი ბეგუას, მაგრამ ახლოსაც არ გამიკარა.

დილით, როცა საწოლებთან გაწმენდილი ფეხსაცმელები დახვდა, ბეგუამ გამიღიმა, უცნაურად გამიღიმა — არ მახსოვს ვინმეს ასე გაეღიმოს ჩემთვის, ედარათსაც კი. წასვლისას ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს სურდა დიდხანს შერჩენოდა ფეხსაცმელზე ჩემი ხელების ნაკვალევი.

---

[1] მისალმება.

[2] უფროსი მამაკაცის მოფერებითი მიმართვა უმცროსების მიმართ.

არაფერი მითხრა, არაფერი დამიბარა.. იქნებ მამაჩემს გადაუკრა სიტყვა? ზოგი ასეც იქცევა. მაგრამ არა, მამაჩემი ხომ მეტყოდა. მერე როგორ მომწონს ბეგუა... თავაზიანი, ჭკვიანი, მოკრძალებული...

წავიდა თუ არა სტუმარი, მეორე დღეს მამაჩემი კანტორაში გამოცხადდა და შეიტანა ფული, რომელსაც შეძლებულები აგროვებდნენ ღარიბების დასახმარებლად. აი, როგორ იმოქმედა მასზე ბეგუას სტუმრობამ.

ახალჩამოსულმა სტუმარმა გოგოებსაც დაუკარგა მოსვენება. სულ ბეგუა ეკერათ პირზე, მაგრამ რას შეიმჩნევდნენ!

ვერ ისვენებდნენ გოგოები, წამდაუწუმ ბეგუასკენ აპარებდნენ თვალს. მოსწონდათ და მერე როგორ!

— ეი, მაწისა, მიდი ერთი, მიანათე შენი სხივები, იქნებ შენ მაინც დაგინახოს, — გესლიანად მომახალა ნიცამ.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, თითქოს ამას ელოდაო, ბეგუამ გუთანი სხვას გადასცა და ჩვენკენ წამოვიდა.

გავიდა ერთი კვირა. ბეგუა სოფელში მოშინაურდა. ყველასთან საერთო გამონახა, ყველას დაუახლოვდა, თავადებსაც კი. საოცარი ბუნების პატრონი იყო. უმტკივნეულოდ აგვარებდა ურთულეს საკითხებს.

სოფლის ცენტრში იდგა თავადი აჩბას დაცარიელებული სახლი. ბეგუას წყალობით, იგი კოპერატივს გადაეცა.

და აი, ბეგუა მარტო გაეშურა ჰარიხანის მოსანახულებლად. ჰარიხანმა თვალი მოჰკრა თუ არა, კერიას ეცა, ანთებული მუგუზალი დაითრია და ლანძღვა-გინებით შეეგება სტუმარს: გინდა უყურო, როგორ გადავწვავ სახლს? რა გაეწყობა, უყურეო.

— მშიბზია, მასპინძელო, აქა მშვიდობა! სტუმარს არ მიიღებ? — მშვიდად მიესალმა ბეგუა, ისე რომ, ცხენიდან არ ჩამოსულა.

— თქვენი მოდგმის დაფუძნების შემდეგ ჩემთან მტრის მეტი არავინ მოსულა! — კბილებში გამოსცრა ჰარიხანმა, მაგრამ ანთებული მუგუზალი მაინც დაუშვა.

— მაშ, სტუმრად მოსულს უკან მაბრუნებ? აფერუმ, შენს მასპინძლობას, აფხაზო ქალო! — შესძახა ბეგუამ და ცხენის სადავე მოზიდა.

— აფხაზი რომ ვარ, სწორედ იმიტომ ვუფრთხილდები მამისეულ კერას! — არ შეეპუა ჰარიხანი.

— აფხაზს, მტერიც რომ ეწვიოს, წესად არა აქვს სტუმრის უკან გაბრუნება! — უპასუხა ბეგუამ.

— რაკი ასეა, ბზიალა უაბეიტ[1], ჩამოდი ცხენიდან! — თითქმის უბრძანა ჰარიხანმა, შორს მოისროლა მუგუზალი და სტუმარს შეეგება.

---

[1] მისალმება.

— ბზირა უბააიტ[1], ღმერთმა მშვიდობა ნუ მოუშალოს შენს ოჯახს, — უთხრა ბეგუამ, ცხენი ეზოში დაბა და ჰარიხანს გაჰყვა...

და ჰარიხანი იძულებული გახდა ტრადიციისათვის არ ეღალატა — ჩინებულად გაუმასპინძლდა სტუმარს, ხოლო როცა ბეგუამ დაღლილობაზე დაიჩივლა, ცალკე ოთახში მოასვენა.

იმ დღიდან შეიცვალა მარტოხელა გაბოროტებული ქალის ცხოვრება. ბეგუამ თავი მოუყარა ახალგაზრდებს, ყველას სათითაოდ დავალებები მისცა და აი, ჰარიხანს ზამთრისთვის შეშა დაუჩეხეს, ყანა მოუხნეს, ღობე შეუკეთეს, სიმინდი დაუფქვეს, მოკლედ მხარში ამოუდგნენ. გახალისდა ჰარიხანი, სიმართლე რომ ითქვას, დიდი დალხინებული ცხოვრება არც ჰქონია თავადის ხელში, მთელი სიცოცხლე რომ ხსომებოდა. და ასე თანდათანობით მიაღწია ბეგუამ ამ საწადელს. შემდეგ მოკრძალებით სთხოვა ჰარიხანს: თავადის სახლში ახალგაზრდობის ზეიმი ჩაგვატარებინეო. ჰარიხანმა დაიწუწუნა, მაგრამ ახალგაზრდებს დიდი დარბაზი დაუთმო, თან დააყოლა: ოღონდ იცოდეთ, მხოლოდ ერთი ღამით, მეტის იმედი ნუ გექნებათო.

დიდებული ზეიმი გამართეს აჩბას სახლში ახალგაზრდებმა!

ზეიმს მთელი სოფელი ესწრებოდა. მამას არ უნდოდა ჩემი გაშვება, მაგრამ ბეგუამ და ედარათმა დაიყოლიეს. დაარწმუნეს, მაწისას თვალისჩინივით გავუფრთხილდებითო და წამიყვანეს.

ჩემმა მისვლამ გაახარა ჰარიხანი.

ცეკვები და სიმღერები ერთმანეთს ცვლიდა.

მე საცეკვაოდ ედარათმა გამიწვია. იმ წლებში კარგ მოცეკვავედ ვითვლებოდი, ხუთ-ექვს ყმაწვილს დავჯაბნიდი, რა დამღლიდა...

„ნეტავ სულ ასე მამყოფა შენთან“, — ჩამჩურჩულებდა ედარათი. მჯეროდა მისი, მაგრამ გული სხვისკენ იწევდა, ვნატრობდი: ნეტავი ერთი წრე მაინც შემომატარა ბეგუასთან-მეთქი. ვნატრობდი და თან მერიდებოდა მისი.

სწორედ ამ დროს, თითქოს მეხი გავარდაო, მე და ედარათს შუაში ვეფხვივით ჩამოგვიხტა ალდემირ აჩაბალირხვა.

ეს კაცი ბოროტი სულივით მუდამ თან მდევდა. მისი შიშით მამაჩემი სახლიდან ფეხს არ მადგმევინებდა. მას შემდეგ, რაც აჩაბალირხვა გავიცანი, ცხოვრება მომეშხამა. მამაჩემს მოსწონდა მისი გარეგნობა, თანამდებობა და სიტყვა-პასუხი, მაგრამ ცოლიანი იყო და ცივი უარით გაისტუმრა. აჩაბალირხვა გულს მაინც არ იტეხდა, ცოლ-შვილის მიტოვება და ჩემი მოტაცება განიზრახა, თან თავხედურად აცხადებდა: „ათი ცოლი რომ გამოვიცვალო, ვისი რა საქმეა! სულ ერთია, მაწისას არავის დავუთმობ!“

---

[1] მისალმება.

აი, ვინ გამოწვია საცეკვაოდ იმ ღამეს.

ზეიმის მონაწილეებში ჩოჩქოლი ატყდა, ახალგაზრდები აფორიაქდნენ. ედარათმა ბეგუასთან მიირბინა და უთხრა:

— უნდა გამოვტაცოთ ხელიდან მაწისა იმ ავაზაკს...

ბეგუა ჩუმად გვადევნებდა თვალ-ყურს. არ გამოჰპარვია, ალდემირი მშიერ ტურასავით რომ მომშტერებოდა.

ბეგუამ მშვიდად გაარღვია ხალხი, მოგვიახლოვდა და შუაში ჩაგვიდგა. ალდემირს სიბრაზისაგან ფერი დაეკარგა, მაგრამ რა უნდა ექნა: ტრადიციის თანახმად, ცეკვაში შენაცვლება ნებადართული იყო.

მე ბეგუასთან ცეკვა მიხაროდა, მაგრამ შეშინებულმა ვერაფრით გამოვხატე.

ბეგუამ ერთი-ორი წრე შემომატარა და გვერდზე გამიყვანა.

— საღამო მშვიდობისა, ბეგუა, რას ზეიმობთ დღეს?

შემოვბრუნდით, ჩვენს წინ აჩაბალირხვა იდგა.

— რას ვზეიმობთ? არაფერს. უბრალოდ ვმხიარულობთ. დიდად მოხარული ვართ, შენც რომ გვეწვიე. ნეტავი ვინ გითხრა? — ჰკითხა ბეგუამ.

— მითხრეს, მაგრამ ის აღარ უთქვამთ, ასეთი ანგელოზებიც თუ დაგესწრებოდნენ.

ალდემირმა მე გადმომხედა.

— არა, სტყუი, ალბათ ეგეც გითხრეს და სწორედ იმიტომ გამოგვეცხადე, — სიცილით უპასუხა ბეგუამ...

როცა ბეგუა ზეიმზე მიბრუნდა, აჩაბალირხვამ ვეღარ მოითმინა და თავხედურად მიახალა:

— მიაცილებ და მოაცილებ, მაგრამ იცოდე: ეგ გოგო ჩემია და ცოცხალი თავით არავის დავუთმობ!

— კი მაგრამ, თუკი შეეუყვარდი? — მშვიდად შეეპასუხა ბეგუა,— მაშინ რაღა დაგვიდგება წინ?

ეს იყო და ეს. იმ დღიდან ერთმანეთს მტრად მოეკიდნენ.

ჩვენს სოფელში ბეგუა ორი თვე დარჩა. შემდეგ პარტიამ სოხუმში გაგზავნა სამუშაოდ. კარგა ხანს არაფერი ვიცოდით მის შესახებ, ყოველ ცისმარე დღეს წერილს ველოდი. სოფელში ხმა დაირხა, ტაჭის ქალიშვილსა და ბეგუას ერთმანეთი შეჰყვარებიათ და მალე იქორწინებენო. ამ მითქმა-მოთქმამ მამაჩემის ყურებამდე მიაღწია, მაგრამ გულთან არ მიუტანია: დარწმუნებული იყო, ბეგუა უიმისოდ არაფერს გადაწყვეტდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ამგვარი სასიძო დიდად არც ეხატებოდა გულზე: გლეხი, რა ჭკვიანიც არ უნდა იყოს, მაინც გლეხია, ცარიელ-ტარიელი და უსახლკაროო, ფიქრობდა.

აბა აჩაბალირხვას ვინ შეედრებოდა—დიდებული გვარი, ბრწყინვალე შთამომავლობა! მამა ისე იყო მისით მოხიბლული, რომ შესაძლოა

თანხმობაც ეთქვა ჩვენს ქორწინებაზე. მე ამას ვგრძნობდი, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. ვგრძნობდი და ველოდი. ნუთუ ბეგუა დამივიწყებდა?

მალე დადგა ნანატრი დღეც.

მოსაღამოვდა.

ჰორიზონტი ჩამავალი მზის სხივებისაგან წითლად ღვიოდა.

აკუასკიაში[1] ედარათი შემომეგება.

— აბა იჩქარე, მაწისა, გელოდებიან!

იგი გულღიად შემომცინოდა, თვალებში კი ეშმაკური ნაპერწკალი უთამაშებდა.

— სად?

— ალვის ხის ქვეშ. რამ შეგაშინა, წადი, იჩქარე, ტაპმა არ მოგისწროს.

სიხარულით თავბრუდასხმულმა ყანა ჩავირბინე და წამში ბეგუასთან გავჩნდი.

— ჩვენთან რატომ არ მოხვედი? — მორიდებით შევეკითხე.

— მამაშენის შემეშინდა, ვაითუ კარი არ გამიღოს-მეთქი, — გამეხუმრა.

— მამაჩემი როდისაა ასეთი... — გამოვექომაგე ტაპს.

— ასეთი არ არის თუ სტუმრად მიუხვალ, აბა გამიგოს, რას ვეპირები...

მე ისევ გავწითლდი.

— მაწისა! — ბეგუამ ხელი მომხვია და თვალებში ჩამხედა, — იცოდე შენს ხელთაა,...

ამ დროს ვიღაცამ ჩაახველა. ედარათი იყო, მამაჩემის დაბრუნება გვამცნო.

ელდანაკრავივით გვერდზე გავხტი.

— მელოდე, მაწისა, მელოდე, მალე მოგაკითხავ! — მომაძახა ბეგუამ.

მე კი თვალს ვერ ვაშორებდი, ისე უკან-უკან ვიხევდი სახლისაკენ. ბოლოს შევბრუნდი და გავიქეცი.

მამა ჩვეულებრივ შემხვდა, არაფერი შეიმჩნია. მეორე დღეს კი კანტორაში ბეგუას დაემუქრა: „მე პატიოსანი კაცი მეგონე, შენ კი ჩემს ქალიშვილს დღისით, მზისით პაემანს უნიშნავ! იცოდე, მის ქმრობას ვერ ეღირსები“!

ბეგუამ ხმა არ გასცა. მოხუცთან ჩხუბს მოერიდა.

შინ რომ მობრუნდა, მამაჩემმა დამტუქსა და გამაფრთხილა: მის სიახლოვეს გავლილი არ გნახოო.

ედარათის დახმარებით, მე და ბეგუამ მოვილაპარაკეთ, გადავწყვი-

---

[1] სასტუმრო სახლი.

ტეთ დაქორწინება და სწორედ ამ დროს ტყვიასავით მომახალეს: ბეგუა სამსახურიდან გაათავისუფლეს, საქმე ცუდად წაუვიდაო...

მიაღწია საწადელს აჩაბალირხვამ, ბეგუა საკოლმეურნე მშენებლობის, ხალხის მტრად მონათლა. როგორც ჩანს, მოახერხა ვიღაც-ვიღაცეების დარწმუნება, რომ ბეგუა თავადებთან ერთად ძირს უთხრიდა ახალ ცხოვრებას. მაგალითად აჩბა ჰარიხანი მოიყვანა: თავადის ქალს მხარში ამოუდგა, ფეხზე წამოაყენაო... იმ ვეებერთელა სახლზე, კოლმეურნეებს რომ გადაეცა, სიტყვაც არ თქმულა.

ბეგუა ისე ოსტატურად გახვიეს ცილისწამების ქსელში, რომ სიმართლის დამტკიცება ფუჭი ოცნება იყო. ხალხის მტერი... და მერე ვინ? — ბეგუა, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ბევრი საინტერესო შემთხვევა მიამბო ბეგუას დედამ შვილის ცხოვრებიდან.

ბეგუამ სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. მუშაობდა პედაგოგად მშობლიური სოფლის ოთხწლედში. ექვსი თვის შემდეგ სკოლის გამგედ დანიშნეს, 1932 წ. კი, მისი ინიციატივით, ოთხწლედი ათწლედად გადაკეთდა. ბეგუა საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. პარტიაში შევიდა, შემდეგ სწავლობდა მოსკოვში, აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში. იქიდან დაბრუნებული ხან საოლქო კომიტეტის პროპაგანდისტი იყო, ხან ინსტრუქტორი, ხან სოფლსაბჭოს თავმჯდომარე — ყველგან გატაცებით მუშაობდა, სადაც კი პარტია გზავნიდა.

ასეთი იყო მგზნებარე კომუნისტის ცხოვრება. ვინ იცის, რამდენ კარგ საქმეს ეპირებოდა, მაგრამ ცილი დასწამეს, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ბევრ პატიოსან ადამიანს დაატყდა თავს უბედურება იმ მძიმე დღეებში. ბევრი ვეღარ მოესწრო თავისი შრომის ნაყოფს.

ბეგუას საქმე სულ უფრო ცუდად მიდიოდა. ბევრმა თავი გამოიდო მის დასაცავად, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ფაქტი ფაქტად რჩებოდა: უთანაგრძნო თავადის ქალს, ჰარიხანს, და ვაჭრის ქალზე იყო დანიშნული...

ბეგუამ ედარათის პირით შემომითვალა: დამელოდე, ვიდრე ჩემი საქმე მოგვარდებაო. მამაჩემი მთლად გადაირია: სახლიდან ფეხს არ მადგმევინებდა, ჩემს სიახლოვეს კაციშვილს არ აჭაჭანებდა.

ამ არეულობაში მამამ დრო იხელთა და ჩემი გათხოვება განიზრახა. სასიძო თავადი აჩბა მამაჩემს მოელაპარაკა და ქორწილის დღეც დაინიშნა. ორი დღით ადრე მამცნეს ჩემი „ბედნიერების“ ამბავი.

თავზარი დამეცა, რა ვქნა, რა გზას ვეწიო ამ ორ დღეში? როგორ შევატყობინო ბეგუას? მე გაფაციცებით მდარაჯობდნენ, ედარათიც

არსად ჩანს... ძლივს გამოვეებნე ერთი გოგო და ედარათის მონახვა დავავალე.

... ქორწილის წინა დღეს სახლიდან გავიპარე.

ბეგუას მშობლებმა შინაურული ქორწილი გაგვიმართეს — ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა! დედამთილი და მულები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, სულ თავს დამტრიალებდნენ!

ასე შეერთდა ჩვენი გზები, მაგრამ იმაღე ღამეს გვიმუხთლა ბედმა.

განთიადისას, როცა სტუმრები წავიდ-ყამოვიდნენ, ბეგუა ჩემთან შემოვიდა ამხარაში. აღელვებული ოთახში ბოლთას სცემდა და მეუბნებოდა:

— არა, ამას ვერ გადავიტან მაწისა, რატომ გაწირე თავი, აწი რაღა გვეშველება?

მე დაბნეული შევცქეროდი და ვერაფერი გამეგო.

უეცრად კარი გაიღო, ოთახში უცნობები შემოცვივდნენ და ბეგუას განუცხადეს: „თქვენ დაპატიმრებული ხართ!“

აი, თურმე რა უნდოდათ: როგორც მთვარეს შავი ღრუბლები, ისე შემოგვესივნენ, სახლს გარს შემოერტყნენ და ახალშეუღლებულთა მარტო დარჩენას ელოდნენ. ერთ-ერთი მათგანის სახე თითქოს ვიცანი — ღმერთო ჩემო, აჩაბალირხვა!

— რაღას უდგეხართ, წამოიყვანეთ! — მიუბრუნდა იგი ხელქვეითებს, მე კი ნიშნის მოგებით ჩამილაპარაკა:

— ვაჭრის ასულო, ლამაზო, კარგ დღეში კი ჩააგდე შენი რჩეული...

— ნაადრევად ხომ არ ზეიმობ, ალდემირ? — შეჰყვირა ბეგუამ და თვალები ზიზღით აევსო. შემდეგ გაფითრებული და თითქოს ერთბაშად დაბერებული ჩემკენ შემობრუნდა:

— აქ რაღაც გაუგებრობაა, მაწისა, ნუ გეშინია, დამელოდე, მალე დავბრუნდები!

კარებში დაბნეული შეჩერდა, თითქოს რაღაცას ეძებდა, მერე საათი მოიხსნა, ალბათ მოცემა თუ უნდოდა, მაგრამ აღარ აცალეს და წაიყვანეს.

დაინგრა ჩემი ბედნიერება. აჩაბალირხვა შავ კატასავით შემომეფეთა ცხოვრების გზაზე და დამშეული მხეცივით დააცხრა ჩემს ოცნებებს....

გაიგო თუ არა ჩემი ამბავი, მამაჩემმა მაშინვე მომაკითხა და სახლში წაყვანა ღამიპირა, მაგრამ არ შევეპუე.

მამაჩემი ისე განრისხდა, რომ მართლა წავიდა მთაში და დიდრიპშის ხატთან თავდაყირა დაჰკიდა ანთებული სანთელი — ეს უმკაცრეს სასჯელად ითვლებოდა.

მე ამაზე დიდად არ მინაღვლია, მაგრამ დედამთილს კი სალაპარაკო მიეცა:

— ახია ჩვენზე, აუტკივარი თავი ავიტკინეთ, რა საჩვენო ქალი შენ იყავი!

დედამთილი ოჯახის უბედურების მიზეზად მე მთვლიდა. დიდრიპ-შის ხატთან ანთებული სანთელი მოსვენებას არ აძლევდა და სულ იმას ჩამჩიჩინებდა: ჩემი შვილი შენ დაღუპე, ჩვენი ოჯახი შენ ამოაგდეო. რა მექნა, ბეგუას სიყვარულით ყველაფერს ვითმენდი, მთელ დღეებს ციხის, მილიციისა და პროკურატურის კარებთან ვატარებდი. მხოლოდ ერთმა, ედარათმა არ გამწირა, ღვიძლ ძმასავით მხარში ამომიდგა და მანუგეშებდა. დრანდის ციხეში ბეგუამ სამი თვე დაჰყო. მას შემდეგ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ვეღარ გავიგე...

ასე შემოვრჩი ცხოვრებას ქვრივის თავსაფრითა და ავი დედამთილით. ხუთი წელი გავატარე კუთარბას ოჯახში, ხუთი ტანჯვის წელი. მამა მომიკვდა. დედამთილი სიცოცხლეს მიმწარებდა. ბევრჯერ მირჩიეს ნათესავებმა ქმრის ოჯახიდან წამოსვლა, მაგრამ ვერ დამიყოლიეს.

კოლექტივში შეევედი, შინ თუ გარეთ თავდაუზოგავად ვშრომობდი. ხანდახან გულში ვნატრობდი: ნეტა ბეგუას დაანახა, რა დღეში ვარ-მეთქი.

დედაჩემი დარდისგან დაილია — ერთადერთი ქალიშვილი, რომელზედაც მზე ამოსდიოდა, დაქვრივებული მიუბრუნდა სახლში.

იმედს მაინც არ ვკარგავდი, ვგზავნიდი შეკითხვებს, წერილებს ხან სად და ხან სად... პასუხი კი არ ჩანდა.

ერთხელ გუდაუთაში წავედი, ჩემი წერილის პასუხის მოსაკითხად. გაწბილებული ვბრუნდებოდი უკან და გზაზე ედარათი შემომხვდა. სამი წელი ერთმანეთი არ გვენახა. ბეგუას წაყვანის შემდეგ ედარათი თანდათან ჩამომშორდა, შეეშინდა ავი ენების სათრეველად არ შეიქნესო. იმასაც გრძნობდა, ჩემმა დედამთილმა რომ ამოიძულა.

— ცოლს რატომ არ ირთავ, ედარათ? მარტო რა გაძლებინებს...

ცივმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— ზოგს მე არ ვუნდივარ, ზოგი მე არ მინდა... და ვარ ასე უცოლოდ.

ამ დღიდან სულ თვალწინ მედგა ედარათი. „ზოგს მე არ ვუნდივარ, ზოგი მე არ მინდაო“... მივხვდი, რას გულისხმობდა, მაგრამ მაინც მჯეროდა: ნუთუ კიდევ ვახსოვარ, ნუთუ ჩემ გამო ბერდება უცოლოდ? გამახსენდა მისი სიტყვები: ვიდრე თვითონ არ ინდომებ ჩემს ცოლობას, ხმასაც არ ამოვიღებო...

სიმართლე რომ ითქვას, ედარათი გლეხობასაც ვერ დაიჩემებდა. უღარიბესი მდაბიო წრის ჩამომავალი იყო. მაგრამ ბეგუას შემდეგ ჩემს თვალში ამგვარმა „სამკაულებმა“ სამუდამოდ დაკარგეს ფასი...

გავიდა ექვსი წელი და ბეგუას დაღუპვის ცნობა მივიღეთ — სამი წლის წინ გარდაცვლილიყო შორეულ ბანაკში.

დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა.

სამხედრო კომისარიატთან ედარათს შევხვდი. ერთმანეთი მოვიკითხეთ, გულისტკივილით შემომჩივლა: მესამეჯერ ვთხოულობ ფრონტზე წასვლას და უარით მისტუმრებენო, — მეუბნებიან კოლმეურნეობას მიხედე, როცა დაგვჭირდები, დაგიძახებთო!

— მამა როგორა გყავს? — ვკითხე.

— ძალიან ცუდად, ლოგინად ჩავარდა. იმის დარდი არ მქონდეს, ფრონტის ხაზის მიგნება არ გამიჭირდებოდა!

„რა ვაჟკაცია, — გავიფიქრე გუნებაში, — მამა მოსავლელი ჰყავს, იმხელა კოლმეურნეობას პატრონობს და კიდევ ფრონტისკენ მიუწევს გული...“ მერე ძლივსგასაგონად ამოვილუღლუღე, თუ გახსოვს ერთხელ რა მითხარი-მეთქი.

— როგორ არ მახსოვს, რა დამავიწყებს! — შეშფოთებით წამოიძახა ედარათმა.

— დღეს შეგიძლია იმ სიტყვების გამეორება?

ახლა რომ მაგონდება, გული მიფრიალებს, რამ მათქმევინა, როგორ გავბედე!

— მაწისა! — ედარათს თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ ჩემს ძაძებს შეხედა და თავი ჩაქინდრა.

— შვიდი წელია შავი არ გამიხდია, ეს ნუ შეგაშინებს, — ჩუმად ჩავილაპარაკე.

ერთი კვირის შემდეგ მე და ედარათი დავქორწინდით.

რა ბედნიერი იყო ედარათი! ვეღარ იცნობდით, მხრებში გაიშალა, გულიდან დარდი გადაეყარა და მთელი გატაცებით დაუტრიალდა სოფლის საქმეებს. მაგრამ სადაც არ უნდა წასულიყო სამსახურის საქმეზე, გული მუდამ შინისკენ მოუწევდა.

მამამისიც მომჯობინდა, ფეხზე წამოდგა, ოჯახში დიასახლისის შემოსვლამ გაახალისა, გვერდიდან არ მშორდებოდა და რითი გავეხარებინე იმას ფიქრობდა.

მეც გამოვიცვალე. ბეგუაზე ფიქრს თავს ვარიდებდი, საბოლოოდ ვირწმუნე, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ვეღარ დავიბრუნებდი. ედარათი კი ჩემი ცხოვრების აწმყო და მომავალი იყო, ჩემი ბედნიერების სათავე, თვალს ვერ ვაშორებდი, სულ მასთან ყოფნა მინდოდა.

ზოგჯერ წარსული თავს მახსენებდა, უნებურად ცრემლსაც ბევრს მაღვრევინებდა, მაგრამ ედარათს რას გამოვაპარებდი? მსაყვედურობდა ხოლმე:

— მაწისა, გევედრები, ჩემთან როცა ხარ, იმას ნუ იხსენებ, არ შეიძლია, ხომ იცი...

მეც თავს ძალას ვატანდი და გაუმხელელ ნაღველს გულში ვიმარხავდი.

ერთხელ ედარათი აღელვებული დაბრუნდა შინ.

— მაწისა, რას იზამ, ფრონტზე რომ წავიდე?

გული გადამიქანდა, ცრემლები ვეღარ შევიკავე. ედარათმა ხელი მომხვია:

— აბა, მაწისა, დაფიქრდი, რამდენი ვაქცაცის სისხლი იღვრება მამეულისათვის, მე კი აქ რას ვაკეთებ?

მე კი ვტიროდი, ცრემლად ვიღვრებოდი, აღარ მინდოდა მარტოობა, აღარ მინდოდა ქვრივის ბაძები... გული მიკვნესოდა უბედურების მოლოდინში.

დადგა 1944 წელი. ომიდან დაბრუნდა ძველი თავმჯდომარე, რომელსაც ედარათი ცვლიდა. ედარათმა თავმჯდომარეობა მას გადაულოცა:

— ჩაიბარე, ძმაო, შენი კოლმეურნეობა! ჩაიბარე და უპატრონე!

მერე მომიბრუნდა და შემეხვეწა:

— მაწისა, გევედრები, ცრემლებით ნუ გამაცილებ.

— აბა, რა ვქნა, ხომ ხედავ, რა მდგომარეობაში მტოვებ, ეს ავადმყოფი მოხუციც ჩემს იმედზეა.

არ მინდოდა მისი გაშვება, რა მექნა, ცხოვრებამ დამქანცა, მომავალი მაშინებდა.

ედარათი ჯერ ვერ მიმიხვდა, მერე გახარებულმა ხელში ამიტაცა და მითხრა:

— ნუ დარდობ, ერთი წელი გაიჭირვე და დავბრუნდები, მაწისა. დავბრუნდები და ორი ვაჟიშვილით დამიხვდები. ნახე თუ ასე არ იქნება, მერე გვერდიდან აღარ მოგშორდები, სულ ერთად ვიქნებით და შეთვის ვიცოცხლებთ!

...ასე ვცხოვრობდი, თვალი სულ გზისკენ მეჭირა. ველოდი იმ წუთს, როცა ორი ვაჟიშვილით შევეგებებოდი მშვიდობით დაბრუნებულ ედარათს.

შვილის ფრონტზე წასვლამ მთლად დააუძლურა მოხუცი მამა, უმწეო ბავშვს დაამსგავსა.

გათენებისას გავიდოდი სახლიდან თამბაქოს მოსაკრეფად, ორ-სამ კალათს მოვზიდავდი, ნალიაში გავფენდი და ჩაის საკრეფად გავრბოდი. საღილობამდე ჩაის ვკრეფდი, მერე შინ ვბრუნდებოდი, მამამთილს ვასადილებდი, მივალაგ-მოვალაგებდი და ისევ გასაშრობად გაფენილ თამბაქოს ფურცლებს დავტრიალებდი თავს.

ცხრა თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა მამამთილი გამიხდა ავად.

— მაწისა, აბა შენ იცი, კერია არ გამიცივო, აქაურობა არ მიატო-

ვო! — მთხოვდა დაუძლურებული მოხუცი და ამ სიტყვებით გამოესალმა წუთისოფელს.

საოცარი ამბავი მოხდა, ედარათს ნატვრა აუსრულდა: ტყუპი ვაჟი შემეძინა!

კოლმეურნეებმა მისალოცი დეპეშა აფრინეს ფრონტზე. მაგრამ დაგვიანებით... უკან დაგვიბრუნდა ედარათის დაღუპვის ცნობასთან ერთად.

მალე ომი დამთავრდა, მეომრები დაუბრუნდნენ ოჯახებს, ედარათმა კი სიტყვა ვერ შეასრულა, ვეღარ მოესწრო ბიჭების ნახვას...

ერთმა რუსმა კაცმა მომწერა, როგორ დაიღუპა ედარათი:

„რაიხსტაგს ვუტევდით. გაცხარებული ომის დროს მოიტანეს დეპეშა. ედიკმა (ასე ეძახდნენ ედარათს ფრონტზე) მტრისგან გაწმენდილ მეორე სართულის სარკმელს წითელი დროშა მიამაგრა. სწორედ ამ დროს დაეუძახეთ: მოგვილოცავს, ბიჭები გყავს, ბიჭები! გახარებული გამოიქცა, მაგრამ ჩვენამდე აღარ მოსულა. ტყვიამ არ აცალა...“.

ედარათის ამბავს დიდხანს მიმალავდნენ, ბოლოს როცა ომი დამთავრდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დამიბარა და დაღუპვის ცნობა გადმომცა.

თავზარდაცემული დავბრუნდი სახლში და ტირილისაგან დაქანცული ისევ ქვრივის ძაძებში გავეხვიე.

გავიდა ხანი, ჩემი ბიჭები წამოიზარდნენ და სამუდამოდ ჩარჩათ მახსოვრობაში შავად შემოსილი, ცრემლგამშრალი დედა.

უბედურებამ ვერ გამტეხა. შევუსრულე თხოვნა მამამთილს, ოჯახი არ მივატოვე, შვილები დავზარდე.

ჩაის კრეფაში ვერავინ მჯობნიდა, მოწინავე მერგოლური ვიყავი. ჩამოდიოდნენ სტუმრები, დელეგაციები, ნახულობდნენ ჩემს ნაკვეთს და აოცებდათ ჩემი თითების სისწრაფე. მალე შრომის წითელი დროშის ორდენით დამაჯილდოეს. მიხაროდა და კიდევაც მეუხერხულებოდა— ღირსად არ ვთვლიდი თავს. სწორედ მაშინ მოხდა ერთი უცნაური ამბავი. ორდენის გადმოსაცემად სოფლსაბჭოში დამიბარეს. გუდისამ მითხრა:

— მთავრობაში უჩივლიათ შენს საქმეზე. წერილს ერთ-ერთი ჩვენი ხელმძღვანელი აწერს ხელს... საჭიროდ მიიჩნევს, შენს დაჯილდოებაზე თავი შევიკავოთ, შენი პირველი ქმრის ბეგუას გამო... ხომ იცი...

— აჩაბალირხვა იქნება! — მაშინვე მივუხვდი.

— არ ვიცი... ვერაფერს გეტყვი...

გუდისა უხერხულად შეიშმუშნა.

— თუ მთავრობა ჩემს დაჯილდოებას შეცდომად თვლის, გადახედოს საქმეს! — ვთქვი და წამოვედი.

დადგა ნანატრი დღეც—გაამართლეს ადამიანები, რომლებიც ცილის-

წამებას ემსხვერპლნენ. ო, როგორ მიხაროდა! რა ვუყოთ რომ ველარ დაბრუნდნენ, სამაგიეროდ სახელი დარჩებათ შეუბღალავი. გადავწყვიტე ბეგუას რეაბილიტაციისათვის მეზრუნა.

ამ დროისათვის შვილები წამომეზარდნენ, ტყუპები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანდნენ ერთმანეთს, დამჯერე და გულის ბიჭები იყვნენ, არ მაწვალებდნენ.

მამას ჩემი ნაამბობით იცნობდნენ, მაგრამ აღმერთებდნენ, ამქვეყნად ყველაზე საუკეთესო მამად მიაჩნდათ.

— მამას გეფიცები! — ამაზე უწმინდესი ფიცი მათთვის არ არსებობდა.

ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში: ბეგუას რეაბილიტაციის ცნობა მივიღე. მაშინვე სოხუმს მივაშურე, ახლა შემეძლო ბამედინა ის, რაზედაც ამდენ ხანს ვოცნებობდი.

აჩაბალირხვას კაბინეტის კარი სწრაფად შევაღე. იქაურობა ხალხით იყო სავსე, ალბათ კრება თუ ჰქონდათ.

ცენტრში გაბღენძილი იჯდა თვით აჩაბალირხვა, ხელები სკამის საზურგეზე შემოეწყო, თითქოს ქვეყნის სამართავ საქმეს უზისო. ჩემს დანახვაზე სიტყვა გაუწყდა და გაბრაზებულმა მომხალა:

— მიბრძანდით, ჩვენ დაკავებული ვართ! — მერე მიცნო და უხერხულად აწრიალდა სკამზე.

მე მშვიდად მივუახლოვდი და ცნობა გავუწოდე.

აჩაბალირხვამ გამომართვა, უცბად ჩაიკითხა.

— აა, ეს შენა ხარ, მაწისა, საოცარია, კინაღამ ვერ გიცანი, მომილოცავს, საბრალო ბეგუა... — წაილუღლუღა მან.

თითქოს ამ სიტყვებს ველოდი, კრიჭაშეკრული მივუახლოვდი და სილა ვტკიცე.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ადგილიდან არავინ დაძრულა.

— ესეც შენ იმათგან, ვინც შენი წყალობით გაუბედურდა... შენისთანა გარეწარი მეტს იმსახურებს, მაგრამ ჯერჯერობით ეს იკმარე! — მერე, გაალმასებულმა, ცნობა ხელიდან გამოვტაცე და გარეთ გამოვვარდი.

ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა: შევედი, გავარტყი, გავლანძღე და გამოვედი.

ახლაც თვალწინ მიდგას აჩაბალირხვა, როგორ იტაცა ლოყაზე ხელი, როგორ მომაშტერდა ბილწი თვალებით.

რამდენიმე ხნის შემდეგ შევიტყვე, აჩაბალირხვა სასამართლოს გადასცეს პატიოსან ადამიანთა ცილისწამებისა და დაღუპვისათვის.

ბეგუას რეაბილიტაციის ცნობა დედამისს გავუგზავნე. გაიხარა

ქალმა. სიბერეში მაინც ეღირსა შვილის გამართლებას, ახლა ბეგუას სახელს ყველანი პატივისცემით ახსენებდნენ.

მართალს ამბობს ხალხი: თუ კაცმა ჩაიჩოქა, ძნელად გაიმართება, მაგრამ თუ გაიმართა, მის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფსო. მეც ასე მომივიდა.

ერთხელ სკოლიდან მოსულ ბიჭებს ვაპურებდი. მეც გვერდით მიეუჯექი, სამუშაოდან ახალდაბრუნებულს მშიოდა, ბიჭები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ახალ ამბებს მიყვებოდნენ.

— ნანა[1], იცი ვინ დაბრუნდა? ჩვენი მეგობრის, ხუმას, ბიძა.

— რომელი ბიძა?

— კუთარბა ბეგუა, თურმე ოცი წელი გადასახლებაში ყოფილა.

ვაიმე, ბეგუა დაბრუნებულა!

გავშეშდი, თითქოს გულისცემაც გამიჩერდა. თვალებზე ბინდი გადამეფარა და მერე აღარაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, სოფლის საავადმყოფოში ვიწექი.

ერთი-ორი დღის შემდეგ მოვიკეთე, დავმშვიდდი, მაგრამ ბეგუაზე ფიქრი ვეღარ მოვიშორე.

ერთი ვნახოთ და მოვიდეს, რა უნდა ვუთხრა? როგორ მოვიქცე?

გავიდა დღეები, ერთი, მეორე, მესამე — ბეგუა არ გამოჩენილა, არავის უხსენებია, არც მე მიკითხავს მისი ამბავი.

საავადმყოფოში მთელი კვირა დავრჩი. გუდისა და ალხასი დღეში ორჯერ მაკითხავდნენ. მხოლოდ ბიჭების ნახვა მამშვიდებდა და, აი, ერთხელ, როცა აფორიაქებული მათ მოსვლას ველოდი, კართან უცნობი აისვეტა.

ბეგუა, ბეგუა მოვიდა!

— ავადმყოფი ცუდადაა, ნუ შეაწუხებთ! — წინ გადაუდგა ექთანი, მაგრამ მაინც შემოუშვა, გაკვირვებულმა იმით, რომ უცბად გავყუჩდი. გაოგნებული წამოვჯექი საწოლზე და თვალებს არ ვუჯერებდი.

ბეგუას ახლობლის მეტი ვერავინ იცნობდა. მთლად გათეთრებული თმები შესთხელებოდა, ლოყები ჩაცვივნოდა და ნაღვლიან გამოხედვაში ძველებური სიხალისის ნატამალიც აღარ გამოკრთოდა.

ძლივს ამოიღო ხმა და უცხო კაცივით თავაზიანად მომიკითხა. მეც როგორც უცხოს ისე ვპასუხობდი და ცრემლებს ძლივს ვიკავებდი...

— გილოცავ დაბრუნებას, დიდიხანია ჩამოხვედი?

— არა, წინა შაბათს. მაშინვე დავაპირე შენი ნახვა, მაგრამ... ახლა ჩამოვედი და საავადმყოფოშიაო, მითხრეს...

მაშ, ვახსოვდი, ჩემი ნახვა უნდოდა! ცრემლები ყელში მომებჯინა, უეცარი სიხარულის ცრემლები, მაგრამ თავს ვძლიე.

---

[1] ნანა — დედა.

მოვიდა მომვლელი და ბეგუას შეახსენა: ნახვის დრო ამოიწურა, ავადმყოფს მოსვენება ესაჭიროებაო.

ბეგუამ მუდარის თვალით გადახედა, მაგრამ მომვლელმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

ბეგუას ნახვის შემდეგ მალე მოვმჯობინდი, ერთ კვირაში საავადმყოფოდან გამწერეს.

მერე ერთმანეთი აღარ გვინახავს! არც მე მიძებნია მისი გზა-კვალი. შევიტყვე რომ ბევრი სამუშაო ჰქონდა, ისიც მითხრეს, ცოლი არა ჰყავსო. ამან ცოტა კი ამაფორიაქა, მაგრამ უფრო ის მადარდებდა, ბიჭებს არაფერი შეეტყოთ.

ამ დროს, თითქოს ჯიბრზე, ჩვენი თავმჯდომარე, გუდისა გახდა ავად, ნაჭრილობებმა შეაწუხა, საავადმყოფოში დააწვინეს საოპერაციოდ.

გუდისა, მისივე თხოვნით, თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს და მის მაგივრად საერთო კრებაზე ბეგუა კუთარბა დაასახელეს.

მე კრებას ვესწრებოდი, სიხარულით შევცქეროდი ბეგუას და ვფიქრობდი: მაინც დაუბრუნდა ცხოვრებას, ზედმეტი არ აღმოჩნდა, უსარგებლო. მერე ჩვენი სიყმაწვილე გამახსენდა... თითქოს არ ყოფილა ის ოცი წელი... ეჰ, ნეტა არც ყოფილიყო...

მიხაროდა ბეგუას წარმატება და თან ვბრაზობდი: რატომ დათანხმდა ჩვენს სოფელში მუშაობაზე, ნუთუ არ იფიქრა ჩემზე, ხალხი ალაპარაკდება, ბიჭები შეიტყობენ...

არ დააყოვნეს ავმა ენებმა, სოფელში ხმა დაირხა, ბეგუა მაწისას გამო ჩამოვიდა, უიმისოდ ვერ სძლებსო.

პირველად ამ მითქმა-მოთქმას გულგრილად შევხვდი, მაგრამ თანდათან გუნება შემეცვალა: მიძინებულმა გრძნობამ გაიღვიძა, წლებმა სატკივარი გამინელა, ედარათის სახე ისე ქრებოდა ჩემს მახსოვრობაში, როგორც ვარსკვლავი განთიადზე.

ბეგუა, როგორც იტყვიან, ხელებდაკაპიწებული შეუდგა საქმეს, მაშინვე გამონახა საერთო ენა კოლმეურნეებთან. კვირაში ორ-სამჯერ ჩამოუვლიდა ბრიგადებს, ეთათბირებოდა უფროსებს, უმცროსებს ეხმარებოდა, სხვებს ასწავლიდა და თავადაც მათგან სწავლობდა. გახალისდა, თვალებში ძველებური ცეცხლი აუგიზგიზდა...

ჩვენ სულ ხალხში ვხვდებოდით ერთმანეთს, ხან მინდორზე, ხან სკოლაში, სადაც მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. მარტო არც მე ვცდილობდი მასთან შეხვედრას, გულახდილად რომ ვთქვა, ძველებურად აღარც მაღელვებდა, თვითონაც არ ვიცოდი, რა მემართებოდა...

მასთან საუბარი კი მაინც მინდოდა, მომიყვებოდა, სად იყო, რა განიცადა და თვითონაც მოეშვებოდა გულზე...

ერთხელ ბეგუამ სახლში მოგვაკითხა, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე

ახლდა, ყარამანი. მე ქათამი დავკალი, ღომი გავამზადე, ღვინო გამოვიტანე და ლაზათიანად დავუხვდი სტუმრებს.

ბეგუამ რვეულებისა და წიგნების ფული აჩუქა ბიჭებს.

— როგორ ჰგვანან მამას, გაგიკვირდება! — თქვა და ღვინო მოსვა.

შემდეგ სადღეგრძელო წამოიწყო:

— შენ გაგიმარჯოს, ჩემო მხსნელო!

მე შეშინებულმა გადავხედე ბავშვებს.

ბეგუა მიმიხვდა და მაშინვე გადააკეთა ნათქვამი, დამლოცა და ჭიქა გამოსცალა.

არა, აწი კი ვერაფერი მიშველის... ნამდვილად მიხვდებიან ბიჭები...

ღმერთს ვევედრებოდი, ნუ გამწირავ-მეთქი, კარგი იყო ერთხანს არაფერი გაეგოთ, დაიზრდებოდნენ, უფრო სწორად გამიგებდნენ. მეშინოდა, გული არ სტკენოდათ, მათი მამის ხსოვნას ჩრდილი არ მისდგომოდა.

ბეგუა ძალზე თავშეკავებულად იქცეოდა, ისე ზომიერად, ჩვეულებრივად ეჭირა თავი, ეჭვიც კი შემეპარა, აღარ ვუყვარვარ-მეთქი.

რა ვუყოთ, ვფიქრობდი ზოგჯერ, დრო ყველაფრის მკურნალია, ალბათ აღარ ვუნდივარ — სხვისი ნაცოლარი, შვილებიანი...

...სწრაფად, დაუღალავად დაქროდნენ ჩაის ბუჩქზე ჩემი თითები. ბიჭები სკოლაში გავისტუმრე და ფიქრებში წასული ვმუშაობდი.

— ბზია ბუიტ! — შემომესმა ვიღაცის ხმა, თავი ავწიე და ყარამანი და ბეგუა დავინახე. მეც მივესალმე, ბეგუა მომიახლოვდა და ჩაის ფოთლებს ჩახედა კალათში. საოცრად მხიარული და თითქოს გაახალგაზრდავებული მეჩვენა. თვალები ისე უციმციმებდა, როგორც მაშინ, ოცდახუთი წლის წინათ, ჩვენს პირველ პაემანზე... ალვის ხეც იქვე იდგა, ცაში აზიდული ლამაზი ტოტებით, პატარძალივით კეკლუცი. „მელოდე, მაწისა, ჩემი ბედი შენს ხელთაა, მაწისა!“ ეჰ, წლები, წლები...

— ბეგუა, მე ახლავე მოვალ...—თქვა ყარამანმა, ღობეს გადაევლო და გაუჩინარდა.

— მაწისა! — ჩუმად წამოიწყო ბეგუამ, მე კი მეგონა მეხი გავარდა, ხმა არ ამომიღია, უაზროდ ვკრეფდი ჩაის ფოთლებს და კალათაში ვყრიდი. ბეგუამ ხელი მომკიდა, გამაჩერა.

— შენ ისევ ისეთი ხარ, მაწისა, სულ არ გამოცვლილხარ.

ხელი გავაშვებინე და კრეფა განვაგრძე. მან ეს საყვედურად მიიღო.

— მე შენ არ გემდური, მაწისა, არც გადანაშაულებ. ამის უფლება არა მაქვს! ვიცი, ჩემ გამო ბევრი უსიამოვნება შეგემთხვა, მაგრამ რა ქნა, რითი გადაგიხადო... მე ყველაფერი გავიგე, მესმის შენი... მინდოდა ერთად ვყოფილიყავით და არ დამცალდა. ახლა, ახლა ხომ არაფერი შეგვიშლის ხელს, მაწისა?

ხმა არ ამომიღია, შეკითხვა უპასუხოდ დავტოვე.

— შენ რა, არ მეთანხმები, მაწისა? — შეშფოთებით მკითხა ბეგუამ.

— გეთანხმები, ბეგუა, — ძლივს ამოვილულღუღე, — მაგრამ...

და შემდეგ ფრთხილად გადავიტანე საუბარი სხვა თემაზე. ვუთხარი რომ გამიხარდა მისი დაბრუნება, მაგრამ საჭიროა იფიქროს დედაზე, ოჯახზე, მომავალზე...

ბეგუა მიხვდა, პასუხს რომ ავერიდე და განაწყენდა.

— შენ ამას გულით ამბობ, მაწისა? — მკითხა მოგვიანებით, როცა დუმილი აუტანელი გახდა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, სხვა გამოსავალი არ არსებობს. უმჯობესია მკვლრად ჩამთვალო, — ამ სიტყვების თქმა გამიჭირდა და ძლივს ამოვღერღე.

— კი მაგრამ, მე იგივე ვარ, მაწისა, არ შევცვლილვარ!

— სამაგიეროდ მე გამოვიცვალე, სხვაზე გავთხოვდი, არ დაგელოდე, შვილები მყავს...

— შენი შვილები მე ძალიან მიყვარს, მათ არაფერს მოვაკლებ.

ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი. ბეგუა თითქოს წამში დაბერდა, წავიდა და ჩემი გულიც თან წაიღო.

დამეწყო ტანჯვის დღეები. ბიჭები მიყვებოდნენ სად ნახეს თავმჯდომარე, რით გაუმასპინძლდა მათ და რა უთხრა.

— დედა, რა კარგი, რა კეთილი კაცია. სულ მამასა ჰგავს, ჩვენი მამიკოც ასეთი იყო, არა? — ხშირად მეკითხებოდნენ შვილები.

მე არ ვპასუხობდი, მაინც არ მეშვებოდნენ.

— დედა, გვითხარი, რა იქნება, ხომ ჰგავს ძია ბეგუა ჩვენს მამას?

— ჰგავს, შვილებო, ჰგავს.

ბეგუა კი იმ დღის შემდეგ აღარ მინახავს.

პირველი მაისი იყო.

სკოლის სტადიონზე დიდი ზეიმი გამართეს. დღი, კონცერტი და თამაშობანი ასობით მაყურებელს იზიდავდა. ბიჭები კოხტად გამოვაწყვე და სტადიონზე გავუშვი. მე სახლში დავრჩი, გული მაწუხებდა და ბეგუასთან შეხვედრასაც ვერიდებოდი.

მთელი დღე ბიჭებს მოუთმენლად ველოდი, გუდისას დღეში უნდა მიეღო მონაწილეობა და ვღელავდი.

საღამოს მათმა მოსვლამ გამახალისა, კარგ გუნებაზე იყვნენ, დღის ამბებს მიყვებოდნენ.

— დედა, იცი გუდისამ პრიზი მიიღო! — საზეიმო ტონით განაცხადა ალხასმა.

— აბა, რა პრიზია, მაჩვენეთ!

ვერა ხედავ, ხელზე უკეთია, ჩვენმა თავმჯდომარემ აჩუქა, ჩემგან გქონდეს შენი გამარჯვების აღსანიშნავადო.

— მიჩვენე, ნან! — ხელი მოვხვიე გუდისას და საათს დავხედე. გამიკვირდა, თითქოს სადღაც მენახა... სად? და უცბად გამახსენდა ჩვენი ქორწილის ღამე, ბეგუას წაყვანა...

გუდისამ ყურთან მიიტანა საათი: წიკ-წიკ-წიკ-წიკ — წიკწიკებდა საათი და თითქოს მღეროდა: თუმცა წლები გავიდა, თუმცა ბევრი ვიწვალეთ, ჩვენ იგივე ვართ, ჩვენ იგივე ვართ...

— რამ ჩაგაფიქრა, ნანა? — მკითხა ალხასმა.

— საათზე ვფიქრობ. თქვენ არ იცით, ეგ რა საათია... გაუფრთხილდით, შვილებო!

— მაინც რა საათია, მოგვიყევი, რა, დედა!

მეც, როგორც იქნა, გავბედე და ყველაფერი ვუამბე ბიჭებს. როგორ ჩამოვიდა ბეგუა ჩვენს სოფელში, როგორ სწავლობდა მოსკოვში და რა მოწინავე სასახელო კაცი იყო. ყველაფერი ვუამბე, მაგრამ საკუთარ თავზე არაფერი მითქვამს. ვთქვი, რომ ბეგუას უყვარდა ერთი ქალი, ქორწილის ღამეს სახლიდან წაიყვანეს, ამ საათის დატოვება უნდოდა და ვეღარ მოასწრო.

ჩემმა ნაამბობმა ააღელვა ბიჭები და ბეგუა კიდევ უფრო მეტად შეუყვარდათ.

— მერე სად წავიდა ის ქალი, ცოცხალია? — იკითხა ალხასმა.

— კი, შვილო, ცოცხალია. დიდხანს ელოდა საყვარელ ადამიანს, ცდილობდა ეხსნა განსაცდელისაგან, მაგრამ ვერაფერს გახდა. მე კარგად ვიცნობდი, ამხანაგები ვიყავით. შვიდი წელი ელოდა, თუმცა გარდაცვალების ცნობა მიღებული ჰქონდა. მერე რა უნდა ექნა? — გათხოვდა ერთ ყმაწვილზე, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა. ცხოვრობდნენ ბედნიერად, მაგრამ ომი დაიწყო და ყმაწვილი ფრონტზე წავიდა...

— შეხე, როგორც ჩვენი მამიკო! — წამოიყვირა გუდისამ.

— მერე, მერე რა მოხდა? — გვითხრა ალხასმა, — ბეგუა რომ დაბრუნდა, აღარ მოძებნა ის ქალი?

— მოძებნა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— რატომ ნანა?

— იმიტომ, რომ ვაჟიშვილები ჰყავს და ისინი კი დედის გათხოვების წინააღმდეგი არიან, შენს შვილობაზე უარს ვიტყვითო, — ეუბნებოდნენ. დედაც ბედს დაემორჩილა, რა ქნას, შვილები ეცოდება. ბეგუაც აღარაფერს ამბობს, არის თავისთვის.

— აი მესმის, დედა, შვილის გულისათვის რა უქნია, — თქვა ალხასმა.

— შვილი კი ნამდვილი სულელი ჰყოლია, ბეგუასთანა კაცის მამობაზე როგორ თქვა უარი, — დაუმატა გუდისამ.

— ალბათ არ იცნობდა ბეგუას, — შეეპასუხა ალხასი, — თორემ უარს როგორ იტყოდა.

— ჰო, ჰო, რა გულადები ხართ, — ეუთხარი ბიჭებს, — აბა, თქვენი დედა იყოს, რას იტყოდით...

მოიღუშნენ ბიჭები, ცხვირი ჩამოუშვეს. მივხვდი, რომ გადავამლაშე, მაგრამ რაღა დროს, სიტყვა გასროლილი ტყვიასავითაა, უკან ვეღარ დაიბრუნებ.

იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა. ვდარდობდი, ბავშვებთან ასეთ საკითხზე სერიოზულად კი არა, ხუმრობითაც არ შეიძლება ლაპარაკი.

...მეტი რაღა გითხრა, აი სწორედ ის საათი გავტეხე, იმიტომ ვწუხვართ...

მაინც რა საოცრებაა ბუნება! ხან ცა, ღრუბლებით დაჯანღული, მოიქუფრება, არემარე ნისლში თვლემს, ხან მიწა თოვლის სპეტაკ საბურველში ეხვევა და ბავშვის გონებასავით ნათელ ფერებში კეკლუცობს, ხან წვიმა მოდის, ცრის და ცრის გაუთავებლად, ხან ისევ გადიციალებს და ასე მისდევს დღეს დღე... საკვირველია, მზიანი დღეები მაინც სჭარბობს ჩამოქუფრულ, სევდიან დღეებს. აბა, ვის უნახავს თოვლი ზაფხულში? ზამთარში კი თეთრად გადაპენტილ მინდორზე თვალისმომჭრელად ციმციმებენ მზის ოქროსფერი სხივები.

...ლამაზი, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ ფანტელებს. საკმარისია ქარმა დაუბეროს, ღრუბლები მიმოფანტოს და მოკრიალებულ ცაზე მნათობი ამოცურდება, მოციალე ვარსკვლავებით გარშემორტყმული.

მთვარის შუქზე დათოვლილი არემარე ვერცხლისფრად ანათებს.

სიჩუმეა.

სამარისებური სიჩუმე.

მაგრამ აი ხმაურმა შეათრთოლა ჰაერი. ჭიშკართან ჩემი მასპინძლის სახლისაკენ ორი ლანდი გამოეშურა. ერთი მაღალია, მეორე დაბალი, ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ — მოაბიჯებენ თოვლში. უცბად დაბალი ეცემა, მაღალი წამოაყენებს, თოვლს ჩამოუბერტყავს, მერე ისევ მოდიან და უკან ზოლად რჩებათ გაკვალული ბილიკი.

კბრს მოადგნენ, დაბალი ხმამაღლა ხითხითებს და მთელი ძალით აბრახუნებს.

— აა, ნან, მოხვედი? — ეგებება მაწისა.

ბიჭი სახლში შერბის.

— გამარჯობა, მაწისა! — მოისმის კაცის ხმა.

— გაგიმარჯოს, ბეგუა, სად შეხვდით ერთმანეთს?

— შეკრებიდან მოვდიოდი, გუდისა კი კინოდან... ჰოდა, მოვყევი სახლამდე...

— ღმერთო ჩემო, რატომ შეწუხდი... შემობრძანდი...

ბეგუა შეყოყმანდა. მაწისას სიტყვებში თავაზიანობის მეტი ვერაფერი ამოიკითხა.

— არა, წავალ, უკვე გვიანაა... ღამე მშვიდობისა!

ბეგუა თავის გაკვალულ ბილიკს გაჰყვა.

— ღამე მშვიდობისა, მადლობელი ვარ!—მიაძახა სტუმარს მაწისამ.

ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ — ისევ ხრაშუნობს თოვლი. მაგრამ ახლა მძიმედ, უხალისოდ მიაბიჯებს ბეგუა. მერე ჩერდება და ერთს კიდევ გახედავს მაწისას სახლს, — ეჰ, იქ უკვე აღარავინაა, კარიც მიუხურავთ.

...თენდება. მოწმენდილი ცა ისევ ილუშება, ისევ თოვს, ფართო ფუმფულა ფანტელებმა დაფარეს სტუმრის გაკვალული ბილიკი.

1960

ვლადიმერ ანქვაბი

ვლადიმერ პლატონის ძე ანქვაბი დაიბადა 1928 წელს გაგრაში. მისი ლექსების პირველი კრებული — «ჩემი მთის მდინარე», გამოვიდა 1954 წელს, ხოლო 1965 წელს გამომცემლობა «მოლოდაია გვარდიამ» ცალკე წიგნად დაბეჭდა პოეტის ახალი ლექსები «ისეცოცხლე გრძელდება». ვ. ანქვაბმა 1966 წელს დაწერა რომანი ლექსად «აბრსკილი».

ვ. ანქვაბი არის სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზური ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე.

მთის მდინარეს

მე შენს კლდოვან ნაპირზე ვშობილვარ და გავზრდილვარ;
შენს დაბურულ ჭალებში მიმღერია ხანგრძლივად...
მიყვარდი და მიყვარხარ, მეყვარები კიდევაც;
შენთან ჩემს პოეზიას ბრკე არ მოეკიდება...
გაგიპია შუაზე მშობლიური მთები და —
მოჰქრი აქაფებული მთვარისფერი ფრთებითა;
იგანივრებ, ილრმავებ ღურღუმელა კალაპოტს,
მზეც დაგხედავს ხანდახან, რომ ხმალივით აგანთოს...
შენ თუ მკაცრმა მყინვარმა ორწოხებში გისროლა,
მანვე თან დაგადევნა მყისვე მარადისობა;
გალავნიან ქაჯეთად აყუდებულ ქანჩახებს
გაუბზარავ ლიბოზე ზვირთებს ზათქით აჯახებ...
შენი სუნთქვა ქარებსა ექსოვება ალერსად,

მერე ბარში ჩასული თავს ევლება ბაღებსა;
აღარც შენა ბრკოლდები ნაომარი ტალღებით,
ჩახვალ, ვერცხლის თასმებად მინდვრებს დაექარგები. . .
დაილოცოს, მდინარევ, ქვეყნად შენი გამჩენი,
ხაოიან ტუჩებით დაგსევიან არჩევები;
აფხაზეთის ასულთაც, ვაშლს რომ უგავთ ლოყები,
შენგან მიაქვთ სასმელი ყელმაღალი დოქებით. . .
შენგან მიაქვს აფხაზეთს ის ძალ-ღონე დიადი,
ელმავლებს რომ მიაფრენს ცივ რელსებზე გრიალით;
ოჯახებს რომ ანათებს, დოლაბებსაც აბრუნებს,
ბნელს რომ უთინათინებს მგზავრებს გზადაკარგულებს. . .
მე შენს კლდოვან ნაპირზე ვშობილვარ და გავზრდილვარ,
შენი მთების თიხნარი მიძერწია ბარძიმად. . .
მოხვალ, მოექანები და იღრმავებ კალაპოტს,
თითქოს გინდა ფსკერიდან განძი ამოალაგო. . .
მოხვალ, მოექანები, თან მოგდევენ ქარები,
რიალებენ ჰაერში ტალღის ნაშხეფარები...
შენ ვერც სიცხე დაგაშრობს, შენ ვერც ყინვა გაგთანგავს?
შენ არ გაიწირები დაუნდობარ ჟამთაგან!. .

1958

ფიჭვი ბიჭვინთაში

იმეორებდნენ მთები მწყემსის დაძახილს ხევში.
ხელში დოლაბისტოლა ყველს აბრუნებდა მწყემსი.
იღვენთებოდა ხიდან ბზიფის ველური თაფლი;
დუღდა და დუღდა ირგვლივ ცისა და მიწის მადლი.
სწორედ აქ დაივანა ჩვენმა ჯიშმა და მოდგმამ;
გაცოცხლდა ხმელი ხეც კი, მწვანე მოისხა ლოდმა.
მაგრამ მტრის ურდოები მოადგნენ გემით ნაპირს;
აუშვეს ცაში კვამლი, ძაძა ჩააცვეს აპრილს.
თქეშად დაღვრილი სისხლი ვერ დაიტია ბზიფმა;
მიწა გახია სხვა მხრივ მომატებულმა ზვირთმა. . .
ხელი დარიეს დოვლათს, ტვირთეს გემები თვისი;
წამოაქციეს ხენიც, დალიეს ხეთა სისხლიც. . .
სპობდნენ, რასაც კი ეცხო სიცოცხლის ნიშანწყალი;
ფერფლად ათოვდა ხევებს ხისა და ქვის ნამწვავი...
ბიჭვინთას ფიჭვთა შორის შენა ხარ ერთადერთი,
რომელსაც ოდითგანვე გწყალობს მაღალი ღმერთი.

შენ გახსოვს ყოველივე, რაცა ხდებოდა უწინ...
მიდი, უამბე ნორჩებს, ო, არაფერი უჭირს...
თუმცა თავს ისე იჭერ, არც შეგმთხვეოდეს რამე;
მე კი ელდას მგვრის ახლაც ის უსასრულო ღამე...
რამდენჯერ სურდა მტერსა შენი მოსპობა ხეო;
მაგრამ ყოველთვის გიხსნეს, შენ, ჩემო სიცოცხლეო!...
ჰოი, ბიჭვინთის ფიჭვო, სისხლის ტბა გედგა ირგვლივ;
მერე დამწვარმა მიწამ მთლად შეიწოვა იგი...
არ მომხდარიყო ასე, ვერ გიხილავდი, ალბათ;
წუთისოფლიდან წასულს ზღვა წამყვებოდა დარდად...
ჰოი, ბიჭვინთის ფიჭვო, ტანაშხვართული ცაში,
სასიხარულოდ შენდა გრგვინავდეს ჩვენი ტაში!

1958

ალექსი ჯენია

ალექსი კამუგის ძე ჯენია დაიბადა 1930 წელს სოფელ აჯანდარაში, გუდაუთის რაიონში. 1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. არის პროზაული ნაწარმოებების რამდენიმე კრებულისა და რომან «ტყის საიდუმლოებანის» ავტორი.

მუხნარი იწვის[1]

იმ ზაფხულს დასასვენებელ სახლ „ოქროს ნაპირში" ვატარებდი ჩემს შვებულებას. ამ ქალიშვილს პირველად სწორედ სახლის კიბეზე შევხვდი. იგი უკვე პლაჟიდან ბრუნდებოდა. მე კი ზღვისკენ მივიჩქაროდი და ერთი სული მქონდა, როდის ჩავყვინთავდი წყალში, მაგრამ, როგორც კი მას გავუსწორდი, უცებ, თითქოს ლურსმანით მიმაჭედესო, გავშეშდი და ფეხი ვეღარ მოვიცვალე.

ქალიშვილმა შეუჩერებლად გადმომხედა და გადაიკისკისა. მისი სიცილი ღრუბლებიდან გამოჭრილ მზის სხივთა როკვას მიაგავდა. ირემივით ყელმოღერებულმა მოქნილი ტანის რხევით გამისრიალა გვერდზე. ჩალის ქუდის ფაართო პალმამ, ქოლგის მაგივრობას რომ უწევდა, საშუალება არ მომცა, კარგად დამენახა მისი სახე. მაგრამ მაინც მოასწრო, როგორც კარგი მოჯირითე ჭენებისას მიწიდან ფულს აიტაცებს ხოლმე,

---

1 იბეჭდება შემოკლებით.

თვალის დახამხამებაში დაეპყრო ჩემი გული და მასთან ერთად მიმალულიყო კვიპაროსების ხეივანში.

— რაო, ძმობილო, მზემ თვალი მოგჭრა? — მხარზე ხელი დამარტყა ჩემ უკან მომავალმა ყმაწვილმა, — აჰა, სათვალე, ეგრე შეიძლება მხედველობა დაკარგო.

სიცილით გამომიწოდა მზის სათვალე. მე დაუფიქრებლად გამოვართვი, მაგრამ უცებ გონს მოვეგე:

—არა, არა, გმადლობთ! — უკანვე დავუბრუნე. ბიჭი სიცილისაგან იგუდებოდა. ჩვენს ირგვლივ ხალხმა მოიყარა თავი. მე ავენთე.

— რა შენი ბრალია, ეგ გზა თითქმის ყველამ გაიარა, ვინც კი შენზე უწინ აქ მოვიდა. მართლაც განსაკუთრებული გოგოა ეგ შეჩვენებული. ჩვენი ძმა მაგასთან ბავშვივით იბორკება ხოლმე. რა გვეშველება! — განაგრძობდა ყმაწვილი ისე, რომ ჩემთვის არც შეუხედავს. ხელმკლავი გამიკეთა და გავარვარებულ ქვიშაზე გავწიეთ წყლისაკენ.

საღამოს ამ გოგონას კვლავ შევხვდი საცეკვაო მოედანზე. შესასვლელთან იდგა და ვიღაცას ეძებდა თვალებით. სადად ეცვა. ვერ ნახა ძებნის ობიექტი, გაიარა სკამებს შორის, კუთხეში მივიდა და დაჯდა.

ორკესტრმა დაუკრა, მოედანი მოცეკვავე წყვილებმა შეავსო. ქალიშვილის სახეზე ერთი ძარღვიც არ შერხეულა. იჯდა ხელისგულზე იდაყვდაყრდნობილი და თვალებზე ეტყობოდა, გარესამყაროდან სულ გათიშული იყო.

ცეკვები გახურდა. ორკესტრიც მეტი გზნებით უკრავდა. მოცეკვავეთა რიცხვი იზრდებოდა. ჭაბუკებს ცეკვის დროსაც უნებურად გაურბოდათ თვალი მისკენ.

ჩემსავით დღეს ჩამოსული ჭაბუკები მიდიოდნენ გოგონასთან, თაეს უკრავდნენ და ცეკვებზე იწვევდნენ. ის კი მათ თავით ფეხამდე ცივად შეავლებდა თვალს და უართან ერთად ოდნავადაც არ გაუღიმებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მან საათზე დაიხედა, წამოდგა, სხარტად გასრიალდა მსხდომარეთ შორის, არავისთვის ყურადღება არ მიუქცევია, გავიდა და კიბეზე დაეშვა.

ეს გოგონა ჩვენ ყველას დაგვცინოდა. იგი ზედ ზღვის პირად ტანაშოტილი კვიპაროსების ქვეშ მდგარ სახლში ცხოვრობდა. დასასვენებელი სახლის დირექციამ თითქოს ამოიცნო ამ გოგონას ნება-სურვილი.

უძილო ღამეებში იგი ზღვასთან ერთად ღელავდა. აბობოქრებული ტალღების შესახვედრად უშიშრად აღებდა ფანჯრებს. ზვირთები სახლს ლიბოს ულოკავდნენ. მათი შეხება აგრილებდა მცხუნვარე მზით გავარვარებულ სახლის ქვის კედლებს და ქალის ანთებულ გულს. ზღვა მშვიდდებოდა, უბრუნდებოდა თავის ნაპირს. გოგონაც, როგორც კი ბა-

ლიშზე თავს მისდებდა, ტკბილ ძილს ეძლეოდა. დილდილობით ქვიშაზე ყველაზე ადრე მისი ნაკვალევი გამოჩნდებოდა. თვალს მოავლებდა აისით გაცისკროვნებულ გარემოს, ირემივით ყელმოღერებული დაეშვებოდა ზღვისკენ და ელვის სისწრაფით ჩაყვინთავდა ხოლმე წყალში. ერთ წყალში ვბანაობდით, ერთი მზით ვთბებოდით, ერთ სანაპიროზე ვშავდებოდით, ერთ ჩრდილს ვაფარებდით თავს, ერთ სასადილოში ვსადილობდით, მაგრამ, როცა ჩვენ ვიცინოდით, ის მოწყენილი იყო, როცა ჩვენ ვცეკვავდით, ის ცაში ვარსკვლავებს თვლიდა, როცა მას მივაჩერდებოდით, ის ზურგს შეგვაქცევდა, ხოლო თუ დაველაპარაკებოდით, ბაგეს ძლივს გახსნიდა. ყველანი ვამჩნევდით, რომ ვეზიზღებოდით, მაგრამ უძლურნი ვიყავით, რაიმე გვეღონა.

მეორე საღამოს მე კვლავ გავედი საცეკვაო მოედანზე. გადავწყვიტე არ მეცეკვა და მისთვის მეთვალთვალა. არ დაგიმალავთ, მოსვენება დამიკარგა, არ მესმოდა, რას საუბრობდნენ ჩემი ამხანაგები, თვალებს უაზროდ ვაცეცებდი, ხუმრობისა და სიცილის სურვილი გამიქრა, ღამით იმ ჩვილი ბალღივით ვკვნესოდი, დედა რომ მისტყეპავს და ძალით ჩააწვენს აკვანში...

— ბოდიშს ვიხდი, გთხოვთ მაპატიოთ, — წარმოთქვა ამ დროს ჩემ გვერდით სასიამოვნო ხმამ. მოულოდნელობისაგან შევკრთი და წამოვხტი.

— მაპატიეთ, რომ ფიქრი შეგაწყვეტინეთ, — განაგრძო იმ არსებამ, რომელსაც ასე ველოდი და სკამზე გვერდით მომიჯდა, თან ალერსით შემომყურებდა.

— არა, არა, რას ბრძანებთ, — მივუგე დაბნეულმა.

— დაბრძანდით, ბატონო — მობოდიშებით თქვა მან.

მე დავმშვიდდი და მის გვერდით ჩამოვჯექი. მან კი თავი ასწია და ცას შეხედა, შემდეგ მზერა ჩემზე გადმოიტანა და თავით ფეხებამდე შემათვალიერა. ისიც დუმდა და მეც ვდუმდი ენაგადაყლაპულივით...

— აქაური ხარ? — დაარღვია მან სიჩუმე.

— დიახ, ამ რაიონიდან ვარ, — მივუგე და ჩემი ხმა თვითონვე ვერ გავიგონე; მომეჩვენა, რომ გულის ბაგაბუგი ბგერებს ახშობდა.

— შეიძლება რომ გავიდეთ აქედან, თუ თქვენ აქ არაფერი გაკავებთ?

— არაფერი არ მაკავებს, — წამოვიძახე მე და მაშინვე წამოვხტი.

არ მახსოვს, როგორ გამოვედით იქიდან. ერთხანს მდუმარედ მივუყვებოდით პარკს. მან ხელი გამიყარა. სიზმარში ვის არ უფრენია. მეც ამ საღამოს მეშვიდე ცაზე ვიყავი. მთელი სამყარო მე მეკუთვნოდა. ერთიღა დამრჩენოდა, მომეწყვიტა ის ვარსკვლავი, რომელსაც იგი ყოველღამ შესცქეროდა.

— აქ ჩამოვსხდეთ, — შემომთავაზა გოგონამ, ხელი გამიშვა და ბამბუკებს შორის მდგარ სკამზე დაეშვა. მეც გვერდით მივუჯექი.

— კარგი იქნება, თუ გამიგებ და თუ ვერ გამიგებ, რას ვიზამ, — მაშინვე დაიწყო მან. სახე, რომლის შეხედვის უფლება ჩვენ არ გვქონდა, ახლა მშვიდად შემომყურებდა.

„გავიგებ", „გავიგებ", — კვერი დამიკრა გულმა. მე კიდევ უფრო ახლოს მივიწიე მასთან. ხელები მიკანკალებდა. ერთი სული მქონდა ხელი გადამესვა მუხლებზე დაწყობილი მისი ლამაზი ხელებისათვის.

— როდესაც შევიტყვე, რომ შენ აქაური ხარ, გადავწყვიტე გაგანდო ჩემი საიდუმლო. ამბობენ, სიყვარული თავისთავად მოდისო, მაგრამ მე მაინც არა მჯეროდა, — ერთ წამს შეჩერდა და მიწას დააცქერდა. — ამ ღღეებში ექსკურსიაზე წავედით აი იმ გორაკზე. ლამაზი ადგილები დავათვალიერეთ.

მეც გავხედე გორაკს, რომელიც ღამის სიბნელეში ძლივს მოჩანდა.

—აი, იქ ვნახე ჩემი ოცნების მამაკაცი. იმ ღღიდან დავკარგე ძილი და მოსვენება. დამეხმარეთ, გამაცანით იგი! — აღელვებული შემეხვეწა, ჩემსკენ უფრო ახლოს მოიწია და ხელები დამიჭირა.

— ვინ არის იგი? — ძლივს ამოვღერღე მისი განცდებით თავზარდაცემულმა, — აფხაზია?

— უეჭველად შენი ნაცნობი იქნება. მაღალია, წარმოსადეგი, ფართომხარბეჭიანი, წვრილი წელი და კეხიანი ცხვირი აქვს, არწივისებური გამოხედვა, შავი მოშვებული წვერი, არ შეიძლება არ იცნობდე. ხვალვე შემისრულე ეს თხოვნა! — მითხრა და სრულიად მოულოდნელად თვალები დამიკოცნა.

ვიღაცამ ჩვენ ახლოს ჩაახველა, მაგრამ მისი დარდი ვის ჰქონდა.

— რას აკეთებდა ის კაცი? — ვკითხე ბოლოს.

— ხნავდა, ოფლიანი პერანგი სხეულზე მისწებებოდა, მკვრივი კუნთები მოუჩანდა, ღონიერი, ლამაზი. დავხუჭავ თვალებს, ჩემ წინ დგას, გავახელ და გულში ცეცხლი ტრიალებს. გამაცანი რა, ხვალვე! — კიდევ შემეევედრა.

— ხვალვე შეგისრულებ თხოვნას, — შევპირდი მე, მეგობრულად დავადე მხარზე ხელი და მშვიდად ჩავხედე ნაღვერდლებივით გავარვარებულ თვალებში.

იმ საღამოს ამის მეტი ერთი სიტყვაც აღარ უთქვამს. მე გავაცილე იგი. მთელი გზა მდუმარედ თავდახრილი მიდიოდა და მის სახლს რომ მივუახლოვდით, მაშინღა შემომხედა, ცისფერ თვალებში იდუმალი კითხვა ჩასდგომოდა.

— უეჭველად გაგაცნობთ, — წარმოვთქვი მე.

მან მაგრად შომიჭირა ხელზე ხელი და სიტყვის უთქმელად უხმაუროდ შეცქრიალდა თავის ბინაში. ერთი ხანობა ისევ იმ ადგილას ვიდე-

ქი გაოგნებული, შემდეგ ქარისაგან მოტაცებული შემოდგომის ფოთოლივით ბორძიკით გავუყევი პარკს. არაქათგამოლეული დავეშვი პირველსავე შემხვედრ სკამზე, საზურგეს მივეყრდენი და თვალები დავხუჭე. როგორც თაფლს ფუტკრები, ისე დამესია ფიქრები. ჩამოვიცილე თავში მოგროვილი ყოველგვარი წვრილმანი და დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული მამაკაცი. ვინღა არის ამბარაში ისეთი, მე რომ არ ვიცნობდე. მთელი ბავშვობა იქ გამიტარებია. უცებ ვერ მოვისაზრე, ვის უნდა დაეტყვევებინა ქალიშვილის გული. ამბარაში ბევრი ჭაბუკია ნართების მსგავსი. ისეთი აზრიც კი არსებობს, რომ თვით ნართები წარმოშობით ამბარადან არიანო.

ბოლოს გამახსენდა, რომ შეიძლებოდა ექსკურსიის მძღოლისათვის მეკითხა.

მისგან რომ ვბრუნდებოდი, ჩემს თავზე ბრაზი მომდიოდა, რატომ თვითონ ვერ გავიხსენე ნახარ ჯიკირბა-მეთქი. მომაგონდა, როგორ მოექცა ერთხელ ნაპატივებ მოზვერს, ჩემი სიძისაგან რომ იყიდა. სიძე ხაიტი აპირებდა მოზვრისათვის ყელზე შეება თოკი, მაგრამ ნახარი უარზე დადგა. იგი ფეხებში სწვდა მოზვერს და ბატკანივით მსუბუქად მოიგდო ღონიერ კისერზე.

— კარგად მენახეთ, — თავი დაგვიკრა და კისერზე მოზვერმოგდებული გავიდა ეზოდან. მაშინ ჯერ დავაჟკაცებული არ იყო. მას აქეთ ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს. ამ დღეებშიც შევხვდით. მაგრამ ხელი რომ ჩამომართვა, ისე მომიჭირა, კინაღამ დავჯექი. მას ეს არ შეუმჩნევია. მე კი მისი წასვლის შემდეგაც მტკიოდა ხელი.

პალატაში რომ შევედი, ჩემმა ამხანაგებმა თავი მოიმძინარეს. მაგრამ როცა შენიშნეს. მათ გაღვიძებას არ ვაპირებდი, ველარ მოითმინეს, თავ-თავიანთ საწოლებზე წამოსხდნენ და გამარჯვება მომილოცეს.

— თქვენც გილოცავთ, — მივუგე და ღრმად ამოვიოხრე. იმ ღამეს ვერაფრით ვერ დავიძინე.

დილით გადავწყვიტე, როგორ მოვქცეულიყავი. ჩავიცვი და ზღვისკენ გავემართე.

გოგონამ შემნიშნა, ალივით ამოსხლტა წყლიდან და ჩემკენ გამოემართა, სახე ალერსიანად უბრწყინავდა. ამომავალ მზეს ჰგავდა. წყლის წვეთებს თითქოს არ ეთმობოდა მისი ლამაზი სხეული და მხრებსა და მკერდზე შერჩენოდა. უსიტყვოდ გამომიწოდა ხელი, თვალებით კი მეკითხებოდა, მაინც როდის გამაცნობ, როდის წავალთ მასთან, კვლავ როდის ვიხილავ მასო.

— გავიგე, ვინც არის, გაგაცნობ, — ვუთხარი მოკლედ. გული კი

ისე დამძიმებული მქონდა, თითქოს ვიღაცა ძალით მართმევდა ისეთ რამეს, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შემეძლო. ამ წუთში მე მშურდა ნახარისა, იმ წვეთებისა, მის მზემოკიდებულ ოქროსფერ სხეულს რომ შერჩენოდა და მძულდა ისინი. მშურდა იმ ქვებისა, რომლებზეც ის იდგა, დილის ნიავისა, ალერსით რომ ელამუნებოდა.

ერთიმეორის პირისპირ ვიდექით. მე ერთიანად ვიწვოდი, ის კი ალბათ ისე მიყურებდა, როგორც ბობოქარ მდინარეზე გადებულ ხიდს, რომელზეც შეგიძლია გაიარო დასახული მიზნის მისაღწევად. თვალებით მეუბნებოდა, ჩემი ერთადერთი იმედი ხარო. მიხაროდა, რომ მისი იმედი თუნდაც რამდენიმე საათით მაინც ჩემს ხელთ იყო. ეს სიამოვნებას მანიჭებდა და რწმენას მინერგავდა.

— როდის გინდათ, წავიდეთ? — დავარღვიე დუმილი.

— თუნდაც ახლავე, — განაცხადა მან მოუთმენლად.

— საუზმის შემდეგ, — გადავწიე ვადა.

— კარგი, მაშინ იყოს, — დამეთანხმა იგი და ხმაში ბზარი შეეპარა.

მაპატიოს მკითხველმა და მე განგებ გადავწიე მათი შეხვედრის ვადა. საუზმის შემდეგაც ცოტა მოგვიანებით გავემგზავრეთ. ნაცვლად იმისა, რომ ჩრდილოვანი ფოასფალტებული გზით წავსულიყავით, მე იგი დაკლაკნილი ძველი ბილიკით წავიყვანე, რომელიც ზღვის სანაპიროს გასდევდა. როცა ბილიკი ქვიშაში ჩაიკარგა და იმ ადგილს მივადექით, სადაც იგი ტალღას წაეშალა და მის მაგიერ კლდე აღმართულიყო, გვერდზე გადავუხვიეთ და ციცაბო ფერდობს შევუდექით. ახლა მე ვცდილობდი, იყო თუ არ იყო საჭირო, მისთვის ხელი შემეშველებინა. იგი წნელივით შემოეჭდებოდა ხოლმე ჩემს ხელს, შემდეგ მარჯვედ გახტებოდა განზე, წკრიალა ხმით გადაიკისკისებდა და თან ტაქტიანად მოიცილებდა შეთავაზებულ საყრდენს. მე კვლავ მომდევნო ბორცვს ვეძებდი, რომელზედაც საჭირო იქნებოდა ასვლა. მკითხველს კარგად მოეხსენება, აღმართს ხომ, საერთოდ, დაღმართიც ახლავს. ბევრი ასეთი აღმართ-დაღმართი გავიარეთ, კლდეებში მოჩუხჩუხე ბევრი ნაკადული. ახლა უკვე მუხნარში მივდიოდით. ისმოდა ტყის მობინადრეთა გაძახილ-გამოძახილი. შეიძლება ისინიც ჩვენი დამსვენებლებივით უნდობლად გვიყურებდნენ.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით მიზანს, მით უფრო ვუნელებდი ნაბიჯს. გოგონა კი აქამდე ხელჩაკიდებული მომყავდა, ახლა ქურციკივით მიხტოდა ჩემ წინ.

„სულელი ვარ, სულელი", — ფიქრით თავში ვიცემდი. რამ მომაფიქრა ცეცხლში გადახტომა მის ჩასაქრობად, რატომ დავადექი ამ გზას მასთან ერთად, რა აზრი აქვს ამ ხელების შეხებას, რატომ მესმის ეს წკრიალა სიცილი, რისთვის ჩავხედე ამ თვალებს.

ძაღლის ყეფამ ფიქრებიდან გამომიყვანა. თავი ავწიე და დავინახე, გოგონა ციცაბო ფერდობს შესდგომოდა.

— ეი, ქალიშვილო! — მივაძახე, — გაჩერდი, სწორი გზით არ მიდიხარ.

ძახილზე გოგონა მკვეთრად შემობრუნდა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. მივუახლოვდი, ღაწვები ანთებოდა, ალისფერ ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა. რაღაც წარმოთქვა, მაგრამ ვერაფერი გავიგე, თავბრუ დამეხვა და მუხას მივეყრდენი.

— მეზიზღება სუსტი მამაკაცები, — შემომესმა მისი ხმა, რამაც გონებაზე მომიყვანა. იგი ქარიშხლისაგან გადაქცეულ წიფლის ხეზე ჩამომჯდარიყო და მელოდა, მივედი, მის ახლოს ჩამოვჯექი და ზურგით წიფელს მივეკედლე.

— იცი, რა არის ამ მედალიონში? — დაარღვია მან დუმილი, ამ სიტყვებით გახსნა გულის ფორმის მედალიონი, ყელზე რომ ეკეთა და გამომიწოდა. უცებ ვერ გავარჩიე, ვისი სახე იყო გამოხატული. მერე კი გაოცებისაგან პირი დავაღე. ალიოშა პოპოვიჩის — რუსი გოლიათის სურათს ატარებდა.

კინაღამ წამომცდა, შენი ნათესავი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ დროზე შევიკავე თავი.

„ახლა ხომ გამიგე?“ — მეკითხებოდნენ მისი თვალები.

— გაგიგე, — გამოვცერი კბილებს შორის.

— მეზიზღება ეს წიფელი, — ისევ დაარღვია დუმილი, — გალეულ, ფერმიხდილ, ტუჩებგაცრეცილ მამაკაცს მაგონებს. ისეთი რა დაატყდა ამ წიფელს, რომ ერთი ტოტის გამოშვებაც კი ვერ მოასწრო, მტრედი მაინც შემოჯდებოდა, ამოტრიალდა ძირიანად და დამხრჩვალ კიბოსავით გადაფარჩხა თავისი სუსტად განვითარებული ფესვები. მერედა, რა ცივია. ისეთი უსიამოვნო შეგრძნება მაქვს, თითქოს გველი შემომაცოცდაო. — თქვა და გაემართა მაგარი, მსხვილი მუხისკენ, რომელსაც ღრმად და მტკიცედ გაედგა მიწაში ფესვები და ამაყად მხრებგაშლილი იდგა.

მე წამოხტომა დავაპირე ხელის შესაშველებლად, მაგრამ უცებ ჩემს ხელსა და წიფლის ხეს შორის რაღაც მსგავსება შევნიშნე და სასწრაფოდ უკან გამოვიწიე.

— თუ შეგინიშნავს, რომ ყველაზე თბილი ხე — ეს არის მუხა, — მითხრა მან და ორივე ხელი შემოხვია ტოტებგაშლილი მუხის ტანს. — ხის მაჯისცემა ისმის. მიეყრდენ ერთი, რა კარგად ისინჯება, — განაგრძო მან და უფრო მაგრად მიეკრო ლოყით ხის ხორკლიან კანს. მეც მივედი და მუხას ავეკარი. ქალის თბილმა სუნთქვამ თავგზა ამიბნია. გულისცემა გამიხშირდა.

— გესმის? — გაიმეორა მან.

— როგორ არა, — მივუგე მე, მაგრამ გამოგიტყდებით, არაფერი არ გამიგონია, ჩემივე გულის ძგერის გარდა.

—მომბეზრდა, — განაგრძო მან, — იმ დღიდან, რაც თავი მახსოვს, მამაკაცები თაყვანს მცემენ. მამაკაცი ვაჟკაცური უნდა იყოს, ფოლადივით შეუდრეკელი, ფხიანი, გრანიტივით მტკიცე, გოლიათივით ტანადი და კლდესავით შეუვალი. ასეთ მამაკაცს შეუძლია დაიპყროს ქალის გული.

ერთხანს მდუმარედ მიყურებდა. „ჩემთვის თქვენ უბრალო თოჯინა ხართ და მეტი არაფერი“ — ეწერა მის ანთებულ სახეზე, რომელიც ასე მეგონა, ცეცხლს წაუკიდებდა მუხას.

— წავიდეთ, წავიდეთ, — დავაჩქარე მე, როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, ტყუილად მქონდა მისი იმედი. იგი ხმამაღლა კისკისებდა, ხელში ხელი ჩამავლო და მიმარბენინებდა, თოკზე გამობმულ ხბოსავით მიმათრევდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვედით მუხნარიდან და სოფლის შარას დავადექით.

— აი, აქ ცხოვრობს ნახარი,—ხელი გავუშვირე სახლებისკენ, გზის იქით რომ ჩამწკრივებულიყვნენ. ქალი თითის წვერებზე შედგა და ყურება დაიწყო.

ნახარს თითქოს თავისი მხრებით გაეწია მუხნარი და ორი პატარა სახლი ჩაედგა ტყის პირში, მწვანე მდელოზე. ტყეში, რომელიც ზღვის სანაპიროდან ცამდე აწვდილ მთებამდე გადაჭიმულიყო, განუყოფლად მეფობდნენ ნახარი, ფრინველები, ტყეს რომ ახმაურებდნენ, ეშვებიანი თეთრი ტახები და მგლები, რომელთაც ვერ მოახერხეს ყელი გამოეღადრათ ნახარის ძაღლ დამიშისთვის. ზოგჯერ აქ ექსკურსანტები გამოჩნდებოდნენ. დაღამებამდე აჩხაკუნებდნენ თავიანთ აპარატებს. მათი წასვლის შემდეგ ნახარი ბუზღუნით კრეფდა გაფანტულ ქაღალდებს და ფრთხილად სწვავდა, რომ ტყეში ცეცხლი არ გაეჩინა. რამდენჯერ თვითონ ნახარსაც გადაუღეს სურათი. ქალებს აოცებდა მისი გოლიათური აღნაგობა. ზოგი მათგანი, მიუხედავად ქმრის იქ ყოფნისა, ახერხებდა ნახართან ერთად სურათის გადაღებას. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მამაკაცები დააპირებდნენ როგორც ველურს, ისე მოჰპყრობოდნენ მას, მაგრამ როცა უფრო ახლოს გაიცნობდნენ, სულ სხვა შთაბეჭდილება რჩებოდათ. სურათებს უგზავნიდნენ წარწერებით: „ჩვენს კეთილ, ჭკვიან გოლიათს“, ან „თვალგამჭრიახ ლომს“. რაღას არ ადარებდნენ. ასევე მოხიბლა მან ჩემი თანამგზავრიც.

— აბა, წავიდეთ, — ხელი წამავლო გოგონამ.

ის იყო მხიარულად მორაკრაკე ნაკადულთან ჩავედით, რომ უცებ მოპირდაპირე მხარეს ტყიდან ყეფით გამოვარდა დამიში, თითქოს გაგვაფრთხილა, ფეხი არ მოიცვალოთო. ამის დანახვაზე შიშისაგან წამო-

ვიყვირე და ყოველი შემთხვევისათვის ხეც კი მოვათვალიერე ასაძრომად.

— მიყვარს კარგი. ჯიშიანი ძაღლები, — შიშისგან გამომარკვია ჩემი თანამგზავრის ხმამ.

— აჰა, აჰა, აჰა! — თითქოს ეშინია, ვაითუ ძაღლი თვითონ არ მოვიდეს ჩემთანო, ქალი ქვებზე ხტომით სწრაფად გადავიდა ნაკადულზე და ძაღლისაკენ გაემართა. ძაღლი გადმოხტა ღობეზე და ჩვენკენ წამოვიდა, ალბათ, იმ განზრახვით, რომ გვცემოდა.

— გიკბენს, გიკბენს! — შევყვირე მე შეცვლილი ხმით, დავავლე ჯოხს ხელი და გავექანე ნაკადულის გადაღმა. მაგრამ, როგორც კი იქით გადავედი, დამიში უცებ შეჩერდა ქალის წინ, ყეფა შეწყვიტა, მაგრამ ჯერ ისევ იღრინებოდა. ქალიშვილი მივიდა მასთან და თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლი დამშვიდდა და კუდი გააქიცინა, შემდეგ კი მის გვერდით ჩაცუცქდა. გაოცებისაგან ადგილზე გავშეშდი. ქალი ისევ თავზე ხელს უსვამდა ძაღლს, ის კი სიამოვნებით ინაბებოდა.

„ღმერთმანი ამ გოგოს ჰიპნოზის უნარი აქვს", — გამიელვა უცებ.

ჯოხი გადავაგდე და ერთი-ორი ნაბიჯი გადავდგი მათკენ.

დამიშმა ბეწვი აიშალა და დამიღრინა.

—არ მოხვიდე, არ მოხვიდე! განა არ იცი, რომ ძაღლები ქალებს მფარველობენ! — შესძახა მან და ხაგაზს კისერზე ხელი შემოხვია. მე დაბნეული შევჩერდი. ის კი გამეგონა, კარგი ძაღლი ქალს არ ერჩისო, მაგრამ თუ მფარველობდა და ეჭვიანობდა კიდეც, ეს პირველად გავიგე.

— თვალი და ყური მისთვის არ იზრდებიან, რომ ბევრს რასმე ხედავენ და ესმითო. — ჩავილაპარაკე ნელი ხმით, ძაღლი რომ არ გამებრაზებინა.

— ხი, — მომესმა უკნიდან, თითქოს ვიღაცამ განგებ ჩაახველა. შემოვბრუნდი, ნახარს მხარზე გათლილი ძელი გაედო და აქეთ მოდიოდა. მე მისკენ გავემართე.

— ოო, ლადიკო, შენა ხარ? ფრთხილად, ძაღლმა არ გიკბინოს. — ნახარმა ძირს დააგდო ძელი. ხელი ჩამომართვა და ქალისკენ შეტრიალდა, რომლის გვერდზეც დამიში იდგა და კუდს აქიცინებდა. ნახარი და ქალიშვილი ერთმანეთს წარუდგნენ:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მიმართა ნახარმა და თავი დაუკრა.

— ნაირა! —წარმოთქვა ქალიშვილმა. პირველად მაშინ გავიგონე მისი სახელი. ნახარმა ჩამოართვა გამოწვდილი ხელი და ერთ წამს შეჩერდა ქალის ანთებული თვალებით მოჯადოებული.

სხეულზე ოფლისგან მიწებებულ პერანგში მკვეთრად მოუჩანდა მაგარი კუნთები.

ნაირა სახეწამოჭარხლებული შესცქეროდა ნახარს. ისევ ხელში ეჭირა მისი ხელი და თანდათან უახლოვდებოდა.

—რა საძაგელი ძაღლია, ყოველთვის უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს. დაიკარგე აქედან! — შეუტია ნახარმა ნაგაზს, ხელი რომ გაითავისუფლა.

— ახალი რა არის, როგორ ხარ? — სულ დაგვიგვიწყე, — მომმართა ყრუ ხავერდოვანი ბანით. ხელი მსუბუქად მომიჭირა, მაგრამ თითები თითქოს თაფლით შეაწებესო, კარგა ხანს ვეღარ დავაცილე ერთმანეთს.

— ვხედავ, კარგი სტუმარი მოგიყვანია, წავიდეთ შინ, — ხელი გამომდო, თან ცერად გახედა ნაირას.

— არ ვიცი, სტუმარია თუ დიასახლისი, მე კი მოვიყვანე და..... — მივუგე შეცვლილი ხმით.

— ძალიან კარგი, ახლა სახლში შევიდეთ, — თქვა მან, უხერხულობა დასძლია და მკლავში ხელი წამავლო.

რა გაეწყობოდა. ისე გავყევი მათ, არც დავფიქრებულვარ, როგორ მოვქცეულიყავი. ნახარს ძალიან ლამაზი ეზო ჰქონდა. დაბალი თანაბარი ზომის ბალახი მწვანე ხალიჩასავით ხასხასებდა.

როგორც კი შუა ეზოში მდგარი ტოტებგაშლილი კაკლის ქვეშ ჩამოვსხედით, ისეთი სასიამოვნო სიგრილე ვიგრძენით, თითქოს მთის ნაკადში გვებანაოს. მაგრამ ძალიან აფორიაქებული ვიყავი.

საქმე, რომელიც დავალებული მქონდა, თავისთავად გვარდებოდა, მაგრამ ამასთან ვღელავდი, ვნერვიულობდი და ვფიქრობდი: ღია უფსკრული უფრო ნაკლებად საშიშია, ვიდრე ნისლით დაფარული-მეთქი..

ნახარი სერიოზული ადამიანია. მეშინოდა რაიმე გაუფრთხილებელი საქციელით ან სიტყვით არაფერი მეწყენინებინა მისთვის. ის, რა თქმა უნდა, მაშინვე არ მომვარდებოდა, ეს ვინ მომიყვანეო. ერთიც ვნახოთ და ასე მითხრას, გმადლობთ გარჯისათვის, მაგრამ ჯერ ცოლის შერთვას არ ვაპირებ, წაიყვანე უკან, საიდანაც მოგიყვანიაო. ეს ხომ ჩემი ცოცხლად დამარხვა იქნებოდა. ვერ გადავწყვიტე, რა მექნა და წამოვხტი.

— დაჯექი, სული მოითქვი, მე მანამდე ღომს მოგიმზადებთ, — მომმართა ნახარმა, რომელმაც თიხის სურით ღვინო და პირამდე კაკლით სავსე ხის ჯამი გამოგვიტანა.

— გმადლობთ, ახლა ერთ ლუკმასაც ვერ ჩავიდებ პირში. მირჩევნია შენი ბაღი დავათვალიერო.

ბაღში ხეებს ნაყოფით დამძიმებული ტოტები დაბლა დაეხარათ. ბაღის სიღრმეში მორაკრაკე ნაკადულისკენ გავემართე, რომელიც ეკალბარდებში იკარგებოდა. მოვწყვიტე შაქარვაშლა და ხეს მიყრდნობილი თან ვკბეჩდი, თანაც ვიხსენებდი ყოველივეს, რაც კი ამ ქალიშვილთან მაკავშირებდა. ბოლოს გადავწყვიტე: რაც მოხდება, მოხდეს, ვეტყვი

ჩვენი მოსვლის მიზეზს, მერე კი ორივეს დავტოვებ-მეთქი. ვაშლის ნაჭამი გადავისროლე და ნახარის სახლისკენ გავწიე. ბაღის ჭიშკართან რომ მივედი, ისე ვღელავდი, თითქოს მე უნდა ამეხსნა ნახარისთვის სიყვარული. და უცებ დავინახე, რომ ნაირას სხვების ჩაურევლად მიეღწია სანუკვარი მიზნისთვის, ისე გავშრი, თითქოს ცხვირ-პირში მუშტი მოეცხოთ.

ნაირა ერთ ხელს გულზე იდებდა, მეორე კი ნახარის მუხლზე ჩამოდებულ ხეშეშ ხელს ეფერებოდა.

სახლის უკან გავედი. ჩემი მისია დამთავრდა. გამიხარდა და შვებით ამოვისუნთქე. ახლა თავისუფლად შემეძლო წასვლა. ნაირა ჩემკენ ზურგშექცევით იჯდა. ნახარის გაფართოებულმა თვალებმა შესაძლოა ვერ დამინახეს, ანდა განგებ ისე დაიჭირა თავი, რომ თითქოს ვერ მხედავდა, რადგან სურდა გავცლოდი. დამიშს არ შევუნიშნივარ, მათ მახლობლად ჩაცუცქულიყო და ტუჩებს ილოკავდა. მესერს გავუყევი, ნაკადულზე გადავხტი და სოფლის შარაზე გამოვედი. კარგა მანძილი რომ გავიარე, გამახსენდა, რომ საღამოვდებოდა. საათს დავხედე, ხუთი იყო. მზე დასავლეთით გადახრილიყო და ზღვაში ეშვებოდა, თითქოს უნდა ჩაყვინთოს და თავი გაიგრილოსო. დაღლილი ვიყავი და ყურადღებას აღარ ვაქცევდი იმას, რომ მალე ჩამობნელდებოდა. სულის მოსათქმელად ქვაზე ჩამოვჯექი. თითქოს ამ ჩემ თვალწინ გადაჭიმული მუხნარიდან გამოიშალა ჩემს წარსულთან დაკავშირებული მოგონებები და გარს შემომეხვია.

ბავშვობა და ჭაბუკობა ამ სოფელში გავატარე. ჩემი მშობლების სიკვდილის შემდეგ ჩემმა სიძე ხაიტმა თავისთან წამიყვანა ქმბარაში. დიდი ხუმარა ვინმე იყო. რაგინდ გასაჭირში არ ჩავარდნილიყო, გულს არ გაიტეხდა. მახსოვს ერთ ზაფხულს საღამოს დანაღვლიანებული მოვიდა. როგორც კი მომავალი შევნიშნე, ჩვეულებისამებრ გავექანე მისკენ. მაგრამ ხაიტი არ მომფერებია, არაფერი არ ამოუღია ჯიბიდან, როგორც სხვა დროს იცოდა ხოლმე, მხოლოდ ხელში ხელი ჩამკიდა, ეზოში ჩრდილქვეშ მდგარ სკამთან მივიდა და მძიმედ დაეშვა. ჩემი და თამბაქოს ასხამდა ძაფზე. ხაიტი ამ მდგომარეობაში რომ დაინახა, ნემსი გვერდზე გადადო და შეშინებული ცოტა ხანს ხმაამოუღებლად მიაჩერდა.

— რა იყო, რა დაგემართა? — ვეღარ შეიკავა თავი.

— ომი დაიწყო! — ამოიხვნეშა ხაიტმა. იმ ღამეს ჩემი და და სიძე არ დაწოლილან. ცოლი საგზალს უმზადებდა, ხაიტი კი თამბაქოს ასხამდა ძაფზე. დამ დააპირა, სასტუმრო ოთახში დავეწვინე, მაგრამ ქმარმა არ დაანება.

სახლის პატრონი სამზარეულოში უნდა იყოს, — უთხრა მან, მერე ორივე ხელით თავი დამიჭირა, თვალებში ჩამხედა და დაუმატა: — დას

არაფერი აწყენინო. — ლოყაზე ხელი მომითათუნა და გამიშვა. დამ თავშლის ტოტით ჩუმად მოიწმინდა ცრემლები. სიძე ცდილობდა ძველებურად ეხუმრა, მაგრამ დროდადრო მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე. მხოლოდ მე ვერ ვერკვეოდი კარგად ვითარებაში.

მეორე დილით, განთიადზე, მე, ჩემი და და სიძე მივედით გამოსაძახებელ პუნქტში, რომელიც დასასვენებელ სახლ „ოქროს ნაპირის" მოპირდაპირე ველზე მდებარეობდა. სოფლის ყველა კუთხიდან მოეყარათ აქ თავი გასაწვევი და წვევამდელი ასაკის ჭაბუკებს. ახალგაზრდები ჯგუფებად იდგნენ აქა-იქ. ზოგი მღეროდა, ზოგი ხუმრობდა. სულ დარჩეული ბიჭები იყვნენ, ტანადები და ლამაზები. მანამდე არასდროს მსმენია ასეთი ვაჟკაცური და გულის ამათრთოლებელი სიმღერები, სურვილს რომ აღგიძრავს, მოეხვიო და გულში ჩაიკრა მტერთან საბრძოლველად ამხედრებული მთელი ეს ახალგაზრდობა.

და ახლა, როცა ამ ველზე მიხდება ყოფნა, ეს სიმღერა თითქოს მიწიდან მესმის.

— ოჰ, მაშ, ჩვენ თანამგზავრები ვყოფილვართ ხაიტ! — ღიმილით მოგვიახლოვდა ნახარის სულ უფროსი ძმა ასლანი, სამ უმცროს ძმასთან ერთად.

— სანამ მტრები გაგვთიშავენ, ერთი გზა გვექნება, — მიუგო ხაიტმა ასლანს და ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— არა, ვერავინ გაბედავს ჩვენს გათიშვას, — შესძახა ჩაბარხანმა, ნახარის დედამ. — გათიშვაზე არც იფიქროთ. ხაიტ, დედა, ამ ბარტყს მიმიხედე. — შეევედრა ქალი და თავის უმცროს შვილ ნახარზე ანიშნა.

ნახარი მაშინვე ამსიმაღლე იყო, ახლა რომ არის. მის გამხდარ სახეს ჯერ სამართებელი არ გაჰკარებოდა. წვერი ახლად ეღინღლებოდა, მან თავისი გრძელი მკლავებით გულში ჩაიკრა დედა, აკოცა დანაოჭებულ შუბლზე. ჩემმა დამ გადაწყვიტა გუდაუთამდე გაეცილებინა ისინი, მე კი ჩაბარხანთან ერთად სახლში დავბრუნდი.

ბევრს არ დაუბრუნდა შვილები, მამები, ძმები. ბევრი იწვოდა ლოდინით. ომი დამთავრდა. ერთხელ შუაღამისას დამ გამომაღვიძა.

— ეამოიხედე, ლადიკო გესმის? — პერანგის ამარა მიიჭრა ფანჯარასთან და ყურთამდე გამოაღო. ღამის სიჩუმეში ასლამის ეზოს მხრიდან ყურს სწვდებოდა მამაკაცის ქვითინი. ძაღლები აყეფდნენ მოისმა ხალხის ყაყანი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მე და ჩემი და ნახარის ეზოში აღმოვჩნდით. მტირალი მამაკაცის ხმას ქალი მოთქმით ბანს აძლევდა.

— რომელი დაბრუნდა? — შევეკითხე პირველ შემხვედრ ქალს.

— ნახარი დაბრუნდა, ნახარი! — მოგვიგო მან აცრემლებულმა.

— ვაი ჩვენ საცოდაევებს, ვაი ჩვენ წამებულებს. — ცხარედ ატირდა ჩემი დაც.

ძნელია ვადმოგცეთ, რა ხდებოდა იმ ღამეს, ომით მიყენებული მწუხარების ცეცხლმა იფეთქა. ტიროდნენ მამაკაცები, მოსთქვამდნენ ქალები. ნახარი ყველაზე მეტად იკლავდა თავს. სახლი ხალხით გაიჭედა. მეც მთელი ღამე იქ ერთ მყუდრო ადგილას ვიდექი, შინ ცრემლებისაგან თვალებდასიებული დაებრუნდი.

რამდენ ხანს დაუმალავდნენ ნახარს მისი ოჯახის უბედურებას, დილით, ცოტა რომ დამშვიდდა, მეზობლებმა ყველაფერი უამბეს. ნახარს სამი ძმა ომში დაეღუპა, დედამ მწუხარება ვეღარ გადაიტანა და გარდაიცვალა. ერთადერთი და — ქვრივი თავის შვილებითურთ ჩასახლდა მათს ბინაში, რათა კერა არ გაეცივებინა ნახარის დაბრუნებამდე, მაგრამ ერთ ღამეს შემთხვევით ხანძარი გაუჩნდა და მთელი სახლი ჩაიწვა.

ნახარმა ეს რომ მოისმინა, ძალაგამოლეული დაეშვა ერთ გამურულ ქვის ლოდზე და საღამომდე ასე ხმაამოუღებლად გაატარა.

შემდეგ ვხედავდით, როგორ ანთებდა ხოლმე ნახარი თავის ნახევრადდაშლილ კერაზე ცეცხლს და მწარე ფიქრებში წასული მისჩერებოდა. რამდენს არ ეხვეწებოდნენ ნათესავები, მაგრამ არავისთან არ წასულა საცხოვრებლად. მერე ეს ტყისპირი გაკაფა, გასუფთავა და კოხტა სახლი წამოჭიმა, სადაც ახლა ცხოვრობს. . .

„ჰმ, საოცარი ქმნილებანია ეს ქალები, — ეფიქრობდი ფართო შარაზე მიმავალი — ნახარი უკვე ორმოცი წლისაა, ნაირა კი, მისივე ნათქვამის მიხედვით, ოცდაორისა. იმ ღამეს, როცა ნაირამ პირველად წამოიკნავლა და ამცნო ქვეყანას თავისი დაბადება, ალბათ, ნახარს, როგორც მელიას ქათმები, გოგოები ესიზმრებოდა. ხოლო როცა ნაირამ პირველი ნაბიჯი გადადგა, ნახარი მტერს მისდევდა რუსეთის ველებზე.

დღეს კი, დღეს ნაირას უნახაროდ ცხოვრება ვერც წარმოუდგენია“.

მზის სხივები ხის კენწეროებსღა ეთამაშებოდნენ, როცა დასასვენებელ სახლს მივაღწიე. ძალიან მომშივდა, ხარბად მივეტანე საჭმელს. ვახშმობის შემდეგ ჩემს პალატაში ავედი. ოთახი ცარიელი დამხვდა. მაგიდაზე წერილი იდო.

„შენი ბედნიერების მოშურნე მეგობრებმა ადგილი რომ ვეღარ ვიპოვეთ, რიწაზე წავედით, შენი არ ვიცი და ჩვენ კი საღამოს დაებრუნდებით. სიხარულით გეხვევით ორივეს. ნაზიმი, ვასია“.

— არ დაგაბრუნათ ჩემმა გამჩენმა, უსინდისოებო, — ჩავიბუტბუტე და ღიმილით ოთხად დავკეცე ბარათი. დახევა დავუპირე, მაგრამ დამენანა და ჯიბეში ჩავიდე. ვიფიქრე დავისვენებ და მერე ზღვაზე ჩავალ-მეთქი, მაგრამ დაღლილობამ მძლია და ვერც გავიგე, ისე ჩამეძინა.

— ლადიკო, ლადიკო! — ვიღაცის ხმამ გამომაღვიძა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს ნაზიმის შაეი ულვაშები იყო.

— რა მოხდა? — წამოვხტი მე.

— როგორ თუ რა მოხდა, შენ რომ გოგო წაიყვანე, დილას აქეთ ეძებენ, დაიკარგა, — ნელი ხმით მითხრა მან.

პირველ წამში დავიბენი, მაგრამ მაშინვე გონს მოვეგე და მშვიდად ვუთხარი:

— მის გამო ნუ შეწუხდებიან.

როგორც ჩანს, ღრმად მეძინა. უკვე თორმეტი სრულდებოდა, ნაზიმმა რომ გამაღვიძა.

თუმცა ნახარის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაინც ნაირას პალატელმა ქალებმა იმდენად შემაშინეს, რომ ავფორიაქდი.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ჩემი ამხანაგები დავადექით ნახარის სახლისკენ მიმავალ გზას. საოცარი ღამე იყო. სავსე მთვარე ნელა მიიკვლევდა გზას თავის სხივთა შარავანდედში და ვერცხლისფერ ბილიკს სტოვებდა ზღვის ზედაპირზე. ღამის სიჩუმეს ტყის ნადირთა ხმები არღვევდა. გრილ სიოს ბაღებიდან ხილის სურნელება მოჰქონდა. ხმაამოუღებლად მივდიოდით. ათასი ფიქრი დამეხვია. არ ვიცოდი, რით ამეხსნა ნაირას ამდენი ხნით დაკარგვა.

— სსს! — მილურსმნულივით გავშეშდი მოსახვევში და ხელებით შევაჩერე ჩემ გვერდით მომავალი ამხანაგები.

— ნახარ, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო გოლიათო!—ფიჭვნარიდან მოისმა ნაირას ხმა.

გული ამიჩქროლდა, სუნთქვა შემეკრა, ყურებმა შუილი დამიწყო.

— ნახარ, ჩემო რაინდო, მივხვდი, რომ უშენოდ არ შემიძლია!.. — უწინდებურად ისმოდა ნაირას ხმა.

ხმაამოუღებლად მოვბრუნდით უკან...

ნახარს ორჯერ შეეხვდი ჩვენი დასასვენებელი სახლის მახლობლად. ალბათ, ნაირა მოაცილა. ორივეჯერ კოხტად ჩაცმული იყო. თეთრი აბრეშუმის ხალათი წელში გადატკეცილი ჰქონდა და ზედ ოფიცრის ფართო ქამარი ეკრა. გაკრიალებული ჩექმები მჭიდროდ შემოსალტოდა მის ირემივით მოქნილ ფეხებს. სუფთად გაპარსული იყო. შავი ოდნავ შეჭაღარავებული თმა ლამაზად დაევარცხნა.

პირველი შეხვედრისას მხიარული სიცილით მომესალმა, თმები ამიჩეჩა და თავზე მაკოცა. თვალები, წინათ რომ მოუსვენრად თითქოს რაღაც დაკარგულს დაეძებდნენ, ახლა ეშმაკურად უციმციმებდა ცხვირის ფუძესთან გადაბმულ ხშირ წარბებს ქვემოთ.

მეორედ რომ შეეხვდი, თვალებანთებულმა ცხვირწინ ჩამიარა, მაგრამ ვერ შემნიშნა, რკინის მესერზე გადაყო თავი და პარკში მიმავალ ნაირას მიაჩერდა.

ასე მიჰყვებოდა დღეებს დღეები, დილით, როცა მზის პირველი

სხივები გორის თავს მიანათებდა, ნაირას ცისფერი შლაპა გამოიკვეთებოდა მტრედისფერი ცის ფონზე. იგი ქარზე უსწრაფესად მიჰქროდა დილის სხივებთან ერთად ნახარისკენ. მერე კი მუხნარის სიღრმიდან ტყის ბინადართა ხმებთან ერთად ფრაზების ნაწყვეტები მოისმოდა:

— ნახარ, ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო გოლიათო, ჩემო იმედო! შენ კიდევ არა გჯერა, რომ მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. სხვა ბედნიერება არა მსურს.

გული, რომელიც ოცი წელი შებოჭილი იყო, განცდილი მწუხარების მარწუხებისაგან ვერ განთავისუფლებულიყო, უცებ გათბა და აძგერდა.

„ნეტა ვინ გამომიგზავნა“, — ეკითხებოდა თავს. ნაირას სახე ხელებში მოექცია და თვალებში ჩასცქეროდა. ქალს თვალები ცრემლით ავსებოდა. ღაწვები უხურდა, ნახარი დიდხანს დაბინდული მზერით დასცქეროდა, მაგრამ განა შეიძლება ზღვის ზედაპირს დასცქეროდე და დაინახო, რა ხდება მის ფსკერზე. შემდეგ, როცა სათქმელ სიტყვებს ვეღარ იპოვიდა, მაგრად ჩაიკრავდა ქალს გულში, რომელიც მკერდიდან ამოხტომას ლამობდა. ასე ერთად ბევრი დღე და ღამე გაატარეს ნახარმა და ნაირამ. მათი მოწმე მხოლოდ ტყის ფრინველები იყვნენ, რომლებიც ჰიმნს უგალობდნენ მათს სიყვარულს, მწვანე გვირგვინად კი ხეები ადგათ, მათი საიმედო საფარი.

ჩემი გამგზავრების წინა დღეს, საღამოს, ბანაობას ვაპირებდი. მხარზე პირსახოცგადაკიდებული პარკს მივყვებოდი. უეცრად შეშფოთებული ხმები შემომესმა:

— წყალი, ჩქარა წყალი!

— მოკლა უსირცხვილომ, მოკლა!

— ექიმი, ექიმი! — ყვიროდნენ ქალები და კაცები.

ახლოს მივირბინე.

სისხლში მოსვრილ დარაჯს მხრებში შეუდგნენ და ბალახებზე დასვეს.

— მილიცია, მილიცია!

— კაცებო, არ გაუშვათ ხელიდან, — ცხარობდნენ ქალები.

— რომელ მხარეს წავიდა? — ვიკითხე და ჭიშკრიდან გამოვვარდი.

მარჯვნივ გავიხედე, ნახარი მოჰყავდათ. დახეულ ხალათში შიშველი ზურგი მოუჩანდა. ძალით მოათრევდნენ.

— შე ვირო, იმ ქალმა რამდენჯერ გითხრა, რას ჩამციებიხარ, უკან ნუ მდევო.

— მოჩვენებასავით აეკვიატა.

— კამეჩმა კომბოსტო დაინახა და ღობე კი ვერაო.

— აქაურები ყველა ასეთია. განა ეს პირველი შემთხვევაა.

ასე მოურიდებლად გვლანძღავდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ გაანჩხლებული დედაკაცები.

— რატომ შენც არ მისდევ დამნაშავეს, საფრთხობელასავით რომ დამდგარხარ, — ხელი მიბიძგა ერთმა სქელმა ქალმა.

— დამნაშავეები აქ არიან, — გამოვცერი კბილებიდან.

ხალხი გავარღვიე და იმ სახლთან მივიჭერი, სადაც ნაირა ცხოვრობდა.

ახლაღა გამახსენდა, გუშინდელი დღიდან ნაირა პარკის ტერიტორიას არ გასცილებია. საუზმეზე მოსვლისას თვალებით აღარ გვესალმებოდა. უწინდებურად აღარ ჩქარობდა.

ერთი სიტყვით, იგი რამდენჯერმე შემხვდა მისთვის უჩვეულო დროს პარკში, მაგრამ მე ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია.

— ნაირა არ არის? — შევეკითხე ტერასაზე მჯდომ ქალს. რომელიც გაზეთს კითხულობდა.

— არა, არ არის, — მომიგო გაზეთიდან თავაუღებლად. თვალებით მეუბნებოდა, შენღა აკლდიო.

— მითხარი, სად წავიდა? — არ დავიშალე მე.

— ტყეში წავიდა, — ხელი გამიშვირა გორის აღმოსავლეთ მხრისკენ, რომელიც ბაღებით იყო დაბურული.

მაშინვე იქით გავემართე.

დავათვალიერე გორის თხემები, ჩამავალი მზის სხივებით განათებული ვაშლის ბაღები, მაგრამ ნახვით ვერავინ ვნახე. დაბლა სანაპიროზე ზოგი დამსვენებელი მზეზე შავდებოდა, ზოგი ბანაობდა. გეგონებოდა, ბურთები დაცურავენ ზღვის ზედაპირზეო. შემოვტრიალდი და კიბეზე დავეშვი. შუა კიბეზე რომ ვიყავი ჩამოსული, ნაცნობი ხმა შემომესმა, თითქოს მიწიდან ამოდისო. მიმოვიხედე. ვხედავ მოშორებით, ხის ქვეშ ნაირა ვიღაც ბიჭთან ერთად ზის, ჩემკენ ზურგშექცევით, ორივე ხელი კისერზე შემოუხვევია მისთვის, თავით მკერდზე მიყრდნობია, თითქოს გულის ძგერას უსმენსო, თვალები დაუხუჭავს. ბიჭმა პირდაპირ შემომანათა თვალები, თან ხელს უსვამდა ნაირას მზით განათებულ სახესა და ყელზე.

—მხეცი! — წამოიყვირა ნაირამ, როცა დამინახა, რომ მათ ვუახლოვდებოდი. ბიჭი წამოხტა და მოჭიდავე ხარივით თავდაღუნული და მუშტებშეკრული გამოემართა ჩემკენ. ჩვენ მკერდებით შევეჯახეთ ერთმანეთს და მამლაყინწებივით თვალი თვალში გავუყარეთ. მკერდზე ჭაბუკს საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნიშანი ეკეთა. ჩაჭყლეტილი ცხვირი მოწმობდა, რომ არაერთხელ გადაეტანა ხელთათმანის დარტყმა. მთელი სახე რაღაცნაირად გაბრტყელებული ჰქონდა. ტანით ნახარის სიმაღლე იყო.

— ველურები, ველურები, უსირცხვილოები! — განუწყვეტლივ გაჰკიოდა ნაირა მთელი ხმით.

არ ვიცი, საიდან მოგროვდნენ, ხალხის მთელი ჯგუფი შემოგვეხვია. მათ დანახვაზე ნაირამ ყვირილს უმატა.

— მხეცები, მშვიდად დასვენების საშუალებას არ გვაძლევენ, ყველგან კუდში გდევენ, — აქვითინდა და ბნედიანივით თავით ფეხებამდე აკანკალდა.

— ნუ სტირი, გენაცვალე, ნუ სტირი, მათ მე ვუჩვენებ სეირს! — დაამშვიდა და ბოროტად გადმომიბღვირა სპორტსმენმა.

— ეგენი მართლა უსინდისოები არიან.

— ველური ველურია.

— გახსოვთ, მატარებელში ის ქალი რომ მოგვიყვა? — დაიწყეს თავისებურად ქალებმა და ზიზღით ზურგი შემაქციეს.

სახტად დავრჩი. ძარღვებში სისხლი გამეყინა.

— წადით, მოსცილდით ამათ, ნუ ერევით ისეთ ჩხუბში, რომლის მიზეზიც არ იცით, — წარმოთქვა ერთმა მამაკაცმა, ქალები ძალით გაფანტა და თანაგრძნობით გადმომხედა. ამან გამამხნევა, რაღაცის თქმა დავაპირე, მაგრამ ისევ გადავიფიქრე. ირგვლივ სულ ახლად მოსული დამსვენებლები იდგნენ. ისინი მაინც გამიგებდნენ. ადგილიდან მოვწყდი და კიბისკენ გავექანე...

პალ პალიჩი, დარაჯი, რომელმაც ნახარი დასასვენებელი სახლის ტერიტორიაზე არ შემოუშვა, ცოტა ნასვამი იყო. ნახარს მისთვის სერიოზული არაფერი დაუშავებია. მაგრამ ამ ამბავმა მთელი დასასვენებელი სახლი მოირბინა. ყველას მარტო ეს ეკერა პირზე. ერთნი რწყილს აწვენდნენ და აქლემს აყენებდნენ, მეორენი პირიქით. ასე მეჩვენებოდა, რომ ყველა ეპვის თვალით მიყურებდა, აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი. ჯერ დავაპირე ნახარს გამოვკიდებოდი, მერე ისევ გადავიფიქრე. ნაირას დავუწყე ძებნა, ვერ მივაგენი, ნივთები ჩემოდანში ჩავალაგე წასასვლელად, მაგრამ ამხანაგებმა არ გამიშვეს. ამ ფაციფუცში დაბნელდა კიდეც.

ხელებში თავჩარგული აივანზე ვიჯექი. უცებ ნაირა დავინახე ჭიშკართან ჩემოდნით ხელში, თავდახრილი მივიდა ავტობუსთან. „მიემგზავრება!“ — გამიელვა და სკამიდან წამოვხტი. ყველა მასხარად აგვიგდო და მიდის. გადავწყვიტე მეთქვა მისთვის, უსინდისო ყოფილხარ-მეთქი, დაე, ყველამ გაიგოს, რომ „ჯადოქარია“ — ამ მიზნით გავექანე ავტობუსისაკენ.

ამ დროს საყვირის საშინელი ხმა გაისმა. სახანძრო მანქანამ გზა გადამიჭრა და ნაპირზე მიმაგდო. თავი ავწიე და დავინახე, დასავლეთით მუხნარი იწვოდა... მარცხნივ გამექცა მზერა, ავტობუსი, რომელსაც ნაირა მიჰყავდა, უკვე მოსახვევს მიეფარა.

— წავიდა ავტობუსი? — გულამოვარდნილმა მოირბინა ჭაბუკმა.

— წავიდა, — მივუგე მძიმე ამოოხვრით. ჩემ წინ იდგა ნაირას მორიგი მსხვერპლი, ცხვირმიჭყლეტილი სპორტის ოსტატი.

შოთა ჭკადუა

შოთა ჭკადუა დაიბადა 1932 წელს სოფელ კუტოლში. 1952—1956 წწ. სწავლობდა გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ 1968 წლამდე მუშაობდა გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქციაში. ამჟამად მუშაობს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის ლიტერატურული განყოფილების გამგედ. მან ათზე მეტი წიგნი გამოსცა აფსაზურ ენაზე. ძირითადად ცნობილია როგორც სატირული მოთხრობების ავტორი. შ. ჭკადუა ერთ-ერთი თვალსაჩინო დრამატურგია. მისი ბევრი პიესა დაიდგა სოხუმის სახელმწიფო თეატრში. შ.ჭკადუას ძირითადი კრებულებია: „სატირული პიესები“, „სიჯრელე“, „თეთრი და შავი“, „ფუტკარი“, „სატირა და იუმორი“, „ადამიანი და მისი ადგილი“ და სხვა.

ნანდუ

მშვიდობით იმგზავრე, შვილო! აბა, შაბათს გელოდებით!

დედა გადამეხვია და შუბლზე მაკოცა. „ვოლგა“ მკვირცხლად მოწყდა ადგილიდან. უკან ჩამოვიტოვეთ სოხუმი... ოჩამჩირა. ახლა მთებისკენ მივქრიგვართ. ჩვენი ოთხეული თავს ჩინებულად გრძნობს. მეგობრები ანეკდოტებსა და მხიარულ ამბებს ჰყვებიან, გულიანად იცინიან, ხარხარებენ. მე არ ვერევი მათ უზრუნველ ლაპარაკში; გავყურებ მოასფალტებულ გზას და ვფიქრობ: „ეჰ, გზაო, გზაო, რა დიდი მნიშვნელობა გაქვს ადამიანის ცხოვრებაში!..“

...იმ დღეს პირველი ხელფასი მივიღე. ვინ იცის, მერამდენედ გადავთვალე ტკიცინა მანეთიანები. ისე ვესიყვარულებოდი, თითქოს პი-

რველად ვხედავდი. მამა სახარჯოს მიგზავნიდა ხოლმე; იმ ფულს როგორც მინდოდა ისე ვხარჯავდი, არ მენანებოდა, ეს კი. . .

სკოლა რომ დავამთავრე, ინსტიტუტში დავაპირე შესვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მაღაროში დავიწყე მუშაობა. ბრიგადირმა შემაქო: ყოჩაღ, რომ მაღაროს არ შეუშინდი! არცა ცივდები, არც ქანები გეყრება თავზე; ერთი სიტყვით, ნამდვილი მაღაროელი ხარო. ჰოდა, ორი კვირის ხელფასიც ავიღე — ორმოცი მანეთი, ჩემი ოფლით მონაგარი ფული.

არ ვიცოდი, რა მეყიდა.

ისე, იცოცხლე, ბევრი რამ მჭირდებოდა: პალტო, კარგი კოსტუმი, პერანგები, ფეხსაცმელი, მაგრამ ამ ფულით ყველაფერი ხომ არ მომივიდოდა! გადავწყვიტე, რაც აუცილებელია, იმას ვიყიდი-მეთქი. ამ დროს გამახსენდა მამაჩემი, დედა, ძმები, და; ვიცოდი, ისინი არ მოელოდნენ და არც ეწყინებოდათ, საჩუქრებს თუ არ ვუყიდდი, მაგრამ მე მინდოდა მესიამოვნებინა.

მივდიოდი ქუჩაში და მეგონა, ჩემისთანა მდიდარი მეორე არ დაბიჯებს-მეთქი. ხან ერთ მაღაზიაში შევიდოდი, ხან — მეორეში; ნოქრებს ფასს ვეკითხებოდი. წინდაწინ არ ვიცოდი, რას ვიყიდდი, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო: შესანიშნავი რაღაც უნდა მეყიდა.

ტირს ჩავუარე. მამის გამოგზავნილი ფული რომ მდებოდა ჯიბეში, უეჭველად შევიდოდი. ახლა კი ნურას უკაცრავად!

ყველაზე დიდ მაღაზიაში შევედი. მაღაზია ხალხით იყო გაჭედილი. ვიღაც ახალგაზრდა კაცი სარკის წინ იდგა და მაკინტოშს იზომებდა. მეორე კი დრაფის პალტოს ატრიალებდა ხელში და მუშტრის თვალით სინჯავდა. ამოვიოხრე — აბა, ჩემი ფულით პალტო რას მომივიდოდა!

— ის პერანგი რა ღირს? — ვეკითხები თეთრპირისახიან, სანდომიან გამყიდველ ქალს.

— ჩვიდმეტი მანეთი.

ზამთარია, რა დროს პერანგის ყიდვაა-მეთქი,—გავიფიქრე გუნებაში.

— ის წითელი ფეხსაცმელი რაღა ღირს?

— ოცდაათი მანეთი?

—აი, ის კაბა?—ვეკითხები და ვგრძნობ, რომ გამყიდველ ქალს მოთმინების ფიალა ევსება.

— კაბა ცხრამეტი მანეთი ღირს.

დედაჩემს ვუყიდი-მეთქი, გადავწყვიტე.

— თუ შეიძლება. შემიხვიეთ! — ვუთხარი, მაგრამ სწორედ ამ დროს ერთ რაღაცას მოვკარი თვალი, რამაც ყველაზე საყვარელი ადამიანი გამახსენა: უჯრულა შალი დავინახე, სულ იქით, კუთხეში მილაგებულ საქონელთან ერთად იდო, დამტვერილი, ყველასაგან მივიწყებული; ციფრებგამოხუნებული იარლიყი ირიბად ეკერა. ფასი ვერ

გავარჩიე, მაგრამ ჩემი პირვანდელი გადაწყვეტილება სასწრაფოდ შევცვალე.

— მოიცათ! კაბა არ მინდა, ქალიშვილო, თუ შეიძლება, აი ის შალი მომაწოდეთ!

ქალიშვილი გაცხარდა:

— ყმაწვილო, თქვენ გარდა აქ...

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე სწორედ ეს შალი მინდა.

— ეს შალი კი არა, პლედია, — შემისწორა ქალიშვილმა.

პლედი ზეწარივით განიერი, მტკიცე და თბილი იყო; სწორედ ისეთი, მე რომ მინდოდა, უფრო სწორად, ბებია ნანდუს რომ სჭირდებოდა. ბებია ნანდუ მთის ძირას ცხოვრობდა. იქ დიდ თოვლს დებდა და ციოდა, თბილი შალი კი არ ჰქონდა მოხუცს.

— რა ღირს?

— ფასი ზედ აწერია, — მეუბნება გამყიდველი ქალიშვილი და ირონიულად ბრიცავს ტუჩებს.

ჩვიდმეტი მანეთი! იფ, რა კარგია!

დინჯად გადავთვალე ფული. ბოლოს და ბოლოს ყველაზე საჭირო რამეს ვყიდულობ-მეთქი, — მიხაროდა გუნებაში.

— მიიღეთ ქალიშვილო, ჩემი პირველი ხელფასის პირველი მანეთიანები. ნახვამდის!

ქალიშვილი ყველაფერს მიხვდა.

— ნახვამდის, ყოველ ხელფასზე შემოიარეთ ხოლმე! — მითხრა და გულკეთილად გამიღიმა.

შაბათი დღე იყო. ბებიასთან მივემგზავრებოდი. ტყვარჩელიდან სოფლამდე დიდი გზა არ მქონდა გასავლელი. რაც სკოლა დავამთავრე, ბებია ნანდუ არ მენახა. ჩემი მხრით ეს დიდი უსინდისობა იყო! სამაგიეროდ, ახლა გავახარებდი საყვარელ ბებოს, ბიძიასა და ბიცოლას. ყოველი ჩემი ჩასვლა იმათთვის დღესასწაული იყო. საყვარელ ნანდუს თბილ შალს წამოვასხამდი. ბებიას ხუთი შვილიშვილი ვყავდით და არც ერთს არ გვაკლდა მისი სითბო და ალერსი. ოჰ, როგორ გაახარებდა ჩემი ჩატანილი შალი! მე უფროსი შვილიშვილი ვიყავი და ხილაბანდი რა არის, ხილაბანდი არ მეჩუქებინა მოხუცისათვის. ბოლო დროს ბებია ძალიან მოტყდა. ხანმა და შრომამ წელში მოხარა. ძალიან კეთილი კი იყო; მერე, რა ზღაპრები იცოდა! ან რა ვაშლის ხეები ედგა ბაღში! ბებია ნანდუს ბაღის ყოველი ხე, მისი ეზოს ყოველი ბუჩქი და ბალახის ღერო ნაცნობი იყო ჩემთვის. იქ ავიდგი პატარამ ფეხი.

ვიყიდე ბადურა და ტკბილეულითა და პაპიროსით გავავსე: ბებია დაუმუშავებელ თამბაქოს ეწეოდა ხოლმე და სულ ერთთავად ბუზღუ-

ნებდა, წამდაუწუმ მიქრებაო. მივაბიჯებდი სოფლის გზაზე და ჩემი გული თოვლიანი მთებისკენ მიილტვოდა. სწორედ ამ მთების ძირში ცხოვრობდა ჩემი ბებია. სხვა დროს ხელცარიელი მივდიოდი, იქიდან კი დატვირთული ვბრუნდებოდი, ახლა... ახლა მეც საჩუქრები მიმქონდა.

სიარული მიჭირდა: ყოველ ფეხის ნაბიჯზე ორმოები და ღრანტეები მხვდებოდა. გუბეები სარკის ნამსხვრევებივით ბრჭყვიალებდა. აქეთ-კენ მანქანები იშვიათად დადიან. ჩემს ბედზე ერთმა დანჯღრეულმა ტონანახევრიანმა სატვირთომ ჩამოიარა. შოფერმა მანქანა გამიჩერა, მომიცადა, სანამ ძარაზე ავხტხდებოდი, და მერე ისევ გააქროლა ოღროჩოღრო გზაზე. მანქანა ჯანჯღარებდა, ხან ერთ მხარეს გადაწვებოდა, ხან — მეორე მხარეს, ხრჭიალებდა და ქეციანი თხასავით თრთოდა და თხიპინებდა. მეშინოდა, საცაა დაიმტვრევა-მეთქი, მაგრამ, როგორც იქნა, შესახვევამდე მიიყვანა. კაბინაზე მივაკაკუნე. მანქანა გაჩერდა და მე შიგ ტალახში ვისკუპე. შოფერმა მანქანის საფეხურზე ჩამოაბიჯა. ვიფიქრე, ალბათ გასამრჯელოს ელოდება-მეთქი, მაგრამ ფულზე ხელი ამიკრა და გზას გადახედა, მერე გადააფურთხა, ისევ კაბინაში ჩაჯდა და კარი მიიჯახუნა. კაბინაში ქალი რომ არ მჯდარიყო, ალბათ ერთი ლაზათიანად შეუკურთხებდა იმ საძაგელ ოკრობოკრო გზას.

დავღუნე თავი და ბილიკს დავადექი. მანქანები მშრალ ამინდშიც ვერ ადიან აქ. გზის რჩევაში აღარ ვიყავი; ვცდილობდი მხოლოდ, მღვრიე წყლით ამოვსებულ ცხენის ნაფეხურებში არ ჩამეკრა ფეხი. საცოდავი ჩემი ფეხსაცმელები! შარვალი წინდებში ჩავიტანე, მაგრამ არც ამან მიშველა: მუხლებამდე ტალახში ვიყავი ამოთხვრილი. ეს არაფერი, — ვიმშვიდებდი თავს, — ჩავალ და ბებიას კერიაზე გავთბებიმეთქი.

უღელტეხილზე გავედი. სველი თოვლი ადგილ-ადგილ იდო, გეგონებოდა: ვილაც დაუდევარ მკერავს მიტკლის ნაკუწები აქა-იქ დაუყრიაო. აქედან კარგად მოჩანდა მდინარე ულისი. მე და ჩემი ტოლი ბიჭები ზაფხულობით ამ მდინარეში ვბანაობდით ხოლმე. სოფელიც გამოჩნდა, ბებიას სახლიც გავარჩიე, გვერდით მიშენებული ფაცხაც. ფაცხის თავზე კვამლი ტრიალებდა. „ნეტავი რას აკეთებენ ახლა მოხუცები, — ვფიქრობდი გუნებაში, — ბიძია ალბათ ბოსელში საქმიანობს, ბიცოლა ქათამს წვავს. ქონი ნაკვერცხლებზე იღვენთება. ნაკვერცხლები შიშინებს და მადის აღმძვრელ მოლურჯო კვამლს უშვებს. ბებია აბისტას ხარშავს. მეზობლის ქალებიც იქ არიან; ნაცარში წაბლს შუშაღენ და თან სამხიარულო ამბებს ჰყვებიან“. დიახ, ბებიას სახლში მუდამ ასეა!

აი, მივედი კიდეც. ფრთხილად შევაღე ჭიშკარი: მინდოდა მოულოდნელად წაეწყომოდი მოხუცებს თავზე, ასე უფრო გაუხარდებათმეთქი, მაგრამ ბებერმა ნაგაზმა მინამ შემამჩნია და მიცნო. ჩემდა გასაკვირად, ბინას მხიარულად არ შეუყეფია და არ მიუხარებია მოხუცები-

სათვის ჩემი მისვლა. ნაგაზი მუხლებზე გამეხახუნა და ძირს დაშვებული ბირკავჩაკრული კუდი გააქიცინა, მერე სამზარეულოსკენ წახანხალდა და გაუბედავად შეჩერდა ზღურბლთან, „საბრალო მინა, ნუთუ ისე დაბერდი და დაჩაჩანაკდი, რომ სიხარულისა და აღტაცების გამოხატვა აღარ შეგიძლია! ამ ნახევარი წლის წინ რომ მოვედი, ზედ მახტებოდი, სახეში მწვდებოდი, ცდილობდი, აგელოკე, ჩემს გარშემო ხტოდი, ცეკვავდი; სიხარულით შემეგებე, ახლა კი... ახლა რაღა დაგემართა?“ — გავიფიქრე გუნებაში. ძაღლი ნაღვლიანი თვალებით მიყურებდა, მაგრამ მე ახლა იმისი უგუნებობის მიზეზის გასარკვევად არ მეცალა. შევაღე ფაცხის კარი. იქაურობა ბოლით იყო გამოჭედილი და უჩვეულო უწესრიგობა სუფევდა. კერასთან შავტანსაცმლიანი ქალი ტრიალებდა. ნედლი შეშა შიშინით იწვოდა.

სახეზე ღიმილი შემაშრა.

— ჩვენები სად არიან?

ქალი წელში გასწორდა და შეშინებულმა შემომხედა.

— უიმე, ვეღარ გიცანი!.. შენ ნანდუს შვილიშვილი არა ხარ?.. საწყალი როგორ გნატრულობდა!..

გავშრი. თავზე თითქოს ცივი წყალი გადამასხეს.

— რა დაემართა?

— სახლში წევს. ორივე ფილტვების ანთება აქვს... გადარჩენის იმედი...

სახლისაკენ გავიქეცი. ბებიას ოთახი ხალხით იყო სავსე. თამბაქოს ბოლი იდგა. საწოლთან მივედი. ბებიას თავქვეშ ბალიში აღარ ედო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები დამდგარიყო. თვალცრემლიანი მის წინ მუხლებზე დავეშვი.

— რა დაგემართა, ჩემო საყვარელო ნანდუ? — გამხდარ ხელებზე ხელი მივუთათუნე და შუბლზე ვაკოცე.

— დედი, შეხედე, შვილიშვილი მოგივიდა... ხომ ნატრობდი, ნეტავი მოვიდოდესო! — ჩასძახოდა ბიძაჩემი.

ბებიას გაყინული, დანაოჭებული სახე შეინძრა, ქუთუთოები ნელნელა გაეხსნა. მომაჩერდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყურა. მისი თვალების სიღრმეში ცნობიერების ნიშანწყალი გაჩნდა. სახეზე სიხარული... არა, სიხარულის გამოსახატავად ძალა არ ეყო... ცმაყოფილების შუქი მოეფინა... მიცნო!

— მოხვედი, გენაცვალე, — დაიჩურჩულა.

— ჰო, ნანდუ, მოვედი. გული არ გაიტეხო. ახლავე ექიმს მოგიყვან... ექიმი უეჭველად მოგარჩენს! — ვაიმედებდი ბებიას და ჩემი სიტყვებისა მჯეროდა.

— ჰო, გენაცვალე... — ჩურჩულებდა ბებია.

რამდენიმე წუთში ბებიამ ცოტა მოიხედა, თითქოს გამოცოცხლდა

მოხუცები ამბობდნენ: აი, ხედავ, შვილიშვილი ჩამოუვიდა და უკეთესობა დაეტყო, მალე მორჩებაო.

ბიძიამ მეზობლებს სთხოვა, წასულიყვნენ და დაესვენათ — მათ მთელი ღამე ავადმყოფის საწოლთან გაატარეს. მეზობლებს გარეთ გავყევით. ბიცოლამ კვარი მაღლა ასწია, რომ გზა კარგად გაენათებინა. ცეცხლის ენის ირგვლივ თოვლის ფიფქები ირეოდა. შორიდან მდინარის ნაცნობი შხუილი ისმოდა. ბიცოლა შინ შევიდა, მე და ბიძია კი პარმაღთან დავრჩით. ბიძია მონადირეა და მოუთმენლად ელოდება ხოლმე პირველ თოვლს. მას ისევე ემარჯვება თოვლში კვალის ამოცნობა, როგორც მე წიგნის კითხვა, მაგრამ ახლა ნადირობისთვის არა სცხელოდა.

— წავალ, ექიმს მოვიყვან... ახლავე წავალ! — დავფაცურდი მე.

— ექიმი გუშინ გვყავდა. დღეს აღარ წამოგვყვება, — წყნარად მითხრა ბიძიამ.

— რატომ არ წამომყვება?

— ხომ ხედავ, რა გზა გვაქვს! ეშმაკმა იცის, როდის ვეღირსებით წესიერ გზას!

— ცხენს წავიყვან, — არ ვიშლიდი ჩემსას.

— სულ ერთია, მაინც არ წამოგყვება. ცხენიც შევთავაზე, მაგრამ უარი თქვა, უნაგირზე ჯდომა არ შემიძლიაო. ფეხით კი ექვს კილომეტრზე მეორედ აღარ წამოვა, გეტყვის, რა ვქნა, მძიმე ავადმყოფებს ვერ მივატოვებო. მეზობლის ბიჭი გავგზავნე ცხენით ქალაქში: წამალი დავაბარე. ვინ იცის როდის დაბრუნდება ამ წყეული გზის გადამკიდე.

ჩემი უსუსურობა მტანჯავს. თვალები მენამება. „წყეული გზა!“ — ვიმეორებ გუნებაში. საავადმყოფოში ბებიას ხელად მოარჩენდნენ, მაგრამ ასე დასუსტებული როგორ ჩავიყვანო საკაცით შარამდე, მერე კი იმ ოღროჩოღრო გზით — ქალაქამდე. სიმწრისაგან ხელები მოვმუჭე. ოთახში შევედი.

— დაწექით, ჩემო კარგებო, ახლა უკეთესად ვარ, — გვთხოვა ბებიამ. — ბიჭს თბილად დაახურეთ.

მე და ბიძია ზალაში დავწექით, ბიცოლა კი ბებიასთან დარჩა. ვიწექი და ვფიქრობდი, ეუსმენდი ულისის შხუილს. სიზმარი ვნახე: ვითომ ექიმი ვიყავი; ბებია გავსინჯე და რაღაც წამალი დავალევინე. წამლის დალევა და ბებიას მორჩენა ერთი იყო. ბებია წამოდგა. ყველას გვიხაროდა და ვკოცნიდით. მეზობლები ამბობდნენ: აი, ნამდვილი ექიმი! სოფელში სწორედ ასეთი ექიმი გვჭირდებაო.

კარგ გუნებაზე გამეღვიძა. თენდებოდა. ბიძიას საწოლი ცარიელი იყო. სასწრაფოდ ჩავიცვი და ბებიას ოთახისკენ გავეშურე. ოთახში არ მიშვებდნენ.

— კვდება, ნუ შეხვალ, არ არის კარგი მომაკვდავის ყურება, — მირჩევდა საზარელი შაოსანი ქალი.

ქალი ჩამოვიცილე და ოთახში შევედი. ბიძია და ბიცოლა მომაკვდავს სასთუმალთან ედგნენ. მათ სახეზე მორჩილება ამოეკითხე, მორჩილება იმის წინაშე, რაც უნდა მომხდარიყო. ბებია ნანდუს ჩემი ნაყიდი შალი ეხურა.

— ჩემო საყვარელო ბიჭო... თბილად ჩაიცვი, არ გაცივდე.. შალი მიყიდე?.. მადლობელი ვარ... ძალიან თბილია... დაგაქცე და ეგ არის...

ბებია ძლივსღა ლაპარაკობდა, ხმა თანდათან მიუსუსტდა.

— ახლა ყველანი წადით, შენ კი დარჩი, — მტკიცე ხმით უთხრა ბიძიას, თავის უფროს ვაჟიშვილს.

ოთახიდან გამოვედით, მაგრამ ყური ბებიასკენ გვეჭირა.

— ნან ჩუკა, გტოვებთ. ერთად არ დავბადებულვართ, რომ ერთად დავიხოცოთ. მე დედა ვარ და თქვენზე ადრე უნდა მოვკვდე. აბა, თქვენ იცით, სტუმართმოყვარეობის წესი არ შელახოთ... ბიჭს ჩემს კუბოსთან ღამე არ გაათევინოთ, გაუფრთხილდით ყმაწვილს...

მე ვეღარ მოვითმინე და ბებიასთან შევვარდი. ვეხვეწებოდი, ნუ მიგვატოვებ-მეთქი. ბებიამ სუსტად გაიღიმა:

— მე არ ვკვდები, შვილო; ვიდრე თქვენ ცოცხლები ხართ, მეც ვიცოცხლებ... მხოლოდ ძალიან დავიღალე და მინდა დავისვენო... თავს გაუფრთხილდი...

ნანდუს უნდოდა შალი წაეხურა, მაგრამ ხელი უსიცოცხლოდ ჩამოუვარდა საწოლიდან. ბიძიამ ფრთხილად აიღო მისი ხელი და მკერდზე დაადო.

— გააჩერეთ მანქანა! — შევძახე მოგონებებით გაბრუებულმა.

მეგობრები გაოცებულები მიყურებენ. გადმოვდივარ მანქანიდან და ქვით შემოღობილ საფლავთან მივდივარ. პატარა, სადა ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „აქ განისვენებს ნანდუ. 1951 წელი 28 დეკემბერი". ნაცნობი კოლმეურნე მოდის ჩემთან და მთხოვს, წამობრძანდით, ჩვენთან დაისვენეთო. უარს ვეუბნები — ძალიან გვეჩქარება-მეთქი.

— შენზე ერთი სასიხარულო ამბავი გავიგეთ — ახალ მაღაროში ექიმად დანიშნესო. მართალია?

— მართალია, — უნებურად ბებიას საფლავს გადავხედე. — მაგრამ მე ყველა თქვენს სოფლელს ვუმკურნალებ. როცა დაგჭირდეთ, გამომიძახეთ ხოლმე.

გზა განვაგრძეთ. ფიქრებით ისევ ბებიასთან ვარ: „ექიმი რომ მოგვეყვანა, იქნებ დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. ახლა მე თვითონ ექიმი

ვარ, სოფლამდეც მშვენიერი შარაგზა მიიმართება, მაგრამ ჩემი საყვარელი ბებია ნანდუ ცოცხალი აღარაა“.

სწორ, მოასფალტებულ გზატკეცილზე ჭიქრის ჩვენი მანქანა; მთებისკენ, ახალი მაღაროსკენ მიგვაქროლებს. ამ გზაზე იყო, ოდესღაც სიტყვაძუნწმა შოფერმა სიბრაზისაგან რომ გადააფურთხა. „ეჰ, გზაო, გზაო, მართლაც დიდი მნიშვნელობა გაქვს ადამიანის ცხოვრებაში!“ — ვბუტბუტებ ჩემთვის.

1964

შალოდია აჯინჯალი

შალოდია მაძარას ძე აჯინჯალი დაიბადა 1932 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეში. მუშაობდა ტყვარჩელის მაღაროებში 1954—1959 წწ. სწავლობდა სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. თანამშრომლობდა გაზეთ „აფსნი ყაფში"-ს რედაქციაში. ამჟამად მუშაობს გამომცემლობა „ალაშარას" დირექტორად.

შ. აჯინჯალის პროზა დიდი სიყვარულით სარგებლობს მკითხველებში. მისი თხზულებები თარგმნილი და გამოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე.

აკაბიბი

ამბობენ, ბავშვობაში დიდხანს ვერ ვლაპარაკობდი, ენა ვერ ამოვიდგი. სამი წელი შემისრულდა, მეოთხეში გადავედი თამამად, არც აქ გამჭირვებია რამე, ეს წელიც ყოჩაღად მოვისტუმრე და აღმავლობის მეხუთე საფეხურზე შევდგი ფეხი, ენა ისევ და ისევ გადაკეტილი მქონდა. უბრალო ბლუყუნიც კი არ შემეძლო. მშობლები ჭკუას კარგავდნენ: — მტრისას, ერთადერთი ბიჭი და ისიც მუნჯი, თუ ასე გაგრძელდა, თავს ჩამოვიხრჩობთ!

საშველი თუ არ იყო და უსათუოდ უნდა ამეხილა თვალი ამქვეყნად, საღ-სალამათი მაინც დავბადებულიყავი და დედ-მამისათვის სიცოცხლე არ მომესწრაფა! ხუთი წელიც რომ გავათავე და ჩემს გადაკეტილ ნაქს მაინცდამაინც ვერაფერი მოუხერხეს, მშობლები სრულ სასოწარკვეთას მიეცნენ და ცოტათი გააფრინეს კიდეც. საკმარისი იყო, ყური მოეკრათ რომელიმე „სასწაულმოქმედი" ექიმის თუ ექიმბაშის გამოჩენაზე, მა-

შინვე იქითკენ მიმაქროლებდნენ, ხელზე ატატებულს. არც წამლის ფულზე წუწურაქობდნენ, მზად იყვნენ თავიანთი ავლადიდება გაეღოთ, მხოლოდ რამე საშველი კი დამდგომოდა.

პირველად მე სასტიკად მეშინოდა ჩემი თეთრხალათიანი მხსნელებისა. როცა ისინი დაკინებით მთხოვდნენ; — აბა, ბიჭიკო, პირი დააღე, ენა გვიჩვენეო!—მე შიშით ჭკუას ვკარგავდი, ერთი ორჯერ სულაც გადავფიჩინდი და ვაი-ვაგლახით მომაბრუნეს. საქმე იმაშია, რომ მე რატომღაც მეგონა, ის თეთრხალათიანი ბიძია ენას მომჭრიდა. ეს იყო მხოლოდ თავდაპირველად, თორემ შემდეგ ამ პროცედურას ისე შევეჩვიე, წინასწარვე ვაღებდი პირს, სანამ ამას მომთხოვდნენ და ერთ მტკაველა ენასაც გადმოვაგდებდი.

საცოდავი ჩემი ენა! ვინ არ უტრიალა, ვინ არ უჩხიკინა, ვინ არ ექაჩავა. მისი მორჩენა მაინც არ იქნა. სად არ წამიყვანა მამაჩემმა, რა არ იღონა, სანამ მთელი ქვეყანა არ შემომატარა და ჩემი წონა ფული არ დამახარჯა. ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა! დრო გადიოდა. მაშ, ჩემს უმოძრაოდ გაქვავებულ ენას ხომ არ მოუცდიდა?

აი, მე უკვე შვიდი წლისა ვარ, უკვე პატარა კაცი მქვია, ხმის გაღება კი არ შემიძლია. ამდენი ვაებისაგან ჩემი მშობლები უკვე დაკუზიანდნენ. არც ახლო ნათესავებს ადგიათ უკეთესი დღე. დაიქანცნენ, წელში გაწყდნენ, სული ამოხდათ. ხელში შევიკალი დიდი და პატარა.

— რა შავ დღეს გავჩნდი ამქვეყნად! — ხშირად შეჰღაღადებდა მწუხარებისაგან გასავათებული მამაჩემი. ცრემლი არ აშრებოდა ლოყაზე დედას. მე ყველაფერი ეს მესმოდა, ყველაფერს ვხედავდი, მაგრამ ენა არ მემორჩილებოდა, რომ სანუგეშო სიტყვა მეთქვა:

— დაანებეთ თავი ამ ჩემს ოხრად დასარჩენ ენას, მოეშვით, ჯანდაბასა და ჯახრანაში საერთოდ ენის მომგონი! მთავარია, მე ჯანმრთელად გყავდეთ, არ ავადმყოფობდე და უენოდაც იოლად წავალ...

ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, ჩემს უთქმელადაც თვითონ მიხვდნენ ამას მშობლები და თავი დამანებეს, ხელი ჩაიქნიეს.

ერთხელ, შუადღისას (ეს დღე არასოდეს დამავიწყდება), როცა ფართო ეზოში მეზობლის ბავშვებთან ვთამაშობდი, ჩემს კბილა მამლაყინწას საჩხუბრად ვეცი. საქმე იმაშია, რომ თანატოლები ყოველთვის მორიდებით მექცეოდნენ, როგორც მუნჯს. ჩემს ყველა სურვილს უსიტყვოდ მისრულებდნენ. მე ამას შევეჩვიე. იმ ჩხუბისთავმა კი იმ დღეს ბურთი ხელიდან გამომღლიტა და მოუსვა. შორს სად წამივიდოდა? წამოვეწიე და ზურგზე ვუბიძგე. ის ჯერ წაიქცა, მაგრამ უმალვე წამოხტა და ერთმანეთს საჩხუბრად ვეძგერეთ. შეიქმნა გაწამაწია. როგორც ჩანს, უპირატესობა ჩემს მხარეზე იყო. ალბათ, ამან გაამწარა, ნაცემი სულ გინება-გინებით წავიდა შინ, ღობეზე შედგა და ბოლოს ეს მომაძახა:

— ჰაიტ, შე მუნჯო, ლაყევ, უენოვ, მახინჯო! ბუ-ბუ-ბუ! — გამომა-

ჯავრა და ენა გადმომიგდო. უყურე შენ, რა თქვა ამ ვირის თავფეხმა? ვინაა ბუ-ბუ? — მუნჯო, მუნჯო! ბუ-ბუ-ბუ! — ახლა ჯირკვზე შეხტა და იქიდან ქაქანებს.

გავიქეცი, ტყვიასავით გავვარდი. ტყიდან გამომხტარი მგელი რომ ყოფილიყო, ან ზღვიდან ამოსული გველეშაპი, როგორ შევუშინდებოდი? ვხედავ, გარბის. ვერ წამოვეწევი! მე სუნთქვა შემეკრა და ცრემლი წამსკდა... უცებ ბოქლომი ამეხსნა ენაზე. ვჭექე. მაგრამ როგორ?

— შესდექ, შესდექ, დედალო! სად გარბიხარ? — ეს ჩემი ყვირილი ყველამ გაიგონა, მათ შორის მეც... მშობლები ჩემკენ გამოქანდნენ ხელებაწვდილნი. მამა რომ მოვარდა, მე ისევ ვღრიალებდი:

— შესდექ, შესდექ, შე დედალო!

ადვილი წარმოსადგენია, რა ამბავი დატრიალდა ერთ წუთში. ატყდა ვაიუშველებელი, მოცვივდნენ მეზობლები, ნათესავები, შეიქნა ხვევნა-კოცნა, მილოცვა-მოლოცვები...

...ჩემს თვალწინ თავი წააცალეს სამ თხას ერთად და ცეცხლზე შედგმულ სპილენძის დიდ ქვაბში ჩაუძახეს.

სწრაფად გაჭიმეს სეფა, დაიწყო ქეიფი და ღრეობა, ცეკვა-სიმღერა და ტაშფანდური. სამი დღე გაისმოდა ჰარივარალე, სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა.

— თქვი, მამიკო, კიდევ ერთი სიტყვა თქვი, გამაგონე რამე! — ხვევნა-კოცნით მემუდარებოდა მამაჩემი.

მეც ხმამაღლა გავკიოდი, რაც ენაზე მომადგებოდა, ზარის ხმაზე. გვერდით ის ჩემი მხსნელი მეტოქე მეჯდა, ამდენი სიხარულისა და ბედნიერების მომმადლებელი.

ამ დღიდან ჩხიკვის მართვედ გადავიქეცი. ვრატრატებდი და ვრატრატებდი. წელში გატეხილმა მშობლებმა ამდენი ვაების შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქეს...

ცხადია, როგორც კი ენა ამოვიდგი, მაშინვე სკოლაში მიკრეს თავი და მანამ არ მომეშვნენ, სანამ საშუალო არ დავამთავრე და ინსტიტუტში არ ჩავერიცხე. შემდეგ მეც რაღა მექნა, რაკი ჩავერიცხე, საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა...

ახლა დღედაღამ სულ იმას მეჩიჩინებოდნენ: უმაღლესი განათლება კარგია მაგრამ, ამასთანავე, იყავი ადამიანი, გულმართალი და პატიოსანი, გულწრფელი და ალალი. ნურასოდეს ნუ იტყვი, რაც უმართებულოდ მიგაჩნია, პატიოსნება წინ მიგიძღოდეს ცხოვრების გზაზე, ეცადე, ყოველთვის კეთილმა გაიმარჯვოს ბოროტზე, შენ კეთილს ამოუდექი მხარში. ყოველთვის გახსოვდეს, რომ ლელო ბოლომდის უნდა გაიტანო და ასე შემდეგ... ჭკუის ამ გაუთავებელ სწავლებაში ოცდახუთი

წელი შეესრულდა. ეს ის ასაკი იყო, როცა მე ინსტიტუტი უნდა დამემთავრებინა და დავამთავრე კიდეც...

— შენ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის უკვე მომწიფდი, გზა მშვიდობისა! — მითხრეს პროფესორებმა და დიპლომი გადმომცეს.

ცხადია, მართლაც მომწიფებული კაცი ვიყავი, რადგან თექვსმეტი წელიწადი რქამოტეხილ ბეკეკას რომ უჩიჩინო, ისიც ისწავლის ლაპარაკს და შესაძლოა, წერასაც.

უფროს აგრონომად განმაწესეს მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში. პირველ დღიდანვე ვითომ ფხა გამოვიჩინე. ძალიან მინდოდა რამე ახალი, სასარგებლო კულტურა დამენერგა ჩვენს კუთხეში. ვინმეს რომ ეთქვა, აი ეს მთა ადგილიდან უნდა დავსძრათო, არც კი დავფიქრდებოდი, ისე ვეკვეთებოდი საქმეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქველი, გამოცდილი მუშაკი იყო, საყოველთაოდ ცნობილი ხელმძღვანელი. რატომღაც ჩემს ასეთ მონდომებას თავიდანვე ალმაცერად შეხედა და თავი შორს დაიჭირა.

ერთხელ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე მან გამოგვიცხადა:

— დავალებული გვაქვს ჩავყაროთ ვენახი. ყველას მოგეხსენებათ, სხვებს კუდში არასოდეს მივჩანჩალებდით. ეს გეგმაც დროულად და ხარისხოვნად უნდა შეავასრულოთ. ამხანაგებს ვთხოვ, თავიანთი აზრი გამოთქვან...

პირველად მე წამოვვარდი. შორიდან მოვუარე, ისტორიაც კი გავიხსენე და მეევნახეობას ჭეშმარიტად სახალხო საქმე ვუწოდე. ჩემი გამოსვლის მოკლედ ორი სიტყვით გადმოცემა ასე შეიძლება:

— ვენახი „აკაჭიჭი" ღვთის მიერ გაჩენილია ჩვენი სოფლის ნიადაგისათვის და სწორედ ამ ჯიშს უნდა ჩავეჭიდოთ, თუ გვსურს ღვინო და ყურძენი გამოულეველი გვქონდეს.

— რომელ „აკაჭიჭზე" მეუბნები შენ? — უკმაყოფილოდ შენიშნა თავმჯდომარემ.

— უმჯობესი ვენახი აფხაზეთში მე არ მეგულება, ღვინო ძვირფასი გამოდის, უკეთესს, ჩვენს პირობებში, ვერ ინატრებ. ნამდვილი წამალია, განსაკუთრებით ყურძნის სუფთა წვენი. ღვინო ნაკლებ ალკოჰოლს შეიცავს და საამოდ დასალევია. პირდაპირ ალობს ადამიანის სულსა და გულს. ეს იმიტომ, რომ „აკაჭიჭი", ცნობილია, დიდი რაოდენობით შთანთქავს ხოლმე მზის ენერგიას და შემდეგ მას, როგორც ჩანს, ღვინოში გამოასხივებს. ამიტომაა, რომ ავადმყოფს ის წამალზე მეტად უხდება. ხშირად სულ მოკლე ხანში ფეხზე წამოაყენებს ხოლმე.

— დამშვიდდით, თუ შეგიძლიათ! ნუ გავიწყდებათ, რომ უფროსი

აგრონომი ხართ და არა ექიმი! — მწყრალად მომიგო თავმჯდომარემ, როცა დარწმუნდა, ჩემს ამ მტკიცებებს ბოლო არ უჩანდა, მაგრამ არც თუ ისე ადვილი იყო ჩემი შეჩერება.

— „აკაჭიჭი“ დედამიწის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა. ჩვენს ერამდეც მოჰყავდათ და ხალხში დიდი მოწონებითაც სარგებლობდა. თვით ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთში ლაშქრობის წინ ინება ამ ღვინით დათრობა. მსოფლიოს ყველა განთქმულ ღვინოებს ეს არჩია. და არა მარტო ეს ცნობილი მხედართმთავარი იყო „აკაჭიჭიზე“ ასეთი მაღალი აზრის... მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძვირფასი ისტორიული ჯიში დღეს გადაგვარებისა და მოსპობის გზაზეა შემდგარი...

— ნუ გავიწყდება, რომ შენ უფროსი აგრონომი ხარ და არა ისტორიკოსი! — მკვახედ წამოიძახა თავმჯდომარემ და მაგიდაზე ღონივრად დაარტყა მუშტი: — „აკაჭიჭით“ ჩვენ შორს ვერ წავალთ, ეს ჯიში ძალიან ნელა იზრდება, ჩვენ კი მალე მზარდი ვენახი გვჭირდება, რომ გეგმა დროულად შევასრულოთ, იქნებ თქვენ არ იცით, რომ ასეთია „აჭკიკაჟი“ და ჩვენ ჩავყრით სწორედ „აჭკიკაჟს“ და არა რომელიმე სხვა ვენახს.

— თუმცა „აკაჭიჭი“ სარეველა ბალახივით სწრაფად არ იზრდება, ნელა შლის ფესვებსა და ყლორტებს, სამაგიეროდ ას წელიწადს ცხოვრობს და სხმოიარობს. „აჭკიკაჟი“ კი თუმცა ჩქარა იზრდება, მაგრამ ასეევ ჩქარა ბერდება! — შეეკამათე თავმჯდომარეს.

— მე ვამბობ ეს თეორია, შენ გაიძახი, არა, ეს შავია... ჩანს, ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვნახავთ! — იწყინა თავმჯდომარემ.

— ბიჭო, ენა მუცელში ჩაიგდე, ვის ეკამათები? რას ბედავ? — მიჩურჩულეს კოლმეურნეებმა.

...რამდენიმე დღის შემდეგ გაუქმდა (გააუქმა მან) უფროსი აგრონომის შტატი და მე უბრალო აგრონომად ჩამომაქვეითეს.

იმ დღიდან დაწყებული კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა თვალით არ მინახავს, როგორც საკუთარ ყურებს ვერ ვხედავ სარკის გარეშე. სად არ მიკრავდნენ თავს. ხან წისქვილის შეკეთებას ვხელმძღვანელობდი, ხან ყანის ღობით შემოკავებას, ხანაც ხბორებს ვერეკებოდი მეწველი ფურებისაგან, მწყემსებთან ერთად.

ხშირად გულისწყრომას კოლმეურნეებს ვუზიარებდი. დროს მოვიხელთებდი, მივიდოდი მათთან მინდორზე და თავგამოდებით ვუმტკიცებდი:

— ამაოდ ირჯებით, ძმებო, ტყუილად იკლავთ თავს ამ დასაღუპავ „აჭკიკაჟის“ გამო, სულ ერთია, ეს წყლის ნაყვაა. სხვაა ძირკურთხეული „აკაჭიჭი“, ყურძნით, წვენით და ღვინით ქებული, ძვალმაგარი და გამძლე ვენახი... — არავის ესმოდა ჩემი ჩინური, ისინი მხოლოდ თავმჯდომარეს უჯერებდნენ ყოველთვის და ყველაფერში, მისი სიტყვა შეურყეველ კანონად მიაჩნდათ.

მოთმინება საბოლოოდ დავკარგე და ერთხელ პირდაპირ, მიუპატიჟებლად გამგეობის სხდომაზე შევიჭერი. სიტყვა არც თუ ისე მოკრძალებულად მოვითხოვე.

— გამგეობის წევრებს გეხვეწებით, ამიხსნათ, ვინა ვარ მე: მეწისქვილე, მწყემსი თუ აგრონომი? — შევღაღადე გულმხურვალედ.

ყველამ თავი ჩაქინდრა, უცდიდნენ რას იტყოდა თავმჯდომარე, ის კი ხმას არ იღებდა. ეს კი ნათელს ხდიდა სხვების აზრსაც. მაშინ მე თვითონ გავეცი პასუხი ჩემს კითხვას:

— მე აგრონომი ვარ, დეე, ნურავინ იფიქრებს, მეწისქვილე ვიყო. მე კიდევ ერთხელ მსურს შეგახსენოთ, რომ ჩვენი სოფლის ნიადაგისათვის „აკაკიჭი“ ზედ გამოჭრილია. ამას წინათ სამთავროს ერთ სამაროვანში, თავად ქელეშბეის საფლავთან ახლოს, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის სურა ნახეს, შიგ „აკაჭიჭის“ თესლი იყო შემორჩენილი, რას გვეუბნება ჩვენ ეს ძვირფასი აღმოჩენა?

— ისევ თავისას გაიძახის, ნუ დაგავიწყდება, ძვირფასო, რომ შენ აგრონომი ხარ და არა არქეოლოგი! კაცო, მომაშორეთ თავიდან ეს ჭკუათხელი, თორემ გავგიჟდები!—შეჰყვირა თავმჯდომარემ და ფეხზე წამოვარდა. იმ დალოცვილმა სიტყვა წესიერად არც კი დამამთავრებია.

— ხმა ჩაიწყვიტე, სისულელეებს აქ ნუ ყრანტალობ, ენა დაიმოკლე შე პირძაღლო, წადი შენს საქმეს მიხედე! — კვერი დაუკრეს მაამებლებმა და ისევე ძალით დამსვეს სკამზე, როგორც ძალით წამოვდექი იქიდან.

... რამდენიმე დღეში თქვეს (თქვა მან), რომ კოლმეურნეობას აგრონომი საერთოდ არ სჭირდება. ახლა ბრიგადირად განმაწესეს. ეს იყო თამბაქოს რგვის ფიცხელ დღეებში, მე თავი მოვუყარე ბრიგადის ყველა წევრს და მწვანე ფარდულში ვრცელი ლექცია წავუკითხე. ამომწურავად განვუმარტე მათ თამბაქოს უარყოფითი გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ამ საკითხზე არც ჩემი პირადი შეხედულება დავუმალე: ისეკ უმჯობესია, კაცმა ღვინო სვას, ვინემ ეს მყრალი თამბაქო მოსწიოს-მეთქი. ნიკოტინის დამღუპველ თვისებებზე რამდენიმე ჩემთვის ცნობილი მედიცინის დოქტორის ციტატაც მოვიშველიე და, როგორც მე მომეჩვენა, მსმენელები სრულიად დავარწმუნე ჩემ სისწორეში.

ლექცია იმით დავამთავრე, ბრიგადის წევრებს ვურჩიე, თავი დაენებებიათ ადამიანთა მოდგმის დაუძინებელი მტრის, თამბაქოსთვის და რამე სასარგებლო საქმისათვის მიეყოთ ხელი, მაგალითად, თუნდაც ეენახ „აკაჭიჭის“ მოშენებისათვის.

— მისი ღვინო ნამდვილი წამალია, ტკბილად გადის ძარღვებში და იქ სასიამოვნო სითბოს გამოყოფს ხოლმე. თუ კაცი ამ ღვინოს ყოველდღიურად დალევს, თუნდაც ერთ მომცრო ყანწს, ას ორმოცდაათ წელს მაინც იცხოვრებს, ეს სულ ცოტა.

ხანგრძლივად მიკრავდნენ ტაშს და სიხარულით თვალში შემომციცინებდნენ. ჩანს, ჩემი სიტყვები არ დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

— აგაშენა ღმერთმა, სრულ სიმართლესა ბრძანებ. მართლაც, რა ოხრად გვინდა ეს თამბაქო, საზიზღარი საწამლავი, ჯილაგი ამოუვარდეს. ბიუოს, თურმე ჩვენ თვითონ ვთესთ სიკვდილს! რატომ და რისთვის? გავწყდით წელში, სული ამოგვხადა ამის დარგვამ და გამოთოხნამ, შეტეხვამ და გამოშრობამ. ამას არ ჯობია, ხელი მივყოთ „აკაჭიჭს“, ამ სვებედნიერს, ჩვენც მოვულხენთ და სხვებსაც დავპატიჟებთ! — ხელზე ამიტაცეს და ისე გამომიყვანეს ფარდულიდან.

როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს ხალხს ჩემი სრული სიმართლე შევაგნებინე. ეს ძალიან სასიამოვნო იყო. ამას აღუნიშვნელს როგორ დავტოვებდი? იქვე სურებით მოარბენინეს ჭაში ჩაგრილებული „აკაჭიჭი“ და წავიდა გრძელ-გრძელი სადღეგრძელოები. დრო ბევრი არ დაგვიკარგავს, იმავე დღესვე, თამბაქოსთვის განკუთვნილი ფართობის ერთ ნაწილზე კარგად შეზარხოშებულებმა სიმღერებით ვენახის ჩაყრას შევუდექით.

მალე ჩვენთან ცხენის ჭენებ-ჭენებით მოვარდა მოანგარიშე და შორიდანვე მომაძახა, რომ მე კანტორაში მიხმობდნენ... ბრიგადას შევპირდი, რომ ახლავე დავბრუნდებოდი (დღემდე მიცდიან) და გამოვიქეცი. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რაც იქ მოხდებოდა... ამჯერად გამომიცხადეს (გამომიცხადა მან), რომ კოლმეურნეობას ამ უბანზე ბრიგადირი არ სჭირდება: მეორე დღეს სოფლის საპარიკმახეროს გამგედ დამნიშნეს... სამოთხეში ამოვყავი თავი, ორი ხელქვეითის უფროსობა დიდი საქმე არაა, ისინი რიგრიგობით მპარსავდნენ მე, მოსვენებასა და განცხრომაში მყოფს.

ერთ დილით თავმჯდომარე მობრძანდა ჩვენთან, რომ თმა შეეკრიჭა, თურმე რაიონში გამოუძახეს—„აჭიკაჟის“ ჩაყრის გეგმის შესრულებისათვის ჯილდოს მისაღებად.

ხიშნის მოგებით მომაშტერდა და გამკილავად ჩაიცინა.

— ჯანზე ხომ კარგად ხარ, საქმე როგორ მიდის, როგორ გიკითხო?— კმაყოფილებით გაბრწყინებული თვალები მომაშტერა. შემდეგ ისე ღონივრად ჩამომართვა ხელი, ლამის სახსარი გადამიმსხვრია.

ის იყო უნდა მეთქვა:

— თავს ისე ვგრძნობ, როგორც არასოდეს! — მაგრამ უცებ ხმა ჩამიწყდა, ენა გადამეკეტა და მხოლოდ ბლუკუნი აღმომხდა... მუნჯური ბლუკუნი!

ის აუჩქარებლად დაჯდა, გაიპარსა, თმა და წვერ-ულვაში სრულ წესრიგში მოიყვანა, ისევ გამხვრეტავი, გამომცდელი მზერა მომაპყრო და ეს მითხრა:

— ამ, დღეს შენ მომწონხარ, ხომ იცი; ყოჩაღ, ასე უნდა გეჭიროს თავი უფროსებთან! — და დასამშვიდობებლად მეგობრულად დამკრა მხარზე ხელი.

მე პირდაღებული ვიდექი და თვალებგაშტერებით გავყურებდი დინჯად მიმავალს. . . როგორ მინდოდა მეკივლა:

— შესდექ, შესდექ, დედალო, გაჩერდი, თუ ბიჭი ხარ, სად გარბიხარ! — მაგრამ ვაი, რომ დამუნჯებულს ენა ისევ ჩამვარდნოდა და აღარ შემორჩილებოდა.

1971

მუშნი ლასურია

მუშნი ტაიას ძე ლასურია დაიბადა 1938 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში. 1965 წელს დაასრულა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. თხზულებების ბეჭდვა დაიწყო 1955 წლიდან.

მ. ლასურიას შემოქმედება მრავალფეროვანია. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მთარგმნელობით სფეროშიც. მან თარგმნა შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი", ა. ს. პუშკინის „ევგენი ონეგინი", ი. მ. ლერმონტოვის „მწირი", ბაირონის და სხვათა ნაწარმოებები, იგი აგრეთვე წარმატებით თარგმნის აფხაზურ ენაზე ქართველი საბჭოთა მწერლების თხზულებებს. მისი ლექსები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე.

მე ვრჩები მზესთან

მოვიხედე და... სიკვდილის ლანდს თვალი მოვკარი,
მომდევდა კვალში, როგორც ყანას ავი მომკელი.
მომდევდა ურცხვი სიცილითა და დამუქრებით,
არ ეღლებოდა ავსა და შავს გზაზე მუხლები.

და მე გავრბოდი... შენ მიგყავდი მთისკენ ბილიკო,
რომ სიკვდილის და ჩემი გზები არ შეყრილიყო.
გავრბოდი... წუთით შვებაც ვიგრძენ, კვლავ ჩემს თავს ვგავდი,
მოვიხედე და... გზას მოსდევდა ისევ ის ლანდი.

რა ლამაზია, რა ტურფაა, ირგვლივ რაც არის,
ჩემთვის კი ციდან ცვივა მხოლოდ შავი ნაცარი.
გული ამინთო კორტოხმა თუ ბალახის ღერმა,
ჰყვავის ბუნება და ფუტკარმაც გამოიმღერა.

ფრინველთ გალობა, ყვავილების ქეკლუცქალობა,
ამპარტავნობა ციცარისა, წყაროს წყალობა,
— როგორ მოვაკლდე ამ სამზეოს, ამდენ სიკეთეს,
ვიწვი ღადარზე, და ცეცხლს არვინ გამომიკეთებს.

ო, როგორ მინდა, როგორ მინდა, რომ მზის შუბებით
სიკვდილის ლანდი დაიფლითოს, როგორც ღრუბელი.
მინდა, ნზესავით მუდამ ვიყო მიწას ეზვერავდე,
ვხედავდე: ყველგან სიცოცხლე ჩქეფს, ათასფერადი.

შავი გედები

მთებიდან დაიძრა ზამთარი,
მზე ღრუბლის სარკმლიდან გვიცქერს
და შავი გედები ნარნარით
ტოვებენ მშობლიურ სივრცეს.

მიქრიან, მიქრიან ჰაერში,
ეძებენ სხვა, ახალ ედემს.
ვინ უხმობთ? შორეულ მხარეში
რა ელით მშიშარა გედებს?

ო, შავო, ამაყო გედებო,
აფხაზეთს სხვა შუქი ასდის,
რა შიშის ნიავი გედებათ,
სად ჰპოვებთ უკეთეს ადგილს?

ეს მიწა, ეს ქარი, მთის წყალი
გავსებდათ სითბოთი დღემდე,
გკვებავდათ მზის მადლით,
მზის თვალით,
თქვენ მაინც უცხო გზას ენდეთ.

რა ვუყოთ, სულ ოდნავ აცივდა,
სულ ოდნავ აწივლდა ქარი. . .

ეჰე, რა კარგებად გიცნობდით,
ძოვტყუვდი, გვიანღა არი.

ამ მხარეს ჰყავს მკვიდრი ფრთოსნებიც,
მე მათგან ღალატს არ ველი.
არიან აქ ყინვის მომსწრენიც,
მათ უყვართ ზამთარიც ჩვენი.

მათ ეს ცა იგულვეს პატრონად,
მშიშარა შეგარქვეს გედებს,
არასდროს, არასდროს ნატრობენ
სხვა, უფრო მშვენიერ ედემს.

უნახავთ სუსნი და გრიგალი,
ქარბუქი უვსებდათ თვალებს,
სიკვდილის კარებთან მიმდგარნიც
ეტრფოდნენ მშობლიურ მთა-ველს.

გულს სინანული მედება,
თქვენი ხმაც არ უყვარს პოეტს.
ო, შავო, მაძღარო გედებო,
სამშობლოს თქვენ ვერსად ჰპოვებთ.

1965

ჯუმა ახუბა

ჯუმა ახუბა დაიბადა 1937 წელს. იბეჭდება 1955 წლიდან. დაამთავრა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. გამოცემული აქვს წიგნები „წითელგულას სტუმრები», «მერეხი», «ომი აღარ იყო», «მთების დალოცვა». სოხუმის აფხაზური დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა მისი პიესები: „მონანიება“ და „ჩვენი მთების ჩრდილი“.

მწყემსის გუდა

ფანჯარასთან ბასიათი წევს და ყურს უგდებს მდორედ მოზღვავებულ ღამის სიჩუმეს. ძველი ხის სახლი ქარის ყოველ შემობერვაზე მოხუცის ძვლებივით ჭრაჭუნობს. ფანჯარასთან ხეზე გასაშრობად ჩამოკიდებული სიმინდის ჩალა შრიალებს. ჭრიჭინები მომავალ შემოდგომამდე გაქრნენ და მიჩუმდნენ. მხოლოდ ერთი, ეტყობა, სახლის სითბოთი მოტყუებული, სადღაც ჭერქვეშ კრიმანჭულს დასძახის ხამუშ-ხამუშ. ადრე დაწვა ბასიათი. შუაღამეც არ იყო გადასული, უკვე გაეღვიძა. მისი ცოლი უადირჰანი ქალაქში წავიდა შვილთან. და, აი, დარჩა მარტოდმარტო აქაურობის ბატონ-პატრონად. ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდება, ხან მეორეზე, ვერაფრით ვერ იძინებს. შემოეჯარნენ ფიქრები — ოჯახზე, მოსავალზე, ძროხასა და ცხენზე, ფიქრობს იმაზეც, რაც ბოლო დროს ყველაზე მეტად აწუხებს — სახლის სახურავზე. უახლოეს დღეებში უნდა გამოცვალოს. ომიდან რომ დაბრუნდა, იმ წელს შვილთან — სირ-

ბეისთან ერთად მთაში ყავარი დაამზადა და გადაჰხურა. ახლა კი უნდა თავისი ძეზობელივით თვითონაც კრამიტით დაჰხუროს.

ბასიათმა თავისი ერთადერთი ძროხაც გაიხსენა. უნდა გაყიდოს,— კრამიტის ფულსაც აიღებს და ხელოსნის გასასტუმრებელსაც. წელს აღარც ისე იწველება, საკმაოდ ხნიერია, თვალები სულ ჩაუცივდა. მაგრამ რომ გაყიდოს, ზაფხულში რა უნდა ქნას? აი, გავა ზამთარი და ხბოს მოიგებს. დათბება თუ არა, რძალი გამოაცხადებს — „ქალაქში ცხელაო“ და ბავშვებიანად ჩამოვა. არა, ძროხის გაყიდვა არაფრით არ შეიძლება. ჯობია, ცხენი გაყიდოს, გაძვალტყავებულია, მისი რჩენა აღარც კი ღირს. მაგრამ წისქვილში საფქვავი რით წაიღოს? სოფლის შუაგულამდე უცხენოდ ვერც მიაღწევს. ეჰ, ომის დროს ზურგზე რამდენსაც მოიგდებდა ხოლმე, იმის ნახევარსაც ვერ წაიღებს. ომის ჭრილობაც აიძულებს იკოჭლოს და აღარც ჯანი მოსდევს, რომ ქვიან ბილიკზე და ნამქერში ზურგით ზიდოს საფქვავი. სახურავს რომ თავის ფასში იშოვიდეს, იმდენ ფულს კი მოაგროვებდა, მაგრამ სად იშოვოს თავის ფასში? ძველი რომ შეაკეთოს, მასა და მის დედაკაცს რამდენიმე წელიწადს ეყოფათ. თუ სჭირდება ახალი, მისმა შვილმა — სირბეიშ გააკეთოს. ამ დასკვნამ ბასიათი ისე გაახარა, თითქოს ცხენი და ძროხა ნადირისაგან გადაერჩინოს.

ფანჯარა გააღო და ღამეულ ცას გახედა.

დაინახა თავისი მდიდარი მეზობლის კუნაჩის სახლი, საიდანაც მწვადის სუნი სცემდა. კუნაჩს ყველაფერი აქვს, ყველაფრის ნება აქვს, ტყუილად კი არ ეძახიან „კანტორის ვირთაგვას“. ოთახი შემწვარი ხორცის თავბრუდამხვევი სუნით იკსებოდა. ბასიათმა, ხორცზე რომ აღარ ეფიქრა, ხელები თავქვეშ ამრიწყო და მთვარეს მიაშტერდა. ღამის სიჩუმის დედოფალი ცაზე თეთრი გედივით მიცურავდა და ბასიათს ზედ ის უბედური მწყემსი ეჩვენებოდა: დგას, კომბალზე დაყრდნობილი, ყვავილივით შავი და დათვივით ბანჯგვლიანი ნაბდით. სამუდამოდ დარჩა იგი მუქ ლაქად მთვარეზე. რა ცოდვა ჩაიდინა ისეთი, რომ მიწა გაიპო და თავისი თხის ფარასთან ერთად შიგ ჩაიტანა? აი, კარგად ხედავს. კუზივით როგორ ამოჩრილა მის ზურგზე თასმებშებმული გუდა. ეს უბრალო გუდა არ არის, ალბათ შებოლილი ოქროსფერ-მოყავისფრო ყველის კვერებითაა გავსებული. ალბათ ისეთ ვინმესთან მიჰქონდა, როგორც კუნაჩია. ალბათ პურ-მარილით უმასპინძლდებოდა ასეთსავე არამზადას და ყოვლისშემძლემ დასაჯა ამისათვის. დიახ, დიახ — დასაჯა, რადგან მისით დაიწყო გუდით ძღვნის მიტანა, როცა ყოვლისშემძლემ ძმათაგან ის დაიახლოვა, რომელმაც მას სხვებზე მეტად აამა, მაშინ გაჩნდა შური ძმებს შორის და სისხლი დაიღვარა. მწყემსებმა კი გადაიკიდეს მხრებზე ძღვნით სავსე გუდები და, თითქოს ტაძარში სალოცავად მიდიანო, წავიდნენ თავიანთ მიწიერ ღმერთებთან.

ბასიათმა თვითონაც იხილა ერთი მათგანი, კუნაჩთან რომ გუდას მიათრევდა.

მაშინ უფროსების ნებართვის გარეშე ურმით სარგებლობა არ შეიძლებოდა. კარგად ახსოვთ აფსარალებს ის დრო.

ბასიათს მაინცდამაინც არ უყვარდა კუნაჩის სახლში მისვლა, მაგრამ ურემი სჭირდებოდა. და, აი, იმ საღამოს, კუნაჩის სახლის ზღურბლს რომ ვადააბიჯა, დაინახა, როგორ დადო ერთმა კაცმა გრძელ სკამლოგინზე დიდი გუდა და ცხიმისაგან გაზინთული ხელებით ზედიზედ როგორ ამოალაგა ყველის კვერები. ბასიათის დანახვაზე ის კაცი დაიბნა და მომდევნო ყველის ამოსაღებად გუდაში ჩაყოფილი ხელი გაუშეშდა. ზღურბლს ვადაცილებული ბასიათიც შეჩერდა, არ იცოდა იქვე მდგარიყო თუ უკან გაბრუნებულიყო. კუნაჩს კი არც შერცხვენია, არც შეშინებია. ხელი ისე გაიწოდა ყველისთვის, თითქოს უნდოდა ეთქვა: იქნებ გაბრაზდე ჩემზე, მაგრამ თვითონვე მოაქვთ და მაძლევენ, მე რა შუაში ვარო. მის მაჩეისებრ თვალებში სირცხვილის ნასახიც არ გამკრთალა. მამამისი, ღორმუცელა ხაბაში, თავად ზვანბას მსახური იყო. ერთხელ გაჯავრებულმა თავადმა წამოაქცია ხაბაში. ზედ მთელი ვედრო მაწონი დაასხა, მერე დაუძახა ძაღლებს და ის მაწონი ააღოკინა.

ეს მაინც უნდა ხსომებოდა კუნაჩს!

ბასიათმა ჩაიცვა. საწოლის თავთან მიყუდებული კომბალი აიღო, რომელიც ომიდან დაბრუნების შემდეგ მისი განუყრელი თანამგზავრი გახლდათ. ეზოში კოჭლობით გამოვიდა.

მეზობლის ლანძღვა-გინებით მივიდა ბასიათი ჭიშკრამდე. ცხენის ქურდივით წაიგრძელა კისერი და ეზოში შეიხედა.

აგურის ორსართულიანი სახლის ყველა ფანჯარა გაჩირაღდნებული იყო.

აივანზე ხმამაღლა ხარხარებენ, ეწევიან, ერთმანეთს სიგარეტებს აწვდიან. აი, კარგად მოჩანს გაოფლილი, წყლიდან ახლად ამოსულივით თმააბურძგვნილი ულვაშებაბზეკილი, აჭარხლებული ვეტერინარი. ის კუნაჩის მუდმივი თანამგზავრია, თითქოს მის ქამარზე იყოს გამობმული. როცა არ უნდა დაინახო, სულ პირი აქვს დაღებული და იცინის, თითქოს მისი სიმინდი სხვაზე ადრე შემოსულიყოს. განა ასეთ კაცს შეუძლია ცხოველის ავადმყოფობა გაიგოს და განკურნოს? როცა პირუტყვს უყურებს, — თვალებით ჭამს, ნერწყვს ყლაპავს. ვინ იცის, დღეს როგორი კარგი თხა „დაიღუპა წყლულისაგან?“

სასტუმრო ოთახის კარები ფართოდ გაიღო და კედლებს მიენარცხა. ღობის გასანგრევლად დაღერებული კამეჩივით ჯიქურ გამოვიდა სქელმუცელა მასპინძელი — კუნაჩი. მელოტი თავი მუდამ გაპარსული ჰქონდა და გაქუცული გუდასავით უპრიალებდა.

— შემოდით ოთახში, ძვირფასებო, თქვენ შემოგევლეთ! ხომ მოს-

წიეთ, ახლა მაგიდასთან გავაგრძელოთ, — თითქოს ფუღუროდან ლაპარაკობსო, — ყრუ ხმით მიიპატიჟა კუნაჩმა სტუმრები.

„შემოგეელეთო“, ოჰ, რა თავაზიანია! დიახ, თავაზიანობას ვერ წაართმევ, რომ დაგელაპარაკება, რაც გაბადია, ყველაფერს მისცემ. ამიტომაა, რომ კანტორიდან არავინ აგდებს. მაგრად ზის ბუღალტრის სკამზე. ნათქვამია, კოდალას ნისკარტი კვებავსო, ასევე კვებავს კუნაჩს — საკუთარი ენა.

ბაღში დიდი კოცონი ანთია. ღომის ქვაბები უკვე აუღიათ. კოცონთან ვიღაც ქალები ფუსფუსებენ. აი, ბასიათის ძაღლი, მიშკიარი, ლაქუცით აქიცინებს კუდს, ნერწყვს ყლაპავს. ნეტავ როგორ ართმევენ თავს ამდენ საქმეს ეს ქალები! საჭმელსაც, ცეცხლსა, შეშასაც. კაცები მაინც მიეხმარონ!

ბასიათი ისევ ჭიშკართან იდგა, ეზოში იხედებოდა და ყოყმანობდა. შემდეგ რაზა გასწია, კოჭლობით შევიდა ეზოში და ბაღისაკენ წავიდა.

მიშქიარმა პატრონი შენიშნა და, თითქოს აქ მასზე ადრე მოსვლისათვის ბოდიშს იხდისო, კუდის ქიცინით მიირბინა. ბასიათმა მოჩვენებითი გაჯავრებით კომბალი მოუქნია. ძაღლი კიდევ უფრო მეტად მიელაქუცა. იგი კარგა ხანია მიეჩვია პატრონის კომბალს.

კოცონთან წელში მოხრილი შავკაბიანი დედაბერი, თითქოს ცეცხლი ვერ ათბობსო, გრძელ შალში გახვეულიყო და შამფურებს ატრიალებდა. ქვაბთან ახალგაზრდა, ლოყებღაჟღაჟა ქალი ფუსფუსებდა. როგორც კი ბასიათი შეამჩნიეს, ორთავე წინასწარ შეთანხმებულივით გაეხმაურა:

— მოდი, ჭირიმე, ჩვენთან, მოდი, მოგვეხმარე!

— ის მორის ნაჩეხი მოაგორე, თუ შეიძლება.

ბასიათს ვერც დაბრუნება გადაეწყვიტა და ვერც ქალებთან მისვლა. იდგა და ერთ ადგილს ტკეპნიდა.

ძაღლმა გული იჯერა მის ფეხებზე ხახუნით და ისევ კოცონს დაუბრუნდა. მისი აქედან გამგდები აუცილებლად გაიხსენებდა მის გამზრდელ-პატრონს და შეაგინებდა: არა, აქაურობას უნდა მოაშოროს და დაბას.

აგურის სახლის კედელს გვერდზე გადახრილი სახურავდახავსებული და ერთიანად გაშავებული ქოხი მიტმასნოდა. ეს კუნაჩის მამის — ხაბაშის ქოხი იყო. სახლის კარებიდან დიასახლისი გამოვიდა. დაბალი, შავგვრემანი დედაკაცი გარუჯულ კუნძს ჰგავდა. ლაპარაკის დროს სიტყვებს ტკეპნიდა და ვინც არ იცნობდა, შეიძლება ენაბლუ ჰგონებოდა.

— ბ-ბასიათ, რა კარგ დროს მოხვედი, ჭირიმე, — ეუბნებოდა და თან სახელოებს ისე იკაპიწებდა, თითქოს საჩხუბრად ემზადებაო.

— მიშქიარ, მიშქიარ, — ეძახოდა ძაღლს და ადგილიდან არ იძროდა ჯოხზე დაყრდნობილი ბასიათი.

ალერსიანი სიტყვებისაგან ჯერ თავი არავის სტკენია და არც არაფერი დაუკარგავს. ამ დედაკაცს ქმარზე არანაკლებ შეეძლო კაცის მოთავფვლა, თუ მის ეზოში კაცს ფეხი შეუცდებოდა, არ დაეხსნებოდა: ისე როგორ გაგიშვებ, არა მიირთვა რაო.

ჯოხზე დაყრდნობილი, თავჩაქინდრული ბასიათი ადგილიდან არ იძროდა. მერე მოიღუშა და თითქოს ვალის წასაღებად მოვიდაო, ცივად ამოღერღა:

— ამ ცოფშესაყრელი ძაღლისთვის მოვედი!

დიასახლისმა ვერა გაიგო, რა უნდოდა ბასიათს. იფიქრა, რაღაცას მთხოვსო და უთხრა:

— თუკი გვაქვს, უარს როგორ გეტყვი, ჩემო ძვირფასო მეზობელო.

„ძვირფასო“, მაშ, ძვირფასიც ვარ მისთვის? რაო, ძაღლის წართმევას ხომ არ მიპირებს? — ჩაიდუდუნა ბასიათმა, მერე ძაღლს ხმამაღლა დაუძახა და კოპლობით წავიდა კოცონისაკენ.

ხედავთ, „ძვირფასი“ მიწოდა, ესე იგი მისთვის ძვირფასი ვარ? რძით სავსე გუდასავით დამრგვალებულა. ღმერთმა ნუ შეარგოს სხვისი ნაოფლარი! გინებით მივიდა კოცონთან, სადაც ცეცხლზე სურნელოვანი ხორცი შიშხინით იწვებოდა.

„ვინ იცის, ვინ გაზარდა ეს პირუტყვი, ახლა რომ წვავენ? კარგი ნაპატივები კი ჩანს! ალბათ, იმ მწყემსმა, გუდიდან ყველს რომ იღებდა, თხაც მოათრია რქებით“.

— უუჰ, მადლობა ღმერთს! ერთი მამაკაცი მაინც მოვიდა დასახმარებლად, თორემ ცეცხლსაც ჩვენ უნდა მივხედოთ! — წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ლოყები თურაშაულივით უღვიოდა.

— ღმერთმა დალოცოს ის მიზეზი, რამაც შენ აქ მოგიყვანა. — ჩაიხითხითა წელში მოკაკულმა დედაბერმა.

— რას უნდა მოვეყვანე?

— ღმერთია მოწმე! ცუდი არაფერი მიფიქრია.

— ხომ მოგცეს შამფური, იჯექი შენთვის და ატრიალე.

— შენს მოსვლამდე უკვე ორი-სამი შამფური შევწვი. ფუ, ხელები დავიწვი! დაიჭი! — დედაბერმა რკინის შამფური შეაჩეჩა.

და ბასიათმა მოფიქრებაც ვერ მოასწრო, ჩამოვარდნილი ვაშლივით დაიჭირა შამფური. დედაბერი ხითხითით წატუსტუსდა სახლისაკენ. ახალგაზრდა ქალი უყვებოდა როგორი საპატივცემლო სტუმრები ჰყავდა დღეს.

— რაიონიდან ჩამოვიდნენ პირუტყვის მდგომარეობის შესამოწმებლად. კუნაჩზე მზე და მთვარე ამოსდით თურმე.

აივნიდან სახლის პატრონის ბოხი ხმა მოისმა:

— ეი, ვინ არის მანდ ხორცთან, მოიტეთ საჩქაროდ.

როგორ დააჩვიეს! ნახე, როგორ ყვირის, „მოიტათო!“ ყველაფრის მოტანას არის დაჩვეული!

— ხორცზე შენ მიგაყენეს, ბასიათ? ამ ქალებმა არ იციან, რას სჩადიან, რას არა. — გაბრაზდა მოახლოებული კუნაჩი. — კეთილი იყოს შენი მობრძანება, მეზობელო. მინდოდა შენთვის დამეძახნა, მაგრამ ვიფიქრე, სძინავს-მეთქი და არ შეგაწუხე. — კუნაჩმა ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. თვალებში ეტყობოდა, რომ საკმაოდ დაელია.

— მერე რა მოხდა, თუ მე შევწვავ... — ბასიათმა არ იცოდა, როგორ ეპასუხნა.

— ცეცხლთან დაგსვეს ასეთი საპატიო სტუმარი? ფეხი რომ არა გტკიოდეს, სხვა საქმეა, კაცმა ამდენი სისხლი დაღვარე ომში! გამოართვით ეს შამფური! — დაუყვირა მან ქალებს.

— მე არ მცალია, ღომი უნდა შევზილო ბატონებისათვის, — გაიღიმა ახალგაზრდა ქალმა.

— მწვადი უკვე მზადაა, — ბასიათმა შამფური შეათვალიერა და მასპინძელს გაუწოდა.

— წამო, ძვირფასო მეზობელო. როგორ შეიძლება ჩვენ ზევით ვიყოთ სასტუმროში და შენ კი აქ, მარტო ჩაცუცქდი ამ ცეცხლთან. უარი არ მითხრა, კარგი ხალხი მყავს სტუმრად. გაგაცნობ, რაიონიდან არიან. თუ გიყვარვარ, წამოდი...

მისი ხმა ხავერდივით ნაზი და კარაქივით რბილია. ხოლო სიტყვა მომთაფლავი და შემპარავი. ერთბაშად მოგხიბლავს და მერე შეუმჩნევლად რაღაცას აგაღლეტს. დიდი რამე, თუ სტუმრებთან დაგსვა! ვითომ თავისი შრომითა და ნაოფლარით გაგიმასპინძლდება... ბოლოს და ბოლოს მისთვის ავი სიტყვა არ მითქვამს და ვერც ვერაფერს დამაყვედრებს. ნათქვამია: ერთ კაცს ცხვარს ართმევდნენ და პირველად თვითონ სტაცა ხელი რქებშიო. დავჯდები, რა მოხდება, ერთ ნაჭერ ხორცს შევჭამ.

— ცუდი არ იქნება, შემოვიდე, მაგრამ გვიანაა და მერე კიდევ რად გინდივარ ეს საწყალი, ბებერი საპყარი?

— ტყუილად თავს ნუ იბერებ. მე თუ შენზე უფროსი არა, შენზე უმცროსი ხომ მაინც არა ვარ. ხელს ნუ გვიკრავ პურ-მარილზე. დაჯექი ჩვენთან...

— მე, იცი რა... ეს დაწყეველილი ძაღლი, ეს ცოფშესაყრელი... მაგისთვის მოვედი, — ბასიათი ბაღისკენ შებრუნდა. ბაღის ბოლოში, ვაშლის ხის ძირას, ძვლებზე ძაღლები ჩხუბობდნენ.

როგორც ზღვის ზვირთცემა ძლიერდება ქარის ამოვარდნისას, ასე თანდათან მატულობდა ხმაური სასტუმრო ოთახიდან. ვინ რას ამბობდა, ვერ გაარჩევდი. კანტიკუნტად აღწევდა სიტყვები ერთმანეთისადმი სი-

ყვარულზე, რომ ისინი ძმები არიან და ერთად იქნებიან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

მთვარეს საკმაო მანძილი ჰქონდა გავლილი ცაზე, კუნაჩის სასტუმრო ოთახის კარები რომ გაიღო. ზოგიერთებს თავები მაგიდაზე ჩამოედოთ. ზოგნი ერთმანეთს კოცნიდნენ და ძმურ სიყვარულს ეფიცებოდნენ, ზოგნი ისევ ერთურთს აწვდიდნენ ღვინით პირამდე გალიცლიცებულ ყანწებს.

ბასიათი აივანზე გამოვიდა. იგი კიდევ უფრო კოჭლობდა და ჯოხს გაჭირვებით ეყრდნობოდა. სტუმრებს მიუბრუნდა, წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული სათქმელი ამოილუღლუღა, მაგრამ მისი ხმა ვერავინ გაიგო.

ბასიათს მასპინძელი გამოჰყვა. მოხვია წელზე მსუქანი, ოფლიანი ხელი და კიბეზე დაეშვნენ.

— მისმინე, კუნაჩ, ხომ არ გეწყინა, სტუმრებს იმ ცხონებულ მამაშენზე რომ ვუამბე? არ გეწყინოს, მე მამაშენს კი არ ვკიცხავდი, არამედ ბატირშახ ზვანბას, — ბლუკუნებდა ბასიათი.

— შენ ხომ იცი, კუნაჩ, ბატირშახი დედის მხრიდან ბიძად მეკუთვნოდა. ის მდიდარი იყო, თავადი. მე კი კოლმეურნეობაში შევედი და ყველაფერი თქვენ ჩაგაბარეთ.

— მე კი არ ჩამაბარე, არამედ ხალხს, — შეეპასუხა კუნაჩი, რომელსაც ბასიათზე არანაკლები ჰქონდა დალეული, მაგრამ უფრო ფხიზლად იყო.

— არა, სწორედ შენ მოგეცი. ახლაც თვალწინ მიდგას უღელი ხარი, შენ რომ მოგიყვანე. ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ჩაგაბარე. ჩაგაბარე და ისეთივე გავხდი, როგორც თქვენ. არ იყო მართალი ბათირშახ ზვანბა, ღმერთმა არ მოასვენოს იგი საფლავში. რას ერჩოდა, რატომ შეარცხვინა ასე თავისი საწყალი მსახური? თუ ხაბაში რძეს სვამდა, ალბათ, უყვარდა და იმიტომ. ესვა რამდენიც უნდოდა, რას ერჩოდა? ჩემთვის რომ ვინმეს ეს ექნა, მე იმ თავადს თავს წავაცლიდი. — ბასიათმა ხმას აუწია და ბათირშახს გინება დაუწყო. მიშკიარმა, პატრონის ყვირილი რომ გაიგო, იფიქრა, ვიღაცას უჯავრდებაო და აყეფდა.

— ხვალ, ძვირფასო ბასიათ, ხვალ ყველაფერზე მოვილაპარაკებთ.

— არა, კუნაჩ, მე ახლა მინდა ყველაფერი ვთქვა. შენ ჩვენს სოფელს ძალ-ღონე შეალიე, ყველაზე პურმარილიანი კაცი შენა ხარ. მე არ მინდა, შენზე ამბობდნენ, რომ იმ ღორმუცელას შვილი ხარ, რომელიც წამოაქციეს და მაწონში ამოსვარეს ქურდობისათვის. ყოჩაღ, გაუმაძღარი ხაბაშის შვილო! ფუ, არ გეწყინოს, ძვირფასო, შემთხვევით წამომცდა. არიან ისეთები, შენ რომ გაუმაძღარი ხაბაშის შვილს გეძახიან. შენ კი არა, თვითონ ისინი არიან ხაბაშის შვილები! არა, კუნაჩ, არ გეწყინოს, რომ სტუმრებთან ამაზე ვილაპარაკე. ხომ არ გწყენია მართლა? შენს

სადღეგრძელოს რომ ვსვამდი, არ შემეძლო ის თავადი არ გამელანძღა. იმან კი, იმ ქაჩალმა, თავი თხის ნაძოვს რომ მიუგავს, თითქოს მინდორზე მარილმოყრილი ადგილი მოძოვესო, დააღო პირი და ხარხარი მორთო. განა რა ვთქვი სასაცილო? თვითონ ისინი, ეს ბათირშახები იყვნენ გაუმაძღრები, ისინი ხომ ყველაფერს ნთქავდნენ, რაც გააჩნდათ გლეხებს... იმის გამო, რომ ხაბაში ვედროს მიეპარა. . .

— მართალია, ბასიათ, ყველაფერი მართალია, რა გეჩქარება, დარჩენილიყავი კიდევ, — კუნაჩი ჭიშკარს აღებდა.

— კუნაჩ, მე რომ მოვკვდები, დასაფლავებაზე, თუ გინდა, ნუ მოხვალ, ოღონდ შენს სტუმარს უთხარი, რომ კრამიტი მართლა გამომიტანოს თავის ფასში. მე და ჩემი დედაბერი წვიმამ გაგვამწარა. შენ გგონია, ჩემი შვილი რამეს გაიმეტებს? ან რად უნდა სახურავი? შენმა სტუმარმა თქვა, კრამიტს გაჩუქებო, მე მართლა ნაჩუქრად ჩავთვლი, თუ თავის ფასში მიშოვის. თურმე ყველაფერი მაგის ხელში ყოფილა.

— ხომ თქვა ყველასთან, გაჩუქებო, ჩათვალე ისე, რომ უკვე გაქვს. ის იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, სიტყვას რომ ქარს ატანენ.

— რა კარგი ხალხი იყო დღეს შენთან! როგორ პოულობენ ხოლმე ერთმანეთს მსგავსი ადამიანები. დიახ, დიახ, სწორედ მსგავსი ადამიანები. შენ ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, კუნაჩ. . . რა კარგად ლაპარაკობდი ჩემზე, ომში სისხლი დაღვარა, პირველი შევიდა კოლმეურნეობაში, კარგი გლეხიაო, ცაში ამიყვანე რაიონის საპატიო ხალხის წინაშე. შენ რომ არა, ალბათ, მთელი სიცოცხლე წვიმას უნდა ვეწამებინეთ მე და ჩემი დედაბერი. დიახ, დიახ, ისე დაგვეხმარე, როგორც ნოეს ყოვლისშემძლე.

— რომელი ნოე?

—პატარაობისას მღვდელი ნიკუა რომ გვიამბობდა ხოლმე, ისა. მასზე საღვთო სჯულშიც სწერია. დაგავიწყდა? სთქვი, ცუდად მოიქცა ნოე? ყოვლისშემძლესათვის რომ არ ეამებინა, ჩვენ არც ვიქნებოდით დედამიწაზე. ხედავ, მთვარეზე მწყემსს მხოლოდ ამისთვის დააქვს დაძონძილი გუდა, — ბასიათმა ჯოხი გადააგდო და მთვარისაკენ გაფარჩხული ხუთი-თითი გაიშვირა, დაბარბაცდა, თავი ძლივს შეიკავა და როგორც იყო ჭიშკარში გაეტია.

უკან მობრუნებული კუნაჩი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა:

— რა მოუვიდა, მთლად გაგიჟდა ეს უბედური, ეს ვიღა ნოე გამოჩხრიკა!

— დიახ, ნოე, ძვირფასო ნოე, შენი უბედობა მე დამატყდა თავს, ნოე! — ბუზღუნებდა შინ მიმავალი ბასიათი — მაგიდასთან ჯდომის დროს დავინახე ყველაფერი ეს და მაშინ გავიფიქრე ასე... რა მარჯვედ ვთქვი, რომ მასთან მისი მსგავსები მოდიან!..

ბასიათი გაჭირვებით ადგამდა ხელჯოხს და შინ მიჩანჩალებდა. ისევ გაისმა მატარებლის ბორბლების ხმაური კოდორის ხიდთან. ალბათ გუდად გადაქცეული მატარებელიც ვიღაცასთან მიჰქრის. უფ-უფ! გავგიჟდი თუ რა არი? — ღვინო დავინახე და თავი ვერ შეეიკავე, დავთვერი.

ბასიათმა სახლამდე მიაღწია, საჩქაროდ გაიხადა და დაწვა, რათა მალე დასძინებოდა. ფანჯარაში გაიხედა და მთვარეს შეხედა. მთვარეს გზის უმეტესი ნაწილის გავლა მოესწრო და პირდაპირ კუნაჩის სახლის თავზე ეკიდა. თითქოს ფეხზე ვერ დგებაო, მწყემსი ბარბაცებდა. თხებიც, თითქოს აღსასრული იგრძნესო, აწრიალდნენ, ატორტმანდნენ. გუდაგადაკიდებული მწყემსი კი მიდიოდა და მიდიოდა შეუჩერებლად. თვითონ მთვარეც ახლა ბასიათს ყველის დიდ თეთრ კვერად მოეჩვენა, კვერი კუნაჩის სახლისკენ ეშვებოდა.

ღამის სიბნელემ უკანდახევისას თან წაიღო კუნაჩის ბაღიდან ამომავალი კვამლი. დილის სუფთა ნიავმა გაფანტა სოფელს მოდებული გამაღიზიანებელი შემწვარი ხორცის სუნი. „სიზმარში ხომ არ ვნახე ყველაფერი, რა იყო ეს? — ბასიათი აივანზე გამოვიდა. — კუნაჩის სტუმრებს რომ ვუამბე, მამამისი როგორ წამოაქციეს და მაწონი გადაასხეს, რა სიამოვნებით იცინოდნენ! მე ხომ მართლა ბათირშახის გალანძღვა მინდოდა და სხვანაირად კი გამომივიდა. დალახვროს ეშმაკმა, ვერ ავწონ-დავწონე ყოველი სიტყვა. იმ ქაჩალმა კი, სუფრის კიდეზე რომ იჯდა, ასე თქვა: „მიჩუქნია შენთვის კრამიტი, ასე გულიანად რომ გვაცინე“. ჰოდა, მე კი მიშველა ხაბაშის მაწვნით ამოთხუპნის ამბავმა. რაც გინდა იყოს, ოღონდ კრამიტი ვიშოვო, მერე კი...“

— მოუსვი აქედან! აქ რას ტრიალებ! — ბასიათმა მუცელში წიხლი უთავაზა მიშქიარს, რომელიც სიხარულით ცქმუტავდა მის ფეხებთან, პატრონს რომ საღსალამათს ხედავდა.

1971

ნიკოლოზ კვიწინია

ნიკოლიზ კვიწინია დაიბადა 1938 წელს სოფელ ათარაში, ოჩამჩირის რაიონში. 1964 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ნაწარმოებები იბეჭდება 1955 წლიდან. იგი ლექსების კრებულების ავტორია: „ცხენს ვკაზმავ", „ვიდრე არ ჩამქრალა ჩემი ვარსკვლავი" და „იღვიძებენ მთები".

ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა

ბედნიერებას არამარტო უბედო ეძებს
და არამარტო უბედური ოცნებობს ბედზე —
ბედნიერიც კი კმაყოფილი არ არის ბედის,
ბედნიერიც კი მსურველია მეტის და მეტის.
 კეთილი კაცი იზიარებს სიხარულს სხვისას,
კეთილ საქმეთა კეთება ჰსურს კეთილ კაცს მარად,
კეთილი კაცი ვერ მიიჩნევს დიდების ღირსად,
ვინც ჰქმნა სიკეთე ერთი-ორჯერ,
მერე თქვა: — „კმარა!"
გინდათ თავს გრძნობდეთ ბედნიერად? —
სიკეთე თესეთ!
თესეთ სიკეთე და ფერადი გექნებათ ძილი...
ეს არი გრძნობა —
გრძნობათაგან საუკეთესო,

უფაქიზესი,
მოელვარე და განწმენდილი!..
ბედნიერება მიუწვდომელ ვარსკვლავად ელავს,
უახლოვდები,
აჰა, ხელით ეხები კიდეც...
დასაბამიდან მისკენ ილტვის,
ისწრაფვის ყველა;
გგონია მისწვდი,
მაგრამ, არა —
შორს არის კიდევ!..
მზე ჩამავალი, —
გარდამფრენი ფრინველის დარად, —
ისვენებს ქედზე და გვიცინის ნათელი ზეცა;
ნუ დასჯერდები მიღწეულს და ნუ იტყვი:
— „კმარა!“ —
დღევანდელივით ნუ დაჰკარგავ ხვალინდელ დღესაც!..
სული კაცისა უსასრულოდ ისწრაფვის მუდამ, —
ლტოლვა იმისა — უსაზღვროა,
არა აქვს ბოლო...
ბედნიერებას, ძმაო ჩემო, ჰპოვებდე უნდა.
ბედნიერების ძიებაში, — მხოლოდ და მხოლოდ...

1970

უფენიდ...

თვითმფრინავი რომ ცაში აიჭრა,
დაგემშვიდობე, სამშობლოვ, ოხვრით...
დიდხანს მარწევდა ღრუბლის ხალიჩა
და მერე უცხო მიწაზე მოვხვედი.
მიმაქანებდნენ სწრაფი გელვებით
და დაუცხრომელ ლტოლვას მაჩვევდნენ,
ოკეანეებს კვეთდენ გემები,
მაგრამ ნაკვალევს არსად აჩნევდნენ.
შენ გერქვა ჩემი ფიქრი, წადილი,
საკუთარ თავზე განა ვშიშობდი...
ვერ დავიმკვიდრე ვერსად ადგილი,
რადგან მეძახდა შენი სიშორე.
დაგტოვე, მკლავდა ნახვის წყურვილი,
არ მოვხიბლულვარ დიდ ქალაქებით;

უცხო მხარეში ნახულ მწვერვალებს
მაგ მწვანე მთების სახელს ვარქმევდი.
ოჰ, აფხაზეთო, დაღლილ თვალებში
მხოლოდ შენი მზე ანთებდა სურვილს
და მშობლიური მიწის გარეშე
ვერსად ვერ გათბა ეგ ჩემი სული.
მე ისევ წავალ... სხვა უცნობ გზებსაც
ავუღებ ჭაშნიკს, როგორც სტრიქონებს...
რადგან უშენოდ ვეღარ ვძლებ ვერსად
ჩაგისვამ გულში, თან წაგიყოლებ.

1970

ბორის გურგულია

ბორის ალმასხანის ძე გურგულია დაიბადა 1925 წელს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1964 წელს ჩაირიცხა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იგი ხელმძღვანელობს სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ლიტერატურისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრას. მისი პოეზია გამოირჩევა მდიდარი ემოციურობითა და მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით. პოეტის ლექსები შთაგონებულია საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და გამარჯვებული სოციალიზმის მშენებლობის პათოსით.

ბ. გურგულიას ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე.

ზამთარი აფხაზეთში

თეთრი ჩოხა-ახალუხი
გადაიცვეს მთებმა...
გაუმაგრდა ტალღას მუხლი,
ნაპირს ეხეთქება.
ზღვა აქაფდა, ზღვა იცინის,
ზღვა სიცილით კვდება.
ამქუხარდნენ ჩანჩქერები
მომატებულ წყლებით.
კლდეებს მძლავრი დაძგერებით
დაუმტვრიეს ძვლები.

სახლებს შვენით ჩურჩხელები —
ყინვის ლოლუები.
ცხრათვალა მზე ცივი მზერით
ისვრის სხივთა ისრებს, —
როგორც ძუნწი მასპინძელი,
მოღუშულა ისე.
ფუტკარივით მალე კვდება
დღეი უღიმღამო
და დღეგრძელი აფხაზიეთ
დიდხანს ცოცხლობს ღამე.
ჩიტებს სცივათ, მობუზულან,
ეზარებათ ფრენა. . .
მიატოვეს გალობა და
მიატოვეს სტვენა.
ბუხრის რუხი ყაბალახი —
დაფრიალებს კვამლი. . .
ჭირხლი მიწის ჭაღარას ჰგავს,
აბრიალებს თვალებს.
დიდ-პატარას უხარია,
არის ლხინი, მღერა. . .
დღეს ზამთარი სტუმარია,
მას მასპინძლობს ყველა.

1959

ედემი ხარ, პატარა! . .

ედემი ხარ, პატარა,
აფხაზეთო, ნეტარო!

მშვენიერი ამზარა[1]
მარტო შენ გაქვს, სხვას — არა!

ჩემო კუბოს ფიცარო —
ნაძვნარო და ფიჭვნარო!

შენი ზღვის და შენი ცის
ფრინველია ფენიქსიც:
და აღსდექი მიტომაც
ფენიქსისებრ ფერფლიდან,
და იმ ფერფლის სითბომაც
გაგანათა ღმერთითა!

არსად არის მზისქვეშეთს,
შენ რომ ზღვა გაქვს, ისეთი!
ოდით მოსდგამს დიდება
შენს ხალხს—მცირერიცხოვანს—
ლეგენდებად, მითებად,
ზღაპრებად რომ იცხოვრა!

[1] ამზარა — ბიჭვინთის აფხაზური სახელწოდებაა.

არსად არის მიწაზე —
ტბა — ლამაზი რიწაზე!
მტერმა ბევრჯერ მოგმეხა,
დაგიბნელა მზე შინა! . .
შენს გმირსა და მშრომელ ხალხს
აბჯარასხმულს ეძინა. . .

და საბუდარს არწივთა
ცრემლის წვიმა აწვიმდა. . .
და აფხაზი ოხვრითა
ბარავდა და თოხნიდა!

თუკი არის, რით არის
მხარე — შენებრ მდიდარი?

ვისაც უნდა ნახვა მზის,
ნახოს მიწა აფხაზის —
ფრთა ფრთამრავალ არწივის —
საქართველოს ნაწილი.

მტაცებელი გტაცებდა
ჩვილებს აკვნებიანად!. . .
მძიმე სევდამ დაგსევდა,
გულს დაგაჩნდა იარა! . .

შენი მიწის ძირი ვარ,
შენი ღვიძლი შვილი ვარ!

მტკივა შენი წარსული,
შენი აწმყო მახარებს!
მეცხრე ცაში ასული —
ედემი ხარ, ახალი!
მე შენი ხის კვირტი ვარ!
ამ ედემის მკვიდრი ვარ!

თქვენ მოგმართავთ, ხალხო,
თქვენ,
დამიჯერეთ, დამენდეთ! —
სიხარულით აღვავსოთ,
მოვუაროთ ამ ედემს!

სარჩევი

რედაქციისაგან	5
დიმიტრი გულია	7
„ძვირფასი“ ქმნილება. ლექსი. თარგმნა კ. კალაძემ	8
დიდი ხოჯანი. ლექსი. თარგმნა მ. ხურციელავამ	11
რუსთაველის ძეგლი სოხუმში. ლექსი. თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა	12
გემი მოვიდა. ლექსი. თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა	12
პარტია. ლექსი. თარგმნა შ. აკობიამ	13
ირემი. ლექსი. თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა	14
ჩემი კერა. პოემა. თარგმნა მ. მაჭავარიანმა	15
კამაჭიჭი. რომანი. თარგმნა რ. გვეტაძემ	25
სამსონ ჭანბა	78
ტანჯვის სიმღერა. მოთხრობა. თარგმნა ლ. გეგელიამ	79
მატარებელი № 6. მოთხრობა. თარგმნა მ. კახიძემ	82
პაპისეული კერიის ქვა. მოთხრობა. თარგმნა ა. გეწაძემ	84
სეიდიყი. მოთხრობა. თარგმნა ი. აღლაძემ	98
იუა კოლონია	115
აფხაზეთი. ლექსი. თარგმნა შ. ნიშნიანიძემ	115
მონადირე. ლექსი. თარგმნა ვ. გორგაძემ	116
ღამე. ლექსი. თარგმნა მ. კახიძემ	118
ზოსჰან აჩბა და ჟანაა ბესლანის ვაჟები. პოემა. თარგმნა მ. კახიძემ	118
მიხეილ ლაკერბაი	124
არგუნ სეიდიყ. ნოველა. თარგმნა მ. ასათიანმა	125
ორი კარი. ნოველა. თარგმნა მ. ასათიანმა	128
მასრები. ნოველა. თარგმნა მ. ასათიანმა	135
სიმფონია რიწაზე. ნოველა. თარგმნა მ. ჯაფარიძემ	137
ამბობენ, მოხუცდაო. ნოველა. თარგმნა მ. ასათიანმა	141
ძაძ დარსალია	144
მძევალი. მოთხრობა. თარგმნა მ. კობახიძემ	144
ძველო ქურქო, ნუ გამედიდურდი! მოთხრობა. თარგმნა მ. კობახიძემ	151
მუშნი ჰაშბა	157
მაქითათის ნაამბობი. მოთხრობა. თარგმნა ა. გეწაძემ	157

ივანე პაპასქირი 176

თემირი. ნაწყვეტები რომანიდან. თარგმნა ი. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ მ ა 176
ქარვალური თოფი. მოთხრობა. თარგმნა ა. ს ა ნ ა დ ი რ ა ძ ე მ 192

ლევარსა კვიწინია . . . 210

ჩემი აფხიარცა. ლექსი. თარგმნა ნ. ჩ ა ჩ ა ვ ა მ 211
მთები. ლექსი. თარგმნა ბ. კ ე შ ე ლ ა ვ ა მ . 211
გაგრა. ლექსი. თარგმნა ნ. ჩ ა ჩ ა ვ ა ძ . 213
რიწის ტბა. ლექსი. თარგმნა შ. ლ ო მ ს ა ძ ე მ 214
ოთხი მარტი. ლექსი. თარგმნა შ. ლ ო მ ს ა ძ ე მ 215
ჩემო ოცნებავ. ლექსი. თარგმნა ნ. ჩ ა ჩ ა ვ ა მ 215

ლეონტი ლაბახუა . . 217

ჩემი სიტყვა. ლექსი. თარგმნა ვ. გ ო რ გ ა ნ ე ლ მ ა 217
ქართველ პოეტებს. ლექსი. თარგმნა გ. ლ ე ჟ ა ვ ა მ 217

შალვა ფვიჯბა 220

მფრინავი რაშების ველი. მოთხრობა. თარგმნა ქ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ მ ა 220
ზღაპრული მატარებლები. ლექსი. თარგმნა შ. ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე მ . 225
ის ჰყვავის. ლექსი. თარგმნა შ. ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე მ . . . 225
მიდიოდა გემი. ლექსი. თარგმნა ლ. ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ე მ . . 225
მეზღვაურები. ლექსი. თარგმნა ო. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე მ . 226

ძიაზიმ აგუმაა . . . 227

შენი სიმღერები. ლექსი. თარგმნა ა. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ 227
გენაცვალე. ლექსი. თარგმნა ა. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ 228
ბალადა სალამურზე. თარგმნა ხ. ბ ე რ უ ლ ა ვ ა მ 229

ბაგრატ შინკუბა . . . 232

გასწი, გაჰკაფე. ლექსი. თარგმნა ი. ა ბ ა შ ი ძ ე მ . 232
სიზმარი. ლექსი. თარგმნა რ. მ ა რ გ ი ა ნ მ ა . . . 233
მამა. ლექსი. თარგმნა თ. ჯ ა ნ გ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა . . 234
რუსთაველის პროსპექტზე. ლექსი. თარგმნა რ. მ ა რ გ ი ა ნ მ ა 236
...(„ზღვა არის წყნარი...“). ლექსი. თარგმნა რ. მ ა რ გ ი ა ნ მ ა 236
გაფრინდი, ჩემო ქარო! ლექსი. თარგმნა შ. ა კ ო ბ ი ა მ . 237
მაჰაჯირული ნანა. ლექსი. თარგმნა რ. მ ა რ გ ი ა ნ მ ა . 237
კლდის სიმღერა. პოემა. თარგმნა რ. მ ა რ გ ი ა ნ მ ა . 238

ივანე თარბა . 261

აფხაზეთო ჩემო. ლექსი. თარგმნა კ. კ ა ლ ა ძ ე მ 261
ალაზანი. ლექსი. თარგმნა ო. ჭ ე ლ ი ძ ე მ 262
ღუნიბის ღამე. ლექსი. თარგმნა მ. ფ ო ცხ ი შ ვ ი ლ მ ა . . . 264
სკამი პოეტისა. ლექსი. თარგმნა გ. კ ა ჭ ა ხ ი ძ ე მ 265
რიწის გზაზე. ლექსი. თარგმნა შ. ა კ ო ბ ი ა მ 266
მზე ჩვენთან იღვიძებს. ნაწყვეტები რომანიდან. თარგმნეს ე. მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ
და ლ. ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ე მ 267

ბიბიკო ჯონუა 299

თეთრი კლდე. მოთხრობა. თარგმნა ს. დემურხანაშვილმა 300

ალექსი ჯონუა 312

მაჰაჯირის გამოთხოვება. ლექსი. თარგმნა ს. ჩიქოვანმა . . 312
აფხაზური სიმღერა თბილისზე. ლექსი. თარგმნა ხ. ბერულავამ . 313
მარულაზე. ლექსი. თარგმნა ა. შენგელიამ 314
ქარხანაში. ლექსი. თარგმნა ხ. გაგუამ 315

ალექსი ლასურია 316

თავმდაბალი ადამიანი. ლექსი. თარგმნა ლ. სულაბერიძემ 316
ჩემი სიმდიდრე. ლექსი. თარგმნა ო. კუპრავამ . . 318

კირშალ ჩაჩხალია . 320

ჩემი კერა. ლექსი. თარგმნა ე. კვიტაიშვილმა . . 320
...(„იდგა ორი ხე...“). ლექსი. თარგმნა ი. ქემერტელიძემ 322

კონსტანტინე ლომია . . 324

მზის ასული. პოემა. თარგმნა შ. აკობიამ 324

გიორგი გუგლია 345

ნახვამდის, უნივერსიტეტო. ლექსი. თარგმნა თ. შათირიშვილმა 345
ორი ვაზის ბედი. ბალადა. თარგმნა შ. აკობიამ 347

ალექსი გოგუა 352

თეთრი ცხენი. მოთხრობა. თარგმნა მ. ნიჟარაძემ . 352
თაკარის თვალები. მოთხრობა. თარგმნა თ. ციციშვილმა 358

Vნელი თარგა . . . 368

მაწისა. მოთხრობა. თარგმნა ლ. ფოფხაძემ 368

ვლადიმერ ანქვაბი 391

მთის მდინარეს. ლექსი. თარგმნა შ. ამისულაშვილმა 391
ფიქვი ბიქვინთაში. ლექსი. თარგმნა შ ამისულაშვილმა . 392

ალექსი ჯენია 394

მუხნარი იწვის. მოთხრობა. თარგმნა ე. ბეწუკელმა 394

შოთა ბაკაძეა . 411

ნანდუ. მოთხრობა. თარგმნა მ. ახვლედიანმა 411

შალოდია აჯინჯალი . . 419

აკაქიკი. მოთხრობა. თარგმნა მ. გვასალიამ 419

მუშნი ლასურია 427

მე ვრჩები მზესთან. ლექსი. თარგმნა ბ. ხარანაულმა . . 427

შაეი გედები. ლექსი. თარგმნა თ. კუპრავამ 428

ჯუმა ახუბა 430

მწყემსის გუდა. მოთხრობა. თარგმნეს ნ. მიშველაძემ და ლ. მრელაშვილმა 430

ნიკოლოზ კვიფინია . . 439

ბედნიერება. ლექსი. თარგმნა გ. ძნელაძემ 439
უშენოდ. ლექსი. თარგმნა ო. კუპრავამ . 440

ბორის გურგულია 442

ზამთარი აფხაზეთში. ლექსი. თარგმნა ზ. ბოლქვაძემ 442
ედემი ხარ, პატარა! ლექსი. თარგმნა ზ. ბოლქვაძემ 443

Ахҟуа

Аредакциа аҟнытә 5

Дырмит Гулиа 7

Шаҟа дыҿстәы-цәыбзахуузеи. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. К. Калазе 8

Хуацьан-ду. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. М. Хурцилава 11

Руставели ибаҟа. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. Ҭ. Цьангулашьвили 12

Аҕба ааҿыкугылт. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. Ҭ. Цьангулашьвили 12

Апартиа. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. Шь. Акобиа. 13

Аҽацә. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. Ҭ. Цьангулашьвили 14

Сара схуштаара. Апоема. Аҟыртшәахь еит. М. Маҷавариани 15

Камаҷыҵ. Ароман. Аҟыртшәахь еит. Р. Гветазе. 25

Самсон Ҷанба 78

Агуаҟ ашәа. Ажәабжь. Аҟыртшәахь еит. Л. Гегелиа 79

Адәыҕба № 6. Ажәабжь. Аҟыртшәахь еит. М. Кахизе 82

Сабду ихуштаара ахахә. Ажәабжь. Аҟыртшәахь еит. А. Гецазе 84

Сеидыҟ. Аповест. Аҟыртшәахь еит. И. Аҕлазе . 98

Иуа Коҕониа 115

Аҧсны. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. Шь. Нишьнианизе 115

Ашәарыцаҩ ашьха. Ажәеинраала. Аҟыртшәахь еит. В. Горгазе 116

Уаха. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҵ. М. Кахизе 118
Зосҳан Ачбеи Жанаа Беслан иҧацәеи. Апоема. Ақыртшәахь еиҵ. М. Кахизе . . . 118

Миха Лакрба 124

Аргун Сеидыҟ. Ановелла. Ақыртшәахь еиҵ. М. Асатиани 125
Ҩ-шәык. Ановелла. Ақыртшәахь еиҵ. М. Асатиани 128

Аҳазыртракуа. Ановелла. Ақыртшәахь еиҵ. М. Асатиани 135
Ритҵа азы асимфониа. Ановелла. Ақыртшәахь еиҵ. М. Ҵьаҧаризе 137
Уажәит рхәеит. Ановелла. Ақыртшәахь еиҵ. М. Асатиани . . 141

Заз Дарсалиа 144

Ауафы-шас. Ажәабжь. Ақыртшәахь еиҵ. М. Кобахизе 144
Хамыжә, уеҿыр! Ажәабжь. Ақыртшәахь еиҵ. М. Кобахизе. 151

Мушьни Аҳашба 157

Мақьтат иажәабжь. Ажәабжь. Ақыртшәахь еиҵ. А. Гецазе 157

Иван Папасҟьыр 176

Ҭемыр. Ароман ацыҧҵәахаҟуа. Ақыртшәахь еиҵ. И. Татишьвили 176
Акаруал шәаҟь. Ажәабжь. Ақыртшәахь еиҵ. А. Санадиразе 192

Леуарса Куҵниа 210

Аҧхьарца. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҵ. Н. Чачава 211
Ашьхакуа. Ажәеинраала. Ақыртшәахь. еиҵ. Б. Кешьелава 211
Гагра. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҵ. Н. Чачава 213
Ритҵа азиа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҵ. Шь. Ломсазе 214
Март 4. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҵ. Шь. Ломсазе 215

Схуцрақуа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Н. Чачава 215

Леонти Лабахуа 217

Сажәа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. В. Горганели. 217

Ақыртуа поетцәа шәахь. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Г. Лежьава 217

Шьалуа Ҵәыцба 220

Арашьқуа рдәы. Ажәабжь. Ақыртшәахь еиҭ. Қ. Чилашьвили 220

Адәыҩба шана. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Шь. Нишьнианизе 225

Ишәҭуазааит ахаҭа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Шь. Нишьнианизе 225

Ицон аҩба. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Л. Сулаберизе 225

Амшынуаа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. О. Шьаламберизе 226

Қьаазым Агумаа 227

Уара уашәакуа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. А. Шьенгелиа 227

Генаҵвале. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. А. Шьенгелиа 228

Аҿырпын. Абаллада. Ақыртшәахь еиҭ. Х. Берулава 229

Баграт Шьынқуба 232

Аҳы, уеиибыҭ, сажәеинраала! Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. И. Абашьизе . . . 232

Аҧхыз. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Р. Маргиани 233

Аб. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Ҭ. Ҵьангулашьвили 234

Мҭаҵминда инавҵалеит амра. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Р. Маргиани 236

...(«Ага иҭынчу сныеҧынтәалан»). Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Р. Маргиани . . . 236

Сыҧшалас. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Шь. Акобиа 237

Амхацьыраа ргарашәа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Р. Маргиани 237
Ахра ашәа. Апоема. Ақыртшәахь еиҭ. Р. Маргиани 238

Иван Ҭарба 261

Аҧсны азы ашәа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. К. Калазе 261
Алазани аҧшахәа. Ажәеинраала. Ақыртшьахь еиҭ. О. Челизе 262
Гунибтәи аҵх. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. М. Ҩоцхишьвили 264
Апоем исҟам. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Г. Кацахизе 265
Ритца амҭа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Шь. Акобиа 266
Амра ҳара ҳҿы игылоит. Ароман ацыҩцәахаҟуа. Ақыртшәахь еиҭар. Жь. Маисуразеи Л. Сулаберизеи 267

Ҷичико Ҵьонуа 299

Ахра шкуакуа. Ажәабжь. Ақыртшәахь еиҭ. С. Демурханашвили 300

Алыҟьса Ҵьонуа 312

Амҳацьыр уаҭ иуаз. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. С. Чиҟовани 312
Ҟарт иазкыу аҧсуа ашәа. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Х. Берулава 313
Аеырҭраҿы. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. А. Шьенгелиа 314
Афабрикаҿы Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Х. Гагуа 315

Алыҟьса Лашәриа 316

Ауаҭ хуҵы идура. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. Л. Сулаберизе 316
Смал. Ажәеинраала. Ақыртшәахь еиҭ. О. Куправа 318

Кьыршьал Чачхалиа 320

Схуштаара. Ажәеинраала. Ақыртшәахь еит. Е. Квитаишьвили 320

...(«Ф-цлак гылан»). Ажәеинраала. Ақыртшәехь еит. И. Кемертелизе 322

Константин Ломиа 324

Амра аҧха. Апоема. Ақыртшәахь еит. Шь. Акобиа 324

Гьаргь Гублиа 345

Абзиараз, ауниверситет. Ажәеинраала. Ақыртшәахь еит. Т. Шьатиришьвили . . . 345

Ф-захуак рлахьынца. Абаллада. Ақыртшәахь еит. Шь. Акобиа 347

Алыкьса Гогуа 352

Аеыхуа. Ажәабжь. Ақыртшәахь еит. М. Нижьаразе 352

Ҭакар аблақуа. Ажәабжь. Ақыртшәахь еит. Ҭ. Цицишьвили 358

Нели Ҭар-ҧха 368

Матиса. Аповест. Ақыртшәахь еит. Л. Ҧоҧхазе 368

Владимир Анкуаб 391

Сышьха зиас. Ажәеинраала. Ақыртшәахь еит. Ш. Амисулашьвили 391

Лзаатәи аҧса. Ажәеинраала. Ақыртшәахь еит. Ш. Амисулашьвили . . 392

Алыкьса Ҵьениа 394

Аҵьра амца ацроуп. Ажәабжь. Ақыртшәахь еит. Е. Беҵукели 394

Шьоҭа Ҳкадуа 411

Нанду. Ажәабжь. Ақыртшәахь еит. М. Ахвледиани 411

Шьалодиа Аҧьынцьал 419

Акаҳыҵ. Ажәабжь. Ақыртшәахь еит. М. Гвасалиа 419

Мушьни Лашәриа 427
Сара амраҽы сынхоит. Ажәеинраала. Ақырҭшеахь еиҭ. Б. Харанаули 427
Апҟа еиқуаҵәакуа. Ажәеинраала. Ақырҭшәахь еиҭ. О. Куправа 428

Ҵьума Аҳәба 430
Ахьча ихаҭхужә. Ажәабжь. Еиҭаргеит Н. Мишьвелазеи Л. Мрелашьвилии . . . 430

Никуала Куҵниа 439
Анасыҵ. Ажәеинраала. Ақырҭшәахь еиҭ. Г. Знелазе 439
Бара быда. Ажәеинраала. Ақырҭшәахь еиҭ. О. Куправа 440

Борис Гургулиа 442
Аҧснытәи азын. Ажәеинраала. Ақырҭшәахь еиҭ. З. Болқвазе 442
Ашьам хуҷы адура. Ажәеинраала. Акырҭшәахь еиҭ. З. Болқвазе 443

ОГЛАВЛЕНИЕ

От редакции 5

ДМИТРИЙ ГУЛИА 7

Какое милое создание. Стих. Пер. К. Каладзе . . 8
Ходжан-Большой. Стих. Пер. М. Хурцилава . . 11
Памятник Руставели. Стих. Пер. Т. Джангулашвили 12
Корабль пришел. Стих. Пер. Т. Джангулашвили . 12
Партия. Стих. Пер. Ш. Акобия 13
Олень. Стих. Пер. Т. Джангулашвили . . 14
Мой очаг. Поэма. Пер. М. Мачавариани . . 15
Камачич. Роман. Пер. Р. Гветадзе . . . 25

САМСОН ЧАНБА 78

Песня страдания. Рассказ. Пер. Л. Гегелия . . . 79
Поезд № 6. Рассказ. Перев. М. Кахидзе . . . 82
Камень из очага моего деда. Рассказ. Пер. А. Гецадзе 84
Сейдык. Повесть. Пер. И. Агладзе 98

ИУА КОГОНИА 115

Абхазия. Стих. Перев. Ш. Нишнианидзе . 115
Охотник в горах. Стих. Перев. В. Горгадзе . 116
Этой ночью. Стих. Пер. М. Кахидзе. 118
Зосхан Ачба и сыновья Жанаа Беслана. Поэма. Пер. М. Кахидзе 118

МИХАИЛ ЛАКЕРБАЙ . 124

Аргун Сейдык. Новелла. Пер. М. Асатиани 125
Две двери. Новелла. Перев. М. Асатиани 128
Газыри. Новелла. Пер. М. Асатиани . . . 135
Симфония о Рице. Новелла. Пер. М. Джапаридзе 137
Сказали, ты стар. Новелла. Пер. М. Асатиани 141

ДЗАДЗ ДАРСАЛИА . . . 144

Заложник. Рассказ. Пер. М. Кобахидзе . . . 144
Не зазнавайся, старая шуба. Рассказ. Перев. М. Кобахидзе 151

МУШНИ ХАШБА 157

Рассказ Мактата. Рассказ. Пер. А. Гецадзе 157

ИВАН ПАПАСКИРИ 176

Темыр. Отрывки из романа. Пер. И. Татишвили . 176
Карвальское ружье. Рассказ. Пер. А. Санадирадзе 192

ЛЕВАРСА КВИЦИНИА . . 210

Моя апхиарца. Стих. Пер. Н. Чачава . 211
Горы. Стих. Пер. Б. Квешелава . . . 211
Гагра. Стих. Пер. Н. Чачава . . . 213
Озеро Рица. Стих. Пер. Ш. Ломсадзе . 214
Четвертое марта. Стих. Пер. Ш. Ломсадзе 215
Думы мои. Стих. Пер. Н. Чачава . . 215

ЛЕОНТИЙ ЛАБАХУА 217

Мое слово. Стих. Пер. В. Горганели . . 217
Грузинским поэтам. Стих. Перев. Г. Лежава 217

ШАЛВА ЦВИЖБА . : : : : . 220

Долина крылатых коней. Рассказ. Пер. К. Чилашвили 220
Сказочный поезд. Стих. Пер. Ш. Нишнианидзе 225
Пусть цветет. Стих. Пер. Ш. Нишнианидзе 225
Шел пароход. Стих. Пер. Л. Сулаберидзе 225
Моряки. Стих. Пер. О. Шаламберидзе 226

КИАЗЫМ АГУМАА . . . 227

Твои песни. Стих. Пер. А. Шенгелиа 227
Генацвале. Стих. Пер. А. Шенгелиа 228
Свирель. Баллада. Пер. Х. Берулава 229

БАГРАТ ШИНКУБА 232

Пора тебе в дорогу. Стих. Пер. И. Абашидзе . . 232
Сон. Стих. Пер. Р. Маргиани 233
Отец. Стих. Пер. Т. Джангулашвили 234
За горой Мтацминда солнце село. Стих. Пер. Р. Маргиани 236
У спокойного берега моря. Стих. Пер. Р. Маргиани . 236
Ветер мой, лети. Стих. Пер. Ш. Акобия 237
Махаджирская колыбельная. Стих. Пер. Р. Маргиани . 237
Песня о скале. Поэма. Пер. Р. Маргиани . . . 238

ИВАН ТАРБА 261

Песня об Абхазии. Стих. Пер. К. Каладзе . 261
Алазани. Стих. Пер. О. Челидзе . . . 262
Гунибская ночь. Стих. Пер. М. Поцхишвили 264
Кресло поэта. Стих. Пер. Г. Качахидзе . 265

Дорога на Рицу. Стих. Пер. Ш. Акобия 266
Солнце встает у нас. Отрывки из романа. Пер. Ж. Майсурадзе и Л. Сулаберидзе 267

ЧИЧИКО ДЖОНУА 299
Белая скала. Рассказ. Пер. С. Демурханашвили 300

АЛЕКСЕЙ ДЖОНУА . . . 312

Исповедь махаджира. Стих. Пер. С. Чиковани . 312
Абхазская песня о Тбилиси. Стих. Пер. Х. Берулава 313
На скачках. Стих. Пер. А. Шенгелиа . . . 314
На фабрике. Стих. Пер. Х. Гагуа 315

АЛЕКСЕЙ ЛАСУРИА 316

Скромный человек. Стих: Пер. Л. Сулаберидзе . . . 316
Мое добро. Стих. Пер. О. Куправа 318

КИРШАЛ ЧАЧХАЛИА . . 320

Мой очаг. Стих. Пер. Е. Квитаишвили . . . 320
Стояли два дерева. Стих. Пер. И. Кемертелидзе 322

КОНСТАНТИН ЛОМИА . . . 324

Дочь солнца. Поэма. Пер. Ш. Акобия 324

ГЕОРГИЙ ГУБЛИА 345

До свидания, университет. Стих. Пер. Т. Шатиришвили . 345
Судьба двух лоз. Баллада. Пер. Ш. Акобия . . . 347

АЛЕКСЕЙ ГОГУА 352

Белый конь. Рассказ. Пер. М. Нижарадзе . 352
Глаза Такара. Рассказ. Пер. Т. Цицишвили . 358

НЕЛЛИ ТАРБА 368

Мациса. Повесть. Пер. Л. Попхадзе . 368

ВЛАДИМИР АНКВАБ 391

Моя горная река. Стих. Пер. Ш. Амисулашвили . 391
Пицундская сосна. Стих. Пер. Ш. Амисулашвили 392

АЛЕКСЕЙ ДЖЕНИА 394

Горит дубрава. Рассказ. Пер. Е. Бецукели . 394

ШОТА ЧКАДУА 411

Нанду. Рассказ. Пер. М. Ахвледиани . 411

ШАЛОДИА АДЖИНДЖАЛ . . . 419
Акачич. Рассказ. Пер. М. Гвасалия 419
МУШНИ ЛАСУРИА 427
Я на солнце живу. Стих. Пер. Б. Харанаули 427
Черные лебеди. Стих. Пер. О. Куправа . 428
ДЖУМА АХУБА 430
Бурдюк пастуха. Рассказ. Пер. Н. Мишвеладзе и Л. Мрелашвили 430
НИКОЛАЙ КВИЦИНИА 439
Счастье. Стих. Пер. Г. Дзнеладзе 439
Без тебя. Стих. Пер. О. Куправа . 440
БОРИС ГУРГУЛИА 442
Абхазская зима. Стих. Пер. З. Болквадзе . 442
Величие маленького Эдема. Стих. Пер. З. Болквадзе 443

შ ე მ დ გ ე ნ ლ ე ბ ი:

ხ. ბლაუბა, გ. გუბლია, ბ. გურგულია, ი. ევგენიძე, ს. ზუხბა,
პ. კეკელიძე, ვ. მინაშვილი, შ. სალაყაია, ო. ჭურღულია.

И е и қ у д ы р ш ә е и т:

Х. Бҕажәба, Гь. Гублиа, Б. Гургулиа, И. Евгенизе,
С. Зыхуба, П. Кекелизе, В. Минашьвили, Шь. Салаҟаиа,
О. Чурҕулиа.

С о с т а в и т е л и:

Х. Бгажба, Г. Гублиа, Б. Гургулиа, И. Евгенидзе, С. Зухба,
П. Кекелидзе, В. Минашвили, Ш. Салакая, О. Чургулиа.